119
1978/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

7 1978

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-სამხატვრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე № 7 ივლისი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

ოთარ შალამბერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 3
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 7
ევგენი ევტუშენკო — მარტოობა. ლექსი. თარგმ. ნ. გურეშიძემ . . . . 13
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. წიგნი მესამე. გაგრძელება . . . 16
იზა ორჯონიკიძე — ლექსები . . . . . . . . . . . 33
როლამ ჩაჩანიძე — მეორე პალატა. მოთხრობა . . . . . . . . 36
თედო ბექიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 58
ლილი ბექანიშვილი — გაყინული კედლები. მოთხრობა . . . . . . 62
გოდერძი ჩოხელი — ჯიში. მოთხრობა . . . . . . . . . 71
დავით ქორიძე — ესტე. მოთხრობა . . . . . . . . . . 75
გურამ პეტრიაშვილი — ზღაპრები . . . . . . . . . . 81
ვანო ურჯუმელაშვილი — ერთი ქართული ბატალიონი. რომანი. დასასრული . 90

### 150 ჩერნიშევსკი 150

ვანო შადური — ნ. გ. ჩერნიშევსკი და „თერგდალეულები“ . . . . . 119
ალექსანდრე გელოვანი — „ჩვენი საერთო მეგობარი“ . . . . . . 126

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გიორგი ლომიძე — მწერალი და მოქალაქე . . . . . . . . . 128
ლამარა დოლონაძე — ჟანრობრივ-სტილისტური ძიებანი ქართულ დრამატურგიაში 130
ლალი ავალიანი — დ. კლდიაშვილის ორი გამოუქვეყნებელი წერილი პ. უმიკაშვილისადმი . . . . . . . . . . . . . 139
ზურაბ ჭარხალაშვილი — დრამატურგის ოსტატობა . . . . . . . 148
უშანგი ობოლაძე — გარემოს დაცვის პრობლემები და იაკობ გოგებაშვილი . 157

### ფაქტები, მოგონებანი

ალექსანდრე ალადაშვილი — ჩემი ცხოვრების გზა . . . . . . . 166

### წიგნების მიმოხილვა

ალ. ღლონტი — ორი საინტერესო ნაშრომი . . . . . . . . 185
ვენორი ქვაჩახია — წერილი რედაქციას . . . . . . . . . 188

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. ჩანჩიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, რედაქტორის მოადგილის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6/VI-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VII-78 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 01128. ტირაჟი 14.400. შეკვ. 1654.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

## კარპატებში

ცა ფანტელებს
ფანტავს ემხით,
ფანტელებმა
ლამის სულიც შებარდნეს...
რუმინეთის
კარპატებში
გამახსენდა
ჩემი თეთრი ლებარდე!

ჩრდილი არის
განა სევდა —
ამემგზავროს,
სადაც თავად ნებავდეს?!
კარპატებთან
გამახსენდა —
რა ხანია,
არ ვყოფილვარ ლებარდეს!...

ჰაი გიდი!
სულმაც ფრენა ინდომა
და მწყურვალი
ლოკავს ფანტელს...
უცხო მხარე
ძვირფასია მიტომაც,
რომ მშობლიურს
მოგანატრებს!..
აქ ჩემი მხრის
ქებას შევრჩი,
მაგრამ ფიქრი
ხელის გაკვრით გავფანტე...
როგორც ჩავალ
ლებარდეში,
მადლს შევუთვლი
რუმინეთის კარპატებს!

ბრაშოვი, კარპატები

## გაუგზავნელი ლექსი ბესარიონ გაბაშვილს იასიდან დაბრუნების შემდეგ

მე რომ ჩავედი ,
წვიმდა იასში.
წვიმაც მღეროდა
შენი ლექსივით.
როგორც დესპანი,
ვიდექ წვიმაში
გადასაცემი
ბედის ვექსილით!..

მომეთხრო შენთვის
ჩვენი ამბავი,
არ იქნებოდა
მართლაც ურიგო;
მაგრამ იასში
შენი საფლავიც
„სულიკოსავით“
დაკარგულიყო ..

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ კედელზე
მიყუდებული
(ქამთან ჭიდილი
რა ძნელი არი!)
მუზეუმისთვის
მიკუთვნებული
ლოდი ვიპოვნე
წარწერიანი.

„საფლავსა ამას
შინა მდებარე...." —
ლოდი შიშველი
ფიქრით გამენდო..
და ერთი წამით
გადავეფარე,
რომ სამუდამოდ
იგი გამეთბო.

მერე წამითაც
არ დავაყოვნე
(ეს ცივი ლოდი
ვით არ მეთმობა! )
და მხილველთაგან
შენდობის მთხოვნელს
გეამბორე და
გითხარ შენდობა!..

გადაუღებლად
წვიმდა იასში.
წვიმა მღეროდა
შენი ლექსივით...
როგორც დესპანი ,
ვიდექ წვიმაში
უადრესატო
ბედის ვექსილით!

## მანგალია

კონსტანცაში
მხარე გიხმობს ასნაირი,
მე ერთისკენ
გამიშლია იალქნები;
ქალაქიდან
თოფის სროლა გზას გაივლი
და მშვენიერ
მანგალიას მიადგები.

სიყვარულო,
შთაგონება დამიმშვიე,
რომ ლექსები
მაწვიმინო ალმაცერად;
მანგალია
ალბათ მიტომ ავირჩიე,
ჯადო-სიტყვამ
სამარგალო გამახსენა.

ისე როგორ
ვეჩვენები მანგალიას,
შორიდანაც
ძმასავით რომ შევიცანი,

სანამ გულში,
კაკალ გულში არ გამიარს
ძმობის მადლით
დაფერილი ერთი ბწკარი.

რა ქარია,
რა ქარია მანგალიას,
ქარია თუ
დამშეული ფოცხვერია?!
აქ არავინ
არ მოსულა რა ხანია
და უსტუმროდ
სასტუმროებს მოსწყენიათ.

ვინ რა იცის,
ფიქრი როგორ ვატოროლე,
ან სიმღერით
ყველგან როგორ ვიქანცები;
მე მეგონა
მანგალიას მარტო მოველ,
დამხვდნენ კია
ალვის ხეთა შვიდკაცები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანგალიას
ფიქრი ჩემი რამ გარია,
აგრე ისმის,
თითქოს მართლა მარგალია;
მე მეგონა
მარტო ვიყავ, მარტო მოველ, —
ჩემი შავი
ზღვის ტალღებიც აქ არიან!..

რა ქარია,
რა ქარია მოუღლელი,
რა სიყვითლე,
რა ფოთლების კანკალია;
მე ამ ფოთლებს
მისხალ-მისხალ მოვუყვები,
ახლა ჩემი
საქართველო რაგვარია.

კონსტანცა

## კვლავ ბუქარესტის ქუჩებში დავალ

იოანა დიაკონესკუს, დუმიტრუ მ. იონს,
მარჩელ პეტრიშორს

სილურჯე მოსწვეთს
ვეება თავანს
და გულს
სიშორის
სევდას უქარვებს;
კვლავ ბუქარესტის
ქუჩებში დავალ
და როგორც თბილისს,
ვიცნობ ბუქარესტს.

არა სჭირდება
სიყვარულს მოწმე.
სტუმრისთვის უფრო
უცხოა იგი;
გზა-გზა ვაწყდები
ანთიმის ლოცვებს
და სანთელივით
მინთია ფიქრი...

აქ ახლა უფრო
თამამად ვივლი,
არ მეშინია
დაკარგვის სულაც;
იონი ხშირად
იგონებს თბილისს
და თბილისელი
სტუმრისთვის ზრუნავს...

მე ჩემად მიჩანს
მისი ავ-კარგი,
ძმურს და შესაფერს
ვეძებ სტრიქონებს,
თითქოს ეს გული
თბილისს დავკარგე
და რუმინეთის
გზებზე ვიპოვნე.

## სტუმრად ზაირა სამსარაძესთან ბუქარესტში

მე რუმინეთის
რძალთან მოვედი
და გულით ვლოცავ
იმერულ ოჯახს.
სუფრის თამადად
დადგა პოეტი
და სუფრაც ზღაპრულ
ნოხივით მოჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრწყინებია
მამამთილს თვალი,
არც მიკვირს, ლხენამ
რომ ააცეტოს, —
ეს მტევანივით
ქართველი ქალი
ქართული ზვრიდან
მოვიტაცეთო!..

ნათელი დაჰკრავს
ზაირას ფიქრებს,
სუფრას გარს უვლის
და ყელს იღერებს.
შავი ფირფიტა
ტრიალებს იქვე
და სულში გვაღვჴრის
ქართულ სიმღერებს!..

სავსე ვარ ძმური
სიახლოვეთი
და ცეცხლს ვუსინჯავ
სტრიქონს ალოზე!...
მე რუმინეთის
რძალთან მოვედი
და საქართველოს
სიძე დავლოცე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# აქ ერთდებიან მერიდიანები

1977 წლის 17 აგვისტო. ჩრდილოეთ პოლუსის გეოგრაფიული წერტილის „თეთრი მდუმარება“ პირველად დაარღვია გემის—ატომური ყინულმჭრელის „არქტიკის“ საზეიმო საყვირის ხმამ. წერტილზე, რომელზეც თავს იყრის დედამიწის ყველა მერიდიანი, ათმეტრიანი ფოლადის ანძით აღიმართა წითელი დროშა. აღსრულდა გულად მეზღვაურთა და პოლარულ მკვლევართა საუკუნოვანი ოცნება და ანდერძი წყალზედა ხომალდით პოლუსის მიღწევის შესახებ.

„არქტიკა“ პოლუსის ყინულოვან მთებს შეეჭიდა იური კუჩიევის კაპიტნობით.

გაზეთებიდან.

აქ თავი ერთად მოუყრიათ მერიდიანებს,
(ერთ-ერთ მათგანზე ბღავის ჩემი კოლხური ვერძი),
ყინულოვანი სივრცე მიწის ფერით იალებს
და დროშის ტარით დედამიწის გრძელდება ღერძი.
იმ დროშის ტარზე,
უჟანგავი ფოლადის ღერზე,
მზე იღიმება,
ჩემი ქვეყნის შუქბრდღვიალა მზე.
(ის — დაძაბული, დღენიადაგ მბრუნავი ღერძი
ჩემს გულზეც გადის და ჩემს კალამზეც).
ამ გზებზე არვის არ უნახავს მომსვლელ-წამსვლელი,
არც კაცის ფეხი,
არც მგლის კვალი,
არც ელვის ზოლი,
დღეს კი რვალივით მყარ ყინულზე ცვივა ნამსხვრევი
მილიონ წლობით დაუმსხვრევი დუმილის ბროლის.
ახლა აქეთ თუ მოაბიჯებს სედოვის ლანდი,
ახლა ტანში თუ გააჟრჟოლა როალდ ამუნდსენს,
დიდი ხნის წინათ ყინულეთში რომ ჩაჰყვათ დარდი
ამ უვალ გზებზე,
ამ პოლუსზე,
ხალხზე,
ჰამულზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქ ერთდებიან მერიდიანები.
მე ვხედავ
პირველად,
პირველად დარღვეულ
თეთრი მდუმარების საუფლოს,
მე ვისმენ
პოლუსზე
ფრინველად დარხეულ
კაცის ხმას, ღმერთთან რომ საუბრობს.
და უფრო მაღლდება პლანეტის ყველაზე,
ყველაზე მაღალი განედი.
კოსმოსშიც პირველნი ავედით ჩვენ ასე,
ამ მაღალ განედზეც გავედით.

აქ ერთდებიან მერიდიანები.

და თუ პოლუსი ჩვენი პლანეტის
უუმაღლესი არის განედი,
ადამიანის მაღალ განედად
მისივე გული უნდა ვიგულო,
მუდმივ ყინულეთს რომ არ დანებდა
და მზის მხურვალე ღველფით დიდგულობს.
განედი იგი ხმაურობს მარად,
ნაღვერდალივით მწველი და ცხელი,
თუმც ხან ისეთი ყინულიც ჰფარავს,
ვერ გაჰკვეთს ვერრა ყინულისმჭრელი:
განედი იგი, სწორუპოვლი,
გაღვივებული ქარში მაყალი,
ადამიანის გრძნობის ყოველის
მერიდიანთა თავშესაყარი.
აქეთ მოდიან მერიდიანები,
მტრედის ფრთიანებიც,
ყორნის ფრთიანებიც,
მერიდიანები ძმობის და მტრობის,
ნათლის და ბნელის,
შურის და ტრფობის —
კაცის ყოველი ფიქრის და გრძნობის.
და ამ განედზე ორ პოლუსს ჰქმნიან —
სიკეთის პოლუსს,
სიავის პოლუსს.
და რადგან ქვეყნად ადრე თუ გვიან
მაინც სიკეთე იმარჯვებს ბოლოს,
ყველაზე მძიმე ტკივილის დროსაც
მაგ პოლუსიდან აღმართე დროშა,
ბრძოლის,
სიწმინდის,
სინათლის დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხწორედ გულის ამ პოლუსიდან
დღემდე გაუვალ სივრცეს მიარღვევს,
ჩემი მამულის დროშას მიარხევს
გემი, რომელმაც მზე მოუზიდა
და მწვანე მიწის ხმა-მქუხარება
მზეუკარება
თეთრ მდუმარებას.

დგას მის საჭესთან ძლიერი კაცი,
თერგზე გაზრდილი მთიელი კაცი
და გულის ჩემის,
და გულის შენის
და მისი გულის დიდი სინათლე.
ცხოვრების ფუძე,
სიცოცხლის მშვენი
იგი სინათლე წაიწინამძღვრე,
იარე რწმენით,
საქმენი შენი
დაუსაძირკვლე ქვეყნის სიმაღლეს!
სულში გეკიდოს სინათლის ხატი,
არ გააკარო ხელი მტვრიანი.
ჩვენს გულზე გადის,
ჩვენს გულზე გადის
სიცოცხლის ყველა მერიდიანი!

## დედა კორნელია

ჰოი, რა შორსაა ტექსელი აქედან
და...
გულზე გვატყვია ქართველებს კრწანისად,
თვითონ უკვდავების თვალმა რომ დახედა,
ვერც წვიმა წარეცხავს,
ვერც წლები დანისლავს.

და დედას ტექსელის
თბილისში შეგცქერი
და ომში თვალგამშრალს ცრემლი
მომრევია,
გმადლობთ, რომ ასეთი დედობა შესძელი,
ჩრდილოურ კრწანისის დედავ,
კორნელია!

იმ მძიმე წუთებში ქართველებს ეგ შენი
გულიც უნათებდა ზეცას ყორნებიანს,
მათს ხსოვნას
შენი გულით ინახავს ტექსელი,
დედა კორნელია.

ძმები უკვდავების ღმერთებმა გაიხმეს,
მათს თავთან მამულის ღმერთები სხედან.
ჰოი, რომ დედები ზრდიდნენ იმ კაი
ყმებს —
კაი ყმებს სიკვდილშიც სჭიროდათ დედა...

ვინა თქვა,
დრო-ჟამი ყოვლის მომრევია, —
მე კვლავ უსაშველო სევდა მომრევია,
შენითღა ვიოხებ ძმებზე მგლოვიარე
გულს,
უსათნოესო დედა კორნელია...

ნანგრევებს გასწმენდენ,
ბლინდაჟებს დახნავენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის კვალს ხსოვნაში რა დააყამირებს,!
მე ვხედავ ტექსელს და
ვხედავ ჩვენს საფლავებს
და იმ საფლავებზე — ბრდღვიალა
ყვავილებს,

. . . . . . . . .

მაგ ნაზი ხელით
რგავ იმ ყვავილებს,
მაგ წმინდა ცრემლით
რწყავ იმ ყვავილებს.
შენგან დარგული
ყვავილების ჭირიმე,
შენგან დაღვრილი
ცრემლების ჭირიმე,
შენი ტკივილის და სიხარულის ჭირიმე
დედა კორნელია,
შენი დიდდედური სიყვარულის ჭირიმე,
დედა კორნელია!

## რას იტყოდა საიათნოვა სიკვდილის წინ

დღე დასრულდა.
დაისრული
ხოხბის ფერი დაისია,
ვაჰმე, იქნებ სატრფომ ჩემმა
თვალი ცრემლით დაისია,
ვერ მიუველ —
გულზე ეჭვის
ჭინჭველები დაისია.

მაისია.
ორთაჭალის
ბაღებს რაღამ დაათოვა,
მზე ნისლში რას დაბარბაცებს,
ან ეს მთვარე დაათრო რამ...
მოდი, ჩქარა გამაღვიძე,
სიზმარში ვარ, საიათნოვა!

მე ვთავდები, პოეტებო,
განა სიტყვა გამითავდა,
სამ ენაზე ლექსად მლოცველს
მხოლოდ ერთი ღმერთი მყავდა —
ჩვენი მიწის უკვდავ ხალხთა
ძმობის ცხელი ცეცხლი მწვავდა.

მაისია.
უბე წითელ
ვარდის ფურცლით ამივსია,
თუ პერანგზე სისხლისფერი
ღვინის ყანწი დამისხია...
დღე დასრულდა.
დაისრული
ხოხბის ფერი დაისია.

ვაჰმე, მკერდზე ხისხლი ჩემი
წითელ ვარდად ამიყვავდა...
რა ვიცოდი,
ანგელოსი
ცაში ფრენით ამიყვანდა,
ყური მაინც მიწისკენ მაქვს —
საქართველოს ხმა მიყვარდა.

**მ ი ნ ა წ ე რ ა:**

ლამის ორი საუკუნის
მერე მოველ ძმაი შენი —
ამ მაისში, შენს საფლავთან
გავიგონო ხმაი შენი.
ცოცხლად გნახე.
ვერც დრო-ჟამმა,
ვერც ჭაღარამ დაგათოვა,
საქართველოს სამსხვერპლოზე
სისხლდაღვრილო საიათნოვავ!

## გაზაფხულის მოლოდინში

საცაა ენძელა
აყვავდება,
დახვავდება
ღიმილი საოცარი,
მომივლენ სიცოცხლის ახალ დებად
იები — მუხლჩოქვით სალოცავი.
ნუში თეთრ კაბაში დაქალდება,
არც მუხა დარჩება შავოსანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიავი პეპლის ფრთით აქარდება,
მეცხრე ცას მისწვდება ხმა ოსანის,
მთის წყარო თავქვეზე დაქანდება,
სიმღერა მოსკდება წყაროსავით.

სიცოცხლის ცხრა მზეს რომ იფიცებენ,
ჰოი, რა ღონივრად იღვიძებენ
ფესვები —
მიწაში დაძარღვული,
კვირტები —
ხის ტანში ჩასახული,
ზვირთები —
თოვლზვავში განაბული,
კლდის ხავსი —
უმზეოდ დათალხული,
ვაზის რქა —
სიმღერად დახლართული,
მინდორი —
მზის გუთნით გადახნული,
სიმწვანე —
მზის ჩარხზე გაჩარხული.

გაზაფხული მოდის,
გაზაფხული!

* * *

მზემაც იმატა,
დღემაც იმატა
და...
სხივმაც იკლო;
სითბომაც იკლო, —
გადმოულახავს ჩემი მთა ციკლონს,
შრიალებს ცივი ფარდა წვიმათა.

გაგვინახევრდა მაისი ლამის
და აღარ გვტოვებს მარტი კვიმატი,
ძლივსლა ჩამესმის კვირტების ჩქამი,
არ მომასვენებს დარდი იმათი.

ზვარს ეზმანება ზეცა კრიალა,
მწვანე ხანძრების გასაღვივებლად,
ნახნავი ამ ცივ წვეთებს კი არა,
მარცვალს მიელის გასაღიებლად.

ვაზებმა მაინც გასტოპეს ჭყაპი
და გაიღვივეს კვირტი აბედად,
ატამმა ნაზი წითელი კაბით
ავდარში გასვლა ვითღა გაბედა...

გაზაფხულს უჭირს...
და მაინც მოდის
კაცის მარჯვენის მადლს მინდობილი,
მოდის ბაჯაღლო ღიმილის ზოდით,,
ალუბლის ტოტით,
ბრძოლით და შფოთით
და უამრავი ძმობილ--დობილით.

მოდის და შენი ძალით ხმაურობს
ნერგში, ნათესში, კვირტში თუ ღივში,
ხელმადლიანო, გულშუქიანო
ძმაო, ჩამდგარო ვაზების მწკრივში.

და გაზაფხული იმარჯვებს თუ კი,
გაზაფხულივით ძლიერო დაო,
შენი გულის და მარჯვენის შუქით
ეს შენც ასწიე ქვა საჯილდაო.

... ყველა ავდრიან ციკლონის ურჩი
გულს ასხლეტილი სტრიქონით ვყივი:
ოღონდაც სულში,
ოღონდაც სულში
არ შემოგვეჭრას ციკლონი ცივი.

უზადო შუქად გამოვიკვეთოთ
და ჩვენი ფრთები ლაღად იქროლებს,
კარი გავუღოთ გზნების, სიკეთის
და სიყვარულის მაღალ ციკლონებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამშობლოს

სულ ასე მენთე!
შენი ცა ლურჯი,
შენი მზე უხვი მანდე და მენდე,
შენს სამსახურში,
შენს სიყვარულში
ღმერთმა **ნუ** მომკლას სიკვდილის დღემდე..

შენი ბაღზვრების მწვანე ხმაურში
მკერდზე სინათლის ტალღებით შემდექ.
შენს სიხარულში,
შენს სიყვარულში
ღმერთმა მაცოცხლოს სიკვდილის შემდეგ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევგენი ევტუშენკო

## მარტოობა

რა სირცხვილია მარტოდმარტო კინოში წასვლა!
თან რომ არ გახლავს მეგობარი, ცოლი ან სატრფო,
უცებ თავდება სეანსები სიზმარის მსგავსად
და მანამდე კი ზარს დაწყების წამებით ნატრობ.
რა სირცხვილია —
დგახარ, იბრძვი საკუთარ თავთან.
იქვე წყვილები შეგცქერიან ჩუმი დაცინვით,
ღეჭავ ცივ ღვეზელს ფოიეში, მოწყენით დგახარ,
დანაშაულში დაჭერილი საწყალ კაცივით.
ჩვენ
მარტოობა გვერცხვინება
და მოწყენილნი
ვეძებთ ამფსონებს, ჯერ უცნობებს ჩვენთვის მანამდე,
და შემთხვევითი მეგობრობის დაუწერელი
ვალდებულება მიგვაცილებს კუბოს კარამდე.
არიფანები ყალიბდება რაღაც თავნებად, —
ერთნი სულ სვამენ,
სვამენ,
სვამენ გაუთავებლად.
სხვებს გოგოების და ჭინჭების
ნდომა აქვთ მხოლოდ,
და კიდევ სხვანი
მოჩვენებით იდეურ კამათს
ამჯობინებენ სუყველაფერს, სხვა დარდი არ აქვთ
ვითომც არაფრის, არ აწუხებთ ვითომ ხუნდები,
მაგრამ ერთნია სუყველანი, ხედავ, რწმუნდები...
ამაოება ამაოთა, ბოლოსდაბოლოს!
სად არ ვიყავი,
რა ჯგუფებში, რა სანახებში,
რამდენს გავექეც, გავეპარე —
ველარც კი დათვლი!
აგერა, თითქოს კვლავ გამაბეს ახალ მახეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათაც დავუსხლტი, ვერ შევძელი ღალატი მათი.
ჯაჭვი გავწყვიტე
და აჰა, შენც გამოაბრწყინე,
თავისუფლებავ,
შენი ელვა ტანში დამიარს...
ხან სანატრელი, მაგრამ შენაც ხარ მოსაწყენი,
ერთგულ ცოლივით,
რომ არ გიყვარს დიდი ხანია.
შენ კი ძვირფასო,
ჩემო ნატვრავ და სათნოებავ,
გაექეც განა ამქვეყნიურ ამაოებას?
ვის, ვის ეკუთვნის დამდაღველი შენი თვალები,
ან შენი მხრები უთეთრესი ელვარებით?
ვიცი, შენ ფიქრობ:
შურისგებით და ბოღმით ავსილს
ახლა სხვისაკენ მიმაქროლებს
ფრთაჭრელი ტაქსი.
თუ მიმაქროლებს ვისკენ, საით, რა მისამართით?
განა არ იცი, მოსვენება თვითონ წამართვი!
ქალები ჩემთან
თავს მოწყენით და უცხოდ გრძნობენ,
რაღაც ქალური იდუმალი გუმანით სცნობენ,
თუმცა მათ მუხლებზე მიდევს თავი, არსებით სრულით
მხოლოდ შენთან ვარ, მხოლოდ შენთვის,
შენთვის ძგერს გული...
ამას წინათაც ვიყავ სტუმრად, ის იყო მარტო.
ღარიბულ სახლში ირმის რქებზე დავკიდე პალტო.
გაძარცვულ ნაძვთან, სად ნათურა ბჟუტავდა მკრთალი,
ის იჯდა ისე, ვით გოგონა მკაცრი და მწყრალი.
ისე იოლად მოვიპოვე სტუმრობის ნება,
თავდაჯერებულს მე იმდენის მქონდა იმედი,
გალაღებული (ისე როგორც ეს ხშირად ხდება),
განა ყვავილით,
ბოთლი ღვინით ხელში მივედი.
საქმე კი ისე არ აეწყო —
როგორც მეგონა.
ის იჯდა ჩუმად, ვით
ობოლი ბავშვი, ნაწყენი
და ორი ცრემლი,
როგორც ორი ჭიაკოკონა,
უკიაფებდა ვარდისფერ და
სათუთ ღაწვებზე.
ვით სიცხიანი შემყურებდა,
თვალდაბინდული,
ბავშვურ სხეულით ზე წამოდგა
და ყრუ ხმით მითხრა:
„წადი...
არ გინდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვხედავ, შენად სხვას რომ იგულებ.
    წადი...
    შენ ჩემი კი არა ხარ,
      შენ იმისი ხარ“..
მახსოვს გოგონა მოკლე თმებით, ვით მერცხლის ფრთებით,
ჟინით და ნებით, გატაცებით ნაღდი ბიჭურით,
მე მას ვუყვარდი.
    შემყურებდა, შიშით და გზნებით,
უნაზეს გზნებით, ვით შეჰყურებს მიჯნურს მიჯნური.
ყირიმის ღამეშ
    თავზე სეტყვა გადმოგვაყარა,
ორნი ვიყავით, ჩურჩულებდა ხმა მოალერსე:
„ჩემო პატარავ!
    საყვარელო ჩემო პატარავ!“
და მისი თბილი ხელისგული
    მედო თვალებზე.
ყველაფერს საშიშ-საზეიმო ჰქონდა იერი.
ჰქუხდა,
   ელავდა,
      ტალღას მძიმედ ურტყამდა ტალღა,
და უცებ ქალურ გულთახილვით,
    ცნობით ძლიერით
იგრძნო სიმართლე და მიყვირა;
      „შენ ჩემი არ ხარ!“
გემშვიდობები, საყვარელო,
      ერთგული შენი!
დე, მარტოობა ერთგულების იყოს თავდებად,
დაე, შენს ხელზე დამჩნეული
      ამბორი ცხელი
იყოს ზმანება, რომ იწყება
      და არ თავდება.
მადლობა ქალებს,
      მშვენიერებს,
        კარგებს,
          ცბიერებს,
მათ, ვინც ჩემს თვალწინ გაიბრწყინეს და გაიელვეს,
რადგანაც ჩემთვის დიდ იმედებს არ ინახავდით,
რადგანაც თქვენ თქვით „მშვიდობით!“
      და არა „ნახვამდის!“
რადგანაც ჟამსაც პიცრუისა ხართ დიდებულნი,
რადგანაც ჩვენთვის არ იშურებთ საოცარ ნობათს —
ნეტარ წამებას,
    ცეცხლად რომ გვაქვს წაკიდებული,
და მარტოობის მარადიულ მშვენიერ გრძნობას.

თარგმანი ნოდარ გურეშიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი ოთხ წიგნად

## წიგნი მესამე

### თავი XXVII

მეფემ მთავარი ძალებით წინწყილას უღელტეხილი გადაიარა და ოკრიბაში დაეშვა, რომლის სიღრმეშიაც ქვემომხრის ჯარები იხევდნენ და თავის კვალზე აღევნებული მრავალრიცხოვანი მტერი წინასწარ დაგებულ ხაფანგისაკენ მოჰყავდათ. სოლომონი ჯერ ოკრიბა-არგვეთის გამყოფი კლდოვანი ქედის დასავლეთ კალთაზე გადმომდგარ ცუცხვათის ციხის პირისპირ შეჩერდა და შორიდან უყურა, როგორ დაუდეს ნაღმი ციხის უკანა კედელს, შემდეგ იქ ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი დასტოვა ხუთი ათასი კარგად შეიარაღებულ ქვეითით, რათა მას ოდესღაც გიორგი აბაშიძის მიერ ოსმალებისათვის გადაცემული ციხის დაკავებისა და მეციხოვნეთა დატყვევების საქმე ბოლომდე მიეყვანა, ხოლო მერე უკანდახეულ აგარიანთათვის გზა მოეჭრა, თავად კი ხრესილისაკენ მიმავალ მთავარ ძალებს შეუერთდა.

წინწყილას უღელტეხილზე რამდენიმე საათით ადრე გადმოსულმა მეწინავე რაზმმა, რაკი როსტომ ერისთავი რატომღაც იგვიანებდა, ალყა შემოარტყა ხრესილის ციხეს. ალყაშემორტყმული იყო დიდი ციხისაგან ხუთასიოდე ნაბიჯით მოშორებული და მასთან საიდუმლო ხვრელით შეერთებული ოჯვსტის ციხეც. ზარბაზნების უქონლობა მეფის ჯარს იერიშზე გადასვლის საშუალებას ართმევდა. მოსალოდნელი იყო, რომ მეციხოვნე აგარიანები თავიანთ უპირატესობას გამოიყენებდნენ და თორმეტი ზარბაზნისაგან შემდგარ ციხის არტილერიას აამოქმედებდნენ, მაგრამ ისინი რატომღაც სდუმდნენ, უთუოდ სერასკირის ჯარების მოახლოებას ელოდნენ.

სულთამ ავალიანმა, მეწინავე რაზმის წინამძღოლმა, მოციქული შეუგზავნა ციხისთავ ალიბეგს და მეფის სახელით ციხის ნებაყოფლობით ჩაბარება მოსთხოვა. აღარავის ეგონა, თუ მოციქული, შიშისაგან ენაჩავარდნილი ხრესილელი თათარი, ქართულს ძლივს რომ ამტვ-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

რევდა, უკან მობრუნდებოდა, მაგრამ ის მალე მობრუნდა და ავალიანს ციხისთავის პასუხი მოუტანა.

ალიბეგი გაკვირვებული და შეწუხებული იყო, რომ მეფის მხარე ოსმალ-აჩიკ-ბაშთა საუკუნო მეგობრობას ძირს უთხრიდა და ბოროტი კაცების ენებს აყოლილი თავს საშინელ განსაცდელს უმზადებდა. ვაჰმე, ეგ როგორ დაგემართათო, ოსმალეთი დიდია, მთელი ცისქვეშეთი მისი მოხარკეა და თქვენ მას რა უნდა დააკლოთო. მოციქული ხელახლა გაგზავნეს და ამჯერად თვით ციხისთავის სათრეველა სიტყვები დააბარეს. ალიბეგი ქალაჩუნა კაცი იყო, მიუხედავად ახოვანი აგებულებისა, დიაცური ხმა და მიხრამოხრა ჰქონდა და ბოროტი ენები გულისამრევ ცოდვას— მამათმავლობასაც სწამებდნენ. ავალიანმა და მისმა მრჩევლებმა დანაბარებს პილპილი მოაყარეს და ბევრიც იცინეს. ამჯერად მოციქული თათარი გაჰქრა, უკან აღარ დაბრუნებულა. ჩანდა, ალიბეგი შეაფიქრიანა მოალყე ჯარის სიმრავლემ და დანაბარების აგდებულმა კილომ, რის უკანაც საკუთარი ძალების რწმენა უნდა მდგარიყო, და მშვიდობიანი მორიგების ცდაზე ხელი აიღო, მაგრამ არც დანებების მაუწყებელი თეთრი ბაირაღი გამოუკიდია. სდუმდნენ ზარბაზნებიც. ციხე მოუხერხებელ ალაგას იდგა, სოფლის უკან, მთის ასავალში, სიმტკიცითა და მიუდგომლობით მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს დაიკვეხნიდა და ფრთხილ ციხისთავს დიალაც მართებდა, სადაც თავისას იტყოდა, იქ სხვისი შემონათვალიც ყურად ელო.

ხრესილელ მეციხოვნეთა საქმე ცუცხვათის ბევრად უფრო მტკიცე, უკეთ შეიარაღებული და ძნელად მისადგომი ციხის მოულოდნელმა დაცემამ გააფუჭა. ქაიხოსრო წერეთელმა, როდესაც უომრად დანებებაზე ციხიდან უარი შემოუთვალეს და აქეთაც დაემუქრნენ, ბრძანა, ციხის უკანა კედლის ძირში ჩადებული ნალმის პატრუქისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ. აფეთქებას იმდენი არაფერი გაუფუჭებია, რადგან ნალმი არც ისე ღრმად იყო კედლის ქვეშ ჩადებული, რამოდენაც ხმა ჰქონდა. ციხე შეიძრა, კედელი გაიბზარა და ალაგ-ალაგ კიდევაც ჩამოინგრა. მთების შორეული გამოძახილი რომ მიილია და შეწყდა, ერთხანს სიჩუმე სუფევდა. უხმეს საარაკო ხმის პატრონ ურახუნეს, დაარიგეს, რა უნდა დაეძახა და ციხის მოპირდაპირე ფრიალო კლდის წვერზე აგზავნეს. ახლა რაღას გვეტყვითო, — ურახუნეს მგრგვინავმა ხმამ იქაურობა გააყრუა და ციხის ოთხკედელშუა გამომწყვდეული აგარიანები ნალმის აფეთქებაზე ნაკლებ როდი შეაშინა, — მეორე ნალმიც ავაფეთქოთ, თუ მაგ ერთის აფეთქება ვიკმაროთ, იცოდეთ, ციხე ჩვენია, ისევე ჩვენი ასაშენებელი გახდება და, იწამეთ ალაჰი, ტყუილ-უბრალოდ ნუ დაგვანგრევინებთო.

უკანასკნელი სიტყვები ურახუნემ თავისი ჭკუით წაუმატა და ყველას ღიმილი მოჰგვარა.

ქონგურზე იანიჩარი გადმოდგა და მოალყეთ ყვირილითვე ამცნო, რომ ციხისთავი უსუფ-აღა თანახმა იყო, ციხის უომროდ დანებების თაობაზე აჩიკ-ბაშებთან მოლაპარაკება გაემართა. ქაიხოსრო წერეთელმა ციხეში როსაფ მაჭავარიანი და მისი სამი ათისთავი შეგზავნა. ციხისთავს ფერი ეცვალა, მაგრამ ღონე მოიცა და მაინც შურს დაიჭირა — თქვენ ვერ გენდობით, თვით სარდალი წერეთელი მობრძანდეს და იმას დავნებდებით. ეს რომ ქაიხოსროს აუწყეს, არც შეყოყმანებულა, ძვირფასი დრო რომ ტყუილად არ დაეკარგა, რვა მოსხლეტილი ვაჟკაცის თანხლებით ციხეში გაჩნდა, მეფისა და დარბაზის ერის სახელით უსუფთან პირობა შეჰკრა, ციხის მთელი შეიარაღება, საჭურველი და ნუზლი ჩაიბარა, ჯვარზე დაიფიცა, რომ თავისი ნებით ტყვედ დანებებულ აგარიანებს აჩიკ-ბაშები არაფერს მოსწევდნენ და დატყვევებულნი, ციხისთავითურთ სულ ორმოცდაექვსი კაცი, გარეთ გამოიყვანა. ტყვეებს ბად-



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

რაგი გააყოლეს და უმოკლესი გზაწვრილებით მაშინვე მეფის ბანაკში გაგზავნეს. ქაიხოსრო წერეთელი ციხის დაკავებას და მის თავისებურად აღჭურვას შეუდგა.

უსუფ-აღამ, როდესაც შეწყალება და ომის შემდეგ შინ მშვიდობით გაშვება აღუთქვეს, სიამოვნებით იკისრა ხრესილის ციხისთავ ალიბეგთან შუამდგომლობა, ცუცხვათელ მეციხოვნეთაგან მხოლოდ ორი კაცი იახლა, თათრიულში ავიდა და ალიბეგს ციხის კარი გააღებინა. არ გაუვლია ერთ საათსაც, ხრესილელი მეციხოვნეები, უკლებლივ, უსუფ-აღას გამოჰყვნენ და მის პატიოსან სიტყვას მინდობილნი ავალიანს ჩაბარდნენ.

მეფის ბანაკი წყალგაღმა, ბუეთში იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს საომარ სიმზადისს ხრესილის ველზე. ამ დაცემულ ჭალას, რომელიც სოფლის ბოლოს აღმართულ ციცაბო ფლატესა და წყალწითელას შუა იყო მოქცეული, და, თავსა და ბოლოს, ხამოციოდე ქცევა ძლივს იქნებოდა, ადგილობრივი მკვიდრნი შინაურულად ტბაშავის ვაკესაც ეძახდნენ. ვაკის სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდე, სადაც ისედაც პატარა მთის მდინარე წყალწითელა რამდენიმე ტოტად იყოფოდა, თხმელის დაბურული ბუჩქნარი ფარავდა. ბუჩქნარი სწორედ მისწრება იყო ჯარის დასამალავად და მტერზე მოულოდნელი თავდასხმის მოსაწყობად.

ხრესილის ველი, სხვანაირად ტბაშავის ვაკე, ჩრდილოეთისაკენ ერთბაშად ვიწროვდებოდა და ეკალბარდით გადავლილი ძნელად ასასვლელი ფერდობების წინ წყდებოდა. ფერდობები ველს სამი მხრიდან გადმოჰყურებდნენ. ისე რომ, აქ შემოსული კაცი, მით უფრო მტერს გამოდევნებული მთელი ლაშქარი, ბუნების ხელით შექმნილ მარყუჟში ექცეოდა და, უკეთუ ჩასაფრებული მოწინააღმდეგე საიდანმე ტყვიას დაუშენდა, ზედ უნდა შეკვდომოდა, ანდა თავის გადასარჩენად მხოლოდ უკან დაეხია.

ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილის რჩევით მეფემ სწორედ ტბაშავის ვაკე აირჩია მტერთან გადამწყვეტი ომის გასამართავად და ბრძანება გამოსცა, სამივე ციცაბო ფერდობზე, სადაც კი კაცი ფეხის მოკიდებას შესძლებდა, ერთიმეორესთან თხრილებით შეერთებული სანგრები გაეთხარათ. სანგრები იმ ანგარიშით უნდა გათხრილიყო, რომ ერთდროულად რაც შეიძლება მეტი მეთოფის დატევა შესძლებოდათ.

სანგრების ამოთხრას, ერთმანეთთან შეერთებასა და ნაყარი მიწის ბუჩქებითა და ეკალბარდით დაფარვას აქ გაცილებით უფრო ადრე შეუდგნენ, ვიდრე წარუმატებლობით გაგულისებული გოლა-ფაშა, ხოლო გოლა-ფაშას კვალდაკვალ სერასკირი ბაშალა, ქვემომხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძეს გამოედევნებოდა და უზარმაზარი მხედრობით პირს ოკრიბის ვიწროებისაკენ იზამდა.

სოლომონმა სანგრები დაიარა და ერთობ კმაყოფილი დარჩა. ციხისთავ აგიაშვილის ვარაუდით, სანგრები და სხვა სიმაგრენი, რომლებსაც ხრესილსა, ბუეთსა და ციხიაში მართავდნენ, ერთდროულად თხუთმეტი ათასზე მეტ მეთოფეს დაიტევდა...

— ღვთის შეწევნით, ყველაფერი თითქოს რიგზეა, — თქვა სოლომონმა და ნიკოლოზა ნაფიჩვაძის მიერ მორთმეულ ცხენს უზანგი დაუჭირა. — მარტო ზარბაზნების უქონლობა მაფიქრებს.

— ციხეებში ზარბაზნების მეტი რა არის, მეფეო, — შეესიტყვა აგიაშვილი. — თითქმის ოცდაოთხამდე მოიყრის თავს!

— მერე ვის გინდა ასროლინო, თოფჩები რომ არა გყავს?

— მაგაზეც ვიფიქრეთ, თქვენო უმაღლესობავ: ისევე აგარიანი თოფჩები უნდა დავაყენოთ ზარბაზნებთან. დედიმისის შვილები არიან და არ უსვრიათ, წელებს დავაყრევინებთ!

სოლომონმა შუბლი შეიჭმუხნა,

ცხენს ზურგი შეაქცია და გაკვირვებული თვალები ციხისთავს მიაპყრო:

— ფიცი გავტეხოთ, ქაიხოსრო? ჩვენ ხომ გათავისუფლებას დავპირდით, თუ იარაღს დაყრიდნენ და ციხეებს უომრად ჩაგვაბარებდნენ!..

— შენგან არ მიკვირს, მეფეო? როდის იყო, დალოცვილო, აგარიანი პირს არ ტეხდა და დათქმულ სიტყვას ასრულებდა, რომ ჩვენ გავბრიყვდეთ და შევუსრულოთ? ომში მარტო ის გაიმარჯვებს, ვინც მტერს ჭკუაში აჯობებს, კვანტს გამოსდებს და ბეჭებზე დასცემს. არც ერთი ხერხი სათაკილო არ არის. ეგ ცოდვა პირველად არ მაწევს და დღესაც ჩემს კისერზე აშიდია!

— შენ იცი, ქაიხოსრო, ისე ნურც ძველების ნათქვამს დავივიწყებთ, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. ვაითუ მერე აღარ გვენდონ და საქმე უფრო გავირთულოთ?

— ფიქრი ნუ გაქვს, მეფევ, თოფჩებში ზადრაგს დავუყენებ და კუდით ქვას ვასროლინებ. შერცხვენილი დამიძახე, თუ მადლობა აქეთ არ ვათქმევინო!

სოლომონმა კარგად იცოდა, რომ აგიაშვილის სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასოდეს არ ცილდებოდა და მეტი დავა საჭიროდ აღარ ჩათვალა. ტყვედ შეპყრობილი მეციხოვნე თოფჩების ოსმალთა წინააღმდეგ გამოყენების აზრი ქაიხოსრო აგიაშვილს ადრევე დაებადა და სათანადო თადარიგიც მეფესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე გაწია: ტყვეებს ისევ ის ხრესილელი თათარი მიუგზავნა, ავალიანსა და ციხისთავ ალიბეგს შორის შუაკაცობას რომ ეწეოდა, და გვარიან გასამრჯელოს დაჰპირდა, ვინც ციხეში დაბრუნდებოდა და იმერთა მეფეს ომში შემწეობას აღმოუჩენდა.

ძნელი მისახვედრი როდი იყო: ტყვეებს ალლო უნდა გამოეჩინათ და ჩათრევას ჩაყოლა ემჯობინებინათ. უარიც რომ ეთქვათ და კიდევაც გაძალიანებულიყვნენ, ჩვენიანს ტყვიას ვერ ესვრით, ალაჰს ვერ გავარისხებთო, ვერას გახდებოდნენ, ვინაიდან აჩიკ-ბაში მოლაშქრეები მათ ციხეში ძალით შერეკავდნენ, ყელზე სატევარს მიაბჯენდნენ და თავის სარგო საქმეს ისე გააკეთებინებდნენ.

ჯერ ორად ორმა იანიჩარმა განაცხადა თანხმობა და სხვებს განუდგა, შემდეგ ამათ სამი სხვაც მიემატა, ბოლოს კი ციხეში დაბრუნების მსურველთა რიცხვმა ოცდასამს მიაღწია. დანარჩენები ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ და საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიეღოთ.

კვირა დილას ხრესილის ველზედ და ბუეთშიც, სადაც მეფის მთავარი ბანაკი იდგა, თოფებისა და ზამბულაკების ხშირი სროლა გაიგონეს. სროლა იმე ახლოს ისმოდა, არავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ ლორთქიფანიძის კვალში ჩამდგარი მტერი ორპირს გამოსცდა, იქ სატყუარად დადგმული ხის ზარბაზნები გადმოთელა, შუაგზაში წაქცეულ ასწლოვან ხეებსაც შემოუარა, სახელდახელო სიმაგრე გაარღვია და სულ მალე ხრესილის სანახებში გაჩნდებოდა.

— მადლობა უფალს, იწყება! — სხვათა გამამხნევებელი კმაყოფილებით ჩაილაპარაკა სოლომონმა, დურბინდი მოირგო და იქით გაიხედა, საიდანაც თოფებისა და ზამბულაკების ხან კანტიკუნტი, ხანაც კი განუწყვეტელი სროლა აღწევდა. ახლაღა შენიშნა და თავს გაუტყდა, ხელები ძლივს შესამჩნევად უკანკალებდა. პირველად დურბინდში ვერაფერი დაინახა, მხოლოდ უსახო, სიყვითლეშერეული მწვანე ლაქა მოჩანდა.

გაღმა, ხრესილის სერზე, უკვე იკავებდნენ რამდენიმე სარტყლად განლაგებულ სანგრებს ქაიხოსრო აგიაშვილს დაქვემდებარებული მეთოფენი.

„ნელა ირჯებიან, — გაიფიქრა მეფემ. — ნეტა თავი ხატობაზე ხომ არა ჰგონიათ?“ და მალემსრბოლი აფრინა აგიაშვილის შესაფუცხუნებლად, რო-

მელსაც, თავის მხრივ, ჯარი უნდა აეჩქარებინა.

ის იყო, გვიანი შემოდგომის უძალო მზე შუბისტარზე აიწია, ტბაშავის ვაკე სამმა ცხენოსანმა გადმოსჭრა ორპირის მხრიდან და შეუჩერებლივ მეთოფეთა სანგრებით დასერილ ხრესილის სერს მიაშურა. ვინ უნდა ყოფილიყვნენ? თათრებს არა ჰგავდნენ. სამივე შავ ცხენზე იჯდა და თავი ქღალი ჩაბალახით ჰქონდა გაკრული.

— ჩაეგებეთ! — ბრძანა სოლომონმა და პირველმა თვით გადასდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი. — ბერი ლორთქიფანიძის კაცებია, სამივე აქ მოგვგვარეთ!

სანამ მხედრები წყალწითელას რიყეს მოაღწევდნენ და სოფელში შესასვლელად თხმელის ბუჩქნარში გაუჩინარდებოდნენ, მინდვრის ბოლოს კიდევ გამოჩნდა ათი თუ თხუთმეტი ცხენოსანი. ცხენოსნები წამით შეყოვნდნენ, თითქოს აქ ვიღაცას ეძებენ, ანდა ვერ გადაუწყვეტიათ, გზა საით განაგრძონო, მერე კი ასევე ერთბაშად მოწყდნენ ადგილს. სულ მალე ველის სამხრეთ-დასავლეთი კიდე ცხენოსანი ჯარით აივსო.

— ჩვენებია! ღმერთი არ გაგიწყრეთ, არავინ ესროლოთ! — იყვირა ვიღაცამ მეწინავე სანგარში და ეს ხმა მსწრაფლ მთელ წინახაზს მოედო. — ჩვენებია, ჩვენები, არავინ ესროლოთ!..

დრო აღარ ითმენდა. ვიდრე ქვემომხრის სარდლის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლები ბუეთში ამოვიდოდნენ, მეფეს საქმის ვითარებას ამცნობდნენ, აქედან ბრძანებას წაიღებდნენ და უკან დაბრუნდებოდნენ, ერთ საათზე მეტი მაინც გასტანდა.

— ვინა გყავთ მანდ? — სოლომონი მობრუნდა და ხელში პაპუნა წერეთელი შერჩა. — ახლავე აცნობეთ ბატონ ბერის, ლორთქიფანიძეს, პირი თათრისაკენ ჰქნას და ციხეს სამხრეთიდან მოუაროს. ციხეში ავალიანი ზის ჩვენი ჯარით და შიში ნურაფრისა ექნება!

— ბერიმ უკვე შეიცვალა გეზი, თქვენო უმაღლესობავ, მარცხნივ მოუხვია და სწორედ ციხისაკენ მიდის! — მოახსენა პასუხად მოხუცებულმა თავადმა და თვალებზე მორგებული დურბინდი მოიხსნა.

პაპუნა წერეთელი არ ცდებოდა. ტბაშავის ვაკეზე ნიაღვარივით შემოჭრილი ცხენოსანი ლაშქარი, თითქოს ლურჯ სუფრაზე შავი ღვინო დაიღვარაო, გაიწელა, გაწვრილდა, დაგრძელდა და მალე თავი ტერასებად დაკბილულ ფერდობს მისცა.

— ბგიაშვილმა დაგვასწრო, აშენდა მაგისი ოჯახი! — ყოველივე ამის შემხედვარე სოლომონმა თავისუფლად ამოისუნთქა. — მაგრამ ურჯულო არსად ჩანს, ნუთუ ასე შორს გამოასწრეს?

მეფის ხმაში მოუსვენრობა და შეფარული მღელვარება გამოკრთა. ეს დღეები მისი ფიქრი ერთი საგნის გარშემო ტრიალებდა და შიშობდა, ამდენ ცდასა და გარჯას ფუჭად არ ჩაევლო. ომებში გამობრძმედილ ოსმალო სარდლებს ყოველთვის შეეძლოთ მტრის ჩანაფიქრი წინასწარ გამოეცნოთ და ხრესილის ველზე შემოსვლის მაგიერ ჯარები უკან გაეწვიათ. მაშინ მთელი ეს სამზადისი, ქვეყანამ რომ გასწია, წყალში ჩაიყრებოდა და წაგებულ საქმეს ძნელად თუ რითიმე შემოაბრუნებდი.

თითქოს ბატონის სიტყვების პასუხად, სადღაც, ქვემოთ ზარბაზანმა დაიჭექა, ქუხილი მთიდან მთას მიაწყდა, თანდათან გაგრძელებულ ხავილად იქცა და ორწოხებში უკვალოდ ჩაიკარგა. სროლა რამდენჯერმე განმეორდა და მერე კარგა ხნით შეწყდა.

მეფის ბანაკში მხოლოდ მოგვიანებით მოაღწია ცნობამ, რომ ეს ცუცხვათელი თოფჩები ისროდნენ და სამიზნოზე მოახლოებულ ჯარს მუსრს ავლებდნენ. სერასკირ ბაშალას, მადლობა ღმერთს, ზარბაზნები თან არ აღმოაჩნდა, რომ ციხისათვის საპასუხო სროლა აეტეხა. ის იძულებული გამხდარიყო, მამედალი კიკიან-ფაშას რჩევით მთელი თავისი არტილერია ქუთაისში დაეტოვე-

ბინა და „გაქცევაში ფეხმარდ აჩიკბაშებს“ მსუბუქად შეიარაღებული დასდევნებოდა. აქეთ გზა გზას აღარა ჰგავდა. უკანდახეულ იმერთ ის ისერიგად გაეფუჰებინათ და ჩაეხერგათ, სანამ საგულდაგულოდ არ გაწმენდდი და არ შეაკეთებდი, არტილერიის წინ წამოწევაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა.

ბუეთში ოდიშარები მოვიდნენ, რომლებისთვისაც ხრესილში მდგომ ქაიხოსრო აგიაშვილს თავისი კაცები გამოეტანებინა მეგზურებად, და მეფეს სვან-აფხაზ-ოდიშართა შეერთებული ლაშქრის მშვიდობით მოსვლა აუწყეს. მტანჯველი ფიქრითა და ეჭვებით შეპყრობილმა სოლომონმა, აქამდე დანა პირს რომ არ უხსნიდა და გამოლაპარაკებასაც ვეღარავინ უბედავდა, გულში ჩაიკრა თავისი ძველი თანამებრძოლი თავადი ფაღავა, მისი მხლებლებიც, განურჩევლად წოდებისა, ძმურად გადაჰკოცნა და გამოკითხვას შეუდგა.

ფაღავამ წვრილად და დალაგებულად მოახსენა ყოველივე.

კაცია დადიანის ძის ლაშქარი თვრამეტი ათას კაცს აჭარბებდა. აქედან შვიდი ათასი ცხენოსანი იყო. აფხაზებს მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე სარდლობდა, სვანებს კი თავადი კონსტანტინე დადეშქელიანი. ჯარი რიონზე გადმოსული იყო ნავებით, ოჯოლა გამოევლო და ახლა ჯვარისას გზას ადგა. დადიანის ძე კაცია, წინასწარ დათქმული პირობის თანახმად, ჯვარისასა და ციხიას შუა აპირებდა გაჩერებას, რათა იქ ბატონი მეფის ახალ განკარგულებას დალოდებოდა.

ციხია, ისევე როგორც ბუეთი, თავზე დასცქეროდა ტბაშავის ვაკეს, ოღონდ საპირისპირო მხრიდან და მტრის ზურგში ხანჯლის ჩასაცემად უფრო მარჯვე ადგილს ვერ იპოვნიდი.

სოლომონი დინჯად უსმენდა თავადს, სიხარულს არაფრით ამჟღავნებდა, თუმცა გული უკვე იმედით ჰქონდა სავსე, რომ ოსმალ მარბიელთა ჟამმა დაჰკრა, რომ ცოცხალი და საღ-სალამათი აქედან ვეღარავინ წაუვიდოდა.

მტრის ჯარების მოძრაობის თაობაზე ოდიშარებმა თითქმის არაფერი იცოდნენ გარდა იმისა, რაც ტყეებში გახიზნული ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გაეგოთ. ეს ცნობები ხშირად გაზვიადებული იყო, ხშირად ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებოდა და ნაკლებ ნდობას იმსახურებდა.

ფაღავა და მისი მხლებლები საბოძვრით აავსეს და უკან ხელდამშვენებული გაისტუმრეს. დადიანის ძე კაციას თვალი უნდა ედევნებინა ომის მსვლელობისათვის და ხმალი ქარქაშიდან მაშინ ამოეღო, როცა ამის გადაუდებელ საჭიროებას თვით დაინახავდა. სოლომონს, რასაკვირველია, შეეძლო, თანამდგომი ცოლისძმისათვის უფრო ცხადი და მკაფიო განკარგულება შეეთვალა, მაგრამ ეს წინდახედულად არა ჰქნა, მას მოქმედების მეტი თავისუფლება მიანიჭა...

## თავი XXVIII

— ესროლე ურჯულოს!... ნუ გოუშვა არც ერთი ცოცხალი!.. — ურახუნეს საარაკო ხმით დაიყვირა ვიღაც გოლიათმა და სანგრის ბეგურაზე ავად გაწოლილ ზამბულაკს ფეხი გამოუშალა. თოფის გრიალი ასობით და ათასობით სხვა თოფისა და დამბაჩის გრიალმა დაჰფარა. ელვისებრ გაკვესა ცეცხლმა, ტყვიამ ზუზუნით ჰაერი გააპო და მრავალი ათასი ადამიანის მძვინვარე ყიჟინამ ერთბაშად შესძრა ცა და დედამიწა.

— დასცხეთ, ბიჭებო!.. თქვენი ჭირიმეთ!.. არ აცდინოთ მაგ ძაღლის

გაგდებულებს!.. ეშმაკის არჩივებს... თითო ტყვია — თითო თათარი!..

ეს მეორე კი, თავზარდამცემი ხმით რომ გაჰყვიროდა, მართლაც ურახუნე იყო. ფეხზე გაეხადა, ჭრელი პაჭიჭების ამარა ფორთლებგაბარდნილ ასწლოვან მუხას კენწეროზე მოჰქცეოდა, თოფიც იქ აეტანა, გრძელი ზუმბით ნება-ნება ტენიდა, ისროდა და გასროლასა და გასროლას შუა სანგრებში მსხდომთ თავისებურად ამხნევებდა.

ძირს, ტბაშავის ვაკეზე, ცხენი და კაცი, მხედარი და ქვეითი, ხარი და ურემი, მკვდარი და ცოცხალი ერთმანეთში არეულიყო. სწორედ ცოდვისკითხვა და მეორედმოსვლა ტრიალებდა. გოლა-ფაშას მეწინავე ათასეულებს, ომში პირველობას რომ არ თმობდნენ, მტრის მიერ მარჯვედ დაგებულ მახეში უცაბედად გაებნენ და პირველსავე წუთებში დიდი ზარალი ნახეს, ჯერაც ვერ მოესწროთ გონზე მოსვლა, შინაგანი წესრიგის აღდგენა და საომარ მწკრივებად გაშლა. ვეღარავის გაერკვია, ვინ სად იყო, ვის სად მოუსწრო ალაჰის რისხვად მოვლინებულმა ცეცხლის ნიაღვარმა, ვინ ვის უნდა გაჰყოლოდა და, რაც ყველაზე უფრო მთავარია, სად იყო მტერი, სად და როგორ შეიძლებოდა მისი განადგურება.

შიშმა ახალი შიში დაჰბადა. გაჩნდა რწმენა, რომ ის, მტერი, ყველგან იყო — წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, მისი ტყვია ყველგან აღწევდა და თან გარდაუვალი სიკვდილი მოჰქონდა.

ჯარი შედრკა, დასაკლავი ხარივით აბლავლდა, თვალებამღვრეულსა და გონდაკარგულს უკანდახევისა და გაქცევის თავიც აღარა ჰქონდა. ასობით მხედარი ყვირილითა და ვაი-ვიშით ცვიოდა ცხენებიდან, ცოცხლები მკვდრებზე გადადიოდნენ, ეცემოდნენ, ფორთხავდნენ, ისევ დგებოდნენ და აქეთ-იქით უთავბოლოდ აწყდებოდნენ. თვით გოლა-ფაშას ხმალი ეშიშვლებინა, გადარეულ ცხენს, რომელსაც ტყვია ყურში მოხვედროდა და მთლად სისხლში იყო მოთხვრილი, მარცხენა ხელით ძლივს იურვებდა, ხან იქ გაჩნდებოდა, ხან აქ და ხმაჩახლეჩილი რაღაცას გაჰყვიროდა, მაგრამ ჯარი უკვე იმ ზომამდე იყო მისული, რომ თავისი მრისხანე სარდლისა, ვისი შიშიც ღამე ძილს ართმევდა, დღე — მოსვენებას, აღარაფერი ესმოდა.

ტბაშავის ვაკეზე ოსმალთა ახალი ტალღები აილანდნენ, ცხენები და ხორა-ხორა დაყრილი მკვდრები იფარეს და ფერდობებზე გამაგრებულ მეთოფეებს გრიგალისებრი სროლა აუტეხეს. მანძილი საკმაოდ დიდი იყო. სანგრებში ზიანი არავის მოსვლია. ეს ოსმალებმაც უმალ იგრძნეს, თავიანთი უფროსების ბრძანებისამებრ წამოდგნენ, სამ მწკრივად დაეწყვნენ და თოფებმოღერებული წინ წამოვიდნენ. უკან კიდევ და კიდევ მოდიოდნენ მარქაფა ჯარის ახალი და ახალი წყებები. მათ თითქოს დასასრულიც არ უჩანდა. ფერდობებზე კვამლის ბოლქვები ავარდა და გაისმა პირველი უწესრიგო ბათქი. წინა მწკრივში ოციოდე კაცი დაეცა, მაგრამ დანარჩენები ამას არ შეუჩერებია, მკვდრებს გადმოაბიჯეს, მწკრივი მსწრაფლ შეავსეს და ახლა ესენი გაეხვივნენ თოფისწამლის კვამლში.

— არიქა, ბიჭებო, ახლოს არ მოუშვათ, დასცხეთ ამ ტილიანებს!.. — ყვიროდა ურახუნე მუხის კენწეროზე და ტყვიას ტყვიაზე აგზავნიდა.

— ჩვენებმა სროლა შეანელეს, გამიგეთ, რა ხდება! — თქვა მეფემ და როდესაც ჩაბალახით თავწაკრული ორი ახალგაზრდა მოლაშქრე ბრძანების აღსასრულებლად თავდაღმა დაეშვა, ბოქაულთუხუცესი და ცხენოსანი ჯარის სარდალი ბერი წულუკიძე მიიხმო. — ვგონებ, დროა, ბერი, ხმალი ვიძროთ. შენ მზადა ხარ?

— მზად გახლავარ, ბატონო, ჯარი უკვე თხემლებშია, მე მელოდება.

— აბა, ღვთით! — მეფემ სიყრმის მეგობარს მაჯაში ხელი ჩაავლო, ახლოს მიიზიდა და გადაეხვია. — გული რას გეუბნება, ვნახავთ კიდევ ერთმანეთს?

— ვნახავთ და კიდევაც გავიმარჯვებთ, მეფევ, — ბერიმ გაიღიმა და თანშეზრდილ ბატონს ისეთნაირად შემოჰხედა, ძნელი იყო, მისი წინათგრძნობა ვინმეს საეჭვოდ მიეჩნია. — არ შეიძლება, არ გავიმარჯვოთ. ხომ ხედავ შენი ბედნიერი თვალით, ბრძოლის ველზე რა ამბავია. ჯერ ხმალში არ გავსულვართ და მტერი უკვე ბევრი გაწყდა. დახოცილ ცხენსა და კაცს ამ სივიწროვეში გვერდს ველარსაით აუვლი. მარტო დამარხვა თქვი შენ! ჩვენ ჯერ არავინ გვაკლია. აგიაშვილმა ძალიან იმარჯვა, ვენაცვალე მის ვაჟკაცობას!

— კარგი ხარ, ბერი, ამას რომ ხედავ და პატიოსნად აღიარებ. სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლი, რა მცირეც არ უნდა იყოს, მე ასე მწამს, არავის არ უნდა დაეკარგოს. რა ვუყოთ, თუ მოვალე ვართ, მამულს ვუერთგულოთ! ერთია ვალი და მეორე მისი გადახდა. მაგრამ რას მივაწერო, სროლა რომ შენელდა?

— უთუოდ გატენას ველარ აუდიან, მეფეო, ქალები და ბავშვებიც სანგრებში არიან და თოფებს ტენიან, მაგრამ თათარი გონს მოეგო და ტყვიაც მეტი გახდა საჭირო. დამლოცე, მეფევ, ბატონო, მეტი აღარ მეგვიანება!

— დალოცვილი იყავი, ბერი, შენ იცოდე და შენმა ვაჟკაცობამ. ძუყნურიდან უკვე გამოვიწვიე მარქაფა ჯარი. აქ ახლოს ვიყოლიებ. ერისთავი საჭირის სერზე დგას და ჩვენს ნიშანს ელის. თუ გაგიჭირდება, იმასაც აღარ დაგუცდი, მე თავად ჩამოგეშველები!

ბერი ცხენს მოახტა, სადავე მიუშვა და მალე ფერდობზე შემოფენილ თხმელის ბუჩქნარში დაიმალა. ის ჯერ თავის ჯართან ჩასულიც არ იქნებოდა, როდესაც ხეობის მოპირდაპირე კალთაზე, წყალგაღმა, ღრუბლის ჩრდილივით შავი და უსწორმასწორო ლაქა გაჩნდა. ლაქა, თითქოს ქარი მოერეკებაო, თვალდათვალ ქვემოთ მოიწევდა და შუაგულ ტყეში გაჩეხილ ახოს კიდიდან კიდემდე ავსებდა.

— აფხაზ-ოდიშარები დაიძრნენ, მეფეო, — გაისმა ხელმწიფის მრავალრიცხოვან ამალაში. — მაღალმა ღმერთმა უწინამძღვროთ და მტრის ძლევა მისცეთ!

სოლომონი შეკრთა, რადგან ამ ხმის გაგონებას ახლა ყველაზე ნაკლებ მოელოდა, მოიხედა და თავისი სათაყვანებელი შუათანა ძმა, გენათელი მიტროპოლიტი იოსები იცნო.

— შენ აქ რა გინდა, იესე? — ჰკითხა წყრომით. — მე ხომ შემოგეხვეწე, დახეს არ მოსცილდე, სახლეულს უპატრონოდ ნუ დამიტოვებ-თქვა. ასე პირნათლად ასრულებ შენს დაპირებას?

— მახარობლად მოვედი, სოლომონ, შენმა სიცოცხლემ, რისხვა წყალობად უნდა შემიცვალო!

სოლომონს გული მოულბა, ძმას გამომცდელად დააცქერდა.

— რის მახარობელი ხარ?

— არჩილი გეახლა ორი ათასი კაცით. სულ დარჩეული მხედრებია. ასე იტყვი, რა დედამ შობაო. გორიდან აქამდე შეუჩერებლივ უვლია. შენს ნახვას და ომში გასვლას ესწრაფვის!

სოლომონს ნაღვლიანი თვალები გაუბრწყინდა:

— სად არის მერე?

— ძლივს დავიყოლიეთ და გავაჩერეთ მე და ქაიხოსრო წერეთელმა. ის იქ დავტოვე, ცუცხვათში, მე აქეთ წამოვედი, რომ შენთვის ახალი ამბავი მეცნობებინა და ჩვენი უმცროსი ძმის სიცოცხლეც შემევედრებინა. იქნება რაიმე უბრძანო და შენმა მეფურმა სიტყვამ მაინც გასჭრას: უწლოვანი არის ჯერ არჩილი, რა დროს მაგისი ომია!

— წლოვანები არც მე და შენ ვართ, ძმაო იესე, ქვეყნის უღელი ჩვენც მოადრევად დავიდგით კისერზე!

— არაფერი მეთქმის, ეგეც მართალია. ჩვენი ბედი და თვით სიცოცხლე ღმერთს უნდა მივანდოთ. აბა, რაკილა აგრეა, — უჩვეულოდ გასხივოსნებული თვალები მიტროპოლიტმა გვირგვინოსან ძმას მიაპყრო. — ორი ათასი კაცის

გარდა, არჩილს ქართლიდან რომ მოჰყვა, ოცდაორი კაცი სხვაც არის!

— სხვა? — მეფემ კოპები შეიკრა. — ვინ სხვა?

— რუსის სალდათებია, რწმუნებულ ლვოვს ყიზლარიდან მოჰყოლიან ხაზინის მცველებად...

— დიდება შენდა, ღმერთო, ეს რა მესმის! — სოლომონმა პირჯვარი გადაიწერა და ერთხანს მოჯადოებულივით გაუნძრევლად იდგა. — რუსები ჩემს შესაწევნად მოვიდნენ?

— თავად სალდათებს უთხოვიათ მეფე თეიმურაზისათვის და, ვინაიდან წინაალმდეგი არც რწმუნებული ლვოვი წასულა, მოწყალე ნება დაურთავს. ოღონდ ომში გასვლის წინ სალდათები ტანისამოსის გამოცვლას ითხოვენ; თოფ-იარაღს ჩვენსას ვიხმართ, თქვენ მარტო თქვენებური ჩასაცმელ-დასახურავი გამოგვიძებნეთ რამეო. ლვოვსაც ასე დაუბარებია.

— ჩვენებურად ჩაცმულ-დახურული მე ორმოცი ათასზე მეტი მყავს, იესე, ახლა სწორედ რუსის სალდათი მჭირდება, რომ თათარს გული გავუხეთქო, რუსხელმწიფე ჩემი შემწე და თანამდგომია-მეთქი. ეგ კი არა, თუ მართლა სიკეთე სწადიათ და აქ ერთმორწმუნე ერის შესაწევნად მოსულან, თითო ხელი თუ კიდევ რაიმე გააჩნიათ, იქნება ჩვენს მეთოფეებს გადავაცვათ და ყველა ერთად რუსის ასეულად გავასაღოთ. ახლავე წადი, შენს გახარებას, იესე, და ეგ საქმე მოაგვარე, უკეთესს ვერაფერს გააკეთებ. მსმენია, რუსის სალდათი მაცხოვრის გულმხურვალე აღმსარებელია და მღვდელმთავრის თხოვნას აგრე ადვილად ვერ გადავა!

— ვეჭვობ, დავითანხმო, სოლომონ. ლვოვს უსიამოვნება შეხვდება თავისი ხელმწიფისაგან და ვაითუ აქედან სულ გაიწვიონ. მაგრამ უარს ვერ გეტყვი. იყოს ნება შენი, წავალ, ცდა ბედის მონახევრეა!

ვიდრე ძმები ამ საუბარში იყვნენ გართული, ბრძოლის ველზე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. სვან-აფხაზ-ოდიშართა ცხენოსანი ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ ისედაც ღონემიხდილი, მაგრამ კვლავაც ურიცხვი ურუმის ლაშქარი შუა გაჰკვეთა და ორ გაფიცხებულ კალოდ აქცია. გულშემზარავი ჩეხვა, შუბისა და სატევრის ტრიალი გაიმართა. ცხენოსნებს შინდისფერ ჩერქეზულ ულაყზე ამხედრებული აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე ჩამოსძღოლოდა. სხვა დროშებს შორის მთავრის დროშის გვერდით ფრიალებდა კონსტანტინე დადეშქელიანის დროშაც. ოსმალო ქვეითები მაგრად დაუხვდნენ, რამდენიმე წუთს მტერს კიდევაც უმკლავდებოდნენ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ცხენოსნებმა მაინც დასძალეს და ლაშქრის შუაგულში შეიჭრნენ.

— ახლა კი დროა, ჩვენს ღვიძლ ძმას, ხუტუნია შერვაშიძეს მივეშველოთ! — შესძახა სვან-აფხაზ-ოდიშართა მეომრული შემართებითა და სიმარჯვით აღტაცებულმა სოლომონმა. — ნეტა ბერი რაღას აყოვნებს?

— აგერ ისიც, თქვენო უმაღლესობავ!

ამის თქმა იყო და, თხმელის ბუჩქნარიდან, წყალწითელას გაღმა-გამოღმა რიყეს რომ ჰფარავდა, საშუადღეოდან გადახრილი მზის ალმაცერ სხივებზე ქარქაშიდან ამოწვდილმა ხმლებმა გაიბრწყინა და ცხენოსანი ლაშქარი, რომელსაც წინ ზემომხრის სარდლის ოქროსბუნიკიანი დროშა მიუძღოდა, მორევში მობუყბუყე წყალივით აზავთებულ ურდოს შეესია.

ეს უთუოდ ახალი მოულოდნელობა იყო. ოსმალები უკან მიაწყდნენ, მაგრამ იქ უკვე იდგნენ სხვები და, თავის მხრივ, კიდევ უფრო უკან გასხლტომას ლამობდნენ. სოლად შეჭრილმა ცხენოსნებმა წინ გაუტიეს. სოლი თანდათან ფართოვდებოდა და წაწვეტებული წიბოთი სვან-აფხაზ-ოდიშარებისაკენ მიიწევდა. იქ უკვე სისხლის ტბა დამდგარიყო. აგარიანთა ახალმა და ახალმა წყებებმა, ორპირის მხრიდან ულევად რომ შემოდიოდნენ, წონასწორობის აღდგენა მოახერხეს და ზურგიდან უგ-

ლიდნენ მტერს. ახო ისევ აივსო ჯარით. ეს უკვე თვით დადიანის ძე კაცია უნდა ყოფილიყო, რომელიც მტერს განზრახვას მიუხვდა და თავის წინამებრძოლთა ზურგის დასაფარავად აქეთ მოისწრაფვოდა.

იმის შიშით, უცაბედად ჩვენიანი არავინ დავამარცხოთო, ფერდობებზე თოფებისა და ზამბულაკების სროლა შეწყდა. ხურჯინის მარჯვენა თვალში მოხვედრილმა ოსმალებმა ამით ისარგებლეს და ციცაბო ფერდობებს ჭიანჭველებივით შეესივნენ, იქნებ როგორმე ტერასებამდე ავაღწიოთ, ახიკ-ბაში მეთოფეები სანგრებიდან ამოვყაროთ და სანგრები ჩვენ დავიკავოთო.

ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა, თუმცა აგარიანებმა სანგრებამდე ასვლა მაინც შესძლეს და მეთოფეებს ღრიალითა და უწმაწური გინებით ეკვეთნენ. თითქოს ამასღა უცდიდნენო, სოფლის მხრიდან შუბებისა და ალმების ტყე გამოჩნდა. ეს აგიაშვილის მარქაფა ქვეითები იყვნენ, უპირატესად ოკრიბელები და მარგველები, რომელთაც ჯერ ომში მონაწილეობა არ მიეღოთ, ციხისთავის განკარგულებისამებრ აქამდე თათროულის უკან, ვენახებში იდგნენ და თავიანთ ჯერს უცდიდნენ.

მარგველ-ოკრიბელთა ახალი ჯარის გამოჩენამ მეთოფეებს ხელ-ფეხი გაუხსნა. რაკი თოფების ხმარება მოუხერხებელი აღმოჩნდა, მათ სატევრები იშიშვლეს და ზედ მომდგარ მტერს თავგამეტებით მიეტივნენ.

სოლომონმა სეფე-დროშის ბუდიდან ამოღება ბრძანა. ახლა უმჯობესი იქნებოდა, თუ ბუეთიდან აიყრებოდა და თავის ბანაკს შიგ ხრესილში გადაიტანდა, საიდანაც ბრძოლის ველის ყველა კუთხე-კუნჭული უკეთ ჩანდა და ჯარიც დაინახავდა, რომ ძლევამოსილი მეფე მასთან იყო, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა.

ბანაკის აშლის წინ სოლომონმა როსტომ რაჭის ერისთავის კაცი აზნაური ღოლაკო გოცირიძე მოიკითხა. გიორგი სარდლის მამასთან გაბრუნების შემდეგ გოცირიძე მეფეს მოუშორებლად თან ახლდა, რათა მისი უზენაესი ბრძანებანი და ნება-სურვილი რაჭის ბატონისათვის მიეტანა სწორედ დრო იყო, საწირის გორაზე გადმომდგარ როსტომს თავისი ხუთი ათასი მამაცით დაბლობისაკენ მოეშურებინა და ფიცხელ ომში ჩაბმულ თავისიანებს გვერდში ამოსდგომოდა. მალემსრბოლმა ბრძანების აღსრულება აღუთქვა მეფეს, ცხენს მოახტა და საწირისაკენ გაქუსლა. სოლომონი თავის მარქაფა ჯარს ინახავდა და ფიქრობდა, ბრძოლაში ის მხოლოდ უკანასკნელი გასაჭირის ჟამს გამოეყვანა. როდი ეგონა, თუ ეს უკანასკნელი გასაჭირი ასე მალე დაუდგებოდა და ადგილის გადასანაცვლებლად დაძრულ მთავარ ბანაკს მომაკვდინებელი საფრთხე ბუეთშივე ელოდა.

საქმე ის გახლდათ, რომ ჯარების გადაადგილების მთელ ამ ორომტრიალში ყველას მხედველობიდან გამორჩა ჰასან-ბეგ ისკანდერი და მისი სამი ათასი მხედარი, რომელიც სკანდის ციხისაკენ მეფე სოლომონის შესაპყრობად მიმავალმა გოლა-ფაშამ ლევან აბაშიძისეული ჰალატყის კოშკების დასაკავებლად გაგზავნა. ძირძველ მესხ დიდებულთა ნაშიერმა ახალგაზრდა ბეგმა, გაიოზ დიასამიძემ, მოხერხებულად გამოიყენა გოლა-ფაშას მთავარი ძალებისაგან განცალკევება და მთელი ეს დრო, მას შემდეგაც, რაც შერცხვენილმა და ჯარგანახევრებულმა გოლა-ფაშამ ქუთაისისაკენ დაიხია, არგვეთში გაატარა, სადაც, გარდა მეციხოვნეებისა, იმერ მოლაშქრეთა ერთი ასეულიც აღარ იდგა და ოსმალთ დაუსჯელად შეეძლოთ ეძარცვათ უძლური მოხუცებულების, ქალ-რძლისა და ბალღების ანაბარა მიტოვებული სოფლები.

ჰასან-ბეგ ისკანდერს მოსვენება დაეკარგა, ჯავრმა ძილი გაუფრთხო. განსაცდელის ჟამს გოლა-ფაშასთან დაბრუნებისაგან თავის არიდების, თუმცა ხოამისო ბრძანება სარდლისაგან აღარ მოსვლია, იცოდა, ძვირად დაუსვამდნენ,

აშკარა თუ ფარული მტრები შინ მისვლისთანავე სულთნისა და ისლამის ღალატს შესწამებდნენ და ამიტომ გადაწყვიტა, ჩადენილი დანაშაული რითიმე გამოესყიდა. მან შეუმჩნევლად გადმოვლო წინწკილას უღელტეხილი, ისარგებლა ძუყნურიდან მეფის მცველი ცხენოსანი ჯარის გაყვანით, იქ თვით დადგა, თოხივე კუთხივ მზირები დაგზავნა და ყველა საჭირო ცნობით აღჭურვისთანავე იმერთა მთავარ ბანაკს მოულოდნელად თავს დაესხა.

— მეფევ, თავს უშველე, ღალატია, ურჯულომ ზურგიდან მოგვიარა! — მოესმა სოლომონს ძიძიშვილ ნიკოლოზა ნაფიჩვაძის გამეტებული ყვირილი და, თითქოს ვერ დაუჯერებია, რაც გაიგონაო, უნებლიეთ სადავე მოზიდა ცხენს, უნაგირზე გასწორდა. ცხენი მდინარეში იდგა წინა ფეხებით, წყალს სვამდა. პატრონის უდიერი მოპყრობა იუცხოვა, ყალყზე შედგა და მრისხანედ დაიჭიხვინა. ირგვლივ თოფისწამლისა და ახალი გამოკოდილი წისქვილის სუნი ტრიალებდა. ნიკოლოზას სარტყელში გარჭილი ორივე დამბაჩა დაეცალა, თოფი ზურგზე მოეგდო და მიწიდან ამომტყვრალ სამ იანიჩარს ხელისსიფართე ხმლით ეკენწლავებოდა. აქვე ბრძღვინავდა ტყუპისცალი დათუნა და კიდევ თორმეტი ქეშიკი, რომელთაც ხელთ ალამწამოცმული გრძელი შუბები ეპყრათ და ამ ალმიან შუბებს საკვირველი სიმარჯვით ხმარობდნენ. სამი თათარი ცხენიდან გადმოვრდნილიყო და წყალში პირქვე ჩამხობილი და სისხლში მოთხვრილი წამოდგომას ლამობდა. „აქ ოსმალოს რა უნდა? საიდან და როგორ უნდა შემოევლო, როცა ყველა შემოსავლელი ადგილი ჩვენ გვიჭირავს? — გაიფიქრა სოლომონმა. — ნუთუ როსტომს გაუწყრა ღმერთი? რად გავუშვი გიორგი სარდალი, რატომ გვერდით არ დავიტოვე?“ და ქარქაშიდან ელვის უსწრაფესად ამოწვდილი მოხრილი ხმალი ირიბად დაუქნია ერთ-ერთ იანიჩარს, რომელიც ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს გვერდიდან მიუხტა და შუბზე წამოგებას უპირებდა.

— უკან დეიხიე, მეფევ, შენის სულს გაფიცებ, გეეცალე აქაურობას! — კიდევ მოასწრო და შეევედრა თანშეზრდილ გვირგვინოსან ბატონს ნაფიჩვაძე. — მაშველი მოდის, მარა ვაითუ ველარ ჩამოგვისწროს!..

მტრის სისხლით შეღებილი თავისი ხმლის დანახვამ სოლომონი მთლად გაახელა. ახლა აღარც ძიძიშვილის მუდარა ესმოდა, არც ფხიზელი გონების კარნახი, არა გაქვს თავის უბრალოდ წაგების უფლებაო, მტრის ჯავრის ამოყრის, მისი სისხლის დაღვრის ჟინს ყველა სხვა ფიქრი და ზრახვა დაეჯაბნა.

— არ შედრკეთ, ძმებო, ქრისტიანებო, — დასცა მან ყიჟინა. — ჰკა მაგას, ღმერთი ჩვენთან არის, სიკვდილი ურჯულოებს!..

— ვაიმე, დედა!..

— რა მოგივიდა, ბიჭო, დათუნა?

— მიშველე, ნიკოლოზა, მამკლა ამ ურჯულომ!..

— ახლავე, ახლავე, ბიჭო, ცოტა გამაგრდი, თუ არა მეფეს მოგვიკლავენ ეს რჯულძაღლები! ვაიმე, ძმაო!.. — გულის შემძვრელი ხმით დაიღმუვლა ნიკოლოზამ, როდესაც თვალი ჰკიდა, როგორ ჩვარივით გადმოეკიდა გოლიათი დათუნა უნაგირს და მერე ნელ-ნელა მიწაზე ჩამოცურდა.

სოლომონს გული დაეწვა. ხედავდა მტრის მახვილით განგმირულ, სულთმობრძავ უერთგულეს ადამიანს და ღონე არ შესწევდა, რითიმე დახმარება აღმოეჩინა. ამალა თუმცა მრავალრიცხოვანი იყო და კარგადაც შეიარაღებული, მტრის სიჭარბე თანდათან საცნაური ხდებოდა. სოლომონი უხმოდ, გამეტებით იქნევდა ხმალს და თავისიანებით გარსშემორტყმული წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა. ისინი უკვე წყლის პირას იყვნენ ჩასული და მალე გაღმა ნაპირზე დადგამდნენ ფეხს, საიდაც ზემოდან დაინახავდნენ და უმალვე ჩამოეშველებოდნენ.

— სადა ხარ, ბიჭო, ნიკოლოზა? — დაიძახა მეფემ, მესხი დიდებულის ძვირფას ჩაქურაში გამოწყობილ და ასევე ძვირფას თოფ-იარაღში ჩამჯდარ მის კბილა მხედარს შემოქნეულ ხმალზე ხმალი აუკრა და სამაგიერო დარტყმის მისაყენებლად გავეშებული ცხენი ზედ მიაგდო.

— აქ ვარ, ბატონო, შენი ჭირიმე! — მოესმა ზურგსუკან.

— მიხედე საწყალ დათუნას... დედას რა პასუხს აძლევ!..

— შენი სანაცვლო ვიყოთ, მეფევ, ვერ მიგატოვებ, სანამდი მაშველი არ მოსულა და ამ ცეცხლიდან არ გოუყვანივართ!..

მოქნეული ხმალი ამჯერად მესხმა დიდებულმა აიცდინა, ცხენს უკან დაახევინა და ახალი შებმის წინ მეფეს ტყვიასავით მიახალა:

— ჰასან-ბეგ ისკანდერი ვარ, გიაურო სოლომონ, შენი ძველი ყონაღი... ხე-ხე-ხე... მიცანი? აბა, დამიხვდი, თუ ვაჟკაცი ხარ!..

— ძალიან გამახარე! — მეფეს მწარე ღიმილმა გადაუარა სახეზე და გადაგვარებულ დიასამიძეს ისე ღონივრად მოუქნია, დახვედრებულმა ხმალმა მისი ხმლის შეკავება ვერ შესძლო, წვერი საბარკულს მისწვდა და ცივად გაიქღრიალა.

— სიმარჯვეს ვერ დაგიწუნებ, თქვენო უმაღლესობავ, — დამცინავად შენიშნა ზიზღითა და სიძულვილით სახედამახინჯებულმა ჰასან-ბეგ ისკანდერმა, როდესაც ცხენი ყალყზე შეაყენა და ახალი იერიშის მისატანად ხმალი შემართა. — გატყობ, განთქმულ მოფარიკავეებთან გისწავლია, მაგრამ არ გეგონოს, აქედან ცოცხალი წამიხვიდე!

— შეავედრე სული შენს ღმერთს, მოღალატევ, — სოლომონმა ქილიკი არ შეარჩინა, უზანგებზე შეიმართა და მტერს ისევ შეუტია. — მე კი ჩემს ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შენი თავი აქ შემახვედრა!

— მაშ, მიიღე, გიაურო!

— მიიღე, სამშობლოსა და პატიოსანი მამა-პაპის რჯულის გამყიდველთა...

ორთაბრძოლა გამძაფრდა. გახურებულ ცხენებს ცრემლჩამდგარი, ჩასისხლიანებული თვალები ავად უელავდათ; წამდაუწუმ ყალყზე დგებოდნენ, ფრთხვინავდნენ, ხვიხვინებდნენ და ბუმბულივით ზეატაცებულ პატრონს საკუთარი მკერდით იფარავდნენ.

ამასობაში მეფის მცველად დარჩენილმა ორი ათასმა ცხენოსანმაც მიაღწია. ორ დიდ გუნდად გაყოფილ მხედრობას მოლარეთუხუცესი პაპუნა წერეთელი და სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე სარდლობდნენ. ერთმაც და მეორემაც ურუმს სხვადასხვა მხრიდან შემოუარა და მტრის რიგებში შიში და ძრწოლა დათესა. ოსმალებმა უწესრიგო უკანდახევა იწყეს, მაგრამ უკან, მაღლობზე, ხრესილი იყო, სადაც ციხისთავ აგიაშვილს ახალი მარქაფა ჯარი ეყენა, რაჭის ერისთავი როსტომიც ხაწირის სერებიდან აქეთ მოისწრაფოდა და ეს კარგს არაფერს მოუტანდათ.

— სად მიხვალ, ლაზარო? — შესძახა მეფემ და მოულოდნელად უკანდახეულ ჰასან-ბეგ ისკანდერს ხმალამოწვდილი გამოუდგა. — აი, შეგირცხვა ნამუსი, გინდა, თავს გაქცევით უშველო? სადამდე ირბენ, მიწაში რომ ჩაძვრე, იქიდან ამოგიყვანო?! აქაც ჩამოგყვები და წესს აგიგებ. აბა, ბიჭებო, ასი თეთრი იმას, ვინც ამ ბინძურის თავს მომიტანს და ფეხებთან დამიგორებს!..

გაქცეულ თავმომწონე სარდალს ტყვია წყალგალმა მიეწია და ცხენიდან აყირო მსხალივით ჩამოაგდო. აქეთა ნაპირზე გასროლით ბევრმა გაისროლა და ძნელად თუ ვინმე გაიგებდა, რომელმა ტყვიამ უმალ მიაღწია სანატრელ მიზანს. ზედ რომ წაადგნენ და სამ სოფლად ღირებული იარაღ-საჭურველი უპატიურად აჰყარეს, ჰასან-ბეგ ისკანდერი, ვის წაფორხილებას ან ნაადრევ სიკვდილს მთელს ჩილდირის ვილაიეთსა და სერალში, ვინ მოსთვლის, რამდენი ვინმე, უპირველეს ყოვლისა კი

თვით ფაშა ჰაჯი-აჰმადი ნატრობდა, უკვე აღარ სუნთქავდა. მოკლული რიყეზე ეგდო, ფეხები ქვიშის გროვაზე დარჩენოდა და გულაღმა გაშხლართულს შიშისაგან გაფართოებული უმოძრაო თვალები ცისათვის მიეპყრო.

## თავი XXIX

მეფის ბანაკიდან აგიაშვილთან გაგზავნილ ორ ჩაბალახიან მოლაშქრეს, ასკია აბესაძესა და მახარობელა გუნცაძეს, ჯერ ბუეთის აღმართიც არ აეთავებინათ, რომ შორიდანვე დაინახეს: ფოთლებშეყვითლებული თელების ქვეშ, იმ ადგილას, სადაც მეფის ბანაკი დასტოვეს და მათი ვარაუდით ამჟამადაც იქ უნდა მდგარიყო, კაციშვილი აღარ ჭაჭანებდა.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — შეიცხადა მახარობელამ, რომელმაც უკან გამობრუნებისას რიყეზე ორი მკვდარი თათარი იპოვნა და ორივე უწყალოდ გაძარცვა, შემდეგ მინდორში უპატრონოდ გაშვებულ შეკაზმულ ცხენებსაც გამოუდგა დასაჭერად და რომ ამხანაგის მუჯლუგუნები და მუქარა არა, იქაურობას კიდევ კარგა ხანს არ მოშორდებოდა. — რა ვქნათ ახლა, ასკია?

— გითხარი მე შენ, იწამე ღმერთი, ფეხი გამოადგი-თქვა, — დაუღრინა აბესაძემ. — ქვეყანა ინგრევა, შე ოხერო, ცა ფეხად ჩამოდის, ჭკუათმყოფელი კაცი ამისთანაში მკვდრების საცარცვავად მოიცლიდა? გადაყარე ეგ ნაოხარი ახლავე, ანდა წადი, ჩემთან ნუ ხარ, ახლოს არ მომეკარო!

— გადავყარო რა, შენი ნაჩუქარი მაქვს თუ?

— გადაყარე, მე შენ გეუბნები! — აბესაძემ თვალები დაუბრიალა და ხელი სატევარზე გაივლო, რითაც მახარობელა გუნცაძე მიხვდა, რომ ათისთავი სულაც არ ხუმრობდა.

— გასაყოფი კი არაფერია, მარა ნახევარს შენ მოგცემ, შე კაცო, რა მოგივიდა, მუდამ ხელები რავა უნდა გექავებოდეს ჩემს მოსაკლავად. მამკალი, ჰე, თუ აგრეა, მორჩი და მოისვენე! ხედავ შენი თვალით, ბატონი მეფე აქ აღარ ბრძანდება, ვინ იცის, რა შეემთხვა, მეც ავდგე და, მტრისას და ავისას, თავი გადავაყოლო? ეგ რომელ კანონში გიწერია? ჩემს წვრილშვილსა და მოხუცებულებს, ხელებში რომ შემომჩერებიან, რა მოგვიტანეო, შენ უპატრონებ? დამაცადე, ჩავარბენ და იმ ცხენებს ამოვრეკავ. ერთი — შენ, ერთი — მე! რა გითხრა ამაზე უკეთესი?

აბესაძემ უყურა, უყურა და ზიზღით გადააფურთხა.

— ფუ! ძაღლიშვილი ვიყო, თუ შენ ადამიანის სული გედგას. წადი, სადაც გინდა, ოღონდ თვალით ნურსად დამენახვები. ვიცი, ფათერაკს გადამკიდებ!

ამ სიტყვებით ასკიამ თოფი მხარზე გაიდო და თავდაღმა მარტოდმარტო დაეშვა.

— მოიცა, კაცო, — დაადევნა მახარობელამ. — ასე სად გეჩქარება, რა კაი ადგილას შენ მიდიხარ! ის კურთხეული იქნება ძუყნურშია ასული ან თავი ცუცხვათის ციხეს შეაფარა, ჩვენ მაინცდამაინც ცხელ ღადარში ვტუცოთ თავი? იქ ტყვიას ისვრიან, ბიძია, პრასი კი არა ხარ, გაისად ხელახლა ამოხვიდე!

— მოდიხარ შენ თუ არა? — გაეპასუხა აბესაძე.

— მაცალე, ამას აგერ მაინც დავმალავ ჩირგვებში. ისე გეიხარა ჩემმა მტერმა, რავარც მე აქანა ამოსვლა მეღირსოს!

ამ დროს ტყვიამ გაიზუზუნა, მახარობელას ფეხებთან ბდღვირი დააყენა, „ტუ-უუუ…“ ხმა გაიწვრილა და ხეს ნაფოტი შეაცალა.

თავის საქმეში გართულ გუნცაძეს გული გადაუქანდა.

— რას შვრები, ბიჭო, ასკია, შეგარცხვინა ღმერთმა, მართლა სასიკვდილოდ გამიმეტე?

— წინ გამოიქეცი, შე დაბდურო, ენა ნუ წაგიგრძელებია, ვერ ხედავ, ურჯულო მოგვდევს?

ასკია აბესაძემ თავს უშველა და თხმელის ხშირ ბუჩქნარში პირველი გაუჩინარდა. მალე აქლოშინებული და შიშნაჭამი მახარობელაც დაეწია. გამოკითხვისა და ვარაუდების გამოთქმის დრო აღარ იყო. ტბაშავის ვაკის მხრიდან, როგორც წეღან, აქ რომ გამოიარეს, გაურკვეველი გუგუნი ისმოდა. ეს გუგუნი წამი რაა, წამითაც არ ცხრებოდა და დედამიწას აზანზარებდა.

თავისიანებს ჩამორჩენილი, თითქმის გზადაბნეული მალემსრბოლები, რომლებსაც ყოველ წუთს მტრის ხელში ჩავარდნა ელოდათ, სულ სხვა გუნებაზე დადგებოდნენ, ცოტაც რომ მოეცადათ და მათ მიერ თათრებად მიჩნეული უცხოდ ჩაცმული მხედრები ეცნოთ.

ბუეთში ცუცხვათიდან მოსულ მაშველ ჯარს, ცხენოსანსა და ქვეითს, წინ გრძელი ხიშტიანი შაშხანებით შეიარაღებული, ბარძაყებზე შემოტმასნილ თეთრ პანტალონებსა და ასეთივე ფერის ბრჭყვიალაღილებიან კურტაკებში გამოწყობილი, უცნაური მაღალი ქუდებით შუბლდამშვენებული რუსის ასეული მოუძღოდა. ეს ცხენოსანი ასეული, დროშებითა და მემუსიკეებითურთ, ნამეწყრალზე მწყობრად მოაბიჯებდა და მტრის ძარღვებში სისხლის გამყინავ სალაშქრო სიმღერას მღეროდა. სიმღერა ომახიანი და მჭექარე იყო, შიგადაშიგ სალამურის ტკბილი ლიკლიკი გამოერეოდა, თითქოს ცისკიდურზე გაწოლილ საავდრო ღრუბელში ელვა გაიკლაკნაო და მერე ისევ ერთ განუყოფელ ქუხილად შენივთებული ასობით ხმა აპობდა ომის მტვრითა და კვამლით დამძიმებულ სივრცეს.

— ეს რა ხმა არის? — იკითხა სოლომონმა, რომელიც უკვე ხრესილში იყო, სეფე-დროშის წინ, ყველაზე უფრო ამაღლებულ ადგილას მდგა[illegible] ბრძოლის ველს გადასცქეროდა. — ვინ უნდა მღეროდეს ასე მქუხარედ?

— ქართლ-კახელნი გეახლნენ, მეფევ, — მოახსენა ტბაშავის ვაკიდან იმ წუთს ამობრუნებულმა, თოფისწამლის ჭვარტლით სახეგამურულმა ქაიხოსრო აგიაშვილმა. — ბატონიშვილ არჩილის წყალობა გახლავს, წინ რუსები მოუძღვიან!..

— მაშ, უმარჯვნია ჩემს ბერ-მონაზონ ძმას, იესეს, დაუყაბულებია რუსის სალდათები!..

— როგორც ჩანს, მეფევ!..

— თუ ესენი ხმალსაც აგრე მაგრად იქნევენ, ვაი ჩვენს მტერს!

— რუსის სალდათი ნაქებია, ბატონო, ღვთის შეწევნით, არც ჩვენ ჩამოვრჩებით, ჩვენც გვიჭრის მუხლი და მკლავი!

— ველარა გცნობ, ქაიხოსრო, სახე ჩამოგტირის, საწყენი ამბავი ხომ არაფერი მოგვიტანე?

— როდემდე დაგიმალო, ბატონო... დაგვეცა მეხი და... აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე...

სოლომონს თვალები წამოენთო, დამნაშავესავით თავჩაღუნულ სარდალს ორივე ხელი ჩაავლო ბეჭებში და შეანჯღრია.

— ჰო, რა ხუტუნია შერვაშიძე, რა მოხდა, თქვი!

— მოგვიკლეს, ბატონო...

ყველას, ვინც მეფეს ახლდა და ეს თავზარდამცემი ამბავი პირველად გაიგონა, ერთბაში ოხვრა აღმოხდა. თვით სოლომონი რამდენიმე წუთს ხმაგაკმენდილი იდგა და დანა პირს აღარ უხსნიდა.

— როგორ მოხდა ეგ? — იკითხა მერე და ხმაში ფოლადი გაერია. — სად იყო დადიანის ძე კაცია, ან სხვები სად იყავით, თქვე ულმერთოებო, რატომ ყველამ არ დასდო თავი ხუტუნიას სიცოცხლის გადასარჩენად? ღმერთო ჩემო, იესო მაცხოვარო, ეს რა საცოდაობას შევესწარით, რაღა ჩემს ომში!

— ცდა არ დაგვიკლია, ბატონო მეფევ. ცოდვას ვერ ვიტყვი, არც ბატონ თქვენს ცოლისძმას დაუზოგავს თავი. ვერ ვქენით, იქამდე ვერ მივაწიეთ. დიდი ზედახორა იყო. კაცსა და კაცს შუა ნემსი არ ჩავარდებოდა. ხუტუნიას ურჯულოების მთელი გუნდი შემოერტყა. თავისიანებს მოწყვიტეს და ყოველი მხრიდან შუბებით აწიეს. რომელი ერთი მოეგერიებინა! მერე, ცხენიდან რომ გადმოვარდა, ალყა მოიშალა და ჩვენც, მოგეცა ლხენა, შემოვესიეთ, სათითოოდ ავკაფეთ ყველა, ცოცხალი აღარავინ გაგვიშვია, მარა რაი მერე!..

— ახლავე გამოიტანეთ შერვაშიძის გვამი და, ასი კაცის სიცოცხლედაც რომ დაგვიჯდეს, ეკლესიაში დაასვენეთ. ამაღამ მე თავად გავუთევ და მთელ ღამეს ლოცვაში გავატარებ. ხუტუნია მოძმის საქმეს შეეწირა და ყოველი ქრისტიანის წმინდა ვალია, მის შეურცხვენელ სახელს ჯეროვანი მიაგოს!..

— გვამი ბატონმა თქვენმა ცოლისძმამ გაარიდა ბრძოლის ველს, მეფევ, მცველი რაზმიც კაციამ აახლა, ჰირისუფლის დაუტირებლად ვერ დავმარხავ, აფხაზეთში უნდა წავასვენოო.

— სწორედ მაკვირვებს ჩემი ცოლისძმის საქციელი, — მეფე უკვე განრისხებული იყო, თვალები უელავდა და პირიდან ცეცხლს აფრქვევდა. — რად უნებებია, მოყვრის თვალში უმადურად დაგვსახოს და თავზე ლაფი დაგვასხას? აფხაზეთის მთავარი ჩვენი თანამდგომია. ასეა, არა, დარბაისელნო? მისი შვილი იმერეთის ტახტის შესაწევნად მობრძანდა და აქ ჩვენს მტერს შეაკვდა. ღმერთო და იესო მაცხოვარო, სასუფეველი დაუმკვიდრე მის სულს! დადიანის ძემ, თუ უკაცრავად არ ვიყო, კეთილი ინებოს და დაგვაცალოს, ჩვენც დავაფრქვიოთ ცრემლი ჩვენს მიცვალებულს!

— ბატონი ბრძანდები, მეფევ, ახლავე კაცებს გავგზავნი და შენს ნებას დადიანის ძე კაციას ვაცნობებ!

— ურრრააა!.. — ტბაშავის ვაკეზე თითქოს მიწის წიაღში დაგუბებულმა ცხელმა შადრევანმა ამოხეთქა და ჩამუქებულ ბრძოლის ველს, სამ[illegible]ლეოდან კარგა ხნის გადახრილი მზე მთვლეთ-ნაფლეთ რომ ანათებდა და ალისფერ შარავანდედში ხვევდა, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ცხენოსანთა და ქვეითთა თეთრი ნიაღვარი შეერია. სოლომონმა დურბინდი მოირგო. იქ დაუნდობელი კაფვა და ჩეხვა გაჩაღდა. ქართლ-კახელთა გაწვრთნილი რაზმების გამოჩენამ, თავზარდაცემულმა ოსმალებმა მართლა რუსის ლაშქრად რომ მიიღეს და ხსნის ყოველგვარი იმედი დაეკარგათ, ომში ძირფესვიანი გარდატეხა მოახდინა.

— ეს დალოცვილები ბევრი ჩანან,— შენიშნა კმაყოფილმა სოლომონმა. — ნუთუ მხოლოდ ორი ათასი კაცია?

— ბევრი ჩანან, ბატონო მეფევ, ღმერთმა ამრავლოთ!

— ერისთავს ვერ ვხედავ. ახლა სწორედ მისწრება იქნება, მარჯვენა ფრთიდან ჩაეშველოს კაციასა და ბერი წულუკიძეს და მტერი ორცეცხლშუა მოაქციოს!

— შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, არ ავჩქარდებოდი, ბატონო მეფევ, — კრძალვით შეჰბედა ომის ცეცხლში გარუჯულმა ქაიხოსრო აგიაშვილმა, რომელსაც ურჯულო მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ყველა წვრილმანი და მსხვილმანი ხელისგულზე ჰქონდა გადაშლილი. — ჩვენ აქ, ხრესილში, სხვა მარქაფა ჯარი აღარ დაგვრჩა, გარდა ბანაკის მცველი ათას ხუთასი მხედრისა. ამათგან ნახევარზე მეტი, მოგეხსენება, დაჭრილ - დაკოდილია. ღმერთი რომ გაწყრეს და ურუმს მაშველი ძალა მოუვიდეს, ვაითუ ვერაფრით გავუმკლავდეთ. ერისთავი და მისი ხუთი ათასი კაცი აქ დაგვჭირდება.

— სწორი ბრძანებაა, — მცირედ დაფიქრდა და უყოყმანოდ დაეთანხმა სოლომონი. — მაგრამ ჩემს გვერდით ვერც ერისთავ როსტომს ვხედავ და ვერც ერისთვიშვილებს. ეს რას მივაწერო? რა ვიფიქრო?

— უთუოდ მალე გეახლებიან, მე-

ფევ, — თავისი ეჭვი რომ დაეფარა, აგიაშვილმა ხელი მოიჩრდილა და მზეს გაჰხედა. — ახლა ფეხის ათრევა და დროის უქმად დაკარგვა ტახტის ღალატს უდრის და ყველას სიკვდილით უნდა გადახდეს!

სარდლის უკანასკნელი სიტყვები ზარბაზნის შორეულმა ქუხილმა დაჰფარა. მთების გამოძახილი ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო, რომ მრისხანე ქუხილი რამდენჯერმე ზედიზედ განმეორდა და მერე დიდხანს აღარ შეწყვეტილა.

— გაიგეთ, ვინ ისვრის! — ბრძანა სმენად გადაქცეულმა სოლომონმა. — თუ ყური არ მატყუებს, ვგონებ, ცუცხვათის ციხიდან უნდა ისროდნენ. ეს ურიგო ნიშანი როდია!

მეფის ვარაუდი ახწლოვან მუხაზე ხელმეორედ აბობღებულმა ხრესილელმა გლეხმა, შამშე ბრეგვაძემ, ურახუნებმ, დაადასტურა. ურახუნე მთელი ქვეყნიერების გასაგონად ყვიროდა.

— გეიმარჯვა საქრისტიანომ... წახთა თათარი... გაბაწრეს ურჯულო გთლაფშა... ვაშა ჩვენ დიდებულ მეფე სოლომონს!..

სოლომონმა გაიგონა ეს, გულში ეამა და ღიმილი მოერია. ის დღე მოაგონდა, ოდიშიდან მობრუნებული ვარციხის სასახლეს რომ შემოეწყო, საარაკო ხმის პატრონი ურახუნე ხეზე რომ აგზავნეს და ზავის პირობები დააძახებინეს...

ოსმალთა ჯარის ნაშთებმა ბრძოლაში ახალ ჩაბმული იმერთა მარქაფა ძალების მოწოლას ველარ გაუძლეს, მეტადრე რუსის ხიშტმა და რუსულმა „ურამ“, დაბოლოს კი ქრისტიანეთა მმუსვრელი გოლა-ფაშას დატყვევებამ სასწაულებრივ იმოქმედა, დაჭრილ-დაკოდილთა, მოკლულთა და ტყვედ დანებებულთა სახით დიდძალი ხალხი დაჰკარგეს და ორპირისაკენ დახევა იწყეს. ეს უკანდახევა ჯარის გეგმაზომიერი გადაადგილება როდიღა იყო, რასაც გამოცდილი მხედართუფროსები საჭიროების ჟამს ძალის მოსაკრებად მიმართავენ ხოლმე. აგარიანები უკანმოუხედავად გარბოდნენ, გარბოდნენ, ვისაც როგორ შეეძლო, აღარავინ დაგიდევდა არც საბრძოლო დროშებს, გზადაგზა მტერს რომ უტოვებდნენ, არც მეომრულ ფიცს, ნახევარი სამყაროს მფლობელი ბედნიერი სულთნის წინაშე რომ დაედოთ და არც სხვა რასმე...

საქმეში ცუცხვათის ციხის არტილერია ჩაერია და უამისოდაც ძალზე დაზარალებულ და შეფერთხილ ლაშქარს ფინდიხის სეტყვა დააყარა. მალე ახევე მოიქცნენ ხრესილის ციხეში უკანვე შეყრილი ოსმალო თოფჩებიც, რომელთაც თავს სულთამ ავალიანის კაცები ადგნენ და ამოსუნთქვის საშუალებას აღარ აძლევდნენ.

ასკია აბესაძე მიწაზე ქვასავით დაეცა. არც კი დაფიქრებულა, თუ რა მოხდა, იგივე მოიმოქმედა ორი-სამი ნაბიჯით უკან მომავალმა მახარობელა გუნცაძემაც. ისინი ჭალაში იყვნენ, წყალწითელას დაღმა მიჰყვებოდნენ და ყველაზე უშიშარ ადგილს ეძებდნენ თავისიანებთან შესაერთებლად.

ასკია ხმამაღლა სუნთქავდა, ფოცხვერივით კუნთებდაძაბული წინ თვალმოუშორებლივ იყურებოდა და სასროლად მომარჯვებულ თოფს კონდახზე ყვრიმალით ეკვროდა. მახარობელამ თვალი გააყოლა თოფის ლულას და განცვიფრებისაგან კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა.

ჩამობნელებულ ნოტიო თხმელნარში მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, მდიდრულად ჩაცმულდახურული და ასეთსავე იარაღში ჩამჯდარი ბერიკაცი მიაბიჯებდა, კონდახმოსევადებული თოფის ტუჩით გზიდან მაყვლისა და ძაღლყურძენას ბარდებს იცილებდა და მათ თანდათან შორდებოდა.

„ღმერთი გამიწყრეს, თუ ეს ხნარცვი ლევან აბაშიძე არ იყოს, — გაიფიქრა მახარობელამ და სიხარულმა და სიხარბემ გული ისე ძალუმად აუძგერა, ხმის ამოღების უნარიც კი წაერთვა. — მაგრამ, თუ წერას არ აუტანია, რა უნდა აქ მარტოდმარტო, ვის ეძებს, ვის ეპარება? ანდა ასკია რაღას გაჩერებულა, ეს მარჯვენადასადუმებელი, ველარ ესვრის?“

გუნცაძეს ის ხუთასი ყურუში გაახსენდა, რითაც სამეფო კარის მიერ ლევან აბაშიძის თავი იყო შეფასებული და აბესაძის ყოყმანი თუ გაუბედაობა მისებურად ახსნა.

— ასკია! — დაიხავლა და ძმაკაცს ქუსლზე თოფით უბიძგა. — იცანი, ვინ არის?

— ვიცანი! — პირქუშად, თავის მოუბრუნებლად უპასუხა აბესაძემ.

— მერე? რაღას უყურებ, შე ოხერო? ცოლშვილი კიდამ ამოგიწყვიტა, გაგაბახა, სოფელ-კუთხეში თავი აღარ გამოგვეყოფა და კიდევ ვეღარ გაგიბედია? ფუი, შენს ვაჟკაცობას! მე მიმიშვი, მაგის უსვინდისო თავს ახლავე აქ მოგიტან!

— მაცალე, მახარობელა, უკან მივყვეთ, ეგ, ისე ვატყობ, კაი საქმის ჩასადენად არ უნდა მიდიოდეს!

— როდემდე ვდიოთ, შე სულელო, სანამ ხაფანგში არ გაგვაბამს და ორივეს არ გაგვსკვანჯავენ? მე წავალ წინ, ნუ გეშინია, წილს არ დაგიკარგავ, შენ უკან მამყევი!

მონადირის უხმაურო ნაბიჯით მიმავალი თოფმოღერებული ბერიკაცი სულ რამდენიმე წამით თვალთაგან დაჰკარგეს, მაგრამ ის მალე ისევ გამოჩნდა, ზურგით კანდამსკდარ მუხას მიეყუდა და ლურჯი ცისაკენ ატყორცნილ ტოტებს თვალი ააყოლა.

— გეიმარჯვა საქრისტიანოშ... წახთა თათარი... ვაი და ვუი ჩვენს პირშავ მტერს!.. ვაშა რუსხელმწიფეს!.. ვაშა დადიანის ძე კაციას!.. ვაშა მამია გურიელს.. ქაიხოსრო წერეთელს...

ლევან აბაშიძემ მოხერხებული ადგილი შეარჩია, საიდანაც ყიამყრალი ურახუნე კარგად ჩანდა და თოფი დაუმიზნა. ურახუნე კვლავინდებურად გრგვინავდა, მისი მჭექარე ხმა თოფ-ზარბაზნის სროლასაც კი ახშობდა, უკვე გამტყდარ მტერს შიშის ზარს სცემდა, თავისიანებს კი გულში მხნეობას უნერგავდა და აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ ულმობელი სიკვდილი მოსული იყო, თოფის პირჩაღამებული ლულა საგულდაგულოდ უპირდაპირდებოდა. მაგრამ ვიდრე სასხლეტ კაუჭაზე გამოდებული თითი თავის საქნელს იზამდა, ორმა თოფმა ერთბაშად იგრიალა, კვამლი დააყენა და ბუჩქნარში დამწვარი ჭინჭის ნაფლეთები აფართფატდნენ. კვამლი რომ გაიფანტა და ასკია აბესაძემ და მახარობელა გუნცაძემ ხის ძირას მიირბინეს, პირველი, რაც დაინახეს, ლევან აბაშიძის ათას თოფში გამოსარჩევი კონდახმოსევადებული თოფი იყო, რომელიც უკანასკნელ წუთს პატრონს ხელიდან გავარდნოდა, თვით ლევანი კი, მუდამ ასე ამაყი და ფაქიზი, სილამაზისა და წესრიგის მოყვარული, ნოტიო მიწაზე ჟულალმა ეგდო, ღრმა ფოსოებში ჩამჯდარი თვალები დაეხუჭა და სიმწრისაგან მოკუმული პირის მარჯვენა კუთხიდან სისხლის სულ პაწია ღელე გადმოსდიოდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იზა ორჯონიკიძე

* * *

სახურავებზე თოვლი დევს ალაგ,
ალაგ მზის სხივი დახტის,
შემოსდგომია მაისი ქალაქს,
დაბრუნება სურს ტახტის...
თავისი უნდა ქუჩა-ბანდები,
ფშატის ყვითელი ფარჩა,
მე კი ტყუილად ავწრიალდები,
ჩემსას არც ჩხირი დარჩა.
მე კი ამაოდ შევურხევ ფარდას
ბნელს ხამუდამო სახლის,
მარტოობისა და სევდის გარდა,
ჩემს კარს არა ჰყეფს ძაღლიც...
სდუმს აივანი, სარკმელი, კარი,
ჩარჩო, ჩარჩო და ჩარჩო,
უკვე მძინარი, უკვე ბინარი
უკვე წარსულის სარჩო.
სახურავზე კი თოვლი იცინის
(ისიც სიკვდილის წინა!).
სიცოცხლე მაინც ვერ მოვიცილე,
გულიც სავსეა, ბინაც...
და მომავალი მაისის ბუკი
ქალაქს მისწვდება ოდეს
თუ ველი რასმე,
მიყვარხარ თუკი,
უნდა საბრალოდ ვძრწოდე...
და ვინ მიშველის
თუ მწუხრის ზაფრა
ნაცვლად ნანატრი კაცის,
ცხენს მომგვრის მისას,
თავჩახრილს დაბლა,
მკერდში დამბაჩას დაცლის...

* * *

ხომ შეიძლება,
რომ დაგავიწყდეს
არსება ჩემი
და მისამართი,
ხომ შეიძლება,
დღეს რომ დავიწყეთ,
უცებ გასრულდეს
დიდი აღმართი...
ხომ შეიძლება
ვერც გაიხსენო
ნიავს რომ მოჰყვა
თმისა სურნელი
და მკლავზე
ფრთხილად გადაასვენო
დღე განწირული,
განუკურნელი...
ხომ შეიძლება
ვიღაცას ჰკითხო
და მოგასწავლონ.
ჩემი საფლავი,
საკუთარ ხელით
გათხრილი თითქო,
ვარდს დანატრული,
დაუდაფნავი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ რას უზამ
სულს გადარჩენილს —
ბნელს გათენებულს,
დღისთვის ახალის,
რაც არც შენია
და აღარც ჩემი,
რაც სამუდამოდ
არის მაღალი?

* * *

ნალე ეს ტანჯვა
დაბადებს სტრიქონს
და წვიმიანი
თიბათვის გასულს
მე შემეძლება
ღიმილით გკითხო
რას ინებებდით,
რა ვუყოთ წარსულს?
მე შემეძლება
არ მოგაგონოთ
მაისის აღარც ერთი
მოტივი
და თავი მკერდზე
არ მოგაკონოთ
ადევნებულმა
წყალს ნაფოტივით...
მე შემეძლება
მოგართვათ მშვიდად
უკვდავებისა თქვენის ნიშანი,
ჩემი ცხოვრების
აჩრდილი წმინდა
ღიმილი,
ფერფლი
და კაეშანი...
მე შემეძლება
გაჩუქოთ მიწა,
სადაც ზეცისაც
მე ვარ მპყრობელი,
ო, მოუთმენლად
მოველი იმ წამს
და სამუდამოდ
ვარ მადლობელი...

* * *

როგორ მიხარის,
რომ შენი ხელი,
ყრმისა მგონია,
ხშირად რომელიც
არის უსიტყვო
და მრავლის მთქმელი,
არის მაღალი
კდემის მდომელი...
როგორ მახარებს,
რომ იმ მწვერვალზე,
სადაც ჰყვავიან
ყვავილნი სულის,
უწმინდურების გზირნი
ვერ ავლენ
და შენ ეს იცი,
და შენც ეს გსურის...
როგორ მიხარის
რომ მოთმინებამ,
რომელიც ჭინჭყლი
ბალღივით ვზარდე,
სუყველაფერი ისე ინება,
როგორ უნდოდა
სინდისს და მდადეს...
ახლა როგორც სურს
მომექცეს ისე
ცხოვრება, მუდამ
შარის მძებნელი,
იმა მწვერვალთა
მოხილვის ღირსი
არ შეიძლება
იყოს მზებნელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გამწარებული
დახვალ მთელი თვე,
ყოველ საღამოს
სივდება გული,
ყველაფერს, —
მხოლოდ ცრემლებს
ვერ ითმენ,
ყველაფერს, —
მხოლოდ თავს
ვეღარ უვლი...
მოვლენ ძველნი და
მოვლენ ახალნი,
ჭირთა დათმენას
ვინაც გიქებენ,
მოგიკითხავენ,
ნახავ,
გნახავენ,
იმღერებენ და
იჭიკჭიკებენ. —
შემოგახლიან
კარს როგორც ტყვიას,
დაგიტოვებენ
ღამეს და ქაღალდს
და თუ შენ ყოფნას
სიცოცხლე ჰქვია,
რაღად გაშინებს
სიკვდილი, რაღად?!

* * *

არ მინდა რამე გავიგონო
დღეს სამწუხარო,
მოწმენდილია,
უსიტყვოა
დილა უქარო...
გამოჩნდა ისევ
დამარხული ცაში მწვერვალი,
არც მოიხედავს,
ისე წავა წელს თებერვალი...
წკარუნობს თუმცა
ჩუმი ყინვის
სადღაც ლითონი,
არ წამოსცდება
მზეს მომავალს
სიტყვა ლიტონი...
დანატრებულის,
დანახიზმრის
და შემდგომ ყოვლის,
უძვირფასესო,
ჩემს თვალებში
იცინის თოვლი
და თუ ამ თოვლქვეშ
ფეთქავს ჩვილი
გული ენძელის,
ვის რა ხელი აქვს
ცხოვრებასთან, —
მე რომ შევძელი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდამ ჩაჩანიძე

# მეორე პალატა

მოთხრობა

მეორე პალატა მესამე სართულზე, სამრეცხაოს პირდაპირ მდებარეობდა.

რომეოს პირველ სართულზე, მიმღებში მსუქანმა ქალმა წნევა გაუსინჯა და უთხრა: მეორე პალატაო.

მაშინ ორმოც წელს მიღწეულმა ამ გამხდარმა კაცმა არც მეორე პალატისა და არც ამ შენობის ასავალ-დასავალი არ იცოდა და ამიტომ კრინტიც არ დაუძრავს, მაგრამ შემდეგ, როცა ნახა მეორე პალატა სამრეცხაოს პირდაპირ რომ იყო მოთავსებული, პროტესტის გამოცხადება გადასწყვიტა. თუ ეს არ გააკეთა, მხოლოდ იმიტომ, რომ პალატაში სამივე საწოლი თავისუფალი დახვდა. იფიქრა, ალბათ სულ მარტო ვიქნებიო, და გაჩუმება არჩია. მარტოობა კი ძალიან უყვარდა. ეს ბავშობიდან მოსდევდა. ყველაზე დიდ სიამოვნებას მაშინ გრძნობდა, როცა სულ მარტო რჩებოდა, თუნდაც ეულად გამოკეტილ ოთახში. ამ დროს მის შემეცნებაში ნივთები და საგნები ქრებოდნენ. ქრებოდნენ დიდრონი, ტოტებაშლილი ხეებიც, მისი სახლის ფანჯრებიდან ასე კარგად რომ ჩანდნენ. ყველაფერი უშნო, უფერული ხდებოდა. თვალები უფართოვდებოდა, გულიც სულ სხვანაირად უცემდა და სურდა პატარა ფერადი ტელეფონის აპარატიც, წამდაუწუმ რომ მოაგონებდა სამყაროს არსებობას, უსარგებლო ყუთად ქცეულიყო.

ციცქნა ოთახში შებაკუნდა თუ არა, ფანჯრიდან მარცხნივ გაშლილი საწოლი ამოირჩია. ფეხდაფეხ ვიღაც ქალიც შემოჰყვა. ქალს ხელში თეთრეული ეჭირა. მრეცხავზე აუგი რომ გეთქვათ, უმართებულო იქნებოდა. ხოლო იმისათვის, ვინც ეს სარეცხი დააუთოვა, კარგი ორსართულიანი რომ გაგეგზავნათ, დედის რძესავით შეერგებოდა. მამაცხონებულს ზეწარიცა და საბნის ჩოხაც ისე მიეწ-მოეწყვა, გარმონს რომ ნაკეცები აქვს, აი, იმის შემქმნელ ოსტატსაც კი შეშურდებოდა.

რომეომ ეს, რასაკვირველია, კარგად დაინახა, მაგრამ ენას კბილები დააჭირა. იმ ქალმა რომ ჰკითხა: რომელ საწოლზე დაიძინებთო? მარცხენა ხელი გაიშვირა და ფანჯრიდან მარცხნივ მდებარე საწოლი აჩვენა.

ქალმა გავიგეო, ჩაიჩურჩულა და თეთრეული ტუმბოზე დააწყო. ჩქარა მუშაობდა, მანქანასავით, თან კითხვებს ისე იძლეოდა თითქოსდა საგამომძიებლო ორგანოდან ყოფილიყოს. სახელი რა გქვიაო? კაცმა უთხრა: რომეო.

კარგი სახელია, ცოლს ჯულიეტა ხომ

არ ჰქვიათ? კაცმა არაო, ცოლი საერთოდ არა მყავსო.

ალბათ მოგიკვდათო, ან თუ გაეყარეთო?

არა, საერთოდ არ მყოლიაო, უცოლოდ ვბერდებიო.

ქალმა სარჩულგადაკრული ბალიში ხელისგულებით დატკეპნა და კაცს საეჭვოდ გადახედა. აქ რისთვის მოხვედიო?

პარაპროქტიტი უნდა ამომაჭრანო.

ქალმა გაიცინა, ეგ სულ არაფერიაო, მაგით ჯერ არავინაც არ მომკვდარაო.

არც მე მოვსულვარ სასიკვდილოთო, უთხრა კაცმა და ტუმბოში ქათქათა საცვლები და საპარსავი შეყარა.

ეს პატარა, უღიმღამო პროლოგი რომ დამთავრდა და ქალმაც კარი გაიჯახუნა, კაცმა ხელი მოითქვა, სკამს ხელი უდიერად წამოკრა და ფანჯრისაკენ წაასკუპა.

დაჯდომა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. მარჯვენა ფეხის მუხლი დადო სკამზე, გადაიხარა და იდაყვებით განიერ რაფას დაეყრდნო.

რაფა ცისფრად იყო შეღებილი, ჩარჩოც ამ ფერად შეეთითხნათ. მღებავებს ეს ოპერაცია დიდი ხნის წინათ ჩაეტარებინათ. ახლა კი ზოგან საღებავი გადასულიყო კიდეც და რაფაცა და ჩარჩოც დაეჭორფლა.

მოწყენილი იყო, უხასიათოდ. მხიარულებაცა და გახსნილი გულიც იქ, შენობის შემოსასვლელში დარჩა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ის მსუქანი ქალი მისაღებში წნევას გაუსინჯავდა.

ფანჯარასთან უფრო ახლოს მიჩოჩდა. საკმაოდ გრძელი ცსვირი ცივ მინას მიაჭდო. ხიცივე ემა.

ფანჯრიდან ორი უსაშველოდ გაგრძელებული ხე ჩანდა. ხეები მოშორებითაც იდგნენ, მაგრამ ასე მაღალი არც ერთი არ იყო. სხვა რომელიმე შუამდეც კი არ მოწვდებოდა იმ ორ ცადაღმართულს.

ზეზეურად ჩამომხმარი ხეები საცოდავად იდგნენ, ხმელი ტოტები უღიმღამოდ გაეფშიკათ, ნაღვლიანად დაყუდებულიყვნენ ამ მოწყენილ სამყაროში. აქა-იქ ნაზამთრი ხმელი ფოთოლიც შერჩენოდა ტოტებს და ნიავის დაქროლებაზე ზანტად ტოკავდა.

ხეები გამყოფი გალავნის აქეთ იდგნენ. გალავნის იქითა ეზოში კი არაცერთი ხე არ ჩანდა, ინდაურის კვერცხივით მოტვლეპილი ეზო გახლდათ. რა ბუჩქი და რა ხე, მოგცლია ერთი... ბლანტ მიწას მხოლოდ წყალსადენის ხვრელის სარქველი აჯდა შესიებული ჭიპივით. ეს იყო და ეს... ამ სარქველთან ახლა ოთხი თბილპიჯამოიანი კაცი ჩალიჩობდა.

რომეო ფანჯარას მოშორდა. ამ თავგის სორომში ახლა სულიც შეეხუთა. გარეთ ხომ არ გავიდეო, გაიფიქრა. მაშინვე გადაწყვიტა, რომ ეს აზრი არც თუ ისე ურიგო იყო.

დერეფანში რომ გამოვიდა, ორ კაცს შეეფეთა. მოხუცები იყვნენ. წელში მოხრილნი, ცხოვრებისაგან ნათრევ-ნაგემი. ერთი მაინც ძლივს მილასლასებდა. ფართხუნა შარვლის სათავე მარჯვენა ხელით ეკავა. ხმაც აბრეშუმის ძაფივით წვრილი და მიკნავებული ჰქონდა. მერე მოხუცებმა გაიარეს და იოდისა და კიდევ რაღაც წამლის სუნიც გაიყოლიეს.

პალატათა ვიწრო დერეფანი სწორედ სამრეცხაოსთან თავდებოდა. აშკარად იგრძნობოდა შენობის იქითა ნაწილი რომ მერე მიეშენებინათ. ფართო დერეფნის ორსავე მხარეს ექიმთა სამუშაო ოთახები იყო ჩარიგებული. მარჯვნივ და მარცხნივ წარწერები წარწერებს ცვლიდა. „განყოფილების გამგე", „ექიმთა ოთახი", „დოცენტის ოთახი" და ა. შ. ის ნელა კითხულობდა წარწერებს, თან დერეფნის ბოლოსაკენ მიუყვებოდა, ბოლოში კი მაღალი განიერი ფანჯარა ჩანდა.

ფანჯარასთან რომ მივიდა, ძირს გადაიხედა. უკანა ეზოში გამართული კოხტა სკვერი დაინახა, ჩინური ვაზითა და ვიწრო ბაზონებით. ამ დროს თავისი სახელიც მოესმა. გაუკვირდა. როცა წელში გაიმართა და შემობრუნდა კიდეც, ერთი გამხდარი ტიპი დაინახა, ძალზე გამხდარი, გალეული. იდგა ის ტიპი და გულუბრყვილო ღიმილით ათვალიერებდა.

— შენ აქ რა გინდა, რომეო?

რომეოსაც გაეცინა.

— სათევზაოდ მოვედი.

— რაო, სათევზაოდო? რა სასაცილოა... ალბათ იმან შეგაწუხა...

ის ტიპი აზრის ბოლომდე გახსნას არ აპირებდა. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და მაინც თქვა: — ბუასილმაო.

რომეომ გააპროტესტა.

— ცდებით, მაგ მხრივ კარგად ვარ. პარაპროქტიტი მაწუხებს.

— მეზობლები არიან, არა უშავს.

რომეომ მხრები აიწკურა.

— არაფერი მესმის.

— ჰო, ასე, — დაადასტურა იმ გამხდარმა ტიპმა. თბილი ყავისფერი ხალათის ჯიბიდან კუბოკრული ცხვირსახოცი ამოიღო და სამი თითით უსაშველოდ გამხდარ ,ნავის კიჩოსავით გამობზეკილ ცხვირზე მოირგო.

რომეოს კარგი ალღო ჰქონდა. მიხვდა, ის ყავისფერი თბილი ხალათი და შარვალიც, იმ გაჩხიკულ ტიპს რომ ეცვა, საავადმყოფოს საკუთრება იქნებოდა. თვითონ ასეთი არ ეცვა. თუმცა გასახდელში კიდეც შეთავაზეს და ცხვირწინაც დაუდეს, მაგრამ იუარა. ჩემსას ჩავიცვამო. ჩაიცვა კიდეც ნეილონის ღია ლურჯი ლამაზი ხალათი. პირველად ეგონა მარტო მას სცეს პატივი; ნება დართეს შინიდან მოყოლილი სპორტული ფორმით ევლო. მერე დაინახა, ქვეყანა ასე დადიოდა. საავადმყოფოს ხალათიანი თითო-ოროლა, ცხვრის ფარის თხასავით თუ გამოერეოდა. ისიც ბერიკაცი, მოგრეხილი და მოხანხალებული, შუბლზე რომ ეწერა: ყველა ახლობელი წინ გაერეკა და მხოლოდ თვითონ შემორჩენოდა ქვეყანას, ზამთრის ფოთოლივით.

ისინი დერეფანში იშვიათად გამოდიოდნენ. მეტწილად თავიანთ პალატებში საწოლზე ხალათით იწვნენ და თვლემდნენ.

ის ბერიკაცები ერთმანეთის მიყოლებით როცა დერეფანში გამოხანხალდებოდნენ, საბმელ ანკესზე გამობმული თევზებივით მიიბაწრებოდნენ ხოლმე.

ამაში იუმორის ნასახიც არ ერია. ეს ყავისფერი ფარა უფრო ზანტი მდინარისაგან გაწრეტილ ტოტს ჰგავდა, ზლაზვნით რომ მიბოდიალებს დაბლობში.

ეს მდორე ტოტი იმიტომ ვახსენეთ, იგი რაღაცით ჰგავს მთავარი ორგანიზმიდან მოწყვეტილ მცირე ერთეულს, რომელმაც ფუნქცია დაკარგა და საცაა უნდა დაიწრიტოს, გაშრეს.

ეს ყველაფერი ხომ ბუნების კანონია და კანონს არცერთი ხელმწიფე არ სცემს ისეთ პატივს, როგორც ბუნება. რაც დაწერილია, მატარებლის განრიგივით უნდა შესრულდეს.

იდგა ახლა ფართო ფანჯარასთან რომეო და იმ გამხდარ კაცს ირიბად გაჰყურებდა.

— ოპერაციას როდის გიკეთებენ? — ჰკითხა გამხდარმა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— არ ვიცი, ისე კი ძალიან მეჩქარება, უამრავი საქმე მაქვს.

სხვა დროს რომეო ამ ტიპს ამდენ ლაქლაქს არც კი გაუბამდა, მაგრამ ახლა სხვა იყო, ხმის გამცემს ეძებდა. ის კი არადა, კიდეც გაუხარდა, თავისი სახელი რომ გაიგონა.

— საქმე რა, მგელი ხომ არაა, რომ გაიქცეს?

რომეომ გაიცინა.

— ჩემი შრომა წიგნად გამოდის. მინდა კიდევ გადავხედო.

რომეომ იცრუა, შრომისათვის გადახედილიც ჰქონდა და გადმოხედილიც. როცა შორეულ ნაცნობს შეხვდებოდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მათ საკონსტრუქტორო ბიუროსთან, უყვარდა თავის ნაშრომზე ლაპარაკი. თუმცა ჯერ იმის იმედიც კი არ ჰქონდა ცალკე წიგნად გამოუცემდნენ თუ არა. პირველმა რეცენზენტმა, მისი ნაშრომი ორ უძილო ღამეში რომ ჩააბულბულა, ცივი წყალი გადაასხა, ასფალტის სატკეპნით გადაუარა და ქვა ქვაზეც არ დაუტოვებია. ისეთი რაღაცეები აკადრა, ავტორი ოფლად გაიწურა.

რომეო არ დაიბნა, იქით ეცა, აქეთ ეცა და მგონი დოლაბიც წაღმა შემოაბრუნა. ამაში ახლაც არ იყო მთლად დარწმუნებული, მაგრამ იმედი კი ჰქონდა.

— წიგნს აქ უფრო მოამზადებ. რა საქმე გაქვს? წამოწექი, კალამი აიღე და, მისი ჯანი.

— ეს ასეა, მაგრამ აქ სამკურნალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვედი, შრომებისათვის ვერ მოვიცლი. შემოქმედებით მუშაობას აბსოლუტური სიწყნარე უყვარს. სხვა რამეებზე არ უნდა ფიქრობდე. თუ ათასი საფიქრალიც გაგიჩნდა, მაშინ ძნელია სტრიქონებთან ჭიდილი.

— შემოქმედება წვაა, — თქვა პათეტიკურად იმ ძალზე გამხდარმა.

— ჰო, ძლიერი და მაგარი წვა...

— ახლა კამიუს ვკითხულობ. სარტრიდან პირდაპირ კამიუზე გადავედი.

რომეომ ირონიულად ჩაიცინა.

— ალბერ კამიუ და პოლ სარტრი ჩვენი პლანეტის ბრწყინვალე ვარსკვლავები არიან.

— ბევრს კი ფილოსოფოსობენ, ლიტერატურა მაინც ლიტერატურაა და ფილოსოფიური ტრაქტატის დონემდე გაჭრა არ უხდება. მანი გიყვარს?

— რომელი, თომასი თუ ჰაინრიხი?

— მანს რომ ახსენებენ, განმარტება არც კი ჭირდება, იგულისხმება თომას მანი.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია, თომას მანი მთელი ეპოქაა. თუმცა ისიც ბევრს ფილოსოფოსობს, სანამ სათქმელს გეტყოდეს, ჯვარს გაცმევს, გამოგშიგნავს, გულმუცელს გამოგიღებს.

ის გამხდარი ტიპი დაბღვერილი იყურებოდა. პირს რომ აღებდა, სიგარეტის არასასიამოვნო სუნი ამოსდიოდა. რომეო ცდილობდა უკან დაეწია, მაგრამ გამხდარი მაშინვე თან მიჰყვებოდა და ბოლოს კედლის კუთხეში თაგვივით შეიმწყვდია.

რომეოს სახე უსიამოვნოდ დაემანჭა. თვითონ არ ეწეოდა და არ ეწეოდა, ყველაზე უფრო პირის სიღრუიდან წამოსული სიგარეტის სუნის ატანა უჭირდა.

ერთხელ, ეს ჯერ კიდევ როდის იყო, სისხლი და ღონე რომ ერჩოდა, ერთი გოგო შეიყვარა. საქმე იქამდე მივიდა, რომეომ გაბედა და სიბნელეში, კინოს მერე, სახლამდე რომ მიაცილა, აკოცა. სიგარეტის სუნი ეცა, ეს იყო და ეს, რომანი გაზაფხულის თოვლივით უდღეური გამოდგა.

ახლა ეს კაცი, ათი წლის განმავლობაში რაც რომ მყრალი თამბაქო უბოლებია, სუყველას ასუნთქებდა.

გამხდარი ორივე ხელით გვერდზე გასწია და მახიდან გამოძვრა.

— მაპატიეთ, ცოტა უნდა დავისვენო, მერე ვიკამათოთ.

— რომელ პალატაში ცხოვრობ? — ჰკითხა იმან.

— მეორეში.

— შენთან შევიდეთ, წამოწექი და ისე ვილაპარაკოთ. აქ ისეთი პირობებია.... ერთი კოხტა ტრიბუნა გვაკლია, თორემ მაგარი ქაქანი შეიძლება.

რომეო შეიშმუშნა, სახეზე უკმაყოფილება არც კი დაუფარავს, ისე გახედა იმ გამხდარს, ყვავივით რომ დაჩხაოდა თავზე.ისე, ჩვენს შორის რომ დარჩეს, ის მეორე რაღაცათი მართლაც ჰგავდა ყვავს. ყვავივით შავი იყო. ყვავივით ცოტა აბუზული და ცხვირიც ყვავის ნისკარტივით გაეშვირა წინ.

რომეო შემობრუნდა და თავისი პალატისაკენ ნელა წავიდა. სწორედ ამ წუთებში მოხდა ყველაზე მთავარი. ერთბაშად დერეფანში ვიღაც ქალიშვილი გამოჩნდა. იმ გოგოს მაგრად გახუნებული მოლისფერი ხალათი ეცვა. ქობა მუხლისთავებს ქვევით უწევდა. წელზე უცნაურად დაგრეხილ-დაბრეცილი ცისფერი ღვლეჭი ჰქონდა შემოჭერილი. სახე ფართო, ფერმკრთალი, ლოყები ოდნავ ამობურცული. სამაგიეროდ ტუჩები ჰქონდა კარგად დამწიფებული ბროწეულისფერი, სქელი და ვნებით სავსე. ვნება არც დიდრონ შავ თვალებში აკლდა, ჩაბნედილ-ჩაღამებულ თვალებში.

ის ქალიშვილი ნელა მოდიოდა. ხელები გახუნებული ხალათის ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი. რომეო მაშინვე მიხვდა, რომ ეს ხალათი საავადმყოფოსი იქნებოდა და რეცხვა-ჩეჩვაში ლაფავდა სულს.

ქალიშვილი ახლოს რომ მოვიდა, რომეოს მოეჩვენა — თვალი გამისწორაო. რაღაც ნაღვლიანად თუ ვნებიანად შემო-

ხედა. როგორ ინატრა მაშინ მის გვერდით ის აბეზარი ტიპი რომ არ მდგარიყო. მაინც რა ჯანდაბად გადაეყარა ამდენ ხალხში ამ შარახვეტიას. მან ისიც არ იცოდა კარგად, საიდან იცნობდა ამ ტიპს. მგონი რომელიღაც გაზეთში შტატგარეშედ უნდა თანამშრომლობდეს და ბედისწერამ ბილიარდის დიდ მაგიდაზე იმ თეთრი შარებივით შეჰყარა, ჯოხის დარტყმისას აღმა-დაღმა რომ დაჰქრიან გაურეცხავ, მტვრიან მწვანე მაუდზე.

რომეოს მაინც სურდა უკან მოეხედა. ძლივს შეიკავა თავი, მზერა რომ იმ გოგოსათვის არ გაედევნებინა.

გამხდარმა სახელოზე მოქაჩა.

— რომეო, ახლა ყველა ფილოსოფოსობს. კარგი, მწერლებს დავანებოთ თავი. მათ მივცეთ ამის უფლება. ჟურნალისტებმაც დაიწყეს სიბრძნის სფეროში როკვა. ერთი ვინმე მავან-მავანი აიკრავს გუდა-ნაბადს და სადმე მშენებლობას ესტუმრება. ანდა კიდევ უკვე აშენებულ ქარხანას, ანდა კიდევ სოფელს. კალოზე ამოყოფს თავს... გაივლ-გამოივლის, ყველაფერს რევიზორის თვალს მოავლებს და მერე მოყვება ტვინის ჭყლეტას. მავანი და მავანი იტყვის, სიმინდი ფხვიერ მიწაში კი არ უნდა დაითესოს, არამედ გახურებული მარსელის კრამიტზეო. ჩარხები ჭერზე უნდა იყოს დამაგრებული, ხოლო ძროხებს მეოცე სართულის აივანზე უნდა წველავდნენო.

მთავარია ის, რომ მან რაღაც ახალი უნდა თქვას, ის, რაც ადამიანთა მოდგმას ადამისა და ევას დროიდან დაუდგენია, ჭადივით უნდა გადააბრუნოს... ამ ნოყიერ ბაზაზე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები თორნის პურივით ცხვება, ბეღურებივით მრავლდება. ერთმა საკანდიდატო მთაში მებაღეობის თემაზე დაიცვა. ოთხი წლის შემდეგ ფილოლოგიაში სადოქტორო დოლაბი გადააბრუნა. სააკადემიკოსო დაცვა რომ შეიძლებოდეს, დარწმუნებული ვარ თავის მეცნიერულ მოღვაწეობას დრეკადობის თეორიაში დაამთავრებდა.

რომეო უსმენდა, უსმენდა, მაგრამ გონებით სულ სხვაგან იყო. ეს ტიპი დანახვისთანავე არ მოეწონა და ახლა იმაზე ფიქრობდა რა მძიმე იქნებოდა მასთან მეზობლობა.

— ნახვამდის, ცოტა უნდა დავიძინო, თორემ არ შემიძლია, — უთხრა რომეომ.

— საავადმყოფოში დღისით ძილი არვარგა. მერე ღამე რეზინასავით გაიწელება და გათენებას აღარ დაადგება საშველი. ადრე, როცა დღისით ვიძინებდი, ღამე ლოგინში ვბორგავდი, თავი მისკდებოდა. ახლა დღისით არ მძინავს და ღამეს ჩინებულად ვატარებ.

— მე ასეთი რეჟიმი მაქვს გამომუშავებული.

რომეომ აშკარად იცრუა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო ამ კაცის ატანა, როგორმე უნდა გაყროდა. პალატის კარი შეაღო და მაშინვე საწოლს მიაშურა.

* * *

ღამით მართლა ცუდად ეძინა. დროდადრო ილვიძებდა და საწოლში დოლაბივით ბრუნავდა.

ერთხელ კიდეც მოეჩვენა თითქოს დერეფანში ვიღაც დადიოდა, ისე, ჩვეულებრივ მძიმე ნაბიჯებით კი არა, ჩუმად, დაფარვით თუ შენიღბვით. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ... მას კი ნამდვილად მოეჩვენა და... ასეთი რამ სხვა დროსაც ემართებოდა. ერთხელ მოსკოვში სასტუმროში დაემართა ასე. უეცრად იგრძნო, რომ აბაზანაში ვიღაც ოხრავდა. ოხრავდა ხმამაღლა, სულის მთელი ამოთქმით. დაფეთებული წამოვარდა, კარი შიშით შეხსნა და ჰრილში შეიჭვრიტა. არავინაც არ იყო და არც არავინ ოხრავდა, ცხელი წყლის ონკანი დარჩენოდათ ხანახევრად მოშვებული და გაორთქლილ აბაზანაში უცნაური შიშინი ისმოდა. მერე კიდევ სხვა დროსაც დამართია ასეთი რამეები, მაგრამ ეს როდის იყო...

ახლაც იფიქრა მომეჩვენაო, მაგრამ ყური რომ კარგად გამოიფხიზლა, დარწმუნდა დერეფანში მართლაც ვიღაც დაფრატუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვენა ხელით საბანი ზურგს უკან გადაიგდო და წამოდგა. სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა თავისი სპორტული კოსტუმი და უჩუმრად ჩაიცვა, კარიც ასე უჩუმრად შეხსნა. დერეფანში რომ გამოვიდა, წამლების სუნმა კინაღამ წააქცია. ძალიან მძაფრი სუნი იდგა. იოდის მაინც ყველას ჭარბობდა.

გამოვიდა და ჯერ ხელმარცხნივ გაიხედა, კარგად დაზვერა, არავინ ჩანდა. მერე ხელმარჯვნივ გააპარა მზერა. იქ, დერეფნის ბოლოში, განიერ ფანჯარასთან მართლაც და ვიღაც იდგა. დერეფნის ბოლოში შუქი არ ენთო, სინათლე მხოლოდ ფანჯრიდან შემოდიოდა და ის ვიღაც მთვარის მკრთალ შუქზე აჩრდილივით ჩანდა.

რომეომ გაიფიქრა ძალზე პოეტური სურათი არისო. შიგ წამლების მძაფრი სუნი, გარეთ ახლადფეხადგმული გაზაფხულის სიმძაფრე, კამკამა ცაზე დაკიდებული ფერმკრთალი მთვარე, ფანჯარასთან დაყუდებული გასაფატრად გამზადებული ადამიანი.

რომეოს არც კი უფიქრია, თვითონაც ისე წავიდა გაფერმკრთალებული მთვარისაკენ, უჩუმრად გაიარა მთელი დერეფანი და იმ უცნობის გვერდით დადგა.

— არც თქვენ გეძინებათ?

— არა, ბატონო.

მოესმა ერთბაშად რომეოს ქალის ხმა და შეკრთა. დაიბნა. თავისთავი შეაჩვენა, ხომ უნდა ეფიქრა, რომ ამ განიერ ფანჯარასთან შეიძლება სრულებითაც არ მდგარიყო კაცი. აქ ხომ შესაძლებლობა თანაბარია — ორმოცდაათი პროცენტი რომ ქალისკენაა, ერთი ამდენიც იქით, მეორე მხარეს, კაცისაკენ. თვითონ კი, დერეფანში რომ გამოფრატუნდა, გადაწყვიტა რაფასთან მდგარი არსება, უეჭველად კაცი იქნებაო. მოხდა კი პირუკუ. ახლა იდგა და კეფაზე ცივი ოფლი წყაროს წყალივით ასხამდა.

— ხშირად გემართებათ ასე? — ჰკითხა რომეომ იმ ქალს.

— თითქმის ყოველღამ. ცოტას გავივლი ხოლმე და ვმშვიდდები. მერე მკვდარივით მძინავს.

რომეომ თავი ქალისკენ ფრთხილად შეაბრუნა.

ის იყო, ნამდვილად ის, დღისით საავადმყოფოს მოლისფერი გახუნებული ხალათით რომ დასეირნობდა დერეფანში.

კეფაზე ოფლმა კიდევ უფრო დაასხა და ტანშიაც გაცრა.

— კარგი ღამეა, არა?

— მგონი ლამაზი ღამე უნდა იყოს. გაზაფხულის ნამდვილი ღამე. ხეში უკვე ჩადგა წყალი და ბუნება განაყოფიერებას იწყებს.

— თქვენ ალბათ ბიოლოგი ბრძანდებით?

— არა, ჩემო ბატონო, ერთი პატარა მუსიკოსი ვარ, მშენებელთა კლუბში ვმუშაობ, ხანდახან ვიოლინოზეც ვუკრავ.

— ჰო! — წამოიყვირა რომეომ გულწრფელი აღტაცებით, — ეგ ძალიან კარგი საქმეა. მუსიკას რა სჯობია. ვიოლინო მაინც ხომ დიდებულია. ღმერთი, მუსიკის ნამდვილი ღმერთი!

— გიყვართ მუსიკა?

— როგორ არა, მუსიკისათვის ვგიჟდები.

— ნახეთ, ცას ერთი დიდი ვარსკვლავი მოწყდა, როგორ ეშვება.

— ჰო, მართლაც მაგრად ეშვება. თქვენი კლუბი სად არის?

— აქედან შორსაა, — გოგონა შემობრუნდა, — ჟინვალჰესის მშენებლობა ხომ იცით?

— როგორ არ ვიცი, ბარე სამჯერ მაინც ვყოფილვარ იქ.

— მართლა?

— დიახ, — თქვა რომეომ და მარჯვენა ხელით სპორტული კოსტუმის ქობას ჩააფრინდა, გრეხდა და გრეხდა. თანაც ის დაწყევლილი ცივი ოფლი ისევ და ისევ ასხამდა.

ჟინვალელმა იმარჯვა.

— სოფლის ღამეს ჰგავს... ხეებში გაჩხირული მთვარე... — თქვა მან.

— ზუსტად მასეა. თითქოს და ანგალმა ბიჭებმა ხმელ ტოტებში ყვითელი ქუდი მოისროლეს.

ეს შედარება გოგოს მოეწონა, მაშინვე ცოტა შესწორებით ხმადაბლა ჩაიდუდუნა: „ონავარმა ბიჭებმა ყვითელი ქუდი ხის ტოტებში მოისროლეს“.

კარგად თქვით.

— მართლაც ასეა.

დერეფნის შუაგულში, რომელიღაც პალატის კარმა საცოდავად გაიჭრიალა. ვიღაც ბერიკაცი გამოხანხალდა. ვრცელსახელოებიანი თბილი ნაცრისფერი ხალათი ეცვა. ერთი გაიხედა დერეფნის ჩაბნელებული ბოლოსაკენ და კიბეს მიაშურა. ძლივს მიდიოდა, ოხრავდა და ხვნეშოდა, ხანდახან ჩახრინწულად ახველებდა.

— საშინელებაა არა სიბერე? — იკითხა რომეომ.

— რატომ! მოხუცები არ გიყვართ?

— როგორ არა, ძალიან პატივსაც ვცემ, მაგრამ ადამიანის დაუძლურების პროცესია შემაზრზენი. ძლიერი, ყველაფრის შემქმნელი კაცი, შენს თვალწინ არარაობა და საცოდაობა ხდება. ადამიანი მაშინ კვდება, როცა ძლიერებას კარგავს და სიბრალულს იმსახურებს მხოლოდ.

გოგონას არ უპასუხია. სიბნელეში რომეომ მაინც შენიშნა, რომ მან მხრები აიჩეჩა. მერე ისიც დაინახა, როგორ დაამთქნარა და ტუჩებზე ხელის აფარებაც მოასწრო.

— უკაცრავად, ბატონო.

— ოპერაციას იკეთებთ?

— დიახ, ოპერაციას...

რომეოს უნდოდა ეკითხა რის ოპერაციას იკეთებთო, მაგრამ მოერიდა. კარგად იცოდა ამ საავადმყოფოში ადამიანები სხეულის რომელი ნაწილის ამოსაკვეთადაც მიდიოდნენ. სწორედ ამიტომ მოერიდა, აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო... ის კი არა და ისიც იფიქრა, სულ ბოლო კითხვა არ უნდა დამესვაო, უტაქტოდ გამომივიდაო და სხვა მისთანანი. მერე ისიც დაინახა, გოგონამ მეორედ რომ დაამთქნარა. ბოლოს გოგონა შემობრუნდა, უკაცრავადო თქვა, სიბნელიდან გავიდა და დერეფანს გაჰყვა. რომეომ თვალი გაადევნა და ისიც გაიფიქრა, — ჯიშიანი გოგოაო. აი მსხალი რომ კარგად დამწიფდება და პირის ჩამტკბარუნებელს უცდის, სწორედ ისეთიაო.

* * *

რომეოს გვიან გაეღვიძა. უფრო სწორად, თვითონ სულაც არ გაღვიძებია, ძალით გააღვიძეს. თავზე ის გაჩხინკული კაცი ადგა, იმან წამოაგდო ფეხზე.

დილის საუზმე უკვე ჩამოერიგებინათ და მის ტუმბოზე რძით სავსე თხელი ჭიქა იდგა. იქვე, ლამბაქზე კარაქი და კარგად დაბრაწული ფუნთუშაც ჩანდა.

რომეომ თვალები უსიამოვნოდ მოიფშვნიტა და გამხდარს ახედა, აქაო და სიფთაზე რას გამომეცხადაო. გამხდარი დაბღვერილი დაჰყურებდა, ისე, თითქოს რომეოს მისი, სულ ცოტა, ათასი მანეთი მაინც მართებოდეს და ვექსილსაც ვადა ნახევარი საათის წინ გასვლოდეს.

— ჰო, რა გნებავთ? — იკითხა რომეომ, უნდოდა საქმე უცბად გაეთავებინა და ახლა მარჯვენა გვერდზე ეძინა.

— ელექტროსაპარსავი გექნება?

— მაქვს.

— ჰოდა, მათხოვე.

რომეო ლოგინში ზანტად წამოჯდა. მარჯვენა ხელით ტუმბოს უჯრა გამოაღო და საპარსი გამხდარს გაუწოდა. სიტყვაც არ დაუძრავს, სახეშიაც არ შეუხედავს იმ კაცისათვის. მერე ისევ დაწვა, კედლისაკენ გადაბრუნდა და თვალები დახუჭა.

შემდეგ ექიმმა გამოაღვიძა. რა დრო იყო, ისიც არ იცოდა. ექიმიც გამხდარი კაცი გახლდათ. ახონხლილი, სარივით წაგრძელებული და ერთციცქნა მხრებში ოდნავ მოხრილი. ისეთი პატარა თავი ება, გეგონებოდათ საზამთროს ლერწმა ალუბალი მოისხაო. ცოტათი იმ კაცს შეადარა რომეომ, შტატგარეშე ჟურნალისტს, ხეირიანად რომ არც კი იცნობდა და უკვე წვერის საპარსი თხოვა, მხოლოდ ეს იყო, ექიმი თეთრი გახლდათ, მთლად თეთრი, აი ახლად დაყრილი თოვლივით ქათქათა სახე ჰქონდა. ის შტატგარეშე კი აფრიკიდან მოსული გეგონებოდათ.

ექიმმა ყველაფერი გამოკითხა, რაც საჭირო იყო და მგონი ისეთი რამეებიც კითხა, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პარაპროქტიტთან. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა, რომ ექიმმა უთხრა: აქ დღეს კიდევ ერთი ავადმყოფი უნდა შემოვიყვანოთო.

რომეო შეკრთა, საზიარო ყველაფერი სძაგდა ამ ქვეყანაზე. ეს ბავშვობიდან მოსდევდა, როცა მშობლებთან ცხოვრობდა, კალინინის ქუჩაზე, გაყოფილ ბინაში. ორი ოთახი მათ ეჭირათ, ორიც კიდევ ვიღაც აშუმოვებს. იმ აშუმოვებს შვიდი შვილი ჰყავდათ. შენი და ჩემი არ იცოდნენ, ვირთხებივით დაძვრებოდნენ საერთო და საზიარო სათავსოებში. რომეოს მშობლები ჯერ ითმენდნენ, ითმენდნენ და ხმა კრინტს არ ძრავდნენ. მერე ამ ონავრებმა მთელი სახლი, რომ გადმოაბრუნეს, ჯერ მამამ დაიყვირა. მერე დედაც აჰყვა და მის შემდეგ საზიარო სათავსოების საზღვარი ხან სად გადადიოდა და ხან კიდევ სად.

ამის გახსენება ყოველთვის ჟრუანტელს ჰგვრიდა რომეოს. იქიდან მოყოლებული, ყველაფერი საზიარო შეიძულა. ბედი კი დასცინოდა, მთელი ცხოვრება ისე გაატარა, საკუთარი კაბინეტი არ ღირსებია. ერთი ციცქნა ოთახში ხან ოთხი კაცი იჯდა, ხან ხუთი, ერთხელ რვამაც კი მოიყარა თავი. ნამდვილი ბაზარი გახლდათ. რვიდან ყველა ეწეოდა, რომეოს გარდა, და ოთახშიც აუტანელი კვამლი იდგა.

ახლა ახალი ავადმყოფი რომ უხსენეს, სახე მოექუფრა. გაიგე შენ, ვინ მოვა...

მოვიდა კი ერთი მხიარული ოცდაათიოდე წლის კაცი.

ეს სადილის შემდეგ მოხდა. დეიდა სუსანამ დიეტური კატლეტები რომ ჩამოარიგა და მერე ცხელი ფაფაც მოაყოლა.

კარი შემოაღო იმ ოცდაათიოდე წლის კაცმა. ხელში ნეილონის პატარა პარკი ეჭირა. პარკიდან, როგორც მინაში ისე ჩანდა წვერის საპარსი მოწყობილობა, რკინის გასაქაფი, ბეწრის თმასავით შეთხელებული ფუნჯი, ჟანგმოდებული სამართებელი, საპონი, კბილის ჯაგრისი და კიდევ სხვა წვრილმანი.

შემოვიდა ის კაცი და ისეთი რიხით დაიძახა გამარჯობაო, რომელს ეგონა ქვეყნის მპყრობელი გამომეცხადაო. ისე დიდი თავხედი ვინმე კი გახლდათ, დაყვირებაც აღარ იკმარა, რომეოს თავზე დაადგა და ზემოდან დასჩხავა: ავადმყოფობამ ხომ არ გაგღუნა მეზობელოო.

ეს ისე თქვა, თითქოს მოსულსა და დამხვდურს მთელი ცხოვრება ერთად ეტარებინოთ და ფიციც დაედოთ, რომ სულ ბოლომდე, ცხოვრების განიერი ჭიშკრიდან გასვლამდე, ასე ევლოთ.

რომეო ლოგინში წამოდგა. ორივე ფეხი ერთად, მწყობრად გადმოაწყო საწოლიდან და იატაკზეც ასევე მწყობრად დაუშვა. მერე დაბნეული მზერა იმ ახალმოსულს მიაპყრო.

— მიხას მეძახიან, გვარად თომაშვილი გახლავართ. თქვენ რა გქვიათ?

თქვა იმან, ახლადმოსულმა. იღიმებოდა, ძალიან სუფთა და ხალასი ღიმილი კი ჰქონდა, უმალვე მის მიმართ ნდობით განეწყობოდით. რომეო კი მაინც მოღუშული და გამოლენჩებული იჯდა ვიწრო საწოლზე. მიხამ რომ ხელი გამოუწოდა, ძლივს მოახერხა თავისიც შეეგებებინა. მიხამ ისე მოუჭირა ხელი თითქოს და გასაწური სარეცხი ყოფილიყოს. ესეც არ უყვარდა რომეოს, ხელის ჩამორთმევის დროს უხეში ძალის გამოვლენა, გაუთლელობად მიაჩნდა და მეტ არაფრად. ამიტომ მაშინვე უსიამოვნოდ განეწყო ამ ახალი მეზობლის მიმართ. თავისი ვინაობა კი უთხრა, მაგრამ ისე ჩაიჩურჩულა, მგონი მიხას არც არაფერი გაუგია.

— იცით რა, ძმობილო, მოდი ფანჯარა გამოვაღოთ, თორემ ორთავენი გამოვიხრჩობით, საშინელი ჰაერია. მგონი ეს სახლი რაც რომ აუშენებიათ, ფანჯარა არც კი გაუღიათ. ასე არ არის, ძმობილო?

რომეომ არ უპასუხა. პასუხი არც კი იყო საჭირო. მიხა მაშინვე დაფაცურდა, ტუმბოზე დახორავებული თეფშები მისწიმოსწია. ცარიელ ადგილზე გადაწვა და ფანჯრის საკეტს მისწვდა. ტკაპ! დაიძახა რაღაცამ და რომეომ იგრძნო, როგორ შხუილით შემოიჭრა პალატაში ადრე

გაზაფხულის სუფთა, ცოტა სუსხიანი ჰაერი.

მაშინვე თავისთავზე გაბრაზდა. ნუთუ ამდენხანს ვერ მოიფიქრა ფანჯრის გამოღება... ეამა სუფთა ჰაერის ჭავლი და ნელნელა სიცოცხლის ხალისიც დაუბრუნდა. მხოლოდ ახლა გახსნა ქუჩრი, მოღუშული სახე.

— ასე არ ჯობია, — დაიროხროხა მიხამ და ტუმბოზე დაყრილ თეფშებში ისევ მოაფათურა ხელი.

რომეოს კრინტიც არ დუძრავს, ისევ გასუდრული იჯდა, დამუნჯებული და მუმიად ქცეული.

— ხომ გიყვართ სუფთა ჰაერი, ძმობილო? სუფთა ჰაერს რა ჯობია. თქვენც ბუასილი გჭირთ? ჰა, ჰა.

მიხამ ერთი ისეთი როხროხი ჩაახვია, რომეო კიდეც შეკრთა და კიდევაც შეაკანკალა. მერე ის დალოცვილი იმიდენა პირს აღებდა, ბეჰემოტი გეგონებოდათ. თეთრი, ქათქათა, ჩაკიწკიწებული კბილები მოუჩანდა.

— არა, ბატონო, მე სულ სხვა რამ მაწუხებს.

— რას ამბობ, ძმობილო, ეს ბუასილიანების საავადმყოფოა. თქვენ გულის მანკით აქ როგორ მოხვდით?

— ხუმარა ბრძანებულხართ. გული ძალიან კარგ მდგომარეობაში მაქვს. მიდღემდე სიგარეტი არ მომიწევია და არც არაყი დამილევია, ღვინო და ლიმონათი ჰო და ჰო...

— ეგ რა სატრაბახოა, კაცმა კიდეც უნდა დალიოს, ქალებშიაც გაისეირნოს, არაფერში არ უნდა გამოწყდეს. სიცოცხლე ერთხელ მოდის, მხოლოდ ერთხელ... შენი წილი ულუფა მთლიანად უნდა გადაყლაპო. სულ ერთია, შენს ნასუფრალს არავინ მიუჯდება.

მიხამ ისევ ისე უშნოდ, მთელი ხმით, მთელი გულით ჩაიროხროხა.

ხმა ისეთი ჰქონდა, გეგონებოდათ ძველისძველ უშველებელ ზარზე ჩამოჰკრესო. რომეოს კიდეც აშინებდა ეს და კიდეც ზარავდა. ამ მომენტში ყვავივით შავმა შტატგარეშემ რომ შემოიხედა, გაუხარდა.

შტატგარეშემ ჯერ მართლაც შემოიხედა, ღრიჭოდ გაღებულ კარში სამკუთხედის ქარგაზე გამოჩორკნილი თავი შემოჰყო, თვალები მიმოავლო და მერე იკითხა, რომეო არ გძინავსო?

რასაკვირველია, რომეოც მაშინვე გამოეხმაურა და ის შტატგარეშე ჟურნალისტიც ოთახში შემოფაჩუნდა.

მიხა რომ დაინახა, სახე გაეხსნა.

— ახალი პაციენტი მოსულა?

თქვა და მიხას დაძარღვული ხელი გაუწოდა.

— მიხა, — დაიყვირა ახალმოსულმა, — თქვენი სახელი, ძმობილო?

— გოგი გახლავართ. გოგი ლოსაბერიძე.

რომეომ ახლა გაიხსენა ეს ლოსაბერიძე, ციცქნა ინფორმაციებს რომ აცხობდა სპორტულ გაზეთში. ის კი ვერ დაადგინა, ხაბაზი თვითონ იყო თუ ვინმე მეცენატეც ეხმარებოდა. ხომ ხდება ხოლმე, ეტყვი გამისწორეო და ის გამსწორებელი ხელახლა წერს.

— მაშ, გოგი, არა? გიორგი, კარგი სახელია. მის შემდეგ მაინც, როცა გიორგი ბრწყინვალემ ერთხელ კიდევ სცადა დაქცეული ქართული იმპერიის ფეხზე დაყენება.

თქვა მიხამ ახლა უკვე სერიოზულად. შუბლი შეიკრა, სახეც რაღაც ფიქრიანი გაუხდა. ფიქრი და ნაღველი ადიდებულ მდინარესავით მოედო მთელ სახეზე და ღიმილი დაუდევრად წაშალა.

რომეოს გაუკვირდა ამ დაუდეგარი, უხეში სახის სწრაფი ცვალებადობა. ჩაახველა და ხმა დაიწმინდა.

— გოგი, დაბრძანდით! — თქვა რომეომ და სკამი სტუმრისაკენ გააჩოჩა.

ლოსაბერიძე ჩამოჯდა.

— წუხელ რომენ როლანს გადავავლე თვალი. ბარე ათჯერ მექნება ჩაკითხული, მაგრამ წუხელ ისევ დავუბრუნდი. „კოლა ბრუნიონი" გახსოვს?

რომეოს შეხედა.

— მახსოვს.

— მხიარული, დაუდეგარი კოლა... სუ-

ფთა ფრანგული ხასაითი გახსნა რომენ როლანმა...

— ყოფილხართ საფრანგეთში? — ჰკითხა მიხამ.

— საფრანგეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ...

— მაგრამ სად ბრძანდებოდით?

ლოსაბერიძე შეიშმუშნა, გამხდარ ლოყებზე ორი ისეთი ღარი გამოესახა, თითქოს ტრაქტორმა გაიარაო და კარტოფილის თესვისათვის მაგარი არხები გაავლოო.

ჰოდა, ასე დაეღარა სახე გიორგის. მარტო კი არ დაეღარა, დაემანჭა კიდეც.

— თქვენ, მეგობარო, ისე ლაპარაკობთ თითქოსდა სორბონის უნივერსიტეტის აუდიტორიებში დილიდან საღამომდე ქანცგაწყვეტილს გერბინოთ, — თქვა ლოსაბერიძემ.

— ვყოფილვარ სორბონაშიც, — რბილად ჩაახვია მიხამ და ლოსაბერიძეს ცერად გახედა.

— ბევრ სხვაგანაც ვყოფილვარ. ჩვენი ქარხნიდან ორი მუშა გაგვაგზავნეს და მთელი საფრანგეთი მოვიარეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ახლა ლოსაბერიძემ ჩაახველა და სახეზეც აშკარად შეეტყო, რომ მიხას მიმართ უფრო მეტი პატივისცემით განეწყო.

— თქვენ კი რაღაცეებს ლაქლაქებთ, ფრანგული ხასიათი, გერმანული ხასიათი, იქით კიდევ ალბათ ურუგვაული, მექსიკური და სხვა. ძმობილო, ჯერ გაიხედგამოიხედეთ, თვალს წყალიც დაალევინეთ და კოკაკოლაც, სხვა ქვეყნების ხასიათზე მერე გალესეთ ენა. არ გეწყინოთ, ასეთი ხართ, გამიგებთ. არ გეწყინოთ, ასეთი ლაპარაკი ვიცი, განათლებული ხალხი ხართ, გამიგებთ.

რომეო წამოდგა. შტატგარეშეს გახედა.

ძალიან ტრაგიკული სახე ჰქონდა იმ ლოსაბერიძეს. შეხედავდით თუ არა, მხოლოდ იმას იტყოდით, რაც ქვეყანაზე უბედურება დატრიალებულა, ყველაფერი ამ კაცის ცხვირწინ გათამაშდაო. იდგა ასე, გამომშრალი შავ მუმიასავით და არეული მზერა ფანჯრისათვის მიეპყრო;. მერე სწრაფად შებრუნდა, კარი ფაციფუცით გამოაღო და დერეფანში გავარდა.

რომეოს თავის შეკავება უკვე აღარ შეეძლო. წყაროს თავზე კოკა რომ აივსება, ისე გაპიპინდა, გაიტიკნა. უცბად მოიღუნა და ცხენივით აჭიხვინდა. ხელები მუცელზე მიიჭირა, ორივე ხელი მიიჭირა და ისე ჭიხვინებდა. მიხამ ჯერ შუბლშეკრულმა უყურა, უყურა, მერე თვითონაც მიიჭირა მუცელზე ხელი და აროხროხდა.

— სეირი იყო განა, ძმობილო, კომბალივით მოვისროლეთ... ენა რომ გაუგდია და ტვინი რქაწითელივით დაგვიწურა, დღეს განა წიგნით ვინმეს გააკვირვებ! უბრალო წიგნები კი არა, ენციკლოპედიებითაა თაროები დაძეძგილი. ეგ ვისი ტიკიტომარა ყოფილა. ფრანგული ხასიათი... მის ცხვირწინ არამა რომ ცხოვრობს, მისი ვერაფერი გაუგია, ვერც ხასიათი და ვერც ასავალ-დასავალი და ფრანგების ხასიათს კი იკვლევს. ანეკდოტი არაა, ძმობილო!

რომეო ჭიხვინებდა და ჭიხვინებდა, მთლად ჩაბჟირდა, სააღდგომო კვერცხის ფერი გახდა.

მერე კარი ისევ რომ გაიღო და ლოსაბერიძე გამოჩნდა, რომეომ თავი ასწია, თვალი გაუსწორა.

ლოსაბერიძე იდგა წელში გამართული, თავაღებული, მარჯვენა ხელის შეკრული მუჭი წელზე მიებჯინა.

— კანტი კენისბერგს არც კი გაშორებია, მანჩესტერის ხიდი კი როგორ აღწერა. ბიჭი ხარ და სცადე! — დაიყვირა მან. წელზე მიბჯენილი ხელი კარისაკენ გაიშვირა, გამოაღო და საზეიმო იერით დერეფანში გაიჭრა.

მიხამ ერთი ისეთი დაიროხროხა, მინებმა ზანზარი დაიწყეს.

—კანტი, კანტი! სად გაახსენდა? ანდა კიდევ მანჩესტერის ხიდი. მაგარი ანეკდოტისტია თქვენი მეგობარი, მაგარი...

იროხროხა და იროხროხა მიხამ.

— კიდევ დაბრუნდება, — თქვა რომეომ.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია.

იმავ დროს კარიც გაიღო. რომეო ელოდა ახლა, ამ წუთში, ლოსაბერიძე შემოანათებსო. შემოანათებს კი არა, შემოაბნელებსო. მიხაც ამას ელოდა, მაგრამ ღია კარში ერთი მოსული ძია გამოჩნდა. ჩასუქებული, კუპატივით გამოკვართული და ჩაპუტკუნებული. ხელში უშველებელი პორთფელი ეჭირა, სწორედ ისეთი, მის სიგრძეს და განს რომ მოუხდებოდა. სახეზე საზეიმო იერი აესახა, თითქოს წვეულებაზე მოსულიყოს, დაეპატიჟნოთ და ისე გამოცხადებულიყოს.

შემოვიდა მოსული ძია ღია კარში. ის უშველებელი პორთფელი საერთო პატარა მაგიდაზე ისე ფრთხილად დადო, თითქოსდა მინის ჭურჭლით ყოფილიყოს სავსე. გაიხედ-გამოიხედა. ჯერ მიხას შეანათა შავი ბრიალა თვალები, მერე რომეოს გახედა და მხოლოდ ამის მერე თქვა გამარჯობათო.

სალამზე პასუხი რომ მიიღო, თავისუფალ საწოლს მიუბრუნდა. ორივე ხელით ჩააფრინდა და კარგა გვარიანადაც შეანძრია, მუშტრის თვალით აზომა და აწონა.

მიხამ ენას კბილები ველარ დააჭირა.

— ძმობილო, მეკრაოტე ბრძანდებით?

იმან, ახლადმოსულმა კოპები შეკრა და მიხას ისე ჩააშტერდა.

მიხა კიდევ ადგა, იმ პუტკუნა ხელზე, მიხას საწოლზე რომ ედო ახალმოსულს, თავისი ხელი დაადო.

— არ იტყვი, რომელი საბუდარიდან ამოფრინდით?

— შენ რა, ქათმების ფაბრიკაში მუშაობ? — თქვა იმ ჩაპუტკუნებულ-ჩაკურატებულმა. თავისი წითური ხელი მიხას მტევანის ქვემოდან გამოაცურა და მაგიდაზე დაგდებული, კარგად დაპურებულ ძროხასავით ფერდებავსებული პორთფელი აიღო.

— მოვრჩით? ეს არის და ეს...

— არა, არ მოვრჩით. მთავარი მაინც არ გითქვამთ, საიდან გამოგვეცხადეთ? — თქვა მიხამ და ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა.

იმან, იმ ახლადმოსულმა პორთფელი საწოლზე დადო.

— საიდან მოვედი?

— ჰო, საიდან?

მიხა იღიმებოდა, ცალი ხელი საწოლის თავზე დაედო. მეორე ხელის მტევანი ტუმბოზე ლელვის ფოთოლივით გაეშალა. იდგა ასე და იმ ჩაპუტკუნებულ კაცს თვალს შამფურივით უყრიდა.

— აი, იქიდან მოვედი...

ჩამრგვალებულმა დაუსტვინა.

რომეო წამოდგა.

— ეს საწოლები არ მოგწონთ?

ახლადმოსულმა რომეოს ცერად გახედა.

— იცი რა გითხრა, ძმაო. მე მემწვანილე კაცი ვარ. სოლანლუღელი აბასა გახლავართ. სოლანლუღელი კი არა, ნაფარეულში დავიბადე, სოლანლუღში ზედსიძედ მოვედი. ჰოდა, ერთხელ დახურულ ბაზარში დახლზე რომ კიტრი და პამიდორი, ნიახური და ხახვი, პიტნა და ქინძი ჯიგრიანად გავშალე, დახლი წაიქცა, თავზე დამეცა და ორი თვე საავადმყოფოში გავჭიმე. მის მერე არავის არ ვენდობი. თავათ უნდა გავსინჯო, ძმაო. იცით ვინ მომიწყო ეს საქმე? ქუთაისელმა მემწვანილეებმა, ქვემოდან გადაეხერხათ დახლი, დავყარე მწვანილი და ჰოპ, ჩაინგრა!

სოლანლუღელმა აბასამ ტიკჭორასავით გამობერილ მუცელზე მარჯვენა ხელი დაირტყა, იმ ტიკჭორა მუცელმაც ისეთი ხმა გამოსცა, დიპლიპიტოს რომ წამოიწყებენ მაგრად გადაჭიმულ დოლზე.

რომეომ დაამთქნარა. მიხამ სკამი გამოაჩოჩა, ზედ ჩამოჯდა და აბასას ცერად გახედა.

— მაშ მწვანილს ჰყიდით!

აბასამაც გამოაჩოჩა სკამი. მხოლოდ ზედ არ ჩამომჯდარა. მარჯვენა ფეხი შემოდო მხოლოდ და ზემოდან ქორივით გადმოხედა მიხას.

— ხო, მწვანილს ვყიდი, გაიგე? ფული არა მაქვს თუ რა!.. ფული წონითა მაქვს, დათვლით კი არა.

მიხამ გამოხედა.

— საიდანა გაქვს ამდენი ფული, აბას?

— როგორ საიდან! მთავარია მარიფათი. ქურდი არა ვარ და მამაძაღლი, მწვა-

ნილს ვყიდი და ფულიც მოდის, მოდის და მოდის.

— ბლომად მოდის? — ჰკითხა რომეომ.

— ბლომად, აბა, სულ ბლომად მოდის...

მერე დაიხარა, საწოლზე გადაფენილი ზეწარი ასწია. ყურადღებით დახედა, გასინჯა, აწონა-დაწონა.

— ვარგა?

ჰკითხა მიხამ. მიხამ კი ჰკითხა, მაგრამ აბასამ არ უპასუხა. ის კი არა და ისეთი სახე მიიღო, თითქოსდა მიხას ხმა არც კი გაეგონოს. ნელა ჩაახველა, დაამთქნარა. ჰა, ჰიო, ჩაიბუბუნა და თავიც მერე ასწია.

— თქვენ ეი, დოსტებო, დიდი ხანია აქ რომ მობრძანდით?

რომეომ გამოხედა, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა.

— არა, ჩვენც ახალი მოსულები ვართ.

— ჰოო, — ჩაიბუბუნა აბასამ. ის ფერდებავსებული პორთფელი აიღო. გახსნა და შიგ რაც ავლადიდება ეყარა, ლოგინზე მიმოფანტა. მერე თვითონაც ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა და სათითაოდ იწყო წითელი და ყვითელი ქვედა საცვლების, ლურჯი მაისურების, გასაშლელი ხამართებლის, ალუმინის გასაქაფისა, ფუნჯისა და შინნაქსოვი თეთრი წინდების დალაგება. შორს არ მიჰქონდა, იქვე ახლოს, სკამზე აწყობდა. აწყობდა და მერე მარჯვენა ხელით გულდაგულ ტკეპნიდა.

ამ საქმეს რომ მორჩა, სული მოითქვა, ფეხზე ზანტად გაიძრო, მერე შარვალიც გაიძრო და პერანგიც. ასევე ზონინით აიღო სახთუმალთან დაწყობილი ყავისფერი, გახუნებული ზედა პიჟამო და ხელები გაუყარა. გულდაგულ გასინჯა, მომერგო თუ არაო, როცა დარწმუნდა მართლაც ტანზე კარგადა მაქვსო, იმ ყავისფერ შარვალშიაც გაუყარა მორგვულა ფეხები. ოთახში გაიარა, კარისაკენ წავიდა, ზედ კართან შემობრუნდა და ხარის ჩანახშირებული ბდღვიალა თვალები რომეოს მიაპყრო.

— ჰა, კარგია?

— ჰო, კარგია, სულ თქვენს ტანზეა გამოჭრილი.

აბასას ეამა, ჩაიღიმა.

— მე ავარჩიე, იქვე მოვირგე. აბა მერე, რომ წამოიღებ და არ მოგერგება, უყარე კაკალი... მე ავარჩიე, მაშა!

საწოლზე მიეგდო.

რკინის საწოლმა საცოდავად დაიკნავლა, დაიხრიგინა. რომეოს ისიც კი ეგონა ახლავე ჩაიმსხვრებაო და აბასასაც ქვეშ მოიყოლებსო. მაგრამ რაღაც სასწაულით ეს არ მომხდარა და რომეომაც შვებით ამოისუნთქა.

აბასამ თავი ბალიშზე არხეინად მიდო და მაშინვე გაირინდა.

— იმ ჩვენმა მეგობარმა რაღაც დაგვივიწყა, არ ჩანს, — თქვა მიხამ.

— თქვენ ისეთი რამეები უთხარით, საუბრის მადა გაუფუჭეთ, — უპასუხა რომეომ.

იმ წუთში აბასას საწოლი ისევ აჭრიალდა.

— იცით რა გითხრათ, ძმებო, ახლა ლაპარაკს მოეშვით, უნდა დავიძინო.

— ჯერ ხომ მხოლოდ შუა დღეა? — თქვა რომეომ.

— შუა დღეა, თუ შუაღამე, ეს მე თქვენზე ნაკლებათ არ ვიცი. უნდა დავიძინო, მოვრჩით, ხმას ნუღარ გაიღებთ.

მიხა ადგა. არც რომეოსათვის შეუხედავს და არც აბასასათვის, ისე გაიარა ის მომცრო ოთახი და კარი გაიჯახუნა.

რომეომ ბალიში გაისწორა და საწოლზე უხმაუროდ წამოგორდა.

პირველმა ხუთმა წუთმა ისე გაიარა, რომ იტყვიან ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდითო. მერე აბასამ თავისი კონტრაბასი გამართა, ოთახში ისეთი ხმები დაირხა, გეგონებოდათ სამჭედლოს უზარმაზარი საბერველი აამუშავესო.

რომეო მთლად დაპატარავდა. თბილ საბანზე ოთხად მოიკეცა და ძრწოლვით უსმენდა იმ უშველებელი საბერველის ქშენას. მთელი ერთი საათი ისე იწვა, არც კი განძრეულა. საწოლის ბოლომდე გაჭიმული ფეხები მხოლოდ მაშინ გაანძრია, პალატის კარი მიხამ რომ შემოაღო. შე-

მოვიდა მიხა, კარი ზურგსუკან მიიხურა და ზედ მიეყრდნო. მერე ლოგინზე მიგდებულ აბასას გახედა, გაიღიმა და რომეოს ხმამაღლა გადასძახა:

— ეს მაგარი სასულე ორკესტრი გამოუგზავნიათ ჩვენთვის. აბა, ერთი ყური მიუგდე, რა ხმები არ ისმის.

— ჩუუ! — დაიძახა რომეომ და ტუჩებზე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიიდო.

— გავჩუმდე თუ არა, ყმები არ ამიყაროს მუხრანის ბოლოზე... — თქვა მიხამ. კარს მოშორდა და თავისი საწოლისაკენ წავიდა.

— გაჩუმდი, — მაინც თქვა რომეომ.

იღბალზე აბასას არფერი გაუგია. აბა, რომ გაეგო, მაშინ იქნებოდა, რაც იქნებოდა, მაგრამ ისე გულიანად ეძინა და მონდომებითაც ხვრინავდა, არაფერი გაუგია.

მიხა თავის საწოლზე ჩამოჯდა.

— არა, ძმაო, ამ პალატაში აღარ დამედგომება.

ესა თქვა და თვითონაც მიწვა. კედლისაკენ გადაბრუნდა და ზურგი რომეოს მიუშვირა.

მერე დეიდა სუსანა მოვიდა. საგორებელი კართან დააყენა, პირველი თავი კერძი ჩამოარიგა. აბასას რომ შეხედა, თქვა: ამისთვის ჯერ კვება არ დაუნიშნავთო, მაგრამ თუ გულით უნდა პირველი, დავუტოვებო.

რომეომ ჩურჩულით უთხრა, გააღვიძეო. დეიდა სუსანას ყურიც არ გაუპარტყუნებია. მეტი საქმე არა მაქვსო, კარი გაიხურა და საგორავებელს ფეხი აუდგა.

მიხა გამობრუნდა. ხელები თავქვე შეიწყო, მერე რომეოს გადახედა... წვნიანი გაგვიცივდებაო, თქვა და ადგა.

რომეო ახლაც არ ამდგარა. დეიდა სუსანამ მეორე თავი კერძი რომ შემოიტანა, მხოლოდ მაშინ ადგა და ისიც მაგიდას მიუჯდა.

აბასამ მხოლოდ საღამოს გამოიღვიძა. ზოზინით წამოდგა და ოფლიან სახეზე პირსახოცი მოისვა. ისეთი გაოფლიანებული იყო, პირსახოცი თვალისდახამხამებაში გასაწური გახდა. მერე ის პირსახოცი საწოლზე უდიერად მოაგდო და მშვრა რომეოს გაუსწორა.

— ამ ოხრებმა მშიერი უნდა მოგვკლან?

— საჭმელი უკვე დაარიგეს, — უთხრა მიხამ.

— რაო?! — აბასამ გაიკვირვა.

— ჰო, სადილს რახანია მოვრჩით.

— მერე მე?

— ექიმებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, როგორი რაციონი მოგართვან?

აბასამ მუშტი მაგიდას დაჰკრა. ორი თეფში და ორიც კიდევ მონიკელებული კოვზი ჰაერში აფრინდა. კოვზებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თეფშები რომ დაუმსხვრევლად გადარჩა, ალბათ სასწაულს უნდა მივაწეროთ.

მიხა წამოვარდა.

— შენ ეი, ძმობილო, რა დებოშებს აწყობ?

რომეო გაფითრდა, ცივმა ოფლმა დაასხა,—იფიქრა, საცაა სულსაც განუტევებდა.

— ჰო, რა ამბავში ხარ?

აბასა დაიჩუტა.

— არა, ისე, ხელი მომიხვდა.

— ხელი მოგიხვდა თუ მოახვედრე, ეგ სულ არ მეკითხება, საავადმყოფოში ხარ, დახურულ ბაზარში კი არა.

— ეგ ვიცი! — თქვა აბასამ და კარი უხმაუროდ გამოაღო.

— კარგად უთხარი,—წამოიკნავლა რომეომ, აბასამ კარი რომ გაიხურა.

მიხას არ უპასუხნია, კედლისაკენ გადაბრუნდა და თვალები დახუჭა. რომეო კი თვალებდაჭყეტილი ისევ ჭერს შეჰყურებდა.

აბასა მალე ისევ უკან დაბრუნდა. კარი ფეხის კვრით შემოაღო. მარცხენა ხელში წვნიანით სავსე თეფში ეჭირა, მარჯვენაში თეთრი პურის ნაჭრები.

არაფერი არ უთქვამს, ისე შემოვიდა. კარი ისევ ფეხით მიხურა და თეფში მაგიდაზე დადო. განთავისუფლებული ხელით სკამი გამოიჩოჩა. ჩამოჯდა და მაშინვე წვნის ხვლეპას შეუდგა. ხმაურით ჭამდა. ისეთი ხმაურით, რომეომ ყურებიც კი დაიცო.

ის ღრმა თეფში პირწმინდად მოასუფ-

თავა, ხელები გაზეთის ნაგლეჯზე შეიხოცა და დერეფანში გავიდა.

რომეოს მოეჩვენა, რომ ის დღე აუტანლად გაიჭიმა, აღარ დაადგა საშველი დაღამებას. გარეთაც გაზაფხულის ცივი ქარი უბერავდა და მთლად გაძარცული ნაზამთრალი ხმელი ტოტები ხაცოდავად იხრებოდნენ ჰაერში. როცა ეს ტოტები ქარს სულ ახლოს მოჰქონდა, ფანჯარასთან, რომეო ხედავდა როგორ დაბერილიყო ზედ ქორფა კვირტები. ისინი ალბათ სულ მალე დასკდებოდნენ და ბუნებას შეუცვლიდნენ ლაზათს.

ბოლოს მაინც, როგორც იყო, დაღამდა. დაღამდა და ჩამოწვა უკუნი.

აბასამ ხვნეშით გაიძრო წინდები, მერე პიჟამოც ზედ მიაყოლა და საწოლში შეგორდა. ხვრინვა მაშინვე არ დაუწყია. ერთხანს მშვიდად, ნორმალურად სუნთქავდა. მის არსებობას ვერც მიხა გრძნობდა და ვერც რომეო. მაგრამ ეს ბედნიერი წუთები ცოტა ხანს გაგრძელდა. მერე წამოიწყო აბასამ და მეზობელი პალატებიც ფეხზე დააყენა.

რომეოს მაინც ჩაეძინა. თუმცა ის კი ვერ გაიგო რამდენ ხანს ეძინა. როცა თვალი გაახილა, პალატაში შუქი ისევ ენთო. აბასა გულიანად ფშვინავდა, მიხა კიდევ ზურგშექცევით იწვა.

რომეო ერთხანს ასე თვალებგახელილი იწვა, მერე დერეფანში გასეირნება მოუნდა. მოუნდა კი არა, გულმა მოთხოვა. ქარი ისევ უბერავდა და პალატაში ციოდა. ადგომა დაეზარა. მეორედ რომ დაუარა გასეირნების სურვილმა, თავი ვეღარ შეიკავა, ადგა. ფრთხილად ჩაუარა აბასას საწოლს. მემწვანილე გულაღმა იწვა. ბალიში მხრებქვეშ შეედო, თავი ბალიშს იქით ჰქონდა გადაგდებული. სახე სულ ოფლით ჰქონდა დაღვარული. გეგონებოდათ, თავზე შხაპი მიუშვესო. შავი სველი თმები ნათურის შუქზე მეწამულისფრად პრიალებდა.

რომეო რომ გაუსწორდა, აბასამ ერთ წამს ხვრინვა შეწყვიტა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს იყო, მერე აბასამ ისევ გამართა თავისი კონტრაბასი და რომეომაც სული მოითქვა. კარი სწრაფად გამოაღო. ნახევრად ღია კარში გაძვრა და ასევე სწრაფად მოხურა. შუბლზე მარჯვენა ხელი ჩამოისვა, ოფლი მოიწმინდა და დერეფნის ბოლოსაკენ გაუყვა. როგორც კი ეზოს მხარეს გამავალი განიერი ფანჯრისაკენ გაიხედა, მაშინვე მიხვდა, რომ იქ ვიღაც იდგა. ტანში თბილმა ჟრუანტელმა დაუარა, ფეხს აუჩქარა. ახლოს რომ მივიდა, გამარჯობათო, ჩაიბუტბუტა.

ქალიშვილი ზურგით იდგა, ეზოში იყურებოდა.

— გამარჯობათ, ბატონო! — ხმამაღლა თქვა და რომეოსაკენ შემობრუნდა.

— კიდევ გაგიტყდათ ძილი? — ჰკითხა რომეომ.

— ჰო, რას იზამთ. ნერვების ბრალია. თქვენც არ გძინავთ?

— ჩვენს პალატაში ისეთი ორთქლმავალი შემოიტანეს, რა დაგაძინებს.

ქალიშვილმა გაიცინა.

— როგორ ორთქლმავალი! პალატაში ორთქლმავალს რა უნდა?

— ორთქლმავალი აბა, რაღა ოხრობა დავარქვა. ერთი ვიღაც აბასა მოვიდა, ისე ქშინავს, იფიქრებთ შიდაწვის ძრავებზე მუშაობსო.

— აკი გამიკვირდა, ვიფიქრე, ორთქლმავალი საიდან-მეთქი! ხუმრობა გყვარებიათ.

— ხუმრობა კარგია, როცა გეხუმრება, მაგრამ როცა ყველაფერი თავზე გემხობა, პეწი აღარა აქვს.

— მაგას ნუ იტყვით, ერთი დღის ამბებს როგორ შეიძლება გული გადააყოლოთ.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— რასაკვირველია.

რომეომ ერთბაშად იგრძნო, რომ ქალიშვილი მისკენ გადმოიხარა, თითქოს მისი ბეჭი შეეხო კიდეც. შეკრთა, მარცხენა მხარი დასუსხულივით აეწვა.

— მე თქვენი სახელიც კი არ ვიცი, თუ შეიძლება მაჩუქეთ სახელი. სხვა რამეში ნუ ჩამომართმევთ.

— ინებეთ, ბატონო, ქეთინო მქვია!

ქალიშვილმა გაიცინა და იმავ დროს რომეოს მარცხენა ხელს მართლაც შეეხო ქალის ცივი, გამხდარი მტევანი.

რომეო შემდეგ დიდხანს ფიქრობდა თუ რა მოხდა, ვერა და ვერ გაერკვია, როგორ გაბედა ქეთინოს ხელის დათრევა, თავისი

ტლანქი უხეში თითები სალტესავით შემოაჭდო გამხდარ მტევანს.

— ცივა დღეს, არა?—ენის ბორძიკით თქვა რომეომ.

— არა, არ ცივა.—უპასუხა ქალიშვილმა და არც კი ცდილა ხელი გაეთავისუფლებინა.

— მე ასე მგონია, ცივა.

— არა, თქვენ უბრალოდ გეჩვენებათ.

— ჰო, ასე იყოს, რატომ არ მეკითხებით ჩემს სახელს?

ქალიშვილმა გაიცინა.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო. სახელს სხვა დროს გკითხავთ. კარგად ბრძანდებოდეთ...

მამაკაცის ხელის სალტიდან თითები ფრთხილად გამოაძვრინა და დერეფანს გაუყვა. ჩუმად, უხმაუროდ მიდიოდა.

— ბოდიში, მაპატიეთ,—დაადევნა რომეომ. მერე მთელი ერთი საათი კვლავ იმ ფანჯარასთან იდგა და თავის თავს წყევლიდა, უვიცს, უტაქტოს და ვინ მოთვლის კიდევ რას უწოდებდა.

ახლა მას ძილი საბოლოოდ გაუტყდა. პალატაში დაბრუნებაზე გაფიქრებაც კი არ სურდა. ყველაფერს ერჩია, აქვე მდგარიყო ფართო ფანჯარასთან და ცაზე ვარსკვლავები ეთვალა, ანდა კიდევ ქარში მოქანავე გაძარცვული ხის ტოტების ხრიალისათვის ესმინა. მაინც რა საცოდაობაა ასანთის ღეროებივით გაფშეკილი უფოთლო ტოტები. ასე გგონია, ხემ თითქოსდა სული უკვე დალია, მოკვდა, მიიცვალა. დარჩა ასე უხორცოდ და უკანოდ, როგორც ადამიანის თეთრი ჩონჩხი.

რომეო გაჰყურებდა ჩონჩხადქცეულ ხეებს, თავში ათასნაირი უცნაური აზრი უტრიალებდა. რა იქნებოდა, რომ არ იყოს ხეთა შრიალი, ფოთლებით დამძიმებულ ხეთა შრიალი, არამედ იყოს მხოლოდ უფოთლო, უნაყოფო ტოტების ნაღვლიანი ხრიალი...ხომ ყველაფერი დაკარგავდა შნოსა და ლაზათს...

ერთბაშად ქვემოთ ეზოში მანქანამ შემოანათა. ჩუმად, უხმაუროდ მოსრიალდა საავადმყოფოს შემოსასვლელთან. იქვე დადგა.

მანქანიდან ერთი მსუქანი, თეთრხალათში გამოწყობილი ქალი გადმობაჯბაჯდა, მას მეორეც მოჰყვა. ისიც ასევე მსუქანი, ჩაკურატებული. მათ შემოსასვლელს მიაშურეს.

რომეო მიხვდა, მანქანა სასწრაფო დახმარებისა რომ იქნებოდა, ანდა ამას რა მიხვედრა უნდოდა. მანქანა ისე იდგა, შუქი მაინცდამაინც არ ადგებოდა. ის კი არა და შოფერმა თითქოს განგებო, დასადგომად ყველაზე ჩაბნელებული ადგილი შეარჩია. მერე მანქანასთან სამი კაცი აფუსფუსდა. მკვირცხლად მუშაობდნენ. უკანა კარი გამოაღეს და ჯალამბარს ეცნენ, ციმციმ აითრიეს.

რომეო მიხვდა ჯალამბარზე მძიმე ავადმყოფი რომ იწვა. ზემოდან თეთრი ზეწარი ეფარა და არც კი ინძრეოდა. შემაზრზენი სურათი იყო და ფართო ფანჯარას მოშორდა, დერეფანში გაიარა. ოღონდ ფრთხილად, ჩუმად მიაბიჯებდა. თავის პალატას რომ გაუსწორდა, აბასას ხვრინვა მოესმა ტანში უსიამოვნოდ გაცრა, პალატაში შესვლა არც კი გაუფიქრია. მერე მოხუცების პალატას ჩაუარა, ქალების პალატასაც გაშორდა და კიბეებთან მივიდა. თვალი მოჰკრა იმ სამ მარჯვე კაცს, როგორ ამოჰქონდა მარმარილოს საფეხურებზე მძიმე ჯალამბარი. ჯალამბარზე ოდნავ ქანაობდა თეთრ ზეწარში გახვეული ადამიანის სხეული. ზეწარზე აქა-იქ ჯეჯილში გაბნეული ყაყაჩოსავით სისხლის ლაქებიც მოჩანდა.

ჯალამბარი რომ ჩაატარეს, მერე ის ორი მსუქანი, თეთრ ხალათში გამოწყობილი ქალიც გამოჩნდა. ნელა მიჰყვებოდნენ უკან ჯალამბარს. დერეფნისკენ რომ შემობრუნდნენ, რომეო წინ შეეჩეხათ.

— მაპატიეთ, ხომ ვერ მეტყვით, რა მოხდა?

ქალები დადგნენ.

— ცოტაა გზასაცდენილი ახალგაზრდა. დანა დაარტყეს!—თქვა ერთმა. იმ მეორემ კი დაუმატა: სამჯერ დაარტყესო.

— რა საშინელებაა!—წამოიძახა რომეომ.

— უცნობმა კაცმა კი არ დაარტყა, მეგობარმა დაარტყა მეგობარს.

— რას ამბობთ?

— სწორედ ასეა,—თქვა ისევ პირველმა ქალმა,—სასიკვდილოდ გაიმეტა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომეო გვერდზე მიდგა და ქალებმა გზა გააგრძელეს.

მერე რომეოც შემობრუნდა. თავი მხრებში საცოდავად ჩავარდნოდა. მთლად დაპატარავებულიყო, ერთიციცქნა გამხდარიყო. შემობრუნდა და რბილლანჩიანი ფლოსტების დაბუგული ფლატუნით ისევ დერეფნის ბოლო ფანჯრისკენ გაუყვა. კვლავ ჩაუარა გარინდებულ პალატებს, ექიმთა ოთახს, დოცენტის ოთახს და განიერ ფანჯარას მიადგა. ქვემოდან ხმაური ისმოდა. რომეომ კისერი წაიგრძელა. საავადმყოფოს შესასვლელთან ჯგრო იდგა. ვიღაც ორი თეთრხალათიანი ხალხის ამ ჯგროში ტრიალებდა და მოსულებს აწყნარებდნენ. მერე ვიღაც ქალი შეემატა ამ კრებულს. იმ ქალმა რაღაც გაიკითხ-გამოიკითხა და თავში ხელები წაიშინა. სამი ახოვანი ყმაწვილი მივარდა, გააკავეს და სკვერში რომ სკამი იდგა, იქით წაიყვანეს. ხალხს კი ახალმოსულები თანდათან ემატებოდა. იყო ერთი ზიმზიმი და ზრიალი.

ვიღაც ოყლაყი ფანჯარასთან მოდგა, რომეოს რაღაც დაუყვირა. რომეომ, რახაკვირველია, ვერაფერი გაიგო. იმ ოყლაყმა კიდევ დაუყვირა და მერე ხელით ანიშნა ფანჯარა გააღეო. რომეო საკეტს წაეტანა და მთელი ხუთი წუთი ეჯაჯგურა. გარედან კიდევ ბიჭები აქეზებდნენ. ბოლოს, როგორც იყო საკეტი გახსნა და გაოფლიანებული თავი ფანჯრის ღრიჭოში გაჰყო. სახეში ცივი ქარი ცემდა და არ სიამოვნებდა.

ის ოყლაყი ფეხის თითებზე შედგა. ხელები ტუჩებზე მოიმრგვალა.

— ჩვენი ძმა, მანდ ერთი ძმაკაცი მოიყვანეს, დაჭრილია. გაიგე როგორაა, დედამისი ღელავს.

დედამისი ღელავსო, ისე თქვა, თითქოსდა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს კი არა, იმას შეეხებოდა, შინ ონკანი ღია დაგრჩა თუ არა.

რომეო ცივად გამობრუნდა და საოპერაციოსაკენ წავიდა. დერეფანი რომ გალია, ისევ ის ორი მსუქანი ქალი შეეფეთა, მესამე სართულიდან ჩამოდიოდნენ. გაჩერდა და ის იყო უნდა ეკითხა, ერთმა, ცოტათი უფრო მსუქანი რომ იყო, თქვა:

— მაშინვე მკვდარი იყო, ტყუილად მოვიტანეთ აქ.

— მართლა?—ამოიხრიალა რომეომ.

— ჰო, სააქაო აღარაფერი ეწერა, სამივე ჭრილობა სასიკვდილო იყო.

ქალებმა ზლაზვნით, ფეხის თრევით, ჩუმი მასლაათით გაიარეს.

რომეომ მეორედ რომ გამოაღო ფანჯარა, ის ოყლაყი ისევ იქ იდგა.

— ჰო, ჩვენი ძმა, ხომ კარგადაა, ჰა?

რომეოს ყელში რაღაც მოაწვა და კინაღამ დააღრჩო, ხმა ვერ ამოიღო.

ის ოყლაყი ისევ შემაღლდა ფეხის თითებზე.

— ჰო, თქვი, რაღა.

— გარდაიცვალა,—როგორც იყო ამოიხრიალა რომეომ.

— რაო? — იკითხა მაღალმა.

— მოკვდა... სამი მძიმე ჭრილობა ჰქონდა.

— ტყუილია, ეს არ შეიძლება...

— ჰო, ასეა... — თქვა რომეომ. იგრძნო თავი მთლად გაეყინა და ფანჯარა მიაჯახუნა.

სკვერთან რომ მაგარი კივილი გაისმა, იგი უკვე დერეფნის ბოლოში მიფრატუნებდა. არც კი იცოდა სად მიდიოდა, ანდა რისთვის. მხოლოდ სურდა, ახლა იმ სკვერიდან შორს ყოფილიყო

გავიდა ბოლოში და მარმარილოს საფეხურებთან დადგა. იდგა ასე მარტოდმარტო, თავისთვის, გარინდებული. ქალთა პალატის კარი რომ გაიღო და ვიღაც გამოვიდა, ესიამოვნა. მაშინვე მოშორდა საფეხურებს და ისევ დერეფანს დაუყვა.

ის ვიღაცა აღარ დაელოდა, სკვერისაკენ გამავალ ფანჯრისაკენ წავიდა. მივიდა ფანჯარასთან, ხელებით რაფას დაეყრდნო და ეზოში გადაიხედა.

— მაინც არ დაგეძინათ, არა?—ჰკითხა რომეომ, მის გვერდით რომ დადგა.

— მეძინა, მაგრამ რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა. მგონი მომეჩვენა კიდეც.

— არა, არ მოგჩვენებიათ, ადამიანი მოკვდა.

— აქ, ჩვენთან? —შიშით იკითხა ქალიშვილმა.

— ჰო, ჩვენთან. დანით დაჭრილი მოიყ-

ვანეს და მაშინვე მოკვდა. შეიძლება სულაც გზაზე გარდაიცვალა

— ღმერთო, რა არ ხდება!—ჩაილაპარაკა ქალიშვილმა.

— მეგობარი მეგობარს დანას ურტყამს.

— ნუთუ მეგობარმა!?

— დიახ, სწორედ მეგობარმა.

— ეს ხომ საშინელებაა.

რომეომ ქალიშვილის ხელი ისევ იპოვა, ცივი თითები მარჯვენა ხელის გულში მოიქცია.

— დიახ, საშინელებაა. შემაზრზენი საშინელება. ახლა ის დევივით ახალგაზრდა უსულო გვამათ ქცეული, საოპერაციოში წევს. ხვალ წაიღებენ და მიწას მიაყრიან. დარჩება გაუბედურებული დედა და მამა, რომელთათვისაც სიცოცხლეს არავითარი ფასი აღარ ექნება.

— უნდა წავიდე!—თქვა ქალიშვილმა.

რომეომ ხელი მაგრად მოუჭირა.

— ძალიანა გთხოვთ, ნუ დამტოვებთ მარტო.

— თქვენც დაიძინეთ, საცაა გათენდება.

— აწი აღარ დამეძინება.

— ეს ხომ ეგოისტობაა თქვენის მხრივ? რადგანაც თქვენ არ გეძინებათ, მეც არ უნდა დავიძინო?

— გთხოვთ ასე მძიმე სასჯელს ნუ გამომიტანთ. თუ შეგიძლიათ, გაიღეთ ჩემთვის მცირედი მსხვერპლი, თუ არა და ცილს ნუ დამწამებთ.

რომეომ ქალიშვილის ხელი გაათავისუფლა. იმანაც მაშინვე ისარგებლა ამ თავისუფლებით და წავიდა. რომეომ მხოლოდ ჩურჩულით ნათქვამი სიტყვა გაიგონა: მაპატიეთო.

სულ მარტო რომ დარჩა რაფასთან, ისევ შიშველი ხის ტოტებს გახედა. მერე სკვერშიც გადაიხედა. ხალხი დაშლილიყო, ყველა თავის გზას გაჰყოლოდა. სააავადმყოფოს წინ არავინაც აღარ იდგა. რომეომ ცხვირი ცივ მინას მიაჭყლიტა.

გაცივდა სამყარო, ძვირფასო... ცხოვრება პროზაული გახდა. ის იისფერი, ვარდისფერი და კიდევ სხვა მისდაგვარი, ჩამოირეცხა. დარჩა მხოლოდ შავთეთრი... ყველა განცდა და ტკივილი მხოლოდ ამ ორ ფერში გამოისახება.

რომეო შეიშმუშნა. არა, უნდა დავიძინო... რომ არ დავიძინო, ხვალ მთელი დღე თავისტკივილი მომკლავს.

თავი კი დილიდან ასტკივდა. დეიდა სუსანა რომ შემოვიდა და საუზმესთან ერთად ლოცვა-კურთხევა ჩამოარიგა, რომეო უკვე ჭრელი პირსახოცით თავწაკრული იწვა. ისე იწვა, თორემ კვნესით კი არ კვნესოდა. დეიდა სუსანა მაშინვე მიხვდა, რომ თავი ტკიოდა და ოქროს ფხვნილი შესთავაზა.

რომეომ დაეჭვებით უპასუხა, არა მგონია თუ რაიმე მიშველისო.

გიშველის, უეჭველად გიშველისო, — უთხრა დეიდა სუსანამ და ქათქათა ხალათის ჯიბიდან მთელი აფთიაქი ამოალაგა.

მიხამ ჩაიხითხითა: მე საჭმლის დამტარებელი მეგონეთ, თქვენ კიდევ შეთავსებით ექიმიც ყოფილხართო.

— აბა რა ვქნა, შვილო, პალატებში დავდივარ და...—თქვა დეიდა სუსანამ.

რომეოს მაინც დაალევინეს ის ოქროს ფხვნილი და ზედ ერთი ჭიქა რძეც დააყოლებინეს.

დეიდა სუსანა რომ წავიდა ,რომეომ მართლაც იგრძნო ცოტა შვება და წამოდგა. აბასას საუზმე უკვე მოეთავებინა, მაგიდასთან ძეგლივით იდგა. ცალი ხელი ცარიელი ჭიქისათვის მოეჭირებინა და იბღვირებოდა. რომეოს ეგონა მას უყურებდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, აბასას მისი დარდი სულაც არ ჰქონდა, გარეთ იყურებოდა. რომეომ ჩაუარა და აბასას წარბიც არ დაუხამხამებია.

რომეომ გაიფიქრა: ნეტავ ასევე ხომ არ განუტევა სულიო, რძის სმის დროსო. არა, ჭიქა რომ დაცალა და საქმეც გაუთავდაო. კართან რომ მივიდა რომეო, აბასა შეინძრა.

— ვითომ თოვლი მოვა?—იკითხა მან.

მიხამ უპასუხა: საიდან მოიტანეო, რა დროის თოვლიაო.

— არა, ცა ისე გაფუჭდა... ღმერთმა ნუ ქნას თოვლი მოვიდეს, რაც ტარხუნა ჩავყარე, სულ გამიფუჭდება.

რომეომ კარი გამოაღო და დერეფანში გავიდა.

უკან რომ დაბრუნდა, აბასა ისევ ისე ტრაგიკული სახით იჯდა პატარა მაგიდასთან, კვლავ ფანჯარაში იყურებოდა. როგ-

ორც ჩანდა, მისას სიტყვები არც ისე და-მამშვიდებლად ეჩვენა.

გარეთ მართლაც თუჯისფერი ჯანყი ჩა-მოწოლილიყო. ნისლში აჩრდილებივით ჩა-ნდნენ გაძარცულ ხეთა კონტურები. აბასა ახლა ამ ტოტებს შორის იყურებოდა.

რომეომ მას გვერდი აუარა და მიხასთან მივიდა.

— წუხელ დანით დაჭრილი ახალგაზრდა მოიყვანეს და გარდაიცვალა.

მიხას ტუჩებზე ნაღველი გაუცურდა.

— ვიცი.

— ჰა, მოკვდა,—თქვა აბასამ—კაცი უნ-და მოკვდეს, მა რა...—მერე ხელები მუხ-ლებზე დაიფერთხა,—ვაჰ, თუ მოთოვა!...

რომეომ ფლოსტები საწოლის ქვეშ შეყა-რა და მიეგდო. ის იყო წათვლემას აპირებ-და, რომ ერთბაშად კარი მთელ სიგრძეზე მოიშლიპა, ზღურბლზე ვიღაც ჩასუქებული დედაკაცი გამოჩნდა. თავზე ჭრელი ქალა-ღაია მაგრად ჰქონდა შემოხვეული. ნახ-შირივით შავი თმები აქა-იქ მაინც გამო-სცვენოდა. ბრინჯაოსფერი შუბლი და ლო-ყები სულ ოფლით დასცვაროდა.

შემოკყო იმან ჭრელ ქალაღაიათი წაკ-რული თავი და მაშინვე იკითხა: ჩემი აბა-სა აქ თუ ცხოვრობსო?

აბასას სახე გაებადრა:

— ვაზიფა, შენა ხარ?

ჭრელქალაღაიანმა ქალმა შეჰკივლა. ხე-ლები გაშალა, მერე ერთი მაგარი ტაში შე-მოკრა

— ვაჰ, შენა აბას!

— მე ვარ, აბა, ვინ ვიქნები!

ქალი იმ მოშვლეპილ კარში ძლივს შემო-ბაჯბაჯდა. კიდევ ტაშს უკრავდა. კედელ-ჭრილში გამოძვრა თუ არა, მაშინვე ზღურ-ბლზე მთელი საბავშვო ბაღი გამოჩნდა. ბა-ვშვები ზრიალით შემოცვივდნენ. ის მსუქა-ნი ქალი დიდ, უშველებელ კარადასავით კედელთან მიაცოცეს. თვითონ კი აბასას ჭიანჭველებივით შემოესივნენ. ზოგი, ვისაც შეეძლო, მხრებზე აახტა, ერთმა მარჯვე ბი-ჭმა გარმონივით დაკეცილი ქეჩო დაისაკუ-თრა. ერთი, სულ პატარა, ფიჯაკის ჯიბეში აპირებდა ფეხის ჩაჩურთვას.

ის ქალი, ამ ონავრებმა კედელთან კა-რადასავით რომ მიაჩოჩეს, მალე გონს მოე-გო. მიუხედავად იმისა, მთლად ქონით სავ-სე მასა იყო, თითისტარივით დატრიალდა,—ბავშვები ისე აჰყავდა აბასას მხრებიდან თითქოსდა გამხმარ ჩელტს ნაადრევად ასულ აბრეშუმის ჭიას აშორებსო.

ამ საქმეს რომ მორჩა, მთელი ეს საბავ-შვო ბაღი კედელთან მირეკა.

— აბა, კრინტი, ჩუმათ!

ბავშვებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ქალ-მა ხელები გაშალა და აბასას ჩაეხუტა. ალ-ერსით გული რომ იჯერა, ის პაწიები აბა-სას საწოლზე წამოასკუპა.

— ხომ კარგად ხარ აბას-ჯან? — ჰკით-ხა ქალმა.

— ვარ რა. — უპასუხა აბასამ.

რომეო და მიხა გარინდებული ისხდნენ, ხმას არ იღებდნენ. ხმა მხოლოდ მაშინ გა-იღეს, როცა ეს ჯამაათი ისევ მოშვლეპილ კარში გაილალა. მიხამ ჩაახველა, მერე ისევ ჩაახველა და მაგიდასთან დამხობილ აბასას გახედა.

— მეზობელო, ვინ იყვნენ ის ბავშვები? აბასამ დაუბღვირა.

— ვინ იქნებოდნენ! შვილებია, ჩემი შვილები... ის ქალი კიდევ ცოლია, ხომ ინტერესნი ცოლი მყავს?

მიხამ თავი ორჭოფულად გადააქნია, რომეომ კი თქვა: ძალიან ლამაზიაო.

— ჩემი არჩეულია,—ჩაიცინა აბასამ და ადგა. ოთახში გაიარ-გამოიარა.

— მამამისი არ მაძლევდა, მაგრამ ღა-მით. ყელზე ხელი წავუჭირე და ხანჯალიც გულზე დავადე. თუ ამაღამ ვაზიფას არ გამატან, დილით ამ სახლიდან მკვდარს წაგიღებენ-მეთქი. წახდა და ქალი მომცა. აბასამ ისევ ჩაიცინა.

მერე ექიმი შემოვიდა. ისევ ის მაღალი, გამხდარი კაცი, მხრებზე რომ ერთი ციც-ქნა თავი ედო. ჯერ აბასას მიუს-მოუსვა ხე-ლი. აბასა მუცლით საწოლს დამხობოდა და ცხენივით ფრუტუნებდა. რომეო აღარ გაუ-სინჯავს, უთხრა ხვალ დილიდან არაფერი ჭამოო, ზეგ ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო. რომეოს ტანში გაცრა და ცივმა ოფლმაც დაასხა. შემდეგ იმ აჩონჩხილმა ექიმმა მიხა აცვა ჯვარს და ბოლოს, როგორც მო-ვიდა, ისევე გაილალა.

— ჰა, მაშ ზეგ გიკეთებენ? — ჰკითხა რომეოს აბასამ.

რომეო საწოლში წამოჯდ.ა

— ასეა, ჩემო აბას.

— არ იდარდო, კაცო. ნახე, ფერი წაგსვლია. აქ რომ მოდიოდი, ხომ იცოდი ხორცი უნდა ჩამოეთალათ? აბა რისთვის მოხვედი, ჰა? ჰოდა, არ იდარდო, უცბად მოგჭრიან და მორჩა.

— შენ ოპერაცია გაგიკეთებია ოდესმე? ჰკითხა მიხამ.

— მე არა, ერთმა ძმაკაცმა გაიკეთა. ბუასილი რომაა, აი იმის ოპერაცია. არაფერიც არ მოსვლია. ახლა დადის და ყველაფერს ჭამს.

— იმედი კარგი საქმეა!—ჩაილაპარაკა რომეომ.

იმ დღეს შტატგარეშე სადილის შემდეგ გამოჩნდა. კარი ფრთხილად შემოაღო და აბასას საწოლთან დადგა. თავათ აბასაც აქვე იყო, აულაგებელ ლოგინზე თვლემდა.

— თქვენთან მთელი რევოლუცია მომხდარა, — თქვა ლოსაბერიძემ.

აბასამ ცალი თვალით გამოხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ლოსაბერიძემ მემწვანილის საწოლს გვერდი აუარა და მიხასა და რომეოს საწოლს შორის დადგა.

— მთელი რევოლუცია მომხდარა.

მიხამ ჩაახველა.

— რას გულისხმობთ რევოლუციაში?

— ახალი ხალხი მოგმატებიათ.

— ახალი ვინ მოგვმატებია! აი, ბატონმა აბასამ ინება და ჩვენთან დაიდო ბინა. მეტი ვინ? მეტი არავინ შემოგვმატებია, — უთხრა მიხამ. რომეო მუმიასავით იდო და ხმას არ იღებდა. აბასამ კი გაბმულად ჩაახველა.

—თქვენ საკითხის ნატურალისტური დაკონკრეტება გიყვართ.

თქვა შტატგარეშემ, თანაც ოდნავ იღიმებოდა. ჩანდა რომ კედელზე თავის სარტყმელად არ იყო მოსული, უფრო შემრიგებლური მისია ჰქონდა არჩეული.

მიხამ ფეხები წყვილად გადმოაწყო საბნიდან, ფლოსტებში ჩაუშვა და თვითონაც წამოჯდა.

— იცი რა გითხრა, ძმობილო, არავითარი საკითხის ნატურალისტური გაგება. მე უბრალოდ მარჯვენა ყურს მარჯვენა ხელით ვიფხან და არა მარცხენათი, მარცხენა ყურს კიდევ — მარცხენა ხელით. გამიგეთ?

— გავიგე, ხელით კისრის გარშემო წრეს არ აკეთებთ.

— ჰო, შორიდან მოვლა არ მიყვარს. რაღაც მიკიბულ-მოკიბული, მიეთ-მოეთი.

— არა, ასეთი მანევრები არც მე მომწონს, პირდაპირობას რა სჯობიან.

ლოსაბერიძემ რომეოსაკენ გადაინაცვლა. საწოლის თავს ხელი ჩაავლო.

— შენ როდის გიკეთებენ ოპარაციას, რომეო?

რომეო შეიშმუშნა.

— ზეგ მიკეთებენ.

— საშიში არაფერია, თხუთმეტ წუთში განთავისუფლდები.

— ჰო, ასე ამბობენ...

ლოსაბერიძე რომ წავიდა, რომეომ შვებით ამოისუნთქა. ეგონა გააბამდა ლაქლაქს და აღარ გაათავებდა. ახლა რომეოს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მარტო დარჩენილიყო. არავის ხმის გაგონება არ უნდოდა, მარტოობა ყველაფერს ერჩია.

საწოლში გვერდი იცვალა, კედლისკენ გადაბრუნდა და ოთხად მოიკაკვა, მაშინვე ჩათვლიმა. თვლემდა და თან ბურანში ის სურათი წარმოუდგებოდა, დედამ პირველად რომ ჩაიყვანა სოფელში. ვიღაც შორებელი ნათესავები მოიკითხეს — ყვავი ჩხიკვის მამიდაო...

მთის სოფელი გახლდათ, ტერასაზე იყო გაშენებული. ეზოში ხის ორსართულიანი სახლი იდგა. სახლის წინ კი უშველებელ კაკალს ფრთებივით გაეშალა ტოტები. ასეთი კაკალი რომეოს არც მანამდე ენახა და არც მის შემდეგ. კაკლის ახლოს ჭა ჩანდა. ჭას ზემოდან წითელი, კარგად გამომწვარი თიხისაგან გამოძერწილი თავი ადგა. ხის სახლის აივნიდან რომ გაჰყურებდა ჭას, რომეოს ასე ეგონა, ეზოში ვიღაცას გადაბრუნებული ფერადი ვედრო დარჩენიაო.

ფეხშიშველი პატარა გოგონა წამდაუწუმ გარბოდა ჭისაკენ და იქიდან ყინულივით ცივ წყალს მოარბენინებდა. ერთხელ რომეოც გაჰყვა. გვერდებშელუნულ ვედროს ორთავენი დაეკიდნენ. ვედრო მრგვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრილში ჩაიძირა, მერე ასევე გულმოდგინებით ბაწარს ქაჩავდნენ. ბოლოს ვედრო კრიალა წყლის ზედაპირს შეეხო და განიერი რგოლები ნაპირისკენ გაყარა.

გოგონა იცინოდა. ბაწარს ციბრუტივით ატრიალებდა და ვედროც წყლის თავზე ბაყაყივით ხტოდა. მანამ ხტოდა, სანამ არ ჩაყვინთავდა და არ გაუჩინარდებოდა.

და რა მოხდა? არაფერიც არ მომხდარა, ყველაფერი ეს უბრალო, ჩვეულებრივი სოფლური სურათი იყო. ჩანდა კრიალა ცა. იდგა ღვიისა და იელის მძაფრი სუნი. აქა-იქ ყანებში გაჭრილ ბილიკებზე დიდი შავი თეფშებივით ეყარა საქონლის გამხმარი ფუნა. ფუნაში ასევე შავი, გამურული ხოჭოები დაფუთფუთებდნენ. რა მოხდა? ჩვეულებრივი სოფლური სურათი გახლდათ და მეტი არაფერი.

დეიდა სუსანას ხაგორებლის გორგოლაჭების ღრჭიალი გაისმა და რომეოც გამოერკვა. იცოდა, რომ დეიდა სუსანა ახლა მეზობელ პალატასთან იდგა. ორ წუთში აქაც შემოაღებდა კარს და ცხელ ვახშამს ჩამოარიგებდა. დილით დაწყებული საქმე ისევ და ისევ გრძელდებოდა. ცხოვრება ოდესღაც მისთვის გაჭრილ არხში მტკიცედ მიედინებოდა და არც კი ცდილობდა ცოტა ან ადიდებულიყო, ან ამბოხებულიყო, ნაპირები გადაელახა. არა, ყველაფერი ისე იყო როგორც შარშან, შარშანწინ და კიდევ იმის წინ...

დეიდა სუსანამ რომ გაიარა, ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. თუ კიდევ სიჩუმე ერქმეოდა იმ მდორე წუთებს, როცა აბასას კონტრაბასი ყველაზე მაღალ ნოტებს იღებდნენ.

* * *

ღამით რომეო კვლავ რომ მივიდა იმ ფანჯარათან, ქეთინო იქ დახვდა. ჩვეულებრივად იდგა რაფასთან, ცხვირი ცივ მინაზე მიეჭყლიტა და გარეთ იყურებოდა. გარეთ კი ქარი აღარ უბერავდა. მთვარიანი იყო, მიდამო დღესავით განახჩახებული გახლდათ.

— გამარჯობათ! —თქვა რომეომ.

ქეთინომ ამოიოხრა.

— გაგიმარჯოთ.

—ხომ არ შეგაწუხებთ.

— არა, რას ბრძანებთ... ხედავთ, როგორ სცდება ხეებზე კვირტები?

რომეომ ფანჯრისაკენ მიიწია.

— ვერა, ვერ ვხედავ.

— ვერც მე ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ.

— საიდან გაქვთ ასეთი შეგრძნება?

— პაპა მასწავლიდა, მცენარე უყვარდა და სულ აღმა-დაღმა დამატარებდა.

ქალიშვილი შემობრუნდა.

— მაშინ რამდენი ტყე იყო... ეზოდან ცხვირს გამოვყოფდით თუ არა, მაშინვე ტყეში შევჯლიგინდებოდით. სულ ტყეში დავეხეტებოდით. მწიფე კვირტის დასკდომა, შვილის დაბადებას ჰგავსო, იტყოდა ხოლმე. მცენარემ შობა პირმშოო...

— მართლა?! ეს უცნაური შედარებაა.

— პაპა ასე ამბობდა. ბრძენი პაპა მყავდა...

ამ დროს ქალიშვილის ხელი შეეხო. მარცხენა ხელი თვითონაც გაშალა და ქეთინოს ცივი მტევანი შემოლასტა. თავი ახლოს მისწია ქალიშვილისაკენ.

— იცით ზეგ ოპერაციას მიკეთებენ.

ქალიშვილი მისკენ შემობრუნდა, ისე რომ არც კი ცდილა ხელი გაეთავისუფლებინა.

— ხომ არ გეშინიათ?

— არა, არ მეშინია! — უთხრა რომეომ და მარჯვენა ხელი ფრთხილად დაადო ბეჭზე.

— მთავარია არ შეგეშინდეთ,—ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა. იმავ დროს რომეომ სულ ახლოს მისი აჩქარებული სუნთქვაც იგრძნო. დანარჩენი რაღაც უცნაურად თუ სრულიად მოულოდნელად მოხდა. კაციშვილი ვერ გაიგებს რომეომ იმარჯვა თუ იმან. მსუქანი, ხორციანი ბაგეების ცეცხლმა შთანთქა რომეო. მერე ქალიშვილის ცივი ხელი უბეში ჩაიდო, ისე, თითქოს გაყინული, უმწეო ბეღურას ანდა კიდევ შაშვის ბარტყი ყოფილიყოს.

მთვარემ რომ იმარჯვა და დერეფანში ძალიან მაგრად შემოანათა, მხოლოდ მაშინ მოშორდნენ რაფას. პალატის შესასვლელთან კიდევ აკოცეს ერთმანეთს და გაუჩინარდნენ.

არა, რომეოს სულაც არ სცოდნია ქალის ტუჩების გემო. ერთხელ რომ გასინჯა, ის სულ სხვა იყო. გამხმარი, გაცრეცილი ტუ-

ჩუმი გაბლდათ. თანაც პირიდან თამბაქოს ისეთი სუნი მოდიოდა, ალერსის მადას დაგიკარგავდათ.

ეს ტუჩები კი სულ სხვანაირი გამოდგა.

რომეომ ხელი რომ ბეჭზე დაადო და ახლოს მიიწია, სულ ახლოს, მგონი მაშინ იყო ქეთინოს თმები ლოყაზე შეეხო. გაახსენდა ხადღაც გაგონილი, ელექტრობა ქალის თმებიდან იწყებაო. მერე დაიმუხტა ამ ელექტროობით და მათრობელა წყვდიადში გაუჩინარდა.

დილით მიხამ უთხრა: გათენებისას მაგრად ბოდავდიო, ახე მეგონა სადღაც მეჩეთთან ახლოს ჟიდექი და მოლას მაგარი ლაღადისი მესმოდაო. მეტი არაფერი უთქვამს მიხას. ანდა მეტი რაღა უნდა ეთქვა. რაცა ბრძანა, ესეც საკმარისი იყო. რომეო მოკვდა და აღარ დარჩა. თვალსა და ხელს შუა ჭინჭრაქა ჩიტივით დაპატარავდა.

მერე დეიდა სუსანამ საუზმე ჩამოატარა. რომეოს უთხრა, დღეს შენ არ გეკუთვნის, დაისვენეო. შუადღისას რომეო ცოტა ფერზე რომ მოვიდა, დერეფანში გაიარა. ვითომ ისე გაიარა, სინამდვილეში კი იმას ეძებდა.

ლოსაბერიძის პალატას რომ ჩაუარა, ღია კარში ქურდულად შეიხედა, შტატგარეშე გულმოდგინედ გასწორებულ საწოლზე პიჟამოთი იწვა და სახეზე გაზეთი ეფარა. კიდევ კარგი გაზეთი რომ ეფარა და ვერაფერს ხედავდა...

ქალების პალატის კარი მოხურული იყო.

რომეო დერეფნის ბოლომდე გავიდა და იქ, მარმარილოს კიბეებთან შემობრუნდა. ნელა წამოვიდა, ქალების პალატის კარი კვლავ მიხურული დახვდა და შეწუხდა, სამაგიეროდ ლოსაბერიძე შეეფეთა წინ. უკვე ამდგარიყო. ის გაზეთი, წელან სახეზე რომ ეფარა, ახლა ხელში ეჭირა.

— ემზადები? — ჰკითხა შტატგარეშემ.

— ჰო, აბა რა ვქნა.

რომეო გაჩერდა.

— რას შვრება ის?

შტატგარეშემ ხელი ნერვიულად გაიქნია.

— ვიზე მეკითხები?

—აი, ის, თქვენი პალატის ფილოსოფოსი.

—ის ფილოსოფოსი არაა, მუშა გახლავს.

— ისემც რა ვუთხრა, ფილოსოფოსია.

გაცხარდა ლოსაბერიძე. ამ დროს ბედზე იმ ლოსაბერიძეს ვიღაცამ პალატიდან დაუძახა და რომეო ბეწვზე გადარჩა.

ღამით კი რაფასთან ისევ რომ გამოვიდა, ქეთინომ უთხრა: ოპერაციის მერე თავზე მე დაგადგებიო. რომეოს ტანში თბილმა ჟრუანტელმა დაუარა. ქალიშვილის ხელები ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

* * *

ნემსი რომ გაუკეთეს, რომეოს მოეჩვენა თითქოს სხეულის ნახევარი მთლად ჩამოაშორეს. ისე ჩამოაშორეს, არც ტკივილი უგვრძნია და არც სისხლი დაღვრილა, მაგრამ ჭრილობა ,რომ შეუხვიეს და ჯალამბარზე დადეს, მაშინ იგრძნო სხეულის ის მეორე ნახევარი რომ გაცოცხლდა. თავზე ზეწარი წაიფარა და გაირინდა. სანამ ჯალამბარს დერეფანში მიახრიგინებდნენ, ხმა არ გაუღია. ის კი არა და სახეც არ გამოუჩენია. მაგრამ, როგორც კი პალატაში შეიტანეს და საწოლზე დაასვენეს, ზეწარი მოიშვლიპა.

მიხამ დახედა და გაუღიმა:

— ჰა, როგორია, გაიგე რაიმე?

რომეომ არ უპასუხა, გაოგნებული მზერა შეავლო და მხოლოდ თავი დაუქნია.

— გტკივა? — არ ეშვებოდა მიხა.

— ჰო, მტკივა, ოფლს მასხამს.

აბასაც შემოვიდა და საწოლის ბოლოში დადგა.

— მოიყვანეს? ვაჰ შენა, მეზობელო!

რომეოს ტუჩები გაფითრებოდა. სულს ძლივს ითქვამდა. ტკივილების გაუთავებელი სერია ზედ ნაწლავებთან იწყებოდა და შემდეგ ტალღასავით ქვევით მიუყვებოდა.

— თქვი რამე, კაცი არა ხარ?—დაიძახა აბასამ.

— აბას, მომეშვი ერთი, ცუდადა ვარ...

— კაცო მართლა ცუდად არ იყო, ექიმს დავუძახოთ? — თქვა აბასამ.

— არა, ექიმი არ მინდა.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და პალატაში ქალის ფლოსტების მსუბუქი ხმა გაისმა.

აბასა შებრუნდა, მიხაც წამოდგა საწოლიდან, ორივენი პატარა მაგიდასთან დადგნენ. ჩუმად, გატრუნული დაეყუდნენ.

ქეთინომ უხმაუროდ ჩაუარა მათ და სალამიც უთხრა. აბასამ და მიხამაც დაუბრუნეს პასუხი. ქალიშვილი ამასობაში რომეოსთან მივიდა. ზედ საწოლზე ჩამოჯდა და მერე მარჯვენა ხელი ავადმყოფს ოფლით დაღვარულ შუბლზე დაადო.

— როგორ ხარ, რომეო? ძნელი იყო ოპერაცია? — ჰკითხა ქეთინომ.

რომეომ, როგორც იყო თხელი, გაცრეცილი ტუჩები გახსნა, სიმწრით გაიღიმა კიდეც. რაღაც უღიმღამოთ, უმარილოთ გაიღიმა.

— არა, არც ისე ძნელია. ეს ოხერი ტკივილები კი ახლა დამეწყო.

— არა უშავს, ცოტაც გაუძელი და ტკივილებიც გაგივლის.

ქეთინომ ხალათის ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო. ცხვირსახოცს ფრანგული სუნამოს სუნი ადიოდა. რომეოს შუბლზე მოუსვა. მერე ლოყებიც ჩამოუწმინდა.

რომეოს ჯიბრზე ტკივილებმა ახლა ყველაზე მაგრად დარიეს ხელი. აზვავდნენ და აზვინდნენ, მთელს სხეულში დაუარეს.

— ეს ვერანა, ვკვდები მგონი!

— არა, არ მოკვდები. ყველაფერი მალე გაგივლის

ესმოდა რომეოს ყურთან ოდნავ ნაღვლიანი, დათაფლული ხმა და ბურანში ისევ იმ სოფლის ეზოში იდგა, ბავშვობაში, რომ წაიყვანა დედამისმა. იდგა დიდი კაკლის ჩეროში, პატარა ჭასთან და ჭის ფსკერზე, კრიალა წყალში ორი გულუბრყვილო ადამიანის მკრთალ ხატებას ხედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ბექიშვილი

## ამინდი

„მთაში თოვლი და ნისლი,
მტკვრის ხეობაში ქარი,
ალაგ წვიმების მოსვლას
უნდა ელოდეს ბარი"...

სინოპტიკოსი გვეტყვის
ხვალ მოსალოდნელ ამინდს —
სად ღრუბელია სეტყვის,
სად ცით წამოვა ნამი.

სად ჩამოსკდება თქეში,
სად მზე დახედავს არეს,
სად გაეხვევა ბნელში
ჩვილი, სამი დღის მთვარე.

შენ რას მოელი გულო,
შენ რა ამინდსა ზვერავ,
რა მზის სხივების ულო
უნდა შეკონო ველად?

შენ რას მაუწყებ კარგო,
რას მეტყვი ხვალის გამო?
შენ იდუმალო ჰანგო,
შეუცნობელო წამო,

გადევნებულო წამებს,
დაშლილო ფიქრის შხამით...
სინოპტიკოსი ბრძანებს
ხვალ მოსალოდნელ ამინდს...

• • •

დიდხანს დავცქეროდი ქათქათა ფურცელს,
დიდხანს ვავლებდი ბწკარებს ხნულივით.
გავიდა ხანი და მივხვდი უცებ:
ერთი მართალი — ასი ტყუილი...

მეგონა, თითქოს რაღაცას ვწერდი, —
თურმე მივლია გზა განაკვალი,
თურმე ტყუილად ვუსვამდი წერტილს
სტრიქონს, ჩამოქნილს გულის კანკალით.

ფერი ხასხასა მალე მკრთალდება,
მალე ნელდება ცხელი ვნებებიც...
და რჩება ლექსი, როგორც ბრალდება,
როგორც დასტური დამარცხებების...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გეოგრაფიული ესკიზი

სულ ასეა დასაბამიდან:
ჩემი ქვეყნის მდინარეები
ერთი დასავლეთისაკენ —
მეორე კი
აღმოსავლეთის ქვიშრობებში
მიიკლაკნება...
ერთი
ერთ ზღვაში იკლავს თავს,
მეორე — მეორეში.
ორი ზღვის
დაუძინარი ტალღები რეცხავდა
საქართველოს სანაპიროებს.
ერთს
იაზონის
ბანდიტური ხომალდები
მოჰყავდა აქეთ,
მეორეს —
ცხელი აზიის
სასტიკი და ველური ქარი.

თითქოს იმათგან შეწუხებული
მიწა თანდათან მთებად აზრდილა.
ორივე მხრიდან,
ორივე მხრიდან
ცრემლის ღრუბლები გადმოდიოდა.
ორი ზღვა იწოვს
მდინარეებს ჩემი ქვეყნისას....

* * *

უკვე დავტოვე ქრისტეს ასაკი
და ჯერ არ ვიცი
რას ვთეს, რასა ვმკი.

რა მოსავალი ავა კალოდან,
რა თაღებს ათბობს ჩემი გალობა.

თუმცა მამულის მთები მაღალი
გულს მისვენია ხატად, იმედად,
თუმც ამქვეყნიურ აყალმაყალში
მე მათზე დარდი არ მაძინებდა,
მაინც არ ვიცი,
შევძელ თუ არა
სულ პაწაწინა სანთლის დანთება
და ჩემი ყოფნა — მცირე სიზმარი —
რას აკლდება და რას ემატება!..

დღეს, როცა ისე მიჰქრის ცხოვრება...
როს ჩემივ თავი მეუცხოვება...

რა მოსავალი ავა კალოდან,
რა თაღებს ათბობს ჩემი გალობა!..

* * *

ფიქრისთვის დრო მაქვს თავზესაყარი,
ვუსმენ გულიდან ყრუ მელოდიას.
ეს ორი თვეა, როგორც საპყარი
შინ ვარ, ვინც მიყვარს ჩემთან
მოდიან...

ეს ორი თვეა, გამიკრთა ძილი,
მცირედი რულიც მექცა კოშმარად...
გარეთ კი ველებს ედება რთვილი
და ჯანღში მთები აღარ მოჩანან.
ფანჯრის ღრიჭოში სიცივე მოქრის,
ვიცი, თოვს ახლა იმ ჯანღის გაღმა.
მთებში კარებზე დადებულ ბოქლომს
ვიხსენებ, როგორც მწუხარე დამღას.

ეს ორი თვეა...
მაგრამ რამდენმა
ცერზე შემდგარმა თვემ ჩაიარა,
ულმობელმა და ცრემლის დამდენმა —
სანამ გახსნიდნენ გულში იარას...

ახლა ბავშვები მირბიან კართან...
კარგად ვარ, ძმებო, ასე ნუ ღელავთ.
ვინც დამივიწყა, მშვიდობა მათაც,
მე ჯერჯერობით მახსოვს სუყველა.

ხალხმრავალია ჩემი კუნძული,
ჩანს ბედისწერას ასე ენება —
მოგონებებით ვარ დახუნძლული,
ველი უკეთეს დღის გათენებას!

## წერტილი

რა კარგი არის წერტილი,
როცა
საქმის ბოლოში
დავუსვამთ მშვიდად!
რა კარგი არის მაშინ იგი,
რა ამაყია!

რა მოთმინებით
ელოდება ყოველთვის იგი
ჩვენს სულმოკლე ჭირვეულობას.
მრავალწერტილთა წყალწყალა ნაკადს
გამოეყოფა,
როგორც წვეთი ყველაზე მძიმე
და ყველაფრის
დაწრეტას გვამცნობს —
წერტილი.
წერტილი.

* * *

ხანდახან,
როცა საღამოობით
სამსახურიდან შინ მივიჩქარი —
წამომეწევა კვიმატი კითხვა:
— რის გამო მიხვალ შენს ბუნაგში,
მიგიხარია
თუ მარტოოდენ ისე ბრუნდები,
როგორც ხარი სახნავიდან —
საძირესთან, თავის ბაგასთან?
კარის ზღურბლამდე მომაცილებს
ეს მწარე კითხვა,
და როგორც კი კარს გამოვაღებ —
ვხედავ, სადღაც მიიპარება,
ვეღარ ბედავს შიგნით შემოსვლას...

* * *

ღამეა,
როგორც ილია ბრძანებდა —
„ქვეყნის ტკივილმა დაიძინა“,
მაგრამ ქვეყნად რამდენი არის
დაუძინარი ტკივილები,
ანდა რამდენი:
„ადამიანი
რომელსაც ძილშიაც კი არა სძინავს
ქვეყნის უბედურებით გულაღტკინებულსა“,
რამდენის ძილი კოშმარია...

სალამი ყველას!
მშვიდობა ყველას,
ვისთვისაც ღამე
სამზადისია
გაღვიძებულ დღის შესახვედრად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახლა, როდესაც

ახლა, როდესაც,
ახლა, როდესაც
სულ არსაიდან არ მელის საფრთხე,
როს მარტო ვზივარ მყუდრო ბინაში
და კარგად ვიცი
ამ შუაღამით
თავზე არც ზვავი არ დამეცემა
და არც მტრის თვალი
არ მითვალთვალებს —
საკვირველია, მაგრამ ასეა:
ვფიქრობ მარტოდენ გადარჩენაზე.

ამგვარი კალმით...
ამგვარ ოთახში,
ამგვარი ფიქრით,
ამგვარი ლექსით
ამ ქვეყანაზე
ალბათ რამდენი კაცი ერთობა...

და როგორც ფარა დატოვოს ცხვარმა,
გაინაპიროს,
თავისთვის ძოვოს —
სწორედ ასევე,
კარგა ხანია —
ვფიქრობ და ვფიქრობ გადარჩენაზე...

## სერობა

იმ ძველ ეტრატებს —
გულმოწყალებას რომ გვასწავლიან —
ხბოს ტყავზე წერდნენ წინაპრები,
ხბოს მოქნილ ტყავზე...

გამოგისვიათ ხბოს ყელში დანა?

მიიბრუნეთ უკან თავები,
თქვენს მგრძნობიარე, ფაქიზ ნერვებს
მიუხალვათეთ,
გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე,
ისაუბრეთ პოეზიაზე, ლამაზ ქალებზე,
თუნდაც ამინდზე...

ცოტა ხნის მერე
საგულდაგულოდ დაიბანეთ თეთრი
ხელები
სოფლის წყაროზე.
გადაწითლებულ ლორთქო ბალახებს
თვალს ნუ შეავლებთ —
როს მასპინძელი დაგიძახებთ
გაშლილ ტრაპეზთან...

ო, სისხლში, სისხლში
გავლებული კაცის მარჯვენავ,
რა წყალი გაგბანს,
რა მირონით გაინათლები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი ბეჟანიშვილი

# გაყინული კედლები

მოთხრობა

ზღვის ზედაპირს ნაცრისფერი ნისლი დასწოლია, მისი სიმძიმით გაოგნებული ზღვა გაყუჩებულა, აღარ შფოთავს. ცა მოქუფრულა. მხოლოდ ერთგან უძალებია მზეს და ცის ტატნობი წითლად შეუღებავს. ცრიატი დღეა. დამსვენებლებს ჰოლში მოუყრიათ თავი. კაცები ჭადრაკს თამაშობენ, ქალები სკამებზე ჩამწკრივებულან, მთისა და ბარის ამბებს ჰყვებიან.

მივუახლოვდი.

— თათუშა, შენი ჭირიმე, ბეჭედი გვაჩვენე, — ელრიჯება სახელაქლაქა გოგონა თავიდან ფეხამდე ჩამრგვალებულ ქალს.

— ოთახში დავტოვე, — თავს იფასებს თათუშა.

— გამოიტანე, გვაჩვენე! — მხარი აუბეს სხვებმაც.

თათუშამ ზონზროხა ტანი ხვნეშით აიტანა და დერეფანში გაბაჯბაჯდა.

— თქვენი ჭირიმე, ეს აქაური ბაზარი რა ყოფილა. საწოლის გადასაფარებლები ვიყიდეთ, უნახავს გაგხდით, — თვალებს ქაჩავს თათუშას დედა. დედაათ, არავის უთქვამს, მაგრამ თქმა რად უნდა. ბოცო-ბოცო ფეხები, ჩაგოდრებული ტანი, გაბერილ ლოყებში მოჭიატე ჭროლა თვალები, — გაჭრილი გაშლივით ჰგვანან ერთმანეთს.

ისეც არ ვიყავი კარგად და გულზე ჭანგებივით მომიჭირა. გასასვლელისაკენ შევბრუნდი. გოდორამ უცებ შეწყვიტა საუბარი. ვიგრძენი, ზურგში როგორ ჩამარჭო ჭროლა თვალები. შეგრძნება იმდენად ძლიერი იყო, ბეჭის არეში ტკივილი ვიგრძენი.

გრილი, სუფთა ჰაერი მაგარი სასმელივით მომედო და გამაბრუა. ეზოში, დაფნისა და პალმების ძირში, ცისფრად შეღებილი მერხები მიუდგამთ. ეზოს განაპირას თავისუფალ მერხზე ჩამოვჯექი. ცაზე ვარდისფერი ბურთი გაიზარდა. ნისლმა აქა-იქ კალთები აიკრიფა და ზღვის აყალოსფერი ზედაპირი გამოჩნდა.

საგრძნობლად ცივა, მაგრამ სიცივე მსიამოვნებს. მარტოობაც მსიამოვნებს. ვზივარ და ერთხანს არაფერზე ვფიქრობ.

— ხელს ხომ არ შეგიშლით, შეიძლება დავჯდე?

მიპატიჟებას არ დალოდებია, ჩემს გვერდით შუახნის მამაკაცი ჩამოჯდა. შეიძლება არც ისე ხნიერია, მაგრამ შეთხელებული თმა დ მატყლივით გათეთრებული წარბ-წამწამნი მოხუცის შეხედულებას აძლევენ. გამხდარი, ბევრი ფიქრისაგან ნატანჯი, გაცრეცილი

სახე აქვს. მოუსვენარი ცისფერი თვალები.

— პა, პა, პა, რა ამბავია ზაფხულში! ხალხი ქვიშასავით აწყვია. ზღვა მუდამ გახარებული მასპინძელივით ბუხუნებს. ახლა კი მარტოხელა კაცივით მოუწყენია, მე თუ მკითხავთ, ეს სიწყნარე მირჩევნია იმ საგიჟეთს...

ალბათ, დიდხანს გააგრძელებდა მონოლოგს. მაგრამ შემატყო, გუნებაზე არ ვიყავი და გაჩუმდა. ერთხანს ასე იჯდა, ფიქრობდა, როგორ დაეწყო.

— გენაცვალე, თბილისიდან ხარ? — ბავშვივით დამიყვავა.

— დიახ.

— რა გქვია?

— ხათუნა.

— ხათუნა, სახე ისე ჩამოგტირის თითქოს უბედურება გადაგხდენოდეს. ასეც რომ იყოს, დასვენება არ უნდა ჩაიმწარო. მითხარი, რა გაწუხებს.

მის ხმაში მამაშვილური. მფარველური ტონი ვიგრძენი, ყველაფერი ვუამბე.

— ჰმ, რა ხალხს ნიშნავენ დირექტორებად! — თქვა აღშფოთებით. — ადამიანი კვდება, ის კი იძახის, ბიულეტენზე ნუ გახვალო. ახალგაზრდა ქალს გული გაწუხებს, ჰაერი არ გყოფნის, ის უარესად გიშლის ნერვებს... მერედა მეუღლე ვერ ელაპარაკა?

ხმა არ ამომიღია.

— მეუღლე ხომ გყავს?

— მეუღლე?

— ჰო, მეუღლე.

მოუსვენარი ცისფერი თვალები გამომცდელად შემომცქერიან. არ მესიამოვნა. ახლა დაიწყება გამოძიება. მკითხავს, ინსტიტუტი როდის დავამთავრე, რამდენი წლისა ვარ...

— როგორ არა, მაგრამ უხერხულია...

— არაფერიც არაა უხერხული. მივიდეს და ვაჟკაცურად ელაპარაკოს. თუ გინდა მე მიგყვები.

— რასა ბრძანებთ, მეუღლეს ვეტყვი.

— თბილისში მუშაობს?

— კი... არა, ქალაქგარეთ.

— რა სპეციალობა აქვს? — მოჭუტული თვალები ეჭვით შემომცქეროდა.

— სპეციალობა?.. გე... გეოლოგი.

— უჰ, გეოლოგები ბოშებივით მოხეტიალე ხალხია. სამაგიეროდ გვარიანად იღებენ. სამასი მანეთი კი ექნება ხელფასი.

— კი, სამასი აქვს.

— ახლა სად არის?

— ყაბარდოში. — ვამბობ დაუფიქრებლად. ნერვიულობისაგან ხელის გულებშიც კი გამოჟონა ოფლმა.

— ყაბარდოში? — თვალები გაუფართოვდა, — იქ რას აკეთებს?

— ცისფერ მარმარილოს ეძებენ.

დაკითხვით კმაყოფილმა ხელები პლაშჩის ჯიბეებში ჩაიწყო და მერხას ზურგს. მიეყრდნო. ერთხანს ჩუმად იჯდა და ჩემს ნათქვამს აანალიზებდა. მერე მომიბრუნდა და თბილად მითხრა:

— თავს მიხედე, ჩემო ხათუნა, შინ ნუ ჩაიკეტები. თბილად ჩაიცვი და ისეირნე.

კიბეზე დინჯად ავდივარ.

— ხათუნაც მოვიდა, დავწვეთ. — ამბობს ანია, თან სარკეში შინიონს ისწორებს. დავწვეთო, ისე ამბობს, თითქოს მთელ დღეს არ იწვეს.

ანია იაკუტიიდან არის, პატარა ტანის კოხტა ქალია, მოყვითალო ფერის ფართოყვრიმალებიან სახეზე გეზად გაჭრილი თვალებით. ჩატეტკილ ლოყებზე მუდამ რაღაცას იგლესავს, თან, რაც ძალა და ღონე აქვს, ხელის გულებს იტყაპუნებს. მასაჟს რომ მორჩება, შინიონს დაუწყებს წვალებას.

— ხათუნა, ვისა ვგავარ?

— ვის უნდა ჰგავდე? — ვკითხულობ გაოცებული.

— გალია მეუბნება, რუსს არა ჰგავხარო.

— სწორია, რუსს კი არა, იაკუტს ჰგავხარ.

— ჰი,ჰი, ჰი, — ბავშვივით კისკისებს, — წმინდა სისხლის რუსი ვარ.

ნათქვამში ეჭვი მეპარება, სახე იაკუ-

ტისა აქვს, თვალებიც. საიდან მოიგონა ჟუსობა!

— ჩემი სტეფანე ხვალ ჩამოვა სოჭიდან. რა ეჭვიანია, მტრისას! ამას წინათ იტირა, მითხარი, ვის ხვდებიო. რომ არ ვლალატობ არ სჯერა.

— უყვარხარ და იმიტომ ეჭვიანობს, — შურით ამბობს გალია, — ბედნიერებაა ეჭვიანი ქმარი.

გალია მაღალ-მაღალი გამხდარი ქალია. მოზარდივით გრძელი, სახსრებში დამსხვილებული კიდურები აქვს. თავზე უშველებელი შინიონი ადგას. რომ არ დაეშალოს, ღამით გაუნძრევლად წევს ზურგზე. დილით კისრისა და თავის ტკივილს უჩივის. სამოცი სარჭის ტარება ხუმრობაა?

— გალკა, ძალიან მოტყუვდი, რომ ქმარს გაეყარე. კაცები ყველანი ღალატობენ ცოლებს. ამის გამო ჭკვიანი ქალი ოჯახს არ დაანგრევს. — ეუბნება ანია, — დავიჯერო, ხათუნას ქმარი არ დადის ქალებში?

ორივენი ცნობისმოყვარედ შემომცქერიან.

— უჰ, რას ამბობ, ჩემი მეუღლე ასეთი არ არის.

— ასეთი არ არის, — ანიამ გამომაჯავრა, — შენ ჩაგიკაკლავს სწორედ.

— ქალები არ უყვარს. — ვამბობ ნერვიულად.

— კარგი ერთი. რას ბრაზობ. როგორც ჩანს, ძალიან გიყვარს. ჰო, მართლა, ხათუნა რა ჰქვია შენს ქმარს?

— სახელი?

— სახელი, აბა გვარი? — გალიამ გაიცინა.

— ცოტნე... ცოტნე ჰქვია.

— რა? — კითხულობს ანია.

— ცოტნე.

— ცოდნე... ამისთანა რამ მის დღეში არ გამიგონია. ეს რა უცნაური სახელები გაქვთ ქართველებს.

ერთ წუთში ანიამ ფშვინვა ამოუშვა. მე და გალიას გვეცინება, ასე უცებ რომ გაგვეპარა. მერე ჩვენც გავჩუმდით.

ცოტნე... სპილენძისფრად გარუჯული, დაკუნთული ვაჟკაცია ცოტნე. მთაში ხეტიალით ზანგს დამსგავსებია.

— სადა ხარ, ცოტნე!

— შინა ვარ, ხათუნა, გუშინ დავბრუნდი. მაგიდაზე შენი წერილი დამხვდა. კარგი გიქნია, დასასვენებლად რომ წასულხარ. ფეხი შემოვდგი თუ არა, ზარმა გაიწკრიალა, გავიხედე, გურამი და ვაჟა არ დამადგნენ თავს!

— ბიძია, თქვენ მგონი, დაპატიჟებას არც აპირებთ, ახალ ბინას დალოცვა არ უნდა? — იცინის ვაჟა.

— ხათუნა სად არის? — მკითხა გურამმა.

— დასასვენებლად წავიდა.

— ამ ზამთარში?

— ჰო, გული ვერა აქვს კარგად.

პალტოებს დერეფანში ჰკიდებენ და ხორხოცით შემოდიან.

— გილოცავთ სიხარული არ მოჰკლებოდეს ოჯახს.

— ახლა ბიჭი... ბიჭი უნდა ატირდეს ამ კედლებში.

— ხათუნა ბიჭიო. შემრცხვა, მეთქვა, ოთხი შვილი უნდა გვეყოლოს: ორი ბიჭი და ორი გოგო. ერთი შვილი რა არის. ოთახში ალერილი ყვავილივით უსუსური გამოდის. ჩვენი შვილები ყოჩაღები იქნებიან. როგორც კი ფეხს აიდგამენ, ჰაიდა! მთებსა და კლდეებს გავუყენებ. გოგოები შენსავით ჭკვიანები იქნებიან. ქალურები. მაშინ გულისათვის ვეღარ მოიცლი, ხათუნა...

— ბიჭოს, ავეჯიც შეგიძენიათ. როდის მოასწარით. — ამბობს ვაჟა.

— ხათუნას საქმეა ყველაფერი. რომ შემოვედით, მხოლოდ კედლები დაგვხვდა მთელი. შუშები ჩალეწილი, ონკანები მოშლილი. წყალს ეზოდან ეზიდებოდა ხათუნა...

ვიცი. ამბავს მთელ დღეს ვერ მოვრჩები, ამიტომ ვეუბნები:

— დავლოცოთ ჩვენი ნაწვალებ-ნაჯახირევი ბინა.

— რა ქენი, ცოტნე, გაუმასპინძლდი?

— შიში შემეპარა, ვაი თუ შევრცხვე-მეთქი. სამზარეულოში კარადა გამოვალე და...—არიქა, მიშველეთ! — შევძახე ბიჭებს.

დავტრიალდით. კონსერვები გავხსენით, ზედ მჟავე კიტრი და პამიდორი დავაყოლეთ. ღვინო და კონიაკი თავსაყრელად გვქონდა. კარგი დრო გავატარეთ, ნაომარივით კი დავტოვეთ სახლი.

— ხომ იცი, მამაკაცების არეული სახლი მიყვარს, ცოტნე, პაპიროსის ბოლით გაყლენთილი კედლები. მონასტრულ მყუდროებასა და წესრიგს ვერ ვიტან.

ცოტნეს თეთრი მაისური აცვია. მეშინია, არ გაცივდეს. მსიამოვნებს მზისა და ქარისგან გარუჯული მკერდისა და ჩაყანგებული ჯიშიანი კისრის ყურება. ვზივარ და ვუმზერ. მერე ვდგები და ვუახლოვდები. თითქოს განზრახვას მიმიხვდა, ცოტნე იხრება. ორივე ხელს კისერზე ვხვევ და დიდ წყლიან თვალებში შევცქერი.

„ღმერთო, რა ლამაზია, ლამის გული შემიწუხდეს".

ცოტნე სუნთქვას აჩერებს. ლოყით მკერდზე ვეხუტები. მთის ყვავილებისა და ლითონის ერთმანეთში არეული სუნი მაბრუებს. საფეთქელთან ვგრძნობ, მდინარის ტალღასავით როგორ აწყდება სისხლი კედლებს. გულს გრდემლივით გააქვს ბაგაბუგი. ცოტნე ხელსა მხვევს და მკერდზე მიკრავს. მერე ბრძმედში ჩაგდებულ რკინასავით ვდნები და, არ ვიცი, მე მივედინები მის ძარღვებში თუ ის გადმოდის ჩემში.

— ხათუნა, ჩემო ხათუ, უშენოდ დავილიე! — მეჩურჩულება.

— დღესვე წამოვალ...

— არა, ხათუ, ჯერ უნდა იმკურნალო, დაისვენო. მერე სულ ერთად ვიქნებით... აკი ვისვენებ კიდეც.

საუზმის შემდეგ ეზოში გავედი. ქალებმა ეჭვიანი მზერა გამაყოლეს. რა სულელები არიან! ამაყად თავაწეული მივდივარ. გამოუცნობი დიდი სიხარული გულში აღარ მეტევა. შენობაც მევიწროება. გარეთ სცრის. ჟინჟლლი ფიფქივით მედება პალტოზე. სიხალისესა და სიმსუბუქესა ვგრძნობ. ქალაქის ბოლით ჩაყანგებული ფილტვები მეწმინდება, ჩაყანგული სისხლიც მეწმინდება. ფრთაშესხმული მსუბუქად ჩავდივარ მიხვეულ-მოხვეულ მოასფალტებულ ბილიკზე. შინ დრო არასოდეს მყოფნის. ზოგჯერ წიგნზე მათენდება. აქ გაზეთსაც არ ვკითხულობ. არც რადიოს ვუსმენ. ყველაფერს ერთბაშად გამოვეთიშე. ამდენი თავისუფალი დრო არასოდეს მქონია. შემიძლია მთელ დღეს უსაქმოდ ვიხეტიალო და არაფერზე ვიფიქრო.

— ხათუნა, საით გაგიწევია? — წამომეწია უკანიდან.

ხმაზე ვცნობ, ილგიზია.

— არსაით.

— საით არის ეგ არსაით, შეიძლება მეც წამოვიდე? — მეუბნება სიცილით.

ილგიზი მაღალი, წარმოსადეგი ვაჟია, ჩალისფერი თმითა და ნუშისმაგვარი ნაცრისფერი თვალებით. სხვები იფუთნებიან, ის კი პიჯაკისამარა დადის.

— არა გცივა?

— სადაა სიცივე. აქაც ისეთივე კლიმატია, როგორც ჩვენთან, სახალინზე!

სახალინის ხსენებაზე თვალწინ მიდგება რუკაზე ყუაშემომტვრეული ლავაშივით დაკიდებული კუნძული. აუჰ, რა შორსაა!

ილგიზს ისე გაკვირვებით შევხედე, თითქოს ჩემს წინ სახალინი იდგა.

— მომიყევი სახალინზე.

— რბილი ჰავაა, მაღალი მთები, გაუვალი ტყეები. ტყე ფრინველითა და ნადირითაა სავსე, ზღვა — თევზით..

— გეოგრაფიას ასწავლი?

ილგიზმა გაიცინა.

— მშენებელი ინჟინერი ვარ.

— გიყვარს ნადირობა?

— დასვენების დღეებს მთაში ვატარებ. კლდე-ღრეებში ხეტიალი და ნადირობა მიყვარს.

— თუ კლავ რამეს.

— დათვი, არჩვი, კურდღელი თავსაყრელადაა. დატვირთული მოვდივარ.

კვირაობით ბიჭები დამადგებიან თავს და ერთი ამბავი გვაქვს.

ილგიზი ბევრი რამით ჰგავს ქართველს. ვაჟკაცურია. უყვარს ნადირობა და ძმაკაცებში ქეიფი. მის გვერდით ყოფნა მსიამოვნებს.

— ქალებს არ ჰპატიჟებთ?

— უჰ, ქალებთან რა ხეირია.

— ქალები არა გყავთ?

— რამდენიც გინდა. ერთი ქართველი ქალიც ცხოვრობს იქ, თბილისელი.

— მართლა?

— ჰო. ინგლისურს ასწავლის.

— საოცარია. თბილისელი ქალი სახალინზე.

— ჩამოვიდა და სულ დარჩა. შვილებიცა ჰყავს. შენ არ წამოხვიდოდი?

სუნთქვაშეკრული მომჩერებია. დიდი ნაცრისფერი თვალები მუდარით შემომცქერიან.

— რისთვის?

— თუნდაც სამოგზაუროდ.

— მოგზაურობა მიყვარს. სიამოვნებით დავათვალიერებდი.

— ჰოდა, წამოდი.

— წამოვალ, ილგიზ!

ილგიზს ლამაზი თვალები სითბოთი აევსო. სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— ჩემი სახელი დაგისწავლია...

რომ გავიცანი, ვკითხე, რა გქვიამეთქი. ჩემს სახელს ვერ იმახსოვრებენ, ყველა ილიას მეძახის, შენც ასე დამიძახეო.

— მაინც რა არის იმისთანა?

— ილ-გი-ზი, გაგიგონია?

— ილგიზი არა, ილბიზი კი გამიგონია, ქისტურად ეშმაკს ნიშნავს.

— მართლა? ეს სიტყვა ბაშკირულადაც სატანას ნიშნავს.

— ილგიზი?

— სიყვარულს.

— მაშინ ილია კი არა, სულიკო უნდა დაგიძახოთ.

ილგიზი უფრო მომწონს, ლამაზად ჟღერს. თანაც მას სწორედ ასეთი განსხვავებული სახელი შეეფერება.

— ხათუნა!

— ჰაუ.

— იცი როგორი ხარ? — მეკითხება მოულოდნელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა.

— შენთვის არავის უთქვამს?

— არავის.

— რაღაც სხვანაირი ხარ, სულ სხვანაირი... თუნდაც ხმა. არ ვიცი, რას მაგონებს, კარგ მუსიკას თუ ლამაზ ლექსს· კაცს მარტო ხმით შეუყვარდები.

სახე აუფორეჯდა· ყურის ბიბილოებზე ცეცხლი წაეკიდა.

გულიდან რაღაც თბილი წამოვიდა და მთელ სხეულს მოედო. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი. მერხზე დავეშვი. ილგიზი ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

— აი, მწამს ასეთი პოეტური გაჩუმება! — მოსახვევში მხარზე ფოტოაპარატგადაკიდებული ივან მიხაილოვიჩი გამოჩნდა.

იგი ილგიზთან ერთად ცხოვრობს, მისი კოლეგაა. მორჩილი ტანისაა, შუაზე დაუდევრად გაყოფილი წაბლისფერი ქოჩრით. თვალები მუდამ ეშმაკურად უცინის· ხუმრობა ხომ მისი მოგონილია.

—სურათი უნდა გადაგიღოთ. — აპარატს ამზადებს.

ილგიზი ჩემკენ იხრება. ივან მიხაილოვიჩი აპარატს აწკაპუნებს, მერე მეკითხება:

— ხათუნა, სურათები გამოგიგზავნო?

— აუცილებლად.

— ქმარი არ იეჭვიანებს?

— აჰ, რას ამბობთ...

— მისამართი ჩამაწერინე.

უბის წიგნაკს ფურცლავს და მისამართს იწერს, მერე ფეხზე დგება, მიდამოს ათვალიერებს, კარგი ადგილი უნდა შეარჩიოს.

— ისინი შენი ნათესავები არიან? — შემეკითხა ილგიზი.

— ვინ ისინი.

— ჭაღარა და ცალხელა.

— ლუკა და რეზო... აქ გავიცანი.

— ახლოს კი არავის გაკარებენ და...

მართლაცდა. საკმარისია ვინმე გამომელაპარაკოს, იმ წუთას ჩემთან გაჩნდებიან და შინაურულ საუბარს გამიბა-

შენ. ლუკა ცოტნეს ამბავს გამომკითხავს. ვითომცდა ჰა, გათხოვილი ქალია, ყველამ იცოდეთო. მე კი ალბათ, მოვალეობას მახსენებს. ილგიზი ამ დროს აივანზე დგას. ჩამოსვლა უნდა, მაგრამ თავს იკავებს.

— ქართველები ეჭვიანები არიან. მათ ქალს უცხო კაცი რომ ელაპარაკება, არ სიამოვნებთ. — ამბობს ივან მიხაილოვიჩი.

— თვითონ ხომ ელაპარაკებიან უცხო ქალებს!

— ე, ძმაო, კავკასიაა... პატრიარქატის გადმონაშთი... — ბეჭედს უსვამს ივან მიხაილოვიჩი..

— ხათუნა! — ხმადაბლა მეუბნება ილგიზი.

— რა, ილგიზ!

სულ ახლოს მოდის და თვალებში ჩამცქერის.

— სიმართლე თქვი, ბედნიერი ხარ?

— რა შეკითხვაა. — ტუჩი ავიბზუე.

ილგიზი დაიბნა.

— მაპატიე, ისე... ძალიან სევდიანი თვალები გაქვს. შენს სახეზეც კაცი იშვიათად ნახავს ღიმილს.

მკერდში რაღაცამ მიჩხვლიტა. გავჩუმდი.

პალმების ხეივანში ლუკა და გალია გამოჩნდნენ. ლუკა ჩვეულებისამებრ გამოწკიპულა, მაგრამ მეტისმეტად ძველმოდურად აცვია: პრიალა, შავი მოკასინები, ყავისფერი გაბარდინის პლაშჩი დ ნაცრისფერი შლაპა. გალიას, ციმბირული ზამთარი თუ გაახსენდა, მელიის ბომბორა ქუდი დაუხურავს. ფეხზეც ბეწვისსარჩულიანი ჩექმა ჩაუცვამს. შინიონის გამო თუა, ვიწრო მხრებსა და ფარგასავით გაბრტყელებულ ტანთან შედარებით თავი არაპროპორციულად დიდი უჩანს. წვრილი თაფლისფერი თვალები სიხარულით აუციმციმდა.

— მთელი დღე გეძებდი, შენ კი თურმე სად ყოფილხარ! — უთხრა ილგიზს.

— მე დამეძებ? — ილგიზმა გაიკვირვა.

— დიახ, შენ. კატერით გავისეირნოთო რომ მითხარი, დაგავიწყდა?

გალია ხან მე გადმომხედავს ფოცხვერის თვალებით, ხან — ილგიზს.

— ეგ შენ თქვი, გავისეირნოთო და არა — მე.

— აბა, აბა, მეგობრებო, ასეთები ნუ იყოს. იცოდეთ, კავკასიაში ხართ... — ივან მიხაილოვიჩი ეშმაკურად ჭუტავს თვალებს, — ლუკა პეტროვიჩ, მოდით, ახალგაზრდებთან სურათს გადაგიღებთ.

— დიდებულია, დიდებული, გადავიღოთ, — გალია ილგიზს მკლავში ხელს უყრის, — ლუკა პეტროვიჩ, თქვენ აქეთ მომიდექით.

— აჰ, სასურათედ არ ვარ გამოწყობილი, — ლუკა ხელებს ასავსავებს.

— რას ამბობთ, შესანიშნავად გამოიყურებით, — ეუბნება გალია.

ილგიზი იბღვირება, განზე იწევს.

— არა, ივან მიხაილოვიჩ, სხვა დროს იყოს. — არც ლუკას უნდა სურათის გადაღება.

გალია ტუჩებს იკვნეტს.

— ჰმ, კავალრებს დამიხედეთ! ქალთან სურათის გადაღება არ სურთ.

ილგიზს ფოცხვერის თვალებს არ აცილებს, ის კი ზღვას მიშტერებია.

— თქვენი ნებაა, რადგან არ გინდათ... წავიდეთ, ილგიზ! — ივან მიხაილოვიჩი აპარატს მხარზე იკიდებს და სანაპიროს მიჰყვება. ილგიზი და გალია დამდურებულებივით მიდიან.

როგორც კი თვალს მიეფარნენ, ლუკამ გამოიდარა. თვალები აუციმციმდა.

— ხათუნა, გენაცვალე, თბომავალით გავისეირნოთ.

ხელკავი გამომდო და ნავსადგურისაკენ წამიყვანა. ცუდ გუნებაზე ვარ. მის გვერდით სიარული სულაც არ მეპიტნავება.

სანაპიროს ნელა მივყვებით. კილომეტრზე გაჭიმული პლაჟი ცარიელია, ზღვა გატრუნულა, თითქოს ძალას ზოგავს, რათა უეცრად გაიღვიძოს და დაჭრილი ლომივით აბუხუნდეს.

— ხათუნა, ცოტნეს წერილი მიიღე?

ისე არ შეშფოთდება, ცოტნეზე არ მე-

ლაპარაკოს. კაი ძმაკაცივით ყოველდღე კითხულობს. გარეგნობა, ხასიათი, ქცევა და, ღმერთმა უწყის, რაღა არ აინტერესებს მისი.

— ორი ერთად, — ვამბობ გამომწვევად.

— რას იწერება, ალბათ, მოენატრე.

— ჩამოსვლა მინდაო, მაგრამ დავუშალე. ცოტაღა დამრჩა, რატომ უნდა შეწუხდეს. სიმართლე გითხრათ, მე უფრო ვნაღვლობ. ბავშვივითაა, თავს ვერ მიხედავს.

— ჰო, ჰო, ჰო! — სიამოვნების ნიშნად აღმოხდა ლუკას.

— დაიჩემა მწვანე პერანგები მიყიდე, ყოველ წუთში რეცხვა რომ არ დასჭირდესო. მე კი ავდექი და თეთრი ვუყიდე. ახალი თოვლივით ქათქათა თეთრი. წამოსვლისას თორმეტი ცალი ვუყიდე. მწერს, ყველა გაჭუჭყიანდა და სააბაზანოში მივყარეო. ჩავალ და დავრეცხავ. მიყვარს მისი ტანისამოსის რეცხვა. ვდგავარ და საგულდაგულოდ ვაუთოვებ. ამ დროს ვისვენებ კიდეც.

ლუკა თვალებს წკურავს. თეთრ წარბებს ძგიბავს, სიფრიფანა უფერულ ტუჩებს აწკლაპუნებს.

— ბედნიერებაა... ბედნიერება. სიყვარულის ფასი რა არის ქვეყანაზე!

მის კილოში ოჯახურ სითბოს მონატრებული კაცის დაფარული შური იგრძნობა. აქამდე თავში არ მომსვლია, ახლა ვეკითხები:

— მეუღლე გყავთ?

— ეჰე, ხათუნა, — ლუკამ ამოიოხრა, — თხუთმეტი წელია, ქალის გარეცხილი არ ჩამიცვამს, ქალის გაკეთებული კერძი არ მიჭამია.

— მოგიკვდათ?

— დავცილდი.

— შვილები?

— ვაჟი სტუდენტია, გოგონა მეათე კლასში სწავლობს.

მოგსწრებიათ და ეგ არი.

— ყველაფერი მათ შევწირე და მარტო დავრჩი.

— რატომ მარტო, შვილები?

— სანამ პატარები არიან, შვილებს მანამდე სჭირდები, დაიზრდებიან და თავიანთი საფიქრალი გაუჩნდებათ, მარტო ვარ, ხათუნა, მარტო!

თვალში ცრემლი მოადგა, ხმაში გულგატეხილობა დაეტყო. შემეცოდა.

ლუკამ დარდიმანდული ლაპარაკი იცის, ხუმრობა და მხიარულება უყვარს. გარს ყოველთვის ახალგაზრდები ახვევია. ყველას ბედნიერი ჰგონია, ის კი... თურმე მარტოობას განიცდის, ამიტომ უყვარს ხალხში ყოფნა.

— ხათუნა.

— ბატონო.

— შენისთანა გამგები ქალი რომ შემხვდებოდეს...

ხმა უკანკალებს, გამხდარი მხრები უთახთახებს. თვალში ცრემლმორეული საწყლად შემომცქერის...

საღამოს, ვახშმის შემდეგ, ეზოში გავედი. აქა-იქ ნეონის შუქი ციმციმებს. კლუბიდან შტრაუსის ვალსების შორეული ჰანგები ისმის. სიცარიელე და სასიამოვნო სიწყნარეა ეზოში. ქოლგის ქვეშ, მერხზე ჩამოვჯექი. ქვემოთ, ხეების ტევრში, სიბნელეა. ზღვაც ჩაბნელებულია. შორს, ქალაქის განაპირას, ჭიატებს შუქი.

ფეხის ხმა არ გამიგია. გვერდით რომ მომიჯდა, ილგიზი მაშინღა შევნიშნე. ჩუმად ვსხედვართ. ვიცი, გულში მსაყვედურობს. მთელ დღეს რომ არ გამოვჩენილვარ.

— ხათუნა! — მომესმა ჩურჩული.

შევხედე.

— ხათუნა! — ხმაში ინტიმი გაერია.

— ასე ნუ მიყურებ... არ შემიძლია... თავი დავხარე.

— ხათუნა, შემომხედე! მე... მე... — ნელ სიოს მოაქვს ვალსის ჰანგებში შორეული ჩურჩული.

შენობიდან ლუკა გამოვიდა და დაბარებულივით ჩვენკენ გამოსწია.

— მოვიდა მცველი! — ილგიზმა კბილები გაალრჭიალა.

ლუკა საღამოობით გარეთ არ გამოდის, გაციების ეშინია. ახლა საგანგებოდ გამოწყობილა. ბეწვის ქუდი დაუხურავს, ხელთაათმანი ჩაუცვამს.

ილგიზი გაბერილი ზის. ლუკაც შეცბუნებულია, ხმას არ იღებს. ჩუმად ჯდება ჩემს გვერდით. დაძაბულობა ივან მიხაილოვიჩის მოსვლამ გაფანტა. ილგიზივით ისიც პიჯაკით დადის. კარგ გუნებაზეა. ემჩნევა, გადაუკრავს.

— აბა. ივან მიხაილოვიჩ, როგორ იყო გოგო რომ გაგითხოვდა? — ეკითხება ლუკა.

ივან მიხაილოვიჩი ჰყვება.

— ეეჰ, ივან მიხაილოვიჩ, ეგ როგორ დაგემართა, ვაჟკაცი არ იყავი?

— გამოუცდელი ყმაწვილი ვიყავი. მიყვარხარ-მეთქი ვერ გავუბედე.

— მაგას რა გაბედვა უნდა. ქალი მიყვარდეს და... რომ მოვინდომო, ქმარს დავაშორებ.

ლუკამ მე გადმომხედა.

თვალები ველური ჟინით უელავს. ს[illegible]იფრიფანა ნესტოები ებერება.

— ჰო, რა გგონიათ, წავართმევ. სიყვარულს ხომ გავუცხადებ და გავუცხადებ.

ილგიზმა ჩაიცინა.

— როგორც ჩანს, თქვენს ასაკში ყველაფერი ადვილია.

„ასაკი“ გულში მოხვდა ლუკას. თვალები გამომწვევად მოჭკუტა, ტუჩები აუთრთოლდა.

— თქვენს ასაკში? — წარმოთქვა ღვარძლით.

— ძნელია, ძალზე ძნელი... — ჩაილაპარაკა ილგიზმა.

ივან მიხაილოვიჩს შესცივდა. ადგა. ლუკამაც პალტოს საყელო აიწია. ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა. გულში მეცინება. საინტერესოა როდემდე გაუძლებს.

— სასიამოვნო სიგრილეა. — ამბობს ილგიზი.

— იშვიათი საღამოა. — ვუდასტურებ.

მართლაც შესანიშნავი ღამეა. მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავები ნაკვერჩხლებივით ღვივიან. ზღვა ჩაქუფრულა. ჰორიზონტზე ოქროსფერი ათინათი აკიაფდა. თანდათან გაიზარდა და ზღვიდან ბოშა ქალის საყურესავით გალეულმა, ფერმკრთალმა მთვარემ ამოყო თავი. თითქოს უხილავი ძალით ეწევიანო, საყურე ზემოთ და ზემოთ მიცურავს. მოჯადოებული შევცქერით.

— ასეთ ღამეში ძილი დანაშაულია, — ამბობს ილგიზი, — ახლა ვხვდები, თქვენში რატომ არის ამდენი პოეტი.

ლუკა სიცივით კანკალებს. ჯერ მოკასინების წვერები აუკაკუნა, მერე ბოლთის ცემას მოჰყვა. სიცივე გაუჯდა, კრიჭა შეეკრა.

— მოვალეობა მსხვერპლს მოითხოვს, — ფრუტუნებს ილგიზი, — საგუშაგოზე მუდამ ასეა.

ლუკამ იკადრა და შენობისაკენ გასწია.

— მცველო! — ღვარძლით დაადევნა ილგიზმა. — ბებერი მელა, ქალის წართმევა მოუნდომა ქმარს.

ის იყო, ლუკას მოხრილი ზურგი კარებს მიეფარა, რომ პარმაღზე რეზო გადმოდგა. რეზო ცალხელა ვაჟია. არავის უკითხავს, სად დაკარგე მარჯვენა. ჩაჰყლეტილ ცხვირში დუდღუნით ლაპარაკობს. მაგრამ კეთილი და თავაზიანია. ყველას „ოქროს“ ეძახის.

რეზომ ჩვენკენ გამოსწია.

— შემცვლელი გამოგზავნა! — გეზად გაჭრილ თვალებში ნაპერწკლებმა იელვა.

— ოქრო, აქა ხარ? — შორიდანვე დამიძახა რეზომ.

— ველარ ვსუნთქავ, ხათუნა! — ილგიზი წამოდგა. თითქოს მართლა გამოლეულიყოს ჰაერი, მძიმედ ქშინავს. თვალში ისევ ავაზას ნაპერწკალი უელავს. — იცოდე, ბაშკირები რაღაცით ვგავართ ქართველებს. — შეტრიალდა და შენობაში კი არ შევიდა, კიბეზე თავქვე დაეშვა, სიბნელეს შეერია.

— ოქრო, მეგონა, ცეკვებზე იყავი, — ნირწამხდარი მეუბნება რეზო.

— აცივდა, წავიდეთ! — წამოვდექი. ჟრჟოლამ ამიტანა. კბილები მიკაწკაწებს.

— თავს რაზე იკლავ. ავად რომ გახდე, არ გეშინია? — მითხრა მზრუნველობით.

დილით ივან მიხაილოვიჩი ყურებჩამოყრილი დამხვდა კარებთან, ემჩნეოდა

მე მიცდიდა. დამინახა თუ არა, დამნაშავის კილოთი მითხრა:

— ილგიზი წავიდა.

— სად? როდის? სამი დღე კიდევ ჰქონდა?!

— გათენებისას ფანჯრიდან გადმოძვრა. ვხედავ თავის ჭკუაზე არ არის. რა დაგემართა-მეთქი — ვკითხე.

— ჰაერი არ მყოფნის, ვიგუდებით. არც დაუბარებია. სად, უთენია ადგა და წავიდა.

დღეს მეც მითავდება შვებულება. ხვალ სამსახურში უნდა გამოვცხადდე.

დილიდანვე ცამ პირი მოხსნა. ტროპიკული წვიმა თუ გინდა, ეს არის. ზღვამ გაილვიძა და აბღავლდა. მთისხელა ტალღები მოაქანებს. თითქოს თავის მოკვლა გადაუწყვეტიაო, თავგამეტებით ეხლება ნაპირს. დაოსებული ბრუნდება უკან, რათა ძალა მოიკრიბოს და უფრო მეტის თავგანწირვით გამოქანდეს.

ძლივს არ ვიხილე ნამდვილი ზღვა! საწვიმარს ხელი დავტაცე და გარეთ გავვარდი. ჰოლში მსხდომთ დაფეთებული მზერა შემაგებეს. შეიშალაო, თუ ფიქრობენ. მართლაც შეშლილს ვგავარ. საათობით შემიძლია ვუცქირო გადარეულ ზღვას.

ბარიერს დაყრდნობილი დავცქერი სტიქიის შერკინებას. ცოტნესაც უყვარს წვიმაში სიარული, მასაც უყვარს ვულკანივით მძვინვარე ზღვა. ცოტნეს მიხაკებიც უყვარს, რადგან იცის, რომ ძალიან მიყვარს მიხაკები. დეპეშას რომ მიიღებს, საყვავილეში გაიქცევა, ცეცხლივით ბდღვრიალა მიხაკებს იყიდის და ვაზაში ჩარგავს...

საღამოთი ლუკა და რეზო ჰოლში მიცდიან. უნდათ, გამაცილონ. ივან მიხაილოვიჩსაც სწადია ჩემი გაცილება, მაგრამ უფლებაჩამორთმეული კაცივით მოშორებით დგას და იღიმება.

— მშვიდობით, ივან მიხაილოვიჩ. კარგ დასვენებას გისურვებთ, — ხელი გავუწოდე.

— ნახვამდის, ხათუნა, ჩვენ კიდევ შევხვდებით, — ისევ ეშმაკურად უციმის თვალები.

— ცოტნეს შეატყობინე? — მეკითხება ლუკა.

— როგორ არა, დეპეშა გავუგზავნე.

...მატარებელი უთენია ჩამოდგა სადგურში. თოვს. ბრტყელი ფანტელები ნექტრით გაბრუებული პეპლებივით დაზოზინობენ ჰაერში. — ბაქანზე ორიოდე დამხვდური მობუზულა. „ალბათ, დაეძინა; შინ დამხვდება" — თავს ვინუგეშებ.

საფეხურებს მსუბუქად მივყვები. წინათ ცარიელს მიჭირდა ასვლა, ახლა, ჩემოდნის სიმძიმესაც არა ვგრძნობ. ბოლოცი საფეხური შეუსვენებლივ რომ ავიარე, ვიგრძენი, ზღვამ რამხელა ძალა გამომატანა.

კართან ვჩერდები „მძინარეს წავადგები. მზერას იგრძნობს და გაეღვიძება. გაოცებით შემომხედავს, გამიღიმებს. დაკუნთულ სპილენძისფერ ხელს გამოყოფს საბნიდან და წელზე სალტესავით შემომხვევს. მისი სხეულის სითბო შემომეფრქვევა, მამაკაცური ღონიერი სხეულის მძაფრი არომატი..."

გასაღებს ფრთხილად ვატრიალებ. კარი უხმაუროდ იღება. ყველაფერი ძველებურადაა. სანთლიანი ჭიქაც კი ტამბურზე უცვლელად დგას, წასვლისას რომ დავტოვე. საწოლ ოთახში სწრაფად გავდივარ. ლოგინზე ჩემი კაშნე გდია. მთელ თვეს გაუნიავებელი, ჩაგუდული ჰაერი სულს მიხუთავს. მარტოობით გაყინული კედლები უცხოსავით მტრულად მხვდებიან.

— ცოტნე... ცოტნე... ხარ კი სადმე? — აღმომხდა კვნესით და საწოლზე ულონოდ დავემხე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოდერძი ჩოხელი

# ჯიში

მოთხრობა

ბერმა და ჯღუნამ ცეკვა იციან. განაყურები არიან, მოკომშურნი. მაგათნაირი ცეკვა დედამიწის ზურგზე არავის ეცოდინება, თავიანთი მოგონილია და თავადვე ხმარობენ. არც ხატს აკლდებიან, არც ქორწილს, დადიან და თამაშობენ.

— ჯღუნაი ვარო! — დაიძახებს ჯღუნაი, გაშლის ხელებს და იმდენზე ანთავისუფლებს ხალხისაგან საცეკვაო ადგილს, რამდენიც მაგათ მოგონილ ცეკვას ეყოფა. გავა ბოლოში, გაშლის ხელებს, არწივივით დააბრიალებს თვალებს და მანამდე დგას ასე ხელებგაშლილი, ვიდრე მეორე მხარეს ბერი არ გამოჩნდება.

— ბერი ვარ! — ღაიძახებს ბერი და ისიც ხელებს გაშლის. ჯღუნაი დიდია და მაღალი, ბერი დაბალი და წვრილი. დგანან ერთმანეთის პირისპირ მხარგაშლილები. ისეთი შესახედავი არიან, თითქოს არწივი ფრენას ასწავლისო მართვეს. მერე ჯღუნაი მარჯვენა ფეხს ასწევს ჰაერში, იქიდან ბერი მარცხენა ფეხს ასწევს და წავლენ ხტუნვით ასე ფეხაწეული და ხელებგაშლილნი ერთმანეთისაკენ. შეიყრებიან შუა ადგილას:

— ჯღუნაი ვარო!

— ბერი ვარო!

ღაიძახებენ და ღააბაკუნებენ ფეხებს. მერე ზურგს შეაქცევენ ერთმანეთს; აწეულ ფეხებს შეინაცვლებენ და დაშორდებიან ერთ-ურთს.

აქაურ ხალხს ძალიან მოსწონს მაგათი ცეკვა. თვითონ კი მარტივსა და იოლს ეძახიან და მაგათ გარდა ეგრე თამაშობის უფლება არავისა აქვს.

ცოტა მშიშარაა ჯღუნაი, სულ ბერის გულით დადის ხალხში. გადავა ხოლმე, გადაიჩეჩება საცეკვაოდ წრეში, თან ცალი თვალი ბერისაკენ უჭირავს.

იმ ასაკში არიან, კაცი ვერც იმას იტყვის ზევით არიანო და ვერც იმას, ქვევითაო. დადიან და ცეკვავენ.

* * *

ქორწილში იყვნენ ერთ დღეს. დაითრო ბერი, დაიჟინა, მუსიკის ხმა არ გამაგონოთო, დააშინა მედოლ-მეგარმონე. შეწუხდა ნამთვრალევი ხალხი, ცეკვა ეწადა ჯღუნას. სთხოვა მუსიკოსებს:

— დაუკარით ერთხელ.

— ვინ უკრავს. — წამოწიწმატდა ბერი. გამტკნარდა მუსიკა. დედაკაცებიც შეეხვეწნენ ბერს:

— დააკვრევინე, ბერო, შენს გახარებას!

— არა.

— რატო კაც, ცოდვა არის ჯღუნაი, თამაშობა უნდა.

— არა, ვერა.

— რატო არა.

— ეგეა ნათქომი და იმიტომ.

— როგორ.

— ფეხშიშველი ჩოხელი ცივ ქვაზე შედგაო.

— მერე?

— ეხვეწნენ, ჩამოდი, თორო გაცივდები და მოკვდებიო.

— მერე?

— იუარა: არა, არ ჩამოვალ, რახან შევდექ აღარ ჩამოვალო.

— იქნებ ცივი არ იყო. — დაეჭვდა ხიზანიანთ ფიდუაი.

— ცივი იყო.

— შენ რა იცი, კაცო, რო ცივი იყო.

— ნათქომია.

— რაო.

— ცივი ქვა იყოო.

— იქნებ თბილი იყო.

— ცივი იყო.

— რა იცი.

— გაცივებულა ის კაცი და მომკვდარა.

— აბა რაღა ცივ ქვაზე დგებოდა.

* * *

— ვისი რა საქმეა, იმ კაცს უნდოდა და შედგა.

— ჰოდა, დაუჯერია კიდეც.

— იმას არ უნანია. სიკვდილის წინ ჩაუტარებიათ დედაკაცებს:

— შე უბედურო, აბა რაღა ცივ ქვაზე სდგებოდიო!

— მინდოდა და შევდექიო.

— ხო შედგა, ჩამოსულიყო მერე.

— არ უნდოდა ჩამოსვლა და არ ჩამოვიდა...

— არ მინდა და არც მე ჩამოვალ.

— ჩამოდი და რა დაგიშავდება, ბერო, დედამტერთასა.

ეხვეწებოდნენ დედაკაცები. ჯავრისაგან დათვრა ჯღუნაი, ნაბადში გაეხვია და მიიძინა.

— დაუკარითო, — ბრძანება გასცა ბერმა. გალაღდა მუსიკა, გაშალა ხელები და იცეკვა მარტოკამ.

ძილში დოლ-გარმონის ხმა ჩაესმა ჯღუნას, ნაბდიანად წამოხტა და მოცეკვავე ბერი რომ დაინახა, გახარებული შევარდა წრეში.

— ჯღუნაი ვარო! — დაიძახა ხელებგაშლილმა. ბერს არ უთქვამს ბერი ვარო.

— ვინ უკრავს! — დაიძახა და დააბაკუნა ფეხი.

შეშინდნენ მუსიკოსები, გააჩერეს დოლ-გარმონი. საცეკვაო წრეში გახევებული დარჩა ჯღუნაი. ცალი ფეხი აეწია, და ისე იდგა, შემოდგომის პირზე, ჭაობში, შეცივებული ყანჩა რომ დგას ხოლმე ცალ ფეხზე.

ჯღუნაის ცოდვით გარმონმა ერთი ისეთი დაიწკმუტუნა, პატარა ლეკვმა რომ იცის, როცა პატრონი ყურებს დააჭრის. დაიწკმუტუნა და ბერის შიშით გაჩუმდა უცებ. ფრთამოტეხილ წეროსავით ჩამოუცვივდა ჯღუნას გაშლილი მკლავები, ფეხი ჩამოსწია და საცეკვაო წრიდან გავიდა.

* * *

კარგახანი გავიდა მას შემდეგ რაც ჯღუნამ გულიდან გადაიგდო მხიარულება, დაიკვეთა ბერთან ცეკვა.

ბერიც შეწუხდა და ხალხიც. კინო ამოიტანეს ერთხელ სოფელში და არავინ მისულა საყურებლად.

— რა გვეკინოვება, ჯღუნაი აღარ ცეკვავსო.

— სახელი მაინც დავარქვათ ჩვენ მოგონილ თამაშობასო. — სთხოვა ბერმა.

— ჯღუნურიო.

— ბერული-ო.

ვერა და ვერ შეთანხმდნენ, თავმჯდომარეს ვკითხოთო და წავიდნენ კოლმეურნეობის კანტორაში.

— გამარჯობათო.

— რაო. — ჰკითხეს.

— თამაშობა ვიცით.

სახე გაუფითრდა კოლმეურნეობის

თავმჯდომარეს და აკანკალებული ხმით შეეხვეწა:

— ოღონდ ეხლა ნუ იცეკვებთ და ერთ კვირას არ გამუშავებთ. ოღონდ ეხლა ნუ მომჭრით თავს, რაიონის ხალხია ჩამოსული და რას იტყვიან, გიჟის კოლექტივში მოვხვდითო.

—არა, თამაშობა კი არ გვინდა.

— მა რა.

— შენ რას იტყვი, ბერული დავარქვათ თუ ჯღუნური.

— გამაგებინეთ, კაცო, რას ლაპარაკობთ.

— თამაშობას ბერული დავარქვათ თუ ჯღუნური.

— აა, — გულზე მოეშვა თავმჯდომარეს, მაგრამ ჯღუნაი და ბერი აღარ მიდიოდნენ პასუხის მოლოდინში. თავმჯდომარემ ვერც ერთს გაუტეხა ხათრი, ვერც მეორეს, ხელებში ჩარგო თავი.

— რაიონის ხალხსა ვკითხოთ. — შედგა ცივ ქვაზე ბერი.

— ნუ თქვენი ჭირიმე, ნუ დამღუპავთ.

— ფეხშიშველი ჩოხელი ცივ ქვაზე შედგაო.

— ჩამოდი, ბერო, შენი ჭირიმე.

— არა, უნდა ვკითხო.

— ნუ მამთხრი და გამაცივებ. ბერო, შენი ჭირიმე.

— ცივ ქვაზე მე ვდგავარ, შენ რა გაგაცივებს.

— მე მამხვდება, მენა!

— არა, მაინც უნდა ვკითხო, გინდა შენთან ერთად ბულალტრებიც გაცივდნენ.

ბერმა იფიქრა. თუ დავიყოლიებ, ეხლა დავიყოლიებ ჯღუნასაო და:

— მაშინ ვითამაშებთო, — ფეხი ასწია, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ჯღუნაი არც აქ აპირებდა აყოლას და — რაიონის ხალხსა ვკითხოთო, — ისევ ცივ ქვაზე შედგა.

ის იყო ჯღუნაიც უნდა შეხვეწნოდა ბერს, რომ ვიღაცამ კარი შემოაღო და თავმჯდომარეს უთხრა, წავიდნენ სტუმრებიო.

„ჩამოვიდა ქვიდან“ ბერი და წამოვიდნენ, გაცივებული დატოვეს თავმჯდომარე.

— მიდიხართ? — იკითხა თავაზიანად.

— წავალთ და „ასკოფეინს“ გამოგიგზავნით, — დაიმედა ბერმა.

ცხენებზე ისხდნენ და ისე მოდიოდნენ. როგორღაც სადავეებიც ისე ეჭირათ, ერთმანეთს არ უყურებდნენ და თითქოს არც ის უნდოდათ, რომ მათ ცხენებს შეეხედათ ერთ-ურთისათვის.

ბერს ჭრელი მათრახი ეჭირა ხელში, ჯღუნას ტალახიანი წკეპლა. ეტყობოდა მოსწონდა ჯღუნას თავისი მოკომურის მათრახი, მალულად გააპარებდა ხოლმე თვალს. ადგა და აჩუქა ბერმა.

— ბერული დავარქვათო. — გაილაღა ჯღუნამ.

— არა, ჯღუნურიო. — ცივ ქვაზე შედგა ბერი.

სახლამდე ისე მივიდნენ, ვერ მორიგდნენ.

* * *

მეზობლის წლისთავზე ქეიფობდნენ. გვერდი-გვერდ ისხდნენ. დღემდე ვერ იქნა და ვერ დასწერა ბერმა ჯღუნას საცეკვაოდ ჯვარი. როგორღაც ცეკვის ხასიათზე იყო და ეს წადილი რომ გაენელებინა, ხევისბერისათვის მორთმეული ბეჭი ჩუმად აიღო ჯღუნამ და დაიწყეს მკითხაობა.

გახედა ბერმა.

გახედა ჯღუნამაც.

— ორსულად არავინ არის ჩვენ მოკომურობაში, კაცოო! — თავი გააძება ჯღუნამ.

— რა იცი, რომ არავინ არი.

— არა ჩანს ბეჭში.

— ბეჭში რას უყურებ, სოფელში ჩაიხედე

— თუ ვინმე არი, აქ დაჩნდებოდა!

— არის.

— არ არის.

— დავნაძლევდეთ.

— რაზე?

— წავიდეთ და თუ ჩვენ მოკუმურო-

ბაში ორსული ვინმე ვნახეთ, ჩემთან უნდა იცეკვო. — მოუჭრა ბოლოს ბერმა.

წავიდნენ და ჩამოიარეს კარდაკარ.

იქვე ახლოს ნახეს:

მაგათი რძალი იყო, ბიძაშვილის ცოლი.

— რა თავი გვაძებნინე ქალო, სადა ხარ აქამდე. — ჩაიბუზღუნა ჯლუნამ.

— რა ხანია გეძებთ. — კვერი დაუკრა ბერმა.

გააშლევინეს ორსულ რძალს სუფრა, გაღმოიყვანეს კოფიაის ქალ-ბალღი და გასწივეს იმათაც დოლ-გარმონი.

— ბერი ვართ! — დაიძახა ბერმა.

— ჯლუნაი ვართ!

გაშალეს ხელები და ფეხაწეულები გავიდ-გამოვიდნენ. გალაღდა ჭიპიკა, გაიხარა ჭერმა, მთელი სოფელი მოაწყდა უცებ. მგონი ამ ქვეყნისაკენ მომავალი ჩვილიც კი ჯლუნასავით და ბერსავით ხელებგაშლილი ცეკვავდა სიხარულისაგან.

გაღამა სოფლებშიც გაეგოთ ეს ამბავი და ვინ ფეხით გამორბოდა, ვინ ცხენით.

— ჯლუნაი ვართ!

— ბერი ვართ!

— ხო ვართ, ბერო?

— მაშა, კაცო..

არიან და რა ქნან.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დავით ქორიძე

# ესტე

მოთხრობა

რუმინეთის სამხრეთში ისეთივე ყინვები სცოდნია, როგორც დასავლეთ საქართველოში, ნესტიანი და გამჭოლი — ძვლებში რომ ატანს.

მთელი ღამე ღმუოდა დეკემბრის ქარი. ფარღალალა კედლებიდან ბარაკშიც იჭრებოდა და სიცივისაგან ისედაც გათოშილ ადამიანებს სატანჯველს უმატებდა; გაწამებულნი ბოდავდნენ მთელი ღამე, ვიღაცას ეძახდნენ, ბრძანებებს აძლევდნენ, წუთით წამოიწევდნენ და მოცელილივით დაეყრებოდნენ ნარებზე.

ძილში ხშირად მეც ვბორგავდი თურმე, მხოლოდ ომის შემდეგ მითხრეს შინაურებმა: „რა უცნაური კვნესა დაგჩემებიაო". იქ კი, როცა ნარზე ჩემს გვერდით მწოლი ირაკლი ხაინდრავა თავისი გახევებული ფარაჯის ბოლოს ჩუმად ბეჭებზე გადამახურავდა, უნებლიედ მეღვიძებოდა, ფარაჯის კალთას მასვე მივაფარებდი შიშველ ტანზე. ირაკლი ხაინდრავა ჩემზე ხანდაზმული და ტანადაც დიდი კაცი იყო. ასეთები უფრო ძნელად იტანდნენ გაჭირვებას.

ერთი ღამეც ჩამოვიტოვეთ უკან, როგორც იქნა გათენდა. წინ კი, ვინ იცის, რამდენი ასეთი საშინელი ღამე გველოდა... ვოცნებობდით სიზმრად მაინც გვენახა მშვიდობიანი წარსული, გვენახა და შემდეგ სულაც არ გამოგვღვიძებოდა, მაგრამ სიზმარიც რომ გაგვიწყრა? ძილშიაც ქვემეხების ქუხილს, ყუმბარების დაშენას, ტყვედ ჩავარდნას ნახულობდი, ახლობლის სიკვდილით იტანჯებოდი. ცხადში მტრის სიკვდილს სახე არ ჰქონდა, მტერი ტყვიის გასროლის სიშორეზე კვდებოდა და მისი წაქცევა სურათად იხატებოდა გონებაში. შენიანი კი... სიზმარშიც შენიანი ლაფავდა სულს და ვერ ეხმარებოდი, ვერ შველოდი, ყოველთვის რაღაც გიშლიდა ხელს, შენგან დამოუკიდებელი, აუხსნელი.

ბოლოს ქანცგაწყვეტილი ტვინი ვეღარ უძლებდა ასეთ დაძაბულობას, თვალს ბინდი გადაეფარებოდა და იცვლებოდა სურათი: ნახულობდი იმას, რაც ნატვრად გვქონდა გადაქცეული, ეს საჭმელი იყო... ხედავდი იგი ცხვირწინ გედო და ვერ წვდებოდი, გახელებული უყურებდი. ზოგჯერ ჭამდი, კიდევ ჭამდი, ჭამდი დაუსრულებლად, ძალიან ბევრს, მაგრამ ვერ ძღებოდი, გშიოდა და გშიოდა... ცხადიცა და სიზმარიც ჯოჯოხეთად გადაიქცა.

დილით კომენდანტის განკარგულება გამოგვიცხადეს: უკლებლივ ყველა საჩქაროდ მოვწყობილიყავით მოედანზე, მათ შორის სიცხიანი ავადმყოფებიც, ხეიბრებიც და ისეთებიც, ვისაც ტანსაცმელი არ გაგვაჩნდა. ყველას თავი-

ხი ყოველგვარი სამოსი თან უნდა წამოგვეღო. განკარგულების შეუსრულებლობის შედეგი ტყვეებმა გამოუცხადებლადაც ვიცოდით, ეს იყო: კარცერი, როზგი, ან თუ კომენდანტი საჭიროდ ჩათვლიდა, — დახვრეტაც.

ჩვეულებრივი შემოწმების დროს ასე არ იწყებდნენ, — პირდაპირ გვეუბნებოდნენ, რომ დასათვლელად გვეძახდნენ. ახლა კი გვიხმობდნენ ბარგი-ბარხანით, რა უნდოდათ? ამ ყიამეთში ჩვენი სხვა ბანაკში გადაყვანა, თუნდაც იქ უკეთესი პირობები ყოფილიყო, ასეულობით ადამიანის სიკვდილს ნიშნავდა.

სხვა რა გველოდა! ნუთუ დახვრეტა? ათასი შიშის ზარის დამცემი კითხვა გვიტრიალებდა თავში, მაგრამ ხმას არავინ იღებდა, თვალსაც კი ვარიდებდით ერთმანეთს, რადგან შიშის გამომჟღავნება ამ ყოფაშიც კი სირცხვილად მიგვაჩნდა.

ბარაკიდან ცოტა მოგვიანებით გავედი. ოთხმწკრივიანი კოლონა უკვე ჩამომდგარიყო, შუაგულში შევედი და ჩავემატე. უარი არავის უთქვამს, პირიქით, გზა დამითმეს და შუაში ჩამიყენეს. სიცივე ერთბაშად მეტაკა შიშველ სხეულზე და ამაკანკალა. მწყობრში კი ყველა მხრიდან მომეფარნენ, მაგრამ რას მიშველიდა!

მწყობრიდან ოციოდე მეტრის მოშორებით, ქსოვილგადაფარებული მაგიდისთვის სამი სკამი მიედგათ. რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო და ველოდით. ადრე მრავალგზის მიშგადატანილებს შიშის გრძნობა დაგვკარგოდა. გაოგნებულები ჩავშტერებოდით მიწას.

შენობიდან გენერლის ფორმიანი მაღალი კაცი გამოვიდა. მას კომენდანტი და მისი მოადგილე მოჰყვებოდნენ. მოადგილეს ჩუმად „ბომბარდირს“ ვეძახდით; პირწავარდნილი ფაშისტი იყო, თვალებჩასისხლიანებული, ზორბა მოყვანილობისა, ხელში ყოველთვის ხარის ტყავისაგან საგანგებოდ დამზადებული სქელი მათრახი ეჭირა. სულ უმიზეზოდ, პირადი სიამოვნებისათვის, გონების დაკარგვამდე სცემდა ტყვეებს. რუმინეთის მთავრობას, მათი ჯარისკაცების გამონაცვალი ძონძები [illegible] გამოყოფილი, უტანსაცმლოდ დარჩენილი საბჭოთა ტყვე-ოფიცრებისათვის, მაგრამ ამ ძონძებსაც „ბომბარდირი“ გლეხებზე ჰყიდდა და ჯიბეს ისქელებდა.

როგორც კი მაგიდას მიუსხდნენ, მაგიდის მარჯვნივ მდგარმა თარჯიმანმა ორი ნაბიჯი წინ წამოდგა და გამოაცხადა:

— ბატონი გენერალი რუმინეთის არმიის გენერალური შტაბიდან ჩამობრძანდა, რათა შეამოწმოს ტანსაცმლით როგორ არიან უზრუნველყოფილი საბჭოთა ტყვე-ოფიცრები... თქვენი გვარის ამოკითხვისთანავე ვალდებული ხართ მწყობრიდან გამოხვიდეთ, მიუახლოვდეთ მაგიდას, პასუხი გასცეთ კითხვებზე და მწყობრში დაბრუნდეთ. გენერალი და კომენდანტი გაფრთხილებთ, არავინ გაბედოს ტყუილის თქმა.

თითქოს გარკვევით გავიგონე, — მთელმა ბანაკმა როგორ ამოისუნთქა ერთდროულად. ესე იგი, არც ცემა, არც კარცერი, არც სხვაგან გადაყვანა... მწყობრში ჩუმი, ფოთლების შრიალის მსგავსი ხმა გაისმა.

გაყინულ ტანზე ეკლებმა დამაყარეს. ორი ათასი კაცის შემოწმებამდე ეხოში უნდა ვმდგარიყავით თოვლში, თითქმის დედიშობილა, ფიცრისაგან გამოჩორკნილ ქოშებში შიშველ ფეხებწაყოფილა.

„ბომბარდირი“ მაგიდის მარჯვენა კუთხესთან იჯდა. წინ ედო ვეებერთელა ჟურნალი, სადაც ტყვეების გვარები ეწერა, შემდეგ კი ტანსაცმლის დასახელება, სათანადო აღნიშვნით.

ეს წიგნი ადრეც მენახა და ვიცოდი, რომ ჩემი გვარის გასწვრივ ყველა სვეტი შევსებული იყო ჯოხებით. ესე იგი, ამ წიგნის მიხედვით, მე სამოსი მქონდა, შიშველი არ ვიყავი.

„ბომბარდირი“ სიის ამოკითხვას შეუდგა. მარჯვენა ხელში მათრახს ატრიალებდა ჩვენს დასანახავად. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ახლა გენერლის თვალწინ, გამოაშკარავდებოდა ამ ჟურნალის

სიყალბე. ტანსაცმლის სრული კომპლექტი ბანაკში თითქმის არავის გააჩნდა, — ზოგს დაეხა, ზოგმა საკვებზე გადაცვალა, შიმშილით სიკვდილს სიშიშვლე არჩია.

გამონაკლისებიც იყვნენ: ერთი მათგანი, „გრიგოლ პართენოვიჩი“, ჩვენს ბარაკში ცხოვრობდა. ტყვედ თვითონ ჩაბარდა და ამაყობდა კიდეც ამით, ჩვენ სულელებს გვეძახდა და გვემუქრებოდა: ომის მოგების შემდეგ ჰიტლერი მოიცლის თქვენთვის და სათითაოდ ჩამოგახრჩობთო. „ბინა“ ნარების მეორე სართულზე ჰქონდა, ზუსტად ჩემს პირდაპირ და, როგორც კი ჩაფიქრებულს დამინახავდა, დამცინავად ხითხითებდა... მას მაუდის ახალი ფარაჯაც ჰქონდა, თბილი ტანსაცმელიც და ქუდიც, სამი წყვილი მიტკლის საცვალი, ჩექმები, ჯიბის საათი და კიდევ სხვა. შემონახულ დოვლათს ნელ-ნელა ჰყიდდა და ფულით საჭმელს იმატებდა. „პართენოვიჩის“ მსგავსთათვის ზოგჯერ ბანაკის გარედანაც შემოჰქონდათ სანოვაგე. დარწმუნებული იყო, რომ მალე გაიყვანდნენ ბანაკიდან, მანამდე კი გამოზოგვით ხარჯავდა ფრონტიდან წამოღებულ ნადავლს. ბანაკის ხელმძღვანელობა, რასაკვირველია, იცნობდა მას, თავაზიანადაც ეპყრობოდა, მაგრამ მაინც ნაწყენი იყო იმით, რომ სრულ ნდობას არ უცხადებდნენ, ჯერ კიდევ ჩვენთან ერთად ამყოფებდნენ და შესაფერ სამსახურს არ აძლევდნენ. იმ დღეს ისინი, „გრიგოლ პართენოვიჩი“ და მისთანები, საგანგებო სიით პირველ რიგში მიიწვიეს გენერალთან, ორიოდ სიტყვა უთხრეს, გაუღიმეს და ბარაკში წასვლის ნება დართეს. ნელ-ნელა მიაბიჯებდნენ, ძლივს მიათრევდნენ ფეხებს.

ქარი შენელებულიყო, მაგრამ მაინც ყინავდა. მთელს ბანაკში ოთხნი ვიყავით, ვისაც პერანგიც კი არ შემოგვრჩენოდა. მე, ადამის ჩაცმულობისაგან მხოლოდ ის მანსხვავებდა, რომ ნაცვლად ლეღვის ფოთლისა, წელზე თოკით დამაგრებული ქსოვილის ნაგლეჯი მეფარა. ერთს ტომარაში თავისა და კიდურების გასაყრელი გამოეჭრა, სხვებს წელს ქვემოთ და ფეხებზე თივა შემოეკრათ.

ხშირად ვფიქრობდი, ვიყავი თუ არა დამნაშავე იმაში, რომ სრულიად უტანსაცმლოდ დავრჩი, სულმოკლეობა ხომ არ გამოვიჩინე? მაიმედებდა მხოლოდ ის, რომ ამხანაგები არ მამტყუნებდნენ, უსიტყვოდ მითანაგრძნობდნენ და მანუგეშებდნენ. თუმცა უსაგნო ლაპარაკის დრო და განწყობილება არც გვქონდა.

გვარების ამოძახება გრძელდებოდა, სიცივისა და შიმშილისაგან ადამიანების გამრუდებულ სილუეტებს ხან სადღაც შორს, ხან კიდევ აქვე ახლოს ვხედავდი. მათი ავადმყოფური, ნერვული მოძრაობები იმ სიზმარს ჰგავდა, რომლის შინაარსი ვერ გამოგაქვს და გამოღვიძებული, საშინელებად აღიქვამ.

გალურჯებულ ხელებზე დავიხედე, მერე მკლავისკენ ავწიე მზერა. მკლავიც გამლურჯებოდა, სიცივეს კი ვერ ვგრძნობდი. თითქოს ცეცხლი მედებაო, ისე მეწვოდა კანი, ძვლები მტკიოდა.

... თავს ძალა დავატანე და გავიხსენე ყველაფერი: ტყვედ ჩავარდნა ღირსეულად რომ მქონოდა, ტანსაცმელსაც წამოვიღებდი, ფულსაც და ძვირფას ნივთებსაც; ბლომად ეყარა აჯიმუშკაის ქვის სამტეხლო გვირაბებში, საიდანაც საბრძოლო დავალებით გამოვედით გარეთ. ფარაჯა გვირაბში დავტოვე, სწრაფ მოქმედებაში ხელი რომ არ შეეშალა, ჩექმები ტყვედ ჩავარდნისთანავე წამართვა გერმანელმა ჯარისკაცმა. მაისური და ტრუსი, ათასობით მკბენართან ერთად, გზაში გადავყარე, ბამის შარვალი და ხალათი შემრჩა.

შემდეგ ბანაკის ცხოვრება, შიმშილი... ბანაკის კვება ნელი სიკვდილისათვის იყო ნაანგარიშევი... შარვალი და ხალათი უფრო უარესზე გავუცვალე ვიღაცას პურის ნატეხებში, შემდეგ ისიც — უფრო უარესზე. ბოლოს ტანზე ძონძებიღა შემრჩა. ამ ტანსაცმლის გაცვლა უკვე აღარ შეიძლებოდა;

ერთხელ ბანაკის ტერიტორიაზე ურმით სადეზინფექციო კამერა შემოაგორეს. ბანაკის კომენდანტის ბრძანების თანახმად ყველას ტანსაცმელი უნდა გატარებულიყო დეზინფექციაში, ამ ღონისძიებას დროდადრო ატარებდნენ. მტრებს ჩვენი დარდი არ აწუხებდათ. უფრო მეტად იმის ეშინოდათ, თუ ბანაკს ეპიდემია მოედებოდა, არც მათ დაინდობდა. ჩავაბარე ჩემი სამოსი და როგორც სხვები, შიშველი დაველოდე მის დაბრუნებას.

დრო გავიდა და კამერიდან ერთად გამოყარეს ტანსაცმელი. გამეხარდა: ჯერ კიდევ თბილი იქნება, ჩავიცვამ და გავთბები-მეთქი. ვეძებე, მაგრამ ჩემი ძონძები ველარსად ვიპოვე. როცა ყველამ თავისი წაიღო, მივხვდი, რომ მანქანას ჩემი კონკები სულ მთლად დაეძონძა და დაეწვა. ძაფებიღა დარჩენილიყო.

ის ადგილი, ტანსაცმელი რომ ეყარა, რამდენიმეჯერ მოვჩხრიკე თვალით, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. სამოსი ხელში მეჭირა, მხოლოდ ახლა ის ძაფებით გადაბმულ ნაფლეთებად ქცეულიყო. გაოგნებულმა დიდხანს ვატრიალე ხელში ჩემი ერთადერთი იმედი; თითქოს არ მჯეროდა. ვერ ველეოდი, ვფიქრობდი, რომ სასწაული მოხდებოდა და მას ძველი იერი დაუბრუნდებოდა. არც კი ვიცი რაზე ვფიქრობდი მაშინ. ბუნდოვნად ვხედავდი ჩაცმულები როგორ ტოვებდნენ კამერას. შელამებულიყო. ციოდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ რამდენიმე ადამიანი ჩემს ახლოს იდგა და მელოდა. ერთი მათგანი ოთარ ახათიანი უნდა ყოფილიყო, იგი არასოდეს მარტოდ არ მტოვებდა.

მხარზე ვიღაცის ხელი ვიგრძენი. კარგა დაყოვნების შემდეგ მოვიხედე. მაიორი ოსიპოვი იყო, არტილერისტი. ტყვედ ერთად ჩავვარდით. როცა ყირიმის ნახევარკუნძულზე ცხვრებივით მიგვერეკებოდნენ, გზაში რაღაც ბალახს პოულობდა ხოლმე, ჭრილობაზე მალებდა და თავისი ბანდით მიხვევდა.

— აუჰ, რამ დაწვა ეს ოხერი ასე. რა უნდა ქნა ახლა? ეს ძაღლები არაფერს მოგცემენ, ჩვენ კი, ხომ იცი რაც გვაბადია, — მითხრა ოსიპოვმა.

იმედი არსაიდან ჩანდა, ვერავინ გაიხდიდა და მომცემდა რაიმეს, — ზედმეტი ჩვენებს არ ჰქონდათ. გინდაც მოეცა, როგორ გამოართმევდი, — ტყვისათვის ტანსაცმელი, ისევე როგორც პურის ნატეხი, სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობა იყო. ბევრი მარწმუნა ოთარმა, ჩამეცვა მისი ფარაჯა, მაგრამ არ ვქენი, ძალიან ახალგაზრდა, ფიზიკურად შედარებით სუსტი იყო და მეშინოდა, სიცივეს ვერ აიტანდა.

— კაცო, ნუ გეშინია, — მაიმედებდა მაიორი, — რაღაცას მოვიფიქრებთ, გარეთ არ გაგიშვებთ, შენს ულუფას ჩვენ მოვიტანთ, მაგრამ მთლიანად შიშველი რომ ხარ? თუმცა, მოიცა, აი თქვენებური რომ არის, ქართველი, ვარლამი, ის ხომ თერძობას ჩემულობს, ვთხოვოთ და ტრუსს მაინც შეგიკერავს, უარს ვერ გვეტყვის, ბოლოს და ბოლოს, პური ან რაიმე მივცეთ, მერე სულ ასეთი ყინვები ხომ არ იქნება, ამახობაში ჩვენებიც მოვლენ, გული გაიმაგრე, გესმის? — და ოსიპოვმა ისე შემანჯღრია, კინაღამ წავიქეცი.

იქიდანვე, ყველანი ერთად წავედით ვარლამთან. ის სხვა ბარაკში ცხოვრობდა, მოშორებით. გასამრჯელოს აღებაზე უარი თქვა, მაგრამ, სათანადო მასალის უკმარისობის გამო, ტრუსის ნაცვლად სახელდახელოდ ის შემიკერა, რაც ახლა მწყობრში მეცვა;

... ფიქრებიდან გამოვერკვიე. სიცივეს სულ აღარ ვგრძნობდი, თითქოს მცხელოდა კიდეც, ჩემ წინ, თავისუფალ ადგილზე, ვიღაც დადგა, ალბათ გამოძახებიდან მობრუნდა.

— ხომ არ დაყრუვდი, გეძახიან! — მიბიძგა ვიღაცამ.

— კ-ო-რ-ი-დ-ზ-ე-ე! — ახლაღა შემომესმა თარჯიმნის ხმა და უნებურად ნაბიჯი გადავდგი. ჩემს წინ მწყობრი გაიხსნა და ადგილიდან დავიძარი. მთვრალივით მივბარბაცებდი. მაგიდასთან ძალიან ახლოს მომივიდა მისვლა

და უკან დავიხიე. ფეხქვეშ თოვლი სა-წყალობლად ჭრაჭუნობდა.

— მანტაუ (ფარაჯა) ესტე? (გაქვს?)— იყო შეკითხვა „ბომბარდირისა“.

პასუხი დამიგვიანდა. ჯერ მას შევხე-დე, შემდეგ გენერალს მივაშტერდი გაკვირვებული. „ბომბარდირმა“ უფრო ხმამაღლა გამიმეორა კითხვა, „ესტე“? მე არ მიყურებდა, მაგრამ მათრახი ნერ-ვიულად, მკვეთრად შეატრიალა ხელ-ში... პასუხი უნდა გამეცა, რაღაც უნდა მეთქვა... მარტივ ჭეშმარიტებას მივა-გენი, ჰო, გენერალსაც ჩემი დასტური სურდა. იცოდა, აბა არ იცოდა, რომ მე ფარაჯა და სხვა რაიმე ტანსაცმელი ბა-რაკში არ მქონდა დაკეცილი, საგარეო ჩასაცმელად შენახული?! ჰოო, თუ დამ-ცინიან?! — გავსწორდი, თავი მაღლა ავწიე და...

— ესტე, — წყნარად, მაგრამ მტკი-ცედ, დამარცვლით ამოვილაპარაკე ისე, თითქოს ძალიან ნაცნობ, ყველასა-თვის ცხად სიმართლეს ვამბობდი... ზურგს უკან მთელმა მწყობრმა ერთად ამოიგმინა.

— ბოკანჩე (ფეხსაცმელი) ესტე?

— ესტე, — უკვე დაყოვნების გარე-შე ვუპასუხე...

— ვესტონე (კიტელი) ესტე?

— ესტე...

„ბომბარდირმა“ ყოველგვარი ტან-საცმელი ჩამოთვალა, თანახმად ჟურ-ნალში მის მიერ გაკეთებული ჩანაწერი-სა. მე კი, უკვე ხმამაღლა ვიმეორებდი ამ საოცრად უბრალო სიტყვას: „ესტე“, „ესტე“, „ესტე“. გენერალი ყოველი ჩასაცმელის ხსენებაზე ჯერ ჟურნალს გადახედავდა და მერე მე შემომხედავ-და, თითქოს ეშინოდა რაიმე არ გამომ-რჩენოდა.

შეკითხვები დამთავრდა. ახლა მწყობრში უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ რაღაც გავშეშდი, ადგილიდან ვერ დავიძარი. მაგიდასთან მსხდომთ შორის უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ბუნებრივად გამიელვა აზრმა, რომ „ბომბარდირი“ მათრახს გაატკაცუნებ-და, მაგრამ იგი უძრავად იჯდა, ჩემს-კენ აღარ იყურებოდა, თვალებში შე-მოხედვას ერიდებოდა. სადღაც სინდი-სის ნატამალი შერჩენია-მეთქი, — გა-ვიფიქრე.

გენერალმა „ბომბარდირს“ გადახე-და და ღიმილმა გადაუარა სახეზე, მე-რე მე შემომხედა და გაიცინა, ჯერ ისე, მგონი უხერხულობისაგან, მერე კვლავ შემომხედა და უფრო მაგრად გაეცინა, კიდევ და ბოლოს, ხარხარზე გადავიდა. ამან გამომარკვია. შეტრია-ლებას რომ ვაპირებდი, დავინახე, მარტო გენერალი კი არა, კომენდანტი და „ბომ-ბარდირიც“ იცინოდნენ, ალბათ გენერ-ლის ხათრით, — შესაძლოა შიშით.

სწრაფად მოვბრუნდი, ზურგი შე-ვაქციე მათ. ცოტა ხანს შევჩერდი და დავიძარი, მწყობრისაკენ არც მიფი-ქრია წასვლა, პირდაპირ ბარაკისაკენ ავიღე გეზი. ეს განზრახ გავაკეთე. გა-ბოროტებულს ალარაფრის მეშინოდა.

ვცდილობდი გაბედული, დიდი ნა-ბიჯები გადამედგა, მაგრამ წონასწორო-ბას ძლივს ვიცავდი. მწყობრი კი, თი-თქოს ერთი კაციაო, იდგა და სულგანა-ბული უცდიდა დასასრულს. მოსალოდ-ნელი იყო თვითონ წავქცეულიყავი, ან ისინი დამხმარებოდნენ ამაში — ეს-როლათ.

ძალიან მიჭირდა მოძრაობა, მაგრამ თავს ძალას დავატანე და მაინც ვადავ-დგი რამდენიმე მოკლე ნაბიჯი. ფეხის ყოველ გადადგმაზე ხმამაღლა ვიმეო-რებდი: „ესტე,“ „ესტე“...

— კ-ა-ლ-ი-ნ-ინ!.. — გარკვევით გა-ვიგონე თარჯიმნის ხმა.

ჟორა კალინინი მაღალი, გამხდარი კაცი, სათვალეს ხმარობდა, თბილისე-ლი იყო, სპეციალობით ინჟინერი, უსა-ხელო მაისური და ტრუსი ეცვა, ხოლო წელის და მკერდის დასაფარავად, თი-ვა ჰქონდა კანაფით აკრული.

მწყობრი კვლავ სდუმდა.

— მანტაუ ესტე? —უნებლიედ მივტრიალდი. ჟორა მაგიდასთან მისუ-ლიყო, მაგრამ არ აპირებდა პასუხის გაცემას. ერთ მხარეზე თივა ჩამოშლო-და. მთლად გალურჯებული წელი და

მარცხენა გვერდი უჩანდა. ჩუქნები კლარნეტის კლავიშებივით ამოცვენილიყო ამ სილურჯიდან.

ქორა კალინინი ლარივით გაჭიმული იდგა, როგორც ოფიცერს შეშვენის, ამაყად, თავმომწონედ, თითქოს სადღესასწაულო, ძვირფას სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მდგარიყოს საალლუმო მწყობრის წინ.

— მანტაუ ესტე!? — ახლა უკვე გაბრაზებული ხმით, ხმამაღლა გაიმეორა კითხვა „ბომბარდირმა“ და წამოდგა, მათრახიან ხელს აღარ მალავდა. კომენდანტმაც წამოიწია ასადგომად. გენერალი წელში გასწორდა, თავი მაღლა ასწია და თვალებში მიაჩერდა ქორას.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ქორამ ხმამაღლა გაიცინა. იმ წუთს ვერ გავარკვიე, მართლა გაეცინა, თუ ვანგებ მოიქცა ასე.

გენერალმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა და წამოხტა. ანთებული თვალებით ჯერ „ბომბარდირს“ გადახედა და შემდეგ ავტომატებით შეიარაღებულ ჯარისკაცთა რაზმის უფროსს. ეს უკანასკნელი გაიჭიმა, ცერებზე შედგა და ქუსლები ერთმანეთს შემოჰკრა. ამით ამცნო გენერალს: მიბრძანე, მზად ვარო. გენერალი, კომენდანტი, „ბომბარდირი“, რაზმის უფროსი და თარჯიმანი მამლაყინწებივით წამოიყინჩნენ.

მწყობრში ჩუმი ხმაური გაისმა. თავიდან ვერ მივხვდი რა ხდებოდა, მაგრამ როცა ხმა გაძლიერდა, გარკვევით გავიგონე სიცილი, — მწყობრში იცინოდნენ. მაგიდასთან მდგომი დაიბნენ, აწურული მხრები დაუშვეს და ერთმანეთს მიაპყრეს გაშტერებული მზერა.

გენერალმა ხმამაღლა შეჰყვირა. ეტყობოდა, ამით სურდა მდგომარეობის გამოსწორება. მაგრამ, სიცილმა იმატა, გაძლიერდა და გუგუნად იქცა. მთელი ბანაკი ხარხარებდა...

ქორა კალინინი, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მიტრიალდა და მწყობრში თავისი ადგილი დაიკავა. „ბომბარდირმა“ ნაბიჯის გადადგმა სცადა მისკენ, მაგრამ გენერალმა თვალებით მიაჯაჭვა ადგილზე.

თითქოს ძალა მომემატა, მწყობრისკენ წასვლა გადავწყვიტე. ძალიან მომინდა მათ გვერდით დგომა. გადავდგი კიდეც რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ გამიძნელდა, შევტორტმანდი. მწყობრიდან თბილისელი შურა გეურქოვი შემომეგება, ხელი წამავლო, თავისი ფარაჯა მომახურა და წელზე ლონივრად შემომავლო ხელი. მთელს ცხოვრებაში არასოდეს მიგრძვნია ასეთი სითბო.

გენერალი და მისი თანმხლები პირები კომენდანტურისკენ გაემართნენ ჩქარი ნაბიჯით. შეიარაღებული რაზმის უფროსიც მათ გაჰყვა.

მოედანზე კი სიცილი გრძელდებოდა. ახლა უკვე რუმინელი ჯარისკაცებიც ძლივს იკავებდნენ ხითხითს. ძონძებში გახვეულ, მშიერ და ნახევრად გაყინულ ადამიანებს სამხიარულო არაფერი გვქონდა, მაგრამ დასაცინიც არაფერი. ამიტომ გადაიზარდა მტრების მიერ წამოწყებული დამამცირებელი სიცილი ჩვენს დაუთრგუნავ ხარხარში.

მთელი ბანაკი იცინოდა. ცალკე ვინმეს გამორჩევა და დასჯა შეუძლებელი იყო. ყველას ერთად კი ერთად სიკვდილიც შეგვეძლო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ პეტრიაშვილი

# ზ ღ ა პ რ ე ბ ი

## ნალვლიანი კაცი

დილის ძილი ტკბილია, ამაზე დავას მე ვერ დაგიწყებთ...

მაგრამ ეს დამიჯერეთ, ხანდახან, ზაფხულის სისხამ დილით უნდა გაიღვიძოთ და წახვიდეთ ქალაქის ბაღში.

უნდა მიხვიდეთ, დაჯდეთ აუზის მახლობლად გრძელ სკამზე და უცქიროთ. აუზში წყალი სარკესავითაა და შიგ მოჩანს ცაში აქა-იქ დაკიდული პატარა თეთრი ღრუბლები.

უცქირეთ.

ვინ იცის, რა აზრები მოგივათ აუზის ცქერაში...

მერე ჩამოივლის მებაღე, მოგესალმებათ და თავისი ქოხისკენ გაეშურება.

ახლა კარგად უცქირეთ აუზს...

ერთი-ორი წუთიც გაივლის და აუზის შუაგულში ნელა, ნელა, უცნაური თეთრი ხის მსგავსად შადრევანი ამოიზრდება.

უცქირეთ...

უცქირეთ...

მერე ამოვა მზე და შადრევანს პაწია ცისარტყელებით ააფერადებს...

უცქირეთ...

უსმინეთ შადრევნის ხმას...

და დილის ტკბილი ძილი რომ დაგაკლდათ, ალბათ აღარინანებთ...

...ერთ დილით მეც ვუცქეროდი შადრევანს.

მზე უკვე ამოსული იყო.

პაწია ცისარტყელები ირთოდნენ წყლის ზედაპირზე.

ჩუხჩუხებდა შადრევანი...

უცებ ვიღაცამ ამოიოხრა.

მოვიხედე.

სკამის მეორე ბოლოში კაცი იჯდა და თავის ხელისგულს დასცქეროდა ნაღვლიანი.

მე დავაკვირდი:

პატარა შავი ხოჭო ეჯდა კაცს ხელისგულზე.

დაჰყურებდა კაცი ხოჭოს.

და კაცმა კვლავ რომ ამოიოხრა, მე ვკითხე:

— უკაცრავად, ხომ არ შემიძლია რამით დაგეხმაროთ-მეთქი.

კაცმა შემომხედა. ერთხანს მიყურა დაკვირვებით და ნელა გაიქნია თავი.

— მადლობას გიხდით, რომ გსურთ დამეხმაროთ, მაგრამ ვეჭვობ. ეს შეუძლოს ვინმეს.

— რატომ? მითხარით რამ დაგაღონათ. მე შევეცდები როგორც შემიძლია. ეს შავი ხოჭოა თქვენი დარდის მიზეზი?

— ეს ხოჭო ჭიამაიაა, — მითხრა კაცმა — იგი ავადაა: ყველაფერს შავად ხედავს: ბალახს, ხეს, ყვავილებს, ადამიანებს, ცას და მზესაც კი. ამიტომ, ხედავთ! თვითონაც გაშავდა... აღარც დაფრინავს. ალბათ დამეთანხმებით, ყველაფერი შავად რომ ეჩვენება, იმ ჭიამაიას, ცხადია, აღარ ექნება ფრენის ხალისი.

— მერე თქვენ როგორ გსურთ მოარჩინოთ ჭიამაია? — ვკითხე მე.

— დამყავს მთელ ქვეყანაზე, ვაჩვენებ ლამაზ ადგილებს, ვაჩვენებ როგორ მხიარულობენ ბავშვები, როგორ ამოდის მზე, ვფიქრობ, ვერაფერი და ყველაფერი შავად აღარ მოეჩვენება-მეთქი. მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერი ვუშველე.

კაცი ჩაფიქრდა და მერე განაგრძო:

— იქნებ ვინმემ თქვას, ღირს კი ერთ პატარა ჭიამაიაზე ფიქრიო. ღირს ნამდვილად. ასი დიდი სპილო იქნება ავად თუ ერთი პაწია ჭიამაია მაინც უნდა ვიზრუნოთ საშველად. ამას გარდა, კიდევ ერთი რამ მაღარდებს: ვაითუ ეს ავადმყოფობა გადამდებია, მაშინ შეიძლება საშინე-

ლება დატრიალდეს, ყველა ჭიამაიას თუ შავად მოეჩვენება ქვეყანა, ადვილი შესაძლებელია, მართლაც შავი გახდეს ყველაფერი.

კაცმა ამოიოხრა და ჭიამაია გულის ჯიბეში ჩაისვა.

მეც ჩავფიქრდი: მართალი იყო კაცი! დიდი საფრთხე ემუქრებოდა ქვეყანას.

— თუ რაიმე წამალი ვიშოვე, როგორ მოგნახოთ? — ვკითხე კაცს.

— მე ერთ პატარა ქალაქიდან ვარ. ჩემს ქალაქში ყველა მიცნობს. რატომღაც მეზღაპრეს მეძახიან, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ამბავი, რომელსაც მე ვყვები, ნამდვილად მოხდა. ან თუ არ მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, რაღაც შემთხვევითობას რომ არ შეეშალა ხელი.

— მომიყევით რამე, თუ შეიძლება!

— მოგიყვებით. ვგრძნობ, რომ თქვენ უნდა მოგიყვეთ. გაგიმხელთ საიდუმლოს. ხანდახან ისეთი მსმენელიც თუ არ შემხვდა, ჩემი ამბების ხინამდვილეს რომ დაიჯერებს, მეც ტყუილი მგონია ხოლმე ყველაფერი, — დაიწყო კაცმა თავისი ამბების მოყოლა.

მე ყურადღებით ვუსმენდი.

მიყვებოდა. ხშირად შეჩერდებოდა და ამოიოხრებდა... მერე კვლავ განაგრძობდა თხრობას.

ბოლოს შეჩერდა, ერთიც ამოიოხრა და მითხრა:

— დანარჩენს სხვა დროს მოგიყვებით.

ერთხანს ვისხედით ჩუმად.

მერე ვკითხე:

— თქვენი სხვა ამბებიც ეგეთი ნაღვლიანია?

კაცმა შემომხედა და თავი დამიქნია:

— კი, ეგეთია ყველა.

აღარაფერი მითქვამს. ავდექი და შადრევნისაკენ წავედი. აუზიდან პეშვით წყალი ამოვიღე, კაცთან დავბრუნდი და ვთხოვე, ჭიამაია ამოიყვანეთ-მეთქი ჯიბიდან.

კაცმა ამოიყვანა ჭიამაია.

მე წყალი ვასხურე.

და მოსცილდა შავი ფერი ჭიამაიას.

გაბრწყინდა მზეზე მისი ხალებიანი ფრთები აფრინდა და ჩვენს გარშემო იწყო ფრენა.

კაცი გაოცებული შესცქეროდა.

მერე უთხრა ჭიამაიას, გაფრინდი შინ, მეც მალე მოვალო.

გაფრინდა ჭიამაია. შადრევანს გაუფრინა გვერდით, წყლის პაწაწკინტელა შხეფების კორიანტელში გაიგრილა ფრთები და გაქროლდა სწრაფად.

კაცმა გააყოლა თვალი.

მერე მომიბრუნდა და მაგრად ჩამომართვა ხელი.

— მადლობელი ვარ დიდად... თუ შეიძლება მითხარით, როგორ მიხვდით, რომ ასე უშველიდით ჭიამაიას?

— გეტყვით. თქვენ ისეთი კაცი ხართ, არ გეწყინებათ სიმართლე, — ვუთხარი კაცს, — რომ გისმენდით, ვიფიქრე: რადგან მხოლოდ ასე ნაღვლიან ამბებს ყვება, ეტყობა, ეს კაციც, ცოტა არ იყოს, შავად ხედავს ყველაფერს. ამიტომ ჰგონია ჭიამაია საშინელი სენით არის ავად. ყველაფერი შეიძლება კი სულაც უბრალოდ აიხსნას-მეთქი. თქვენ ხომ მაშინვე ის იფიქრეთ, რომ შავად დაინახა ყველაფერი და თვითონაც იმიტომ გაშავდა ჭიამაია. განა, არ სჯობდა, ჯერ ის გეფიქრათ, სადღაც ჭვარტლით გაიმურა და თვალებზეც შავი ფერი რომ ჩამოეფარა, იმიტომ ხედავს ყველაფერს შავადო?

— მართალი ბრძანდებით, — თქვა კაცმა და კვლავ ამოიოხრა, — ნამდვილად, ეგრე სჯობდა მეფიქრა, მაგრამ როდესაც გაიგებთ ჩემი ნაღვლიანობის მიზეზს, აღარ გამამტყუნებთ ალბათ.

ერთხელ, დიდი ხნის წინათ, როდესაც მე პატარა ბიჭი ვიყავი, პურზე გამაგზავნეს შინიდან.

ფურნეში პური ვიყიდე. უკან რომ ვბრუნდებოდი, ვიფიქრე, მოდი, მოკლე გზას ვიპოვი-მეთქი და ვიწრო ქუჩებით წამოვედი.

ჰოდა, ერთ ჩიხში დავინახე, პატარა, ლამაზი სახლიდან ავეჯი გამოჰქონდათ.

დავდექი და დავუწყე ცქერა.

უფროსებს ერთი ჩემხელა გოგონაც ეხმარებოდათ, ხან პატარა ბალიშს გამოიტანდა, ხან — აბაჟურს, ხან რას და ხან — რას. მოკლედ, ფეხებში ედებოდა. ჰოდა, უთხრეს, გეყოფა მუშაობა, ახლა ცოტა დაისვენეო.

გოგონა მივიდა და ეზოში გამოტანილ დივანზე დაჯდა.

დაჯდა, მაგრამ ვერც იქ მოისვენა, დაიწყო ცმუკვა და ქანაობა.

მე რომ დამინახა, მითხრა, მოდი ერთად ვიქანაოთო.

მეც მივედი და დავჯექი დივანზე.

არაფერი მიკითხავს, მაგრამ თვითონ მითხრა, ახვაგან გადავდივართ საცხოვრებლადო.

— ამ სახლს რაღას უზამენ? — ვკითხე მე.

— დაანგრევენ, მამაჩემმა თქვა, ძალიან ძველი სახლიაო, — თქვა გოგონამ, ხტუნვა შეწყვიტა და უცებ დანაღვლიანდა.

მე მომაგონდა, რომ შინ მაგვიანდებოდა და წავიქეცი...

მეორე დღეს რატომღაც გულმა იმ სახლისაკენ გამიწია.

ცარიელი დამხვდა სახლი.

მეტად საბრალო იყო ცარიელი სახლი. ავეჯის გამოტანისას ერთი ფანჯრის მინები ჩაემტვრიათ. ღია კარში შიშველი კედლები მოჩანდა.

ვუცქეროდი და უცებ ვიგრძენი, რომ მეძახდა სახლი...

გადავაბიჯე ზღურბლს....

დავდიოდი ცარიელ ოთახებში.

კედლებს ოთხკუთხა თეთრი ლაქები აჩნდა: აქ სურათები ეკიდა ალბათ.

ამაოდ ვათვალიერებდი კედლებს — გოგონას სურათი არ დარჩენოდათ არსად...

ამ ხიარულში ერთ კიბეს მივადექი.

ავყევი და ავედი სხვენზე.

სხვენზე ბნელოდა. ხელის ცეცებით მივედი დამტვერილ სარკმელთან და გავაღე...

სხვენი ძველისძველი ლამაზი ნივთებით იყო სავსე. ალბათ სიჩქარეში დავიწყებოდათ ეს ნივთები სახლის პატრონებს.

ნივთებს მტვერი ედოთ სქლად, მაგრამ ამით როგორღაც უფრო ლამაზებიც კი ჩანდნენ.

რაღა არ იყო იქ:

ბნელ კუთხეებში მოჩანდა რაღაც ყუთები, უჯრები და სკივრები. იატაკზე ძველ სკამებსა და სავარძლებს შორის ქაღალდის ყვავილები ეყარა. დანჯღრეულ კარადაზე გრამოფონი იდგა. მისი მილიდანაც ქაღალდის ყვავილები მოჩანდა. იქვე სანახევროდ გახსნილი მარაო იდო ცარიელი ლარნაკის გვერდით. ერთი ბოძის ძირას სათამაშოები ეყარა: ერთმანეთს ჩახუტებულ ნაირნაირ თოჯინებს დიდი შავცილინდრიანი ბპილო დაჰყურებდათ. მეორე ბოძზე დიდი პალიტრა ეკიდა. ზედ მიმხმარი საღებავებისთვის მტვერს ფერი წაერთმია. ბოძის ძირას კი ფეხმოტეხილი მოლბერტი ეგდო. იქვე სურათის დიდი ჩარჩოები ეყარა და ძველი, დიდთვალა ველოსიპედი იდგა. ველოსიპედის მაღალ საჭეზე იხეთი ბოლოგაფშეკილი თეთრი კაბა ეკიდა, ბალერინებს რომ აცვიათ ხოლმე.

დამტვრეული თეფშებიც იქ იყო და სიმებდაწყვეტილი ვიოლინოც, აკვანიც და დახეული ხალიჩაც, დიდი პორტფელიც და ცალ-ცალი ფეხსაცმელებიც. და ერთ სკამზე სტეტოსკოპიც კი იდო პატარა მაკრატლის გვერდით...

ერთ სავარძელთან მივედი. სავარძელზე აბაჟური იდო. რომელიც, ალბათ,ერთ დროს მეტად ლამაზი იყო, ახლა კი ფერი დაეკარგა, ალაგ-ალაგ გახეულიყო და მავთულები მოუჩანდა.

ავიღე აბაჟური და ჩავჯექი სავარძელში.

ვუცქეროდი ნივთებს.

და უცებ შემომესმა ოხვრა.

შევკრთი.

კვლავ შემომესმა ოხვრა.

და მე მივხვდი: ეს აბაჟური ოხრავდა.

ფრთხილად დავდე აბაჟური მეორე სავარძელზე და დავფიქრდი. იმავ წამს სხვა მხრიდან მომესმა ოხვრა.

მივხვდი გრამოფონი ოხრავდა.

მერე ქაღალდის ყვავილებმაც ამოიოხრეს...

და ერთი წუთის შემდეგ ყველა ნივთის ოხვრამ აავსო სხვენი.

ვუსმენდი ოხვრას სავარძელში მიკუნჭული... თვალები დავხუჭე...

და უცებ უცნაური სურათების კორიანტელი დამიტრიალდა გონებაში.

ვხედავდი სხვადასხვა ამბებს. ვილაც ცილინდრიანი კაცი გამოდიოდა სახლიდან, განათებულ სცენაზე თეთრკაბიანი ცეკვავდა ქალი. ვილაც ყვავილებს ყნოსავდა და ვილაც ჩაფიქრებული უსმენდა გრამოფონს...

დაღამებამდე ვიჯექი სხვენზე და იმ უცნაურ, სიზმრეზის მსგავს ამბებს ვხედავდი თვალდახუჭული...

მეორე დღესაც წავედი...

მაგრამ სახლი დაენგრიათ და იმ ადგილას აღარაფერი იყო. ახალი სახლის საძირკველს ჭრიდნენ...

მას შემდეგ მთელი ჩემი ბავშვობის წლებში რა ნივთებისათვისაც არ უნდა შემეხედა, მისი ოხვრა მესმოდა და მაშინვე თვალწინ მიდგებოდა რაღაც ამბავი.

ყველა ამბავი ნაღვლიანი იყო...

დიდი ხნის შემდეგ მივხვდი ამის მიზეზს:

როდესაც ოსტატი ნივთს აკეთებს, ცდილობს ლამაზი იყოს ნივთი. ფიქრობს, გავაკეთებ ამას და ქვეყანა მთლად მშვენიერი გახდებაო.

როდესაც დაასრულებს საქმეს, ადგება, მივა ფანჯარასთან და გაიხედავს ქუჩაში.

უცქერის ქუჩას, უცქერის და ხედავს, რომ ჯერ კიდევ არ არის ქვეყანა მთლად მშვენიერი.

დაუბრუნდება ოსტატი თავის სკამს, დახედავს თავის ნახელავს და იტყვის: „ეჰ“...

და ეს ოხვრა სამუდამოდ რჩება ნივთს.

— აბა, ახლა რას მეტყვით, როგორ არ ვიყო ნაღვლიანი, როდესაც ყველაფრისაგან, რასაც ადამიანის ხელი შეხებია, ოხვრა მესმის, — დაამთავრა კაცმა თავისი ამბავი და თავი ჩაჰკიდა.

მეც ჩავფიქრდი.

რითი მენუგეშებინა კაცი?

მივიხედ-მოვიხედე.

ვერც გავიგე, ისე მილეულიყო საუბარში დღე.

საცაა მზე ჩავიდოდა.

ბაღი ხალხით იყო სავსე.

ქალები ბავშვების ეტლებს დაატარებდნენ, სკამებზე წყვილ-წყვილად ისხდნენ ახალგაზრდები...

შორიდან მხიარული შეძახილები და სიცილი ისმოდა: იქ, კარუსელზე და საქანელებზე ერთობოდნენ.

მხოლოდ ეს კაცი იყო დაღონებული.

...და უცებ მივხვდი რა უნდა მეთქვა.

მაგრამ ვიდრე ვიტყოდი, კაცი წამოდგა, თქვა: წყალს დავლევო და აუზისაკენ წავიდა.

მივიდა, დაიხარა და პეშვით ამოიღო წყალი,

შესვა, კვლავ დაიხარა...

და ქუდი ჩაუვარდა აუზში.

ვიდრე დასწვდებოდა, ქუდი აუზის შუაგულისაკენ წაიღეს პატარა ტალღებმა.

გადაიხარა კაცი, გადაიხარა, გაიწოდა ხელი და უცებ აუზში გადავარდა.

მე წამოვხტი მისაშველებლად.

მაგრამ იქვე გავჩერდი:

კაცი შადრევანმა აიტაცა. ასწია მაღლა და ახლა კაცი შადრევნის თავზე ისე იჯდა როგორც რბილ სავარძელში.

შვითონაც დაიბნა, ცხადია.

მე გადმომხედა და ხელები გაშალა, ნახე, ეს რა მომივიდაო.

მერე ქუდი თავზე დაიხურა.

და გაიღიმა კაცმა.

იმავ წამს მაღლა აიწია შადრევანმა.

იზარდა და იზარდა...

იჯდა კაცი შადრევნის თავზე და მიდიოდა მაღლა.

ყველაზე მაღალ ხეებს ასცდა შადრევანი და შეწყვიტა ზევით სვლა.

ბაღში შეწყდა ხმაური. კაცს შესცქეროდა ყველა.

იმას კი ძირს აღარ ჩამოუხედავს.

ერთ მხარეს გაჰყურებდა გარინდებული.

ჩამავალ მზეს უცქეროდა კაცი... გაოცებული იდგნენ მოქალაქენი.

ხალხში მებაღე დავინახე. ისიც კაცს შესცქეროდა.

მივედი და ვკითხე: შადრევანი ახე თქვენ გაზარდეთ-მეთქი?

— არა, რას ამბობთ, ეს შადრევანი მაგისი შეათედიც არახოდეს ყოფილაო.

უყურებდა კაცი...

მზე მთლად რომ ჩაიმალა, შადრევანმა ნელნელა დაუშვა კაცი ძირს.

ამოვიდა კაცი აუზიდან. გაიღიმა ბედნიერად და მითხრა:

— მე მივხვდი ჩემს შეცდომას. მზე ჩავიდა ახლა, მაგრამ ხვალ დილით ამოვა ისევ. როდესაც ოსტატი დახედავს თავის ნამოქმედარს და ამოიოხრებს ამით არ მთავრდება ყველაფერი. ახალ საქმეს იწყებს ოსტატი.

და ოდესმე მთლად მშვენიერი გახდება ქვეყანა.

მეც გამეღიმა: სწორედ ეს მსურდა მეთქვა მისთვის.

— წავალ ჩემს პატარა ქალაქში, — თქვა კაცმა. მერე ხალხს მიუბრუნდა და უთხრა: — გირჩევთ ყველას, დიდი ხნით ნურასოდეს ნუ დაღონდებითო.

ხელი გამომიწოდა.

— ნახვამდის.

— ნახვამდის, — ვუთხარი მეც.

წავიდა.

ახლაღა მივაქციე ყურადღება, რომ ოდნავადაც არ იყო სველი მისი ტანსაცმელი.

გაოცებული ვუცქეროდი.

გაოცებული დუმდა ხალხიც...

ბაღის გასასვლელში კაცი შეჩერდა და მობრუნდა. დამიძახა:

— თუ ჩემს ამბებს ვინმეს მოუყვებით, ეცადეთ, მათში ნაკლები იყოს ოხვრაო...

— ეგრე ვიზამ-მეთქი, — მივაძახე.

წავიდა კაცი...

მართლაც, მე ჯერ ისე ჩავიწერე ყველაფერი, როგორც კაცმა მიამბო. მერე კი ვეცადე უფრო ხალისიანი გამეხადა ეს ამბები. ზოგან რაღაც ჩავუმატე, ზოგან გამოვაკელი და, რაც მთავარია, უამრავი „ეჰ"! ამოვშალე. და თუ ზოგან მაინც დავტოვე, მხოლოდ იმიტომ, რომ, თუმცა არვარგა, როცა ბევრს ოხრავენ, მაგრამ არც სულ ხევდის გარეშე ვარგა ამბავი.

რაც შეეხება შადრევანს, მე ახე ვფიქრობ: ცხადია, შეიძლება შევყაროთ დიდი მეცნიერები და ბოლოს და ბოლოს ზუსტად დავადგინოთ იმ ხალამომდელ უცნაურობათა მიზეზები.

მაგრამ იქნებ უკეთესია, რომ შადრევანს ჰქონდეს თავისი საიდუმლო.

დავხედეთ აუზის მახლობლად, ვუცქიროთ შადრევანს, ვუსმინოთ მის ჩუხჩუხს და გვიხაროდეს, რომ მას შეუძლია როდესმე კვლავ აიტაცოს, ერთი წინწკლითაც არ დაასველოს და ცასთან ახლო მიიყვანოს ვინმე, ნაღვლიანი, კეთილი კაცი.

## [illegible]

თვეში ერთხელ, გამჭვირვალე, მზიან დილით პატარა ქალაქს საყვირის ხმები მოეფინებოდა.

და მაშინვე აფუსფუსდებოდნენ მშობლები, ვისმა შვილებმაც ახლახან აიდგეს ფეხი.

ხაგულდაგულოდ დაბანდნენ ბავშვებს და გამოაწყობდნენ ფერად-ფერად ტანსაცმელში. თმას ლამაზად დავარცხნიდნენ, ოღონდ ჩაჩს აღარ დახურავდნენ, აღარ დაგჭირდებათო.

კოხტა სახლებით გარშემორტყმულ პაწია მოედანზე მივიდოდნენ ვიწრო ქუჩებით...

მშობლები ტროტუარზე დარჩებოდნენ, ბავშვებს კი მოედნის შუაგულში აყვავებულ ყვავილებს დაანახვებდნენ.

გაბაჯბაჯდებოდნენ ბავშვები ყვავილებისაკენ.

გაიღებოდა ყველა სახლის ფანჯრები.

დასცქეროდნენ მცხოვრებნი მზის სხივებში აბრდღვრიალებულ ფერად ყვავილებს და ყვავილების ირგვლივ გარინდულთ ფერადად გამოწყობილ ბავშვებს.

მხოლოდ ერთი მაღალი სახლის სხვენში დატანებულ სარკმელზე არ იღებოდა დარაბები.

მშობლები ახლა სწორედ იმ სარკმელს შესცქეროდნენ. სარკმლის მაღლა, სახურავზე პაწია ალამი იყო აღმართული. ალამზე ჩიტი ეხატა.

იცოდნენ მშობლებმა, რომ ახლა დარაბებს

იქით კაცი იდგა, ჰუჰრუტანიდან დასცქეროდა ბავშვებს და კეთილად იღიმებოდა...

იდგნენ ბავშვები ყვავილების წინ.

მზე ეკიდა ცაზე.

...და უცებ გაიღებოდა მაღალი სარკმლის დარაბები და გამოფრინდებოდნენ იქიდან ფერადი ქუდები. იფრენდნენ ქუდები, იფრენდნენ, წრეს შემოუვლიდნენ ჰაერში, გაიფრენდნენ ღანჯრებში გადმომდგარი მცხოვრებლების წინ და ნარნარად ეხურებოდნენ თავზე ბავშვებს... ხტოდნენ გახარებული ბავშვები.

მოიხდიდნენ ქუდს, დახედავდნენ და ისევ დაიხურავდნენ.

ხტოდნენ და იძახდნენ, რა კარგია, რა კარგიაო.

სხვისი ქუდი არ ეხარბებოდათ.

ყველას ისეთი ქუდი ერგებოდა ხოლმე, როგორიც აუცილებლად მოეწონებოდა და მოუხდებოდა კიდეც.

არც მშობლებს მოსვლიათ როდესმე აზრი სხვის, ბავშვს უკეთესი ქუდი ერგოო.

იცოდა თავისი საქმე კეთილმა კაცმა.

ბოლოს გადმოჰყოფდა თავს სარკმელში მექუდე.

ბავშვები გაჩერდებოდნენ და სულგანაბული შეაცქერდებოდნენ.

ერთხელაც დაუკრავდა მექუდე საყვირს.

მერე თავთან მიიტანდა ხელს, სურდა ქუდი მოეხადა დამშვიდობების ნიშნად, მაგრამ ნახავდა, რომ ქუდი არ ეხურა თურმე.

— ოჰ, უკაცრავადო, — იტყოდა, შეიმალებოდა და კვლავ გამოჩნდებოდა სარკმელში ქუდით ხელში.

გაისროდა ქუდს ჰაერში.

იფრენდა ქუდი, იფრენდა და დაბრუნდებოდა, დაეხურებოდა მექუდეს.

მოუხდიდა ქუდს კაცი ბავშვებს.

ისინიც მოიხდიდნენ.

და უქნევდნენ ერთმანეთს ქუდებს აქეთ მექუდე, იქით — ბავშვები. მერე წაიყვანდნენ მშობლები ბავშვებს.

დაჰკიდებდა მექუდე თავის ქუდს ლურსმანზე და განაგრძობდა მუშაობას.

მზე ანათებდა კვლავ...

ნიავი არხევდა ჩიტიან ალამს...

...და მას შემდეგ ბავშვები ატარებდნენ იმ ქუდებს. ისე უყვარდათ, რომ ღამით ლოგინშიც არ უნდოდათ ქუდის მოხდა. უფრთხილდებოდნენ, წმენდნენ ხათუთად.

გაივლიდა რამდენიმე წელი, დაძველდებოდა ქუდები, მაგრამ მაინც ატარებდნენ ბავშვები, ვიდრე მთლად არ დაუპატარავდებოდათ.

შემდეგ სხვა მექუდეების შეკერილ ქუდებს იხურავდნენ.

ის მექუდე მხოლოდ პირველ ქუდებს კერავდა პატარებისათვის.

დიდი ხნის შემდეგ, უკვე დიდები რომ იყვნენ და თვითონ ჰყავდათ შვილები, მოქალაქენი ხშირად გადმოიღებდნენ ხოლმე კარადაში საგულდაგულოდ შენახულ თავის პირველ ქუდს და ვითომც შვილების გასართობად დაიდებდნენ თავზე, სინამდვილეში კი მოენატრებოდათ ხოლმე იმ ქუდის დახურვა.

სხვა მექუდეებს დიდად არ ეპიტნავებოდათ მოქალაქეებს აგრერიგად რომ უყვარდათ იმ მექუდის შეკერილი ქუდები.

იმაზე ხომ სულ გიჟდებოდნენ, ხალხი ღიდ მექუდეს ეძახისო. ვითომ ჩვენზე უკეთესი რით არისო, ბუზღუნებდნენ გულმოსულები..

თუ, ქუდს რომ ისვრის კარგად, ის მოსწონთ, მაგას ჩვენც კი ვისწავლითო დაიწყეს ვარჯიში და ზოგი ისე დაოსტატდა ქუდის სროლაში, რომ მექუდეობას თავი დაანება და ცირკში დაიწყო მუშაობა. დანარჩენები მიხვდნენ, ძალიან გადავყევით ქუდის სროლას და ხელობა გვავიწყდებაო და მიანებეს თავი. მერე იფიქრეს, ალამზე ჩიტი რომ ახატია, ხალხს ის მოსწონსო და სულ ფასკუნჯებით და ფარშევანგებით აჭრელებული ალმები დაკიდეს თავიანთი სახელოსნოების აბრებზე.

არც ამან უშველათ, ბავშვის პირველ ქუდს მაინც არავინ აკერინებდათ. ეზოში ყვავილებიც გააშენეს და ერთმა ისიც მოახერხა, რომ მურაბების მაღაზია გაახსნევინა თავისი სახელოსნოს წინ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო.

მოქალაქეებს დიდ მექუდესთან იმიტომ მიჰყავდათ ბავშვები, რომ ყველა, ვინც მისი ქუდით იწყებდა სიარულს ამ ქვეყანაზე, კეთილი ადამიანი იზრდებოდა.

მშობლების მთავარი სურვილი ხომ ესაა სწორედ, შვილი კარგი გამოვიდესო.

— მაშ მაგის შეკერილი ქუდები კარგია? — თქვეს მექუდეებმა, — ვნახოთ ერთი, მაინც და მაინც რა მოიგო, ვინც ეგ ქუდები ატარაო.

დახსნდნენ და მოიგონეს ერთი კაცი, მეორე, მესამე, მეოთხე... მეასე და უცებ სიხარულით წამოიძახეს:

— ეგენი ხომ ყველანი ლოყლაპიები არიან, ყველა მაგათ ატყუებთო.

რაც მართალია მართალია, ყველა, ვინც იმ მექუდის შეკერილ ქუდს ატარებდა, ადვილად მოსატყუებელი იყო ნამდვილად.

რატომ ხდებოდა ასე?

ჯერ მექუდის საიდუმლოს გაგანდობთ.

სალამოობით ფრთხილად, რომ არავის დაენახა, მექუდის სხვენზე ჩიტები შემოფრინდებოდნენ ხოლმე.

მექუდე ახლადშეკერილ ქუდებს ბუდეებივით დააწყობდა მაგიდაზე და ჩიტები სათითაოდ ჩაფრინდებოდნენ ქუდებში.

ჩააქრობდა მექუდე შუქს და დაიძინებდნენ ჩიტები.

დილით უთენია გაფრინდებოდნენ.

ქუდში კი მათი სიზმრები რჩებოდა.

და ის სიზმრები თან დაჰყვებოდა ბავშვებს მთელი დღე.

როგორც იცით, ჩიტები ცას ხედავენ სიზმრადაც.

და ამიტომაც, შემდეგ იმ ქუდის პატრონს რაზედაც არ უნდა დაეწყო ფიქრი, ყველაფერს ცას უკავშირებდა და მის თვალში ყველაფერს ცის ნათელი ფერის ანარეკლი დაჰკრავდა.

ხეს შეხედავდა, ცისკენ მიიწევსო.

თოვლის ფიფქები ციდან მოფრინავენო.

ბეჰემოტი რომ ბეჰემოტია, იმაზეც იმას ფიქრობდა, თვალები იმიტომა აქვს გადმოკარკლული, ცას მისჩერებია თავის გუბეში ჩაძირულიო.

და თუ ცა გახსოვს მუდამ, არ შეიძლება კარგი კაცი არ იყო.

მაგრამ ცისფრად რომ ხედავს ყველაფერს, ის კაცი ადვილად ტყუვდება.

ეს ასეა და ამას ვერაფერი შეცვლის...

ნოქრის მიერ დაბრუნებულ ხურდას ასეთი კაცი არ ითვლის, თუ ვინმემ უთხრა მიყვარხარო, იმისგან ცუდს აღარ ელის და თუ მდინარეში ვინმე ყვირის „მიშველეთო“, მაშინვე გაიძრობს შარვალს და გადაეშვება წყალში. გამოიყვანს კაცს წყლიდან, ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებს, ვერ შეამჩნევს, რომ კაცს ცბიერად ეღიმება. წავა ის კაცი. მშველელი კი ველარსად იპოვის თავის შარვალს. მაგრამ აზრადაც არ მოუვა, რომ მოატყუეს. იმას უფრო გაიფიქრებს, შარვალი არა მცმიაო.

ათჯერაც რომ დაკარგოს ასე შარვალი, მეთერთმეტედ მაინც გადახტება წყალში, თუკი ვინმე ყვირის „მიშველეთო“.

ესაა მისი ნაკლი, თუკი ამას ნაკლი შეიძლება ეწოდოს: მიმნდობია ცადმაცქერალი და ცისფიქრიანი კაცი.

და ამას ზოგი დოყლაპიობას ეძახის.

მექუდეებმაც ეს სიტყვა აირჩიეს.

დიდი მექუდე დოყლაპიებს ამრავლებსო, სულ ამას ჩასჩიჩინებდნენ ყველას.

და ბავშვების მშობლებმა ყოყმანი დაიწყეს.

კი ხურდათ კეთილი შვილები ჰყოლოდათ, მაგრამ არც უნდოდათ, ისინი ვინმეს მოეტყუებინა.

მშობლების ყოყმანი რომ შეამჩნიეს, მექუდეებმა კიდევ ერთი სიტყვა გამოჩხრიკეს:

— დოყლაპიობით შვილები დაგეჩაგრებათო!

ეს კი ისეთი სიტყვაა, რომ ამის გამგონე მშობელი, ველარც ხედავს რამეს და აღარც არაფერი ესმის.

დავეჩაგრებათ?!

და თუმცა იმ მშობლებთაგან ბევრი აღრე თვითონაც ცადმაცქერალი იყო, უცებ შეიჯავრეს მექუდე.

ცაც დაივიწყეს და ცის ფერიც.

მივიდნენ მექუდესთან და უთხრეს:

— წადი ქალაქიდან შენი ქუდებიანად!

— მოგვშორდი თავიდან!

— შენ გინდა შვილები დაგვეჩაგროსო?!

მექუდემ გაიღიმა, ალბათ რაღაც გაუგებრობაა, გავარკვიოთ რა მოხდაო...

მაგრამ არ აცალეს.

— ყველაფერი გარკვეულია, თუ ნებით არ წახვალ, კინწისკვრით გაგაგდებთო.

მიხვდა მექუდე, ლაპარაკს არა აქვს აზრი და სთხოვა:

— კარგი, ბატონო, ხვალ დილამდე მაინც მაცალეთ, რომ ბარგი შევკრაო.

როგორც იყო დათანხმდნენ და წავიდნენ დამუქრებულნი:

— ხვალ დილას არ გადააცილო, თორემ გიჩვენებთ ხეირსო

მერე ერთ მექუდეს აზრი დაებადა, დანარჩენებსაც გაანდო. და ტაშიც კი დაიმსახურა.

მოაგროვეს ქალაქში მექუდის შეკერილი ყველა ქუდი და ცეცხლი წაუკიდეს...

ხედავდა დიდი მექუდე იმ საშინელ კოცონს და ტიროდა.

მაგრამ მხოლოდ ტირილით საქმეს არ ეშველება: თან კერავდა დიდი მექუდე.

კერავდა მთელი დღე და საღამოს ჩიტები რომ მოფრინდნენ, ნახეს, ვეება ქუდი შეეკერა მექუდეს, სხვენზე ძლივს ეტეოდა.

ღამით ერთად დაიძინეს იმ ქუდში მექუდემ და ჩიტებმა.

განთიადისას მექუდემ მადლობა გადაუხადა ჩიტებს.

აფრინდნენ ჩიტები.

მექუდემ კი ჩააწყო ქუდში მთელი თავისი ავლა-დიდება.

შემდეგ კი დაამაგრა დიდი ქოლგა ქუდზე, რომელიც ასევე წინა დღეს შეეკერა.

ჩაჯდა ქუდში მექუდე...

მზე რომ ამოვიდა, ყველამ დიდი მექუდის სახლისაკენ გასწია, თუ არ წასულა შავი დღე უნდა დავაყაროთო.

მიდიოდნენ ლანძღვა-გინებით.

მიუახლოვდნენ მის სახლს...

..და უცებ დიდი ხმაური და მსხვრევის ხმა შემოესმათ. სახურავი გამოანგრია და ცაში აფრინდა ვეება ქუდი. ქუდის თავზე დიდი ქოლგა იყო გაშლილი, და ქოლგის წვერზე მექუდის ალამი ფრიალებდა.

მიფრინავდა დიდი ქუდი ქალაქის თავზე...

მერე გაისმა საყვირის ხმა და ქუდი გაუჩინარდა თეთრ ღრუბლებში...

ამბობენ, მას შემდეგ დიდი მექუდე აღარ უნახავთ პატარა ქალაქშიო.

მაგრამ ეს არ არის მართალი.

მაშინ ყველას არ დაუწვავს დიდი მექუდის შეკერილი ქუდი.

ქალაქში კვლავ არიან მშობლები, რომლებ-

საც ხურთ ცადმაცქერალი და ცისფიქრიანი შვილები ჰყავდეთ.

გაზაფხულზე მთვარიან ღამით გამოიყვანენ ხოლმე ბავშვს სასეირნოდ.

ქუდს არ დაახურავენ.

დაჰყავთ ბავშვი ხელჩაკიდებული და ხანდახან ცას ასცქერიან.

და მარტო თუ დარჩნენ ქუჩაზე, მაშინვე გაიხმიანებს საყვირი და მთვარით განათებული ღრუბლებიდან გამოვა დიდი ქუდი.

გადმოიხედავს მექუდე და გადმოისვრის პაწია ქუდს.

იფრენს ქუდი, იფრენს და დაეხურება ბავშვს.

მოიხდის ქუდს ბავშვი და იტყვის:

— რა კარგია!

— ხვალ, მზეზე რომ ნახავ, უფრო ლამაზი იქნება, შვილო, — ეტყვის დედა ან მამა.

ბავშვი აიხედავს და ქუდს დაუქნევს დიდ მექუდეს.

— ოღონდ იცოდე, არც ამ ქუდისა და არც ამ კაცის ამბავი არავის არ უნდა გაუმხილო, არასოდეს, — ეტყვიან ბავშვს.

ბავშვი თავს დაუქნევს.

და სამუდამოდ დაამახსოვრდება მთვარით განათებული ვეება ქუდი, ზედ გამლილი ქოლგით.

ამიტომ კვლავაც დადიან ქალაქში ცადმაცქერალნი...

დაფრინავს ცაში დიდი მექუდე, ხან ნისლში იმალება, ხან — ღრუბლებში.

ხანდახან საყვირსაც უკრავს, მაგრამ ქალაქის ხმაურში არ ისმის საყვირის ხმა. და თუ მაინც გაიგო ვინმემ, ფიქრობენ, მოგვეჩვენაო.

ჩამოვიდოდა, მაგრამ მაღლიდან ისე ჩანს, რომ ცადმაცქერალნი არც ახლა უნდა ჰყავდეთ დიდ პატივში მაინცდამაინც.

დაფრინავს დიდი მექუდე და ხშირად ამბობს თავისთვის გულდაწყვეტილი:

— ემ, ეს რად ვერ მოიფიქრეს დაღლოცვილებმა, ცოტაც ეცლიათ და მალე უკლებლივ ყველა ცისფიქრიანი და ცადმაცქერალი იქნებოდა, ტყუილი გაქრებოდა სამუდამოდ. და მაშინ ვიღა მოატყუებდა, ვინღა დაჩაგრავდა მათ შვილებსო.

## ბალერინა

შემოდგომის თბილი ღამე იყო.

მთავარი ქუჩის ფერადი ვიტრინების შუქზე ელავდა ნაწვიმარი ქვაფენილი.

ტროტუარზე აქა-იქ ყვითელი ფოთლები ეყარა.

თითო-ოროლა გამვლელიღა ჩანდა ქუჩაში.

საძილედ ემზადებოდა პატარა ქალაქი.

ჩაფიქრებული ლამაზი ქალი მოუყვებოდა ქუჩას.

ეს ქალი ბალერინა იყო.

დღეს მან გადაწყვიტა, უკვე დროა ცეკვას თავი დავანებოო. არა, განა ველარ ცეკვავდა. ბალერინას გამოსვლაზე კვლავ დიდხანს უკრავდნენ ტაშს მაყურებლები და კვლავ უამრავი ყვავილი ცვიოდა მის ფერხთით, როცა ცეკვის დამთავრების შემდეგ თავდახრილი იდგა სცენაზე, დაღლილი და ბედნიერი... მაგრამ დღეს მიხვდა ბალერინა, რომ უკეთესად, ვიდრე აქამდე ცეკვავდა, ველარ იცეკვებდა. და თუ ამას მიხვდები, თუ მომავალში უფრო კაშკაშას არ ხედავ სცენას და შენს თავს უფრო აღტაცებულად მოცეკვავეს, ჯერ არარსებული, მომხიბვლელი მუსიკის ხმაზე, განა ღირს კვლავ სცენაზე გამოსვლა?

არავისათვის უთქვამს, რაც გადაწყვიტა. ხვალ შევატყობინებ თეატრის დირექტორსო — ფიქრობდა. არ სურდა საზეიმო ალიაქოთი, გრძელგრძელი საქებარი სიტყვების მოსმენა და დიდი ამბით გაცილება...

მოდიოდა ჩაფიქრებული..

უცებ ბალერინამ შეამჩნია, რომ გამვლელები გაჩერებულიყვნენ და მას უცქეროდნენ.

ჩაიხედა ვიტრინაში და თვითონაც გაოცდა.

ის ფერადი შუქის კონები სცენაზე რომ დასდევდნენ ხოლმე, გამოპარულიყვნენ თეატრიდან, დასწეოდნენ და ახლაც თავს დასტრიალებდნენ.

გაუხარდა ბალერინას.

იყურებოდა ვიტრინაში...

უცებ გამოცოცხლდა ქუჩა.

გამოეფინენ მცხოვრებლები.

აივნები აივსო ბავშვებით.

ხალხმა იცნო ბალერინა.

იდგნენ მოქალაქენი და მოწიწებით შესცქეროდნენ ფერად შუქთა ციალში გახვეულ ლამაზ ქალს.

ბედნიერი იღიმებოდა ბალერინა.

უცებ მუსიკის ხმა გაისმა.

ვილაცას აივანზე ვიოლინო გამოეტანა და უკრავდა.

და ბალერინამ ცეკვა დაიწყო.

დაუყვა ქუჩას ცეკვით.

ეცეკვებოდა ტროტუარზე ჩამწკრივებულ ჭადრებს, ვიტრინებში მდგარ ახალ კოსტუმებში გამოწყობილ მანეკენებს და მთვარეს, ძლივს რომ მოჩანდა ხეთა ტოტებში.

დასტრიალებდნენ ფერადი შუქები.

მძლევდა მუსიკა.

რომელ აივანსაც ჩაუვლიდა, იმ აივანზე აუცილებლად ვინმე გამოჩნდებოდა რაიმე საკრავით. ზოგი ვალტორნას უკრავდა, ზოგი — გიტარას, ზოგი — სალამურს და მანდოლინას, ზოგმა მოახერხა და პიანინოც კი გამოაგორა აივანზე.

ცეკვავდა ბალერინა. თუმცა პალტო ეცვა და ხელჩანთა ეჭირა, ასე მსუბუქად არც სცენაზე უცეკვია როდისმე.

არც ის უშლიდა ხელს, აივანზე გადმომდგარ ტაკლი ჩაშლილიყო. მას ძალიან უყვარდა თეა- მუხიკოხთაგან ზოგმა რომ სულაც არ იცოდა, ტრი. რას ნიშნავს კარგად დაკვრა.

ცეკვავდა ბალერინა. ხალხი მისდევდა უკან. ხანდახან პატარა ბიჭები გადაუსწრებდნენ წინ. გაჩერდებოდნენ, შეხედავდნენ და კვლავ გაიქცეოდნენ.

ხან შეანელებდა ნაბიჯს, თავს ოდნავ გვერდზე გადახწევდა და ირწეოდა ხელებგაშლილი. შემდეგ მოსწყდებოდა ადგილს, დატრიალდებოდა და ააფრიალებდა პალტოს კალთებს.

ცეკვავდა ნაზად.

ფეხს არიდებდა ტროტუარზე დაცვენილ ფოთლებს...

დასტრიალებდნენ შუქის კონები..

ასე ცეკვით ჩაიარა მთელი ქუჩა.

ქუჩის ბოლოში გაჩერდა.

ხალხს მადლობა გადაუხადა.

წაჰყვნენ ფერადი შუქები.

ხალხი იდგა და ტაშს უკრავდა...

...ღამით, როდესაც ბალერინამ დაიძინა, შუქები ქალაქში გავიდნენ, დაიფანტნენ და მთელი ღამე დაჭროდნენ აქეთ-იქით.

ერთი დილამდე წიგნს უნათებდა ვიღაც კაცს, რომელიც ისე გატაცებით კითხულობდა წიგნს, ველარ ამჩნევდა, ლამფის შუშა რომ გამურულიყო და გასაწმენდი გამხდარიყო.

მეორე შუქის კონა ქურდს დაადგა თავზე, როცა ის სარკეს იპარავდა. იმ სახლში სულ ლამაზი ქალები ცხოვრობდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, რა უბედურება დატრიალდებოდა, სარკე რომ წაეღო ქურდს.

მესამე შუქი პატარა ბიჭის ოთახში შესულიყო. ბიჭს სიბნელის ეშინოდა თურმე...

ერთ პოეტს რითმა ეპოვა სიზმარში, გამოეღვიძებოდა და ფანქარს ეძებდა ბნელში: ჩავიწერ, დილამდე არ დამავიწყდესო. მეოთხე შუქმა იმას გაუნათა...

ასე იარეს მთელი ღამე შუქებმა აქეთ-იქით...

განთიადისას კი დაბრუნდნენ ბალერინასთან.

იტრიალეს მძინარე ბალერინას ოთახში, რიგრიგობით სხვადასხვაფრად გააშუქეს მისი ბალიშიცა და ძილში ბალიშზე დაცემული ცრემლისგან დარჩენილი ლაქაც. ბნელ სხვენში დაიმალნენ.

ბალერინა ტელეფონის ზარმა გააღვიძა.

— გავიგე, ხვენის პროჟექტორების შუქი თქვენ გამოგყვნენ თურმე, — ყვიროდა ყურმილში თეატრის დირექტორი, — როგორ შეიძლება ასე! აი უკვე რამდენი ხანია ვწვალობთ და არ ინთება პროჟექტორები. სასწრაფოდ დააბრუნეთ შუქები, თორემ, თუ დღეს სპექტაკლი ჩაიშალა, თქვენი ბრალი იქნება!

— ახლავე, ახლავე! — უთხრა ბალერინამ, — ერთ წუთს არ დაკიდოთ.

ბალერინას სულაც არ სურდა თეატრში სპექტაკლი ჩაშლილიყო. მას ძალიან უყვარდა თეატრი.

მიიხედ-მოიხედა, ხალ იქნება, და მიხვდა.

ავიდა კიბით სხვენში.

შუქები მაშინვე შემოეხვივნენ და მხიარულად აციმციმდნენ.

— მოიცათ, მოიცათ, — უთხრა ბალერინამ შუქებს, — წადით ისევ თეატრში.

მაგრამ შუქები მხიარულად დაქროდნენ სხვენში, ეთამაშებოდნენ ბალერინას.

ბალერინამ იფიქრა, ალბათ სიტყვები არ ესმითო. მივიდა, სარკმელი გამოაღო და იქით გაიშვირა ხელი, საითაც თეატრის მაღალი შენობა მოჩანდა.

შუქები გაჩერდნენ და აღარ იძვროდნენ.

ბალერინამ უყურა მათ, მერე ცელქ ბავშვებს რომ ხუმრობით დაემუქრებიან, თითი ისე დაუქნია და ჩამოვიდა სხვენიდან.

აიღო ყურმილი და უთხრა დირქტორს.

—რა ვქნა, არ მოდიან, ბატონო დირექტორო.

დირექტორმა დაიღმუვლა ყურმილში, ალბათ სიმწრით მუშტზე თუ იკბინა.

— ახლავე მანქანას გამოგიგზავნით და თვითონ მოიტანეთ და თუ მოიყვანეთ ეგ შუქები თეატრში, — ბრძანა მან.. — მეც წამოვალ! — დაუმატა მან ბოლოს.

მანქანაც მალე მოგრიალდა. დირექტორმა ყველა სარკმელზე ფარდები ჩამოაფარებინა, რომ დარწმუნებულიყო მართლა მიმყავსო შუქები.

ჩაჯდა ბალერინა მანქანაში.

ისხდნენ, ელოდნენ, მაგრამ არ მოვიდნენ შუქები.

დირექტორი გაცეცხლდა, სად იმალებიანო, ჰკითხა ბალერინას. ბალერინამ სხვენზე ასახვლელ კიბესთან მიიყვანა. ავიდა სხვენში დირექტორი და დაიწყო ლანძღვა-გინება, წამოდით ახლავეო. რომ ვერაფერი შეასმინა, სულ გადაირია. გამოუდგა შუქებს, მათი დაჭერა სურდა, მაგრამ აბა, შუქს როგორ დაიჭერდა. იმათ დევნაში რამდენიმე კოპი დააჯდა თავზე და სულ მტვერში ამოიგანგლა.

ჩაიქნია ხელი, ჯანდაბას თქვენი თავიო.

ჩამოვიდა სხვენიდან, ბალერინას უთხრა, თეატრში ნულარ მოხვალთო, და ჩაჯდა მანქანაში.

მიიჯახუნა კარი.

წავიდა დირექტორი.

იმავე დღეს ახალი პროჟექტორები დააყენებინა თურმე, მაგრამ არც იმ პროჟექტორებმა გაანათეს.

აღარ იცოდა რა ექნა, იჯდა თავის კაბინეტში და ფიქრობდა, ვისთან ვუჩივლო ბალერინასო.

ღამით კვლავ ქალაქში გავიდნენ შუქები.

კვლავ დადიოდნენ მთელი ღამე...

და დილით, სხვენში რომ ავიდა, ბალერინამ ნახა შესამჩნევად შემცირებულიყვნენ შუქები...

დრო მიდიოდა.

საღამოს, დაბნელდებოდა თუ არა, შუქები ჩამოდიოდნენ სხვენიდან. ჯერ დასტრიალებდნენ ბალერინას, შემდეგ კი მის გასართობად ჟღამაზეს ფერთატრიალს ჰქმნიდნენ ოთახის კედლებზე.

დაწვებოდა დასაძინებლად ბალერინა და გავიდოდნენ შუქები ქალაქში...

ბრუნდებოდნენ განთიადისას.

ილეოდნენ თანდათან.

ბალერინამ აღარ იცოდა რა ექნა.

ამას ფიქრობდა. ვაითუ სამუდამოდ სიბნელე დარჩეს სცენაზე და დაიხუროს თეატრიო. და ერთ საღამოს გადაწყვიტა, სხვა გზა აღარააო.

დაელოდა და, როცა შუქები ჩამოვიდნენ სხვენიდან, ნახა ხელისგულისოდენებიღა დარჩენილიყვნენ. ბალერინამ ტანთ თავისი სიფრიფანა, გაფშეკილი მოკლე კაბა ჩაიცვა, ფეხებზე პუანტები მოირგო და დადგა სარკის წინ.

დაიწყო ცეკვა.

თითქოს გამხიარულდნენ შუქები. ფერადი გვირგვინივით დაადგნენ თავზე და ცეკვავდნენ ბალერინასთან ერთად.

ცეკვავდა ბალერინა ერთხანს.

და უცებ დაეშვა სკამზე.

ხელებში ჩარგო თავი და ატირდა. ვეღარასოდეს იცეკვებდა სცენაზე...

ტიროდა ბალერინა და უცებ რაღაცამ გამოაფხიზლა.

გაიხედა ფანჯარაში და დაინახა: ფანჯრის წინ, ეზოში, გოგონა ცეკვავდა.

თვალები დაეხუჭა გოგონას და ვერ ხედავდა, რომ პატარ-პატარა ფერადი შუქები დასტრიალებდნენ თავზე.

უცქეროდა ბალერინა, ლამაზად ცეკვავდა გოგონა.

ახლა მოაგონდა, ბალერინას, რომ ადრე, როცა საღამოს ხინათლე ანათებდა და სარკის წინ ვარჯიშობდა, რაღაც ჩუმი ხმაური ესმოდა ხოლმე გარედან.

თურმე ეს გოგონა აპაკუნებდა ფეხებს, — მე მბაძავდაო — იფიქრა ბალერინამ.

და შეიმშრალა ცრემლები.

გოგონა კვლავ ცეკვავდა...

ალბათ ყველასთვის ცხადია როგორ დამთავრდა ამბავი. ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს კვლავ ხალხით აივსო თეატრი.

დანიშნულ დროს გაიხსნა ფარდა და ჩაბნელებულ სცენაზე პატარა გოგონა შემოვიდა. თავზე გვირგვინივით ედგა ფერადი შუქების ფთილები.

გაისმა მუსიკის ხმა. დაიწყო გოგონამ ცეკვა...

და უცებ აინთო სცენა.

ცეკვავდა გოგონა. უცქეროდნენ მაყურებლები.

გოგონას ცეკვით მოხიბლული ბალერინა და თეატრის დირექტორი ვერ ამჩნევდნენ, რომ კულისებიდან გამოსულიყვნენ. და როცა გოგონამ ცეკვა დაამთავრა და ხალხმა ტაშის გრიალი ატეხა, ყველამ დაინახა, როგორ მიუბრუნდა დირექტორი ბალერინას, ბოდიში მოუხადა, რა სისულელეები ჩავიდინეო, და ხელზე აკოცა მოწიწებით.

კვლავ ყოველ ღამით დადიან შუქები ქალაქში.

კეთილ საქმეებს სჩადიან და იხარჯებიან.

მაგრამ მეორე დღეს იცეკვებს გოგონა და კვლავ მძლავრდება სცენაზე შუქი.

ხოლო სპექტაკლი რომ დამთავრდება, ბალერინა და გოგონა ერთად გამოდიან თეატრიდან.

ერთად გაივლიან მთავარ ქუჩაზე და მიჰყვებათ ფერადი შუქები.

უცქერიან გამვლელები.

გოგონა აუცილებლად მიაცილებს ბალერინას სახლში. მთავარ ქუჩაზე მარტო არ გაუშვებს არასოდეს. ეშინია, ვაითუ ცალ-ცალკე რომ წავიდეთ, შუქები მე გამომყვნენ და ბალერინას გული ეტკინოსო.

ბალერინა ხვდება გოგონას ეშმაკობას და უხარია:

კეთილი აქვს გული, მისი ცეკვა ყოველთვის გაახარებსო ადამიანებს — ფიქრობს ბალერინა, იძინებს მშვიდად.

და ნათელ სცენას ხედავს სიზმრად..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ურჯუმელაშვილი

# ერთი ქართული ბატალიონი

**რომანი**

გენერალი ლანცი ჰიჰინაძეს დაეჭვებით, ჯიქურ მისჩერებოდა. ის კი წარბშეუხრელად თვალს უსწორებდა, რაც გენერალს აფიქრებინებდა, კაპიტანი რომ ცბიერობდეს, ჩემს გამომცდელ მზერას ვერ გაუძლებდაო. და ბოლოს ვაგნერს შეეკითხა:

— კაპიტანო, თქვენ რაღას იტყვით?

ვაგნერი იმის შიშით, ვაითუ გენერალმა ჰიჰინაძის მოპოვებული ცნობები არ ირწმუნოს და იმედები გამიცრუვდესო, ტყუილის თქმასაც არ მოერიდა:

— ბატონო გენერალო, ვფიქრობ, რომ ჰიჰინაძის მოხსენება სარწმუნოა. გუშინწინ ბატალიონის სამეთაურო პუნქტიდან მტრის პოზიციებს ვუთვალთვალებდი. ზუსტად ამ რაიონში ჩარდახგადაფარებული სატვირთო მანქანა შევნიშნე. მაშინვე დავეჭვდი, „კატუშა“ ხომ არ არის-მეთქი. სხვათა შორის, მეორე დღეს მოთვალთვალე მზვერავმა აქვე შენიღბული ტანკიც აღმოაჩინა.

— კაპიტანო ვაგნერ, რახან ამას თქვენც ადასტურებთ, დღესვე მოვაწყოთ საარტილერიო თავდასხმა!

ბატალიონის შტაბში რომ დაბრუნდნენ, კაპიტანმა ვაგნერმა ჰიჰინაძე მიწურში შეიპატიჟა და თითო ჭიქა კონიაკი კიდევ გადაჰკრეს. გამომშვიდობებისას ბატალიონის მეთაურმა ჰიჰინაძეს ხელი ჩამოართვა და უთხრა — გენერალთან მხარი კი დაგიჭირე. მაგრამ ეს ცნობები რომ არ გამართლდეს, თავზე ხელს არ გადაგისვამენ და, ალბათ, მეც მომხვდებაო!

— ბატონო კაპიტანო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! ამას წყალი არ გაუვა. ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე!

ჰიჰინაძემ თათბირის მოწვევას ამჯობინა შექმნულთა ხელმძღვანელებს პირადად მოლაპარაკებოდა. გზად მიმავალმა პირველ ასეულის მეორე ოცეულის მეთაურს ლეიტენანტ ქორიძეს გამოუარა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, დაჰკრა ჩვენი მოქმედების ჟამმა! წუხელ პირადად ვინახულე ჩვენს პირისპირ მდგარი დივიზიის მეთაური გენერალი პრივალოვი და საბოლოოდ მოვილაპარაკეთ. გადასვლას მოვახდენთ ზეგ, დამით. შეარჩიეთ სანდო ბიჭები, ოღონდ ოპერაციის დროს წინასწარ ნურავის გაანდობ. რას იტყვი, რამდენი კაცი გამოგყვება?

— ასე,სამოციოდე. ზოგის იმედი არ მაქვს, ყველას ვერ ვენდობი. ასეულში არიან მოლალატენი. ზოგი კაპიტან ვაჩნაძის გავლენის ქვეშაა: თან ისიც მაფიქრებს, ჩვენგან წინა ხაზამდე თითქმის ორი კილომეტრია. გაგვიძნელდება თავმოყრის ადგილამდე მისვლა. ვაითუ ვინმემ გაგვცეს, — უიმედოდ და სევდიანად თქვა ქორიძემ.

— სროლას სროლითვე უპასუხეთ, არავინ დაინდოთ, არავინ შეიცოდოთ, წარუმატებლობის შემთხვევაში გერმანელები ერთიანად ამოგვჟლეტენ.

ლეიტენანტ ქორიძეს რომ გამოემშვიდობა, ჰიჰინაძემ გადაწყვიტა, უფროსი ლეიტენანტი ბარამიძეც ენახა.

მეორე ასეულის პოზიციების შორიახლო ჰიჰინაძემ, ცხენი გზაზე ზაქრო სურამელს დაუტოვა და ასეულის მეთაურის მიწურისაკენ ტყის პირს გაჰყვა.

უცებ ლეგიონერების ლაპარაკი შემოესმა. ერთმა მისი გვარიც ახსენა. ცნობისმოყვარეობამ სძლია, შევიდა ხშირ ბუჩქებში და შეჩერდა.

ლეგიონერებს მიწური ამოეთხარათ და ის-

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 6.

ვენებდნენ. ნიავს ქიქინაძემდე მოჰქონდა მათი სიტყვები.

პირველი ლეგიონერი:

— ბიჭებო, მომბეზრდა ეს მიწური ცხოვრება. გინდ მოვკვდე, გინდ დავრჩე, ჩემთვის სულ ერთია, მხოლოდ ის მაწუხებს, გულს ის მიკლავს, ჩვენი შვილები, შვილთა შვილები, შთამომავალნი ვერასოდეს ჩამოირეცხენ სამარცხვინო ლაქას.

მეორე ლეგიონერი;

— ეჰ ეგრე არა ვარ. სინდისი მქეჯნის, გულღვიძლში ცეცხლი მიტრიალებს. ეს რა დღეში ჩავვარდით!

მესამე ლეგიონერი:

— აქამდე კიდევ იმედით ვსულდგმულობდით. ახლა კი... ალარაფერი მჯერა, მოტყუებულნი ვართ.

მეოთხე ლეგიონერი:

— რა იყო, რამ გაგიტეხათ გული?

მესამე ლეგიონერი:

— გულის გატეხას ჩივის, თავს კედელს უნდა ვახლიდეთ. გუშინ ბიჭებმა ზემდეგ ბუხარელს ვუსაყვედურეთ, ეს არის შენი დაპირება, დაიმედებაო; რა ვქნა, ნუ დამემდურებით, ეტყობა, მეც მატყუებენო, მოგვიგო ხელის ჩაქნევით.

პირველი ლეგიონერი:

— რაც არ უნდა მითხრათ, ვერ დავიჯერებ, რომ კაპიტანი ქიქინაძე გვატყუებდა.

მეორე ლეგიონერი:

— ამას ვერც მე დავიჯერებ. კაპიტანი მოამაგე მამასავით მიყვარს, კეთილშობილი ადამიანია. თუ გვიშველის, ის გვიშველის.

მესამე ლეგიონერი:

— ვინ მამაძაღლი, მაგის იმედი რომ არ მქონდეს, ტყვიით შუბლს გავიხვრეტდი.

მეოთხე ლეგიონერი:

— კარგით, გეყოფათ. წუწუნითა და ტირილით თავისუფლებას ვერ დავიბრუნებთ. სჯობია მივენდოთ წყეულ ბედს.

მეხუთე ლეგიონერი:

— ბიჭებო, დღე ხალამოსკენ გადაიხარა. თვალნათლივ მოვრჩეთ მიწურის გადახურვას, თორემ ამალამ თვალს არ მოგვახუჭინებენ.

ქიქინაძე ფრთხილად შეტრიალდა და გზა განაგრძო.

დახე, ლეგიონერებს მასზე რა დიდი წარმოდგენა აქვთ? როგორ ჰყვარებიათ, ყოვლის შემძლე ადამიანად თვლიან, მამას უწოდებენ, სახოებით, იმედით შესცქერიან, უიმისოდ სიცოცხლე არაფრად უღირთ, ეტყობა დაბეჩავებული ადამიანები ყველაზე უფრო მკვეთრად გრძნობენ მეთაურის მხარდაჭერას, სიყვარულს, რის საზღაურადაც ათმაგად იხდიან ვალს.

ლეგიონერებს გულგატეხილობაც ემჩნევათ. ვერც გაამტყუნებ, ფრონტზე მოსვლამდე ხომ წითელი არმიის მხარეზე გადარბენა ითქ ხაქმეც ესახებოდა, რა ქნას, არ ეგონა თუ ასეთ დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა?! როგორ იფიქრებდა ბატალიონში ამდენი ჯამუში, გამყიდველი წამოყოფდა თავს.

ნეტავი რა ღმერთი უწყრებათ! განა ცოტნე დადიანის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და სამასი არაგველის შთამომავალნი არ არიან? ეჰ, თუმცა თითო-ოროლა მახინჯი, მოღალატე ყოველთვის იყო. განა ისტორიის ქარტეხილებში თანამოძმეთა ხელით ცოტა ქართველთა სისხლი დაიღვარა? ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა ხომ თავისიანების ღალატით არაერთი ბრძოლა წააგეს.

უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე ბოლით სავსე მიწურში ტახტზე იწვა და თვალი მხრჩოლავ ლუმელისათვის გაეშტერებია. ისე იყო ფიქრებში გართული, კარვის ზღურბლთან შეჩერებულ ქიქინაძეს ეგონა ალბათ თვალებგახელილს სძინავსო.

სტუმარმა ჩაახველა.

მასპინძელი ერთბაშად წამოდგა და შესძახა:

— ვაჰ, ამას ვის ვხედავ, ვიქტორ, შემოდი, სწორედ შენზე ვფიქრობდი.

— რამ გაგახსენა ჩემი თავი? — თქვა ქიქინაძემ და, თავი ჭერისთვის რომ არ შეერტყა, წახრილი შევიდა მიწურში და ახრჩოლებულ ლუმელთან დაჯდა.

— ურვამ, უბედურებამ.

— ჩემო გრიგოლ, აი, მეც სწორედ ამან მომიყვანა აქ.

ბარამიძემ ლუმელში შეშა შეუკეთა, ქიქინაძის წინ დაჯდა და შეეკითხა:

— მითხრეს, ქიქინაძე დაზვერვაში იყოო, მართალია?

— კი, ვიყავი, — მიუგო კაპიტანმა. ერთხანს შეჩერდა, მერე ხმას საიდუმლო ელფერი მისცა, — ჩვენს პირისპირ მდგარ დივიზიის მეთაურს გენერალ პრივალოვს შევხვდი.

— რას ამბობ? — თქვა აღტაცებით ბარამიძემ და იკითხა. — როგორ მიგიღო?

— ჩინებულად. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გადავწყვიტეთ, ბატალიონი თორმეტ დეკემბერს, დილის ოთხ საათზე უნდა გადავიდეს ჩვენების მხარეზე.

— შენს პირს შაქარი. ახე ჯდომა აღარ შეიძლება, მებრძოლები ბუზღუნებენ, უკმაყოფილონი არიან, ბრძოლის ველზე მოგვიტყუებს, თანამოძმეებს უნდა შევებრძოლოთო.

— ჩემო გრიგოლ, მალე საქმით დავამტკიცებთ ჩვენს სიმართლეს, სამშობლოსადმი თავდადებას. მაშ ასე, ზეგ დილით ოთხ საათზე თავმოყრის ადგილს შეგატყობინებთ. ოღონდ გაფრთხილებთ, არამც და არამც ლეგიონერებს წინასწარ არ გაანდოთ ეს ამბავი. ოპერაციის დაწყებამდე, ნახევარი საათით ადრე გააცნობთ მოქმედების გეგმას. ეს აუცილებელია კონსპი-

რაციისათვის. ჯაშუშებს, გამცემლებს არ სძინავთ. ვინც გადაგელობოთ, წინააღმდეგობა გაგიწიოთ, განურჩევლად ყველას ესროლეთ, არავინ დაინდოთ.

— გასაგებია, ამხანაგო კაპიტანო! — ომახიანი ხმით მიუგო ბარამიძემ.

ჭიჭინაძემ წინასწარ არც მესამე ასეულის ლეგიონერებს გაანდო გენერალ პრივალოვთან მოლაპარაკების ამბავი. ის კი არა, ღურჭუმელიძესა და გოგიძესაც დაუმალა გადასვლისათვის დანიშნული დრო. თანაც უბრძანა, საერთოდ ამ საგანზე არავისთან კრინტი არ დაეძრათ.

ამან კი ლეგიონერები ცოტა დააეჭვა, ან საქმე კარგად ვერაა, ან კაპიტანი ჭიჭინაძე არ გვენდობაო.

ხარკაძემ ცალ-ცალკე მოიხელთა გოგიძე და ღურჭუმელიძე სალაპარაკოდ. შორიდან იწყებდა, ლობე-ყორეს ედებოდა, ბოლოს კი წითელი არმიის ზურგში ყოფნაზე ჩამოუგდებდა ხოლმე სიტყვას, ვითომ ის აინტერესებდა, მართალი იყო თუ არა, გერმანელები რომ გაჰკიოდნენ, ერთი-ორი დარტყმაც და მარშით გავივლით მთელ საქართველოსო. არა გვგონია, რომ ახეთი რამ მოხდეს, წითელ არმიას მტკიცე, გადაუვლახავი პოზიციები უჭირავს, თანაც ზურგში სარეზერვო ჯარებს უყრიან თავს და გერმანელები ვერც ფრონტს გაარღვევენ, ვერც კავკასიონის ქედს გადალახავენო. ზემდეგის სხვა შეკითხვებზე კი ორივე პასუხობდა, არ ვიცითო, და დუმილს ამჯობინებდნენ.

იმ ღამით ბატალიონი გააფრთხილეს, შუაღამისას გერმანელები ძლიერ საარტილერიო ცეცხლს დაუშენდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებსო.

ღურჭუმელიძე და გოგიძე ერთ ათეულში იყვნენ.

ზემდეგმა ხარკაძემ მათი ათეულიდან ორი ლეგიონერი ცხენებთან სამორიგეოდ გაამწესა, ორი კაცი სამზარეულოში მუშებად დანიშნა, ოთხი კი პოზიციებზე უნდა წასულიყო.

პირველ წყებაზე დანიშნული გუშაგები სამორიგეოდ რომ წავიდნენ, მიწურში მხოლოდ ღურჭუმელიძე და გოგიძე-ღა დარჩნენ.

ხარკაძემ ნავახშმევს ერთხანს პოზიციაზე იბორიალა, ლეგიონერებს ეკითხებოდა, ტყვიაწამალი ხომ არ შემოგაკლდათო. მერე კი მიწურების უკანა მხარეს, ბუჩქებში მიიმალა.

კარგად რომ დაბნელდა, იმ მიწურთან მიხოხდა, ღურჭუმელიძე და გოგიძე ღამეს რომ ათევდნენ.

ხარკაძე მიწურის სახურავზე აფოფხდა და ყური გაციებულ საკვამლე მილს დაადო.

ღურჭუმელიძე და გოგიძე, რაკი ღამე მორიგეობა უწევდათ, უკვე დაწოლილიყვნენ და სწორედ იმაზე საუბრობდნენ, რაც ჰიტლერელთა ჯაშუშს აინტერესებდა.

გოგიძე: — კაპიტანი რაღაცას გვიმალავს, ეტყობა, არ გვენდობა.

ღურჭუმელიძე: — რა იცი, იქნებ სათქმელი არც არაფერი აქვს.

გოგიძე: აბა მაშ ამდენხანს რას გვაყურყუტებს?!

ღურჭუმელიძე: რას გაიგებ? იქნებ ჩვენები ზურგს გვაქცევენ, არ გვენდობიან.

გოგიძე: — შე კაი კაცო, ასე რომ ყოფილიყო, აქეთ ვინღა გამოგვიშვებდა. ჭიჭინაძეს არაფერი შეეშლება. ალბათ ჯერჯერობით დუმილია საჭირო. ნეტავი რას მივედ-მოვედებით, უძილონი ვართ, სჯობია დავიძინოთ.

ჭიჭინაძემ წინა ღამე თეთრად გაათენა, დღესითაც ფეხზე იტრიალა, დაიღალა, არაქათი გამოელია, წელი სტკიოდა. ხან პირქვე წვებოდა, ხან გულაღმა, მაგრამ ვერ ისვენებდა, თვალს რული არ ეკარებოდა. თავში ის ფიქრი უტრიალებდა, შეთქმულთა მოთავენი ნაადრევად გავაფრთხილე, იქნებ რომელიმე მათგანი გერმანელთა სამსახურშიაო. თანაც ყველას როდი შეუძლია საიდუმლოს შენახვა, ჯაშუშებს ეს ამბავი ყურში რომ ჩაეწვეთოთ დავიღუპებითო. არა, თავიდან უნდა მოიცილოს ეს ამაზრზენი ფიქრი? ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებისათვის კარგი იქნება, თუ ამ ღამით ვაგნერისა და მარტეს ტელეფონით ლაპარაკს ყურს დაუგდებს. ასეულის მეთაურს ხომ ბატალიონის შტაბთან საკუთარი ხაზი აქვს. გადასვლის წინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმის ცოდნას, რას ფიქრობენ გერმანელები, ხვალისათვის რას აპირებენ. ან მათი განზრახვის შესახებ ხომ არაფერი იციან.

ჭიჭინაძე სწრაფად წამოდგა, უქუდო და უფარაჯო გავიდა გარეთ და გუშაგს უბრძანა, სურამელი გაალევიძე და ჩემთან გამოგზავნეო.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო გუშაგმა და განაპირა მიწურისაკენ გაემართა.

— მოიცა, — თითქოს რაღაც გაახსენდაო, უთხრა ჭიჭინაძემ, — ვერ გიცანი, რომელი ხარ?

— მჭედლიშვილი ვარ.

— გიორგი?

— დიახ, ამხანაგო კაპიტანო!

— კარგია, რომ შენა ხარ, მარჯვედ, ჩემო გიორგი.

ჭიჭინაძე გვერდით მიწურში წავიდა, მეკავშირე ლეგიონერებს სათადარიგო ტელეფონი და ორი კოჭი მავთული გამოართვა.

ამასობაში სურამელი გამოჩნდა. ჭიჭინაძემ მას უბრძანა:

— ლეიტენანტ მარტეს მიწურიდან ოთხი ხაზი გამოდის. აქედან რომელი ხაზებიც მარ-

ჭვენა მხარესაა, აი იმათ შეუერთებ ამ მავთულის წვერებს. გუშაგს არ მოერიდო, ვინიცობაა შეგეკითხოს რას აკეთებო, უპასუხე, კაპიტან ქიქინაძის დავალებას ვასრულებ-თქო.

მჭედლიშვილს კი მიწურების უკან ტყეში მიმავალი სურამელისათვის არაფერი არ უკითხავს.

ქიქინაძემ გაჭიმულ მავთულს ნამჯა წააყარა. აპარატი ხაზში ჩართო და მილი ყურთან მიიტანა.

ტელეფონი ზუზუნებდა. კრინტს არავინ ხძრავდა. ტელეფონისტები იმასაც არ ამოწმებდნენ, ხაზი წესრიგში იყო თუ არა.

„დაგვიანდა... ცოტა ადრე უნდა მომეფიქრა ეს“, წაილაპარაკა ქიქინაძემ და ყურმილზე მიმაგრებული თასმა თავზე მოირგო...

სურამელი დაბრუნდა.

— ყოჩაღ! — შეაქო ქიქინაძემ და მორიდებით დაუმატა, — მიწურთან მორიგეობა მოგიწევს, ვიცი, უძილო ხარ, დაღლილი, მაგრამ უნდა გაიჭირვო, თუ ვინმე აქეთ მოდიოდეს, ეანიშნე.

ქიქინაძე წამოწვა, მაშინვე ძილი მოერია. იმის შიშით, არ ჩამეძინოსო, წამოდგა. დაწყევლილია კაცის ბუნება: დასვენება რომ უნდოდა, ძილი გაუტყდა, ახლა სიფხიზლე სწადია და ბურანში ეხვევა, ქუთუთოები ეხუჭება. თვითონ რა უჭირს, მიწურშია, ფეხი მშრალი აქვს, თბილადაა, გინდ დაწვება, გინდ ადგება, გაივლ-გამოივლის, პაპიროსს გააბოლებს. სურამელი კი გარეთაა, სიბნელესა და სიცივეში. ალბათ ფეხი სველი აქვს, სცივა... თვალი ეხუჭება, ძილი თავს ართმევს, რამდენ ტანჯვა-წვალებას იტანს ეს კეთილი, სულით მხნე, თავდადებული ჯარისკაცი.

უცებ ყურმილში მარტეს ჩახლეჩილი ხმა გაისმა, მორიგე ტელეფონისტს რომ უბრძანებდა, საჩქაროდ კაპიტან ვაგნერს დამალაპარაკეო.

მარტე მძიმედ სუნთქავდა, სულს ძლივს ითქვამდა.

— ბატონო ლეიტენანტო, კაპიტან ვაგნერს სძინავს — მოახსენა ტელეფონისტმა.

— გააღვიძეთ.

ქიქინაძეს სუნთქვა შეეკრა, გული ყელში მოებჯინა, ეტყობა მარტეს რაღაც მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინება უნდა, თორემ კაპიტანის გაღვიძებას ვერ გაბედავდაო.

— მარტე ხარ, გისმენ! — გაისმა ვაგნერის ნამძინარევი ხმა.

— ბატონო კაპიტანო, ღალატია. ეს-ეს არის მაცნობეს.

ვაგნერმა უცებ არაფერი უპასუხა. მხოლოდ მისი აჩქარებული ქშენა ისმოდა. მერე კი სხაპასხუპით თქვა:

— ზონდერფიურერ ზალუპს მეავტომატეთა თანხლებით ახლავე გამოვგზავნი წინა ხაზზე. ფხიზლად იყავით, ლეგიონერებს არ აგრძნობინოთ, რომ მათი განზრახვა შევიტყვეთ.

ქიქინაძე უეცრად წამოხტა. საჩქაროდ ჩაიცვა ფარაჯა. ბუდიდან პისტოლეტი ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. ტელეფონი გამორთო. სურამელს დაუძახა და უბრძანა, ხაზი აკეცეო, მერე — ღურჭუმელიძე, გოგიძე, ვარდიაშვილი, მოსიაშვილი, თბილაიშვილი ვაალვიძე და ექვსივე ჩემთან გამოცხადდითო. სურამელი რომ გაისტუმრა, თვითონაც გარეთ გავიდა. მოღრუბლულ, ჩამობნელებულ ცას შეავლო თვალი ,პოზიციებს, მიწურებს გადახედა და შორიახლო მდგარ გუშაგს შეესმიანა:

— გიორგი, მალე შეგცვლით.

— დილამდე ვიდგომებ ამხანაგო კაპიტანო.

— კარგი, ეს მითხარი, ამ საღამოთი ვინ იყო მარტესთან?

— არავინ... თვითონ მარტე სამზარეულოში იყო, ახლახან დაბრუნდა.

მაშასადამე, სამზარეულოშია გამცემი. იქ ზემდეგი ხარკაძე, მეკუჭნავე, მზარეული და ორი მუშაა. ერთი მათგანი იუდაა. თუმცა იქვეა გერმანელ ტელეფონისტთა მიწური. გერმანელი ჯარისკაცები როგორ შეიტყობდნენ საიდუმლოს? ასე უცებ ძნელია მოღალატის კვალის მიგნება. ახლა ამისათვის არც სცალია.

მიწურში შებრუნდა, ორი ხელყუმბარა ფარაჯის უბეში ჩაიდო. პატარა ხის ჩემოდნიდან მეუღლის გამოგზავნილი წერილები ამოიღო და საველე ჩანთაში შეინახა. ყველაფერს სწრაფად, მარჯვედ აკეთებდა.

ამასობაში სურამელი და გამოძახებული ლეგიონერები მოვიდნენ.

— ძმებო, ვიღაცამ გაგვთქვა, მალე ზონდერფიურერი ზალუპი და გერმანელი ჯარისკაცები აქ გაჩნდებიან. დილაზე კი პოზიციებზე ალბათ ოფიცერთა საჯარიმო ბატალიონის ქვეგანაყოფებს გამოგზავნიან, ყველას გაგვაიარაღებენ, მოგვსრესენ. ახლა ღამის ორი საათია, ორი საათის შემდეგ ბატალიონი თავს მოიყრის ჩვენი ასეულის პოზიციაზე. ამხანაგო ღურჭუმელიძე, ახლავე წადი პირველ ასეულში და ლეიტენანტ ქორიძეს აცნობე ჩვენი გადაწყვეტილება. გზის პირას ატეხილ ბუჩქებს გაჰყევი და ბატალიონის შტაბში მიმავალი სატელეფონო მავთული ადგილ-ადგილ გადასჭერი.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო ღურჭუმელიძემ და მიწურიდან გავიდა.

— შენ კი, ამხანაგო მოსიაშვილო, მეორე ასეულში წახვალ, უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს აცნობე ნიშნის მიღებისთანავე ქვედანაყოფი დაძრას თავმოყრის ადგილისაკენ.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო მოსიაშვილმა და ისიც მიწურიდან გავიდა.

— ჩვენ კი, ამხანაგებო, გერმანელებთან საბრძოლველად მოვემზადოთ!

გარეთ რომ გავიდნენ, ჭიჭინაძე გუშაგ მჭედლიშვილს შეეკითხა:

— მარტე მიწურშია?

არა, ის და მისი ორდინარეცი სამზარეულოსაკენ გაემართნენ.

საველე სამზარეულო ფიჭვნარში იდგა. აქვე იყო ასეულის საკუჭნაო, ხარკაძისა და მეკავშირე გერმანელ ჯარისკაცების მიწური.

ჭიჭინაძეს ვერ ამოეცნო, რა საქმე უნდა ჰქონოდა ასეულის მეთაურს ამ შუაღამისას ფიჭვნარში? უნდოდა თვითონაც აქ წასულიყო, მაგრამ გადიფიქრა, ვაითუ ერთმანეთს ვეკვეთოთ, ცეცხლი დავუშინოთ, ეს საერთო საქმისათვის დამღუპველი იქნებაო.

— გიორგი, აქ ალარაფერი გესაქმება, შენც ჩვენთან წამოდი! — უბრძანა ჭიჭინაძემ გუშაგს და ამხანაგებს წინ გაუძღვა.

ლეიტენანტმა მარტემ ხარკაძესთან წასვლა იმიტომ გადაწყვიტა, იქნებ შეთქმულნი დღეს აპირებენ ფრონტის გადალახვას, თავს დამეხსნენ და ხიცოცხლეს გამომასალმონო, ზემდეგთან საიმედოდ დაცული ვიქნები, ეს ამბავი ხომ იმან შემატყობინა, ლეგიონერებთან შეტაკების შემთხვევაში ჩემს მხარესაც დაიჭერსო. გერმანელი მეკავშირე ჯარისკაცებიც გვერდში მეყოლება. ზონდერფიურერს, ფიჭვნარში რომ გზად გამოივლის, მოვახსენებ, ასეულის პოზიცია დავათვალიერე, ახლა კი სამზარეულოს ვამოწმებო. გაერთიანებული ძალით ამალამვე შეთქმულთა ხელმძღვანელებს განვაიარაღებთ, უხმაუროდ, ყოველგვარი ძიების გარეშე ანდერძს ავუგებთო.

ზონდერფიურერი ზალუპი კი ჯერ მეორე ასეულის პოზიციისაკენ გაემართა. მეორე და მესამე ასეულის ზურგში ასიოდე მეტრის დაცილებით ორ მაღალ ბორცვზე, საიდანაც გარკვევით ჩანდა ლეგიონერთა პოზიციები, გერმანელთა გადამღობი ტყვიამფრქვევები იდგა.

ჰიტლერელები ამას არ მალავდნენ. ლეგიონერებს აშინებდნენ, იცოდეთ, რუსებმა როგორც არ უნდა შემოგიტიონ, არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიოთ, თორემ ზურგიდან ცეცხლს დაგიშენთო. ამასთან, მეტყვიამფრქვევეები გაფრთხილებული ჰყავდათ, თუ ვინიცობაა ლეგიონერები გადარბენას შეეცდებიან, მყისვე ზურგში ესროლეთო.

ზონდერფიურერმა ზალუპმა მეორე ასეულის პოზიციებთან ჩასაფრებულ გერმანელ მეტყვიამფრქვევებს უბრძანა მესამე ასეული არის შეთქმულთა ბუდე. ტყვიამფრქვევები ამ ქვედანაყოფის პოზიციის ზურგში გადაიტანეთო.

ჭიჭინაძემ იცოდა, წინა ხაზზე ჩასანგრებულ ორივე ასეულ მეტყვიამფრქვევები დარაჯობდნენ. ამიტომ გადაწყვიტა მათთვის მოთვალთვალენი მიეჩინა. თუ ბატალიონის გადასვლისას ცეცხლს გახსნიდნენ, ისინი გერმანელებს უუმბარებითა და ავტომატებით გაუსწორდებოდნენ.

კაპიტანმა რამდენიმე მამაცი, უშიშარი ლეგიონერი შეარჩია, ვითარება გააცნო, და ჰკითხა — ვის სურს ამ ამოცანის შესრულებაო.

სურამელმა და ვარდიაშვილმა განაცხადეს თანხმობა. ჭიჭინაძემ პირველი — მესამე ასეულის, ხოლო მეორე — მეორე ასეულის ზურგში ჩასაფრებულ გერმანელ მეტყვიამფრქვევეთა სათვალთვალოდ გაგზავნა.

მეტყვიამფრქვევეები რომ ახალ პოზიციაზე გადავიდნენ, ბუჩქებში დამალული ლეგიონერები აჩრდილივით უკან აედევნენ.

გერმანელებმა დაიკავეს თუ არა ზღუდე, ლეგიონერებმა ეს ამბავი კაპიტან ჭიჭინაძეს აცნობეს.

ჭიჭინაძეს თავზარი დაეცა.

ნუთუ ზონდერფიურერმა ისიც შეიტყო, რომ ოპერაცია დღეისთვისაა დანიშნული? ალბათ გერმანელები ბატალიონს ტყვიამფრქვევების ჯვარედინ ცეცხლში მოაქცევენ. თუმცა იქნებ უკეთესიც არის, რომ ზალუპმა მეორე ტყვიამფრქვევიც მისი ასეულის ზურგში გადმოიტანა. ბატალიონს აქ კი არა, ბარამიძის ასეულის პოზიციაზე მოუყრის თავს. ჩასაფრებულ მეტყვიამფრქვევეებს აქედან გაუძნელდებათ გადარბენისას ლეგიონერებისათვის ცეცხლის დაშენა. სურამელსა და ვარდიაშვილს ორ კაცს გაუგზავნის, რადგან მათ მარტო გაუჭირდებათ. გადამღობებთან შებრძოლება ლეიტენანტ ქორიძეს შეატყობინეს, თავისი ხალხი მეორე ასეულის პოზიციაზე მოიყვანოს.

ჭიჭინაძეს არავისთვის გაუმჟღავნებია, მგონი გერმანელებმა გადასვლის ვადაც შეიტყვესო. თავი მხნედ, ამაყად ეჭირა. გარეგნული უშფოთველობითა და მტკიცე ბრძანებებით ლეგიონერებს რწმენას, სიმშვიდეს უნერგავდა.

ამასობაში მეორე ასეულში გაგზავნილი ლეგიონერი მოსიაშვილი დაბრუნდა. უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს შემოეთვალა, ასეული მზად არის, ნიშნის მიცემისთანავე წამოვალთ თქვენთან შესაერთებლადო.

ჭიჭინაძემ შიკრიკი უკანვე გააბრუნა, გადაეცი უფროს ლეიტენანტს, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოს, შექმნილი ვითარება გვიკარნახებს ბატალიონს თავი თქვენს პოზიციაზე მოვუყაროთო.

მოსიაშვილი მეორე ასეულის პოზიციაზე რომ მიბრუნდა, უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე პირველი ოცეულის სანგარში იმყოფებოდა და სალაშქროდ გამზადებულ ლეგიონერებს ემუსაიფებოდა.

აქვე იყო ზემდეგი ბუხარელი, ლეგიონერებს ვაზნებს რომ ურიგებდა, ეს საქმე მეკუჭნავეს მოვალეობა იყო, მაგრამ ამჯერად ბუხარელმა მოისურვა ამის გაკეთება. იგი გუ-

მანით ხვდებოდა, რომ ასეულში რაღაც ხდებოდა. იმის შიშით არაფერი გამოპარვოდა, ლეგიონერებში ტრიალებდა, ყველას ემუსაიფებოდა, ყველას უცინოდა, ცდილობდა ვინმესთვის საიდუმლო გამოეტყუა.

მოსიაშვილმა უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს სიტყვა-სიტყვით მოახსენა კაპიტან ჰიჰინაძის შემონათვალი. ალბათ ორმა-სამმა კაცმა თუ გაიგონა მისი სიტყვები, მაგრამ ლეგიონერები ისე იყვნენ აღტაცებულნი სანატრელი წუთების მოახლოებით, რომ ერთმანეთს მოურიდებლად, გადასცემდნენ მოსიაშვილის ნათქვამს და ამ ამბავმა ბუხარელის ყურამდეც მიაღწია.

ბუხარელი მაშინვე თავის მიწურისაკენ გაემართა. მეკუჰნავეს მესამე ოცეულში ტყვიაწამალი გაატანა დასარიგებლად, თვითონ კი ცხენს მოახტა და ბატალიონის შტაბისაკენ გაქუსლა.

ნაშუალამევს ზღვიდან ცივმა, გამჭოლმა ქარმა დაუბერა. ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შავი ღრუბლები გადაეფარა.

თხრილებიდან, მიწურებიდან ამოსულ მეორე ასეულის ლეგიონერებს, ტყის პირას, ოცეულებად რომ იდგნენ, თოვლჭყაპი სახეში ურტყამდა, მაგრამ ეს მათ როდი აკრთობდა, ტყვეობაში გატანჯულმა ადამიანებმა მხოლოდ ახლა იგრძნეს, რომ ყურმოჭრილი მონები კი არა, მებრძოლები იყვნენ, ისინიც ძალას წარმოადგენდნენ და ამას იქით ფაშისტები სიკვდილის მუქარით ველარ აიძულებდნენ მორჩილებას, ველარ მოახვევდნენ თავიანთ ნებას. აი ახლა შეშჰიდროვებულნი, დარაზმულნი, საბრძოლველად გამზადებულნი ერთმანეთის გვერდით დგანან, და სჯერათ, სწამთ, რომ იარაღით გაიკვლევენ გზას წითელი არმიისაკენ, თავისუფლებისაკენ!

— ფრთხილად, ფეხაკრეფით მომყევით! — ბრძანა კაპიტანმა ჰიჰინაძემ და ამხანაგებს წინ გაუძღვა.

ოცეულის მეთაურებმა მისი სიტყვები ხმადაბლა გაიმეორეს და ქვედანაყოფი ტყის ნაპირ-ნაპირ, მეორე ასეულის პოზიციისაკენ გაემართა. ოციოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ლეიტენანტს მეტყვიამფრქვევეთა ოცეულის მეთაური წამოეწია:

—ამხანაგო კაპიტანო, ზემდეგი, მეკუჰნავე და მზარეული დაგვავავიწყდნენ, თუ მიბრძანებ, ახლავე გავგზავნი კაცს მათ წამოსაყვანად.

— არ არის საჭირო! — მტკიცედ მიუგო ჰიჰინაძემ, — დიახ, არ არის საჭირო. ლეიტენანტი მარტყმ მათთან იმყოფება. საშიშია, საქმე არ წავახდინოთ,

ზონდერფიურერმა ზალუპმა მესამე ასეულის პოზიციაზე წასვლას ამჯობინა ჯერ ხარკაძესთან შეევლო; გულში მას შიშის ქარი უქროდა, რა ძალა მადგას, ემანდ თავი ხაფანგში არ ჩავიგდოო. განა არ იცოდა, ასეთი სიმხდალისათვის გაკიცხვას იმსახურებდა, მაგრამ თავს იმით იმართლებდა, სჯობია ჯერ ზემდეგი ვნახო, ჩემი უშუალო ხელქვეითია და იმისაგან უკეთ გავიგებ, მესამე ასეულში რა ხდებაო, იქნებ საგანგაშო არაფერია და ლეიტენანტი მარტე აზვიადებსო.

ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს, თორემ ამ მამაცი ქართველების გადამკიდე კარგს რას უნდა ელოდოს? ასეულის მეთაურს რაღა თვით ეახლოს, წოდებითაც უფროსია, თანამდებობითაც მეტი. მარტემ, კეთილი ინებოს, და თვითონ გამოცხადდეს მასთან.

ზონდერფიურერმა ზალუპმა ხარკაძის მიწურში ფეხი შედგა, თუ არა, კბილთაღრჭენით იყვირა:

— რას ჰგავს ეს? ამ შუაღამისას მძინარე წამომახტუნეს, მიბრძანეს ჩქარა, გამოცხადდი მესამე ასეულშიო. შენ კი, ლეიტენანტო, ასეული მიგიტოვებია!

— ბატონო ზონდერფიურერო, ასეულის პოზიცია შევამოწმე და გადავწყვიტე სამზარეულოც მენახა, — მიუგო მშვიდად მარტემ.

ზონდერფიურერმა ზალუპმა ხელები ისე გაშალა, ვითომ ყველაფერი ვიცი, მაგრამ უნდა გავჩუმდე, რადგან შენი განაწყენება არ მინდაო, და შეეკითხა:

— როგორ არის საქმე?

— ჯერჯერობით ჩუმად არიან. ეტყობა ხვალ ღამისათვის ემზადებიან.

ზონდერფიურერმა მიწურის კუთხეში ჩამოკიდებულ ჰრაქს თვალი გაუშტერა და ხარკაძეს მიუბრუნდა:

— შენ შეიტყვე ეს ამბავი?

— დიახ, ბატონო ზონდერფიურერო.

— ხომ არ სცდები, ხომ არ აზვიადებ?

— ბატონო ზონდერფიურერო, ყველაფერი საკუთარი ყურით გავიგონე, — ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ მიუგო ხარკაძემ.

— აქ ჯდომით ვერაფერს გავარკვევთ, წავიდეთ პოზიციაზე.—თქვა ზონდერფიურერმა ზალუპმა და მიწურიდან პირველი გავიდა, გარეთ მსუსხავი ქარი ზუზუნებდა. ისინი იარაღმომარჯვებული, ბუჩქებ-ბუჩქებ ფრთხილად მიდიოდნენ პოზიციისკენ.

ანაზდად მათ წინ ორი ლანდი აღიმართა:

— ვინ არიან, ახლავე შეიპყარით, თუ გაქცევა სცადონ, ესროლეთ! — ბრძანა ზონდერფიურერმა.

ეს ის ორი ლეგიონერი იყო, ჰიჰინაძემ სურამელისა და ვარდიაშვილის მისაშველებლად რომ გაგზავნა.

რომ გააფრთხილეს, შეჩერდითო, ლეგიონერები გაიქცნენ, ბუჩქებს შეერივნენ, მაგრამ

გერმანელებმა მაშინვე ცეცხლი დაუშინეს და ორივე სიცოცხლეს გამოასალმეს.

თხრილები, სანგრები, მიწურები ჩაბნელებული იყო. არსაიდან მცირედი სინათლე არ გამოკრთოდა.

მიწურის საკვამლე მილები ჩვეულებრივ არ ბოლავდა. თხრილებში გუშაგები როდიღა ჩანდნენ. ირგვლივ მყუდროება სუფევდა.

მარტე თავის მიწურთან შედგა. მის უკან მომავალი ზონდერფიურერი და ჯარისკაცები შეჩერდნენ.

ასეულის მეთაურმა მოელვარე თვალებით მიიხედ-მოიხედა:

— ყარაულო!

პასუხი არავის გაუცია. ტყემ და ბორცვებმა ექო გამოსცეს:

— ყარაულო!..

— დასწყევლოს ღმერთმა, ყველას როგორ დაეძინა?! — ისე ხმადაბლა იკითხა ზონდერფიურერმა, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგონოსო.

„ალბათ ჩასაფრებული არიან, ცეცხლი არ დაგვიშინონ“, — მარტეს ეს ფიქრი შიშის ზარს სცემდა.

— შენ გეკითხებიან, — ზონდერფიურერმა ბრაზით ყურში ჩასძახა მარტეს, — ქიქინაძის მიწური რომელია?

— აქედან არ ჩანს, — მიუგო მარტემ.

— იქით წავიდეთ!

ბრძანება არავის გაუცია, მაგრამ ჯარისკაცებმა ავტომატები შემართეს. ოფიცრებმაც პისტოლეტები იძრეს.

უხმოდ, ფრთხილად, ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ, საკუთარი ფეხის ხმა აკრთობდათ, შიშის ზარს სცემდათ.

აგერ ქიქინაძის მიწურიც... მარტემ მიწურში არაერთხელ ჩასძახა, კაპიტანო, გარეთ გამოდით, მაგრამ შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

ზონდერფიურერმა მიწურში ჯარისკაცი შეგზავნა, ეტყობა შუა ძილშია, ფეხებში ხელი ჩაავლე და გარეთ გამოათრიე, ეს რა მკვდრული ძილი სძინავთ.

ჯარისკაცმა კარები შეაღო, ზღურბლზე შეჩერდა, ჯიბის ფანრით მიწური გაანათა და სწრაფად უკანვე ამოვარდა, შიგ არც კაპიტანია და არც მისი ნივთები ალაგიაო.

— გაპარულან, გაქცეულან, აღარავინაა, აღარავინ! — მოსთქვამდა სასოწარკვეთილი ლეიტენანტი მარტე.

ზონდერფიურერ ზალუპს ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, ლეგიონერებს იხმობდა, კვალს მიაგნებდა, ერთი ჯარისკაცი ხარკაძეს დასაძახებლად გაგზავნა, მეორე — ბორცვზე ჩასაფრებულ მეტყვიამფრქვევეებთან აფრინა — „ქერქეტის კუზის“ მიდამოები ცეცხლით დაცხრილეთო.

დანარჩენ ჯარისკაცებს უბრძანა — პოზიციაზე ჩასაფრდით, რაკი აქ არავინ ეგულებათ, შეიძლება მოღალატე ქართველები რუსებს გამოუძღვნენ და ფრონტის გარღვევა სცადონო.

ოფიცრები ასეულის მეთაურის მიწურში ჩავიდნენ.

მარტემ ჰკრაქი აანთო თუ არა, ზონდერფიურერი ყურმილს ეცა. დიდხანს ჩასძახოდა, ალო, ალოო, მაგრამ ტელეფონი დუმდა.

ზონდერფიურერი ცოფებს ყრიდა. ყველაზე მოწყვეტილი ვართ, რუსები რომ შეტევაზე გადმოვიდნენ, მუსრს გაგვავლებენო, და ძრწოდა რომ დაეფარა, მარტეს უყვიროდა, ეს შენი დოყლაპიობის ბრალია, პოზიციიდან მოკურცხლე და არამზადა მოღალატეებს გაქცევის შესაძლებლობა მიეცითო.

— ეს რა მუხანათები ყოფილან, ცბიერნი, უნამუსონი. რა იქნენ, ასე უცებ სად გაქრნენ, მიწამ ხომ არ უყო პირი? — წუწუნებდა მარტე.

— ახლა გვიანღაა. უნდა გვცოდნოდა: რაკი თავისიანებს გადაუდგნენ, ადრე თუ გვიან, ჩვენც ამას გვიზამდნენ.

ზემდეგი ხარკაძე შეშინებული შევიდა მიწურში და ისე გაოცებული უცქეროდა ოფიცრებს, თითქოს ეკითხებოდა, რა მოხდა, რომ შეგაშფოთათო.

— რა პირი დაგიდია, — შეხძახა მეისვე ზონდერფიურერმა, — გაიქცნენ, გაიგე?

— ბატონო ზონდერფიურერო, — ძლივს წაილუღლუღა ხარკაძემ, — მეორე ასეულში დარეკეთ?

— ტელეფონის ხაზი გადაჭრილია. სჯობია შენ წახვიდე იქ, ქიქინაძეს დაუძებ, უთხარი — ზონდერფიურერი გეძახისთქო. თან ისიც გაიგე, იმათაც ხომ ღალატი არ განუზრახავთ!

ხარკაძე შეყოყმანდა, აქეთ-იქით იხედებოდა, ზალუპსა და მარტეს თვალს ვერ უსწორებდა, თითქოს, რაღაცის თქმა ეწადა, მაგრამ ვერ ბედავდა.

— ზურგისაკენ! — შეხძახა ხარკაძის მერყეობით გულმოსულმა ზონდერფიურერმა.

ხარკაძე შეტრიალდა, მაგრამ კარისაკენ ფეხის გადადგმა უჭირდა.

— წადი! — დაიღრიალა ზალუპმა, ზემდეგს ჭიტლაყი მიაყოლა და მიწურის კარი ფეხის წაკვრით დახურა.

ვახშმის წინ კაპიტანმა ვაჩნაძემ შიკრიკის ხელით ბატალიონის მეთაურს წერილი გაუგზავნა — ნუ დაეყრდნობით კაპიტან ქიქინაძის ცნობებს, მის ერთგულებაში ეჭვი არ მეპარებაო.

ნავახშმევს გახეირნება გადაწყვიტა, გავივლგამოვივლი, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ. თან პოზიციებსაც დავათვალიერებო.

მეორე ოცეულის ჯარისკაცებს სანგრისათ-

ვის ხაწვიმარი ღამადა გადაეფარებინათ, ცეცხლი აენთოთ და კარდალით კარტოფილს ხარშავდნენ.

კაპიტანი სანგართან მივიდა და ლეგიონერებს დაუტატანა:

— რა უმსგავსობაა, მოწინააღმდეგისა არ გეშინიათ?

— ბატონო კაპიტანო, კარტოფილს ვხარშავთ, ახლავე ჩავაქრობთ, — მიუგო პირველმა ლეგიონერმა.

— საჭმელი არ გეყოთ?

— ბატონო კაპიტანო, ორი კოვზი ფაფა და ორი ლუკმა პური აბა რას გაგვაძღობდა? — თქვა მეორე ლეგიონერმა.

— ცოტაც მოითმინეთ, ბიჭებო, ომი დამთავრდეს და შემწვარიცა და მოხარშულიც ძლომისად იქნება. ცეცხლი კი ახლავე ჩააქრეთ.

კაპიტანმა ვაჩნაძემ პოზიციები შემოიარა, გუშაგები გააფრთხილა, რუსებმა შეიძლება ბნელი ღამით ისარგებლონ და მოენის ხელში ჩასაგდებად მზვერავები გამოგზავნონო. ვაჩნაძეს, როგორც ყველა თვისტომით მოწყვეტილ ადამიანს, სიამოვნებას განაცდევინებდა ყოველივე იმის ხილვა, რაც სამშობლოს ახსენებდა. ალტაცებას ჰგვრიდა წყვდიადში გახვეული მთები, იდუმალებით მოცული ტყეები.

სადღაც მარჯვნივ, ბორცვებს იქით ქვემეხები გრუხუნებდნენ. ქარი რომ წამოუბერავდა, ბათქი უფრო ხმამაღლა ისმოდა, თან ელვაც მატულობდა.

ის კი მეჩხერ ბუჩქებში თავჩაღუნული მიდიოდა. არაერთხელ ნაფიქრსა და ნაგრძნობს კვლავ გულში იმეორებდა.

ეჰ, მალე მაინც გადალახონ კავკასიონის ქედი... ალბათ ხალხი შემოეგებებათ, გზებზე ყვავილებს დაუფენენ. ნეტავი რა მოხდა, რატომ შეაჩერეს შეტევა? რა ხანია ამ ზღუდეზე დგანან და ერთი ნაბიჯითაც ველარ წაიწიეს?

კაპიტანმა ვაჩნაძემ, მიწურში რომ შევიდა, ჭრაქი აღარ აანთო, გაუხდელი წამოწვა. მეკავშირე გერმანელმა ჯარისკაცმა აუწყა, ბატალიონის მეთაური ტელეფონთან გიხმობსო.

— ღალატია... მოსპეთ, გაანადგურეთ შეთქმულთა მოთავენი, ვინც სანგრიდან თავს ამოყოფს, ყველას ესროლეთ, ტყვიამფრქვევი დაუშინეთ! — მრისხანებდა ვაგნერი.

— ბატონო კაპიტანო, არც ერთი გერმანელი ჯარისკაცი ჩემს განკარგულებაში არ არის. ისინი თქვენ გემორჩილებიან და თქვენვე გააფრთხილეთო, — ამის თქმას აპირებდა კაპიტანი ვაჩნაძე, მაგრამ ვაგნერმა არ მოუსმინა და ყურმილი ჩამოუკიდა.

ლეიტენანტმა ქორიძემ კაპიტან ჰიჰინაძის ბრძანების მიღებისთანავე შეთქმულნი გააფრთხილა, გაემზადეთ, მალე ბატალიონის თავმოსაყრელ ადგილისაკენ გავეშურებითო.

ლეიტენანტმა სწრაფად ჩაალაგა ჩანთაში ის ნივთები, რის წაღებაც აუცილებელი იყო და იარაღიც აისხა.

ტელეფონმა დაიწკარუნა.

რა ჰქნას, აიღოს თუ არა ყურმილი? ალბათ ასეულის მეთაური ვაჩნაძე ურეკავს. მათი განზრახვის შესახებ ხომ არ შეიტყო? ან შეიძლება რაიმე დავალება მისცეს. სჯობია უპასუხოს, თორემ კაპიტანი მის დასაძახებლად ორდინარეცს გამოგზავნის, ან შეიძლება თვითონაც მოაკითხოს.

ფრთხილად აიღო ყურმილი.

— ალო, ალო! — ისმოდა ვაჩნაძის ხმა.

— ლეიტენანტი ქორიძე გისმენთ, ბატონო კაპიტანო! — რამდენადაც შეეძლო მშვიდად ჩასძახა ყურმილში.

— სად ხარ, სად დაიკარგე?

— პოზიციაზე ვიყავი, ბატონო კაპიტანო!

— ახლავე ჩემთან მოდი!

რაღაც ვერ არის საქმე კარგად. ასეულის მეთაურს რა საქმე უნდა ჰქონდეს ამ შუაღამისას? არ მივიდოდა, ფეხებზე დაიკიდებდა მის ბრძანებას, მაგრამ ამით, ვაითუ, საქმე გაამწვავოს.

კაპიტანი მაგიდას მისჯდომოდა, სახეზე შეშფოთება, მოუსვენრობა ეწერა. იგი მაშინვე წამოდგა და ქორიძეს ხელი ჩამოართვა.

ქორიძემ, იმის შიშით, ასეულის მეთაურმა ჭადრაკის თამაში არ შემომთავაზოსო, მისვლისთანავე მოახსენა:

— ბატონო კაპიტანო, გამოვცხადდი, რას მიბრძანებთ?

ვაჩნაძემ ქორიძეს ალმაცერად გადახედა, მსხვილ ულვაშზე ხელი გადაისვა და ისე, უთხრა, ზედ არ შეუხედავს:

— ლეიტენანტო, რა ღმერთი გიწყრებათ, რა წერამ აგიტანათ?

— ბატონო კაპიტანო, ვერ გამიგია, რისი თქმა გინდათ? — ისე შეიცხადა ქორიძემ, საქმეში ჩაუხედავ კაცს ეჭვიც არ შეეპარებოდა მის გულწრფელობაში.

— მოდი ვილაპარაკოთ გულახდილად. ვაგნერმა დამირეკა, ლეგიონერებს ღალატი განუზრახავთო. ალბათ კაპიტანი ჰიჰინაძეა ამ ამბის წამომწყები, მოთავე. ეგ თუ კაი კაცია, სამხრეების აყრამდე რატომ იყო გატვრენილი, თავს რატომ გრძნობდა კარგად, ურზუნველად. ახლა კი არ ისვენებს, სიკვდილს ეთამაშება. ლეგიონერებსაც ამხედრებს. შარში ჰხვევს.

— ღმერთი, რჯული, არაფერი ვიცი.

კაპიტანი ვაჩნაძე კი განაგრძობდა:

— ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა საუკუნეების მანძილზე ვაჟკაცურად დაიცვეს, გადაარჩინეს, შთამომავლობას შემოუნახეს ქართული ენა, სარწმუნოება. ჩვენი ვალია ეს ძვირ-

ფასი საგანძური ასევე დავიცვათ, გავუფრთხილდეთ და ჩვენს შვილებსა და შვილთაშვილებს გადავცეთ!

— ბატონო კაპიტანო, — რახან სიტყვამ მოიტანა, მოგახსენებთ. — შეჩერდა, თითქოს უჭირს თქმა და ბოლოს მორიდებით დასძინა, — დიახ, ბატონო კაპიტანო, არასოდეს ასე მჭიდროდ გაერთიანებული, დარაზმული არ ყოფილა ქართველი ერი. არც ქართული ენა ყოფილა არასოდეს ასე ძლიერი, ღონიერი. დღეს ამ ენაზე მთელი საქართველო მეტყველებს.

— მერე ეს კომუნისტების დამსახურებად მიგაჩნიათ? ამას ჩვენ დიდ წინაპრებს უნდა ვუმადლოდეთ! მეფე ერეკლე ჭკვიანი იყო. როცა დარწმუნდა, რომ აღარ შესწევდა ძალა ნახევრად ველურ ტომთა წინააღმდეგ ბრძოლისა, ძლიერ, ერთმორწმუნე რუსეთს მფარველობა სთხოვა. დღეს კი გერმანიაა ძლიერი! დამარცხებული რუსეთის მოკ... ჩირეობას გამარჯვებულ, უძლეველ გერმანიასთან მეგობრობა გვირჩევნია.

— ბატონო კაპიტანო. ჯერ ერთი, ომი არ დამთავრებულა... ამასთან...

ეს კი ველარ მოითმინა კაპიტანმა.

— თქვე ოხრებო, ყურები გამოიჩიჩქნეთ, თვალი გაახილეთ. რით ვერ გაიგეთ, საბჭოთა წყობილება ხუხულასავით ინგრევა, რა დაგემართათ, რა ალალმა დაგიქროლათ, რა ჭკუაზე ხართ? ჰიტლერის წინაშე მთელმა ევროპამ მოიხარა ქედი, თქვენ კი რას მატრაბაზობთ, რა შეგიძლიათ, რას ვახდებით, რუსეთი დიდია, უთქვენოდაც მკვდრეთით აღდგება, აღზევდება. ბრალი საქართველოსი: თუ ერთხელ წახდა, დაეცა, ფეხზე ველარ წამოდგება, სამუდამოდ გაიწირება! — ვაჩნაძე ქორიძეს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და თვალებში მიაჩერდა. — ახლა მთავარია სამშობლოს გადარჩენა. უქართველკაცოდ საქართველო არ იქნება. ბატალიონი კი ქართველი ხალხის სისხლი და ხორცია. ერთ მცდარ ნაბიჯს შეუძლია მისი დაღუპვა.

ქორიძე რომ გაისტუმრა, კაპიტანი ვაჩნაძე ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

თუმცა ლეიტენანტი ქორიძე თავს იკატუნებს, მაგრამ ცხადია რაღაც ხდება. გერმანელებს ძაღლის გეში აქვთ. ასეულის ზურგში ამიტომაც დადგეს ტყვიამფრქვევი. ამას კარგი ხუნი არ უდის.

ფარაჯა ჩაიცვა. პისტოლეტის მჭიდეში ვაზნები გასინჯა. ერთი სავსე მჭიდე ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გავიდა.

ხიზნელეს თვალი რომ შეაჩვია სანგრებში, გუშაგები დაინახა.

ლეგიონერები არ ჩანდნენ, ეტყობა ეძინათ, მაგრამ ვაჩნაძეს ეჩვენებოდა, რომ ისინი სანგრებში ფუსფუსებდნენ, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ.

გავიდა, პოზიციებს დაათვალიერებდა, თავს ირწმუნებდა ვაჩნაძე, მაგრამ ისევ და ისევ ის შემაძრწუნებელი ამბავი არ აძლევდა მოსვენებას, ვაგნერმა ტელეფონით რომ აცნობა.

ნუთუ მართლა მზადდება შეთქმულება?

ვთქვათ, ლეგიონერებს უჭირთ ვაგება, არ შეუძლიათ განჭვრიტონ მოვლენები, მაგრამ კაპიტან ჰიჭინაძეს რაღა ღმერთი უწყრება? შტაბის ოფიცერია, ბრძოლებში ნაცადი და როგორ ვერ ხვდება, ქართველი ხალხისათვის რა დამღუპველი, რა გამანადგურებელი იქნება გერმანიის არმიასთან ბრძოლა. გამანადგურებელი მეწყერი გადაუვლის საქართველოს. ცეცხლის ალში გაეხვევა სოფლები, ქალაქები, ქვეყანა აოხრდება, დაიბუგება, ნაცარტუტად იქცევა, ხალხი ამოიჟლიტება, გაწყდება.

ლეგიონერებსაც შავი დღე დაადგებათ: სანგრიდან თავს ამოყოფენ თუ არა, გერმანელები მთელ ბატალიონს ბალახივით მოცელავენ! უბატალიონოდ რაღა ფასი ექნება მის სიცოცხლეს! როგორი მონდომებით, გულმოდგინებით წვრთნიდა, ავარჯიშებდა ლეგიონერებს, რა ვუყურით, რომ ხელქვეითნი ემდურიან, მკაცრ, მომთხოვნ ოფიცრად თვლიან! სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ეს აუცილებელია არმიის ძლიერებისთვის, ეს აუცილებელია გამარჯვებისათვის.

და აი ახლა, როცა ასე ახლოა მიზანი, განა ბედუკუღმართობა არ იქნება, თანამოძმენი რომ განუდგნენ, მართვეებივით შემოეფანტნონ? არა, ეს არ იქნების, ეს არ მოხდების. ბატალიონი წავა წინ — საქართველოსაკენ.

ანაზდად წყვდიადში აჭრილმა შუშხუნამ პოზიცია გაანათა.

კაპიტანმა ვაჩნაძემ დაინახა სანგრებიდან წამოშლილი ლეგიონერები, წაკუზული წინა ხაზისაკენ რომ გარბოდნენ.

მისგან ორმოციოდე ნაბიჯზე ტყვიამფრქვევი აკაკანდა და მყისვე თვალი შეასწრო როგორ შეტრიალდა ერთი ლეგიონერი და ძირს დაეცა.

ღმერთო დიდებულო, ეს რა ხდება? ნუთუ აღსრულდა რისაც ყველაზე მეტად მეშინოდა?

უძრავად იდგა, მოძმეთა ხოცვა-ჟლეტითა და თავის უმწეობით თავზარდაცემული.

თვალცრემლიანი ლეგიონერებს მისჩერებოდა, მისთვის იმათ გარდა ქვეყნად სხვა აღარაფერი არსებობდა. ისინი ერთმანეთს აწყდებოდნენ, მიწაზე ეცემოდნენ, ზოგი დგებოდა, გარბოდა, ისევ იქცეოდა. ზოგი კი უძრავად იწვა. გულმოსაკლავად გაისმოდა ვიღაცის ყვირილი: „ძმებო, ნუ მიმატოვებთ, წამიყვანეთ!"

„ეს რა უბედურებაა, ეს რა ცოდვის კითხვაა? ყველას მოსპობენ ყველას ამოჟლეტენ!"

— წაიბუტბუტა კაპიტანმა ვაჩნაძემ და გაშმაგებული ტყვიამფრქვევისაკენ გაიქცა.

კვლავ გახრიალდა არემარე.

კვლავ დაიყეფა ტყვიამფრქვევმა.

ათი ნაბიჯითღა იყო გერმანელებს დაცილებული, კაპიტანმა ვაჩნაძემ რომ შესძახა:

— შეჩერდით, რას ჩადიხართ?

— მოღალატეებს ვხვრეტთ! — აშკარა თავხედობით მიუგო გერმანელმა ჯარისკაცმა. ესეც არ იკმარა, და ავდებით დაცინვით დაუმატა, — ცეცხლის შეწყვეტას ხომ არ გვიბრძანებთ, ბატონო კაპიტანო? — და მყისვე ზურგი შეაქცია, დამბაჩით შუშხუნა გაისროლა და ამხანაგებს მოუწოდა:

— დახცხეთ, დაჰკარით!

ტყვიამფრქვევმა ცეცხლი გადმოაფრქვია.

„არავის დაინდობენ, ყველას მოსპობენ"— შესძახა გულში ვაჩნაძემ და გაუელვა, ჩემთვის ტყვია რომ დაეშინათ, თანამემამულენი ხომ გამომექომაგებოდნენ, იქნებ მკერდითაც გადამფარებოდნენო, და ერთბაშად ჯიბიდან პისტოლეტი იძრო და ფეხზე მდგომ გერმანელს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტარით თავში ჩასცხო ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

„მომკლეს, მიშველეთ!„ — უმწეოდ აღმოხდა გერმანელს და უსულოდ გაიშხლართა.

ტყვიამფრქვევი ჰექდა, გვრგვინავდა, მისი ცეცხლის ალი გერმანელებს თვალს სჭრიდა, აბრმავებდა. თან ისე იყვნენ ლეგიონერების ხოცვით გართულნი, გაშმაგებულნი, ვერც ამხანაგის დაყვირება გაიგონეს, ვერც მისი წაქცევა შენიშნეს.

ირგვლივ ჩამობნელდა.

ტყვიამფრქვევი ჩაჩუმდა.

თხრილში მყოფმა გერმანელმა ბრაზით დაიყვირა:

— ერნსტ, ალარაფერი ჩანს, გაისროლე შუშხუნა!

— აჰა, მიირთვი, შენი დედა... — მიუგო კაპიტანმა ვაჩნაძემ და ტყვია დაახალა.

მეორე ჰიტლერელმა ტყვიამფრქვევის მისკენ შებრუნება მოასწრო და ცეცხლი გახსნა.

ვაჩნაძეს თითქოს მკერდზე შოლტი გადაუჭირეს. ჩახმახს ფეხი ველარ გამოუშალა, პისტოლეტი გაუვარდა, ორივე ხელის მტევანი წინ გაიშვირა, გეგონება პეშვით ცეცხლის შეკავებას ლამობსო, და მოჭრილ მუხასავით ნელა და მძიმედ ძირს დაეცა.

მეორე ასეულის ლეგიონერები იარაღახსნულნი იდგნენ სანგრებში.

ბარამიძეს ეგონა კაპიტანმა ჭიჭინაძემ მათი პოზიცია ბატალიონის თავმოსაყრელ ადგილად იმიტომ აირჩია, რომ ასეულში მხოლოდ ერთი გერმანელი მეკავშირე ჯარისკაციც იყო. სამი დღის წინ ასეულის მეთაური ობერლეიტენანტი შტაინმეიმი ბატალიონის შტაბში გამოიძახეს. როგორც ასეულში მობრუნებულმა ორდინარეცმა განაცხადა, ობერლეიტენანტი შტაინმეიმი სხვა ნაწილში გადაეყვანათ. მისი შემცვლელი ოფიცერი კი არ ჩანდა.

უფროს ლეიტენანტ ბარამიძის ბრძანებით შეთქმულებმა გერმანელებს ტელეფონის ხაზი გადაუჭრეს. მეკავშირე ჯარისკაცი ხაზის ალსადგენად აპირებდა წასვლას, მაგრამ არ გაუშვეს. განაიარალეს, ხელ-ფეხი გაუკრეს და მიწურში გამოამწყვდიეს. ლეგიონერებს მისთვის ანდერძის აგება უნდოდათ, მაგრამ ბარამიძემ ნება არ დართო, ბიჭებო, შევეშვათ, მუშის შვილია, ოცი წლისა, უცოლშვილო. რახანია ასეულშია და ჩვენთვის არაფერი დაუშავებია, უასბები ხომ არა ვართ, რომ ყელი გამოვღადროთ?

მეორე ასეულის ზღუდეზე მივიდნენ თუ არა, ჭიჭინაძემ ლეგიონერებს ჩასანგრება უბრძანა, რადგან სწორედ ამ დროს პირველ ასეულის პოზიციაზე ცაში შუშხუნა აიჭრა, სროლა ატყდა.

ჭიჭინაძემ და ბარამიძემ მიწურს შეაფარეს თავი.

— ვერ არის კარგი ამბავი. ამ შუაღამისას გერმანელებს ეს რა ჩოჩქოლი აუტყდათ, არემარეს ანათებენ, ვიღაცას ესვრიან! — თქვა დანაღვლიანებულმა ჭიჭინაძემ.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ბარამიძე, — იქნებ გერმანელებმა ჩვენი განზრახვა შეიტყვეს? მზვერავი ხომ არ გავგზავნოთ ამბის გასაგებად?

— არაა საჭირო. სანამ მზვერავი იქამდე მივა და უკან მობრუნდება, პირველი ასეულის ლეგიონერები აქ გაჩნდებიან!

მიწურში გუშაგი შევიდა და კაპიტან ჭიჭინაძეს მოახსენა, ზემდეგი ხარკაძე გკითხულობთო.

ზემდეგი აქ მომგვარეთო, ბრძანა კაპიტანმა ჭიჭინაძემ. გუშაგის გასვლის მერე კი თქვა:

— ხარკაძისათვის არაფერი შემიტყობინებია, როგორ გაიგო, რომ აქეთ წამოვედით, ან ახე ფეხდაფეხ როგორ მოგვყვა?

ბარამიძემ ჭიჭინაძეს ნათქვამი არაფრად ჩააგდო, ხარკაძეზე აუგს როგორ იფიქრებდა, როცა მას წესიერ, სანდო ადამიანად თვლიდა, ამიტომ ესღა თქვა, უოჩალი და ერთგული კაციაო.

ჭიჭინაძეს უნდოდა ეპასუხნა, ერთგულება არაფერ შუაშია, ის მაკვირვებს, უკან რატომ აგვედევნაო, მაგრამ ერთბაშად მიწურის კარი გაიღო და, იქვე გაჩერებულ ხარკაძეს, კოსერწაგრძელებული ყურს რომ უგდებდა, აშკარა სიძულვილით დაუყვირა:

— რას გაჩერებულხარ, შემოდი!

ხარკაძემ თავი იმ ბავშვივით მოიკატუნა, სასირცხვილო საქმეზე რომ წაასწრეს, მაგრამ

მიწურში შევიდა თუ არა, სიხარულით შესძახა:

— რაზან მოგაგენით, ახლა აღარა მიჭირს რა!

— კი, მაგრამ როგორ გაიგე, რომ აქეთ წამოვედით? — შეეკითხა ჭიჭინაძე.

— ამხანაგო კაპიტანო, ისე მეკითხებით, თითქოს ჩემი მოსვლა გწყენოდეთ?

—ამას არა აქვს მნიშვნელობა, კითხვაზე მიპასუხე!

— ასეული რომ სალაშქროდ ემზადებოდა, სამზარეულოს მუშა თავის ათეულის მიწურში ისვენებდა. ხვნეშით მოვარდა, ამხანაგო ზემდეგო, ასეულმა სანგრები მიატოვა და მეორე ასეულის პოზიციისაკენ გაემართაო, არ ვუჯერებდი, რას ამბობ, მე როგორ არ გამაფრთხილებდნენ-მეთქი... ის კი მარწმუნებდა, იფიცებოდა. კიდევ კარგი, ბოლოს დავუჯერე, თორემ ახლაც ტკბილად მეძინებოდა. დიახ, ამხანაგო კაპიტანო, რას მიბრძანებთ, ადგილზე დავრჩეთ, თუ ჩვენც აქეთ გადმოვინაცვლოთ?

„რატომ მალავს სამზარეულოში მარტეს ყოფნას", — ფიქრობდა ჭიჭინაძე და თანამოსაუბრეს წარბებშეჭმუხვნით უბღვეროდა, თუმცა მიწურში ბნელოდა და იცოდა, რომ ხარკაძე ამას ვერ ხედავდა.

— ჯერ ადგილზე იყავით, მერე ვნახოთ.— მიუგო შეყვიანებით ჭიჭინაძემ.

ხარკაძეს არ ესიამოვნა ჭიჭინაძის გულგრილი პასუხი, მაგრამ ეს არ შეიმჩნია და მიამიტურად თქვა:

— ამხანაგო კაპიტანო, წავალ, მზარეულს მაინც დავაჩქარებ, რომ დღეს დილით ადრე ვასაუზმოთ ასეული.

„არა, ხარკაძის გაშვება არ შეიძლება. მარტეს ამბავსაც რომ თავი დავანებოთ, პოზიციაზე ზონდერფიურერს გადაეყრება, აქედან მოხულს რომ ნახავენ, გერმანელები უთუოდ აქეთ გამოემართებიან. ტელეფონის ხაზს უკვე აღადგენდნენ, ან იქნებ რაცია აქვს წამოღებული და ჩვენს თავშეყრის ადგილს ლივაზიის შტაბში შეატყობინებენ, ავიაციას გამოუძახებენ, არტილერიის ცეცხლით დაგვესხმიან",— გაიფიქრა ჭიჭინაძემ და ხარკაძეს მკვახედ უთხრა:

— ჯერჯერობით აქ დარჩი. მალე ყველაფერი გაირკვევა და გეტყვი, როგორ მოიქცე, ახლა კი მიპასუხე, ამ ღამით რას დაბორიალობდა ლეიტენანტი მარტე სამზარეულოში?

ხარკაძემ იცოდა, პოზიციაზე მდგარ გუშაგებს არ გამოეპარებოდათ, შუაღამისას ლეიტენანტი მარტე ორდენარეცთან ერთად სამზარეულოსაკენ რომ წავიდა. ამას კი კაპიტან ჭიჭინაძეს აუცილებლივ მოახსენებდნენ. ამიტომ უკვე იცოდა, რაც უნდა ეპასუხა და მაშინვე მიუგო:

— ლეიტენანტმა მარტემ სამზარეულოს ვვერდით ჩაუარა, გადამღობი ტყვიამფრქვევისაკენ მიდიოდა. მზარეულმა დაინახა მარტე, მე კი ამ დროს მიწურში მეძინა.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ ხარკაძის პასუხი დაიჯერა, მაგრამ გაახსენდა, რომ მეტყვიამფრქვევეებთან ტელეფონის ხაზი გადაჭრილი იყო. ეტყობა მარტეს მათი გაფრთხილება უნდოდა; ჭიჭინაძე მაინც შეეკითხა ხარკაძეს:

— მარტე ხომ თქვენთან ცოტა ადრეც იყო, რა უნდოდა?

ხარკაძემ ამ კითხვაზე სწრაფად უპასუხა:

— იყო, მზარეულს ლორი შეაწვევინა და გვიან იგახშმა.

— შემწვარი ლორი შენ კი არ შემოგთავაზა?

— არა, მე თავი ავარიდე. მზარეულისათვის კი გემო გაუსინჯებია.

— მზარეულისათვის რომ გაგემხილა, ამაღამ ჩვენებთან გადასვლას ვაპირებთო, გამოგყვებოდა?

ამ კითხვას კი ხარკაძე არ ელოდა, დაიბნა, არ იცოდა რა ეპასუხნა.

იმას კი მიხვდა — ჭიჭინაძემ მზარეულზე ეჭვი მიიტანაო, ამიტომ ესლა თქვა:

— თუ უარს იტყოდა, ასო-ასო ავქნიდი. თუ მიბრძანებთ, ამის გაგება არაა ძნელი.

— შე კაი კაცო, რა დროს ესაა. მალე ფრონტს გადავლახავთ, — უთხრა უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ, აქამდე რომ გაჩუმებული იდგა და ვერ მიმხვდარიყო, კაპიტანი ჭიჭინაძე რატომ უწყობდა ასეთ გამოკითხვას.

— რას ამბობთ, ეს რა სასიხარულო ამბავი მითხარით! — აღტაცებით თქვა ხარკაძემ და სიხარულის ნიშნად თითები გაატკაცუნა, — ეჰ, ნეტავი, მცოდნოდა, რომ ჩემი ხალხიც წამომეყვანა.

ამ დროს გუშაგმა მიწურის კარი შეაღო და ჭიჭინაძეს მოახსენა:

— ამხანაგო კაპიტანო, ლეიტენანტმა ქორიძემ ლეგიონერთა ჯგუფი მოიყვანა.

— ლეიტენანტი ქორიძე შემოვიდეს! — ბრძანა კაპიტანმა ჭიჭინაძემ და ხარკაძეს მიუბრუნდა, — ამხანაგო ზემდეგო, გნიშნავ შუშხუნების მსროლელად. — ჩანთიდან ღამბაჩა, ვაზნები ამოიღო და ხარკაძეს გაუწოდა, — წითელი შუშხუნებია, ჩვენ მხოლოდ ასეთი დაგვჭირდება. გამომართვი.

— არის, ამხანაგო კაპიტანო! — მიუგო ხარკაძემ, ღამბაჩა ქამარში გაირჭო, ვაზნები ჯიბეში ჩაილაგა, გულში კი თქვა, ამით უნდა დამაბას, გაქცევის შესაძლებლობა მომისპოსო.

ლეიტენანტმა ქორიძემ ჭიჭინაძეს მოახსენა:

—ამხანაგო კაპიტანო, სანგრებიდან წამოსვლისთანავე... 

— მეგობრებო, დრო აღარ ითმენს, გერმანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები მალე აქ გაჩნდებიან. მომყევით! — ბრძანა ჭიჭინაძემ და მიწურიდან გავიდა.

ბარამიძე და ქორიძე ფეხდაფეხ უკან გაჰყვნენ.

ხარკაძემ თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ისიც იმათ აედევნა, მაგრამ კარებთან შეჩერდა, გარეთ გახულების ფეხის ხმა რომ მიწყდა, მიწურის კარი მჭიდროდ მიხურა და ტელეფონს ეცა. ხაზი გადაჭრილი იყო, ყურმილში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— ზემდეგო, მანდ რაღას უზიხარ, გამოდი! — მიწურში ჩასძახა უკან მობრუნებულმა უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ღამბაჩა შევამოწმე, მოვდივარ! — მიუგო ხარკაძემ და მიწურის კიბე ორი სალტეხურის გამოტოვებით აირბინა.

სურამელი და ვარდიაშვილი ბორცვზე ხოხვით აცოცდნენ და ისეთ ადგილზე ჩასაფრდნენ, რომ მტრის ორივე ტყვიამფრქვევი მათგან მიახლოებით თანაბარ მანძილზე იყო დაცილებული.

ბორცვზე ლოდები ეყარა. ირგვლივ ქვალორღი, ნაშალი გაბნეულიყო.

მარცხენა მხარეს გერმანელი მეტყვიამფრქვეები მიყუჟულიყვნენ, კრინტს არ სძრავდნენ.

მეორე ასეულის ზურგიდან გადმოტანილი ტყვიამფრქვევი მარჯვნით იდგა. გერმანელ ჯარისკაცებს ის იყო დაემთავრებინათ სანგრის გათხრა და ახლა პაპიროსს ეწეოდნენ, მუსაიფობდნენ. იმათი ხმა ლეგიონერების ყურამდე აღწევდა.

— ეჰ, ნეტავი გერმანული მაინც გვცოდნოდა? — წასჩურჩულა ამხანაგს სურამელმა.

— ბარემ კარგი იყო, გვცოდნოდა, მაგრამ რახან არ ვიცით, არა უშავს რა, შევეღლევით! — ჩურჩულითვე მიუგო ვარდიაშვილმა.

— ახე რომ ვილაპარაკოთ, ყველაფერსაც შევეღლევით!

— ყველაფრის რა მოგახსენო, მაგრამ უცხოენის უცოდინარობით, მგონი არ დავიკარგებით. გინდა გითხრა, ახლა რას ლაპარაკობენ ეგ ქეციანი ფრიცები?

სურამელმა ჩუმად ჩაიცინა:

— შენ რა, გულთმისანი ხომ არ ხარ? აბა, თუ ბიჭი ხარ, მითხარი?

ვარდიაშვილი ერთხანს მეტყვიამფრქვევეებს დაძაბული ყურადღებით უსმენდა, მერე წაილაპარაკე, გახაგებიაო, და ისე დარწმუნებით განაცხადა, ეჭვიც არ შეეპარებოდათ მისი ნათქვამის სისწორეში:

— ორი ფრიცი ლაძინებას აპირებდა და მეხამეს აფრთხილებენ, ფხიზლად იყავი, ძილმა თავი არ წაგართვას, თორემ ჩვენც სატუსაღში ჩაგვყრიო და თავსაც დაილუპავო.

სურამელმა ვარდიაშვილის ნათქვამი ირწმუნა და წასჩურჩულა:

—ყოჩაღ, ძმაო, ორმა მგონი მართლა დაიძინა, სანგარში ერთიღა ყელყელაობს.

და ერთბაშად მათ ზურგსუკან ქვე-ღორღი აჩხრიალდა, ლოდებ შუა ლანდი გამოჩნდა.

— ეს ვიღა ოხერ-ტიალია! — წაიბუტბუტა ვარდიაშვილმა.

— გერმანელია. ეს მამაცხონებული ისე ნებივრად მოაბიჯებს, თითქოს მამაპაპისეულ მამულში დასეირნობდეს, — მიუგო სურამელმა.

— ბუჩქებში ხომ არ გავხოხდეთ?

— ჩუმად, არ გაინძრე, ვერ შეგვნიშნავს.

გერმანელმა გვერდით ჩაუარა, მათკენ არც გაუხედავს. ჯერ ერთ ტყვიამფრქვევთან მივიდა, მერე მეორესთან და ჯარისკაცებს რაღაც უთხრა.

— რას ეუბნება? — ისე შეეკითხა სურამელი, თითქოს ვარდიაშვილს მათი არც ერთი სიტყვა გაუგებარი არ დარჩენოდეს.

იმანაც შეიფერა და მიუგო:

— აფრთხილებს, ცეცხლის გასახსნელად მზად იყავით, ლეგიონერთა თავმოყრის ადგილს შუშხუნით მიგანიშნებთო!

— უყურე, ამ ძაღლისშვილებს!

ჩამოვარდნილ დუმილში ორივე ტყვიამფრქვევი ქვემეხივით აგრუხუნდა.

მანათობელი ტყვიები ერთმანეთს უსწრებდნენ და სადღაც „კუზიან მთის“ ძირას, წყვდიადში უჩინარდებოდნენ.

— ავტომატის ცეცხლით ვერაფერს დავაკლებთ. ხელყუმბარით უნდა ჩავაჩუმოთ! უთხრა სურამელმა ამხანაგს.

ვარდიაშვილმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თან ხელით ანიშნა, მე მარჯვენა ტყვიამფრქვევს მივეპარები, შენ მეორეს მოულე ბოლოო.

სურამელი სუნთქვაშეკრული მიხოხავდა ნაშალზე, ერთხანს შეყოყმანდა, რადგან გერმანელებმა ტყვიამფრქვევის დაცარიელებული დისკო გამოცვალეს და უმალ სროლა განაახლეს.

სანგარს ათ-თორმეტ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, შეჩერდა. გერმანელი შიკრიკი მიწაყრილზე იჯდა. მისკენ არ იხედებოდა, მაგრამ საშიში იყო ღორღის ჩხრიალი არ გაეგონა.

უცებ ხელმარცხნივ, პირველი ტყვიამფრქვევთან ორჯერ ზედიზედ ხელყუმბარა აფეთქდა.

სურამელმაც ხელყუმბარა მაშინვე ესროლა გერმანელებს. ავარდნილი ცეცხლისაგან თვალთ დაუბნელდა, ყურის ძირში ფოლადის ნამსხვრევებმა გაუზუილეს.

სურამელმა მყისვე მეორე ყუმბარაც მიაყოლა და მიწას გაეკრა.

უცებ სიბნელეში თვალი შეასწრო სანგრი-

დან ამომხტარ ლანდს, დაღმართზე ქვასავით რომ დაგორდა. ზურგში უმალ ცეცხლი დაადევნა, მაგრამ გაქცეული წყვდიადმა შეიფარა.

სურამელი სმენად იქცა, გაფართოებული თვალებით აქეთ-იქით იხედებოდა, პირველი ტყვიამფრქვევის სანგრიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მეორე ტყვიამფრქვევთანაც დუმდნენ გერმანელები. პირველი სანგრის შორიახლოს ვიღაცა გმინავდა. მერე ვარდიაშვილის ოხვრა გაიგონა.

„საცოდავი, ეტყობა მძიმედ დაიჭრა!" — გაიფიქრა სურამელმა და მისკენ გაცოცდა.

ლოდები ჩასაფრებული ჯარისკაცები ეგონა.

ვარდიაშვილი მწარედ, გულსაკლავად კვნესოდა.

სანგართან მოკლული გერმანელი ჯარისკაცი პირქვე ეგდო. განზე გაშლილ ხელში ავტომატი ჩაებღუჯა, პირისახე ნაშალში წაეყო.

სამარედქცეულ თხრილში, ყირამალა ჩამხობილი მეორე გერმანელს ფეხები მარგილებივით ამოეშვირა.

შეყირავებული ტყვიამფრქვევების ლულაც ცისკენ აღმართულიყო.

სურამელი ამხანაგთან მიხოხდა.

იგი გულაღმა იწვა, ფარაჯის ღილები გაეხსნა, ხალათის საყელო გაეღეღა, ხელს მკერდზე ისვამდა.

— ნუ გეშინია, გამაგრდი! — ჩასძახა სურამელმა.

— ეე, ვკვდები. — აღმოხდა ვარდიაშვილს, მცირე ხანს იყუჩა, ბოლოს ხელები მკერდსა და ყელზე მოიფათურა, თითქოს სულთამხუთავის თავიდან მოცილება უნდაო, ერთი საშინლად ამოიგმინა, ვახმეო, და კაცი გათავდა.

„რა იქნა შიკრიკი, რატომ იგვიანებს?" — წარამარა ეკითხებოდა ზონდერფიურერი ზალუპი ლეიტენანტ მარტეს და გულმოსული ღუმელს ფეხს ურტყამდა, თითქოს ჯავრს ამაზე იყრიდა.

ლეიტენანტი მარტე მხრებს იჩეჩავდა, მართლაც, რა იქნა, სად დაიკარგაო; როგორი ნელი ნაბიჯითაც არ უნდა ევლო, აქამდე უნდა დაბრუნებულიყო, ხომ არაფერი შეემთხვა, ამ ტიალ მთებში ყოველ ნაბიჯზე ხიფათს უნდა ელოდო...

ბორცვზე რომ სროლა ატყდა, ზონდერფიურერმა ზალუპმა აღტაცებით შესძახა — ესეც მოღალატეებს, გაგვექცნენ, მაგრამ ტყვიას სად წაუვლენო, და მყისვე გარეთ გავარდა.

ლეიტენანტი მარტე მაშინვე უკან გაჰყვა? ისინი თვალს აყოლებდნენ „აქლემის კუზისკენ" გაფრენილ ცეცხლის მრავალ წერტილებს. გახარებული ზონდერფიურერი მთიბავივით ხელებს იქნევდა, თითქოს გაქცეულ ლეგიონერებს პასრი ცელით თავებს სჭრიდა.

ლეიტენანტი მარტე კი ჩექმის ქუსლს ღონივრად ურტყამდა მიწას, ვითომ, ეგეც მაგათაო.

ბორცვზე რომ ყუმბარები აფეთქდა, ორივე გაშრა, სახტად დარჩა, რის ვაივაგლახით სული მოითქვეს, მაგრამ ერთხანს ენაჩავარდნილები იდგნენ, კრინტს არ ხძრავდნენ.

— ავირიე, ჭკუაზე აღარა ვარ. ეს რა ხდება?! — იკითხა გაოგნებულმა ზალუპმა.

— მგონი ხელყუმბარები ისროლეს, ბატონო ზონდერფიურერო.

— ვინ ისროლა?

— ალბათ მოღალატე ყაჩაღებმა!

— როგორ, მეტყვიამფრქვევეებს ესროლეს? იქ საიდანღა გაჩნდნენ, არამზადები!

გადარჩენილი გერმანელი ფრთხილად, ქურდულად მოიპარებოდა ასეულის პოზიციისაკენ.

— შესდექი, ვინ მოდის? — შესძახა გუშაგმა.

— მეტყვიამფრქვევე ვარ. — მიუგო აკანკალებული ხმით ჯარისკაცმა.

— მერე რა ფეხს ითრევ, სირბილით! — დაუყვირა ზონდერფიურერმა.

ჯარისკაცმა ქაქანით მიირბინა ოფიცრებთან.

— რაშია საქმე, რა მოხდა? — შეეკითხა ზალუპი.

— ბატონო ზონდერფიურერო, მოგვეპარნენ, ხელყუმბარებით ამოგვხოცეს, — ხრინწიანი, სასომიხდილი ხმით წაილუღლუღა ჯარისკაცმა, კურდღელივით რომ ძაგძაგებდა.

ზონდერფიურერმა მეტყვიამფრქვევეს უბრძანა, ამხანაგებს გვერდით სანგარში ჩასაფრებულიყო, მერე კი ლეიტენანტი მარტე გაიცალკევა:

— ეტყობა მეორე ასეულშიც რაღაც ამბავია, თორემ ხარკამე ასე არ დაიკარგებოდა.

— იქნებ იმანაც გვიმტყუნა? — მორიდებით თქვა ლეიტენანტმა მარტემ.

— არა ეს შეუძლებელია.

გუშაგმა ჯარისკაცმა, ბორცვის მხარეს რომ უთვალთვალებდა, ხმელ ბუჩქებში მათკენ მომავალ ლანდს შეასწრო თვალი და მყისვე ეფრეიტორს აცნობა. ამ უკანასკნელმა ოფიცრებს მოახსენა, ბორცვიდან პოზიციისკენ ვიღაცა მოიპარებაო.

— ალბათ ეს ერთი იმათგანია, ვინც მეტყვიამფრქვევეებს შეებრძოლა. უნდა გარს შემოვერტყათ და, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ცოცხლად ჩავიგდოთ ხელში, მისგან ბევრ რამეს შევიტყობთ! — ბრძანა ზალუპმა და მარტესთან ერთად ისიც სანგარში ჩაზაფრდა.

ზონდერფიურერი არ შემცდარა.

ეს ზაქრო სურამელი იყო. ასეული აქ აღარ ეგულებოდა, ამიტომ ფრთხილობდა. ორგულივ გამეფებული სიჩუმე გულზე მძიმე ლოდად აწვა, წინაგრძნობა ავს შთააგონებდა.

მეორე რიგის თხრილიდან ოციოდე ნაბიჯზე შეჩერდა.

საოცარია, პოზიციაზე კაცის ჭაჭანება არ არის, იმას კი ისე ეჩვენება, თითქოს ვილაცეები სანგარში ჩასაფრებიან.

ძლივს მოასწრო ამის გაფიქრება, რომ ზურგისაკენ თვალი შეასწრო ორ ლანდს, წაკუზულები რომ ეპარებოდნენ.

ვითომ არც შეუნიშნავს, ოდნავ გვერდზე შებრუნდა და განაგრძო გზა. ნელ-ნელა პირი პოზიციის მარჯვნივ ჩაზავებულ ტყისაკენქნა. ხუთიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, ბუჩქებში ჩასაფრებული კაცი დაინახა. იმისგანაც ნელ-ნელა შებრუნდა და პოზიციისკენ დაეშვა.

მეორე რიგის თხრილს რომ მიუახლოვდა, ზონდერფიურერმა რუსულად დაუძახა:

— შესდექ, ვინ მოდის?

— ლეგიონერი სურამელი ვარ! — უმალ მიუგო და თავისმა მშვიდმა ხმამ დააწყნარა, გაამხნევა.

— იარაღი დაყარე, ხელები მაღლა! — ბრძანა ზონდერფიურერმა.

„რაკი განიარაღება განუზრახავს, მაშასადამე, არ მენდობა, ურჩობას თუ გავწევ, სულსაც გამაფრთხობინებს!“ — და მშვიდად მიუგო:

— ბატონო ზონდერფიურერო, ვერ მიცანით, სურამელი ვარ!

ზალუპი გაიოცა ლეგიონერის სიმშვიდემ, ამას რომ მეტყვიამფრქვევეებთან შეტაკებაში მიელო მონაწილეობა, ასე აუღელვებლად ვერ ილაპარაკებდაო.

დღე რომ ყოფილიყო, ზონდერფიურერი მშვენივრად დაინახავდა, თუ როგორ ფითრთოდა სურამელს სახის ნაკვთები. არც იმის გაგება გაუძნელდებოდა, თუ რა ძვირად უჯდებოდა ეს სიმშვიდე.

— მერე, რას გაჩერებულხარ, ახლო მოდი, — თქვა ლმობიერად ზონდერფიურერმა, მაგრამ მის ხმაში სიყალბე, ფარისევლობა გამოსჭვიოდა.

„მიტყუება უნდა!“ — ფიქრობდა სურამელი და ადგილიდან არ იძროდა.

ზონდერფიურერმა კიდევ უფრო დაიშაქრა ენა:

— მოდი, მოდი, რას გაჩერებულხარ!

სურამელმა უცებ მოისაზრა, ალბათ ბორცვიდან გამოქცეულმა მეტყვიამფრქვევემ ზონდერფიურერს მოახსენა რაც მოხდა, ამიტომაც ფრთხილობს, სანგრიდან თავს ვერა ჰყოფსო, და უცებ ისიც წარმოიდგინა, გერმანელები ხელში თუ ჩაიგდებდნენ, შავ დღეს დააყრიდნენ, ჯვარს აცმევდნენ. მორჩა, აქედან ცოცხალი თავს ველარ დააღწევს. თუ სიკვდილი უწერია, მაშ ვაჟკაცურად მაინც მოკვდეს. და რამდენადაც შეიძლებოდა, მალულად მოიმარჯვა ავტომატი და უშიშრად წინ გაემართა.

სანგრამდე ათიოდე ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, რომ შეჩერდა, ზონდერფიურერს ხელში პისტოლეტი ეჭირა, მის გვერდზე მდგომ ვერმანელებს ავტომატები შეემართათ.

— იარაღი დაყარე და ახლო მოდი! — ამჯერად მკაცრად უბრძანა ზალუპმა.

„ჰგონია, ვამაცურა, მომატყუა“ — გაიფიქრა სურამელმა და მიუგო:

— აჰა, მოვედი! — და მისი მშვიდი ხმა ერთბაშად ავტომატის გრძელმა ჯერმა დაფარა.

— ცეცხლი! — დაიყვირა ზონდერფიურერმა და ხელი მკერდზე იტაცა. სურამელმაც ხელი მკერდზე იტაცა, თვალთ დაუბნელდა, თუმცა იმის დანახვა კი მოასწრო, როგორ ჩაიჩეხა სანგარში ტყვიით მკერდდაცხრილული ზალუპი.

„ზალუპი ხომ წინ გავიმძღვარე!“ — გულში შესძახა სურამელმა. თითქოს ფეხი რაღაცას წამოსდო, წაბორძიკდა, ხელი დაფნის ბუჩქის მსხვილ ღეროს ჩაავლო და მხოლოდ რამდენიმე წამით შეიმაგრა თავი მერე კი მუხლი მოეკვეთა, ბუჩქის ძირას გულაღმა გადავარდა და საკუთარი ხელით გასხვეპილი ფოთლები ზედ გადაეყარა.

თოვლჭყაპმა გადაიღო.

ცივი ქარი ისევ ზუზუნებდა.

უკუნი ღამე იყო. აქა-იქ ვასროლილ შუშხუნას უჭირდა ბნელში შეჭრა. არემარე ოდნავ, მკრთალად ნათდებოდა.

სალაშქროდ გამზადებული ლეგიონერები, ფარაჯის კალთები რომ აეკეცათ, ჯგუფად იდგნენ ბუჩქებში.

ეს წუთები, ლოდინის წუთები, ყველაზე მძიმე იყო. არ იცოდნენ საით წაიყვანდა ქიქინაძე ბატალიონს.

ზოგი ამბობდა, მარჯვნივ, ტყის პირას ბუჩქებს გავყვებით, ოფიცერთა საჯარიმო ასეულის სანგრებს ჩავუვლით და ტყეს შევერევით. გერმანელებმა კიდევაც რომ სროლა აგვიტეხონ, ვერაფერს დაგვაკლებენ, ტყე და სიბნელე დაგვიფარავსო.

არა, ეს გზა სახიფათოა, პასუხობდნენ მეორენი, უმჯობესია, პირდაპირ ფერდობზე დავეშვათ და ორ მთას შუა, ტაშირზე გავიჭრათ, აქედან უფრო ახლოა წითელი არმიის პოზიციებიო.

არავინ იცოდა, ნეიტრალურ ზონას ერთდროულად გადაირბენდნენ, თუ ნაწილ-ნაწილად დაიწყებდნენ ვადასვლას.

ერთი ლეგიონერი ამხანაგებს არწმუნებდა, ვითომ ოპერაციის დაწყება იძიტომ გვიანდება, წითელი არმიის სარდლობა არ ვვენდობა, უარს ამბობენ. ფრონტის გახსნაზეო.

რომელიღაც ლეგიონერი კი ამტკიცებდა, კაპიტანმა ქიქინაძემ ეს ყველაფერი ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის ასახვევად მოაწყო, აი ნახავთ, გამოვა და იტყვის, ჩვენს პირდაპირ მდგარ დივიზიის მეთაურთან კავშირი დავამყარე, ყველაფერი ვილონე, მაგრამ რა ვქნა, ძნელდება, არ ხერხდება გადარბენაო.

მიწურიდან გამოსულმა ჭიჭინაძემ გარკვევით გაიგონა მოლაუბის სიტყვები, თავი შეიკავა და დაუყვირა:

— შენ, ეი, რას ბოდიალობ, რომ ბოდიალობ. მითხარი, რომელი ხარ?

მოლაუბე დუმდა, თავის გვარს არ ასახელებდა.

— რა ენა ჩაგივარდა? თუ მართალი ხარ, წინ წამოდი, სთქვი, საიდან დაგებადა ეს სულელური აზრი?

ლეგიონერები აჩოჩქოლდნენ, ურწმუნო თომას უკიჟინებდნენ, რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღეო, მაგრამ ის მაინც დუმდა, წინ არ გადიოდა.

— ძმებო, მეგობრებო, ვიღაცაა, შეეშვით, ახლა მაგასთან სადავოდ როდი გვცალია, — მიმართა ამხანაგებს ჭიჭინაძემ.

უეცრად ზედიზედ ორი წითელი შუშხუნა ცაში აიჭრა.

მყისვე საბჭოთა არმიის პოზიციის თავზე ბნელი ცა წითელი ელნათურებით განათდა.

გაისმა ჭიჭინაძის მჭექარე შეძახილი:

— ამხანაგებო, დაჰკრა ჟამმა, რასაც რახანია სასოებითა და გულისფანცქალით ველოდით. დღეს ჩვენ მარტო სამშობლოს ერთგულება კი არა, ქართველი ხალხის საბჭოთა ერებისადმი ძმობა, ულალატობა უნდა დავამტკიცოთ. ყველაფერს ეშველება, ერის ღირსების შებღალვას კი არა. მძიმეა მდგომარეობა, ადვილი როდია ჩვენებთან გაღწევა. კიდევაც რომ ბედმა გვიმტყუნოს, სამარცხვინო ლაქას მაინც ჩამოვირეცხავთ, და ჩვენი შვილები, ცოლები, მშობლები, თავჩაღუნული არ ივლიან საქართველოში. მაშ, ძმებო, იმედითა და რწმენით გავწიოთ წინ - წითელი არმიისაკენ, მომყევით!

ბატალიონი დაიძრა, არა, კი არ დაიძრა, ზვავივით მოსწყდა ზღუდეს, ფერდობზე დაქანდა.

ის იყო მოწინავეებმა გზას მიაღწიეს, რომ მეორე ასეულის ზღუდის უკან აღმართულ ბორცვებიდან ერთბაშად ტყვიამფრქვევებმა დაიკაკანეს. ლეგიონერებს ცეცხლს უშენდა ოფიცერთა საჯარიმო ასეული, გამყიდველი ბუხარელის დასმენის წყალობით გერმანელებმა შეთქმულთა დასასჯელად წინა ხაზზე რომ გადმოისროლეს.

ლეგიონერები მთის ძირას, ბუჩქებში შეცვივდნენ, მიწას გაეკრნენ.

გერმანელების მხრიდან ქვემეხებმა დაიგრუხუნეს. ჭურვები იმ ბუჩქებში აფეთქდნენ, ბატალიონი რომ თავს აფარებდა.

წითელი არმიის ზურგშიც აგრიალდნენ ქვემეხები, რამაც ლეგიონერებს გაამხნევა, იმედი, რწმენა ჩაუნერგა...

ხარკაძე, სროლა შენელდა თუ არა, ხოხვით ამხანაგებს განერიდა, ნაყუმბარევ ორმოში ჩახტა. გაგონილი ჰქონდა, იქ, სადაც ყუმბარა აფეთქდება, მეორე აღარ დაეცემაო. ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, საველე ჩანთა მარცხენა ხელისგულზე დაიფარა და ხელში ტყვია ისროლა. მერე ჭრილობაზე ბინტი დაიხვია, საველე ჩანთა შორს ისროლა, ორმოდან ამოხტა წაკუზული უკან გაიქცა, მეორე ასეულის პოზიციისაკენ.

— ზემდეგო, შეჩერდი, სად გარბიხარ! — დაუძახა ჭიჭინაძემ.

— დავიჭერი, ამხანაგო კაპიტანო, პოზიციაზე მივდივარ დახმარების მისაღებად! — მოუგო ხარკაძემ.

— იქ აღარავინაა, ხელს ვინ შეგიხვევს, — და ჭიჭინაძემ გაიფიქრა, დაჭრილი ხომ იბნევა, გონება არეული რას აკეთებს და რას არა, ვეღარ ზომავსო.

— ბატალიონის სანიტარულ ნაწილში წავალ, — თავისას გაიძახოდა მოღალატე.

— სანიტარულ ნაწილამდე სამი კილომეტრია, წითელი არმიის პოზიციამდე კა სამასი მეტრი, — და ჭიჭინაძემ ბუჩქებში გაწოლილ ლეგიონერებს მოუწოდა:

— ძმებო, მიწაზე წოლა ხელს არ მოგვცემს, გერმანელები ერთნაირად ამოგვხოცავენ. ხსნა მხოლოდ წინსვლაშია. მაშ, უშიშრად, გაბედულად, წინ! — და ჭიჭინაძე ტყვიის წვიმაში გაიჭრა.

ლეგიონერები წამოიშალნენ და კაპიტანს გაჰყვნენ.

— ზემდეგო, რაღას უდგეხარ? სირბილით! — დაუყვირა ხარკაძეს უფროსმა ლეიტენანტმა ბარამიძემ.

„რა უნდათ, რას ჩამაცივდნენ!“ — ფიქრობდა ხარკაძე და ლეგიონერებს სირბილით უკან მისდევდა.

ქვემეხების გრიალითა და ჭურვების აფეთქებით ავარდნილი ცეცხლის ალი განთიადის ციაგივით აელვარებდა ცას და სირბილით მიმავალ ლეგიონერებს გზას უნათებდა...

მთის ძირას გამავალ ბილიკს დამფრთხალ რემასავით მიაწყდა ადამიანთა რიგები.

ცეცხლმა იმატა...

დაჭრილები ამხანაგებს ფეხებში ხელს ავლებდნენ, ეკონწიალებოდნენ.

ვიღაცამ დაიყვირა, უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე მძიმედ დაიჭრაო...

ჭიჭინაძემ იცოდა ახეთ ალიაქოთსა და არეულობაში ყველა იმას ცდილობს, ცეცხლს თავი გააღწიოს, უვნებელი გადარჩეს. უნდოდა შეჩერებულიყო, უფროს ლეიტენანტ ბარამიძეს დახმარებოდა, მაგრამ ეს ადვილი როდა

იყო: ადამიანთა ნიაღვარი მიაქანებდა თან გულში გაურბინა, მე ბატალიონს მივუძღვი წინ, მეთაური ვარ და არ მაქვს უფლება ლეგიონერებს უკან ჩამოვრჩეო.

ამით კი იმართლებდა თავს, მაგრამ სინდისი მაინც ქენჯნიდა, დარდად აწვა, ბარამიძისთვის ხელი უნდა გამეწოდებინა, დავხმარებოდიო.

უფროს ლეიტენანტის დაჭრის ამბავმა ხარკაძეს სიხარული მოჰგვარა, სირბილს უკლო, ის იყო გზიდან ბუჩქებში უნდა გადამხტარიყო, რომ ლეიტენანტმა ქორიძემ დაუყვირა, ხარკაძე, წინ, ცეცხლს სად დაემალები, ცოტაც და სამშვიდობოზე გავალთო.

ეტყობა თვალყურს ადევნებენ, უნდა გაფრთხილდეს, თორემ ტყვიას კეფაში მიაჭედავენ. თავზე ხელს არც გერმანელები გადაუსვამენ, შეთქმულთა ამბავი დროზე რომ არ შეატყობინა. ვინ იცის, იქნებ გერმანელებმა სიცოცხლესაც გამოასალმონ. ისევ აქ ურჩევნია. რაც არ უნდა მოხდეს, სამხედრო ტრიბუნალმა ლეგიონერები კიდევაც რომ გაასამართლოს, ამოდენა ხალხს სიკვდილს მაინც არ მიუსჯიან. ბევრი, ბევრი ხაჯარიმო ასეულში უკრან თავი.

და ხარკაძე ადამიანთა ტალღას გაჰყვა.

სიბნელეში წითელი არმიის სანგრების მიწაყრილი ბუნდოვნად გამოიკვეთა. ლეგიონერებმა თხრილებში მდგომი მეომრები გაარჩიეს, ხელს რომ უქნევდნენ და მოუწოდებდნენ, მარჯვედ, ბიჭებო, მარჯვედო! მიზნის სიახლოვე, თანამოძმეთა შეძახილები ლეგიონერებს ძალას, მხნეობას მატებდა, და ფინიშთან მიახლოვებულ მორბენლებივით უფრო სწრაფად წინ მიილტვოდნენ, ხელებგაშლილი ხტებოდნენ სანგრებში და წითელი არმიის მებრძოლებს ახლობლებივით ეხვეოდნენ, მკერდში იკრავდნენ, ჰკოცნიდნენ.

ამასობაში გათენდა.

წითელი არმიის მხარეზე გადმოხულთა შორის იყვნენ: კაპიტანი ჭიჭინაძე, ლეიტენანტები ქორიძე, კახიძე. ზემდეგი ხარკაძე, ლეგიონერები: გოგიძე, ღურჭუმელიძე, ჩხაიძე, ხიხაძე, წურწუმია, გიგაური, თხილაიშვილი, კვირიკაშვილი, ციხაშვილი, ურემაძე... სულ ოთხმოცდათექვსმეტი კაცი.

სანიტრებმა დაჭრილებს იარები შეუხვიეს და ზურგში გაგზავნეს.

ხარკაძესაც შეუხვიეს ჭრილობა, სანბატში წასვლა შესთავაზეს, მაგრამ იუარა, არ მტკივა, მალე შემიხორცდება, წინა ხაზზე დავრჩებიო.

— რატომ არ თანხმდები, წადი, იქ უფრო მალე განიკურნები! — უთხრა კაპიტანმა ჭიჭინაძემ.

— რა ვიცი, აბა,.. — წაილაპარაკა ხარკაძემ და მყისვე დაუმატა, — ამხანაგო კაპიტანო, არ მინდა ჩამოგცილდეთ, ჰოსპიტლიდან სხვა ნაწილში გამგზავნიან.

— ნუ გეშინია, გამარჯვების შემდეგ მაინც შევხვდებით ერთმანეთს, — და კაპიტანმა მაგრად ჩამოართვა ხელი, გზა დაულოცა.

ზემდეგის გასტუმრების უმალ ჭიჭინაძესთან სანიტარი მივიდა:

— ამხანაგო უფროსო, შეიძლება მოგახსენოთ?

— ბრძანეთ! — ნება დართო ჭიჭინაძემ.

— არ დამძრახოთ, ზემდეგის თანდასწრებით რომ ვერ გითხარით, ეჭქრით თავს ვიტეხ და ვერ ამიხსნია.

— გამაგებინე. რის თქმა გინდა?

— დიახ, ამხანაგო კაპიტანო, ვერ გამიგია, რამ აიძულა ზემდეგი, რომ ხელში ტყვია ისროლა?

— როგორ თუ ისროლა?

— სულ უბრალოდ... ხელი პისტოლეტით, ან თოფით დაიჭრა.

— რაღაც არ მჯერა.

— ამხანაგო კაპიტანო, აი ნახავთ, ვინც არ უნდა გასინჯოს, ყველა ამას იტყვის.

გრიგოლ ბარამიძე მთის ძირას, ხევის პირზე პირქვე ეგდო სისხლში ამოსვრილი, სასომიხდილი, ნახევრად გონდაკარგული.

ქარი მინელებულიყო, მაგრამ დრო და დრო მძლავრად წამოუბერავდა, თან ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდოდა ხოლმე, გეგონებოდა საცაა წარღვნა დაიწყებაო.

ბარამიძე მკერდის არეში მწვავე ტკივილს გრძნობდა, თითქოს შიგნეულს აგლეჯდნენ, ნეკნებს უნაკუწებდნენ. უნდოდა ეყვირა, ამხანაგები მოეხმო, დახმარება ეთხოვა, მაგრამ გამახვილებული გუმანით გრძნობდა, რომ ისინი შორს იყვნენ, ხმას ვერ მიაწვდენდა.

დაჭრილი ლეგიონერები, მის გარშემო რომ ეყარნენ, სიკვდილს ებრძოდნენ. ბარამიძეს გული მათკენ მიუწევდა. სცადა კიდეც გაცოცება, მაგრამ მთელ სხეულში საშინელმა ტკივილმა დაუარა. ძალაც არ ეყო. ერთი-ორჯერ მათი სიტყვით გამხნევებაც სცადა, მაგრამ პირს ვერ აღებდა, ვერც გამშრალ სასაზე მიწებებულ ენას აბრუნებდა.

მისი ვარაუდით მალე უნდა გათენებულიყო. თვალებს ფართოდ ახელდა. უნდოდა დაჭრილი ამხანაგები დაენახა, მაგრამ მისდა გასაოცრად, სინათლე კი არა, სიბნელე, წყვდიადი მატულობდა.

მაი დედასა, რა დღეში ხარ, ბარამიძე?! რამდენი იწვალე, იტანჯე, შეურაცხყოფა, დამცირება აიტანე, და აი აქ, როცა ასე ახლო ხარ

საქართველოს მთებთან, სიცოცხლეს უნდა გამოესალმო!

რა იოლია სიკვდილზე ფიქრი, როცა იგი შორსაა, იცი, რომ ჯერ ვერ შეგეხება ხელი მისი მსახვრალი, მაგრამ საშინელი რამ ყოფილა სულთამხუთავი გვერდით რომ მოგიწვება, ბრჭყალებით ყელში გწვდება, ნელ-ნელა დაგიწყებს მოხრჩობას.

ნუთუ აქ არის მისი სამარადისო ადგილსამყოფელი, აქ დაეხუჭება სამუდამოდ თვალი. ალბათ ტურების, მგლების სახრავი გახდება მისი ძვლები. ზურგში მაინც არ მოხვედროდა ტყვია. მტერთან პირისპირ ჭიდილში დაცემულიყო!

წყვდიადიდან, ვით ბურუსიდან ნელ-ნელა გამოკრთნენ თეთრფაფახიანი მწვერვალები.

დილის სხივმა დაჭრილთა ტანჯულ სულშიც ჩაიხედა.

დალოცვილო სინათლევ, ეს რა ძალა გაქვს! მომაკვდავსაც მხედველობას, სმენას უმახვილებ. ამასთან ასულიერებ, ანუგეშებ, რწმენას, იმედს უმატებ!

ბარამიძემ ხელის ერთ გაშლაზე გიორგი მჭედლიშვილი გაარჩია.

სიკვდილს გახელილი თვალებით შეხვედროდა. სახეზე ვიღაცისადმი სიძულვილი, მრისხანება ეხატა. იქვე მეორე ჯარისკაცის გვამი ესვენა, გაქვავებული ხელებით რომ ნარეკალს ჩაბღაუჭებოდა. საცოდავი, ეტყობა, სიკვდილის წინ იმას ცდილობდა, ხევში არ ჩაგორებულიყო. თითქოს ნაცნობი, ახლობელია მაგრამ სახე მთლად შესცვლია, ვერ იგონებს, ველარა სცნობს, რომელია. მესამეს გაყვითლებულ ბაგეებზე გამოსახული მწარე ტკივილი შერჩენია, ზედ შეკვდომია. ეს რა დაწყევლილი, ულმობელი რამ არის სიკვდილი! ასე ერთი ხელის მოსმით როგორ ცვლის, ასხვაფერებს, არარაობად აქცევს ადამიანს!..

ბარამიძემ თვალში სინათლე დაკარგა, ბურუსში ჩაიძირა. და უცებ საიდანღაც ჭიჭინაძის მჭექარე შეძახილი მოესმა — ბიჭებო, ასრულდა ჩვენი სანუკვარი ოცნება, უკვე სამშვიდობოზე ვართ, ვაშაა . . .

სმენად ქცეული ელოდა, იქნებ ეს ხმა კიდევ განმეორდესო.

არა, აღარაფერი გაუგონია. მხოლოდ სასომიხდილი ადამიანების კვნესა-გოდება ესმოდა. და ეს გულისამაჩუყებელი ხმები სულ უფრო ახლოვდებოდა, მის ყურთასმენამდე გარკვევით აღწევდა.

ბარამიძემ თვალი გაახილა.

ირგვლივ მიწაზე გართხმული რამდენიმე დაჭრილი ლეგიონერი დაინახა, მიმქრალი, დასისხლიანებული თვალებით რომ მისჩერებოდნენ.

მერე ისიც შენიშნა, დაჭრილი ლეგიონერები არც ჭურვებით დათხრილ ორმოებს ერიდებოდნენ, გვამებზე ხოხვით გადადიოდნენ და თავს ერთად იყრიდნენ. ალბათ ურთიერთდახმარება სწადიათ. თავადაც ხომ გული ამხანაგებისაკენ მიუწევს. მათი სიახლოვე ამხნევებს, აიმედებს, ძალას მატებს. ერთ ბედში მყოფი ადამიანები ერთმანეთს თანაუგრძნობენ, შემწეობას უწევენ. და აი ისინი მის გარშემო ორ ნაბიჯზე წვანან. სულ თოთხმეტი, თუ თხუთმეტი არიან. რა ემართება, რა ღმერთი უწყრება! დაჭრილები არაერთხელ დათვალა, მაგრამ ხან თხუთმეტი გამოდიოდა, ხან თოთხმეტი. ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ერთით მეტი დაჭრილი იქნება, თუ ნაკლები! გერმანელებმა კიდევაც რომ ვერ მიაგნონ თავისით ამოხდებათ სული. ფაშისტები მათ ხედავენ. წინა ხაზზე ჩასანგრებულ წითელ არმიელებს კი მთა ეფარებათ.

სხვა საშველი არ არის! დაღამებამდე გაუნძრევლად უნდა იწვნენ. მართალია, დაჭრილებმა ხალათები შემოიხიეს, ერთმანეთს იარები შეუხვიეს, მაგრამ ზოგ მათგანს სისხლი ისევ სდის, გული ერევა, ნელ-ნელა სულს ლაფავენ.

აგერ იმ ოცდაერთი-ოცდაორი წლის ყმაწვილს კისერში მოხვედრია ტყვია, ვერა და ვერ შეუწყდა სისხლის დენა. გაშეშებული, წევს სისხლის გუბეში, ჩამქრალი, უმწეო თვალებით მისჩერებია ზეცას იმ ძუძუმწოვარა ბავშვივით, საშინელი ტკივილები რომ აწუხებს, მაგრამ არ ძალუძს ენით გამოთქვას.

აგერ მარგალიტაძე, მისი ყოფილი ორდინარეცი. ეტყობა თავშია დაჭრილი, საფეთქელთან სისხლი შეხმობია. სახეზე მკვდრის ფერი ადევს. ცალი თვალი გვერდზე მოჰქცევია, გუგიდან ამოვარდნაზე აქვს. ყვრიმალის ძვლებთან ლოყები ჩასცვენია; კი სჯერა, რომ ეს ის მხიარული, ხალისიანი ბიჭია, ენაკვიმატობითა და გურული ანეკდოტებით ამხანაგებს გულიანად რომ ახარხარებდა.

მარგალიტაძის გვერდით წვერებმოშვებული, დიდულვაშა ჯარისკაცი წევს. გაფართოებულ თვალებს შეშინებულივით ატრიალებს, კვნესის, ოხრავს. ღრმად, აჩქარებით სუნთქავს. ის ისე საცოდავად გადმოხედავს ხოლმე, თითქოს ეხვეწება, ემუდარება, უფროსო ლეიტენანტო, შენი იმედი მაქვს, მიხსენი, ტკივილები შემიმსუბუქე, სიკვდილს გადამარჩინეო. ამ კაცთან არასოდეს უსაუბრია, არ იცის, ვინ არის, რა გვარია, მაგრამ ახე ჰგონია, რომ მისი უახლოესი ადამიანია.

მარტო ეს კი არა, თოთხმეტივე, თუ თხუთმეტივე ახლობლად, ღვიძლებად მიაჩნია. გული უკვდება, რომ ამ უბედურ, სასიკვდილოდ განწირულ ადამიანებს მისი იმედი აქვთ, ის კი მათსავით მიწაზეა განრთხმული, სისხლისაგან იწრიტება, უმწეოა. დალაპარაკებაც არ ძა-

ლუძს. ხახასთან დაგუბებული სისხლი გასჩრია და ლამის დაიხრჩოს.

ეჰ, ნეტავი ბნელდება, თუ სიცოცხლე მთავრდება?!

ხელისგულებზე დაეყრდნო, რის ვაივაგლახით წამოიწია, ამხანაგებს თვალი გადაავლო, ალანდულ მთებს შეხედა და ერთბაშად პირქვე დაემხო მიწაზე.

იმიტომ კი არა, რომ მკლავმა უმტყუნა. უცებ თვალი შეასწრო ფერდობზე ჩამომავალ სამ მოჯარიმე ოფიცერს, თავზეხელაღებულ მკვლელებს რომ უწოდებდნენ. ისინი ბუჩქებს ჩხრეკდნენ, მსხვერპლს ეძებდნენ. ცოდვები, დანაშაულები, ან საკუთარი სისხლით უნდა მოებანათ, ან თავი უნდა გამოეჩინათ სისასტიკით, სისხლის სმით, მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ აღედგინათ წართმეული ოფიცრის წოდება, უფლებები, სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

დაჭრილები, გუმანით, ინსტინქტით, მიხვდნენ მოახლოებულ საშინელებას, დაფეთებული თვალებით აქეთ-იქით იხედებოდნენ და ბუჩქებში მიბობღავდნენ.

ბარამიძე თვალებს ხუჭავდა, ცდილობდა, მძიმე, გულის შემძვრელ ფიქრებს გაჰქცეოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ალბათ დაჭრილებმაც შეასწრეს გერმანელებს თვალი! ან იქნებ ფეხის ხმა შემოესმათ? აბა, მაშ ყველა ასე ერთბაშად რამ შეაკრთო? ეტყობა ტიალი სიკვდილი ადამიანს შორიდანვე ზარავს, აძრწუნებს, თავზარს სცემს. სმენია, კაცს სულის ამოხდომის წინ მთელი გავლილი ცხოვრება მცირე დროში თვალწინ გაურბენსო. იმანაც მთელი თავისი ცხოვრება ორიოდე წუთში წარმოიდგინა. ნუთუ ასე ცოტა იცხოვრა? ოცდაშვიდი წელი! ცოტაა, აბა, მაშ, რა არის! მის გვერდით გაშოტილი ოცდაერთი-ოცდაორი წლის ჭაბუკებს, ალბათ, იმაზე უფრო მეტად უკვდებათ გული. ისინი ხომ ისე კვდებიან, თითქმის არც უცხოვრიათ.

გამაგრდი, ბარამიძე, სულით არ დაეცე, ლეგიონერებს შენი იმედი აქვთ, დახმარებას შენგან ელიან, მაშასადამე, სხვებზე უფრო მეტი სიმტკიცის, ნებისყოფის გამოჩენა გმართებს, ყოველგვარ საფრთხეს მხნედ, უშიშრად უნდა შეხვდე!

ამასობაში თვალებდაბრიალებული გერმანელები დაჭრილებს თავს დაადგნენ.

ორი მათგანი შუახნის მიტანებული იყო. გახუნებული, კალთებშემომწვარი, უსამხრეებო ფარაჯები ეცვათ. ორივეს ყასაბივით ქამარზე ქარქაშმოზარნიშებული ბრტყელი დანა ეკიდა.

მესამეს, შედარებით უფრო ახალგაზრდას, მოკლესახელოიანი ქურთუკი ემოსა, იმასაც ბრტყელი დანა გვერდზე პისტოლეტივით ჩამოჰკონწიალებდა, ფინური დანა კი ჩექმაში გაერჭო.

ხამივეს კისერი წაეგრძელებინათ და ისე მისჩერებოდნენ უმწეო დაჭრილებს, ვით დამშეული მგლები ფეხთით გართხმულ კრავს, ეშვი რომ უნდა გაჰკრან და დაფლითონ!

ახალგაზრდამ კისერი წაიგრძელა, ბარამიძეს მიაშტერდა და ბრიყვივით ახითხითდა:

— ჰი, ჰიი! — და დაუნდობლად მსხვერპლს მხარში ფეხი წასცხო, — დახეთ, ოცეულის მეთაურის სამხრეები უკეთია. ალბათ ეს არის გადარბენის მოთავე, მთავარი მოღალატე.

— ნამდვილად ასეა! — დაუდასტურა პირველმა მოჯარიმე ოფიცერმა და ბარამიძეს, აუტანელი ტკივილისაგან რომ იკლაკნებოდა, მაგრამ ცდილობდა არ ეკვნესა, ავტომატი დაუმიზნა.

— ამას არ ესროლო, დანარჩენები დახოცე! — დაიყვირა ახალგაზრდა მოჯარიმემ. მარგალიტაძეს შალითიდან ქვეითების ნიჩბის ამოღება მოესწრო და ფარივით სახეზე იფარებდა.

გაისმა განწირულთა კვნესა-გოდება, წყევლა-კრულვა, რაც ავტომატების ხმამ დაჰფარა.

ბარამიძემ თვალები დახუჭა; მას ზიზღს ჰგვრიდა, გულს ურევდა, ადამიანთა მოკვლის ჟინით შეპყრობილი ფაშისტების დანახვა, უმოწყალოდ რომ ჟლეტდნენ სულთამბრძოლ ადამიანებს და სიამოვნებას განიცდიდნენ განწირულთა კვნესა-გოდებითა და მათ სახეზე აღბეჭდილი ტანჯვა-წვალებით.

ჰიტლერელები თავზე რომ დაადგნენ, ბარამიძემ ძალაუნებურად თვალი გაახილა; გერმანელებს მისი მოსულიერება რატომღაც გაეხარდათ. მათ სახეზე თითქოს ისიც ამოიკითხა, კარგია, ცოცხალი რომ ყოფილაო. მერე ჯალათებმა ჩაიღიმეს და კმაყოფილებით ერთმანეთს გადახედეს.

ბარამიძემ თვალი დახუჭა, აღარ უნდოდა კაციჭამიების დანახვა.

— შენ ჰიჰინაძე ხარ? — შეეკითხა ეფრეიტორი.

— ჰიჰინაძე ვარ! — რიხით მიუგო ბარამიძემ და უმალ დაუმატა, — დიახ, ჩვენ ყველა ჰიჰინაძეები ვართ!

გერმანელი ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა ბარამიძის პასუხი. თავი კი ჩაიქნია. კაცი ვერ გაიგებდა, რა გამოხატა ამით — გასაგებიაო, თუ დაემუქრა, — გიჩვენებ ხეირსო. მხარში ხელი სტაცა და ზურგზე გადააბრუნა.

ბარამიძემ შეჰყვირა, ვაიმე დედაო, მომაკვდინებელ ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა, წუთით გონება წაერთვა.

ახალგაზრდამ ქარქაშიდან დანა იძრო და ამხანაგებს მიმართა ხროლაში გამეჯიბრეთო.

ჯერ არენაზე გასულ ფალავანივით წარსდგა წინ. ცალი თვალი მოხუჭა, წვერით მიშვერილი დანა, სუნთქვაშეკრულმა ბარამიძეს დაუმიზნა

და ერთბაშად მახვილთან ერთად სიტყვაც ესროლა:

— ქართველო, სიკვდილი მოვიდა!

ბარამიძემ მხოლოდ თვალის დახუჭვა მოასწრო. დანა შიგ ყურის ძირას მიწაში ჩაერჭო და ტარით საფეთქელში მოხვდა.

კი არ დაინახა, იგრძნო, რომ მეორე გერმანელმაც ესროლა დანა. ხელები ინსტიქტურად სახეზე წაიფარა. ერთბაშად თვალში რაღაც ბასრი დაეძგერა. „ცა ჩამოიქცა, თუ რა უბედურებაა!“ — გულში გაუელვა და ყველაფერი დაავიწყდა, შემზარავად იკივლა:

— ვაშმე!...

მისი ყვირილი ჭალათების ხარხარმა, ერიამულმა დაფარა, ამხანაგს დანის ოსტატურ სროლას, გამარჯვებას რომ ულოცავდნენ.

ბარამიძემ ღრმად ამოისუნთქა და გათავდა კაცი.

ელავდა ცა, იყო ქექა-ქუხილი, გრგვინავდა კავკასიონი, და ისმოდა ყიჟინა, მოთქმა, გოდება, რისი მსგავსიც მთებს არ უნახავთ, არ შესწრებიან!

პოლკოვნიკმა ღიმოვმა ფრონტის შტაბში თავის უფროსს ლეგიონერთა გადმოსვლის ამბავი მოახსენა და რჩევა სთხოვა, როგორ ვიმოქმედოთო.

— ისე მოიქეცით, როგორც წესია. ლეგიონერები დაკითხეთ, თითოეული მათგანი საფუძვლიანად შეისწავლეთ. საეჭვონი დააკავეთ, გამოარკვიეთ, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი, ვის რა ცოდვა ადევს. — მიუთითა უფროსმა.

პოლკოვნიკ ღიმოვის განკარგულებით გერმანელთა ტყვეობიდან თავდაღწეული მებრძოლები წინა ხაზიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით ნახევრადდანგრეულ სოფელში გაგზავნეს, საბძელში შერეკეს და გუშაგი დაუყენეს.

მხოლოდ ქიქინაძე გამოაწყეს წითელი არმიის ოფიცრის ტანსაცმელში და ერთი თვის შვებულება მისცეს.

თბილისში წასვლის წინ გენერალმა კრივალოვმა ქიქინაძეს უთხრა:

— ამხანაგო კაპიტანო, დაისვენე, ძალ-ღონე მოიკრიბე, მერე კი მოდი ჩვენს ნაწილში და ერთად ვულეწოთ ფაშისტები.

— ამხანაგო გენერალო, ნება დამრთეთ თანამებრძოლებს გამოვემშვიდობო, — სთხოვა ქიქინაძემ.

— სამწუხაროდ, მე ეს არ შემიძლია, დაურეკეთ პოლკოვნიკ ღიმოვს!

— ამხანაგო გენერალო, პოლკოვნიკ ღიმოვს უკვე ველაპარაკე, უარი მითხრა. რა საჭიროა ახეთი სიფრთხილე? ის, ვინც საბჭოთა წყობილების ერთგული არ არის, ჩვენს მხარეს არც გადმოვიდოდა. ახეც მოხდა. მოღალატენი იქ, გერმანელებთან დარჩნენ. ესენი კი ტანჯული, ნაწამები, თავისიანებს მონატრებული მებრძოლები არიან.

— რაზ იზამ, წესსა და კანონს ვერ გადაქცევი. თითოეულ მათგანს გაესაუბრებიან, დაჰკითხავენ, შეისწავლიან, მერე სამხედრო ნაწილში ჩარიცხავენ. მაშ, ახე, ამხანაგო კაპიტანო, კეთილ მგზავრობასა და კარგ დასვენებას გისურვებ! — და გენერალმა კაპიტანს მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

ქიქინაძეს უნდოდა გენერლისათვის ეთქვა, უარს ვამბობ შვებულებაზე, რადგან მიჭირს ამხანაგების ასეთ მდგომარეობაში მიტოვებაო, მაგრამ თავი შეიკავა, პოლკოვნიკ ღიმოვს ამით უსაფუძვლო ეჭვები არ აღვუძრაო.

ხარკაძეს სანგარში ჭრილობა მედიცინის დამ შეუხვია. ტანწერწეტა ქალიშვილი ფრონტზე ახალი მოსული იყო, არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება. ის, რაც სანიტარმა ჭრილობის ნახვისთანავე გაიგო, მან ვერ შენიშნა.

ან როგორ მიხვდებოდა, როცა ხარკაძემ ქალიშვილს ქათინაურებით თავბრუ დაახვია, ყურში სულ იმას ეჩურჩულებოდა, ისეთი ნაზი თითები გაქვს, შენი ხელით შეხვეული ჭრილობა როგორ არ განიკურნებაო.

ორ-სამ დღეში ხარკაძე არმიის ჰოსპიტალში გაგზავნეს. არა, კი არ გაგზავნეს, სანგარის უფროსს თავი მოაბეზრა თხოვნით, დაჭრილი, ვარ, თან გულის მანკი მაქვს, ღამით ჰაერი არ მყოფნის, ვიხრჩობიო. და იმდენი ეცადა, თავი ჰოსპიტალში გააგზავნინა. რაც უფრო შორს ვიქნები ქიქინაძისაგან, მით უფრო დაზღვეული ვიქნები, შევიჩიდებიო.

მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრი, შეიძლება ექიმებმა შემატყონ, ხელზე რომ მე თვით ვისროლეო.

ჰოსპიტალში მისვლის პირველ დღესვე ხარკაძემ შუაღამისას ყვირილი ატეხა — მიშველეთ, ცუდად ვარ, სული მეხუთებაო.

მორიგე ექიმმა მაჯა გაუსინჯა, წნევა გაუზომა, გულს მოუსმინა, რაკი ყველაფერი ნორმალური ჰქონდა, ავადმყოფს სიტყვით გული გაუმაგრა, დააწყნარა, დასამშვიდებელი წამალი დაალევინა.

დილით ხარკაძემ ისაუზმა, მერე კი მთელი დღე თვალებდახუჭული იწვა. სადილზე უარი თქვა. საღამოთი წამოდგა. ნაჩქარევად ივახშმა, მერე ისევ დაწვა და საბანი წაიფარა. ეღვიძა, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, ვითომ მკვდარივით ეძინა.

ორი დღე ასე იწვა, ჭრილობის შეხვევებზე ექიმებს უარს ეუბნებოდა, თავი დამანებეთ, მეძინებაო.

მესამე დღეს კი ჰოსპიტლის უფროსმა აიძულა საოპერაციოში გასულიყო.

ქირურგმა ნახა თუ არა ჭრილობა, შეატყო, რაშიც იყო საქმე.

პოლკოვნიკ ღიმოვს ჰოსპიტლის პერსონალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილებული ჰყავდა, ახეთი შემთხვევა პირადად მისთვის ეცნობებიათ, ამჯერადაც ეს ამბავი სწრაფად შეატყობინეს.

პოლკოვნიკი დიმოვი საგონებელში ჩავარდა, წითელი არმიის მხარეს თავისივე სურვილით გადმორბენილ ჯარისკაცს ხელში ტყვია რატომ უნდა ესროლათ. იგი ჰოსპიტალში მივიდა. მორიგე ექიმს უბრძანა, დაჭრილი ზემდეგი ხარკაძე მომგვარეთ, მინდა გავესაუბროო.

ისინი ერთმანეთს ჰოსპიტლის უფროსის მიწურში, პატარა სალაშქრო მაგიდასთან შეხვდნენ.

პოლკოვნიკმა დიმოვმა თვალი შეავლო ხარკაძეს და ბრაზით თქვა:

— მიპასუხეთ. თავი რატომ დაიჭერი?

ხარკაძე როგორ იფიქრებდა, რომ ასეთ რამეს ექიმი კი არა, მაღალი ჩინის ოფიცერი შეეკითხებოდა. პასუხი ცოტა დააყოვნა, მაგრამ გულში, გაჰკრა, დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებასო. ამიტომ მკვირცხლად, გაბედულად, სულმოუთქმელად უპასუხა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ხელში ტყვია ამხანაგების სიცოცხლის გადასარჩენად ვისროლე.

— მერე ვინ გადაარჩინე?

— სამწუხაროდ, მე ეს მხოლოდ ნაწილობრივ შევძელი.

— ხელი რამ შეგიშალა?

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თუ მიბრძანებთ, მოგიყვებით.

— უმჯობესია, ახსნა-განმარტებითი ბარათი დასწეროთ. ეს საქმისათვის აუცილებელია.

— დავწერ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

„პოლკოვნიკ დიმოვს.

ზემდეგ ხარკაძის ახსნა-განმარტებითი ბარათი.

1939 წლიდან ვმსახურობ წითელი არმიის რიგებში. ომის დაწყების პირველ დღეებში ჩვენი დივიზია ბრძოლებში ჩაება. ვმონაწილეობდი სმოლენსკის დაცვაში. შემდეგ ვიბრძოდი კალინინთან, კლინთან. ბოლოს მკერდით ვიცავდი მოსკოვს. ერთ-ერთ ბრძოლაში ჩვენ ბატალიონს ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს. მტერს წინააღმდეგობას ვუწევდით, არ ვნებდებოდით, მაგრამ როცა ტყვია-წამალი გამოგველია, გერმანელებს ტყვედ ჩავბარდით.

კაუნასის ტყვეთა ბანაკში, ქართველი ემიგრანტების რჩევითა და გერმანელების მუქარით, ჩავეწერე ქართულ ბატალიონში. ჰიტლერისადმი ფიცი არ მიმიცია. ეს ჩემთვის არც მოუთხოვიათ.

აქვე იყვნენ კაპიტანი ვიქტორ ჭიჭინაძე და ლეგიონერი ზაქრო სურამელი. ორივეს დავუმეგობრდი, რადგან ღრმად ვიყავ დარწმუნებული, რომ ისინი საბჭოთა ქვეყნის ერთგული შვილები იყვნენ.

კაპიტანი ჭიჭინაძე გვპირდებოდა, ფრონტზე მისვლისთანავე ბატალიონს წითელი არმიის მხარეზე გადაიყვანდა.

ლეგიონერებს, პირადად მეც, გვჯეროდა, გვწამდა კაპიტან ჭიჭინაძისა, მაგრამ მისმა საქციელმა, მოქმედებამ დაგვამჭვა. ხელქვეითების მიმართ მეტისმეტად მკაცრი, მომთხოვნი იყო. ასეულის წვრთნისა და ვარჯიშის დროს ზუსტად მოითხოვდა საბრძოლო წესდების შესრულებას, მცირე, უმნიშვნელო დანაშაულზე ლეგიონერებს მკაცრად სჯიდა.

ეშელონით ფრონტზე რომ მოვდიოდით, ჭიჭინაძემ და მისმა თანამზრახველებმა, ლეგიონერებისათვის თავი საერთო საქმის ერთგულებად რომ მოეჩვენებინათ, ჯარისკაც მძინარაშვილს შარი მოსდეს — ჯაშუში ხარო, კონდახების ცემით მოკლეს და ვაგონიდან გადააგდეს.

ერთ პატარა სადგურში კაპიტანმა ჭიჭინაძემ პოლონელ მუშას ოქროს საათი წაართვა.

ფრონტზე მოსვლის პირველი დღიდანვე ჭიჭინაძე ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ლეგიონერებს არწმუნებდა, წითელი არმია განადგურებულია, დღეს-ხვალ საქართველოში შევალთ და უაზროა ახლა რუსების მხარეზე გადარბენაო.

რატომღაც გერმანელებმა ჭიჭინაძე, მესამე ასეულს რომ მეთაურობდა, ჩამოაქვეითეს და ოცეულის მეთაურის მოადგილედ დანიშნეს.

ამის შემდეგ ჭიჭინაძე დაბეჯითებით ცდილობდა ფაშისტებისათვის სამსახური გაეწია, მათი გული მოეგო. ეს მან შესძლო კიდეც უსახელო მაღლობის დაპყრობის დროს.

ჭიჭინაძემ პირადად შეიმუშავა ამ ოპერაციის გეგმა. თავისი ოცეულით მაღლობს ზურგიდან მოუარა, მის დამცველ წითელარმიელებს მოულოდნელად თავს დაესხა და გაანადგურა.

ქართული ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ვაგნერმა ჭიჭინაძეს სიმამაცისა და მოხერხებულობისათვის მადლობა გამოუცხადა, ხოლო დივიზიის მეთაურმა აუწყა, სარდლობის წინაშე შუამდგომლობა აღძარი, რათა რკინის ჯვრისს ორდენით დაგაჯილდოვონო.

ამ ბრძოლის შემდეგ ჭიჭნაძემ გერმანელების გული მოიგო, მათი ნდობა, პატივისცემა დაიმსახურა. იგი მაშინვე დანიშნეს ასეულის მეთაურის მოადგილედ.

ბატალიონის წითელი არმიის მხარეზე გადმოსვლას ჭიჭინაძე კი არა, უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ ბარამიძე ხელმძღვანელობდა. ეს სამშობლოს ერთგული, თავდადებული ოფიცერი გადმორბენის დროს დაეცა. გარკვევით გავიგონე, რომელიღაც ლეგიონერის ყვირილი — ბარამიძეს მოღალატემ ზურგში ტყვია ესროლაო.

ჩემი ღრმა რწმენით, ჭიჭინაძე მიეყიდა გერმანელებს, იგი მოღალატეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, დაგებადებათ კითხვა, მაშ, ჩვენს მხარეს რატომღა გადმოვიდაო.

რით შეიძლება ამის ახსნა, არ ვიცი, ვერ გამიგია, ჩემი გონება ამას ვერ სწვდება.

ეს კი კარგად ვიცი, რომ გადმოსვლის წინ ჰიჰინაძემ ლეგიონერი სურამელი, გერმანელების ჯაშუში რომ იყო, ზურგში გაგზავნა, რათა ბატალიონის მეთაურისათვის ოპერაციის დაწყების დრო ეცნობებია. ამიტომ იყო, რომ გერმანელებმა წინა ხაზზე მყოფ მეორე და მესამე ასეულის ზურგში გადამლობი ტყვიამფრქვევები დადგეს.

ამის გაგებისთანავე გადავწყვიტე, წავსულიყავი პირველი ასეულის პოზიციაზე და ლეგიონერებისათვის მეცნობებია, რომ გაყიდული ვიყავით. მაგრამ ვერ შევძელი, რადგან თითქოს განგებ ჰიჰინაძემ მუშხუნის გასროლა დამავალა და მიბრძანა გვერდიდან არ მოვცილებოდი.

არაერთხელ ვცადე ჰიჰინაძეს გავსხლტომოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, ბოლოს ავდექი და ხელში ტყვია ვისროლე, მეგონა დაჭრილს სანიტარულ ნაწილში გამიშვებდნენ და ლეგიონერებს უბედურებისაგან ვიხსნიდი. ჰიჰინაძე წინ გადამელობა და წასვლა ამიკრძალა.

პირველი ასეული რომ დაიძრა, გერმანელებმა ზურგში სროლა აუტეხეს და მრავალი მებრძოლი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ასეთივე ბედი ეწიათ მეორე და მესამე ასეულებს.

ამხანაგო პოლკოვნიკო. ღალატითა და მოტყუებით ასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. აი, სწორედ ეს მაიძულებს გულახდილად, დაუფარავად მოგახსენოთ ყოველივე. და თუ, ეჭვი შეგეპარებათ, არ ირწმუნებთ ჩემს ნათქვამს, მაშინ უმორჩილესად გთხოვთ დაჰკითხოთ ლეგიონერები, ისინი თავს შეიკავებენ, ვერ გაბედავენ ჰიჰინაძეზე აუგის თქმას, მაგრამ თუ თქვენ მტკიცედ, დაბეჯითებით მოსთხოვთ, უთუოდ ალაპარაკდებიან, ყველაფერს გაგიმხელენ.

გამოგიტყდებით, ყოველივე ამის გამჟღავნება მეც ძალიან მიმძიმდა, მაგრამ იმან გამაბედვინა, უთქმელობა უთუოდ ზიანს მიაყენებს წითელ არმიას, საბჭოთა ქვეყანას. ამასთანავე, სამართლიანობა მოითხოვს, მოღალატეს სამაგიერო მიეზღოს. ზემდეგი ხარკაძე".

საბძელში გამომწყვდეულ ტუსაღებს გული დასწყდათ, კაპიტანი ჰიჰინაძის თბილისში გამგზავრება რომ შეიტყვეს.

— ის კაი კაცი, რა იქნებოდა რომ ჩვენთვისაც დაეხედა! — თქვა ურემაძემ.

— ეგ არ მიკვირს, — კაპიტანი ჰიჰინაძე ძმად, მამად მიმაჩნდა. იმან კი გვიგანა, ბედის ამარა მიგვატოვა, — გულისწყრომით განაცხადა ციხაშვილმა.

— ასეა, ძმაო, კაცისას რას [illegible], მეგობრო, ჩვენი გულისთვის სიცოცხლეს არ დაიშურებდა, იმან კი ფეხებზე დაგვიკიდა! — თქვა მესამე ლეგიონერმა და დასძინა, — ნუთუ მართალი იყო ბუხარელი, რომ გვაფრთხილებდა, ჰიჰინაძეს ნუ ენდობით, გერმანელებთან შეკრულია და კლდეზე გადაგჩეხავთო. ვინ იცის, იქნებ იმანაც დაგვაპატიმრებინა? ალბათ დივიზიის მეთაური დაარწმუნა, ლეგიონერთა შორის არიან მერყევნი, გერმანელების მიერ გადაბირებულნი, გამცემლები. საჭიროა კვლევა-ძიება და მათი ამოცნობაო.

წინასწარი დაკითხვის შემდეგ გადმორბენილთა დიდი უმრავლესობა სათადარიგო პოლკში გაგზავნეს, ხოლო რამდენიმე კაცი დააკავეს.

გენერალმა პრივალოვმა ლეიტენანტი ქორიძე დივიზიის მზვერავთა ასეულის ოცეულის მეთაურად დანიშნა. მისივე ბრძანებით ღურჯუმელიძე, ბოტკოველი და გოგიძე კი მზვერავებათ ჩარიცხეს. იმ დღეებში ისინი მონაწილეობდნენ ერთ-ერთი სადაზვერვო ოპერაციაში და წითელი არმიის სარდლობას მნიშვნელოვანი ცნობები მოუტანეს. ცოტახნის მერე კი მტრის ზურგში წავიდნენ, მოენე შეიპყრეს და არმიის სარდლობის მადლობა დაიმსახურეს.

დაკავებულთა შორის იყვნენ ისეთები, ვინც სამდურავსა და საყვედურს გამოსთქვამდა გადარბენის დროს გაღებული მსხვერპლის გამო, რაშიც გადაკვრით, შემპარავად კაპიტან ჰიჰინაძეს ადანაშაულებდნენ. იყვნენ ისეთებიც, ვინც, თავი რომ გაემართლებია, ამბობდა, კაპიტანმა ჰიჰინაძემ დაგვარწმუნა, გვაიძულა, რომ გერმანელების სამხედრო ფორმა ჩაგვეცვა და ქართულ ბატალიონში ჩავწერილიყავითო.

სხვა დროს ასეთი ზერელე განცხადებებისათვის იქნებ ყურიც არ ეთხოვებინათ, მაგრამ ეს იყო მძიმე, მრისხანე 1942 წელი, როცა სოკოებივით მომრავლდნენ მოლაყბენი, პანიკიორები, გამცემნი, მოღალატენი. მაშინ სულ მცირედ ეჭვსაც ყურადღების გარეშე ვერ დასტოვებდი.

ვინც გადმოსულთა დაკითხვას აწარმოებდა, არც ვინმეს გაუფრთხილებია, არც რაიმე მითითება მიუციათ, მაგრამ რაკი ჰიჰინაძის მოქმედება აეჭვებდა, თავისდა შეუცნობლად ისეთებს ეძებდა, ვინც კაპიტანზე აუგს ლაპარაკობდა.

ასეთები იყვნენ ურემაძე და ციხაშვილი, ორივე განაწყენებული იყო კაპიტან ჰიჰინაძეზე. ჯერ კიდევ წვრთნისა და ვარჯიშის დროს პირველს ჰიჰინაძემ არაერთხელ დაადო სასჯელი ათეულის მეთაურთან შეკამათებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჩობისათვის, ხოლო მეორეს საყარაულო სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ხუთი დღის პატიმრობა მიუსაჯა.

ჭიჭინაძე იცავდა გადაჭარბებით მკაცრ დისციპლინას, გვსჯიდა, მუშტებს გვირტყამდაო, განაცხადა ციხაშვილმა.

ურემაძემ კი ასეთი ჩვენება მისცა გამომძიებელს: სანამ გერმანელები ჭიჭინაძეს ასეულის ფლანგურის სამხრეებს აჰყრიდნენ, ხულიმას გამტკიცებდა, წითელი არმია განადგურებულია, ჩამოქვეითებს მერე კი აქეთ გადმოსვლა მოინდომაო.

იმხანად ფრონტის ამ უბანზე წითელი არმიის შეტევა დაიწყო. რაკი გადმორბენილთა მიმართ ადრინდელი ეჭვი არ ცხრებოდა, ბევრი რამ კვლევა-ძიებას, შემოწმებას, დაზუსტებას მოითხოვდა, პოლკოვნიკმა დიმოვმა ეჭვმიტანილი პირები და ისინი, ვინც კაპიტან ჭიჭინაძეს რაიმეში ადანაშაულებდნენ, სპეცბანაკში გაამწესა და ამ ამბავთან შექმნილი მთელი საქმეც იქ გადაგზავნა.

სამხედრო პროკურატურის გამომძიებელ ფრიდმანს ჩვეულებისამებრ უთენია გამოეღვიძა. როგორც ყოველთვის, ამ დილითაც ლაღ ხასიათზე იყო, კარგად გამოძინებული, დასვენებული.

შორს, მთების იქიდან არტილერიის გაბმული გუგუნი ძლივს ისმოდა. აქ კი ისეთი სიმშვიდე, სიწყნარე სუფევდა, თითქოს ომი არც იყო.

სოფელი, ბინა რომ დაედოთ, მოწყვეტილი იყო შარაგზას, იქ არც ფრონტზე მიმავალ სამხედრო ნაწილებს უხდებოდათ გავლა, არც სატვირთო მანქანებს, არც ალალს.

ქვედანაყოფები ჩამორჩენილი მებრძოლებიც, სოფელ-სოფელ რომ დაეხეტებოდნენ, იქაურობას სათოფედ არ ეკარებოდნენ, თითქოს გუმანით ხვდებოდნენ, რომ იქ გავლა კარგს არაფერს უქადდათ.

სოფელი პატარა იყო, ალიზით ნაშენი, სულ რაღაც თხუთმეტიოდე ქოხი იდგა. ამ შემოდგომით გერმანელები, საქართველოს საზღვრებს რომ მოადგნენ, მცხოვრებნი მთებში, ტყეებში გაიხიზნენ.

წითელი არმიის შეტევაზე გადასვლის შემდეგ თითო-ოროლა მობინადრე დაბრუნდა. მაგრამ სოფელი მაინც დაცარიელებული, ჩამკვდარი იყო.

ბოლო დროს გამომძიებელ ფრიდმანს და მის კოლეგებს საქმე შემოელიათ. ასეთია ომის კანონი: შეტევაზე გადასული არმია სულიერად უფრო მტკიცე და აღფრთოვანებულია, ვიდრე წარუმატებლობისა და უკან დახევისას.

ფრიდმანი მძიმე ფიქრებში იყო წასული, რომ პროკურატურის შიკრიკმა კარებზე დააკაკუნა, ნებართვას არ დაელოდა, ისე შევიდა ოთახში, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და მიესალმა.

ფრიდმანი ალბათ სხვა დროს, გათავხედებულ ჯარისკაცს ზურგისაკენო, უბრძანებდა, მაგრამ შიკრიკმა თითქოს იცოდა, რომ გამომძიებელს ამით დიდად გაახარებდა, სხაპასხუპით მოახსენა:

— ამხანაგო იუსტიციის უფროსო ლეიტენანტო, ფრონტზე გადმორბენილი მოღალატენი მოიყვანეს, მაიორი გიბარებთ, სასწრაფოდ გამოცხადდესო.

ფრიდმანი საწოლიდან წამოხტა, შარვალში მარჯვედ გაყო ფეხები და იკითხა:

— რამდენი კაცია?

— არ დამითვლია, შვიდი, ან რვა იქნება, ამხანაგო იუსტიციის უფროსო ლეიტენანტო!

— რა ეროვნებისა არიან?

— რას გაიგებ, გერმანული სამხედრო ფორმა აცვიათ. მგონი კავკასიელები არიან, უფრო ქართველებსა შგვანან.

— გასაგებია, გასაგებია! — თქვა კმაყოფილებით ფრიდმანმა და შიკრიკს უბრძანა, შენ წადი, მალე იქ გავჩნდებიო.

ამასობაში იუსტიციის მაიორმა, არმიის პროკურორის მოვალეობას რომ ასრულებდა, თვალი გადაავლო პოლკოვნიკ დიმოვის გამოგზავნილ საქმეს. დაიწყო თუ არა ხარკაძის მოხსენებითი ბარათის კითხვა, მყისვე თავში გაურბინა, ეს რაღაც მძიმე, მოღალატური საქმეა, ბნელით მოცული, ძნელად გასახსნელიო. მაგრამ თან თითქოს შინაგანი ხმაც ესმოდა — ფხიზლად, არ აჩქარდე, ეს ვიღაც ხარკაძეა, იქნებ კაპიტან ჭიჭინაძეზე განაწყენებულია, უმართებულოდ ცილსა სწამებსო. ჰოდა, სჯობია ფრიდმანს დაელოდოს. ვნახოთ, რას იტყვის, იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო პროკურატურის ძველი მუშაკია, ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი.

ფრიდმანმა კი, საქმეს გაეცნო თუ არა, თქვა:

— ამხანაგო მაიორო, კაპიტანი ჭიჭინაძე სასწრაფოდ უნდა დავაპატიმროთ!

— იქნებ ჯერ ხალხი დაგვეკითხა, ფაქტები შეგვემოწმებინა, დაგვეზუსტებინა — მიუგო მაიორმა.

— ისედაც ბევრი რამ ნათელია. განა არ კმარა, რომ კაპიტანმა ჭიჭინაძემ სამხედრო ფიცი დაარღვია, ჩაიცვა გერმანული ფორმა და, რაც მთავარია, მონაწილეობა მიიღო წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში?

— მე მაინც მგონია, რომ — შეჩერდა, რადგან ისევ იმის თქმას აპირებდა, ხარკაძის ბრალდებას შემოწმება უნდაო, მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ეს უკვე თქვა და სიტყვა ახე გადააკეთა, — ცხადია, ჭიჭინაძის დაპატიმრება აუცილებელია, რადგან უიმისოდ ძიებას ვერ წარვმართავთ.

და არმიის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა მორიგეს უბრძანა, სასწრაფოდ გაამზადეთ კაპიტან ჭიჭინაძის ღაპატიმრების ორდერიო.

სამგზავრო მატარებელმა, რითაც კაპიტანი ჭიჭინაძე ტუაფსიდან გამოემგზავრა, ოთხი საათით დაიგვიანა და თბილისში ნაშუადღევს ჩამოვიდა.

ბაქანი სამხედროებითა და სამოქალაქოებით იყო სავსე. ვინ ვის ხვდებოდა. ვინ ვის ხელს ართმევდა, ეხვეოდა, ჰკოცნიდა.

ჭიჭინაძეს გული იმან ატკინა, რომ ამოდენა ზღვა ხალხში კაცი არ იყო ნაცნობი.

სადგურის მოსაცდელი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა.

გრძელ სკამებზე ზოგი საზურგეზე გადაწოლილიყო, ზოგი კიდევ იატაკზე იწვა.

დარბაზის კედლებთან მიდგმულ სკამსაწოლებზე ძუძუმწოვარა ბავშვებს ეძინათ. კუთხეებში გაბმულ თოკზე თეთრეული გაეფინათ.

ყავარჯენზე დაყრდნობილი ხეიბრები, თითქოს ხიარულში იწაფებიანო, სკამებს შორის დადიოდნენ.

გასასვლელთან ცეროდენა ფერმკრთალი ბავშვები, გამვლელ-გამომვლელს ხელს უწვდიდნენ, მოწყალებას თხოულობდნენ.

სამხედრო სალაროსთან რიგი გაგრძელებულიყო. დაფაზე განცხადება გაეკრათ, თბილისში ჩამოსული ყველა ოფიცერი ვალდებულია ქალაქის სამხედრო კომენდატურაში აღრიცხვაზე გატარდესო.

ვაგზლის მოედანი ჩვეულებრივზე უფრო პატარა, მოწყენილი და უკაცრიელი ეჩვენა.

ტრამვაის გაჩერებასთან ლოდინით გადაქანცული მგზავრები ლიანდაგის გასწვრივ მიმოდიოდნენ, აქეთ-იქით იხედებოდნენ, ბუზღუნებდნენ . . .

ჭიჭინაძემ ლოდინსა და ნერვების აშლას ფეხით წასვლა ამჯობინა და მალაკნების ბაზრისაკენ გაემართა.

ქუჩა ვერ იტევდა ქვემეხებგამობმულ სატვირთო მანქანებს, ტანკებს, ალალს, ტროტუარი სავსე იყო ოფიცრებით, ჯარისკაცებით, ომის ინვალიდებით . . .

კაპიტან ჭიჭინაძეს არავინ ესალმებოდა, ამით თავს არც ის იწუხებდა.

აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა. იმას ფიქრობდა, გასულ წელს ხომ დედამ მომწერა, თბილისში ცხოვრება გვიჭირს, შეიძლება რაჭაში გადავსახლდეთო, ჩემიანები რომ აქ არ დამხვდნენ, კარზე ვის მივადგე, ვის შევეკედლოო. აგერ მისი სახლიც!

ეჩვენება, თუ ცხადლივ ხედავს — ბებია ფანჯარას მისჯდომია და ქუჩაში იხედება. ნუთუ გულმა უგრძნო მოახლოებული ბედნიერება?

მოხუცმა შვილიშვილს თვალი შეასწრო თუ არა, წამოდგა, სიხარულით ხელებში ჩაეკრო, ჭიჭინაძემ, თითქოს ისიც გრძნობს, როგორ შესძახა, ვიქტორ, ჩემო საყვარელო ბიჭო, ბებია გენაცვალოსო, და მისი ასაკისათვის უჩვეულო სიმარდით გარეთ გამოეგება.

მოხუცს ფერი დაეკარგა, გალეული სახე დანაოჭებოდა, თვალები ღრმად ჩასცვენოდა... შავი კაბა ეცვა, თავზეც შავი თავშალი ეხვია.

ბებია და შვილიშვილი ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს და პატარა, ბნელ ოთახში შევიდნენ.

— ბებია, როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ? — უდარდელად შეეკითხა ჭიჭინაძე, თუმცა გულმა წინასწარ უგრძნო, ბებიას თავს რაღაც უბედურებაა.

— ადრე და მალე ძაღლი დააკვდეს ჰიტლერს საფლავზე. მე რა საკითხავი ვარ, შენ როგორა ხარ, შვილო? — ცრემლნარევი ხმით მიუგო მოხუცმა.

— ცოცხალი ვარ, ბები. ერთი ეს მითხარი, რაღა ფანჯრიდან იყურებოდი, მელოდი თუ?

— ემ, შვილო, მარტო დღეს კი არა, ცისმარია დღე ფანჯარასთან ვზივარ, შვილებს ველოდები!

— დედა სად არის?

— რაჭაში წავიდა, იქნებ ცოტა სიმინდის ფქვილი ვიშოვოთ.

— ძმებისა რაღა ისმის?

მოხუცმა არაფერი უპასუხა, აქვითინდა და სახე თავშლის კალთაში ჩამალა.

„რაღაც დიდი უბედურებაა ჩვენს თავს!“ — გულში თქვა ჭიჭინაძემ და ბებია მკერდზე მიიკრა.

მოხუცმა ტირილით გული რომ მოიოხა, თავშლის ბოლოებით თვალები შეიმშრალა, კარადა გამოაღო, ორი სამკუთხა ბარათი გამოიღო და შვილიშვილს გაუწოდა.

„ძვირფასო ვლადიმერ მიხეილის ძის მშობლებო! ჩვენ, ვლადიმერის მებრძოლმა მეგობრებმა, არ შეგვიძლია მადლობა არ გადაგიხადოთ, სამშობლოსათვის ასეთი თავდადებული ვაჟკაცის გაზრდისათვის. ვლადიმერი იყო წესიერი, მამაცი ჯარისკაცი. მრისხანე ბრძოლებში არაერთხელ ისახელა თავი. სტალინგრადის კარიბჭესთან იგი ანადგურებდა პირსისხლიან ფაშისტებს, მრავალ გერმანელს დაუბნელა მზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა: მტრის ტყვიამ განგმირა. ვიმედოვნებთ, სულით არ დაეცემით, მით უმეტეს, რომ ვლადიმერ მიხეილის ძის შვილებს თქვენი შემწეობა, დახმარება ესაჭიროებათ.

მაგრად გართმევთ ხელს, გისურვებთ სულის სიმტკიცესა და დიდხანს სიცოცხლეს .

ვლადიმერ მიხეილის-ძე ჭიჭინაძის მებრძოლი ამხანაგები“.

მეორე წერილში კი იტყობინებოდნენ, რომ

უმცროსი ძმა კონსტანტინე მიხეილის ძე ფაშისტმა ბანდიტებმა მხეცური წამებით მოკლესო.

კაპიტანი ჭიჭინაძე მაგიდასთან დაჯდა, თავით კედელს მიეყრდნო, სიმწრის ოფლში გაიწურა.

ტახტზე მოკეცილი ბებია კი ჩუმად ქვითინებდა.

„ჩემი მწუხარებით მოხუცს კიდევ უფრო ვუმძაფრებ დარდსა და ვარამს!“ — და ჭიჭინაძემ თვალები ხელისგულით შეიმშრალა, თავი სევდიანად გადააქნია:

— ბები, ჩემი მეუღლისაგან ბარათი ხომ არ მიგიღიათ?

— მომიკვდეს თავი, როგორ დამავიწყდა. ვერამ წერილი გამოგვიგზავნა, — და ბებიამ კარადიდან ბარათი გამოიღო.

„სალამი ძვირფასო მშობლებო, ბებია!

ჩვენ ისევ ხაბაროვსკში ვცხოვრობთ, მე ელექტრო ქარხანაში დავიწყე მუშაობა. ლუდმილა უკვე კარგად ლაპარაკობს, ელაც ენას იდგამს. ვიქტორი რომ წავიდა, ლუდმილა უკვე წლინახევრისა იყო და მამა კარგად ახსოვს სულ იმას მეკითხება, როდის მოვა მამიკოო. ელამაც უკვე რამდენიმე სიტყვა იცის და ისიც მამა, მამას გაიძახის.

დღეში ორ ცვლას ვმუშაობ. დილით უთენია ვდგები, ცალ ხელში ლუდმილას ამოვიდლიავებ, მეორეთი ელას და მძინარეებს მიმყავს საბავშვო ბაღში, მუშაობას რომ ვამთავრებ, ბავშვებს უკვე სძინავთ და იქიდანაც მძინარეები მომყავს შინ.

არ იფიქროთ, თავს გაბრალებდეთ, სიძნელისა და გაჭირვებისა როდი მეშინია...

იმით ვარ გულმოკლული, გატანჯული, თვრამეტი თვეა ვიქტორისაგან წერილი არ მიმიღია!

ნეტავ რატომ დუმს, რატომ არაფერს იწერება? ნუთუ რაიმე შეემთხვა? არა, ეს შეუძლებელია! ვერ დავიჯერებ, რომ იგი ჩვენთვის სამუდამოდ დაიკარგოს, გაქრეს! ახლაც ყურში მიდგას გამოთხოვებისას მისი ნათქვამი სიტყვები: ნუ გეშინია, უვნებელი დავბრუნდები, მე და შენ ხომ ძლიერ გვიყვარს ერთმანეთი, მტრის ტყვიისაგან შენი სიყვარული დამიფარავსო. მე მჯეროდა და ახლაც მჯერა.

ბავშვებზე ნუ იდარდებთ! არაფერს მოვაკლებ, არაფერს გავუჭირვებ, სახელოვანი მამის ღირსეულ შვილებს გავზრდი.

გკოცნით, თქვენი ვერა“.

იმავე დღეს კაპიტანი ჭიჭინაძე სამხედრო კომენდატურაში აღრიცხვაზე გატარდა.

კომენდანტმა ჭიჭინაძეს უარი უთხრა ხაბაროვსკში გამგზავრებაზე, ჯერ ერთი, არ მაქვს ამის უფლება, რადგან ოცდაათი დღითა ხარ თბილისში დასასვენებლად გამოშვებული, ესეც რომ არა, ოთხი დღე უკვე გავიდა, დარჩენილი დრო კი ხაბაროვსკში მარტო მისვლა-მოსვლისათვის არ კმარაო.

კომენდანტმა ჭიჭინაძე დროებით თბილისში დაბანაკებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს მიამაგრა, გინდა სასადილოში ისადილე, გინდა მშრალი ულუფა მიიღეო.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ მშრალი ულუფის მიღება ამჯობინა.

ნაწილის საინტენდანტო სამსახურის უფროსმა მხოლოდ სამი დღის სურსათი გამოუწერა, ერთდროულად მეტის გაცემის უფლება არა გვაქვსო.

კაპიტანმა მრგვალი შავი პური, ექვსასი გრამი ძეხვი და ასოცი გრამი შაქარი ქაღალდში გაახვია და შინისაკენ გასწია.

შუადღე იყო.

თბილისის ცა ყომრალ ღრუბლებს დაეფარა. მოქუშული, მოწყენილი იდგნენ ნისლში გახვეული სახლები.

შინ რომ დაბრუნდა, ეზოში ორი ცეროდენა ბიჭი დაინახა. ბავშვებს თვალები მის ხელში ამოდებულ შეფუთულისაკენ გაექცათ.

ოთახში შევიდა თუ არა, პური დაჭრა. ხელისგულის ტოლა ორი პურის ნატეხს პატარა ძეხვის ნაჭერი დაადო და ბავშვებს გაუტანა.

ბიჭებმა მადლობა გადაუხადეს კეთილ ძიას და ორივემ საჭმელი პირში გააქანა. სიხარულით აცრემლებული ბავშვები, პურსა და ძეხვს მადიანად შეექცეოდნენ და მადლობის ნიშნად გაბრწყინებული თვალებით ჭიჭინაძეს უღიმოდნენ.

ნასადილევს ჭიჭინაძემ გადაწყვიტა ცოლისათვის წერილი მიეწერა: ოთახში ბნელოდა და პატარა მაგიდა ეზოში გამავალ ფანჯარასთან მიდგა, სახტად დარჩა. ფანჯარასთან ოცამდე ბავშვს მოეყარა თავი და ისე საცოდავად მოსჩერებოდნენ, თითქოს მოწყალებას სთხოვდნენ.

კაპიტანი ჭიჭინაძე ბავშვებს თანაგრძნობითა და სინანულით უყურებდა. მერე ფარაჯა ჩაიცვა და წასასვლელად გაემზადა.

— სად მიდიხარ, შვილო, — შეეკითხა ბებია.

— გული ამიჩუყეს ბავშვებმა, წავალ, საჭმელს მოვუტან!

— ახლა, შვილო, ყველა შიმშილობს, რამდენს ერთს დააპურებ?

ჭიჭინაძე გარეთ გავიდა და პატარები გააფრთხილა, არ დაიფანტოთ, მალე დავბრუნდები და პურს მოგიტანთო.

მალაკნების ბაზრის შესასვლელთან ძველმანებით ვაჭრობდნენ. ვინ გახუნებულ ტანსაცმელს ჰყიდდა, ვინ დაკერებულ ფეხსაცმელებს, ვინ წიგნებსა და გაზეთებს.

ბაზარში გრძელ დახლებზე აქა-იქ ელაგა ჭა-

დი, ვაშლი, კომში, კარტოფილი, ბოლოკი, მწვანილი.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ მაჯის საათი შეიხსნა და ერთ ახალგაზრდა კაცს, ქადს რომ ჰყიდდა, წასჩურჩულა, ოქროს საათი ხომ არ გინდაო.

ქადის გამყიდველმა ხელში დიდხანს ატრიალა საათი, გადააქან-გადმოაქნია, ჯერ ერთ ყურზე მიიდო, მერე მეორეზე და ბოლოს უნდობლად წაილაპარაკა:

— არა მგონია, რომ ოქრო იყოს!

— სუფთა ოქროა, შვეიცარულია! წაიკითხე, ზედ აწერია!

რაკი მყიდველმა კითხვა არ იცოდა, დახმარება გვერდით მდგომ ქალს სთხოვა.

ქალმა საათის წარწერას დახედა და თქვა, დიახ, შვეიცარული ოქროს საათიაო.

ჭიჭინაძეს არ უნდოდა ვაჭრობის გამართვა, თან იმასაც ერიდებოდა, მუშტარი არ შემოხვეოდა, ამიტომ ქადის პატრონს უთხრა, ვერ დაგიფასებ, რამდენიც გინდა, იმდენი მომეციო.

იმან ოცდახუთი ქადი შეაძლია. კარგი, ვაჭრობას არ დაგიწყებო, დათანხმდა ჭიჭინაძე, ამან კი ახალგაზრდა კაცი დააეჭვა, ხომ არ ვტყუვდებიო, და სიტყვას გადავიდა, ბევრი გითხარი, ოცს მოგცემ, დამჯერდიო. ჭიჭინაძემ ამაზეც უხათრა.

ბავშვები ისევ ეზოში ტრიალებდნენ. დაინახეს თუ არა ჭიჭინაძე, გარს შემოეხვივნენ. ეტყობა, მშივრები იყვნენ და, ნუგბარი ნობათის მოლოდინით აფორიაქებული შესცქეროდნენ კაპიტანს, ხელში რომ პატარა მრგვალი ქადები ეჭირა.

— აბა, ბავშვებო, უხმაუროდ, უაურზაუროდ რიგში ჩადექით! — მიმართა მათ კაპიტანმა.

ბავშვები აჟივჟივდნენ, ერთმანეთს ხელს უბიძგებდნენ, ებლღაძუნებოდნენ. ყველა ცდილობდა ამხანაგებს თავში მოქცეოდა, საჩუქარი სხვებზე ადრე მიეღო.

— მშვიდად, წყნარად, ჩემო პატარებო, ყველას გეყოფათ! — ამბობდა კაპიტანი ჭიჭინაძე და ქადს ურიგებდა.

ერთმა ხუთი-ექვსი წლის გამხდარმა ბიჭუნამ ქადი ხალათის უბეში გააქანა. მერე კაპიტანთან მივიდა, ხელი გაუშვირა, ძია მეც მომეციო.

ჭიჭინაძემ გაუღიმა და უთხრა:

— ერიმა, ეს რა მატყუარა ყოფილხარ? შენ ხომ ქადი მოგეცი?

— არ გატყუებ, ძია, დიახ, მომეცი. — და ბავშვი ცხარედ ატირდა.

— ბიჭუნა, რა გატირებს? — თავზე ხელის გადასმით შეეკითხა ჭიჭინაძე.

ბავშვს ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე და სლუკუნებდა:

— კარგო ძია, ჩემი და ავად არის, ქადი იმისთვისაც მინდა.

— მერე აქამდე რატომ არ მითხარი? ავადმყოფს პირველ რიგში ეკუთვნის. — მიუგო კაპიტანმა ჭიჭინაძემ და ბიჭუნას მეორე ქადი გაუწოდა.

ბიბლიოთეკა

რაკი დედას რაჭაში შეაგვიანდა, ჭიჭინაძემ გადაწყვიტა თვითონ წასულიყო სოფელში, ბიძებს, ახლობლებს ვინახულებო.

თბილისის კომენდატისაგან წასვლის ნებართვა აიღო.

ნაწილის უფროსს სთხოვა, სოფელში დედასთან მივდივარ, თუ შეიძლება ათი დღის კუთვნილი ულუფა მომეციო. უფროსმა თხოვნა შეუსრულა.

ჭიჭინაძემ სურსათის მესამედი ბებიას დაუტოვა, დანარჩენი კი ჩანთაში ჩაალაგა და საჭირო თადარიგი დაიჭირა, დილით გზას უნდა გასდგომოდა.

ნავახშმევს ჭიჭინაძე ტახტზე იწვა და ყაზბეგის „ელგუჯას" კითხულობდა.

ისე იყო კითხვით გატაცებული, ვერ გაიგო, ოთახის კარზე რომ ვიღაცამ დააკაკუნა.

კარი ბებიამ გააღო.

მიუპატიჟებლად ოთახში ოფიცერი შევიდა, ფეხდაფეხ ორი ჯარისკაცი შეჰყვა.

— ვინ გნებავთ ?— შემკრთალი, გაბზარული ხმით იკითხა ბებიამ.

— კაპიტანი ჭიჭინაძე აქ იმყოფება?

— ეს მე ვარ, რას მიბრძანებთ? — მიუგო ჭიჭინაძემ, ფეხზე წამოდგომა რომ მოესწრო, და ხალათს ისწორებდა.

— ამხანაგო კაპიტანო... თქვენ... — ოფიციალური კილოთი დაიწყო ლეიტენანტმა, მაგრამ კაპიტანმა თითქოს იგრძნო, ლეიტანანტი რის თქმასაც აპირებდა, ხელის გაშვერით ანიშნა, მოითმინეთო, და მოხუცს მიუბრუნდა:

— ბებია, სტუმრებისათვის სკამები არ გვყოფნის, სამზარეულოდან ამოიტანე!

მოხუცი სკამის მოსატანად რომ წავიდა, ჭიჭინაძემ ლეიტენანტს მიმართა:

— გისმენთ, მითხარით, რა გნებავთ?

— ამხანაგო კაპიტანო, თქვენ დაპატიმრებული ხართ! — ახლა უკვე ხმადაბლა თქვა ლეიტენანტმა.

— რატომ, რის გულისათვის?

— ეს ჩვენ არ ვიცით. კომენდანტმა გვიბრძანა, აი ორდერი.

კაპიტანმა ჭიჭინაძემ სწრაფად გადაავლო ორდერს თვალი და ლეიტენანტს ხმადაბლა უთხრა:

— გთხოვთ, ჩემი დაპატიმრების ამბავს ბებიას და მეზობლებს ნუ გაავგებინებთ, ამით მგონი არაფერი არ დაშავდება.

მოხუცმა სკამი რომ შემოიტანა, ჭიჭინაძემ უთხრა:

— ბებია, ბრძანება მივიღე, სასწრაფოდ ფრონტზე უნდა დავბრუნდე. დედას გადაეცი, იმედი იქონიოს, ომიდან უთუოდ გამარჯვებუ-

ლი ჩამოვალ! ბოლოს მოხუცი გადაკოცნა და გამცილებლებს ძიმართა, აბა, მეგობრებო, წავედითო.

კაპიტანმა ლეიტენანტი წინ გაიმძღვარა და ოთახიდან გავიდნენ.

ოფიცრებმა ეზო მხარდამხარ გაიარეს. ქუჩაშიც ასე განაგრძეს სვლა. ჯარისკაცები უკან მისდევდნენ.

იუსტიციის უფროსმა ლეიტენანტმა ფრიდმანმა ქიქინაძის საქმის გაცნობისთანავე, გადაწყვიტა, ზემდეგი ხარკაძე მოეძებნა.

სათადარიგო პოლკიდან, ხარკაძე ჰოსპიტლიდან რომ გაგზავნეს, შეატყობინეს, ასეთი ჩვენს ნაწილში არავინ გამოცხადებულაო.

ან კი როგორ გამოცხადდებოდა, როცა ხარკაძე სინამდვილეში ჰოსპიტლიდან გაიპარა. ჰოსპიტლის მესვეურები კი, სამხედრო პროკურატურიდან შეკითხვა რომ მიიღეს, შეფიქრიანდნენ და პასუხისმგებლობა რომ მოეხსნათ, ხარკაძე სათადარიგო პოლკში გაგზავნილთა სიაში შეიტანეს.

ფრიდმანი გენერალ პრივალოვის დივიზიის შტაბსაც შეეკითხა, ზემდეგი ხარკაძე ჰოსპიტლიდან ხომ არ დაბრუნებულაო, არაო, ასეთი იყო მოკლე პასუხი.

ფრიდმანმა ხელი ჩაიქნია, მორჩა, ხარკაძის კვალს ვერსად მივაგნებთო. ვინ იცის, იქნებ პოლკში მიმავალი დაბომბვაში მოხვდა? დაიჭრა, ან დაიღუპა. ომია, ახლა ვის სცხელა მოწმეების საძებნელად, სხვებსაც ტყუილუბრალოდ ვაწუხებთ და მეც ამაოდ ვირჯებით. თან რა საჭიროა ხარკაძის მონახვა? მოხსენებით ბარათში ყველაფერი ისე კარგად არის ნათქვამი და დასაბუთებული, ალბათ, ამაზე უკეთეს ჩვენებას ვერც ჩამოვართმევთ.

ციხაშვილი და ურემაძე რატომ ხუთჯერ არ დაჰკითხა. ისინი ამბობდნენ იმას, რაც ქიქინაძის მოქმედებაში საეჭვოდ მიაჩნდათ. ფრიდმანის აზრით, რაკი მოწმეთა ჩვენებაში საეჭვო არაფერი იყო, მათი განსასჯელთან დაპირისპირება მიზანშეუწონლად ჩათვალა, ეს უმჯობესია სასამართლოზე მოხდესო.

ქიქინაძემ თავის სიცოცხლეში ყველაზე საშინელი ღამე თეთრად გაათენა.

გულში ერთი ფიქრი უტრიალებდა: ნეტავი გამაგებინა, ცილი ვინ დამწამა, ვისთვის რა დამიშავებიაო, ვინ არის ის არაკაცი, ჯოჯოხეთის მაშხალა, ხომ იცის, რომ უდანაშაულო ვარ, რა შარს მდებს, რატომ მღუპავს, ჩემი ცოლშვილის ცოდვაში რატომ დგებაო.

ალბათ სასამართლოში დაუპირისპირებენ ამ არამზადას. მერე შესძლებს თავის გამართლებას? ისინი ხომ, ვინც საქმეში იყვნენ ჩახედულნი, ზოგი დაიღუპა, ზოგიც ომის ბორბალმა შორს გადაისროლა! ახლა მათ საძებნელად ვინ მოიცლის, თავს ვინ შეიწუხებს? გამომძიებელმა ფრიდმანმა ხომ გარკვევით უთხრა, ეს რომ კიდევაც დაგიჯეროთ, გერწმუნოთ, ამით თავს მაინც ვერ გაიმართლებო. მის ახსნა-განმარტებას, რომ ეს ყველაფერი სიცოცხლის შესანარჩუნებლად, წითელი არმიის მხარეზე გადმორბენის მიზნით გავაკეთეო, გამომძიებელმა გასამართლებელ საბუთად არ ჩათვალა, დანაშაული დანაშაულად რჩებაო.

რატომ იჩენენ ასეთ უნდობლობას, რატომ არ უჯერებენ, არ ერწმუნებიან? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა სამშობლოსადმი ერთგულებას არ ღაღადებს ის ფაქტი, რომ ბატალიონმა ორგანიზებული გადმოსვლა მოაწყო?

გამყიდველებს, ჯაშუშებს რომ არ გაეთქვათ. ბატალიონი უმსხვერპლოდ გადმოვიდოდა.

გაწვრთნილი, მტრის სიძულვილით აღსავსე, სამშობლოს ერთგული რვაასი მეომრისაგან შემდგარი ბატალიონი, ასეთ განსაცდელის ჟამს დიდ ძალას წარმოადგენს.

რა ექნათ, არ იყო სხვა გამოსავალი ხსნისა, თავის დაღწევისა, და ასეთ გზას იმიტომ დაადგნენ.

დილით კაპიტანი ქიქინაძე სოფლის მოედანზე მდგარ ძველ შენობაში მიიყვანეს. ერთხანს გრძელ, ვიწრო დერეფანში ამყოფეს, მერე კი უბრძანეს, განაპირა ოთახში შესულიყო.

მზიანი დღე იყო, მაგრამ დიდ ოთახში, რომლის ორი პატარა ფანჯარა ჩრდილოეთით გადიოდა, ბნელოდა.; კედელთან გრძელი მაგიდა იდგა, მის აქე-იქით პატარა მაგიდა და სკამები ელაგა.

ქიქინაძეს გამცილებელმა სერჟანტმა სკამი შესთავაზა. თვითონაც განაპირა სკამზე დაჯდა. ხოლო გუშაგი ჯარისკაცი ავტომატით განსასჯელს თავზე დაადგა.

მკვდრული სიჩუმე სუფევდა. არც დერეფანში დადიოდა ვინმე, არც გარედან ისმოდა რაიმე ხმაური.

ოთახში გამხდარი, უწვერული სერჟანტი შევიდა.

— სასამართლო მობრძანდება, ადექით! — სხაპასხუპით თქვა გაზეპირებული სიტყვები, ყველა ფეხზე ააყენა, თვითონ კი გრძელ მაგიდას გვერდით მიუჯდა, მუყაოს ყდა გაშალა და ცხვირი ქაღალდებში ჩარგო.

წინ ტანდაბალი პოლკოვნიკი მოდიოდა, ორი კაპიტანი უკან მოჰყვებოდა.

პოლკოვნიკი გრძელ მაგიდასთან მიდგმულ შუა სკამზე დაჯდა. კაპიტნებმა კი მის აქეთ-იქით დაიკავეს ადგილები.

სერჟანტი ფეხზე წამოხტა და განაცხადა:

— დაჯექით!

ბრალდებულის და სერჟანტის დაჭერისთანავე ოთახში ტანმაღალი, შემართული მაიორი შემოვიდა, პატარა მაგიდასთან მოიკალათა და ყველას თვალი გადაავლო, ჰიჰინაძეც შეათვალიერა.

„ეს პროკურორია" — გაიფიქრა ჰიჰინაძემ. თავმჯდომარესთან შედარებით უფრო სიმპათიური ეჩვენა.

პროცესი რომ დაიწყო, ტრიბუნალის თავმჯდომარემ ბრალდებულს კარგად ცნობილი კითხვები წააყარა, გვარი, სახელი, მამის სახელი, ეროვნება და ა. შ. თან ქაღალდებს ფურცლავდა, ხახეზე კი ეწერა, ყველაფერი ჩემთვის ცნობილია, მაგრამ დადგენილ წესს ვერ გადავალო, შემდეგ საბრალდებო დასკვნის კითხვას შეუდგა. სულმოუთქმელად, სხაპასხუპით წარმოთქვამდა სიტყვებს. ჰიჰინაძეს ცივად, გადახედავდა ხოლმე, თან გაოცებულივით თავს აქნევდა, ვითომ რას ჰგავს ეს, ადამიანი ასე როგორ უნდა წახდეს, დაეცესო, და სულ უფრო აღგზნებითა და აღელვებით კითხულობდა ტექსტს.

ჰიჰინაძე საბრალდებო დასკვნას იცნობდა, ყველაფერი, რაც მასში იყო ნათქვამი, გამომძიებლისაგან არაერთხელ მოესმინა, ამიტომ მშვიდად იდგა.

ასე გულგრილად როგორ ისმენს ამდენ ბრალდებას? ალბათ, იცის, რაც ელოდება და მძიმე ხვედრთან შეგუებულია. ესეც სიმამაცეა. — ფიქრობდა ბრალმდებელი, ჰიჰინაძეს ცალი თვალით რომ უმზერდა, და უკვირდა, ასეთი კეთილშობილური შეხედულების ადამიანი როგორ იქცა ასეთ გარეწრადო. ვინ იცის, იქნებ მართლაც სიკვდილის მუქარით აიძულეს ამდენი სიავე და სიბოროტე ჩაედინა.

ტრიბუნალის თავმჯდომარემ კითხვა რომ დაამთავრა, ხკამზე დაჯდა, ცხვირსახოცით შუბლზე ოფლი შეიმშრალა, და განსასჯელს შეეკითხა:

— სცნობ თუ არა თავს დამნაშავედ?

— ამხანაგო მოსამართლევ! — დაიწყო ჰიჰინაძემ, — იმ დიდი მიზნის განსახორციელებლად, რაც მე და ჩემს ბედში მყოფმა ტყვეებმა დავისახეთ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა!

— ახლა მთელ ჩვენ ხალხს, ძლევამოსილ საბჭოთა არმიას ერთი წმიდათაწმინდა მიზანი აქვს: ფაშისტური გერმანიის განადგურება! — აღელვებით თქვა თავმჯდომარემ და ტრიბუნალის წევრებს გადაულაპარაკა, შეკითხვა ხომ არ გექნებათო.

პირველმა წევრმა, თავმჯდომარეს მარცხენა მხარეს რომ უჯდა და კაპიტან ჰიჰინაძეს სხვებზე ნაკლები ეჭვითა და ერთგვარი თანაგრძნობით უმზერდა, იკითხა:

— ბრალდებულო, რას გულისხმობთ დიად მიზანში?!

— წითელ არმიასთან შეერთებას. სწორედ ამ მიზნით ჩავიცვით მტრის ფორმა. ჩვენ პირველი დღიდანვე მტკიცედ გადავწყვიტეთ ფრონტზე მოსვლისთანავე მოგვეწყო გადმოსვლა, რაც განვახორციელეთ კიდეც.

— კარგი და, რატომ ასეულის მეთაურობიდან განთავისუფლების შემდეგ მოიწადინეთ გადმორბენა?! — შეეკითხა თავმჯდომარე.

— ასეულის მეთაურობიდან გამანთავისუფლეს ფრონტზე მისვლისთანავე, ზურგიდან კი, მოგეხსენებათ, გადმორბენა შეუძლებელია!

ჰიჰინაძეს მოსწრებული პასუხი, ტრიბუნალის თავმჯდომარეს არ ეპაშნიკა, შუბლი შეიკრა და მკვახედ შეეკითხა:

— ბრალდებულო, მონაწილეობდით თუ არა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში?

— მხოლოდ ერთხელ!

— სახელდობრ?

— 1942 წლის 11 ნოემბერს, უსახელო მაღლობის აღების დროს! — და კაპიტანმა ჰიჰინაძემ, ყველაფერი ზუსტად მოუთხრო სასამართლოს.

— ჰიჰინაძე, ირწმუნები, რომ უსახელო მაღლობზე შეტევის დროს შენი ბრძანებით ლეგიონერები ჰაერში ისროდნენ. გერმანელებთან კი თავი იმართლე ქვევიდან მაღლა ვუტევდით და იმიტომ ჩანდა, თითქოს ჰაერში ვისროდითო, მაშ, როგორღა შესძელით მაღლობის ხელში ჩაგდება? — იკითხა ბრალმდებელმა.

— მაღლობს ძირითადად უტევდა გერმანელ ოფიცერთა საჯარიმო ასეული, ჩვენ კი მაღლობს ზურგიდან შემოვუარეთ...

— ამის გარდა, მონაწილეობდი თუ არა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში? — იკითხა ტრიბუნალის პირველმა წევრმა.

— არა, ამის გარდა მონაწილეობა არ მიმიღია. მერე ჩვენ თავდაცვითი ზღუდე გვეკავა. ფრონტის ამ უბანზე სიწყნარე იყო.

— ბრალდებულო, პოლონეთის ერთ-ერთ სადგურზე მოხუც მოქალაქეს წაართვი საათი. ამაზე რაღას იტყვი? — ნიშნის მოგებით შეეკითხა ბრალმდებელი, ჰიჰინაძეს სულ უფრო ცივად, უნდობლად რომ უყურებდა.

— ეს სიცრუეა, ცილისწამებაა! — თქვა ხმის აწევით ჰიჰინაძემ, მაგრამ მყისვე მიხვდა, რომ გადაამეტა და მშვიდად განაგრძო, — დიახ, ეს სიცრუეა, ცილისწამებაა! საათი კი არ წავართვი, ვიყიდე!

— საიდან გქონდა საამისო ფული?

— გერმანელები ხელფასს მაძლევდნენ!

— რამდენს?

— სამოც მარკას!

— ჰმ! — დამცინავად, აგდებით ჩაიცინა ბრალმდებელმა და ტრიბუნალს ისე გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა, ერთი ამას დამიხედეთ, თურმე სამოც მარკად ჰყიდდა სამშობლოსო, და მერე ჰიჰინაძეს მიუბრუნდა:

— რა ეყავი საათი?

ჰიჭინაძემ მოახსენა, როგორ და რატომაც გაყიდა საათი.

— მმ, — კვლავ დამცინავად, აგდებით ჩაიცინა ბრალმდებელმა, შუბლზე კი ეწერა, არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, ასეთი ზღაპრები დაგიჯეროო.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ღრმად იყო დარწმუნებული, ჰიჭინაძე ფიცის გამტეხი, მოღალატე იყო. და თუ ბრალდებულს ამდენს ალაპარაკებდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას სასამართლოს წესი მოითხოვდა. ჰიჭინაძე კი განაგრძობდა:

— ჩემი ტრაგედია ისიცაა, რომ აქ არ არიან ისინი, ვინც ჩემთან ერთად გამოიარა დიდი უბედურება, ტანჯვა-წამება. მხოლოდ მათ შეეძლოთ დამოწმება, ჩემი უდანაშაულობის დადასტურება.

თქვენს წინაშე კი, ახლა მარტო მე და ჩემი სიმართლე ვდგევართ. ამიტომ გულახდილად მინდა ვილაპარაკო, რადგან მხოლოდ ალალმართლობას შეუძლია ჩემი ხსნა.

ფიცი, სამშობლოს სიყვარული, ხალხისათვის თავდადება — ეს ყველა მებრძოლისათვის წმიდათაწმიდა ცნებებია. დატყვევებული, იარაღაყრილი ჯარისკაცი მებრძოლი კი არა, მონაა, ყოველმხრივ დამცირებული, უუფლებო, მიწასთან გასწორებული.

ადამიანები ომში და, მით უმეტეს ტყვეობაში საბრალონი ვართ. ყველას როდი შეუძლია გაუმკლავდეს სიკვდილის შემზარავ გრძნობას. გერმანელები შუბლში ავტომატს დაუმიზნებდნენ თუ არა, ზოგი ფეხებში უვარდებოდა, ყელის აწევით ევედრებოდა, ოღონდ ნუ მომკლავთ და თქვენი ყურმოჭრილი მონა ვიქნებიო—.

მთლად გულწრფელი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ გერმანელებმა სიკვდილის მუქარით მაიძულეს მათ სამსახურში შევსულიყავი. ჩვენი მოქმედება არასწორი, მცდარია, მაგრამ არ იყო სხვა გზა ტყვეობიდან თავის დაღწევისა, ჩვენებთან გადმოსვლისა! ვინ მოგვცემდა ამის უფლებას? ეს უნდა იარაღით მოგვეპოვებია და ამიტომ მეც და ჩემს ამხანაგებსაც გვეგონა, უფრო მეტიც, ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ მიზანი ჩვენს მოქმედებას გაამართლებდა, რომ ეს არ იქნებოდა ფიცის გატეხა, სამშობლოს ღალატი!

— გასაგებია! — თქვა ტრიბუნალის თავმჯდომარემ, იმით კმაყოფილმა, რომ ბრალდებულმა როგორც იყო დაამთავრა გაჭიანურებული სიტყვა, თან თავი ისე ჩაიქნია, თითქოს უნდოდა ეთქვა, ეს ყველაფერი ასეც რომ იყოს, დანაშაული მაინც დანაშაულად რჩებაო.

— ბრალდებულო ჰიჭინაძე, გვარწმუნებ, რომ განზრახული გქონდათ ფრონტზე მოსვლისთანავე გადმოგერბინათ წითელი არმიის მხარეზე. რამ შეგიშალათ ხელი, რატომ მოგვიანებით მოახდინეთ გადმოსვლა? — ჰკითხა ტრიბუნალის პირველმა წევრმა.

— გერმანელებმა წინა ხაზზე მხოლოდ მესამე ასეული გადმოისროლეს. დანარჩენი სამი ასეული კი მეორე ეშელონში დატოვეს. თანაც ჩვენს განლაგებაში პოზიციები ეკავათ გერმანელთა სამ ოცეულს. ასეთ მდგომარეობაში კი შეუძლებელი იყო გადმორბენა, ჩვენ არ გვინდოდა ასობით ჩვენს ბედში მყოფი თანამოძმე განრისხებული მტრის ხელში მიგვეტოვებინა.

მოწმეების დაკითხვა ჩქარა დამთავრდა, ურემაძემაც და ცისაშვილმაც ტრიბუნალზე განაცხადეს ის, რაც ჰიჭინაძის მოქმედებაში საეჭვოდ მიაჩნდათ.

პირველმა თქვა, ერთხელ ასეულის მეთაურის მიწურთან რომ გუშაგად ვიდექი, კაპიტან ჰიჭინაძისა და უფროსი ლეიტენანტ ბარამიძის საუბარი გავიგონე. ჰიჭინაძე არწმუნებდა, — დღეს ხვალ გერმანელები საქართველოში შევლენ და წითელი არმიის მხარეზე გადარბენა ახლა უაზრობააო.

ჰიჭინაძემ როდი უარყო, დიახ, ეს ზუსტად ასე იყოო. მე ამას ზემდეგ ბუხარელის, გერმანელების ჯაშუში რომ იყო, თვალის ასახვევად ვლაპარაკობდიო.

ცისაშვილმა კი განაცხადა, ჰიჭინაძე ლეგიონერებს მკაცრად გვეპყრობოდა, გვსჯიდა. მე პირადად საგუშაგოზე ჩაძინებისათვის გამლანძღა, რაღა არ მაკადრა და ხუთი დღით ჰაუპტვახტში დამამწყვდიაო.

ჰიჭინაძემ არც ეს ბრალდება უარყო, მე ვიცავდი მკაცრ დისციპლინას, როგორც ამას გერმანელები მოითხოვდნენო. ამით მინდოდა მომეპოვებინა მათი ნდობა, რადგან უამისოდ გაძნელდებოდა დასახული მიზნის მიღწევაო.

ხარკაძის ცილისმწამებლური დასმენის წაკითხვა კი ტრიბუნალის თავმჯდომარემ ზედმეტად ჩათვალა, რამდენადაც ეს მოხსენებითი ბარათი იყო და არა მოწმის ჩვენება.

სიტყვა მბრალმდებელმა წარმოთქვა. შემდეგ მოსამართლემ ჰიჭინაძეს მისცა სიტყვა.

ბრალდებულის გამოსვლამდე მას კიდევ ჰქონდა იმედი, არ შეიძლება ტრიბუნალი არ ჩაწვდეს ჩემს უდანაშაულობასო. იქნებ საჯარიმო ასეულში გამამწესონ, ომში ხომ ცოდვებს სისხლით გამოისყიდიან. მეც საკუთარი სისხლით დავამტკიცებ ჩემს სიმართლესა და სამშობლოს უანგარო სიყვარულსო.

ჰიჭინაძე საბოლოო სიტყვაზე უარის თქმას აპირებდა, ტრიბუნალი საქმეს ისე იხილავს, ფიცითა და მუდარით ვერაფერს გავხდები, არ დამიჯერებენ, სასჯელს არ შემიმსუბუქებენო. მაგრამ მოსამართლემ მიმართა თუ არა, ბრალდებულო, საბოლოო სიტყვის თქმა ხომ არ გინდაო, მყისვე წამოდგა:

— პატივცემულო მოსამართლენო, პატიებას, შეწყალებას არ მოვითხოვ, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მართალი ვარ.. ერთსა გთხოვთ მხოლოდ: განჩინებისას იყავით სამართლიანი, მიუკერძოებელნი, ჩვენ ყველა ადამიანები ვართ და არავინ არის დაზღვეული შეცდომისაგან; ამასთან გაითვალისწინეთ ისიც, რომ საქმე ეხება არა მარტო ჩემს ბედს, არამედ ასობით ადამიანს, მთელ — ბატალიონს. განა დიდი ცოდვა არ არის, ვინც ბოლომდე საბჭოთა ქვეყნის ერთგული დარჩა, იმათ ოჯახებს სიყალბე ვუთხრათ?! ისინი ხომ ნამდვილი გმირები, სამშობლოს ერთგული შვილები არიან. ბევრმა სიცოცხლეც გასწირა. თქვენ კი გინდათ მათი სახელები ჩირქმოცხებული, შერცხვენილი შემოუნახოთ შთამომავლობას...

სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ, რაც ქიქინაძეს საუკუნედ ეჩვენა, სასამართლო გამოვიდა, არც ტრიბუნალის წევრები, არც ბრალდებული აღარ დამსხდარან.

თავმჯდომარემ ხმამაღლა დაიწყო განაჩენის კითხვა. ქიქინაძე ფეხზე იდგა, თავმჯდომარეს დაძაბული უსმენდა, მაგრამ ყურები ისე უწიოდა, მისი წაკითხულიდან ვერაფერს გებულობდა. მხოლოდ ეს გაიგონა გარკვევით: „მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა!“

ბიბლიოთეკა

თვალთ დაუბნელდა, მაგრამ ეს იყო წამიერად. თითქოს ვიღაცამ ყურში ჩასძახა: რას გაჩერებულხარ, ხმა ამოიღეო და მან მთელი ხმით დაიძახა:

— იცოდეთ, სიმართლე არ დაიკარგება. საბჭოთა მართლმსაჯულება გამოასწორებს შეცდომას, აღადგენს ჭეშმარიტებას. და ქართული ბატალიონის მებრძოლთა თავგანწირვა, საბჭოთა ერებისადმი ჩვენი ულალატო ხალხის ერთგულებისა და თავდადების მღალადებელი დიადი მაგალითი იქნება!..

მართლაც, ამ საბედისწერო დღიდან რამდენიმე წლის შემდეგ ასრულდა კაპიტან ქიქინაძის სიტყვები. საბჭოთა მართლმსაჯულებამ გამოასწორა შეცდომა, აღადგინა ჭეშმარიტება; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა უსამართლო განაჩენი შეცვალა, კაპიტან ვიქტორ ქიქინაძისა და მისი ერთგული თანამებრძოლების სრული რეაბილიტაცია მოახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო შადური

# ნ. გ. ჩერნიშევსკი და „თერგდალეულები“

ნ. გ. ჩერნიშევსკი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ, იგი ძლიერ დაინტერესებული იყო ჩვენი მხრით და ეცნობოდა მას წიგნებისა და ქართველ მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობის საშუალებით. მეტიც, იგი დიდი ყურადღებითა და თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს თბილისურ გამოცემებს და ზოგიერთ მათგანზე ფრიად საყურადღებო რეცენზიებიც დაწერა. ასე, მაგალითად, როცა 1855 წელს თბილისში ამიერკავკასიის პირველი ლიტერატურული ალმანახი „ზურნა“ გამოიცა, ჩერნიშევსკი მას ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ბოლო წლების მანძილზე თბილისში საკმაოდ გაცხოველდა კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების მაჯისცემა, გამოჩნდნენ შესანიშნავი მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ეპოქის განწყობილებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ზურნაში“ რუსი და აზერბაიჯანული მწერლების ნაწარმოებების გვერდით გამოქვეყნებული იყო რაფ. ერისთავის, ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ცისკარიშვილისა და მელანია ბაღრიძის მოთხრობები.

როგორც ცნობილია, რაფიელ ერისთავი იყო არა მარტო ნიჭიერი მწერალი, არამედ მრავალმხრივად განსწავლული მეცნიერიც. ცნობილია აგრეთვე, რომ თავის ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს იგი წერდა და აქვეყნებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. ნ. ჩერნიშევსკი ინტერესით გასცნობია რაფ. ერისთავის გამოკვლევას თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ, რომელიც 1855 წელს გამოქვეყნდა „რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ჩანაწერებში“. დიდმა რუსმა მეცნიერმა და მწერალმა ამ გამოკვლევას თავის რეცენზიაში ფრიად მაღალი შეფასება მისცა. იგი წერდა, რომ რაფ. ერისთავის გამოკვლევას „კაპიტალური შრომის ღირსება აქვს“, რომ იგი „დიდად საინტერესო აღწერილობაა ორი ტომისა — კერძოდ ფშავის და ხევსურეთის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრების“. ჩერნიშევსკი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს რაფ. ერისთავის ნაშრომის შინაარსს და ქება-დიდებას ასხამს მას.

რეცენზიებით გამოეხმაურა ჩერნიშევსკი აგრეთვე თბილისში გამოქვეყნებულ ი. ბართლომეის „მოგზაურობას თავისუფალ სვანეთში“ და ე. ვერდერევსკის წიგნს, რომელშიაც აღწერილი იყო შამილის მიერ წინანდლიდან ტყვედ წაყვანა დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახთა წევრებისა.

დიდი რუსი მოაზროვნისა და კრიტიკოსის ინტერესი საქართველოსადმი შემთხვევითი არ ყოფილა, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ვ. ი. ლენინის სამართლიანი შენიშვნით, „სრულიად რუსეთის დემოკრატიულ-რევოლუციონერი“ იყო და თანმიმდევრულად იბრძოდა როგორც რუსი ხალხის, ისე იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების თავისუფლებისათვის. თავის შესანიშნავ ნაშრომებში („ანტროპოლოგიის პრინციპი ფილოსოფიაში“, „რასების შესახებ“, „ადამიანთა კლასიფიკაციის შესახებ ენების მიხედვით“, „ხალხთა შორის სხვაობათა შესახებ ეროვნული ხასიათის მიხედვით“, „ეროვნულ ენაზე ლიტერატურის გამოცემის შესახებ“ და სხვ. ჩერნიშევსკი ასაბუთებდა ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას და ცდილობდა და-

ერსშმა მათი მოწინავე ძალები სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამიტომ მას ბელადად მიიჩნევდა არა მარტო მოწინავე რუსი ახალგაზრდობა, არამედ ქართველი სამოციანელებიც.

* * *

ჩვენი თემა მეტად ფართოა და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა „თერგდალეულთა“ პირადი კავშირ-ურთიერთობა ჩერნიშევსკისთან, რუსი გენიოსის გავლენა მათს მსოფლმხედველობაზე, ქართველ სამოციანელთა მიერ ჩერნიშევსკის იდეებისა და თხზულებების შემოქმედებითად ათვისება, მათი გამოცემა, პოპულარიზაცია და სხვა.

ეს საკითხები ცოტა თუ ბევრად გაშუქებულია ჩვენს ლიტერატურაში. ჯერ კიდევ 1928 წელს, ჩერნიშევსკის დაბადებიდან ასი წლისთავთან დაკავშირებით სიმონ ხუნდაძემ შესანიშნავი წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“. ამ წერილში მოტანილ ცნობებსა და აზრებს ხშირად იმეორებდნენ (სამწუხაროდ, ზოგჯერ წყაროს დაუსახელებლად) და ახალი მასალებით ავსებდნენ სხვა მკვლევარები.

აქ მკითხველს მხოლოდ ძირითად ცნობებს შევახსენებთ.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 50-60-იანი წლებში საქართველოში არ იყო არც უმაღლესი სასწავლებლები არც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ხოლო რუსეთში ამ დროისათვის მეცნიერებამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ ისეთი კოლოსალური ნახტომი გააკეთა, რომ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მთელს მსოფლიოში. გაცხოველებული კულტურული ცხოვრების და რევოლუციური აზრის ცენტრი გახდა პეტერბურგი, სადაც თავმოყრილი იყო რუსული საზოგადოების საუკეთესო ძალები, სადაც გამოდიოდა რევოლუციური დემოკრატების ორგანო „სოვრემენიკი“, სადაც მოღვაწეობდა რუს რევოლუციონერთა მეორე თაობის აღიარებული და საყვარელი ბელადი ჩერნიშევსკი.

პეტერბურგი, რომელიც „რუსეთის მოაზროვნე თავი“ გახდა, თავისკენ იზიდავდა იმპერიის მოწინავე ადამიანებს. გასაკვირი არ არის, რომ ორმოცდაათიანი წლების დამლევისათვის ქართველი ახალგაზრდობა მასობრივად დაიძრა „ჩრდილოეთის პალმირისაკენ“. მათთვის სანატრელ ოცნებად იქცა სახელგანთქმულ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა. არაერთ მათგანს გადაულახავს მრავალი წინააღმდეგობა და დაბრკოლება, რათა სანუკვარი მიზნისათვის მიეღწია — დასწაფებოდა ცოდნის წყაროს „თავისი სულიერი წყურვილის მოსაკლავად“ (ი. ჭავჭავაძე); მაშინ მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში ოცდაათზე მეტი ქართველი ჭაბუკი სწავლობდა, სწორედ პეტერბურგში. ბატონყმობის და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩერნიშევსკისა და მისი თანამოაზრეების მწვავე ბრძოლის ატმოსფეროში, აღიზარდა ქართველ სამოციანელთა („თერგდალეულთა“) შესანიშნავი პლეადა — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეები, კირილე ლორთქიფანიძე და ქართული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ისინი არა მარტო ზარბად ეწაფებოდნენ მოწინავე რუსულ მეცნიერებასა და რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, არამედ პირადი ურთიერთობაც ჰქონდათ ჩერნიშევსკისთან და სხვა სახელოვან რუს მოღვაწეებთან.

ქართველ სამოციანელთა პირად კავშირ-ურთიერთობაზე ჩერნიშევსკისთან თვითონ ისინი მოგვითხრობენ.

„ქართველ სტუდენტთა წრე, — იგონებდა მოგვიანებით ი. ისარლიშვილი, — რომელთა შორის იყვნენ ისეთი პირები, რომლებმაც შემდეგში მეტად დიდი როლი ითამაშეს კავკასიაში პერიოდული გამოცემების დაარსების საქმეში და საერთოდ გამოცოცხლება შეიტანეს კავკასიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძლიერ მიისწრაფოდა „სოვრემენიკის“ რედაქციისაკენ. ის გულლია მოპყრობა და დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენ ჩერნიშევსკის ოჯახში ვხვდებოდით, ზოგიერთ ჩვენთაგანს ძლიერ გვიტაცებდა საღამოებზე, რომლებსაც ექსპრომტად აწყობდნენ ამ ოჯახში, ჩვენ ჩვეულებრივად მივდიოდით ხოლმე საღამოობით ჩაიზე, როდესაც სახლში გვხვდებოდა ოლღა სოკრატის ასული (ნ. გ. ჩერნიშევსკის მეუღლე) თავისი დით, დროს ვატარებდით უბრალო საუბარში... ცოლიც და ქმარიც დიდი ყურადღებით გვეპყრობოდნენ ჩვენ. ხანდისხან გვეწვეოდნენ ხოლმე ჩვენ, რათა სადმე წავეყვანეთ. ერთხელ, როგორც მახსოვს, ჩერნიშევსკები ჩემთან ამოვიდნენ მეოთხე სართულზე. ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალ და მომქმედ ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება.

იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც ჩერნიშევსკების ოჯახში დადიოდნენ, მე მახსოვს: ნ. ი. ნიკოლაძე, გ. ე. წერეთელი, ნ. ვ. ღოღობერიძე, ლ. ვ. ღოღობერიძე. ეჯუბოვი და სხვანი... სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით ბ. ლ. ღოღობერიძე ხშირად თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან. „სოვრემენიკის“ ჯგუფის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა აგრეთვე ქართველი სტუდენტი კირილე ლორთქიფანიძე...“

აქ ჩამოთვლილ პირებს უნდა დაემატოს

ილია ჭავჭავაძე, რომლის ჩერნიშევსკისთან ნაცნობობის შესახებ ცნობილმა კრიტიკოსმა, ხომლელმა (რომანოზ ფანცხავამ) შემდეგი ცნობა შემოგვინახა:

„მაშინდელი საუკეთესო ჟურნალი „სოვრემენიკი“ და მისი შესანიშნავი ეკონომისტი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვის და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვამს, იმას ქადაგებდა, რომ ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო...“

ქართველი ჭაბუკები, რომლებიც იმპერიის დედაქალაქში სწავლობდნენ „რევოლუციური სიტუაციის“ დროს, „აზრთა დუღილის“ პერიოდში, თავიანთ სულიერ წყურვილს იკლავდნენ არა მარტო პეტერბურგის უნივერსიტეტში. მათთვის თავისებურ „უნივერსიტეტებს“ წარმოადგენდა აგრეთვე ჩერნიშევსკის ოჯახი, ჟურნალი „სოვრემენიკი“ დ სტუდენტთა დემონსტრაცია, ისინი აქტიურად ჩაებნენ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოძრაობაში.

„სექტემბრის 24... სასადილოში შემოვიდნენ, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, — ორივე ლოლობერიძე — ნ. ბ. და ბ. ლ. მათ ვადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა დემონსტრაციაზე გამოდის და ჩვენც გამოუკლებლივ უნდა მივიღოთ მონაწილეობა... შეუძლებელია ქართველები ჩამორჩენ, როდესაც ყველა ხათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებენო... ნიკოლოზ ლოლობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, ხახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა“.

ცნობილია, რომ 1861 წლის სექტემბრის გრანდიოზული დემონსტრაცია ჩერნიშევსკის გავლენით მოხდა, რომ „სტუდენტთა მოძრაობასთან დაკავშირებით ბ. ლ. ლოლობერიძე ხშირად თათბირობდა ჩერნიშევსკისთან, ანტონოვიჩთან და ელისეევთან“ (ი. ისარლიშვილი), რომ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ნ. ნიკოლაძემ, ვ. წერეთელმა, კ. ლორთქიფანიძემ, ლოლობერიძეებმა. ი. ისარლიშვილმა და სხვებმა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მაშინ ქართველი ახალგაზრდობა, რუსი სტუდენტობის მხარდამხარ პირველად გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზე ცარიზმის წინააღმდეგ იმპერიის ცენტრში და ამ გამოსვლისათვის ციხეც იგემა.

ფრიად საყურადღებოა, რომ დემონსტრაციისა და საპყრობილის შემდეგ ქართველმა ჭაბუკებმა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარეს ჩერნიშევსკისთან. მემუარული ლიტერატურიდან ვიცით, რომ ჩერნიშევსკის მეუღლე შობის დღესასწაულის წინ ნიკო ნიკოლაძეს სწვევია, სამასკარადოდ ჩოხა უთხოვნია და წასვლისას უთქვამს: ჩოხისთვის ხვალ გვეწვიეთ, „მე თქვენ ჩერნიშევსკის გაგაცნობთ“. „მე არ მჯეროდა ჩემი ბედნიერება, — წერს ნ. ნიკოლაძე, — სიხარულისაგან კინაღამ გონება დავკარგე. როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ვეღირსე, შემდეგ საღამოს. ისინი ცხოვრობდნენ ვლადიმირის ქუჩაზე, სობოროს გვერდით. სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის, დიასახლისი ასხამდა ჩაის, მხოლოდ თვით ჩერნიშევსკი კი ოთახში არ იყო — ოლღა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმარნი... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები“...

შემდეგ ნიკოლაძე დაწვრილებით აღწერს ჩერნიშევსკისთან შეხვედრას და წერს, რომ თანდათან „სხვა ქართველ სტუდენტების მსგავსად, რომელნიც ყოველდღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაურდი“.

ეს კავშირ-ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიდა პავლოვსკში, სადაც ჩერნიშევსკის ოჯახი და ქართველი ახალგაზრდები დასასვენებლად ჩავიდნენ 1862 წლის გაზაფხულზე. ნ. ნიკოლაძე იგონებს, თუ როგორ უზიარებდა იგი პავლოვსკის პარკში ჩერნიშევსკის მეუღლეს თავის „ნაფიქრს სადღეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირბოროტო საკითხების შესახებ. ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზე“. ხოლო როცა ჩერნიშევსკი პეტერბურგიდან პავლოვსკში ჩადიოდა, „მაშინ მეც უფრო ხშირად ვხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს მეტადრე მაშინ, როცა ოლღა სოკრატის ასულის თხოვნით დავბინავდი მათ აგარაკზე და დავდექი მეზონინში მის ძმასთან ერთად, რომელიც იმ დროს ჩამოუვიდათ სარატოვიდან“.

ნიკოლაძე დაწვრილებით გადმოგვცემს ჩერნიშევსკისთან შეხვედრებს, მის გარეგნობას, ლაპარაკის მანერას, მის აზრებს სხვადასხვა საკითხებზე და წერს: „ჩვენი სტუდენტები ხშირად ნახულობდნენ ჩერნიშევსკის ოჯახს, მეტადრე როცა თითონ ჩერნიშევსკი ჩამოვიდოდა ხოლმე პეტერბურგიდან. გაიმართებოდა მაშინვე საუბარი და გამოკითხვა უკანასკნელი ამბებისა, რეფორმებისა და პოლიტიკის შესახებ“.

ირკვევა, რომ ქართველებიდან ჩერნიშევსკისთან მეტად დაახლოებული ყოფილან აგრეთვე ლოლობერიძეები, რომლებიც სტუდენტთა მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდნენ (ბესარიონ ლოლობერიძე სტუდენტთა კომიტეტის წევრიც იყო) და ჟანდარმერიის განსაკუთრებულ სიაში იყვნენ შეტანილი. ლოლობერიძე დასახელებულია იმ „საეჭვო

პირთა“ შორის, რომლებიც „შენიშნულნი იყვნენ სტუდენტთა არეულობაში, კოსტომაროვის ლექციაზე დემონსტრაცია მოაწყვეს, იცნობენ ჩერნიშევსკის და ეჭვი არსებობს, რომ მათ შეადგინეს ნაბეჭდი მოწოდება პავლოვის სასარგებლოდ“.

ამ საკმაოდ ცნობილი დოკუმენტის გარდა არქივმა შემოგვინახა დასმენები, რომლებსაც ჩერნიშევსკიზე, „შიმაგრებული“ ჯაშუშები ყოველდღიურად აწვდიდნენ მთავრობას (1861 წლის შემოდგომიდან დაპატიმრების დღემდე). ამ დასმენებში ღოღობერიძის გვარი ხშირად გვხვდება იმ „საეჭვო პირთა“ შორის, რომლებიც ჩერნიშევსკისთან დადიოდნენ და თათბირობდნენ. ჯაშუში მოითხოვდა ზედამხედველობის დაწესებას აგრეთვე ჩერნიშევსკის მეუღლეზე, რომელიც საიდუმლოდ 1862 წლის გაზაფხულზე პავლოვსკში გადავიდა.

ეს ცოცხალი ურთიერთობა შეწყდა 1862 წლის 7 ივლისს, როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, ციმბირში გადაასახლეს და ოცი წლით ჩამოაშორეს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებას. ქართველი ახალგაზრდობა, რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან ერთად, დიდად განიცდიდა თავისი ბელადის იზოლირებას. „მე საშინელმა სევდამ შემიპყრო, — იგონებდა ნ. ნიკოლაძე, — მე ისევ ჩემს პატარა ოთახში გადავედი. კითხვა არ შემეძლო, წამდაუწუმ ხან ამხანაგებთან ერთად და ხან მარტოდ-მარტო დავდიოდი ხან კოლპინოში, ხან პულკოვოში... ვეძლეოდი ფიქრებს იმ საბედისწერო საკითხების გამო, რომელნიც ჩემთვის აუხსნელი დარჩა...“

ამგვარად, ჩვენს სამოციანელებს მეტად მჭიდრო და ცოცხალი პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ჩერნიშევსკისთან, რომლის ოჯახში ისინი თავს „შინაურად გრძნობდნენ“.

უდავოა აგრეთვე დიდი რუსი მოაზროვნისა და მწერლის იდეური გავლენა „თერგდალეულთა“ მსოფლმხედველობაზე. მისი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ესთეტიკური, ეთიკური და სხვა იდეების უდიდესი როლი და მნიშვნელობა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის პროგრესისათვის. ჩვენ ამ საკითხების განხილვას ვერ შევუდგებით. ისინი სპეციალურ გამოკვლევებს იმსახურებენ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველაზე უფრო ავტორიტეტული და მხურვალე აღიარება იმ ცხოველმყოფელი ზეგავლენისა, რაც ჩერნიშევსკიმ, პროგრესულმა რუსულმა ლიტერატურამ და მეცნიერებამ მოახდინა „თერგდალეულებზე“, მათ მოგონებებსა და წერილებშია მოცემული; აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რადგან ჩერნიშევსკის ხსენება, მისი დაპატიმრების შემდეგ, აკრძალული იყო პრესაში, ქართველი სამოციანელები იძულებული იყვნენ მასზე გვარის დაუსახელებლად ეწერათ.

ჯერ ილია ჭავჭავაძის თხზულებებს მივმართოთ. ფართოდაა გავრცელებული მისი შემდეგი გამონათქვამი:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არცერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედა, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილია, თვითეულს ჩვენთაგანს მის გამონაკვეთზედ აუგიათ თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონაკვეთის მიხედვით გამოურჩევია“.

მასალის შესწავლა გვიჩვენებს, რომ „რუსულ ლიტერატურას“ ილია უწოდებდა არა კლასიცისტურ-სენტიმენტალურ, კონსერვატიულ-რომანტიკულ და რეაქციულ-შოვინისტური მიმართულებებს, არამედ იმ „მაგისტრალურ ხაზს“, რომლის წარმომადგენლები იყვნენ პუშკინი, ჩერნიშევსკი და სხვა ბუმბერაზები. სწორედ ამ პროგრესულ მწერლობას გულისხმობდა ი. ჭავჭავაძე, როცა სწერდა:

„რუსეთის მწერლობა იმდენად ღირსშესანიშნავია, რამდენადაც ღირსშესანიშნავია თვით რუსეთის ცხოვრება. მისი ჭკუისა და აზრის მიმართულება და წარმატება. რაც ხეირიანი და გამოსადეგი რამ აბადია რუსულს აზრს და ჭკუა-გონებას, არსებობს სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებში. ეს არის რუსის საზოგადოების აღმზრდელი და, იმავე დროს, მისის სურვილისა და მიდრეკილების გამომთქმელი.“

ეს სიტყვები ენათესავებიან ჩერნიშევსკის ცნობილ აზრს, რომელიც მან „გოგოლის პერიოდის რუსული ლიტერატურის ნარკვევებში“ ასე ჩამოაყალიბა: „ლიტერატურა ჯერჯერობით მოიცავს ხალხის თითქმის მთელ გონებრივ ცხოვრებას“.

ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად იცოდა, თუ რა როლი შეასრულა ჩერნიშევსკიმ რუსული ცხოვრებისა და ლიტერატურის განვითარებაში. სამოციან წლებში — წერდა ილია, — „ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს... ახლად თვალხილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავის ყოფა-ცხოვრების თირკმლები, შიგნეულობა, ნახა რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეგუბებია. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისი სნეულების სათავე — თვითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი ამ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა: ამ არსებულის უარყოფამ წამოიყვანა იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე... ამ ახალი მიმართულების მესვეური იყო ხალხოვანი „სოვრემენიკი".

ილია სამართლიანად მიუთითებდა, რომ ისტორიამ ანალოგიური მოვალეობა დააკისრა ქართველ სამოციანელებს, რომლებმაც შემოქმედებითად აითვისეს და გამოიყენეს უარმყოფელობის „არსებითი ძარღვი", „სოვრემენიკის" მესვეურთა ხაზი, რუსეთის „ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდნენ ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინეს ზოგი იმისი ღირსება-ნაკლოვანება და ამათ აღძრეს ის დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი".

ილია ჭავჭავაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ ჩერნიშევსკი და სხვა მოწინავე რუსი მწერლები გამოირჩეოდნენ ჯანსაღი პატრიოტიზმით, ჭეშმარიტი სიყვარულით საკუთარი სამშობლოსადმი და პატივისცემის გრძნობით სხვა ხალხების, კერძოდ ქართველი ხალხის მიმართ. ამიტომ, — წერდა „თერგდალეულთა" ბელადი, — „ჩვენც დიდი პატივისცემა გვაქვს რუსული ლიტერატურისა, მით უფრო, რომ მისთა უკეთესთა წარმომადგენელთაგან გრძნობა ადამიანის ღირსებისა აღიარებულია საქვეყნოდ დიდსა და მცირეშიაც, მდიდარსა და გლახაკშიაც, ბატონსა და ყმაშიაც, თავადსა და გლეხშიაც; ყველგან იგი კაცსა ხედავს და კაცსა სცემს პატივსა".

გასაკვირი არაა, რომ ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა ესოდენ ჯანსაღი ჰუმანურ-ინტერნაციონალური და განმათავისუფლებელი იდეების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც სხვა „თერგდალეულები", პეტერბურგშივე, თავისი მასწავლებლის მსგავსად, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიმსჭვალენ საკუთარი ხალხისა და სამშობლოს წინაშე და სტუდენტობის დროიდანვე ჩაებნენ მშობლიური ხალხისა და კულტურის პროგრესისათვის ბრძოლაში.

ტყუილად კი არ მიაჩნდა ილიას პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებული ოთხი წელი „ოქროს წლებად", „ცხოვრების სამირკვლად", „ცხოვრების წყაროს სათავედ".

* * *

არანაკლებ მღელვარებითა და სიყვარულით იგონებდა „ჩერნიშევსკის პეტერბურგში" გატარებულ დროს ნიკო ნიკოლაძე.

„წარმოიდგინე, მკითხველო, — წერდა იგი, — რომ ეს პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი გამიცნია, სადაც პირველად აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და მძლავრი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულს".

„რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენიკის") ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებითა და აჩქარებით, რა სიხარულით და დაულალავად დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას, რანაირად გვიფეთქდა მაშინ ჩვენ გული, გვიღელავდა გრძნობა და გვეწოდა ტვინი და გონება, რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის, ზამთრის ღამე გვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების ხჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია. ვინ დათვლის ამ ხანგრძლივი ბედნიერების, აღტაცების, ტვინის წვალებისა და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაივიწყებს მათ ხანიადაგოდ გულში ჩაჭედილს კვალს".

ქართველ მოღვაწეთაგან ყველაზე მეტად ნიკო ნიკოლაძე იყო ჩერნიშევსკისთან დაკავშირებული. იგი მისი იდეების მქადაგებელი და პროპაგანდისტი იყო. ამის შესახებ მეფის მთავრობამაც კარგად იცოდა. ჟანდარმერიის ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია:

„ნიკოლაძე ჩერნიშევსკის ქება-დიდებას ასხამს, ყველაზე მაღლა აყენებს და აღიარებს, რომ იგი მთლიანად გამსჭვალულია ჩერნიშევსკის იდეებით, რომ არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ დაბადებულა ისეთი ადამიანი, ისეთი ტალანტი, როგორიც არის ჩერნიშევსკი".

ჩერნიშევსკის ღრმა გავლენის კვალი ამჩნევია ნიკოლაძის პირველსავე ნაწარმოებებს, რომლებიც რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ბეჭდვითი ორგანოებში ქვეყნდებოდა სამოციან წლებში. საკმარისია გავიხსენოთ „პეტერბურგის მხარეზე (ნარკვევები სტუდენტთა ცხოვრებიდან)", რომელიც ქართველმა პუბლიცისტმა ჩერნიშევსკის დაპატიმრებისთანავე დაწერა და ჟურნალ „ისკრაში" გამოაქვეყნა 1862 წელს (№ 11-12); „სოვრემენიკში" 1864 წელს (№ 8) დაბეჭდილი ნიკოლაძის ნახევრად პუბლიცისტური მოთხრობა „პროვინ-

ციული სურათები", გერცენის „კოლოკოლში" 1865 წელს მოთავსებული წერილები („გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", „თბილისიდან", „ივნისის დღეები თბილისში" და სხვ.), ჟენევაში, თავისუფალ რუსულ სტამბაში 1866 წ. ცალკე წიგნად გამოცემული „მთავრობა და ახალი თაობა" და სხვ.

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი დაუღალავად ეწეოდა თავისი რუსი მასწავლებლის შრომების პოპულარიზაციას.

ვინაიდან რუსეთში ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემა შეუძლებელი იყო, ნ. ნიკოლაძე, რუს რევოლუციონერ ემიგრანტებთან ერთად, მათ გამოცემას ხაზღვარგარეთ იწყებს, ჟენევაში 1867 წელს ცალკე წიგნად გამოდის ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?", ხოლო მომდევნო წელს — მის თხზულებათა პირველი ტომი. ამ საქმის მთავარი ინიციატორი და შესავალი წერილის ავტორი იყო ქართველი პუბლიცისტი, რომელმაც თავის მიზნის განსახორციელებლად დიდი წინამძღოლი მუშაობა ჩაატარა; 1880 წელს, როცა რუსეთი პუშკინის ძეგლის გახსნისათვის ემზადებოდა, ნ. ნიკოლაძემ ხატოვად გაკიცხა რეაქციონერთა ცილისმწამებლური მტკიცებანი, თითქოს რუსი რევოლუციონერი დემოკრატები პუშკინის მნიშვნელობას უარყოფდნენ. წერილში „პუშკინის როლი და მნიშვნელობა" ნიკოლაძე ხამოთვლიდა ჩერნიშევსკის შრომებს (ავტორის დასახელების გარეშე) დიდ პიეტეტზე და წერდა, რომ ამ შრომებში „არა ერთხელ და არა მეტრეულად არის ლაპარაკი პუშკინის უდიდეს მნიშვნელობაზე და ლაპარაკია ისე გულმხურვალედ, ისე გულწრფელად, ისე აღტაცებით, როგორითაც ხაუბრობა ოდესმე შეხძლება ჩვენმა რეაქციულმა პრესამ".

ცნობილია აგრეთვე, რომ ნ. ნიკოლაძე თავგამოდებით იბრძოდა ჩერნიშევსკის გადასახლებიდან განთავისუფლებისათვის, ხოლო როცა 1882 წ. მიზანს მიაღწია, შესანიშნავი წერილი დაწერა სათაურით: „ჩერნიშევსკის განთავისუფლება", რომელიც ცენზურამ არ გაუშვა, რადგან წერილის დასაწყისშივე ავტორი ასეთი სიტყვებით მიმართავდა მკითხველს:

„მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან საუბრის დაწყება შემიძლია ჩვენს გაუხარებელ ცხოვრებაში მომხდარ სახიხარულო ამბავით: — ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებაზე", და შემდეგ: „ნ. გ. ჩერნიშევსკის ბედი კომმარად აწვა ყველას ხინდისს, ვინც ფიქრობდა მასზე ხვედრი. ახლა იგი შემსუბუქებულია, და მე მწამს, რომ ამ ცნობის მოსმენისას რუსული განვითარების და რუსული ლიტერატურის ყველა მეგობრის გული ღრმა და წრფელი სიხარულით აღივსება".

ნ. ნიკოლაძეს არასოდეს არ შეუწყვეტია ჩერნიშევსკისა და მისი ოჯახისათვის ზრუნვა. რუსმა ბუმბერაზმა კარგად იცოდა თავისი ქართველი მოწაფის ერთგულება და ამიტომ 1884 წელს სწორედ მას მიმართა თხოვნით — დახმარებოდა მის ვაჟს მიხეილს სამსახურში მოსაწყობად. წერილში ნათქვამი იყო:

„მოწყალეო ხელმწიფევ ნიკოლოზ იაკობის ძევ! ვფიქრობ, რომ თქვენ ჯერ ხავსებით არ დაგვივიწყებიხართ, კვლავ შევრჩენიათ ჩემდამი კეთილი განწყობილება და მოგმართავთ თხოვნით — დამეხმარეთ ისეთ საქმეში, რომელიც იმდენადვე უმნიშვნელოა გარეშე პირთა თვალსაზრისით, რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის. სახელდობრ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, მოაწყოთ ჩემი შვილი მიხეილი ბ-ნ პალაშკოვსკის, ან სხვა ისეთ პირთა საქმეში, რომელნიც თქვენს რეკომენდაციას პატივს სცემენ... ეს თქვენის მხრით ჩემდამი მნიშვნელოვანი დავალება იქნება.

ნ. ნიკოლაძემ დიდი სიამოვნებით შეასრულა თხოვნა. მის პასუხში ვკითხულობთ:

„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩემს თავს ჩავთვლი უსაზღვროდ ბედნიერად, თუ რითიმე მაინც გასიამოვნებთ ან სასარგებლო ვიქნები თქვენთვის ყოველივე იმის სამაგიეროდ, რითაც მე დავალებული ვარ თქვენგან ჩემი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრით. ყოველი თქვენი დავალება და მომართვა ჩემდამი მე მიმაჩნია და მუდამ მივიჩნევ ბედნიერ შემთხვევად, რომ ნაწილობრივ, იქნებ მაინც შევიმსუბუქო თქვენდამი ჩემი მოვალეობის ტვირთი".

ამ დროს ნ. ნიკოლაძე რკინიგზის სამმართველოში მუშაობდა და თავის მასწავლებლის ვაჟიც იქ მოაწყო სამსახურში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართველ პუბლიცისტს არც ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების შემდეგ (1889) შეუწყვეტია მის ოჯახზე ზრუნვა. როცა მიხეილ ჩერნიშევსკი 1905 — 1907 წ. წ. თავისი მამის თხზულებათა ავტორიზებულის გამოცემასთან დაკავშირებით სიძნელეებს წააწყდა, მან პირველ ყოვლისა ნ. ნიკოლაძეს მიმართა და ისიც სიამოვნებით დაეხმარა".

მეგობრობის ეს სამყაროვანი ტრადიციები ჩვენს დროში განაგრძეს და განავითარეს ნ. გ. ჩერნიშევსკის და ნ. ი. ნიკოლაძის შთამომავლებმა — ნინო მიხეილის ასულმა ჩერნიშევსკაიამ და რუსუდან ნიკოლოზის ასულმა ნიკოლაძემ.

* * *

შემოთმოტანილ ძირითადი ცნობების გარდა ჩვენთვის საინტერესო თემაზე, ცხადია, სხვა მასალებიც არსებობს, რომელთაგან ზოგიერთი მაინც არ შეიძლება არ გავიხსენოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, მაგალითად, აკაკი წერეთლის მიერ ჩერნიშევსკის უდიდესი როლის აღიარება იდეალისტური ხელოვნების წინააღმდეგ ბრძოლასა და რეალისტური პრინციპების დამკვიდრებაში. „სამოციან წლებში, — წერდა აკაკი,— როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესი და უნიჭიერესი წარმომადგენელნი ძირს ფეხს აღარ ადგამდნენ და მხოლოდ მიმოფრენდნენ ცის ლაჟვარდში, ცხოვრებისაგან მოსხლეტილნი, მაშინდელმა გამოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს... ცხოვრებას უნდა ემსახურებოდესო“...

ცნობილია აგრეთვე, თუ რა დიდი პოპულარობით სარგებლობდა „თერგდალეულთა“ და საერთოდ მოწინავე ქართველ მოღვაწეთა შორის ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?“ გავიხსენოთ, რომ თითქმის ამ რომანის გამოქვეყნებისთანავე (1868) ანტონ ფურცელაძე მისი უშუალო გავლენით წერს მოთხრობას „სამის თავგადასავალი“, ხოლო ნიკო ნიკოლაძეს 1871 წ. ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერში მოთავსებული თავის „საახალწლო წერილში ეპიგრაფად მოტანილი აქვს რომანის ადგილი, რომელშიც მომავალი სოციალური ცხოვრების იდეალია დახატული: „მომავალი ბრწყინვალეა, მშვენიერია, შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ იმისკენ, იმუშავეთ იმისათვის, რამდენიც შეგიძლიათ, გადმოიღეთ იქიდან ყოველივე ახლანდელი ცხოვრებისათვის“.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩერნიშევსკის იდეების და თხზულებების, მისი რომანისა და „სოვრემენიკის“ ცხოველმყოფელი გავლენა განიცადეს არამარტო სამოციანელებმა, არამარტო ილიას „საქართველოს მოამბემ“ და ნიკოლაძის „კრებულმა“, არამედ მომდევნო თაობებმაც. აი რას წერდა ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწე გ. მ. თუმანიშვილი:

„ჩერნიშევსკის გადასახლების დიდი ხნის შემდეგაც იგი ახალი თაობისათვის კავკასიაში, ისე როგორც სხვა ადგილებში, საყვარელ პიროვნებას წარმოადგენდა. გასული საუკუნის 70-იან წლებში გიმნაზიაში, სადაც მე ვსწავლობდი, როდესაც მოწაფეებმა დაიწყეს სალამოების გამართვა, პირველ ყოვლისა მათ წაიკითხეს რომანი „რა ვაკეთოთ?. და პისარევის წერილი ამ რომანზე. ნოვოროსიის უნივერსიტეტში ჩემი სტუდენტობის დროს კავკასიელ სტუდენტებს ჰქონდათ თავისი ბიბლიოთეკა, საკმაოდ მდიდარი მეცნიერული წიგნებით. ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ ერთი პორტრეტი, დიდი ჩარჩოებით ჩამოკიდებული კედელზე, და ეს იყო ჩერნიშევსკის პორტრეტი... და ეს სრულიადაც არ იყო რაღაც გამონაკლისი მოვლენა. ის სავსებით ეგუებოდა იმ საერთო თაყვანისცემას, რომლითაც შემოსილი იყო ჩვენში ჩერნიშევსკის სახელი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე გელფმანი

# „ჩვენი საერთო მეგობარი“

რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში სამარადისოდ არის აღბეჭდილი დიდი რუსი მწერლის ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეური თანამოსანგრის, იმავე დროს კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის უახლოესი მეგობრის გერმან ლოპატინის სახელი. იგი არაერთგზის იხსენიება მარქსისა და ენგელსის მიმოწერაში; მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ ამ კაცის ბედით „ხომ არ არის რაიმე ცნობა ჩვენს საერთო მეგობარზე“, — სწერდა 1881 წელს კარლ მარქსი ნ. ფ. დანიელსონს, „საერთო მეგობარს“ მარქსი უწოდებდა გ. ა. ლოპატინს, რომელიც იმ ხანებში დაპატიმრებული იყო იმის გამო, რომ სცადა მოეწყო ჩერნიშევსკის გაქცევა გადასახლებიდან. ფრ. ენგელსი იმავე დანიელსონს 1885 წელს ლოპატინის შესახებ სწერდა: „იმედი მაქვს, ჩვენი საერთო მეგობრის ჯანმრთელობა უმჯობესდება, მიუხედავად მისი ექიმების არახელსაყრელი პროგნოზებისა. მე ძალიან გამიხარდება, მის შესახებ რაიმე ცნობა რომ მივიღო“.

შესანიშნავი რუსი რევოლუციონერი გერმან ალექსანდრეს ძე ლოპატინი, პირველი ინტერნაციონალის გენერალური საბჭოს წევრი, უაღრესად აქტიურ როლს ასრულებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში. იგი დაძაბულად მუშაობდა „კაპიტალის“ პირველ ტომზე და თარგმნა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იყო მარქსის ამ გენიალური ნაშრომის რუსულ ენაზე თარგმნის პირველი ცდა.

გ. ა. ლოპატინი ხშირი სტუმარი იყო კ. მარქსისა; მარქსი მას უყვარდა, როგორც მეგობარი, თაყვანს სცემდა როგორც მასწავლებელს და მამას: კ. მარქსი წერდა: — ლოპატინი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც მე განსაკუთრებით მიყვარს და პატივს ვცემ.

ლოპატინთან საუბრისას მარქსი ხშირად ახსენებდა ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელს. მას აინტერესებდა ყოველი წვრილმანი თვითმპყრობელობის ანგარიშსწორებისა უდიდესი რევოლუციონერი დემოკრატის, მოაზროვნისა და სწავლულის მიმართ, მისი შემდგომი ბედი. კ. მარქსის კაბინეტში, ბუხრის თავზე ნ. გ. ჩერნიშევსკის სურათი იდგა. გ. ლოპატინი სინანულით წერდა, რომ ჩვენ აქამდე ევროპას ვერ გავაცანით „ისეთი შესანიშნავი მოაზროვნე, როგორიც ჩერნიშევსკია. მისი პოლიტიკური სიკვდილი არის დანაკლისი არა მხოლოდ რუსეთის სწავლულთა სამყაროსათვის, არამედ მთელი ევროპისათვისაც...“[1]

ლოპატინმა მოულოდნელად დატოვა ლონდონი და თავისი მეგობარი მარქსი. იგი საიდუმლოდ დაბრუნდა რუსეთში იმ მიზნით, რათა გაეთავისუფლებინა ჩერნიშევსკი სატუსაღოდან. მანამდე მან მოაწყო პ. ლავროვის გაქცევა ვოლოგდის გადასახლებიდან. აზრი ჩერნიშევსკის ციხიდან გაქცევის ორგანიზაციისა ლოპატინს განსაკუთრებით გაუძლიერდა მარქსთან საუბრის შედეგად. „მაშინ, — ამბობდა ლოპატინი, — მე მწვავე სურვილი გამიჩნდა მეცადა დამებრუნებინა მსოფლიოსათვის ეს უდიდესი პუბლიცისტი და მოქალაქე, რომლის სახელითაც, იმავე მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა ამაყობდეს რუსეთი“.[2]

1870 წელს დეკემბერში ლოპატინი ენერგიულად მოქმედებდა პეტერბურგში და მალე გაემგზავრა ირკუტსკში იმ მიზნით, რომ განეხორციელებინა თავისი სანუკვარი ოცნება —

---

[1] გ. ა. ლოპატინი (1845-1918) ავტობიოგრაფია, წერილები და ლექსები, ბიბლიოგრაფია. 1922 წ. გვ. 71.

[2] იქვე გვ. 72.

გაეთავისუფლებინა ჩერნიშევსკი. იგი გამოცდილი და დახელოვნებული იყო რთულ პირობებში საიდუმლო გაქცევის ორგანიზაციისა.

ირკუტსკში ლოპატინი საზრიანად ამზადებდა ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმეს. მაგრამ ყველაფერი ფუჭი იყო, ჟანდარმერიის მესამე განყოფილებამ თავისი საზღვარგარეთელი აგენტების საშუალებით უკვე იცოდა ლოპატინის რუსეთში დაბრუნების მიზანი ერთითვის შემდეგ იგი შეიპყრეს. ეს იყო 26 წლის მამაცი ჭაბუკის მეოთხე პატიმრობა.

ლოპატინის 1871 და 1872 წლის ორი გაბედული გაქცევა ციხიდან გამოირჩეოდა მახვილგონიერებით და ლეგენდარული გამბედაობით. ამ გამბედაობით აღტაცებული იყო რუსი რევოლუციონერების მრავალი თაობა.

ლოპატინს დიდად აღელვებდა ბედი „მეორე განსაკუთრებით საინტერესო ლიტერატორის“ — ათანასე პროკოფის ძე შაპოვისა. ეს იყო მე-19 საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მონაწილე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, რომელიც აგრეთვე ირკუტსკში იყო გადასახლებული.

ჩერნიშევსკის და შაპოვს ლოპატინმა მიუძღვნა დიდი ნაწილი ვრცელი წერილისა, — „ირკუტსკიდან“, რომელშიაც გულისტკივილით წერდა მათი მძიმე დღეების შესახებ ციმბირის გადასახლებაში. ირკუტსკში ლოპატინი დაუახლოვდა შაპოვს. იგი გამუდმებით ურჩევდა მას საზღვარგარეთ გაქცეულიყო. ლოპატინი წერდა, რომ „შაპოვი ძალიან მერყეობდა, მისი ცოლი კი მიზანშეწონილად მიიჩნევდა გაქცევას, მას უმძიმდა იმის ყურება, თუ როგორ იღუპებოდა ტყუილუბრალოდ ასეთი შესანიშნავი ადამიანი“.[3]

ლოპატინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შაპოვი სისტემატურად ტრიალებდა „სოვრემენნიკის“ თანამშრომელთა წრეში, რომელსაც ჩერნიშევსკი მეთაურობდა. იმ ეპოქას ვ. ი. ლენინი „ჩერნიშევსკის ეპოქას“ უწოდებდა.

აი ასეთი დიდბუნებოვანი ადამიანი იყო გ. ა. ლოპატინი; ასეთ ადამიანებს მიჰყავდათ წინ რევოლუციური მოძრაობის საქმე. მისი თაოსნობა, — გაენთავისუფლებინა ჩერნიშევსკი, — მიუხედავად იმისა, რომ ეს ცდა მარცხით დამთავრდა — იყო თავგანწირვისა და კეთილშობილების ბრწყინვალე მაგალითი. გაითვალისწინეთ, რა საშინელ და მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა ამ ადამიანებს; ვ. ი. ლენინი წერილში „ჰერცენის ხსოვნას“ აღნიშნავდა:

„როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, საზიზღარი ლიბერალი კაველინი წერდა: „დაპატიმრებანი მე აღმაშფოთებელი არა მგონია. რევოლუციურ პარტიას მიაჩნია, რომ მთავრობის დასამხობად ყველა საშუალება კარგია, მთავრობა კი თავს იცავს თავისი საშუალებებით“. ხოლო ჰერცენი თითქოს იმ კადეტს უპასუხებდა, როცა ჩერნიშევსკის გასამართლების გამო ამბობდა: „აქ კი უბადრუკი ადამიანები, ქონდრისკაცები, ჭიაღუა ადამიანები ამბობენ, რომ არ უნდა ვლანძღავდეთ ავაზაკთა და არამზადათა იმ ხროვას, რომელიც ჩვენ გვმართავსო“.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის. იგი წერდა: — „...ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“.

ლენინი ჩერნიშევსკის უწოდებდა გენიალურ შორსმჭვრეტელს. ჯერ კიდევ 1894 წელს თავის წიგნში „რანი არიან „ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, ლენინი წერდა:

„საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი, გაეგო, რომ უკვე მაშინ რუსეთის „საზოგადოებასა“ და „სახელმწიფოში“ მეფობდნენ და მმართველობდნენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი მშრომელებისადმი და უეჭველად წინასწარ განსაზღვრავდნენ გლეხობის გაჩანაგებასა და ექსპროპრიაციას“.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ჩერნიშევსკის რომანის — „რა ვაკეთოთ? — უდიდეს მნიშვნელობას რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის. ამ წიგნის გავლენით ათასობით ადამიანი გახდა რევოლუციონერი, სახალხო საქმისათვის თავდადებული მებრძოლი.

საბჭოთა ადამიანები პატივს სცემენ ჩერნიშევსკის ნათელ ხსოვნას; „მთელი მისი ცხოვრება იყო უდიდესი გმირობა, — აღნიშნავს აკად. მ. ვ. ნეჩკინა წერილში „ჩერნიშევსკის გმირობა“, — ეს გმირობა განუყრელად ეკუთვნის რუსეთს, მთელ საბჭოთა ხალხს და მთელ მოწინავე კაცობრიობას“...

---

3 იქვე, გვ. 96.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლომიძე

# მწერალი და მოქალაქე

## ბესარიონ ჟღენტის დაბადებიდან 75 წლისთავის გამო

ბესარიონ ჟღენტს მე ვიცნობდი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე და მუდამ მაოცებდა მისი ერთი ურყევი თვისება: დაუდგრომლობა, ცხოვრების შუაგულში ყოფნის მუდმივი სურვილი, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის ნებისმიერ კუთხეში გამგზავრებისათვის მზად ყოფნა, თუკი საქმე ეხებოდა საბჭოთა ხელოვნების, მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ბედიღბალს. ჩვენ ხშირად, ასე ვთქვათ, შეუბრალებელნი ვიყავით მისადმი, ვაკისრებდით უამრავ, სხვადასხვა მოვალეობას. ბესოც, რომელიც ენერგიის, სიცოცხლის სიყვარულის განსახიერება იყო, ხალისით ეკიდებოდა ამ დავალებათა მთელ გროვას. მას შეუძლებლადაც მიაჩნდა უარი ეთქვა იმაზე, რასაც თხოვდნენ მეგობრები, რომლებიც არც თუ ყოველთვის ზოგავდნენ მას. იგი გაჩენილი იყო უწყვეტი ქმედებისათვის, ბრძოლისათვის, პოლემიკისათვის, იმ ზნეობრივ ფასეულობათა გაშმაგებული მტკიცებისათვის, რომელთა დაცვა თავისი, როგორც პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა.

იგი იყო დიდად ვაჟკაცური და უშიშარი ადამიანი. მე მოწმე ვიყავი მისი ურიცხვი გამოსვლებისა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე თბილისში, მოსკოვში, კიევში, დუშანბესა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში. გვიზიდავდა ჩვენი ძვირფასი ბესოს აზროვნების მასშტაბურობა, ლიტერატურის მრავალრიცხოვანი ფაქტების ცოდნა, მისი უნარი — კულტურის მრავალგვაროვან მოვლენათაგან გამოეყო მთავარი კვანძები და მათზე მიეპყრო ყურადღება, თავისი მხურვალე, მგზნებარე ტემპერამენტი.

ბესო იყო ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი, დიდებულად ერკვეოდა ეროვნული კულტურის დიალექტიკის უფაქიზეს საკითხებში. იგი ვერ ითმენდა კონიუნქტურის მოყვარულთ, ეროვნულ ნიჰილისტებს, რომლებიც დამახინჯებულად, გაუბრალოებულად განმარტავდნენ ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის თანაფარდობას კულტურაში. იგი, როგორც უშიშარი რაინდი, ხმალამოწვდილი ებრძოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ვულგარულად გაგებული ინტერნაციონალიზმის სახელით ეწეოდნენ ეროვნულ კულტურათა, ეროვნული ენების გაუქმებისაკენ მოწოდებებს. ბრწყინვალე, გესლიანი ირონიით, საუცხოოდ დასაბუთებული არგუმენტებით, ეროვნებებსა და ეროვნულ კულტურათა შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაყრდნობით, იგი ამსხვრევდა ვულგარიზატორთა არამყარ, ყალბ მოსაზრებებს, დიდის გზნებით იცავდა ჭეშმარიტ ეროვნულ უჭკნობ ფასეულობებს.

იგი ძალიან უყვარდათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ლიტერატურათმცოდნეებსა და კრიტიკოსებს. მას ყველა იცნობდა, აფასებდნენ ბესარიონის პრინციპულობას, პატიოსნებას, შეუპოვრობას, ნიჭიერებას, გონებამახვილობას, მის ელვარე, განუმეორებელ ორატორულ ხელოვნებას. მეგობრების მიმართ იგი იყო კეთილი, ალერსიანი, გულისხმიერი, გულღია. ჩემი იუბილეს დღეს, 1974 წლის ოქტომბერში, ბესო მოსკოვში ჩამოფრინდა და ჩემს მიმართ წარმოთქვა გულთბილი, მეგობრული, ალერსითა და სიყვარულით სავსე

სიტყვა. ხშირად შევხვედრივართ მე და ბესო, მრავალი საუბარი გვქონია ჩვენ სრულიად სხვადასხვა თემაზე. ჩვენ ორივეს გვახარებდა შეხვედრა, ძმურად გადავეხვეოდით ხოლმე ერთიმეორეს. ჩვენს მეგობრობას ამაგრებდა ისიც, რომ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის განვითარების, ეროვნულ კულტურათა ბედიღბლის უმნიშვნელოვანეს საკითხებში ჩვენი შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვეოდა, ჩვენ ერთნაირად ვფიქრობდით, თუმცა არც ვეთათბირებოდით და არც ვუთანხმებდით ერთმანეთს საკუთარ აზრებს და პოზიციებს.

ბესო არაჩვეულებრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული კაცი იყო. მას შეეძლო გაცილებით მეტი დაეწერა, ვიდრე მან დაწერა. მისი კალამი შესაშურად მსუბუქად, მოხდენილად, სწრაფად მუშაობდა. ჩვენ, ვიცნობდით რა ბესოს გულისხმიერებას, მის დაუცხრომელ ბუნებას, ხშირად ბოროტადაც ვიყენებდით ამას. ბესოსათვის უცხო იყო უარზე დადგომა. იგი თვითონ წვავდა საკუთარ თავს, სიამოვნებას, სიხარულს, კმაყოფილებას პოულობდა ადამიანებთან ურთიერთობებში, იმის შეგნებაში, რომ აკეთებდა რაიმე საჭიროს, აუცილებელს, კარგს სხვებისათვის თუნდაც საკუთარი ჯანმრთელობისა და შემოქმედების საზიანოდ. იგი მარჯვედ ეკიდებოდა საქმეს, მზად იყო გადაფრენილიყო ჩვენი ქვეყნის მავან კუთხეში, მონაწილეობა მიეღო ნებისმიერ კონფერენციაში, დისკუსიაში, სიმპოზიუმში, თუკი საქმე ეხებოდა მშობლიური ლიტერატურის, მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ბედიღბალს.

იგი იყო მშრომელი, დიდად მომხიბვლელი და მიმზიდველი ძალის ადამიანი.

ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, მკვლევარი, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა მშობლიური ლიტერატურისათვის, არ ილვწოდა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მოპოვებისათვის. ბოლოს, როცა სამართლიანობამ გაჭრა და უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმმა მას დისერტაციის დაუცველად ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მე სხდომაზე დავურეკე ბესარიონ დავითის-ძეს. იგი მეტად აღელვებული, გრძნობამორეული იყო და ჩემდამი სამუდამოდ დავალიანებულად თვლიდა თავს, თუმცა უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმის სხდომაზე, ბესარიონ დავითის-ძის პიროვნებისა და მოღვაწეობის დახასიათებისას, პრეზიდიუმის არცერთ წევრში არ აღძრულა რაიმე ეჭვი. იგი ერთხმად დაამტკიცეს. მას იცნობდნენ, მის შესახებ ბევრი რამ კარგი გაეგონათ იმ მეცნიერებსაც კი, რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო ფილოლოგიურ მეცნიერებასთან.

ჩვენ უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს 1976 წლის ივნისში, სსრკ მწერალთა მეექვსე ყრილობაზე. ჩემამდე უკვე მოეღწია შემაშფოთებელ ხმებს ბესარიონის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. როგორც კი შევხვდი გრიგოლ აბაშიძეს, მაშინვე ვკითხე — ბესო ჩამოვიდა თუ არა მეთქი? ბესო კი თურმე თითქმის ჩვენს გვერდით იჯდა. ჩემი ხმის გაგონებისთანავე, ბესომ, გახარებულმა წამოიძახა: „გოგი, აქა ვარ, გენაცვალე!“ ჩვენ ძალიან გულთბილად გადავეხვიეთ ერთიმეორეს, ბესო შეცვლილი, საგრძნობლად მოტეხილი მეჩვენა. შევეკითხე მისი ჯანმრთელობის შესახებ. მან მისთვის ჩვეული ომახიანობით მიპასუხა: „დავაღწიე თავი, ყველაზე ცუდი მგონი უკან ჩამოვიტოვე!“ ბესომ შემომთავაზა ერთად გვესადილა „არაგვში“. მე გუნებაზე ვერ ვიყავი. მძიმედ იყო ავად ჩემი მეუღლე დარია დავითის-ასული, რომელსაც ბესო კარგად იცნობდა და დიდ პატივს სცემდა. თავად განწირული, ბესო ძალზე შეწუხდა ჩემი მწუხარების გამო. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით იმ იმედით, რომ არაერთხელ გვექნებოდა საშუალება შეხვედრისა, მეგობრული საუბრებისა.

ძალიან მძიმე იყო ჩემთვის იმის გაფიქრება, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა, ბესო მალე გამოგვეცალა. დაეცა მრავალფეხოვანი, ტოტებმოშრიალე მუხა. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია მთელი საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურისათვის, რომელიც მას თავდადებით უყვარდა და რომელსაც უკლებლივ მიუძღვნა თავისი მგზნებარე, დიდი და დაუღალავი შრომით აღსავსე ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა დოლონაძე

# ჟანრობრივ-სტილისტური ძიებანი ქართულ დრამატურგიაში

## თამაზ ჭილაძის პიესები

გმირის იდეურ-საზოგადოებრივი მრწამსი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა დრამაში. იგი მუდამ იყო გმირის ხასიათის განმსაზღვრელი და მოქმედების განვითარების სტიმულის მიმცემი ფაქტორი, წინათაც სიუჟეტის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ელემენტს შეადგენდა. მაგრამ ჩვენს საუკუნეში გაცილებით გაიზარდა გმირის იდეურ-საზოგადოებრივი მრწამსის ფუნქცია, იგი თანამედროვე დრამატურგიაში მოქმედების წამყვან ბერკეტად იქცა და თანდათან გაბატონდა დრამის სტრუქტურულ აღნაგობაზე.

თანამედროვე თეატრში იდეოლოგიური პლანის გამძაფრებამ მოითხოვა დრამის ტრადიციულ სტრუქტურაში ეპიკური ელემენტების შეტანა: შენელებულობა, მოქმედების დამუხრუჭების ტენდენცია, სუსტი კავშირი შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებს შორის, ფაბულაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დარღვევა და ერთიმეორის განგრძელებელ მოვლენათა შორის „წმინდა იდეური" სცენების ჩართვა. ეპიკური ელემენტების საშუალებით ძლიერდება ე. წ. ორპლანიანობა, გმირებს კი უფრო ფართო ასპარეზი ეძლევათ თავიანთი ხასიათები გადაგვიშალონ მრავალმხრივი ურთიერთობის რთულ სიუჟეტურ სიტუაციებში. სინთეზური დრამა უფრო მასშტაბურად ასახავს რეალური ცხოვრების საზოგადოებრივ ტკივილებს, მწვავე ფსიქოლოგიურ კოლიზიებს, კიდევ უფრო დაძაბულია ვნებათა და გრძნობათა ჭიდილი, საცნაურია მოქმედ პირთა დაუოკებელი სწრაფვა განსაზღვრული მიზნისაკენ. იდეურ-მხატვრული პლანი „უჩინარი მდინარებით" ნიადაგ გაულენას ახდენს მეორე პლანზე — სიუჟეტურ-ფაბულარულ ამბებზე — და მის დინამიურობას დაძაბულობას მატებს, ყველა მომენტი მოქმედების ორბიტშია მოქცეული და ემსახურება საწყისი სიტუაციის გახსნას, რომელშიც ჩანასახით არის მოცემული მოქმედების მასაზრდოებელი კონფლიქტების მუხტი, რის გამოც დრამა გამძაფრებული იდეური ბრძოლის არენად წარმოგვიდგება.

ქართულ ხელოვნებაში ამ სახის ძიებისა და სინამდვილის მრავალმხრივი წარმოსახვის რთული პროცესი გამოთიშული არ ყოფილა რუსული და მსოფლიო ხელოვნების აღმავლობისაგან; პირიქით, მჭიდრო კავშირში იყო და საკუთარი ეროვნული თვითმყოფობით ეხმიანებოდა მას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ეპიკური ნაკადის ცალკეული შტრიხები შეინიშნება ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებში. ამას ცხადყოფს ამ პიესებში მოქმედების ადგილების აღწერა. ისინი თითქოს უშუალოდ იჭრებიან მოქმედებაში და თავიანთი სახეობრივი ხედვით მხატვრული სიმბოლოების მთაბეჭდილების მომხდენ მეორე პლანის ატმოსფეროს ქმნიან: პიესებში იზრდება რემარკების ხვედრითი წონა, ისინი განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მოქმედების გამძაფრებისათვის; საგრძნობლად გაფართოებულია პროლოგისა და ეპილოგის დანიშნულება, ასევე გაზრდილია ექსპოზიციის როლი, მას-

ში მკვეთრად მოჩანს საკვანძო კონფლიქტების სათავეები, რომლებიც შემდგომ მოქმედებაში გადაიზრდებიან.

ქართულ პიესებში ეპიკური ნაკადის შემოჭრის ცალკეული ცდების მიუხედავად, დრამატურგები ძირითადად რჩებიან ტრადიციული დრამის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ ტრადიციული დრამის ჩარჩოებში დრამატურგებმა — პ. კაკაბაძემ, შ. დადიანმა, ს. შანშიაშვილმა, მ. მრევლიშვილმა, ლ. გოთუამ, ვ. გაბესკირიამ, იონა ვაკელმა, მ. ბარათაშვილმა, კ. ბუაჩიძემ გ. ნახუცრიშვილმა დამაჯერებლად ასახეს გმირის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ფიქრები, გრძნობები, მათი დამოკიდებულება პოეტურად გააზრებული უტყუარი სინამდვილისადმი, ნიშანდობლივი ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებით.

განახლებისა და ძიების მჩქეფარე ნაკადის მდინარება 60-იან წლების ქართულ დრამატურგიაში სათავეს იღებს ამავე დროის ქართული პროზიდან — სწორედ ქართული პროზის ნიჭიერმა თაობამ იკისრა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. ქართულმა დრამატურგიამ ბევრი რამ მიიღო პროზისაგან მემკვიდრეობად სინამდვილის ასახვის რთული ფორმების მიგნებასა და განვითარებაში. და თუ დღეს ქართულ თეატრში საგრძნობლად ფართოდ წარმოისახება ადამიანი მისთვის ნიშანდობლივი წინააღმდეგობებით და სინამდვილესთან რთული დამოკიდებულების ნიუანსებით, თუ გმირობის ტრადიციულ გაგებას ახალი მოთხოვნილებებით ავსებენ — ამაში უთუოდ დიდი დამსახურება მიუძღვით კ. ლორთქიფანიძეს, ნოდარ დუმბაძეს, არჩილ სულაკაურს, რ. ჯაფარიძეს, მერაბ ელიოზაშვილს ოტია იოსელიანს, გურამ ფანჯიკიძეს, თამაზ ჭილაძეს და სხვა.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში თ. ჭილაძის პიესებმა შემოიტანეს დრამის სინთეზური ფორმა და სინამდვილის ასახვის ინდივიდუალური სტილისტური თავისებურება.

თ. ჭილაძის პიესებში კვლევის მთავარ თემად აღებულია ცხოვრებისეული სიმართლისადმი ადამიანის მოქალაქეობრივი დამოკიდებულება და ამ სარბიელზე ქცევის მოტივები ინტელიგენტი პიროვნებისა, რომელიც ყოველდღიური საზრუნავების რკალშია მოქცეული. უფრო სწორად, ორივე პიესის — „მკვლელობა“ და „დავიწყებული ამბავი“ — კონფლიქტის ხასიათს განსაზღვრავს ზნეობის სამსჯავროზე გამოტანილი პრობლემა — საზოგადოების წინაშე ინდივიდის პირადი პასუხისმგებლობა. ავტორის აზრით, ნამდვილი მოქალაქე არასოდეს არ უნდა ახშობდეს საკუთარი სინდისის ხმას, არც ერთ სიტუაციაში არ უნდა მკარგავდეს რწმენას, რომ ის ადამიანია; სწორედ ამ ასპექტშია გახსნილი სიმართლესთან პიროვნების დამოკიდებულების პრობლემა და პერსონაჟების ხასიათები. — თ. ჭილაძის პიესებში პერსონაჟები ხაცნაურობდიან, რა სიძნელეები ელობება სიმართლის გამარჯვებას, ისინი მსჯელობენ, რა ძნელია სიმართლის გამარჯვება, ადამიანები როგორ ცდილობენ ილუზორიულ სფეროს შეაფარონ თავი და ბოლოს იმასაც ცხადჰყოფენ, რომ, როგორი დაბრკოლებაც არ უნდა გადაელობოს ადამიანს სიმართლის ძიების გზაზე, მაინც ხმა უნდა აიმაღლოს სინამდვილის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

თამაზ ჭილაძე თანმიმდევრობით იკვლევს პიროვნების მოქალაქეობრივ ღირსებას, მის ჭეშმარიტ მოწოდებას და ამის ფონზე — პიროვნების ქმედობის არსს რამეთუ პიროვნება სწორედ ქმედობაში გამოხატავს თავის თავს, თავის მეობას, ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებს. ადამიანი მისი საქმიანობის უნარით ფასდება, ხოლო მეშჩანურობივატელურ სამყაროსთან ბრძოლაში მოქალაქეობრივ აქტიურობას გადამწყვეტი როლი ენიჭება. ამ თვალსაზრისით ხელმძღვანელობს თ. ჭილაძე ადამიანის მორალური თვისებების შემოწმებისა და მასში პირადი პასუხისმგებლობის გაღვიძების მიზნით და სწამს, რომ ადამიანის შემართებას შეუძლია უარყოფითი სიტუაციის შეცვლა.

ავტორი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ისეთ მომენტებზე, როცა გმირი მოქმედების მოქალაქეობრივი უფლებით არის მოსილი, მაგრამ არ იყენებს ამ უფლებას, არ ებრძვის ბოროტებას.

თამაზ ჭილაძე, ერთი მხრივ, გვიჩვენებს სიტუაციას, რომელიც ასაზრდოებს პიროვნების ნებისყოფის თავისუფლებას თანამედროვე საზოგადოების განვითარების მოწინავე ტენდენციებით, მეორე მხრივ, ნეგატიურ სიტუაციას, რომლის შეცვლის უფლებამოსილება გმირის მთავარი მოწოდებაა.

თ. ჭილაძის პიესების გმირები ამ ორი სიტუაციის ტყვეობაში არიან, ნათელისა და ჩრდილის ზღვარზე დგანან და რატომღაც უპირთ არჩევანის მოხდენა. ამიტომ ორივე პიესაში წარმოდგენილია მიძინებული და ტკივილებით გამოღვიძებული სინდისის დრამა.

თ. ჭილაძის პერსონაჟებისათვის მთავარი დამაბრკოლებელია ყოველდღიური ცხოვრებისეული საზრუნავი, ეს ტვირთი მძიმეა და, ვინც მის ზიდვას უპატიოსნოდ გადაწყვეტს, ნეგატიური მოვლენების მარწუხებში აღმოჩნდება უთუოდ. ავტორი ამ პოზიციიდან უყურებს თავის გმირებს და უარყოფითი პერსონაჟების მთელ გალერეას ხატავს. ისინი თავს არიდებენ ცხოვრებისეულ სიძნელეებს, ეშინიათ არ დაჰკარგონ საკუთარი კეთილდღეობა და სიმშვიდე და ბრმად მიჰყვებიან ყოველდღიურობის მდინარებას, რის გამო გულქვა, ყველა-

ფრის მიმართ გულგრილნი ხდებიან, რაც მათ ირგვლივ ხდება და რაც მათ პირად კეთილდღეობას საფრთხეს არ უქმნის. ისინი მეტწილად პირადი ცხოვრების მოწყობაზე ფიქრობენ, მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ, მათში თანდათან იხშობა მოქალაქეობრივი საწყისი, თავიანთი პირადულით ისინი საერთო-საზოგადოებრივ ინტერესებს ეთიშებიან და საქმოსნობისა და მოხერხებულობის მოლიპულ გზას მიჰყვებიან. ასეთები არიან გაიოზი („მკვლელობა") და ნოდარი („დავიწყებული ამბავი"). ისინი ნივთიერი გარემოს მეშჩანური სულით დაავადებული ადამიანები არიან, მათ ცნობიერებაში პროზაული სამყაროს პრაქტიციზმს ჩაუკლავს ცხოვრებისადმი მოქალაქეობრივი დამოკიდებულების მრწამსი. მათში ობივატელური სამყარო გამოცალკევებულია სულიერისაგან. ისინი საგნებს სულიერ არსებებად აღიქვამენ, მათი ღმერთები საგნებია, და ველარ ამჩნევენ, რომ ამ საგნებს სულიერად გამოუფიტავთ — ნოდარი საკუთარი ბინის კეთილმოწყობით არის გატაცებული, გაიოზი კი საჩუქრებით თავბრუს ახვევს სალომეს ოჯახის წევრებს.

თ. ჭილაძე აანალიზებს უარყოფითი ადამიანების ფსიქოლოგიას, ამხილებს მათ და საზოგადოებისათვის შეგნებულად ზიანის მიმყენებლებად ნათლავს, რადგან სიცრუესა და შემგუებლობაში იმდენად დახელოვნებულან, რომ უჩინრად ატარებენ პირმოთნეობის სოციალურ ნიღაბს, ოსტატურად შეზრდიან ამ ნიღაბს და ველარ ეთხოვებიან. ავტორს სწორედ ამ ადამიან-ნიღაბთან ბრძოლა მიაჩნია ყველაზე ძნელ საქმედ, რადგან ამისთანების ანკესზე ადვილად წამოეგებიან ხოლმე სუსტი, უხერხემლო ადამიანები.

სოციალური ნიღბის თემა თ. ჭილაძის პიესებში წინა პლანზე დგას. ავტორის აზრით, სოციალური ნიღაბი ადამიანის გაორებული ბუნების ანარეკლია. თუ ნიღაბი, ერთი მხრივ, პერსონაჟების ნამდვილ ფიქრებს მალავს, მეორე მხრივ, სამზეოზე გამოაქვს მათი თვალთმაქცობა შესაბამისად იმისა, ამა თუ იმ სიტუაციაში ცხოვრებიდან რა სარგებლობას მოელიან ისინი.

თ. ჭილაძის უარყოფითი პერსონაჟები ამბიციით შეპყრობილნი არიან. ისინი თავის ირგვლივ ჰქმნიან მოჩვენებით ილუზორულ სამყაროს, საზოგადოებას გულშემატკივარი და მზრუნველი ადამიანების ნიღბით ევლინებიან. მაგალითად, გაიოზი ყველას ხიბლავს, იგი სალომეს ყვავილებს, ბრილიანტებს და ძვირფას სამკაულებს უგზავნის, მის ძმას დახმარებას ჰპირდება ბინის მიღებაში, ზრუნავს ელისაბედის მეუღლის საფლავის კეთილმოწყობაზე, სიგარეტებს უგზავნის საჩუქრად ძია აბესალომს, წარმოიდგინეთ, უყურადღებოდ შინამოსამსახურე დარიკოც კი არ სტოვებს. გაიოზისათვის იოლია სათნოების და კეთილშობილების ნიღბით ილუზორული სამყარო — შექმნა, ამით იგი იმდენად თავბრუს ახვევს სრულიად უცხო ადამიანებს, რომ არავის უჩნდება სურვილი გაერკვას, ვინ არის სალომეს ეს უცნაური საქმრო? რატომ იჭრება მათ ცხოვრებაში? თვითეული მათგანი მოხიბლულია გაიოზის სითბოთი და ყურადღებით იმიტომ, რომ ყოველი მათგანი საჭიროებს რაღაც ადამიანურ სითბოს...

ილუზორული სამყაროს შექმნა, პირადი გამორჩენის მიზნით შეგნებულად მისით ხარგებლობა და სხვების შემარიგებლური დამოკიდებულება ამ „რეალობისადმი", თ. ჭილაძის პიესებში უდიდეს ბოროტებად წარმოჩინდება.

თ. ჭილაძის პიესებში ყოველი პერსონაჟი წარმოდგენილია სიმართლის ზნეობრივი ძიების პლანით. ნოდარი კი სულაც არ ისწრაფვის ნამდვილი სიმართლის შეცნობას, მას სრულიად არ აწუხებს ანას ზნეობრივი გვემა, ის ამბავი, რომ იგი ჩამოშორდა საზოგადოებრივსასარგებლო შრომას; თავისი პიროვნების მიღმა მომხდარ ამბების მიმართ ნოდარი გულგრილია, ხოლო მოქალაქეობრივი ტკივილების საკუთარ ტკივილებად შეგრძნების უნარი დაკარგული აქვს. უსამართლობის მიმართ ყურდახშობილია, ასეთივეა სალომეც. არც ის ცდილობს დაინახოს გაიოზის ნამდვილი სახე, ისიც მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე ოცნებაში ატარებს დღეებს: „დე ვიყო ბრმა, ყრუ, არაფერი ვიცოდე, ოღონდ ბედნიერი ვიყო", — ამბობს სალომე.

თ. ჭილაძე იმ პასუხისმგებლობაზეც მოგვითხრობს, რომელიც პატივმოყვარეობაში ჩაფლულ ინტელიგენტს დაუკარგავს ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე. ასეთი ინტელიგენტის სახეა რეზო. გადამწყვეტ წუთებში გამოჩენილი უგერგილობის გამო, რეზოსათვის ჭეშმარიტების ძიება თვითგვემად გადაქცეულა. ის ცდილობს გაერკვეს, რატომ აღმოჩნდა ცოდვილის როლში, და იმ დასკვნამდე მივა, რომ ვერავითარი ტაქტიკური მოსაზრებით ადამიანი პირად პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის საკუთარი სინდისის წინაშე. მძიმეა ტვირთი ცალკე ადამიანის ზნეობრივი თავისუფლებისა, თუ ნიადაგ საკუთარი სინდისი არ აძლევს მას მხაჯულად; რეზომ პატივმოყვარეობის გამო ყოველგვარი მსხვერპლი გაიღო, მაგრამ ნამდვილ ბედნიერებას მაინც ვერ მიაღწია. რეზო მარტოხელაა, მან დაკარგა საყვარელი არსება, ის უძლურია, აღარაფერი არ შეუძლია შეცვალოს და შველას სხვაში ეძებს: „შენ შეგეძლო დაგებრუნებინა ჩემი თავი ჩემთვისო", ეუბნება ანას, როცა ყველაფერი უკვე დაგვიანებულია.

თ. ჭილაძის დადებითი პერსონაჟებია გოთიგო („მკვლელობა"), და მაიე („დავიწყებუ-

ლი ამბავი"). გიორგი მებრძოლი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს. მას თავის სიმართლეში ეჭვი არ ეპარება. ბოროტებასთან პირისპირ შეჯახებისას გიორგი პატიოსან და პრინციპულ მოქალაქედ რჩება, მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ მისი მოქალაქეობრივი ძალა საკმარისი არ არის ბოროტებასთან საბრძოლველად. მან ვერ გააღვიძა პასუხისმგებლობის გრძნობა ობივატელში; უსინათლო მათე კი კონფლიქტში არ მონაწილეობს. ნიადაგ ზის სცენის კუთხეში, უხილავი სინდისივით, ყველა სიტუაციის მოწმეა, მაგრამ ეს სინდისი ბრმაა. მათე, მოსამართლის მსგავსად, აჯამებს პიესის მნიშვნელოვან ეპიზოდებს და მხოლოდ სიტყვიერი მსჯავრის გამოტანით კმაყოფილდება: „ცუდია, როდესაც კაცი თავის საქმეს არ აკეთებს, კალიასავით სულ გადახტომაზე რომ ფიქრობს", — ამბობს ის, მაგრამ კალიასავით მხტომელებს ამით ბევრი არაფერი აკლდებათ.

ასევე მარტონი არიან პოლიკო და მარინე, თუმცა მათი გული სათუთად დაატარებს ცხოვრებისეულ სიმართლეს.

ამგვარად, თ. ჭილაძის პიესებში არიან ადამიანები, ხმას რომ იმაღლებენ უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, მაგრამ ერთ-ერთი პერსონაჟისა არ იყოს, „მარტო კაცი ჭამაშიაც ცუდოაო".

თ. ჭილაძის პიესებში ახალგაზრდა გმირებს არ სურთ ბრმად ირწმუნონ უფროსი თაობის ცხოვრებისეული გამოცდილება, არ უნდათ იხელმძღვანელონ მზამზარეული ეთიკური ფორმულებით, წინამორბედ ისტორიულ პერიოდში რომ ჩამოყალიბდა. კანონზომიერია ამ ახალგაზრდების (გურამი, მარინე, პოლიკო და სხვები) გაკვირვება იმ მოქალაქეობრივი გულგრილობით, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც ყოფიერებაში, ისე საზოგადოებრივ ინსტიტუტებში გაბატონებული უსამართლობის მიმართ. მაგრამ მარტო გაკვირვება ავტორს საკმარისად არ მიაჩნია ბოროტების აღსაკვეთად. თ. ჭილაძე ამ ახალგაზრდების ხასიათებში მერყეობასა და დაეჭვებას ამჩნევს, ისინი საკუთარი ძალებით ვერ გაუმკლავდებიან საზოგადოებრივ გულგრილობას, ესოდენ ზიანი რომ მიაყენა მაღალი ადამიანური იდეალების დამკვიდრებას.

„— ეს არ არის წარმოუდგენელი, რომ ლექტორს მატრიკულში ფულს უდებდნენ და ისე გითვლიდეს საგანს? ექთანი მორფს რომ ყიდის? მატარებლის ბილეთს წვალებით რომ შოულობ და ვაგონი ნახევრად ცარიელი რომ გხვდება? — ჩივის მარიკა.

— „მერე სად არის მილიცია?" — ეხმიანება აბესალომი.

— „ჩვენ სადა ვართ, ეს ქვეყანა განა ჩვენი არ არის?" — აღშფოთებით პასუხობს მარიკა და პროტესტის ხმა აქ წყდება.

თ. ჭილაძემ დაგვანახა ახალგაზრდების თვითგაცნობიერება, მაგრამ პარალელურად ისიც გაგვიმხილა, რომ სინამდვილესთან შეჯახების დროს ისინი მოუმზადებელნი არიან: მათ დამოუკიდებლად არ შეუძლიათ მოაწყონ ცხოვრება, ძალა არ შესწევთ მოიპოვონ დამოუკიდებლობა, ისინი ადვილად ებმებიან გაიძვერებისა და საქმოსნების ანკესზე და ყრმობის წლებიდანვე იწყებენ იოლი გზებით სურვილების ასრულებას.

„დავიწყებული ამბავის" პერსონაჟს, ახალგაზრდა ქალიშვილს ეკას უჭირს ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნა, პროფესიის არჩევა, პირველი სიყვარულის განცდა; ადამიანური ურთიერთობის სიმართლეში გარკვევას იგი მოხუცებულ უსინათლო მათესთან მეგობრობით ცდილობს.

თ. ჭილაძის დრამატურგიაში მკვეთრად გაისმის პროტესტის ხმა მოქალაქეობრივი გულგრილობისა და უსულგულობის წინააღმდეგ და წინა პლანზე დგას პიროვნების უმაღლეს მოწოდების თემა, მისი შემოქმედებითი დამოკიდებულება ცხოვრებასთან.

საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებაში შენიშნული უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ მოქალაქეობრივმა აქტივობამ და უკომპრომისობამ, საერთო-სახალხო მნიშვნელობის კატეგორიების ზნეობრივ-მორალური შეფასების სურვილმა დაბადა თ. ჭილაძის პერსონაჟებში კამათისა და განსჯის სურვილი. პიესებში პერსონაჟები ბევრს დაობენ და ამ დავის თემაა სხვადასხვა საკითხების ფრიად ფართო წრე. ორივე პიესაში დავის წამოწყების კერა წინა ამბავშია. წინა ამბავი განაპირობებს პიესებში მიმდინარე მოქმედების მთავარ ძარღვს. იქ არის მოცემული პიესის დაწყებამდე ჩავლილი ამბები და შემთხვევები, რომლებიც შემდგომ პერსონაჟებში დავისა და პაექრობის მიზეზი ხდება. სწორედ ამით აიხსნება, რომ პიესების დაწყებისთანავე მკვეთრად მოჩანს პერსონაჟთა ურთიერთობის კონტურები, ხოლო საწყის სიტუაციაში ფაბულარული დეტალები სავსებით ნათლად არის წარმოსახული. ერთი სიტყვით, თ. ჭილაძის ყველა პიესა დრამატული სტრუქტურის დამახასიათებელი ელემენტით — წინა ამბავით იწყება და პიესა იმის გაგრძელებას წარმოადგენს. მაგრამ ფაბულისეული ქარგა, მეტწილად ყოფა-ცხოვრებით ამბებზე საუბრით რომ მიმდინარეობს, დანაწევრებული ხაზებით ვითარდება, და როცა პერსონაჟები ემოციურად დაძაბულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, წინა პლანზე გამოდის იდეოლოგიური პლანი, ე. ი. აზრის დაძაბულობის, საქციელის მოტივების განხილვას ეთმობა მთავარი ყურადღება.

„მკვლელობაში" წინა ამბავია გაიოზის მიერ გიორგის ოჯახის წევრებისათვის საჩუქრების გამოგზავნა. ჯერ არავინ იცნობს, ვინ არის

გაიოზი, სალომეს საქმროდ კია მონათლული, მაგრამ არავინ იცის, რა კაცია?

„დავიწყებულ ამბავში“ წინა ამბავია ანას მამის პროფესორ არჩილის გარდაცვალება და მისი ჩანთის დაკარგვა.

წინა ამბავი განაპირობებს პიესებში პერსონაჟების საქციელს. კომპოზიციურად საწყის სიტუაციაში, წინაამბავის კონტურზე იკვრება კვანძი და მისი გახსნა ფაქტიურად პიესის მეორე ნახევარში ხდება, ე. ი. როგორც დრამას სჩვევია, მოქმედება შემდგომში ვითარდება საწყის სიტუაციაში პერსონაჟების მოხაზული ურთიერთობის გამორკვევის ხაზით. გამორკვევა კი დავით, პაექრობით, ე. ი. ეპიკური დრამის ერთ-ერთი ჟანრული ფორმით მიმდინარეობს.

„მკვლელობის“ პირველ ეპიზოდებში რამდენიმე სიუჟეტური ნაკადი ისახება (სალომეს ურთიერთობა იდუმალ საქმროსთან, ცოლ-ქმარ მარიკასა და ბადრის დავა, აბესალომის დამოკიდებულება ნესტანთან და ელისაბედთან).

დასაწყისი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს სალომე-გაიოზის ურთიერთობა იქნება პიესის წამყვანი ხაზი, მაგრამ რაკი საქმრო მხოლოდ ფინალში გამოჩნდება, ფაქტიურად მათი ურთიერთობა არ ვითარდება. ამრიგად, არც ერთი სიუჟეტური ნაკადი მთავარ ხაზად არ იქცევა, მოქმედება პარალელურ კვანძებად ქუცმაცდება, და სიუჟეტი თითქოს დამოუკიდებელ ნაწილებად იშლება, ყოველივე ამის გამო მოქმედება შენელებულად, ეპიკური სიმშვიდით მიმდინარეობს, დრამატული დაძაბულობისათვის დამახასიათებელი სიმძაფრე არ გააჩნია და საბოლოოდ ყველა ამბავი და ეპიზოდი, ემოციურობის დონით, თანასწორუფლებიანად მოჩანს.

მოქმედების პარალელურ კვანძებად დაყოფა, სიუჟეტის ვახლეჩა დამოუკიდებელ ნაწილებად, ამბების თანამიმდევრობაში ბზარის შეტანა, სცენებს შორის მჭიდრო მიზეზშედეგობრივი კავშირის დარღვევა და ყველა ეპიზოდის თანასწორუფლებიანობა თ. ჭილაძის პიესებში ეპიკური ნაკადის გაძლიერების მაუწყებელია.

საყურადღებოა, რომ „მკვლელობის“ პირველ სურათში მოქმედება ძირითადად პირად ურთიერთობათა ფონზე იშლება, უმთავრესად ყოფა-ცხოვრებით პლანში ვითარდება: მეზობლები ნავის გასატან ფულს აგროვებენ. შინამოსამსახურე სადილს ამზადებს. სოფლიდან ჩამოსულია მეტად კოლორიტული ნათესავი. ოჯახის დიასახლისის, ტიპიურ მეშჩან ქალსა და მის მეუღლეს შორის დავა მიმდინარეობს შვილების აღზრდის თაობაზე. მოქმედება იწყება ოჯახური საუბრით, მშობლები ქალიშვილს ელაპარაკებიან საქმროს, გაიოზის შესახებ, რომელიც ჯერ არ გამოჩენილა მათ სახლში. ამ ოჯახური საუბრის კონტექსტში უკვე მძაფრად იგრძნობა საერთო პლანის — იდეოლოგიური პლანის შემოჭრა: ოჯახის უფროსი გიორგი შეშფოთებულია, რომ ოჯახის წევრები აღტაცებულნი არიან გაიოზის მიერ შორიდან გამოჩენილი ყურადღებით და ამ ყურადღების მიღმა არ იყურებიან — მათ ხომ თვალით არ უნახავთ გაიოზი, არ იციან, ვინ არის ივი, სად მუშაობს.

მეორე პიესის — „დავიწყებული ამბავის“ საწყისი სიტუაციაც ცოლ-ქმარის — ნოდარისა და ანას, აგრეთვე — რეზოსა და ანას, რეზოსა და ეკას ურთიერთობა ოჯახური საზრუნავების ფონზე იშლება და ამ ჩარჩოებს არ სცილდება. პირადული ამბები ვითარდება უაღრესად ინტიმურ პლანში. ნოდარი მყუდრო ოჯახურ ცხოვრებას ესწრაფვის, კეთილმოწყობილ ბინაზე ფიქრობს. ქმარი ცდილობს ცოლი ჩამოაშოროს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, სანუკვარ საქმეზე ხელი აალებინოს. მაგრამ ირკვევა, რომ ამ პირადი პლანის განვითარება ინტიმური ამბებით არ ამოიწურება, — თანდათან აშკარავდება, რომ თურმე საქმე ეხება ანას მწვავე ტკივილებს, მის მორალურ კაპიტულაციას, ე .ი. საზოგადოებრივი და პიროვნული ხასიათის ცხოვრებისეულ იდეალებზე ხელის აღებას.

ზოგად იდეოლოგიური პლანი ამ პიესაშიც თავიდანვე დაუფარავად იგრძნობა უსინათლო მოხუცებულ მათეს სცენებში. მის მიერ დროდადრო წარმოთქმულ სიტყვებში აშკარად გამოხატულია პოზიტიური შეხედულებები, რომლებიც კომპოზიციური მონაცვლეობით არის ჩართული შინაარსობრივად მდიდარ ფაბულარული დეტალების გამომხატველ სცენებში. ერთი სიტყვით, ამ პიესაში დასაწყისიდანვე მძაფრი იდეოლოგიური პლანი ინტიმურ ინტონაციებით შეფერილ და მკვეთრად გამოხატულ კერძო პლანს უპირისპირდება. ცოლ-ქმრის ნოდარისა და ანას დიალოგი, ანას სკოლაში მოშაობა თემაზე, ცხოვრებისეული შეხედულების გულწრფელი აღიარებასა და მოქალაქეობრივი პოზიციის გარკვევაში გადაიზრდება. „რა იქნები შენ ხუთი წლის მერე? — ამბობს ნოდარი — ბებრუცანა ქეთევანი რომ არის, გეოგრაფიის მასწავლებელი, აი ასეთი იქნები... პატივცემული მასწავლებელი, მეტი არაფერი. ცხოვრება კი მირბის, მაგრად უნდა ჩასჭიდო ხელი, მაგრად!“.

ანასა და რეზოს ინტიმურ საუბარს მყისვე ენაცვლება ეკასთან მათეს საუბარი ადამიანის ნამდვილი მოწოდების შესახებ, მის მოვალეობაზე ხალხის წინაშე, ე. ი. — ისევ იდეოლოგიური პლანი.

თ. ჭილაძის დრამატურგიული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია ეპიკური დრამისათვის ნიშანდობლივი კიდევ ერთი ნიშანი —

საწყის სიტუაციის უარყოფა, ანუ მისი მოხსნა იდეოლოგიური პლანის გავლენით.

„მკვლელობის“ ფინალში საწყისი სიტუაციიდან მომდინარე ფაბულისეული ელემენტების ნაკადი (სალომე — გაიოზის, — მარიკა — ბადრის, აბესალომ — ელისაბედის ურთიერთობა და მოქმედ პირებთან გაიოზის დამაკავშირებელი მოტივები) თითქმის მკარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას მოქმედებაში, ხოლო პერსონაჟები —პოლიკო და ნუციკო აღარც კი მოიხსენება პიესაში. ამ ნაკადს ენაცვლება მძაფრი იდეოლოგიური პლანი, რომელიც გიორგისა და გაიოზის შეჯახებით წარმოჩინდება.

იგივე სურათია „დავიწყებულ ამბავშიც“. აქაც სიყვარულსა და ოჯახურ კეთილდღეობაზე წამოწყებულ მსჯელობაში, საწყის სიტუაციაში რომ ვეცნობით, თანდათან მთავარი ყურადღება ექცევა პერსონაჟთა მოქმედების საზოგადოებრივ ხასიათს და როცა ეს მსჯელობა აშკარად გაღაიზრდება მოქმედ პირთა მორალური სახის განსჯაში, პიესის ინტიმურ ტონალობას თნდათან ენაცვლება იდეოლოგიური პლანი, რომელშიც პრაქტიციზმის ტიპიური წარმომადგენელი ნოდარი ისე მძაფრად შეუტევს ისედაც სუსტნერვებმლიან რეზოს, რომ მას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებში გარკვევის ძალაც აღარ შესწევს.

პიესის ფინალში ვგებულობთ, რომ რეზოსა და ანას ჩაშლილი სიყვარული კი არ ყოფილა წამყვანი ხაზი — ის ფაქტიურად უცვლელია— არამედ მათი საქციელის მორალური მოტივების გახსნა, ხოლო ანას პირადი ურთიერთობა რეზოსა და ნოდართან, ანდა ეკასი — რეზოსთან შემდგომ აღარ ღრმავდება, ახალ მიმართულებას ვერ იღებს, ადრინდელ ჩარჩოებში რჩება.

მაშასადამე, თ. ჭილაძის პიესების საწყის სიტუაციაში კერძო ხაზია წამყვანი — წინაამბავში მკვეთრად გამოხატული პირადი ურთიერთობანი, პიესის დაწყებამდე ჩასახული მოვლენები. მერე და მერე კი, როცა გმირები იწყებენ მორალურ ფასეულობათა ძიებას და ცდილობენ ცხოვრებაში თავისი ადგილის მონახვას, მოქმედება შეუმჩნევლად, სხვადასხვა სასიცოცხლო პრობლემებზე თანდათანობითი მსჯელობის ფონზე, გადაიზრდება პიესის მეორე ნახევარში და აქ უკვე გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს იდეოლოგიური პლანი და არსებითად ეს პლანი განსაზღვრავს პიესის დრამატულ სტრუქტურას. ამ მომენტიდან ყოველი სიუჟეტური ხაზი თანამიმდევრულად ემსახურება პერსონაჟების საზოგადოებრივი პრინციპებისა და მათი მოქალაქეობრივი რწმენა-შეხედულებების გამოვლენას, ხელს უწყობს გმირის საზოგადოებრივი პოზიციის ჩამოყალიბებას, ცხოვრებისადმი მის დამოკიდებულებას და მოქმედების განვითარებას მეორე პლანით, იდეოლოგიური პლანით, რომელიც პიესის ყველა პერსონაჟს ისეთ ორბიტში აქცევს, ისინი ისე იწყებენ მსჯელობას, თითქოს კონკრეტულ სიტუაციას განუდგნენო.

თ. ჭილაძის პიესებში ერთგვარად თავისებური ვარიანტით არის შემოთავაზებული დრამის მთავარი გვაროვნული თვისება — მოქმედების ერთიანობა, რომელიც ამბების თანმიმდევრულ განვითარებას გულისხმობს. სცენებს შორის არ არის მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ეს კავშირი დარღვეულია ეპიკური ჩანართებით, მთავარი სიუჟეტისაგან მოწყვეტილი სრულიად მოულოდნელი ეპიზოდებით, თ. ჭილაძის დრამატურგიაში საცნაურია ჩვენი საუკუნის ე. წ. „დიდი დრამის“ დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტები, რაც სინთეზური დრამის ძიებას ცდებზე მიგვანიშნებენ.

* * *

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ. ჭილაძის პიესების მთავარი სტილისტიკური ნიშანია დავა-კამათი, ხოლო მისი რეალიზაცია ხდება ნაირნაირი დიალოგიური ფორმების გამოყენებით. არსებითი მნიშვნელობა აქვს დავა-კამათს ნიუანსებით აღსავსე დიალოგებითურთ იმიტომ, რომ იგი ზოგჯერ კონფლიქტის ფუნქციასაც ითავსებს; თ. ჭილაძის პიესებში კონფლიქტი მიმდინარეობს საგანგებო დრამატულ კვანძის გამოუყენებლად, ღრმა შრეებში, პერსონაჟთა ცხოვრების გზა მოქმედების წიაღში ისე მიემართება, რომ ახალი კონფლიქტური დაპირკოლებები აღარ ჩნდება, ყველაფერი უკვე მომხდარია მოქმედების დაწყებამდე ბევრად ადრე, ცალ-ცალკე ეპიზოდებს თუ თვალს გავადევნებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ პიესის არსი, მისი მთავარი კონფლიქტი სიუჟეტში როდია, ე. ი. ფაბულარული დეტალებით კი არ არის გამოხატული, არამედ პერსონაჟების დავა-კამათში, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნით დაწერილ მწვავე დიალოგების ქვეტექსტში იმალება, უფრო სწორად, პერსონაჟების ხასიათების ხელოვნურ დეტალებში, ცხოვრების შესახებ გმირების მსჯელობებშია ჩართული და როცა დავა-კამათი მძაფრდება, მხოლოდ მაშინ ცნობიერდება ხოლმე კონფლიქტის არსი.

„მკვლელობა“ იწყება ოჯახის წევრების წამოწყებული დავით (უსიამოვნება და ახსნა-განმარტებები ცოლ-ქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, შვილებისა ერთმანეთთან, სიდედრსა და სიძესთან, ნუციკოსი გურამთან). მწვავე დიალოგებით დავვირისტებული ოჯახური დავა თანდათან გადაიზრდება იმ საკითხების ფიცხელ განხილვაში, რომლებიც თვითეული წევრის მორალურ სახესაც ამხელს და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში შემჩნეულ ნეგატიურ მოვლენებსაც. ბოლოს დავა კატეგორიული კამათის ფორმას იღებს და სერიოზულ კონფლიქტად ცნობიერდება გიორგისა და გა-

იოზს შორის. პატიოსანი კაცის — გიორგის უწმინდეს იდეალებს გაიოზის სახით უპირისპირდება მშრალი პრაქტიციზმისა და ობივატელობის ხორცშესხმული ძალა.

ასევე აგრძელებს თავის მხატვრულ ხაზს ავტორი „დავიწყებულ ამბავშიც" მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ დავა-კამათი პერსონაჟებს შორის კონფლიქტის ხასიათსაც განაპირობებს და მასთან თავისებურ ხერხსაც წარმოადგენს, რათა გმირი ჭეშმარიტებასაც ეზიაროს. მაგალითად, რეზოს დისკუსია ნოდართან გმირის თავისთავთან დავას უფრო ჰგავს, ყოველ შემთხვევაში ასე აღიქმება ეს დავა. ავტორი ნოდარის პიროვნებას უარყოფით პერსონაჟად წარმოგვიდგენს და, ამავე დროს,— ბოროტ სულად, რომელიც სადღაც როდი არსებობს, არამედ ყოველ ადამიანს აჩრდილივით, ანუ ტყუპის ცალად დაჰყვება; ამ აჩრდილისადმი შიში გამაფრთხილებელი შიშია და მას ადამიანი არ უნდა ივიწყებდეს არც საკუთარი კეთილდღეობის მოწყობისას, არც სხვების ჭკუის დამრიგებლობის ცხოვრებისეული გამოცდის წუთებში.

ამრიგად, დავა-კამათი განსაზღვრავს თ. ჭილაძის პიესების სტილისტიკას, დავა-კამათი სჭირდებათ პერსონაჟებს თავიანთი წარსულის გასარკვევად, რომ წარსულის აღქმით ზნეობრივი შეფასება მისცენ თავიანთ დღევანდელ ქცევას.

დავა მათთვის ჰაერივით საჭირო რამ არის, დავა გარდუვალია ჭეშმარიტების დასადგენად, ნამდვილი ზრახვებისა და ერთიმეორის პოზიციებისა და შეხედულებების გამოსააშკარავებლად. დავა საჭიროა პირადი ღირსებისა და შეძენილი შინაგანი მეობის გამომზეურების მიზნით.

თ. ჭილაძის პიესებში უარყოფითი პერსონაჟები მარჯვედ და ოსტატურად კამათობენ, მხედველობიდან არ უშვებენ მოწინააღმდეგეთა კონტრარგუმენტებს, დავის დროს ჯერ დადებითად აფასებენ პარტნიორების გულწრფელად აღიარებულ შეცდომებს, ხოლო შემდეგ მოხერხებულად სარგებლობენ ამავე შეცდომებით თავიანთი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად. „დავიწყებულ ამბავში" რეზო გულწრფელ „აღიარებს": „მე სხვისი შრომა მივითვისეო", ნოდარი ჯერ თანაგრძნობით ეკიდება, ცუდი არაფერი ჩაგიდენიაო და დადებითად აფასებს პარტნიორის საქციელს, მერე კი, როცა მათ შორის დავა მწვავდება, რეზოს აღიარებულ შეცდომას ნოდარი კონტრარგუმენტად იყენებს და ისე ექცევა, რეზოს, რომ აიძულოს თვითონვე გამოუტანოს თავის თავს განაჩენი.

თ. ჭილაძის უარყოფითმა პერსონაჟებმა მშვენივრად იციან ადამიანის ფსიქოლოგია. ისინი მოხერხებულად იმორჩილებენ პარტნიორებს, ავტორი მიგნებულად ამზეურებს, რა მოტივებითა და ფაქტორების გავლენით აღწევენ თავიანთ მიზანს — სხვების ფსიქოლოგიურ დამორჩილებას.

თ. ჭილაძის პერსონაჟების დიალოგებს თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ მისი გმირების მეტყველება არა მარტო კომუნიკაციის საშუალება, არამედ — უპირველეს ყოვლისა, პერსონაჟის იდუმალი სულიერი სამყაროს გამჟღავნების ხერხია. იდუმალში ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ პერსონაჟს თავად არ შეუცვნია, ჩვენ კი უკვე შევიცანით წინაამბიდან და მისი წყალობით ვხედავთ პერსონაჟის სულიერ მოძრაობასთან იმ ამბების გარეგან კავშირს, რომელსაც ნემიროვიჩ-დანჩენკომ „უჩინარი დინება" უწოდა.

„უჩინარი დინება" თ. ჭილაძის პიესებში საცნაური ხდება მეტწილად მაშინ, როცა ერთი პერსონაჟის რეპლიკა არ ესიტყვება მეორე პერსონაჟის პასუხს. ასეთ დიალოგში რეპლიკას მოულოდნელობის იერი დაჰკრავს, მაგრამ ჩვენთვის ნათელია, რომ რეპლიკაში პერსონაჟმა თავისი შეუცნობელი აზრი გამოამჟღავნა. ასეთი დიალოგები ხშირად გვხვდება სალომესა და ბოლიკოს, გურამისა და ნუციკოს, ნოდარისა და ანას საუბრის სცენებში.

თ. ჭილაძის პიესებში შინაგანი მონოლოგები ეყრდნობა პერსონაჟების საქციელის კონტრაპუნქტს და ქვეტექსტის საერთო გამაში პიესის მეორე პლანს ჰქმნიან. მაგალითად, ოთახში ჭაღის ჩამოკიდებით გართულ ნოდართან საუბარში ანა ერთსა ფიქრობს და მეორეს ამბობს. ორივე პერსონაჟი სხვადასხვა ემოციურ პოზიციიდან წარმოთქვამს რეპლიკებს. ნოდარი მეორე ქალის შოვნაზე ოცნებობს, ანა კი ქმარს შედარებით რეზოსადმი თავის გრძნობებზე ელაპარაკება. შინაგანი მონოლოგი ანას მეტყველებაში უფრო დაძაბული ხდება ეკასთან დიალოგში. ანა დაჟინებით ცდილობს ამოიცნოს, რეზო გამოუტყდა თუ არა ეკას სიყვარულში. ანას არ უნდა, რომ რეზომ და ეკამ ერთმანეთს გაუგონ, „შენ თვითონ მოიგონე ყველაფერიო", — ეუბნება ეკას, ანას არ უნდა ეკა რეზოს სიყვარულის ობიექტი გახდეს და რომ იმედი გაუცრუოს, ქალიშვილს პირში მიახლის: „...ვინ მიუშვებს შენისთანას ბედნიერებამდეო".

თ. ჭილაძის დრამატურგიაში დავა-დისკუსიას დავა-ორთაბრძოლა ენაცვლება, ორთაბრძოლას კი — დიალოგი-ნიღაბი, რომელიც გმირების ნამდვილ ზრახვებს ფარავს.

დავა-დისკუსია ეპიკური ნაკადის შეჭრაზე მიგვანიშნებს, ამას ცხადყოფს დიალოგის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც თ. ჭილაძის დრამატურგიაში ბჭობა-დისპუტის ეთიკურმა ტენდენციამ შემოიტანა და რომელიც რაც უფრო მძაფრდება სიუჟეტი, მით უფრო ინტელექ-

ტუალურ შინაარსს იძენს, იმიტომ, რომ დიალოგის ამგვარი ფორმა მკვეთრად წარმოაჩენს გმირების საზოგადოებრივ პოზიციას და, ამასთან ერთად, განაპირობებს პიესის დრამატულ ბუნებას.

სიუჟეტიდან დაშორება, ფაბულარული ლეტალებიდან მოულოდნელი გადახვევები თვალსაჩინოდ ხდიან რომანთან დრამის დაახლოებას, დრამის ეპიზაციის პროცესს. ეს პროცესი ნიშანდობლივია თ. ჭილაძის პიესებისათვის და განსაკუთრებით საცნაურია პოლიკოსა და სალომეს, ნუცაკოსა და გურამის სცენებში და გურამის დიალოგში მამასთან.

მსახიობი პოლიკო (სალომეს საქმროს — გაიოზის ცოლის ძმა) ერთხელ გამოჩნდება სცენაზე სალომესთან გაიოზის მიტოვებული ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფის საკითხზე მოსალაპარაკებლად. იგი ამ თემაზე წამოიწყებს საუბარს შემოსვლისთანავე. მაგრამ თავისდაუნებურად გადავა ზოგად მსჯელობაზე და მაშინ ჩვენ მის ცხოვრებისეულ პოზიციასა და შეხედულებებს ვეცნობით, ე. ი. პერსონაჟი თავის სულიერ სამყაროში გვახედებს: „განა ჩვენ შეგვიძლია სიმართლის მოსმენა? განა ყველას არ ეშინია სიმშვიდის დარღვევისა? თუნდაც ეს სიმშვიდე უსინდისოდ იყოს მოპოვებული. განა ყველას არ ეშინია, რამე არ მოხდეს, რამე არ შეიცვალოს და ვეღარც კი ვგრძნობთ, როგორ ვეჩვევით გრაფიკს, მატარებლებივით დავდივართ ერთსა და იმავე გზით, ერთსა და იმავე დროს, წუთი წუთზე, დაუგვიანებლად და მატარებლებივით ვყრუვდებით. ჩვენ მოვქსოვეთ ჩვენთვის ბადე, ავაშენეთ კედელი, ჩამოვკიდეთ დაბამბული კარი. გვესმის მხოლოდ ის, რაც ბელს გვაძლევს, ვხედავთ მხოლოდ იმას, რაც საკმარისია, რომ ვიარსებოთ. მე თქვენ მეცოდებით, თქვენ გინდათ ილუზიები, არა მარტო თქვენ, ბევრს, ბევრს".

პოლიკოს იმედი აქვს, რომ აუმხედრდება უმთავრეს ბოროტებას — „ქვეყანა ჩადით კი არ არის დაფარული", იმუქრება ის, მაგრამ ბოლოს აღიარებს, რომ დონკიხოტი ყოფილა.

პოლიკოს სიტყვების ძირითად ნაწილს — მის მონოლოგს, არავითარი კავშირი არ აქვს დაშვილების მზრუნველობაზე საუბართან. პოლიკოს მსჯელობა მოწყვეტილია როგორც პიესის ფაბულას, ისე პერსონაჟების კონკრეტულ პირად ურთიერთობას, უშუალო კავშირი არა აქვს არც წინამორბედ და არც მომდევნო სცენებთან, ამიტომაც არ მონაწილეობს საუბარში სალომე, ის მეტწილად სდუმს, მიუხედავად ამისა, პოლიკოს დიალოგი-მონოლოგი მაინც უფლებამოსილია იყოს პიესაში თავისი იდეურ-თემატური და აზრობრივი სიახლოვის გამო, გიორგის, მარიკას და სხვების მორალურ-ეთიკურ საკითხებზე მსჯელობასთან.

შემდეგ პოლიკო ისევ უბრუნდება სალომესთან დისშვილების ბედილბალზე პირველად წამოწყებულ საუბარს, თითქოს ბოლომდისაც იხდის: „გთხოვთ, დაივიწყოთ, შეუძლებელი მოვინდომე! სახაცილოა, სახაცილო, ბევრ რამეს მიმახვედრა ცხოვრებამ, ჩემი ბრძოლა წყლის ნაყვაა მხოლოდ", და საუბარს ამთავრებს თხოვნით, რომ სალომემ და გაიოზმა უპატრონოდ არ დატოვონ ბავშვები.

ამ სცენაში ავტორი მიგნებული შტრიხებით მიგვანიშნებს ეპიკურ ნაკადზე, დრამაში რომანის ელემენტების შემოტანაზე, რაც ფაბულასაგან გადახვევის გზით ხდება.

ფაბულისეულ სიტუაციას პერსონაჟები უნებურად განუდგებიან ხოლმე, წინასწარგანზრახვის გარეშე, მათ სულიერ სამყაროს ღრმა შრეებში დამალული უნარისა და იდუმალი ფაქტორების კარნახით, რომლებსაც პიროვნების ხასიათის გამოვლინების სარბიელისაკენ ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ გზა და პერსონაჟში არსებობენ მთვლემარე, შეუცნობელ მდგომარეობაში.

ფაბულიდან ლირიკული გადახვევები თ. ჭილაძის პიესებში განსაკუთრებით ნიშანდობლივია ახალგაზრდების მეტყველებისათვის (ნუცაკო, გურამი), ე. ი. იმათთვის, ვინც ზნეობრივი ჩამოყალიბებისა და დავაჟკაცების პროცესშია. ამ მხრივ საინტერესოა გურამისა და ნუციკოს ეპიზოდ-დიალოგი. სიხარულიძეების ოჯახში სტუმრად მოსული ნუცაკო თავის მასწავლებელს, ბადრის მოიკითხავს. ქვეტექსტი მიგვახვედრებს, რომ ისინი შეყვარებულები არიან და ორივე სიმართლის გარკვევას ესწრაფვის. მაგრამ მათ არ შეუძლიათ პირდაპირ, უბრალოდ გამოუტყდნენ ერთმანეთს გრძნობებში, ამიტომ მთელი დიალოგი დაუბოლოვებელი ფრაზებისაგან შედგება. ნუციკო თავის მარტოობასა და სევდიანობაზე საუბრით მიანიშნებს გურამს თავის გულისნადებს, გურამი გრძნობს ამას, მოკლე პასუხებს აძლევს, და ცდილობს გოგონა გაანაწყენოს, გული ატკინოს.

მათი დიალოგი — იდუმალი ორთა ბრძოლაა, რომელშიც გმირთა ჭეშმარიტი გრძნობები და სურვილები იმალება, იმიტომ, რომ არც ერთს არ უნდა გადალახოს მათ შორის აღმართული ცხოვრებისეული ყრუ კედელი. ეს კედელი იმის მაცნეა, რომ ვერ პოუნახავთ საერთო ენა, დარღვეულია მათ შორის ურთიერთგაგება, გულახდილობა, ემოციურობა, სიმართლე გულგრილობის ამ ყრუ კედელს აწყდება, პერსონაჟები ერთმანეთს ვერ უგებენ. ასეთ სიტუაციაში ისინი მალავენ თავიანთ გრძნობებს, არ ამხელენ გულისწადილს.

ერთგან გურამი საყვედურობს გოგონას — „რატომ ხარ ასეთი უშნო". პასუხად ნუციკო ზღაპარს უყვება ჯართის შემგროვებელ გოგონაზე, რომელიც სიმბოლურად ეხმიანება

გურამისა და ნუცაკოს სკეპტიკურ დამოკიდებულებას მომავლისადმი, ამიტომ ზღაპარი მეტაფორის მნიშვნელობას იძენს და მხატვრულ-აზროვრივი დატვირთვა აქვს. ჯართის შემგროვებელმა გოგონამ იცის ჯართის შეგროვებით რა დიდ საქმეს აკეთებს და აღელვებს საერთო გულგრილობა ამ საქმისადმი; ასევე არიან ახალგაზრდები, მათაც იმ გოგონასავით ვერ შეუცვნიათ თავიანთი შემოქმედებითი როლი სწავლაში, შრომასა და მომავალ ცხოვრებაში და პირადი ურთიერთობის სფეროს ვერ გასცილებიან, ხოლო როცა მამა არიგებს შვილს: „ჩვენ ყველანი ჩვენი სინდისის წინაშე უნდა ვიყოთ, რაღაც უნდა გწამდეს, როცა გწამს, არც ისე ძნელია ცხოვრებაო“, გურამიც პასუხად ზღაპარს იმეორებს ჯართის შემგროვებელ გოგონაზე და ზღაპრის შინაარსით ამჟღავნებს ქვეცნობიერად თავის რეაქციას უფროსების შეგონებაზე, რომ არ შეიძლება ურწმუნო ცხოვრება, რომ ადამიანს რაიმე იდეალი უნდა გააჩნდეს.

შვილის პასუხით დასტურდება, რომ თუ გურამის ცნობიერებაში დარღვეულია ჰარმონია პირადულისა და საზოგადოებრივის შეცნობისას, ნუცაკოსთან ერთმანეთისაგან გათიშულია პირადული და საზოგადოებრივი ინტერესები ისევე, როგორც ზღაპრის გმირში.

ნუცაკოსა და გურამის ეპიზოდ-დიალოგში გამოხატულია თანატოლებს, კოლექტივს, საზოგადოებრივ მისწრაფებებს მოწყვეტილი ახალგაზრდების ეჭვიანობა, მერყეობა, მარტოობა და ნაწილობრივ ცხოვრების მოუწესრიგებლობით გამოწვეული სევდა.

თ. ჭილაძის პიესების დიალოგები გამოირჩევა გრძნობის და აზრის დახვეწილი ნიუანსებით, რომელსაც გართულებულ და სიხალსავსე შინაგან ცხოვრებაზე მიმნიშნებელი ქვეტექსტი გასდევს.

ამრიგად, თ. ჭილაძის პიესებში ეპიკური დრამის საშუალებათა გამოყენების ფონზე ხდება გმირების მეტყველების ქვეტექსტის გახსნა და ამ გზით ყალიბდება ნაწარმოების მეორე პლანის ლედააზრი, რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს გმირების შეხედულებები, რწმენა, საზოგადოებრივი პოზიცია.

თ. ჭილაძის პიესებს ყოველთვის ხაფუძვლად უდევს საინტერესო ნაფიქრ-ნააზრევი. ავტორის საინტერესო აზრი ხან პერსონაჟების მიერ არის პირდაპირ გაცხადებული, ხან კი მოქალაქეობრივი პაექრობისას ამოიცნობა. ეს თავისებურება „დავიწყებულ ამბავში“ უფრო შეინიშნება. მისი სიუჟეტი აზრის მოძრაობაზეა აგებული. მაგრამ აზრის მოძრაობა გარე პირობებზე როდია დამოკიდებული და ამბები დროის გარდუვალი ცვალებადობით როდი ხდება, არამედ გმირის ანალიტიკური აზრია მთავარი, ის უქმნის პიესას მხატვრულ მთლიანობას და მას აზრის დრამად აქცევს.

მაგრამ ამასთანავე შეინიშნება, რომ აზრი თ. ჭილაძის პიესებში ზოგჯერ გაშიშვლებულია მეტისმეტად და ქვეტექსტის მიმნიშნებელი ისეთი სიტყვები არ ახლავს, ცხოვრებისეულ ცხოველმყოფელობის შეგრძნებას რომ გამოიწვევენ მაყურებელში. მიუხედავად ამისა, ეპიკური ნიშნები მაინც ხელს უწყობენ ნაწარმოების თემატიკურ მასშტაბურობას, საზოგადოებრივი მოვლენებისა და თანამედროვე გმირის შინაგანი სამყაროს ღრმა შრეების შეცნობას, გმირის გაუხსნელი, პოტენციური უნარის გამჟღავნებას, მაყურებლის ანალიტიკური აზროვნების გამოფხიზლებას და მომხდარი ამბებისადმი მის კრიტიკულ დამოკიდებულებას.

თ. ჭილაძე ისწრაფვის მაყურებლის ცნობიერებაზე გავლენის მოხდენას, მაგრამ ამ სწრაფვის დროს ბოლომდე გულმოდგინედ არ ამუშავებს პირად ურთიერთობათა ამსახველ დეტალებს, ამიტომ პიესების ემოციური ზემოქმედების ტონუსი ამაღლების ნაცვლად უფრო სუსტდება.

თ. ჭილაძის პიესების დადებით და უარყოფით ფაქტორებს შორის ამგვარი თანაფარდობა გამოსახვის ახალი ფორმების ფორმალური ძიებით არ აიხსნება, არამედ ეპიკურ ელემენტებში საზოგადოებრივი ტკივილების ყოვლისმომცველობით, უფრო სწორად, ცხოვრებისეული საკითხების წინა პლანზე წამოწევით.

თ. ჭილაძის დრამატურგიამ, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეულ ეტაპს უკავშირდება, ხაზიერად წარმოაჩინა თანამედროვე გმირის შეცვლილი ხასიათი, ნათელი მოჰფინა სინამდვილის ახალ მხარეებს.

საზოგადოებრივი ალმავლობის ეს ტალღა არ დამცხრალა, ახალი გმირის პრობლემა ჯერ არ ამოწურულა, პირიქით, ისევ აქტუალურია და კვლავაც მოითხოვს სინამდვილის ახალი შრეების უფრო ღრმა ანალიზს და, რაც მთავარია, კოლექტივთან პიროვნების ურთიერთობის ახალი ნიშნების გამჟღავნებას. ეს კი ქართული საბჭოთა დრამატურგიის გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ავალიანი

# დ. კლდიაშვილის ორი გამოუქვეყნებელი წერილი პ. უმიკაშვილისადმი

„ფართო საზოგადოება იცნობს მხოლოდ სუფთად დაბეჭდილ ფურცლებს ავტორის სახელის ზედწარწერით. საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, თუ რა პირობებში უხდება, რად უღირს ქართველ მწერალს ამ სუფთა ფურცლების შექმნა. ნორმალურ პირობებში მწერალი მთელ თავის ნიჭს, დროს, ენერგიას ახმარებს მწერლობას; მწერლობა მისთვის არის ერთადერთი საქმე, პროფესია. ...ამ სახის, ამ შინაარსის მწერლები ჩვენში არ მოიპოვებიან. ჩვენში მწერლობა იქმნება „სხვათა შორის"; ჩვენი მწერალი არის მწერალი მხოლოდ „სხვათა შორის". მისი ძალ-ღონე, დრო, ენერგია ხმარდება სრულებით სხვა რამ საქმეს, რომელიც ერთადერთი სალსარია მისი არსებობისა; მწერლობა მისთვის არის მხოლოდ იშვიათი ეპიზოდი, იშვიათი დღესასწაული მისი მოღლილი სულისა!

...თქვენ, ძვირფასო დავით, ტიპიური წარმომადგენელი ბრძანდებით ასეთი „სხვათა შორის" მწერლისა, ტიპიური ქველმოქმედი, ზვარაკი ერის სამსხვერპლოზე. ...და აი — შეგცქერით ამ მსხვერპლ-შეწირვაში გაჭაღარავებულს, ქანც-მილეულს, მაგრამ ისევ თავმდაბალს, ღმობიერად მომღიმარს; შეგცქერით, და თუ სხვას არა, ჩვენ — თქვენს ამხანაგებს ხომ კარგად გვესმის, ჩვენ ხომ მთელი სიმწვავით ვგრძნობთ, თუ რად გიღირთ ასე ადვილად სათქმელი 30 წლის სამწერლო მოღვაწეობა!" — ასე მიმართავდა ცნობილი მწერალი და მოღვაწე ნიკო შიუკაშვილი იუბილარს — დავით კლდიაშვილს (კრებ. „დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ", თფილისი, 1920).

სამწერლო და საზოგადოებრივ სარბიელზე ექიებდა თავისი „მოღლილი სულის დღესასწაულს" დავით კლდიაშვილი. 1925 წელს უკვე ჯანგატეხილმა მწერალმა კიდევ ერთხელ მიხედა წარსულს, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კვლავ გამოსცადა კალამი და შექმნა ბრწყინვალე მემუარები. დავით კლდიაშვილის მოგონებათა თავლაჭერილი სისადავე შესანიშნავად წარმოგვიჩენს დიდ მწერალს, რომლისათვისაც სრულიად უცხო და მიუსადაგებელი იყო ყოველგვარი მაღალფარდოვნება.

სათნოება და სილბო, კეთილშობილება და თავმდაბლობა — ღირსეულ ადამიანებთან ურთიერთობაში, ქედუხრელი სიფიცხე და სიძულვილი თავხედებისა და ერის ღირსების ხელყოფელთა მიმართ — ასეთი იყო დავით კლდიაშვილი.

ასეთად გვესახება ის სერგო კლდიაშვილის მოგონებებშიც. თავისი დიდი მამის ყადრის მცოდნე მწერალი უაღრესად ობიექტურ, ძუნწი, მაგრამ ზუსტი შტრიხებით შექმნილ პორტრეტს წარმოგვიჩენს. ჩვენ ვხედავთ დავითს, დანახულს მისი შვილისა და ქართველი მწერლის თვალით.

---

• დაცულია შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, ფოლკლორის განყოფილების არქივში (პეტრე უმიკაშვილის ფონდი).

კაცს ხშირად ხვდება მწარედ განცდილის, მაგრამ უკვე ჟამგადასულის ნათელ ფერებში დანახვა. ეს დიდი ადამიანური ღირსება ჩანს დავით კლდიაშვილის სიტყვებშიც — „ჩემი გავლილი ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“. მაგრამ მძიმეზე მძიმე იყო მეფის რუსეთის ოფიცრის, ამასთან, საზოგადო მოღვაწის ხვედრი. ნერვების უკიდურესი დაძაბვის ფასად უჯდებოდა დავით კლდიაშვილს სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობა. იგი „იწვოდა“ შემოქმედებაში და ცხოვრებაშიც.

მისი გმირებიც, უპირატესად აფექტისა და ეგზალტაციის დიდ უნარს რომ ავლენენ, გულგრილობას, მათი შემოქმედივით, ვერაგრ რიგად ვერ ეწყობიან. „ჩემის ავადმყოფობის გამო შეწყდა ჩემი ლიტერატურული მუშაობა, დიდად ვწუხვარ ამისათვისო“ — უთქვამს მწერალს 1920 წელს (დასახელებული კრებული).

დავით კლდიაშვილის სამწერლო აღზევება ორი საუკუნის მიჯნას დაემთხვა. მისი შემოქმედების დვრიტა და ჯავარი სულ რამდენიმე წლის განმავლობაში — 1894-1900 წლებში, გამოიკვეთა. ხუთიოდე, მის ადრინდელ შემოქმედებასთან შედარებით, ნაკლებად ღირსსაცნობი მოთხრობა, ერთი პიესა და შეუდარებელი მემუარები — ასეთია დავით კლდიაშვილის წვლილი XX საუკუნეში.

საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესი მწერალს ავადმყოფობის ჟამსაც არ შენელებია. სერგო კლდიაშვილი 1930 წელს წერდა:

„ამ ახალ ცხოვრებაში დავითს ერთი დიდი მწუხარება აქვს — რომ სნეულია და მუშაობის ძალა აღარ აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში დავითი ძალიან სუსტად გრძნობს თავს, ის მაინც ხშირად ჩამოდის ტფილისში და ახალი ცხოვრების ყოველდღიურობას ფხიზლად ადევნებს თვალყურს.

დავითის საჯარო გამოსვლები ტფილისში გამართულ ყრილობებზე თუ კონფერენციებზე ცხადად მოწმობს იმას, რომ ის ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას და მისი აზროვნება შეერთებულია ახალი დღეების, საბჭოთა საქართველოს დღეების მაჯისცემასთან“ (ს. კლდიაშვილი, „დავით კლდიაშვილის ბიოგრაფია“, ტფილისი, 1930).

მხნე, აქტიური შემოქმედი, საქმისათვის თავდადებული, მრავალფეროვანი ინტერესების მქონე, დიდი მოქალაქეობრივი შეგნებით აღჭურვილი მწერალი ახალგაზრდობიდანვე შეუდგა საზოგადო მოღვაწის მძიმე ჰაპანს. ამის დასტურს გვაძლევს, სხვათა შორის, დავით კლდიაშვილის ჩვენამდე მოღწეული არცთუ მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობაც.

უაღრესად საინტერესო გამოდგა დავით კლდიაშვილის წერილები პეტრე უმიკაშვილისადმი.

პირველი წერილი 1896 წლით არის დათარიღებული. ეს ის დროა, როცა დავით კლდიაშვილს, წვრილმანი თარგმანებისა და კორესპონდენციების გარდა, გამოქვეყნებული აქვს „შერისხვა“, „მსხვერპლი“ და „სოლომან მორბელაძე“. წერილიდანვე ჩანს, რომ მწერალს გულს უხარებს ერთი გარემოება: იმ ხანებში მიუღია ჟურნალი „მოამბე“, რომელშიც მისი მოთხრობა „წრფელი გული“ იყო დასტამბული.

იმ დროისათვის პეტრე უმიკაშვილი სამოც წელს მიტანებული მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი იყო — თერგდალეულთა თანამოსაგრე. პუბლიცისტი, რედაქტორი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, მთარგმნელი; ქართული თეატრის, ქართული წიგნის მოამაგე და დაუცხრომელი ორგანიზატორი. ამიტომაც დღევანდელ მკითხველს არ ეუცხოვება ის ღრმა პატივისცემა, რასაც ამჟღავნებს „სოლომან მორბელაძის“ ავტორი თავისი ადრესატის მიმართ; პეტრე უმიკაშვილის, სამწერლო სარბიელზე გამოსვლისას (მისი პუბლიცისტური წერილები და თარგმანები იბეჭდებოდა 1860 წლიდან) დავით კლდიაშვილი დაბადებულიც კი არ იყო.

თავმდაბლობა უფროსი კოლეგის მიმართ, გამოსჭვივის დავით კლდიაშვილის მოგონებებშიც: „როცა „სამანიშვილის“ ბეჭდვა დასრულდა ჟურნალში, პეტრე უმიკაშვილი შემხვდა ბათუმის ბულვარში; მასთან იყო არტურ ლეისტი.

— მე შენ ხმას არ გცემ! — შემომიტია პეტრემ. — რიგიანი კაცი მეგონე, თურმე კი ზარმაცი, ამჩატებული, უხეირო ყოფილხარ.

— რატომ, ბატონო პეტრე, რატომ? — შევეკითხე.

— რატომ და იმიტომ, რომ ასე მალე დაამთავრე სამანიშვილის მოგზაურობა. ...გადმოვიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში — რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა, შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი!

— არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს!

— გაიცნობდი, გაიცნობდი, შე ზარმაცო, ზარმაცო დათიკო! — თან წყრებოდა, თან ხითხითებდა გულიანად. — შენი ჭირიმე, რაე ლაზათიანად გაქვს დაწერილი! — და შეუჩერებელი სიცილით მოუყვა ჩვენს საერთო ძვირფას მეგობარს არტურ ლეისტს მოთხრობის შინაარსი“ — იგონებდა მწერალი.

1882-1908 წლები, რომლებიც დავით კლდიაშვილმა ბათუმში გაატარა, უაღრესად ნაყო-

1881 წლის გაზაფხულზე ილია ჭავჭავაძის, ფიერი აღმოჩნდა მისთვის.

სერგეი მესხისა და სხვა მოღვაწეთა მეცადი-

ნობით ბათუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ქართული სკოლა გაიხსნა. 80-იანი წლების დასაწყისში პეტრე უმიკაშვილი, რომელიც, გრიგოლ ყიფშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა ზრდა-განვითარებას" („ივერია", 1904, № 122), თბილისიდან აჭარაში გაემგზავრა, იქ ბევრი ნაცნობ-მეგობარი გაიჩინა, ცდილობდა დაეახლოვებინა მუსლიმანი ქართველები ქრისტიან თანამოძმეებთან. 1868-1898 წლებში პეტრე უმიკაშვილი თბილისის I გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი იყო. ხელმოკლეობამ აიძულა, იგი თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის და სხვა სახსარი ეძებნა. მარგანეცის მრეწველმა, ცნობილმა მეცენატმა, პეტრეს მეგობარმა ნიკოლოზ ღოღობერიძემ მიიწვია იგი საქმეთა მმართველად ჯერ ზესტაფონში (1893-1894 წწ.), შემდეგ კი ბათუმში (1894-1898 წწ.). სწორედ მაშინ უნდა გაცნობოდნენ ერთმანეთს დავით კლდიაშვილი და პეტრე უმიკაშვილი.

სამხედრო სკოლაგამოვლილი 20 წლის ჭაბუკი დავით კლდიაშვილი 1882 წლიდან გაამწესეს ბათუმში. მუყაითი და დაუზარელი, სამშობლომონატრებული ახალგაზრდა ოფიცერი ბათუმელ ქართველთა მოღვაწეობის უცვლელი თანამონაწილე გახდა. დავით კლდიაშვილის მემუარებში მრავალმხრივ არის გაშუქებული გრიგოლ ვოლსკის, ივანე მესხის, ლუკა ასათიანის და სხვათა მოღვაწეობა ბათუმის საკეთილდღეოდ. თავის ნაღვაწს ავტორი მეტად ძუნწად, თავშეკავებულად წარმოგვიჩენს, ერიდება საკუთარი დამსახურების აღნიშვნას.

ბათუმში იმ დროისათვის ერთადერთი რუსული შოვინისტური გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი" გამოდიოდა. ერთობ ვიწრო იყო საზოგადო მოღვაწეობის სარბიელი. ქართული სკოლა, ქართული წარმოდგენები, მოგვიანებით — 1888 წლიდან — ქალაქის თვითმმართველობა — აი დავითის მოქალაქეობრივ ინტერესთა ქვაკუთხედი.

1888 წელს გაზეთ „ივერიაში" (№ 241) გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში დავით კლდიაშვილი (ხელმოწერით „დროებით ჩამოსული ბათუმში") გულისტკივილით აღნიშნავდა ბათუმის ქართველი ინტელიგენციის ინერტულობას: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლასაც ზურგს უქცევენ. ...სირცხვილია, რომ აქაურის ქართული სკოლის სამზრუნველოს წევრები არც ერთხელ არ ყოფილან სკოლაში, რომ ენახათ, რას აკეთებს სკოლა, რა ეწირება და სხვ." თვით მწერალი — ბათუმის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის მდივანი — აქტიურად იღვწოდა ხელმოკლე სასწავლებლის დასახმარებლად. პირადი შეწირულების გარდა, შემწეობის აღმოჩენის ქმედით ფორმად იყო წარმოდგენის გამართვა.

იმდროინდელი პრესის ძუნწი მონაცემები აშუქებს დავით კლდიაშვილის თითქოსდა უჩინარ, მაგრამ ღრმად პატრიოტულ საქმიანობას. მაგალითად, ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელი მოსე ნათაძე 1887 წელს გაზეთ „ივერიის" მეშვეობით (№ 235) მადლობას უძღვნიდა პირებს, რომელთაც „მონაწილეობა მიიღეს სკოლის სასარგებლოდ გამართულს წარმოდგენაში, ...აგრეთვე დ. კლდიაშვილს და მთელს საზოგადოებას ბათუმისას თანაგრძნობისა და დახმარებისათვის". იგივე მოსე ნათაძე 1888 წლის მარტში მადლობას უხდიდა სკოლის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის თაოსნებს მაკრინე ღლონტს და დავით კლდიაშვილს („ივერია", 1888, № 51). გაზეთმა „ივერიამ" იმავე წელს, მოგვიანებით, გამოაქვეყნა თვით დავით კლდიაშვილის დაწვრილებითი ანგარიში სკოლის სასარგებლოდ გამართული ბათუმის რუსული საოპერეტო დასის წარმოდგენის შესახებ. ამ წარმოდგენის თაოსანი ყოფილა სკოლის სამზრუნველო კომიტეტი და, საფიქრებელია, პირველ რიგში მისი მდივანი — დავით კლდიაშვილი.

როგორც ჩანს, დავით კლდიაშვილი და პეტრე უმიკაშვილი, უწინარეს ყოვლისა, თეატრის სიყვარულმა დააკავშირა. ფილიპე გოგიჩაიშვილის გადმოცემით, ბათუმში დასახლებული პეტრე უმიკაშვილი განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიდა თეატრის მოშორებას (პ. უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება", ნაწილი პირველი, ტფილისი, 1937).

თეატრის დიდი ეროვნული მისია ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული დავით კლდიაშვილს. იმ დროისათვის, მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ქართული თეატრი „გადაგვარებისაკენ მიქანებულ ქართველობას აგონებდა მის ვინაობას, აყვარებდა თავის სახეს, ამხნევებდა მას, უღვივებდა თავის რწმენას და პატივისცემას, მოსავდა იმედით და მის დაცემულ სულს მაღლა სწევდა" (დავით კლდიაშვილის ჩანაწერი ნინო ჩხეიძის ალბომში, ციტირებულია წიგნიდან: ვ. კიკნაძე, „დავით კლდიაშვილის თეატრი", თბ., 1978).

ეს დაუცხრომელი ინტერესი თეატრისადმი, როგორც დრამატურგს და როგორც თეატრის მოტრფიალეს, დავით კლდიაშვილს, არ განელებია სიცოცხლის დასასრულამდე. ეს ინტერესი მჟღავნდება მის წერილებშიც პეტრე უმიკაშვილისადმი (ქვემოთ მოყვანილი წერილი, დათარიღებული 1896 წლის 25 ნოემბრით, ეკუთვნის ადრესატის ბათუმში ყოფნის დროს).

„დიდად პატივცემულო ბატონო პეტრე!

თქვენი წერილი მივიღე. გეფიცებით, 21-ს.

ბევრი გეძებეთ, მინდოდა მენახეთ, მაგრამ ვილაც-ვილაცეები შემხვდნენ, ამიტაცეს და სახლზეც ველარ გეახელით; შემდეგში კი, ღმერთმანი, დრო არ მქონდა, არ მეცალა. რასაკვირველია, შეგვაგვიანდა, დაჩქარება საჭიროა და ამისათვის ხვალ შვიდ საათზედ გეახლებით თქვენთან და მოვილაპარაკოთ. პიესა ძალიან კარგია; სოლორთვის ქალი! მშვენიერი მელანო იქნება, მხოლოდ ზოგიერთ სხვა მოქმედ პირების შესახებ უნდა მოვილაპარაკოთ წინდაწინ. აი, ამისათვის მე თქვენთან გეახლებით, ხვალ, შვიდ საათზედ.

ეს წარმოდგენის შესახებ და ახლა სხვა რამეზედ მინდა რომ მოგახსენოთ. მე რომ თქვენ გაწვალებთ ხოლმე ჩემი უთავბოლო ლაქლაქით, დღევანდელ „მოამბეში" დასტამბულია არა ენით, ჩემი მარჯვენა ხელით გაწვალება ყმაწვილი ქალისა2. იმედი მაქვს, ერთ ათ მინუტს დაჰკარგავთ ამის თვალისგადასავლებად და გამაგონებთ თუ რანაირი ჯალათობა მეჩხნევა, თუ სად ეჭირვებოდა რკინის დარტყმა, სად მომიხვედრებია, სად ვერ დამირტყმევია, სად დამილეჯნია გაჭრის მაგიერ და ამგვარები — თქვენგან ამეების გაგონება ხომ იცით, რა სასიამოვნოა და თან სასარგებლო.

გთხოვთ, უმორჩილესი მოკითხვა ჩემი მოახსენოთ დედა თქვენს3.

თქვენი ერთგული დავით კლდიაშვილი".

გვიძნელდება გავარკვიოთ, თუ რომელი პიესის დადგმას აპირებდნენ დავით კლდიაშვილი და პეტრე უმიკაშვილი. ერთი რამ ცხადია: „დავითი არცთუ იშვიათად ხელმძღვანელობდა წარმოდგენებს, მისი მეცადინეობითა და რეჟისორობით იდგმებოდა სპექტაკლები" (ვ. კიკნაძე. დასახელებული წიგნი). ორიოდე წლის შემდეგ ჟურნალ „კვალის" კორესპონდენტი „პატარა კაცი" ბათუმიდან იტყობინებოდა — „ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა „ხანუმა", კომედია ა. ცაგარელისა. წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული (სტუდენტის გრ. მახარაძის სასარგებლოდ)" და, კორესპონდენტი მოქმედ პირთა შორის ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს ანა სოლორაშვილსაც ასახელებდა. ამ დადგმის ხელმძღვანელიც დავით კლდიაშვილი ყოფილა: „დიდი მადლობის ღირსია ...ჩვენი ბელეტრისტი დ. კლდიაშვილი, რომელმაც დიდი შრომა გასწია, რომ წარმოდგენას რიგიანად ჩაევლო. მას არც ერთი რეპეტიცია არ გამოუტოვებია, მისი დარიგებით, მისი რეჟისორობით წარმოდგენამაც ჩაიარა ისე კარგათ, ისე საუცხოოთ" („კვალი", 1898, № 40).

ზემომოყვანილი წერილი საყურადღებოა იმითაც, რომ კიდევ ერთხელ გვიდასტურებს დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი პროცესის ერთ თავისებურებას: მწერალს ჩვევად ჰქონდა ამა თუ იმ მოთხრობის ჩანაფიქრი წინასწარ გაეცნო ნაცნობ-მეგობრებისათვის. „კონდრატე მხეიძე, ალექსანდრე [illegible] და ალექსანდრე ლორთქიფანიძე (მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა) იყვნენ ის პირები, რომელთაც ვუყვებოდი ყოველი განზრახული მოთხრობის შინაარსს, ხურათებს, დეტალებს" — მოგვითხრობს დავით კლდიაშვილი.

გარდა იმისა, რომ მეგობრობის მხჯავრის მოსმენა სურდა, შემოქმედების ეს ფორმა მწერალს მუშაობას უადვილებდა, ამგვარ იმპროვიზაციაში ვითარდებოდა, იხვეწებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრი. „მოთხრობა ამ მოყოლაში შენდებოდა იოლად, ხალისიანად" — შენიშნავს მწერალი.

ჩანს, იმ ახლობელთა რიცხვს, რომელთაც მწერალი აცნობდა თავის ჩანაფიქრს, მიეკუთვნებოდა პეტრე უმიკაშვილიც.

დავით კლდიაშვილის მემუარებიდან ვგებულობთ, რომ პეტრე უმიკაშვილს წაუკითხავს მოთხრობის „მრევლში" პირველი მონახაზი და ურჩევია ავტორისათვის არ აჩქარებულიყო, გადაემუშავებინა მოთხრობა, შეევსო ის: „შიგ არა გაქვს შეტანილი ზოგიერთი რამ, მე რომ მიამბეო". ავტორს შესამჩნევად გადაუმუშავებია მოთხრობა და ერთი წლის შემდეგ გამოუქვეყნებია (დაიბეჭდა „მოამბეში" 1898 წელს).

ზემომოყვანილი წერილიდან ჩანს, რომ დავით კლდიაშვილმა წინასწარ გააცნო ადრესატს „წრფელი გულიც" და მერე მის ხამხჯავროზე წარადგინა დასტამბული მოთხრობა.

დავით კლდიაშვილის მეორე, 1900 წლის 31 მარტით დათარიღებული წერილი ბათუმიდან ეგზავნება უკვე თბილისში მყოფ პეტრე უმიკაშვილს.

„ძვირფასო ბატონო პეტრე!

რასაკვირველია, თქვენვე თავად კარგად იცით, რომ მე სულით და გულით ვიქნები მოწადინებული ავასრულო თქვენი სურვილი, მერმე კიდევ იმგვარი, როგორიც არის შემწეობა სინდისიერი და ბეჯითი მოხწავლისა, როგორიც არის ფილიპე გოგიჩაიშვილი. თქვენი წერილის მიღებისთანავე მე ვინახულე აქაური არტისტები, რომლებს შორის მას არა ერთი მოკეთე ყავს და ლაპარაკი გვქონდა კიდევაც, მაგრამ საბოლოოდ ვერა გადაეწყვიტეს რა და აი რის გამო, ძვირფასო ბატონო პეტრე: ამ დღეებში ჩვენ გავხსენით სახალხო სამკითხველო, რომლის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს უსათუოდ სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა აგოს იმ მიწაზედ, რომელიც ქალაქმა დაგვითმო. ფულად ხელზე გვაქვს მხოლოდ ათასი მანეთი და კიდევ საჭიროა ორიათასამდინ და უეჭველივე ძალ-ღონე

ამას უნდა შეალიონ, რომ ეგ ფული ამ მოკლე ხანში მოაგროვონ; და აი სწორედ ეგ გარემოება ითხოვს, რომ მხოლოდ ამ საქმეს ვსდიოთ და მუდამ ძნელად მოსახერხებელი ქართული წარმოდგენები მხოლოდ ამ საქმისათვის იმართებოდეს ამ მოკლე ხანში, თუ კი გაიმართება ისიც. ეს არის მიზეზი, „ ბატონო პეტრე, რომ ძნელია დავაიმედოთ გოგიჩაიშვილის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვაში. თუ რომ რამე მოხერხდა, ან ერთი ნაწილის გადადება, ან ხელის მოწერით მოგროვება, ან ამგვარი რამე გზით—გეფიცებით, რომ ვეცდები ვისაშვალოთ. ღმერთს ვფიცავართ, ეს ერთი თვეა ვეპირებით წარმოდგენის გამართვას ბიბლიოთეკის-სამკითხველოს სასარგებლოდ და ვერ მოგვიხერხებია და ამის გამო კიდევაც მიპასუხეს, ვისაც მივმართე, რომ: ჩვენთვის ძლივს ვახერხებთო და რა რიგად ვერგოთ ხხვას — გარეშესო. ამგვარად, ძვირფასო ბატონო პეტრე, ჯერ-ჯერობით მეტად ძნელია იმის მოხერხება, რახაც თქვენ ითხოვთ, მაგრამ, გეფიცებით, მე ჩემის მხრით ყოველივე გზას ვეცემი და ეგებ კიდევაც გამოვნახო ისეთი, რომ შემწეობა აღმოვუჩინოთ ამის ღირს გოგიჩაიშვილს. იმედი მაქვს, რომ ; ამ ჩემს სიტყვას იმგრულ ხრიკად არ ჩამითვლით და მიიღებთ გულწრფელად ნათქვამად. ერთი სიტყვით, ამ ხანად, მდგომარეობის გამო, ვერც გპირდებით და უარსაც არ ვამბობ და ცდაში კი ვიქნები, ეგ უეჭველია.

ახლა, ძვირფასო ბატონო პეტრე, მადლობა მომიხსენებია თქვენი თარგმანის გამოგზავნისათვის, რომლის წაკითხვამ „მოამბეში" ბევრი გვაცინა ყველანი. ამგვარი ნაწარმოებნი მეტად სახალისო წასაკითხავი უნდა იქმნეს ჩვენი მკითხველისათვის, რადგან მასში რაღაც სული ტრიალებს, რომელიც ჩვენსას მიემსგავსება და ენათესავება: თუმცა ძველის-ძველია, მაგრამ რა მშვენიერი რამ არის! სწორედ კარგი ქენით, რომ ამგვარი მარგალიტი ქართულადაც გადმოიღეთ. აი, მაგალითი იმისა, თუ სიცოცხლით აღვსილი ნაწარმოები როგორ ცოცხლად ინახება ხნოვანობის მიუხედავად, ინტერესი არ აკლდება.[4] ეს საყურადღებოა ჩვენი იმ კრიტიკოსებისათვის, რომელნიც გვიქადაგებენ რაღაც უცნაურ მიმართულებას — „რეალურს იქით ძიებას", როგორც ამბობს კიტა აბაშიძე თავის შარშანდელი სიტყვა-კაზმული ლიტერატურის მიმოხილვაში[5]. ვერ წარმოიდგენთ, ძვირფასო ბატონო პეტრე, რა რიგად გამაოცა ამ სტატიის წაკითხვამ. ეგ რაღაც უიმედოთა მაღლა აყვანა, ქადაგება რაღაც ნირვანასი, დიდების შესხმა მათი, ვინც „რეალური ქვეყნის იქით დამალულის საიდუმლოსის"-მაძიებელია და ამ მიმართულების დროის შესაფერ მიმართულებად აღიარება — ეს რაღაც საშინელებაა, ეს „რეალურ ქვეყნის" განშორების, არიდების ქადაგება ჩვენს მდგომარეობაში [illegible]ვის საზარლობაა, სხვა არაფერი. ცხოვრება გართულდა, ძველი წყობილება ირღვევა, ურთიერთშორის დამოკიდებულება იცვლება. საჭიროა ახალი გზა, განსხვავებული ურთიერთობის შემოტანა, გარემოების მოთხოვნილების მიხედვით ცხოვრების მოწყობა, რომ ტანჯვა-წვალება აიცილოს ადამიანმა და ამ დროს ტაშს უკრავენ „რეალურ ქვეყნის იქით საიდუმლოს" ძიებას და თაყვანს ეცითო. ამის ქადაგება და მთავარ მიმართულებად აღიარება ჩვენი თვით არსებობის თანასწორია ხომ. ღმერთო, ასეთი პესსიმისტური მიმართულება, როცა ყოველ მხრიდან სულის სიმხნევესა ვხედავთ! რაღაც ნირვანა, როცა გუშინ მოწმენი ვიყავით დრეიფუსის[6] საქმისა, დღეს ბურებისა[7] და ჩვენს თვალწინ ასეთი საოცარი მუშაობაა თელათ ევროპის მოწინავე კაცებ შორის სოციალურ კითხვათა გამოსარკვევად!

ღმერთო, რა დამამცირებლად გაისმის ყოველ ამასთან ის „სამი უდიდესი საგანი, უმძიმესი კითხვა" (ხაზი ავტორისაა — ლ. ა.), რომელიც გამხდარა ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებლად. „სასაფლაოს ნოტიობა; საათის ტიკ-ტიკი და რეალურ ქვეყნის იქით დამალული საიდუმლოების ძიება". („მოამბე", გვ. 31).

ამის გულისათვის აღარც კი დააცალა უბედურ მელანიას[8] მისი მოთხრობის დათავება და გულმოდგინედ წესი აუგო და უგალობა „განისვენე სულთათანა". ვერ წარმოიდგენთ, როგორ მექავება ხელი ამ პესსიმისტობას, უალაგო და ნაძალადევად შემოთრეულ პესსიმიზმს საკადრისი მივუგო, მაგრამ დრო რომ არ არის, ამისათვის რომ ვიხელთო. მტკნარი სიცრუვე თუ გინდათ, სწორედ ეგ არის, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამ მიმართულებას ადგილი ქონდეს — მას ახვევენ თავზედ და ვითომც ამით ჩვენ ევროპას მივსდევთ უკან, როგორც ამბობს თავის სტატიაში აბაშიძე. იყვეთ აქ, თავს მოგაწყენდით ამ საგანზე ლაპარაკით, მაგრამ ახლა წერილით სად შემიძლია ყველაფრის თქმა! საგანი, ღმერთმანი, ღირსია აღსანიშნავად ბეჭდვითაც.

მოხარული ვარ, ძვირფასო ბატონო პეტრე, რომ ჩემი „საწყალი, გაჭირვებული ქამუშაძე" შინაარსით მოგწონებიათ;[9] ემდურით ენას და თქვენზე უფრო მე ვარ უკმაყოფილო მასზე, მაგრამ რა ვქნა, ბატონო პეტრე, არ დაიჯერებთ, მოთხრობის ბოლონდელი შვიდი თავი ისეთი ფაცაფუცშია დათავებული, რომ აღარ ვიცი რა გამოვა! ახლა მწყდება გული, რომ ერთ წელიწადს არ შევაჩერე იგი და ყოველივე ის, რაც აზრადა მქონდა, შიგ არ შევიტანე და საკმარისად არ შევამუშავე; მაგრამ რაღა მექნა — შეპირებას ვიყავი რედაქციასთან და გავბრი-

უვდი, ვითომ სიტყვა აღარ გადავთქვი და როგორც მომთხოვეს, გავუგზავნე. მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებში და ამ უკანასკნელში კი, ამის გამო უფრო სხომინდელზედ, რაღა თქმა უნდა. შემდეგში კი გადაწყვეტილი მაქვს უფრო აუჩქარებლად ვიმუშავო და ვერგო საქმეს.

მეკითხებით თუ რატომ თქვენკენ წამოსვლა ვერ მოვახერხე. ჩემის მხრით მე მზად ვიყავი ამ ზამთარში მანდ ჩამოვსულიყავი, მაგრამ აღარ მოხერხდა სწორედ იმიტომ, რომ მთავარი საგანი არ მომეცა, თუმცა კი შემპირდნენ და ეს საგანი იყო ჩემი პიესის სცენაზედ დადგმა. სოფელში ვიყავი, რომ ვ. აბაშიძისაგან[10] წერილი მივიღე ამის თაობაზე. მწერდა, რომ უსათუოდ უნდა ვითამაშოთო, კომიტეტმა გარდასწყვიტაო და ცენზორისათვის რუსულად დაწერილი შინაარსი გამომაგზავნინა და ამის შემდეგ ხმა-კრინტი აღარ დასძრა. ა. ქყონიამაც[11] მომწერა, რომ დრამ. კომიტეტმა გარდასწყვიტაო პიესის დადგმაო, მაგრამ დაბოლოს აღარაფერი იქმნა. ვუყურე, ვუყურე და სეზონიც გათავდა და პირდაპირ კი დავრჩი. მერმე კიდევაც შემრცხვა და მართალი უნდა გითხრათ, გადავწყვიტე ამიერიდან ქართულ თეატრთან მოშორებით თავი დავიკავო. გაგიკვირდებათ ეგ სიტყვა, ვიცი, ძვირფასო ბატონო პეტრე, მაგრამ ამის საბუთსაც ახლავე მოგახსენებთ. პანღური ამოგვკრა კომიტეტმა, ბატონო პეტრე და გარეთ გამოგვრეკა ყველანი, ვინც კომიტეტის მოწოდება შეისმინა და თავიანთი პიესები წარვადგინეთ[12]. თავად გვთხოვა და მერმე კი ჩვენ კარში გამოგვყარა დაურიდებლად და კაზაიანები[13] და აყალ-მაყალები[14] მიართვეს ქართველ საზოგადოებას და ამით ავსებენ ქართულ თეატრს და გიხაროდესთო, ეს არის ქართული ცხოვრებაო. ამ გადმოკეთებულებით ხალხს ბატ. კონსტანტინე მესხი ვერ მოატყუებს და მხოლოდ ნამდვილ ქართულ დრამატიულ ლიტერატურას კარებს უხშობს. ეგებ თავი იმართლონ, რომ სუსტი ნაწარმოებიაო და იმიტომო ქართული ორიგინალური პიესები მისაღები არ არიანო. გენიოსები არც აქტიორები გახლავან და გვეპატივება, რომ პირველი ნაწარმოებნი სრულნი არ იყვნენ და თავიდანვე პანღურს არ გვცემდნენ და მიპატიჟებულთ კარში არ გვრეკამდნენ. კარგი არ იქნებოდა, ძალიან ხელს არ შემიწყობდა რომ „მოამბეს“ ჩემი პირველი სურათი „შერისხვა“[15] თავში მოეხალა ჩემთვის და ეთქვა რომ თავის დღეში არაფრად ივარგებო?! ძრიელ არ წამაქეზებდა დანარჩენების, საწყალ! ბატ. მესხმა ორჯერ გამართა თავისი ბენეფისი და კარგა ფული აიღო, ჩვენ კი უსასყიდლოდ ვმუშაობთ და დაწყებისთანავე ჰოტლაყებით გვყრიან გარეთ. და ამის შემდეგ კიდევ სამდურავი გაისმის მუდამ, რომ ორიგინალური დრამატიული ნაწარმოებნი არ იწერებაო. ნამეტანი შეუბრალებელი ცენზორები მოგვევლინა მაგათ სახით, რომელთ რაღაც დავალებად მიაჩნიათ უგემური პრანჭვა გრეხა სცენაზედ და დონ პედრო დე ბაზანების[16] იქით ველარ მიდიან. ამას კარგა ხანია გამოქვეყნება უნდა და გარდაწყვეტილი მაქვს, როგორც კი შემოდგომის სეზონისათვის დრამ. კომიტეტი დაბეჭდავს მოწოდებას შარშანდელივით და ითხოვს ორიგინალურ პიესებს, იმ წამსვე ეს ყოველივე გაზეთში აღვნიშნო და გავაგებინო ყველას. კარგ მასალებსაც მოვაგროვებ მანამდე. საჭიროა, საჭიროა ეგ, ძვირფასო ბატონო პეტრე — კარებს ნუ გვიკეტავენ, ჩვენც გვესმის ცოტაოდენი და გამზადებულნი ვართ სამუშაოდ და ღვთის მადლით ამ მუშაობაში თუ წინ მივდივართ, თორემ უკან არ ვიხევთ. ქართულ სცენაზე პირველი ადგილი ქართულ მხატვრობას უნდა ქონდეს და არა „აყალ-მაყალს ცოლ-ქმარს შუა“, „აყალ-მაყალს კეთილშობილს ოჯახში“, „დონ პედრო დე ბაზანებს“ და ამგვარებს, რომელნი მხოლოდ მასალაა, ზოგიერთ გაღიდებულ აქტიორთა საპრანჭავ-საგრეხად ხმარებული. მათთან ღრიტინი მე არ შემიძლია და გული რომ მეტკინა, ვერ დაგიმალავთ ამას. წამოსვლაც გადავთქვი. მაგათგანაა, რომ ქართული თეატრი ისე მიილაცება, თორემ მისი გაცოცხლება კი შეიძლებოდა. მერწმუნეთ, ძვირფასო ბატონო პეტრე. თქვენთან მე არას დავმალავ და ამიტომ მოვყევი ამას. აქაურ ამბებს კითხულობთ, ბატონო პეტრე. მაინცა და მაინც ცვლილება არაფერი მომხდარა მას შემდეგ, რაც თქვენ აქ ბრძანდებოდით. ამ მოკლე ხანში ელექტრონით გავნათდებით, მაგრამ განათლებასთან მაინც შორსა ვართ და ამიტომ ხდება ისევ ახალ-ახალი საძაგელი ამბები, რომლის შესახებ „ცნობის ფურცელში“ წაიკითხავთ, თუ უკვე არა გაქვთ წაკითხული: ჩვენი საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების კრებაზედ[17]. ახალი კრება დანიშნულია აპრილის 23-ს[18] და ეგებ მაშინ მაინც ამ ჩვენი დაწესებულებიდან გაიდენოს ის ერთადერთი კაცი, რომელიც შემთხვევამ შეაგდო შიგ და ახლა ვინ იცის, ნამალევად რას არ სჩადის, რა რიგად არ რყვნის ჩვენებს, უიმისოდაც ზნეობით და მოქალაქეობრივ გრძნობით სუსტებს[19]. ივანოვის[20] საქმე სანახევროდ მართალია, რაც ეწერა; ამასთან ბალის შესახებაც რაღაც ედება — კომისია იყო და ჯერ არაა გამოქვეყნებული მათი გამონარკვევი. ერთი სიტყვით, კარგი არაფერია. მუდამ ბრძოლაა, არევ-დარევა, წვრილმანები ათასნაირი. აი, ძვირფასო ბატონო პეტრე, რაშიაც ვართ გახვეული. შესამჩნევი, თვალსაჩინო კი არაფერი და ამიტომ ისე ძნელია აქაური ცხოვრების აღწერა, თორემ ამ ორ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფურცელს კიდევ ორს მოვუმატებდი. მაგრამ ამითაც შევაწყინეთ ვგონებ თავი და მიტომ შევდივარ თქვენს მდგომარეობაში და გთხოვთ მომიტევოთ ეს ზომასგადასული ჩემი ენაწყლიანობა. გთხოვთ უმორჩილესი მოკითხვა ჩემი მოახსენოთ დეიდა თქვენს და მიიღოთ ამგვარი ჩემებიდან. გთხოვთ აგრეთვე მოკითხვა მოახსენოთ ნიკოლოზ ბესარიონის ძეს[21] და ბატ. ლეისტს.[22].

ტენს[23] ამასთანავე ვგზავნი. — ვაი თუ ამ გაჭიანურებული წერილით სურვილი დაგიკარგეთ კვლავაც მოწერისა. იმედი მაქვს, რომ არა. ბოდიშს ვიხდი, რომ წიგნი ამ დრომდის არ გამოგიგზავნეთ.

დავშთები თქვენი მარად ღრმად პატივისმცემელი დავ. კლდიაშვილი".

დავით კლდიაშვილის წერილი შუქს ჰფენს თავისი ადრესატის საქმიანობასაც. დღემდე სამაგალითოდ რჩება ძველ ქართველ მოღვაწეთა უანგარო, თავგამოდებული ზრუნვა იმედისმომცემ ახალგაზრდობაზე. ასეთ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნოდა პეტრე უმიკაშვილიც, რომელიც იყო ფ. გოგიჩაიშვილის „ნამდვილი სულიერი მამა და გზის გამკაფავი ადამიანი" (შ. გუგუშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, თბ., 1973). 1896 წელს მან საკუთარი ხარჯით გაგზავნა ხელმოკლე ახალგაზრდა საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. შემდეგშიც, დ. სარაჯიშვილის, ნ. ღოღობერიძისა და სხვა ქართველი მეცენატების შემწეობით მატერიალურად ეხმარებოდა მას. წინამდებარე წერილიდან ჩანს, რომ პეტრე უმიკაშვილს უთხოვია დავითისათვის შემწეობა — ქართული წარმოდგენის გამართვა საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტის დასახმარებლად.

დავით კლდიაშვილი არაერთხელ ყოფილა ამა თუ იმ პირის სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და რეჟისორიც კი (გავიხსენოთ თუნდაც სტუდენტ გრ. მახარაძის დასახმარებლად გამართული სპექტაკლი); მაგრამ ახლა, უაღრესად შეწუხებული, დაწვრილებით უხსნის ადრესატს, თუ რის გამო არ ხერხდება მისი თხოვნის შესრულება.

დავით კლდიაშვილს, რომელსაც „სინამდვილის ფანატიკოსს" (გ. ქიქოძე) უწოდებენ, მწერლობის უპირველეს მოვალეობად სინამდვილის, ცხოვრების სამსახური, მისი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მიაჩნდა.

ვილიე დე ლილ-ადანით გატაცებული შვილისათვის დავითს უთქვამს: „შენ სულ „გედების მკვლელზე" ოცნებობ. მეც გეთანხმები, კარგია, მაგრამ ის მხოლოდ ლამაზი, პატარა სათამაშო ნივთია. აი სწორედ ისეთი, ჩინელები რომ აკეთებენ ფაიფურიდან. „გედების მკვლელის" დამწერს ადამიანი არ უყვარს... ამიტომ ნურას უკაცრავად იმასთან, თუ მას სხვა მწერალი ვარჩიო, ისეთი მწერალი, რომელსაც კაცი უყვარს!..." (ს. კლდიაშვილი, დასახელებული წიგნი).

დავით კლდიაშვილის მთელი შემოქმედება, მისივე სიტყვები რომ გამოვიყენოთ, „სიყვარულიანი მხატვრობაა" — ადამიანის ტკივილამდე მისული სიყვარულისა და შეცოდების, მისი სულიერი ამაღლების, შინაგანი სრულყოფის რწმენით შთაგონებული.

ამიტომაც არ გვეუცხოება ზემომოყვანილი წერილის ცხარე პოლემიკური ტონი კიტა აბაშიძის ზოგიერთი მოსაზრების გამო.

ცნობილია დავით კლდიაშვილისა და კიტა აბაშიძის გულითადი, ურთიერთდაფასებასა და სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა. კ. აბაშიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა უწინასწარმეტყველა დავით კლდიაშვილს საპატიო ადგილი ქართულ მწერლობაში (იხ. გაზ. „ივერია", 1895, 16 ივლისი, № 150).

დავითი ამ შემთხვევაში უაღრესად ობიექტურ მსაჯულად გვევლინება. თვით კიტა აბაშიძესაც კი არ ინდობს, როცა ის ხოტბას ასხამს დეკადენტიზმის გამოვლენას ქართულ მწერლობაში.

„ჩვენ ხილულ მოვლენის ქვეშ უხილავს ვიძიებთ და „მოვლენათა შორის დაფარულ კავშირს ვეტანებით" — წერდა კიტა აბაშიძე — „მწერალს, რომლისთვისაც ბუნებას მიუნიჭებია უფრო ნაზი გრძნობიერება და ფაქიზი ნერვები, ვინემ უბრალო მოკვდავისათვის, ვალად აძევს, ის გვაჩვენოს და დაგვისურათოს, რასაც უბრალო მომაკვდავი ვერ შენიშნავს". კრიტიკოსი განიხილავდა ივ. ზურაბიშვილის თხზულებებს და მაღალ შეფასებას აძლევდა მათ, როგორც „დღევანდელის მოწინავე წრის აზრისა და სურვილის" გამოხატულებას: „სულ ახლად სამწერლო ასპარეზზე გამოსულს ავტორს (1897 წლიდან) ორიოდე ეტიუდი დაუწერია და სამი უდიდესი საგანი, უმძიმესი კითხვა აულია ამ ეტიუდების შინაარსად. „სასაფლაოს ნოტიობასა და სიცივეში" სიკვდილის სიმბოლო გვაჩვენა; საათის „ტიკ-ტიკ"-ში დროის დენის უგუნურება და გულ-ქვაობა, ხოლო „მოგონებაში" აზრის გაუმაძღრობა, მისი დაუსრულებელი წადილი და ძიება რეალურის ქვეყნის სარჩულისა". კრიტიკოსისათვის ივ. ზურაბიშვილის პროზა მისაღები იყო უპირატესად მისი ფილოსოფიური საფანელის გამო, რადგან იქვე დასძენდა: „ავტორი, ეტყობა დახელოვნებული ვერ არის ლიტერატურაში, მის ტექნიკასა და ენას ეჭირვება შემუშავებაო" („მოამბე", 1900, № 11).

დ. კლდიაშვილის სამწერლო თუ მოქალაქეობრივი მრწამსი ვერ იგუებდა ზურაბიშვილისეულ ხკეფსისს. სინამდვილისაგან განდგომას, „რეალური ქვეყნის იქით დამალულ საიდუმლოსკენ" სწრაფვას მწერალი ჩვენი იმდროინდე-

ლი ვითარებისათვის დამღუპველად მიიჩნევდა, „უალაგო და ნაძალადევად შემოთრეულ“ პესიმიზმს სულის სიმხნევესა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ახალი გზების ძიებას უპირისპირებდა; „სოციალურ კითხვათა გამორკვევას“ იგი XX საუკუნის უპირველეს ამოცანად თვლიდა.

მწერლის პროგრესულ აზროვნებასა და ფართო თვალსაწიერზე მიგვანიშნებს ცხოველი ინტერესი დრეიფუსის საქმისა და ინგლის-ბურების ომისადმი.

უკვე აღინიშნა დავით კლდიაშვილის განსაკუთრებული ინტერესი თეატრისადმი. ზემომოყვანილი წერილი ეხება „ირინეს ბედნიერების“ სცენაზე დადგმის წინაისტორიას, გადმოგვცემს მწერლის უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს სათეატრო რეპერტუარის შესახებ. დღესაც აქტუალურად ჟღერს დრამატურგის სიტყვები: „ქართულ სცენაზედ პირველი ადგილი ქართულ მხატვრობას უნდა ჰქონდესო“. სწორედ ამ გზით შეიძლებოდა, დ. კლდიაშვილის აზრით, ქართული თეატრის აღორძინება, რადგან, მდარე ხარისხის გადმოკეთებული პიესების წარმოდგენა არაფერს სძენს ქართულ სცენას, მხოლოდ „ნამდვილ ქართულ დრამატიულ ლიტერატურას კარებს უხშობსო“.

დავით კლდიაშვილის დრამატურგია, რომელიც, აკაკი წერეთლის თქმით, „ხალასი ოქროა“, ის-ის იყო ფეხს იდგამდა.

დავითი გულნატკენი იყო იმით, რომ დრამატულმა კომიტეტმა, შეპირებისამებრ, არ წარმოადგინა „ირინეს ბედნიერება“ 1899 წლის სეზონში (აქვე აღვნიშნავთ, რომ პიესა დაიდგა თბილისში 1901 წელს ვ. აბაშიძის რეჟისორობით. პიესის არასწორი გააზრება — კომიკური პლანის წინ წამოწევა — უნდა ყოფილიყო მისი „ჩავარდნის“ მიზეზი. იმავე წელს „ირინეს ბედნიერების“ დადგმა განახორციელა ქუთაისში ლადო მესხიშვილმა. წარმოდგენას წილად ხვდა დიდი წარმატება).

ცალკე აღნიშვნის ღირსია დ. კლდიაშვილის მოკრძალებული ტონი საკუთარი პიესის მიმართ — „გვეპატივება, რომ პირველი ნაწარმოები სრულნი არ იყვნენო“, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელმა კრიტიკოსებმა გამოქვეყნებისთანავე მაღალი შეფასება მისცეს „ირინეს ბედნიერებას“ (იხ. ი. ნაკაშიძისა და ხომლელის წერილები, „მოამბე“, 1898, № III; „აკაკის თვიური კრებული“, 1899, IX).

დღესდღეობით სავსებით გაცხადებულია დავით კლდიაშვილის — ახალი ტიპის დრამატურგიის შემქმნელის, ქართული კლასიკური მწერლობის დიდ თეატრალურ ტრადიციათა განმავითარებლის როლი.

დავით კლდიაშვილის წერილებში სრულად არის წარმოჩენილი მწერლისნაირგვარ ინტერესთა რკალი, მისი ნათელი მოქალაქეობრივი მრწამსი.

ზემომოყვანილი წერილები ორიოდე შტრიხს მატებს დავით კლდიაშვილს, მთლიან, ჰარმონიულ პიროვნებას — შემოქმედს, მოღვაწეს, მოქალაქეს.

## შენიშვნები

1. მსახიობი ანა სოლორაშვილი.

2. იგულისხმება დავით კლდიაშვილის მოთხრობა „წრფელი გული“, დასტამბული „მოამბეში“ 1896 წელს.

3. პეტრე უმიკაშვილი 1894 წელს ეკატერინე გაბაშვილს სწერდა: „ოქტომბრის 21-დან ბათუმში გადმოვედი დეიდა ჩემითურთ და აქ დავბინავდი, ახლა ბათუმელი გახლავართ“ (მ. ზანდუკელი, „პეტრე უმიკაშვილის ოთხი, წერილი ეკატერინე გაბაშვილისადმი“ კრებ. „პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941).

4. იგულისხმება ესპანური აღორძინების ხანის ცნობილი ძეგლი, XVI საუკუნის მოთხრობა „ლაზარილიო ტორმესელი“, რომლის უმიკაშვილისეული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ 1899 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის ნომრებში. იმავე წელს გამოიცა ცალკე წიგნად. ჩანს, დავით კლდიაშვილი მადლობას უძღვნის პეტრე უმიკაშვილს სწორედ ამ უკანასკნელის გამოგზავნის გამო.

5. დავით კლდიაშვილს მხედველობაში აქვს კიტა აბაშიძის წერილი „1899 წლის ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა“, დასტამბული ჟურნალ „მოამბის“ 1900 წლის თებერვლის ნომერში.

6. ალფრედ დრეიფუსი (1859-1935) — საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი, წარმოშობით ებრაელი, რომელსაც 1894 წელს უსაფუძვლოდ დააბრალეს გერმანიის ჯაშუშობა და მიუსაჯეს სამუდამო კატორღა; ნამდვილი დამნაშავე ესტერგაზი კი გაამართლეს. დრეიფუსის საქმეს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. გახმაურდა ემილ ზოლას საპროტესტო წერილი პრეზიდენტისადმი „მე ბრალს ვდებ“ (1898). დემოკრატიულ ძალთა დაჟინებული მოთხოვნით 1899 წლის 19 სექტემბერს პრეზიდენტმა შეიწყალა დრეიფუსი, რომელიც სავსებით გაამართლეს მხოლოდ 1906 წელს.

7. სამხრეთ აფრიკის მოსახლეობის ბურების (აფრიკანერების) ბედი XIX—XX საუკუნე-

თა მიჯნაზე აღელვებდა მთელ პროგრესულ კაცობრიობას. 1899 წელს ინგლისმა წამოიწყო მტაცებლური, უთანასწორო ომი ბურებთან, რომელიც დასრულდა 1902 წელს.

8. მელანია — ნიკოლოზ გიორგის ძე ნათაძე (1853-1921) — ქართველი მწერალი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1888 წლიდან.

9. დავით კლდიაშვილის მოთხრობა „ქამუშაძის გაჭირვება“ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1900 წლის დასაწყისში (№ I-IV).

10 ვასო ალექსის ძე აბაშიძე (1854-1925) ქართველი მსახიობი, რეჟისორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

11. ალექსანდრე ჰყონია — ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, რედაქტორობდა ჟურნალ „მოამბესა“ და გაზეთ „ცნობის ფურცელს“.

12. 1899 წლის 1 სექტემბერს დავით კლდიაშვილმა, ქართული დრამატული საზოგადოების კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ წარადგინა თავისი პირველი პიესა „ირინეს ბედნიერება“: „ვთხოვ კომიტეტს მიიღოს გასარჩევად ჩემი პიესა სახელწოდებით „ირინეს ბედნიერება“ საპრემიოდ წარმოდგენილ პიესებთან ერთად. თუ იმ მიზეზით, რომ პიესა დაბეჭდილია და საპრემიო პიესებთან არ მიიღება, ვთხოვ კომიტეტს ამ შემთხვევაში იგი ცალკე განარჩიონ, თუ რამდენად გამოსადეგია იგი სცენისათვის და შესაძლებელია თუ არა მისი მიღება ქართულ თეატრში წარმოსადგენად“ (წერილი დაცულია გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში — გამოაქვეყნა შ. გოზალიშვილმა: „დავით კლდიაშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „მნათობი“, 1962, № 9).

13. იგულისხმება ა. სუმბათაშვილის დრამა „კაზაიანი“, გადმოკეთებული ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის კ. მესხის მიერ.

14. იგულისხმება კ. მესხის გადმოკეთებული კომედიები: „აყალ-მაყალი კეთილშობილს ოჯახში“ და „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“.

15. დავით კლდიაშვილის პირველი ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები „შერისხვა“ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“ 1894 წელს.

16. „დონ პედრო დე ბაზანი“ უნებლიე შეცდომა უნდა იყოს. დავით კლდიაშვილს უთუოდ მხედველობაში აქვს პიესა კ. მესხის რეპერტუარიდან — დიუმონუასა და დე ნერის „დონ სეზარ დე ბაზანი“.

17. კორესპონდენცია ბათუმის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების კრების შესახებ, რომელიც გაიმართა 26 მარტს, გამოქვეყნდა 1900 წლის 4 აპრილს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 1090).

18. საზოგადოების ხელახალი კრება გამართულა არა 23, არამედ 30 აპრილს (იხ. „ცნობის ფურცელი“, 1900, 4 მაისი, № 1114).

19. იგულისხმება საზოგადოების ბანკის დირექტორი ი. პარონბეგოვი, რომლის უპატიოსნო საქციელი ცნობილი გამხდარა საზოგადოების წევრთათვის. პარონბეგოვს მაინც მოუხერხებია თანამოაზრეთა შემოკრება (ლ. გაბუნია და სხვანი), რომელთა ჩხუბისა და აყალმაყალის გამო ჩაშლილა საკრედიტო საზოგადოების 26 მარტის კრება.

20. იგულისხმება ი. ივანოვი, რომელიც ლუკა ასათიანის ბათუმის ქალაქის თავად დანიშვნის შემდეგ (1897 წლიდან) თვითმმართველობის გამგეობის წევრი იყო; ლ. ასათიანის მოულოდნელი გარდაცვალების დღიდან კი ქალაქის თავის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ბათუმის ქართველობას დიდი მეცადინეობა დასჭირდა, რომ მთავრობის ეს ყურმოჭრილი მონა ქალაქის თავად არ დაენიშნათ.

21. იგულისხმება ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე.

22. არტურ ლაისტი (1852-1929) — გერმანელი მწერალი, მეცნიერი, ქართული კულტურის მოამაგე, მოღვაწეობდა საქართველოში, აქვე გარდაიცვალა.

23. იპოლიტ ტენი (1828-1893), ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ესთეტიკოსი. ერთობ პოპულარული იყო XIX საუკუნის დასასრულს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭარხალაშვილი

# დრამატურგის ოსტატობა

## (ბერტოლტ ბრეხტის პიესა-პარაბოლა)

ბერტოლტ ბრეხტის ბევრი პიესა — პიესა-პარაბოლაა. აქტუალური თემის მხატვრული დამუშავების დროს ბრეხტი ხშირად იყენებს დიდაქტიკური ლიტერატურის ამ ჟანრს, როგორც ოცდაათიან წლებში, ასევე შემოქმედების ბოლო პერიოდში („არტურო უი", „კავკასიური ცარცის წრე", „ტურანდოტი" და სხვ). დრამატურგის ერთგულება ამ ჟანრისადმი გასაგებია. იგი მას საშუალებას აძლევს გააძლიეროს „ეპიკური" პიესისათვის დამახასიათებელი კრიტიციზმი, მოახდინოს კონკრეტული თემისა და მასალის განზოგადება, პროექციაში გვიჩვენოს ახახული სინამდვილე, გამოიყენოს „ეპიზირებისა" და „გაუცხოების" ყველა პრინციპი და ელემენტი.

რეალისტური ხელოვნებისათვის მებრძოლი ბრეხტი, რეალისტური „გაუცხოების", რეალისტური პირობითობის, რეალისტური აბსტრაქციის შეგნებული დამცველია. იგი ასევე იცავს რეალისტურ პარაბოლას, რომელიც მხატვრული აბსტრაქციის დიდი ასპარეზია, მაგრამ ისეთი აბსტრაქციაა, რომელშიც ასახული სინამდვილე ყოველთვის კონკრეტულია, ასახვის ობიექტი ყველასათვის შესამჩნევია.

ერნსტ შუმახერთან საუბარში ბრეხტს ამის თაობაზე უთქვამს: „პარაბოლა ბევრად უფრო მოხერხებული ფორმაა, ვიდრე ყველა სხვა. ლენინი პარაბოლას იყენებდა როგორც მატერიალისტი და არა როგორც იდეალისტი. პარაბოლის მეშვეობით იგი რთულს ამარტივებდა. დრამატურგისათვის პარაბოლა კოლუმბის კვერცხია, რადგან იგი კონკრეტულია აბსტრაქციაში და, ამავე დროს, არსებითს თვალსაჩინოს ხდის".

რეალისტური პარაბოლა, ბრეხტის ღრმა რწმენით, „ეპიკური" დრამატურგიის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრია, ვინაიდან იგი აადვილებს იმ შედეგის მიღწევას, რასაც ხელოვანი მკითხველისა და მაყურებლის შემოქმედებით აქტივობას, კრიტიკულ განწყობას და კვლევით აზროვნებას უწოდებს. შედეგის მიღწევისათვის პიესა-პარაბოლა იყენებს ვრცელ მხატვრულ შედარებას, რომელშიც ახლებურად ხაზგასმულია ის მომენტები, რომლებიც ავტორის ყურადღების ცენტრშია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარაბოლა-შედარება ქმნის მხატვრულ-დრამატულ პლანს კონკრეტული მასალისა და პრობლემატიკისათვის, რაც „ეპიკურ" სცენებსა და ნაწილებშია მოცემული. მკითხველი თუ მაყურებელი ძალაუნებურად ადარებს ერთმანეთთან „ეპიკურად" მოხაზულ სინამდვილესა და მის მხატვრულ-პრაქტიკულ სურათს, ეძებს საერთოს მათ შორის, რომლის მიგნებაც ავტორის მიერ გაადვილებულია. პარაბოლის მეშვეობით „გაუცხოებულია" „ეპიკურ" სცენებში მოთხრობილი ამბავი, ამდენად იგი „გაუცხოების" ფორმაცაა.

ფაშისტური რეჟიმის, რასიზმის, ძალადობისა და ძალმომრეობის ამსახველი სცენები „გაუცხოებულია" იაჰოოს სამეფოში (პიესა-პარაბოლა „მრგვალთავიანები და წვრილთავიანები") მომხდარი ამბების მხატვრულ-ალეგორიული, სატირულ-გროტესკული რეპროდუქციით. ამავე პიესაში „გაუცხოების იდეურ-მხატვრულ ფუნქციას ასრულებს შექსპირული ჩარჩო", რომელშიც მოქმედებაა გაშლილი. ბრეხტის რეალისტურ პარაბოლაში არც „გაუცხოვების" ობიექტის პოვნაა ძნელი და არც კიდევ ქვეტექსტის ამოკითხვა.

ბრეხტის სატირა ყოველთვის კონკრეტულია, სატირულ-აგროტესკული პერსონაჟები — ადვილად გამოსაცნობი. მიუხედავად ამისა, პარა-

ბოლის ოსტატი შეგვახსენებს ხოლმე: „თუ ჩვენ გვინდა მოვსპოთ ყალბი ცნობიერება და განვამტკიცოთ ნამდვილი, მაშინ ადამიანები თვითონვე თავიანთ პიროვნებებამდე უნდა მივიყვანოთ, — ეუბნება ბრეჰტი შუმახერს. — ამას ვერ შევძლებთ, თუ ადამიანებს თავიანთ მსგავს ადამიანებს წარვუდგენთ. იოსები იოსებს ისე კარგად იცნობს, რომ მისთვის ყველა იოსები ერთია. როცა სახლი იწვის, სახლის პატრონს ვერ დაელაპარაკები, მაგრამ სახანძრო დაცვის კაპიტანთან მოახერხებ ამას. ერთი სიტყვით, შემთხვევები უნდა გაუცხოვდეს. რაც უფრო მარტივად გაკეთდება ეს, მით უკეთესი. სწორედ ამიტომაა პარაბოლის ფორმა ყველაზე უფრო ხელსაყრელი“.

ცნობილია, რომ ფაქტისა თუ მოვლენის „გაუცხოებისათვის“ ბრეჰტი ხშირად იყენებს ფანტასტიკურ-მოჩვენებით გარემოსა და ეგზოტიკურ ფონს. ამას ზოგიერთი კიპლინგის გავლენას მიაწერს. ასე ფიქრობს, მაგალითად, ე. ბონემენიც, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა მისი აზრი პარაბოლასთან დაკავშირებით. რატომ იყენებს ბრეჰტი ასე ხშირად ეგზოტიკურს? — კითხულობს ის და იქვე პასუხობს: „იმიტომ, რომ ეგზოტიკური ბაზისია პარაბოლისათვის. სიტუაცია, რომელიც ჩვენს წინაა, იმდენად ახლოსაა და იმდენად ჩვეულებრივია, რომ არ გამოდგება ზოგადი დასკვნებისათვის. მაგრამ თუ მას ეგზოტიკურ გარემოში გადავიტანთ, იგი გადაიქცევა ალეგორიად. თუ მისთვის გამოვიყენებთ ეგზოტიკური გამოთქმებით მორთულ ენას, მაშინ ენაც პარაბოლის შესაფერი გახდება“.

ბრეჰტი ბოლომდე და თანმიმდევრულად იცავდა პარაბოლას, როგორც რეალისტური განზოგადებისა და პირობითობისათვის მოხერხებულ ლიტერატურულ ჟანრს. პარაბოლა ის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრული ფორმაა მის დრამატურგიაში, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს „გაუცხოების“ მოთხოვნებს. ერნსტ შუმახერთმან საუბარში ბრეჰტი „კავკასიური ცარცის წრის“ ტიპის პიესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა „ქალბატონ კარარის თოფები“ და „შიში და სიღატაკე მესამე იმპერიისა“. მას მიაჩნდა, რომ პარაბოლური პიესების ზემოქმედება მაყურებელზე ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე იმ ნაწარმოებებისა, რომლებშიც სინამდვილე პირდაპირ და უშუალოდაა ასახული. პიესა-პარაბოლა, ბრეჰტის თქმით, „ყველასათვის მარტივია და ადვილად მისაწვდომი“. ამიტომ, მისი აზრით, ამგვარი ნაწარმოების მეშვეობით ადვილია მკითხველამდე დაიყვანო სიმართლე, მოამზადო ის წარმოდგენილი სინამდვილის სწორი შეფასებისათვის. პარაბოლის ზემოქმედება თავისუფალია პათოსისაგან, რომელიც „ზერელეა და ამდენად პრობლემატური“. ამასთანავე, შენიშნავს ბრეჰტი, პარაბოლა, როგორც ყველაზე უფრო მოხერხებული ფორმა სხვა ფორმათა შორის“, „მწერალს საშუალებას აძლევს „შემოვლითი გზით დაიყვანოს სიმართლე მკითხველის ცნობიერებამდე, რაც ჯერ კიდევ ესოდენ საჭიროა ჩვენს საუკუნეში“.

ბრეჰტი პარაბოლას იცავს შემოქმედების ბოლო პერიოდშიც (1949 წლის შემდეგ), როცა ის „თანამედროვეობის თემების აქტუალური ფორმით დამუშავებაზე“ ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ „ჩვენი საუკუნის პოზიტიური ტიპი არ შეიძლება განსახიერდეს ძველი ფორმითა და ძველი თვალსაზრისით“. მაგრამ, როგორც იმავე საუბრიდან ჩანს, ბრეჰტი პარაბოლას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ძირითადად კაპიტალისტური საზოგადოების კრიტიკისა და უარყოფის დროს. კაპიტალისტური სისტემის მანკიერებათა ჩვენება, ბრეჰტის თქმით, მხატვრულად ბევრად უფრო ძლიერია რეალისტური პარაბოლის ფორმით, ვიდრე „პირდაპირი რეალიზმის“ გზით. სანიმუშოდ ის ასახელებს „სეჩუანელ კეთილ ადამიანს“, რომელიც, მისი სიტყვებით, კაპიტალისტური წყობილების განქიქებისათვის პარაბოლის ფორმას იყენებს.

ამ პიესაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „უმწეო და უღღეურია საზოგადოება, რომელშიც ადამიანი კეთილი და წესიერი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა სისტემატიურად ცუდია“. „პირდაპირი რეალიზმის სფეროში — ამბობს ბრეჰტი, ამის ჩვენება გაძნელდებოდა, თანაც განსხვავებით პარაბოლის ფორმისაგან, ასეთი პიესა იქნებოდა ტლანქი, მოსაწყენი და არაეფექტური“. თანამედროვე თემატიკის დაძლევისათვის, ბრეჰტის მიხედვით, საჭიროა ახალი ფორმების ძიება. იგი დარწმუნებულია, რომ მომავალში მოინახება მხატვრული საშუალებანი ,რომლებიც გააადვილებენ დადებითი გმირის სცენაზე გამოყვანას. გასაგებია, რომ ბრეჰტი ლაპარაკობს მხატვრულ ფორმებსა და საშუალებებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნაწარმოების მაღალი მხატვრული დონე. ამ თვალსაზრისით პარაბოლა მას „ნაცად ფორმად“ მიაჩნია. „მტკიცედ სწამს, რომ განვითარებული ცივილიზაციის დროს კომუნიზმში სწორედ პარაბოლას აქვს დიდი მომავალი, ვინაიდან სწორედ მას ძალუძს სიმართლის ასე ელეგანტურად მოწოდება“ — ამბობს ბრეჰტი.

როგორც ვხედავთ, ბრეჰტი პარაბოლას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი, მისი აზრით, ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია რეალისტურ ხელოვნებაში, რომელსაც „სიფართოვე და მრავალმხრივობა“ ახასიათებს. პარაბოლის თეორია და პრაქტიკა ორგანულად გამომდინარეობს მიძღვრებიდან „ეპიკურ“ თეატრსა

და დრამაზე, რასაც ბრეჰტი შეგნებულად იცავს და შემოქმედებითად ანვითარებს როგორც 30-ან წლებში, ასევე მომდევნო პერიოდში, „პარაბოლა-„ეპიკური“ დრამატურგიის „ნაცადი ფორმა“ და „მოხერხებული ჟანრა“, იგი ისევე ამდიდრებს რეალისტურ დრამატურგიას, როგორც „ეპიკური“ დრამა მთლიანად რეალისტურ ხელოვნებას. ბრეჰტის პიესები და თეატრალური პრაქტიკა ადასტურებს „ეპიკური“ დრამის სიცოცხლისუნარიანობისა და ესთეტიკური სრულყოფის მაღალ ხარისხს, ამიტომ არავითარი გამართლება არა აქვს ზოგიერთი მეცნიერის ცდას, რაღაც უნდა დაუჯდეს, იპოვოს „ბზარი“ ბრეჰტის შემოქმედებით სისტემაში, გამოძებნოს საამისოდ ფორმალურ-ლოგიკური პოსტულატები, მოიმარჯვოს „წმინდა“ თეორიული არგუმენტები, რათა დაამციროს „ეპიკური“ დრამა და მისი ავტორი. ამ მეცნიერებს ავიწყდებათ, რომ ბრეჰტის თეორია და პრაქტიკა მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. ცალკეული ცნებებისა და ტერმინების „წმინდა“ თეორიული ანალიზი აგვაცდენს ჭეშმარიტების ძიების მეცნიერულ გზას. თვით ბრეჰტიც გვაფრთხილებს ხოლმე გზადაგზა, რომ „ეპიკური“ დრამის თეორიული საკითხები მან, შესაძლებელია, ისე სრულად და ყოველმხრივ ვერ გაამუქა, როგორც ეს სასურველი იყო. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გვახსოვდეს მისი თეატრალურ-ესთეტიკური მიძღვრების ძირითადი პრინციპები, „ეპიკური“ დრამისა და თეატრის არსებითი ნიშნები, რათა პასუხი მივიღოთ ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ბრეჰტის მემკვიდრეობის ათვისების პროცესში. საკუთრივ „ეპიკური“ თეატრის ცნებასთან დაკავშირებით ბრეჰტს ერნსტ შუმახერისათვის უთქვამს: „უნდა ვაღიარო, ვერ მოვახერხე იმის ნათლად ჩვენება, რომ ეპიკურის კატეგორია ჩემი თეატრისათვის ხაზოგადოებრივი კატეგორიაა და არა ესთეტიკურ-ფორმალური“ (ხაზი ჩემია — ზ. ჭ.). მას, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია ბრეჰტის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურება, ვერ აუხსნია დრამატურგის მხატვრული პირობითობა და ფანტაზია, „ეპიკური“ დრამა და „სასწავლო“ პიესა, კომედია და პარაბოლა, უნდა მოვაგონოთ მწერლის კრიტიკული წერილი „რეალისტური მეთოდის სიფართოვე და მრავალმხრივობა“ (1938), რომელშიც ნათქვამია: „რეალიზმის ცნება სიფართოვეს გულისხმობს და არა შეზღუდულობას, ვინაიდან თვით ცხოვრებაა ფართო, მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი... გარეგანი, ფორმალური ელემენტები უცხოა რეალისტისათვის. არც წინასწარ მზამზარეულ ფორმებზე შეიძლება ლაპარაკი: ხშირად ერთ და იმავე მწერალთან ახალი ფორმის ძიება ხრწნად ესთეტიზმამდე შეიძლება მივიდეს, ხოლო ცოცხალი ფანტაზია უნაყოფო ფორმალურმა ვარჯიშმა შეცვალოს. მაგრამ, — შენიშნავს ბრეჰტი — ეს როდი ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ ძიებაზე ფორმის სფეროში და ფანტაზიაზე...“

„გაუცხოება“ ბრეჰტის „ეპიკური“ დრამატურგიის ესთეტიკური საფუძველია, სინამდვილის მხატვრული გარდასახვის გარკვეული სისტემაა. ამას ბრეჰტის ყოველი „ეპიკური“ პიესა ადასტურებს, მაგრამ „ეფექტი“ უფრო ძლიერია იმ დრამატულ ნაწარმოებებში, რომელთაც პარაბოლის გამოკვეთილი ფორმა აქვთ. ასეთია, მაგალითად, „მრგვალთავიანები და წვრილთავიანები“ (1932-34 წ.წ.). ავტორის განმარტების თანახმად, ესაა პიესა-პარაბოლა რასობრივ თეორიაზე, არაარისტოტელური დრამატურგიის ნიმუში იგი, მისივე სიტყვებით, „არის ახალი მხატვრული დამუშავება ძველი იტალიური ამბისა, რომელიც შექსპირმა გამოიყენა პიესაში „საწყაული საწყაულისა წილ“.

როგორც იდეურად, ასევე მხატვრულად მთელი პიესისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დრამატულ პროლოგს. იგი ბრეჰტმა ვარიანტებზე მუშაობის დროს დაწერა და პირველად დანიაში დასრულებულ ვარიანტთან ერთად გამოაქვეყნა. პროლოგი წარმოადგენს სცენას თეატრში. თეატრის დირექტორი გვაცნობს პიესაში მონაწილე შვიდ პერსონაჟს, გამოყოფს პრობლემებს, რომლებიც დრამატურგს აინტერესებს და მიგვითითებს იმ მხატვრულ ფორმაზე, რომელიც ავტორმა გამოიყენა. პროლოგის დაწყებამდე უკვე ვიცით, რომ „მოქმედება ხდება ქალაქ ლუმაში, რომლის მოსახლეობა ორი რასისაგან — ჩუხებისა და ჩიხებისაგან შედგება. ჩუხებს მრგვალი თავები აქვთ, ჩიხებს — წვრილი. წვრილი თავები მრგვალზე თხუთმეტი სანტიმეტრით მაღალი უნდა იყოს, მაგრამ მრგვალი თავებიც წვრილზე არანაკლებ მახინჯი. თეატრის დირექტორი მაყურებელს აცნობს, რომ პიესა იწყება, პიესის ავტორია, ამბობს ის, კაცი, რომელმაც ბევრი იმოგზაურა, ბევრი რამ ნახა. „პიესაში ის გიჩვენებთ სწორედ იმას, რაც ნახა“. მან ნახა, განაგრძობს დირექტორი, საშინელი უთანხმოებანი, თეთრკანიანის დავა შავკანიანთან, ყვითელკანიანის მიერ მისივე მსგავსის დამცირება, მეზობლების შუღლი და მტრობა, გრძელცხვირიანებისა და ბრტყელცხვირიანების ჩხუბი და ა. შ.

თეატრის დირექტორის სიტყვებით, პიესის ავტორს შეუტყვია, რომ ყოველივე ამის მიზეზია „თავის ქალების დიდი დამხარისხებელი, ქვეყნად მოვლენილი მხსნელი“, რომელიც ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის და ადამიანებს ერთმანეთისაგან თავის ქალით, ცხვირის მოყვანილობით, კანისა და თმის ფერით ანსხვავებს. ყველგან, სადაც მან ფეხი დადგა, ადა-

მიანები ამგვარი ნიშნებით დაახარისხეს და ერთმანეთს გადაჰკიდეს. მაგრამ, შენიშნავს თეატრის დირექტორი, პიესის ავტორმა კარგად იცის, რომ „ეს არ არის მთავარი განსხვავება“ ადამიანებს შორის, მთავარია მათი დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, დაყოფა, რომელიც „ღრმა კვალს ამჩნევს ადამიანების ყოფა-ცხოვრებაზე“. პიესის ავტორი, გვეუბნება დირექტორი პროლოგში, „ყოველ ჩვენგანს დაუმტკიცებს, რომ ყველა უბედურება ამ განსხვავების ბრალია“. ამისათვის მან გამოიყენა შედარება, რომელსაც ახლა სცენაზე გიჩვენებთ. შედარებისათვის, დირექტორის თქმით, სცენაზე აგებულია იაჰოოს სამეფო, შეძენილია საჭირო ფორმის თავის ქალები და ტანსაცმელი. შემდეგ თეატრის დირექტორი სპექტაკლში მონაწილეებს თხოვს გამოეწყონ ისე, რომ გავარჩიოთ მდიდრები და ღარიბები, მრგვალთავიანები და წვრილთავიანები. დაბოლოს, დირექტორი იმასაც გვეუბნება, რომ ის, რაც სცენაზე გათამაშდება, შედარებაა, პარაბოლაა, რომლითაც „ცოცხალი სინამდვილე ამეტყველდება“. დასასრულ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბრეჰტი „ცდების“ რვეულში გამოქვეყნებულ ვარიანტს პიესას, პიესა-სანახაობას უწოდებს, ხოლო უკანასკნელ ვარიანტს — ზღაპარს, მონაგონ ამბავს.

„მრგვალთავიანებსა და წვრილთავიანებში“ ბრეჰტმა პარაბოლა გამოიყენა ფაშისტური რეჟიმისა და რასობრივი თეორიის კრიტიკისათვის. პიესა ალეგორიულ-დიდაქტიკური ხასიათისაა და ძირითადათ „გაუცხოების“ პრინციპების გამოყენებით აღწევს რეალისტურ განზოგადებას. მხატვრული აბსტრაქცია და პირობითობა გამოყენებულია პილიტიკური თემის დასამუშავებლად. ამასვე ემსახურება სატირული გროტესკიც. მიაღწია თუ არა ბრეჰტის ანტიფაშისტურმა პარაბოლამ მიზანს? ბრეჰტთან ერთად ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. სასურველ შედეგს ავტორმა დანიაშივე მიაღწია, სადაც პიესა პირველად დაიდგა 1936 წლის 4 ნოემბერს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ბრეჰტი კმაყოფილი იყო იმ შეფასებით, რაც სპექტაკლს მისცა როგორც რიგითმა მაყურებელმა, ასევე ოფიციალურმა პრესამ. დადგმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ბრეჰტმა დეტალურად დაამუშავა მთელი პიესა სცენისათვის, განმარტა მისი ცალკეული ადგილები და წერილობით ჩამოაყალიბა რჩევა-დარიგება სპექტაკლის ავტორებისათვის. ყველა შენიშვნა ცნობილია, როგორც „კოპენჰაგენის დადგმის აღწერილობა“. აქედან საინტერესოა შენიშვნები „პარაბოლური ფორმის თავისებურებებზე და „გაუცხოებაზე“.

„პიესა არაარისტოტელური დრამატურგიის ნიმუშია და პარაბოლის ტიპისაა — წერს ბრეჰტი, — იგი საჭიროებდა სცენის ისეთ კონსტრუქციას და თამაშის მანერას, რომელიც ილუზიური ზემოქმედების შორსგამიზნული უარყოფა იქნებოდა. აუცილებლად უნდა გაწეოდა ანგარიში ჩატარებულ მოსამზადებელ სამუშაოებს, რომელთაც შედარების ძალა უნდა წარმოეჩინათ. თამაშის მანერა მაყურებლისათვის იმდენად გასაგები უნდა ყოფილიყო, რომ მას ადვილად შეძლებოდა ნახულის აბსტრაჰირება...“ ბრეჰტი გვიხსნის იმ თეატრალურ საშუალებებს, რომლებითაც მან რეჟისორ პერ კნუცონთან ერთად შეინარჩუნა და გააძლიერა პარაბოლური „ეპიკური“ პიესის თავისებურებანი. მუშაობის პროცესში მთავარი იყო „გაუცხოების“ მთელი სისტემის გამოყენება. კერძოდ, როგორც ბრეჰტი წერს, „წარწერებით, მუსიკალური და ხმოვანი საშუალებებით, მსახიობთა თამაშის მანერით პიესაში აღწერილი ფაქტები და სიტუაციები, როგორც თავისთავად დასრულებული სცენები,უნდა გამოიყოს (გაუცხოვდეს) ყოველდღიურის, თავისთავად გასაგებისა და მოსალოდნელის სფეროდან“ .

„მრგვალთავიანებისა და წვრილთავიანების“ დადგმას კოპენჰაგენში ბრეჰტი ყოველთვის დადებითად ახსენებს. ამას ვერ ვიტყვით „დედის“ ამერიკულ დადგმაზე (ნოემბერი, 1935), რომლის სანახავადაც პიესის ავტორი სპეციალურად ჩავიდა ნიუ-იორკში მრავალრიცხოვან თეატრალურ-კრიტიკულ წერილებსა და შენიშვნებში, მართალია, ბრეჰტი ესალმება „იუნიონ“ თეატრის გამბედაობასა და რევოლუციური პიესის დადგმის ფაქტს, მაგრამ უკმაყოფილოა ცალკეული სცენების ინტერპრეტაციით დადგმისათვის გამოყენებული მხატვრული ფორმით და განსაკუთრებით, პიესის იმგვარი შეკვეცით, როგორიც ასუსტებს ნაწარმოების იდეურ ძალას.

ყოველივე ეს, ბრეჰტის აზრით, შედეგია ამერიკული პროლეტარული თეატრის სისუსტისა, რომელსაც „უეჭველი დამსახურება აქვს პოლიტიკური თეატრის განმტკიცებაში“, მაგრამ ჯერ კიდევ ძალა არ შესწევს „გაუძლვეს მაყურებელს“. წერილში — „პროლეტარიატს გამოსახვის ახალი ფორმები ესაჭიროება“ ბრეჰტი წერს: „ახალი სასცენო ნაწარმოებების შექმნა და დადგმა მოითხოვს დიდ პოლიტიკურ ცოდნას, საშემსრულებლო ხელოვნებას, გამბედაობას (მზადყოფნას, არ ჩამორჩეს მაყურებელს, გაუძღვეს მას), სწავლის სურვილს, უარის თქმას რუტინასა და კონვენციონალურზე, მოითხოვს უპირველეს ყოვლისა, მონდომებას“. სამწუხაროდ, შენიშნავს ბრეჰტი, „დედის“ დადგმამ დაამტკიცა, რომ „იუნიონ“ თეატრს ამ თვისებათა დიდი ნაწილი არ გააჩნია. იქვე ბრეჰტი კონკრეტულ მაგალითებზე უჩვენებს, თუ როგორ „შესუსტდა პიესის პოლიტიკური ზემოქმედე-

ბა“ დრამატურგისა და კომპოზიტორის ცნობილ მითითებათა უგულებელყოფის გამო. „პროლეტარული თეატრისა და ათი ათასობით იმ მუშათა ინტერესებისათვის, რომელთაც სპექტაკლი ჯერ კიდევ არ უნახავთ“, ბრეხტი მოითხოვს აღნიშნულ მითითებათა შესრულებასა და ტექსტის სრული სახით აღდგენას.

შედარებისათვის პიესის ავტორი იყენებს 1932 წლის ბერლინის თეატრალურ მოდელს და პიესის ინგლისური სასცენო ვარიანტის კრიტიკული განხილვის საფუძველზე გვიჩვენებს, თუ როგორ გაღარიბდა ნაწარმოებისა და სპექტაკლის იდეური შინაარსი „ეპიკური“ თეატრის თავისებურებათა შეუფასებლობის შედეგად. ამასვე იმეორებს ბრეხტი პოეტურ წერილში „იუნიონ“ თეატრისადმი, რომელიც ასე მთავრდება: „ამხანაგებო, ახალი პიესების ფორმა ახალია, მაგრამ რატომ უნდა გვეშინოდეს იმისა, რაც ახალია? ძნელია მისი ათვისება? რატომ უნდა გვეშინოდეს იმისა, რაც ახალია და ასათვისებლად ძნელია? თუ თქვენი მაყურებელი, მუშა მერყეობს, მას კი არ უნდა მისდევდეთ უკან, არამედ წინ უნდა გაუძღვეთ, სწრაფად უნდა იაროთ წინ, განიერი ნაბიჯებით, აუცილებლად უნდა გწამდეთ მისი საბოლოო ძალა“.

„ლუკულუსის დაკითხვა“ (1938) ბრეხტმა შვეციაში დაწერა. იგი რადიოპიესა იყო და მიზნად ისახავდა მტაცებლური ომების დაგმობასა და ე. წ. „უძლეველი მხედართმთავრების“ განქიქებას. პიესა პოპულარული გახდა 1951 წელს, როცა პაულ დესაუმ მის ტექსტზე ოპერა დაწერა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მაშინ ბევრმა სწორად ვერ გაიგო ბრეხტის ლიბრეტო და დესაუს მუსიკა, კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ვერ ჩაწვდა პიესის მხატვრულ პირობითობას, ხოლო მუსიკაში ფორმალისტმოდერნისტული ტენდენციები დაინახეს. მწვავე დისკუსიას შედეგად მოჰყვა მხოლოდ ის, რომ ბრეხტმა და დესაუმ გაამუქეს „ეპიკური“ პლანი, რომელიც ისტორიულ ფაქტებზეა აგებული, გააძლიერეს დრამატული მახვილი იმ მომენტებზე, რომელიც სპექტაკლს თანამედროვეობასთან აახლოვებდა. როგორც ჩანს, შენიშნავს ბრეხტი, „ტექსტის პარაბოლურმა ხასიათმა გაართულა მისი გაგება“, თორემ „შინაარსი, კერძოდ, მტაცებლური ომების შეჩვენება ყველასათვის მისაღები იყო“. ტექსტობრივი ცვლილებანი ოპერაში უმნიშვნელო იყო. მეტი მუშაობა დასჭირდა კომპოზიტორს. ოპერას „ლუკულუსის დაკითხვის“ ნაცვლად „ლუკულუსის დასჯა“ უწოდეს

ბრეხტის „სამუშაო ჟურნალში“ „ლუკულუსის დაკითხვა“ მხოლოდ ორჯერაა ნახსენები. 1939 წლის 7 ნოემბრის ჩანაწერი გვაუწყებს: „აქაური მუსიკოსისათვის (როზენბერგისათვის) ძალიან სწრაფად დავწერე რადიოპიესა „ლუკულუსის დაკითხვა“. დავწერე ისე, რომ თითქმის მივადექი იმის [illegible], რისი თქმაც ჯერ კიდევ შეიძლება“. [illegible] [illegible] შემდეგ ბრეხტი წერს: „გერმანელ მუშათა პატარა დასი სწავლობს „ლუკულუსს“. პიესა მოსწონთ და უნდათ ეკრანზე ჩრდილების ჩვენება გამოიყენონ სპექტაკლში. ჩემი რჩევაა: პიესის ლექსები წაიკითხონ ლექსებად, პოეტურად, პერსონაჟები დაახასიათონ ლექსების მიხედვით“.

აქ უშუალო მითითებაა იმაზე, რომ, როგორც წესი, ისტორიულ-დოკუმენტური მასალა პიესების „ეპიკურ ჩანართებშია. ჩანართები კი, რომელიც პიესის „ეპიკურ“ ღერძს ქმნის, შეიძლება იყოს ლექსი, სიმღერა, რეჩიტატივი, ავტორისეული რემარკები, წამყვანის კომენტარი და სხვ. „ლუკულუსის დაკითხვაში“ ეპიკურ პლანს ქმნის ავტორისეული ტექსტი, რომელსაც კითხულობს მაცნე, ასრულებს ბავშვთა გუნდი და ჯარისკაცთა გუნდი, რომელიც ისმის მონების სიმღერასა და ქვესკნელის ბინადართა ხმებში. მოქმედება ხდება როგორც ამა ქვეყნად, ისე იმქვეყნიურ წარმოსახვით სინამდვილეში. ლუკულუსის ვინაობასა და თავგადასავალს გვაცნობს მაცნე. იგი გვაუწყებს მოსალოდნელ პერიპეტიებს და გზადაგზა განმარტავს მომხდარ ფაქტებს. იმქვეყნიურ სამყაროში ამასვე აკეთებს „სუსტი ხმა“. დრამატულ სცენებში, რომელთაც მაცნე წარმართავს, მონაწილეობენ: მონა, გლეხი, ვაჭარი, ხაბაზი, მასწავლებელი და სხვ., ხოლო იმქვეყნიურ დრამატულ სიტუაციებში ვეცნობით აჩრდილს, სულს, იდუმალ ხმას და ა. შ.

„ეპიკური“ და დრამატული სცენების მონაცვლეობით ბრეხტი ადვილად აღწევს კულმინაციას: ერთდროს უძლეველ მხედართმთავარს, „აღმოსავლეთის დამპყრობსა“ და „რომის აღმავსებელს“ ლუკულუსს ხალხი ასამართლებს როგორც ტირანსა და მოძალადეს, მძარცველური ომების ორგანიზატორსა და ჯალათს. ეს ხდება „მკვდართა სამსჯავრო პროცესზე“, სადაც ლუკულუსს ანგარიშს უსწორებენ ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის. იმქვეყნიურ „ტრიუმფალურ თაღამდე“ რომაელი მხედართმთავარი ზარითა და ზეიმით მიაცილეს; მისი კატაფალკი ჯარისკაცებს მოაქვთ; პროცესიას „ამშვენებს“ დიდი პანო, რომელზეც ლუკულუსის „საგმირო საქმეებია“ აღბეჭდილი; პანოს ძლივს მოათრევენ მონები. ქვესკნელის კარიბჭესთან ლიდებული რომაელი იძულებულია „გაცოცხლდეს“, კატაფალკიდან ჩამოვიდეს, რკინის ქუდი მოიხადოს და ისე შევიდეს „მკვდართა სამეფოში“. მის ფილოსოფოსსა და ვექილს უკან გამოაბრუნებენ. „ცოცხლები ეთხოვებიან მკვდარს“, ჯარისკაცთა გუნდი მღერის, „მკვდართა სამსჯავრო პროცესზე ლუკულუსს შეაჩვენებენ და

ასუფეველის ნაცვლად „არარაობაში“ გზავნიან“.

თემის ამგვარ დამუშავებასა და მხატვრულად გადაწყვეტას თვით ბრეჰტი ასე განმარტავს: „ოპერაში“ „ლუკულუსის დაკითხვა“ ნაჩვენებია ადამიანთა შთამომავლობის მიერ დაპყრობითი ომების დაგმობა და განკიცხვა. მოქმედება გადატანილია ქვესკნელში. ეს არის მხატვრული ხერხი, რომელსაც ხშირად შეხვდებით კლასიკურ ნაწარმოებებში (პროლოგი ზეცაში და ვალპურგის ღამე „ფაუსტში“, გლუკის „ორფეოსი და ევრიდიკე“ და ა. შ.). ამ მხატვრული ხერხის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ნაწარმოებში იდეა შენიღბული და ფარულად შეტანილი უნდა იყოს... მიზანი ამ ხერხისა ისაა, რომ მაყურებელმა თვით აღმოაჩინოს თემის აქტუალობა, უფრო ძლიერად და ღრმად განიცადოს იგი. საერთოდ ხომ ხელოვნებით ტკბობა (ტკბობა ,რომელსაც ხელოვნება შემეცნებით და აზრის მოქმედებით აღწევს) მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო მეტად ამოძრავდება მაყურებლის სულიერი შემოქმედებითი ძალები, მიგნებისა და შეცნობის უნარი“. ამ შენიშვნის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის ფაქტი, რომ იგი დაწერილია 1951 წელს. ბრეჰტი შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდშიც იცავს თავისი მეთოდის არსებით ნიშნებს — „გაუცხოებასა“ და „გაუცხოების“ სისტემით მაყურებლის ინტელექტუალურ და სულიერ პოტენციაზე ზემოქმედებას. საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს პ. ვიცმანი. მას მიაჩნია, რომ ამ პიესაში ბრეჰტი „ორმაგ გაუცხოებას აღწევს: ერთია თანამედროვეობის გაუცხოება ისტორიული მანძილითა და ისტორიული ნიმუშით, მეორეა ძველი იდეოლოგიის გაუცხოება აქტუალური შინაარსით“. „ორმაგი გაუცხოება“ თვით ბრეჰტის ტერმინია. მა ვხვდებით შენიშვნებში პიესაზე „არტურო უის კარიერა“ (1941).

„ეპიკური“ დრამის, პიესა-პარაბოლის დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პიესას „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“. ბრეჰტი მას პიესა-პარაბოლას უწოდებს. პიესას ჩვეულებრივ 1938-1940 წლებით ათარიღებენ, ვინაიდან დრამატურგი ამ დროს წერს ტექსტის საბოლოო ვარიანტს. მაგრამ თუ გავეცნობით ფაბულის პირვანდელ მონახაზებს, ზოგიერთი სცენის გეგმებსა და ესკიზებს, დავრწმუნდებით, რომ ბრეჰტი „კეთილი ადამიანის“ თემაზე 20-იანი წლებიდან მუშაობს. დაახლოებით 1927 წელს უნდა იყოს დაწერილი პატარა ფრაგმენტი, რომელიც ერთი მეძავი ქალის ამბავს გადმოგვცემს. მეძავ ქალს მამაკაცის ტანსაცმელი ჩაუცვამს და სიგარით ვაჭრობა დაუწყია, რათა სხეულით მოვაჭრე მეგობრებს დახმარებოდა; „ის ხედავს როგორ ღალატობენ [illegible] მრუში დედაკაცები. თითოეული მათგანი ყოველნაირად ცდილობს, ვინმე გამოიჭიროს“. მომდევნო წლებიდან დარჩენილია გეგმისა და ფაბულის ნაწყვეტები პიესისათვის „გასაყიდი სიყვარული“, რომლიდანაც იწყებენ ხოლმე „სეჩუანელი კეთილი კაცის“ შემოქმედებით ისტორიას. „კეთილი ადამიანის“ თემა ყოველთვის შესამჩნევად გაიელვებს ხოლმე ამ პერიოდის სხვა ნაწარმოებებშიც.

გავიხსენოთ ფრაგმენტი „ეგოისტ იოჰან ფაცერის დაღუპვა“, სცენები „პურის დუქნიდან“, პიჩემის მონოლოგი „სამგროშიანი ოპერიდან“: „ვის არ უნდა, კეთილი იყოს...“ და სხვ. უფრო მეტიც. „კეთილი ადამიანის“ პრობლემა ერთ-ერთი ძირითადია ბრეჰტისათვის იმ დროიდან, როცა ის „ბაალის“ ავტორი, ექსპრესიონისტებსა და მათ აბსტრაქტულ „კეთილ ადამიანს“ დაუპირისპირდა. „ბაალში“ ბრეჰტი მხოლოდ იმას ახერხებს, რომ ექსპრესიონისტების „ზოგად ადამიანს“, ადამიანის მოჩვენებით კულტს, ადამიანს-ფიქციას ამქვეყნიურ ადამიანს უპირისპირებს, თავისი მიწიერი გრძნობებითა და ვნება-წამებით. ბრეჰტის ბაალი ერთობა, ცეკვავს, „თქვლეფს“, ამქვეყნიური ცხოვრებით ცხოვრობს, ბოლოს თითქოს „თვალიც ეხილება“, მაგრამ თავისი ცხოველური ინსტინქტით ვერაფერს ამჩნევს, გარდა ქონისა.

მომდევნო ნაწარმოებებში, როგორც ვიცით, ბრეჰტი პრობლემის სოციალურ ასპექტში დასმას ცდილობს. მალე მისთვის ადამიანის ბედი და ხვედრი, ადამიანური სიკეთე და ბოროტება კლასობრივი ცნებებია, რომელთა სწორი გაგება მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატის თვალსაზრისით შეიძლება. ბუნებრივია, რომ 30-იანი წლების ბოლოს ბრეჰტს არ დააკმაყოფილებდა 20-იანი წლების მიწურულში დაწერილი „გასაყიდი სიყვარულის“ სცენები, ფრაგმენტები და შენიშვნები. 1939 წლის 15 მარტს იგი „სამუშაო ჟურნალში“ წერს: „რამდენიმე დღის წინ კვლავ მოვნახე „სეჩუანელი კეთილი ადამიანის“ ძველი გეგმა (ბერლინში დაწყებული „გასაყიდი სიყვარული“). აღმოჩნდა ხუთი სცენა, აქედან ოთხი გამოსადგება. სამუშაო ისეთია, რომ ყველაფერი შეცვლასა და გადაკეთებას საჭიროებს. მაგრამ მუშაობის პროცესში შესაძლოა ეპიკური ტექნიკა გამოვიყენო და ბოლოს კვლავ მივაღწიო სასურველ დონეს...“. მომდევნო ჩანაწერებში ვკითხულობთ „ფიქრები კეთილ ადამიანზე“ როგორ უნდა მიიღოს პარაბოლამ მდიდრული ელფერი?..“ ვმუშაობ „კეთილ ადამიანზე“. პირველი სცენა ისევ გადავამუშავე... პიესა დიდხანს გრძელდებოდა.., ახლა კი ხუთი საათის ნაცვლად სამი

საათი ეყოფა. ეს არ არის დიდი დრო, მით უფრო, როცა სცენები ეპიკურია, ე. ი. მომქანცველი არაა შეიძლება ორნახევარი საათიც ეყოს...“ (1939 წლის 15 ივლისი); „ძირითადად დავამთავრე „სეჩუანელი კეთილი კაცი“ თემის დაძლევა ძნელი გამოდგა. დაახლოებით ათი წელია, რაც ამ თემას ვამუშავებ, მაგრამ მისი დაუფლების ბევრი ცდა ფუჭი გამოდგა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო განვრიდებოდი სქემატიზმს!..“ (1940 წლის 20 ივნისი). დაბოლოს კიდევ ერთი ჩანაწერი (1940 წლის 29 ივნისის), რომელიც ერთგვარად აჯამებს პიესაზე მუშაობის მიმდინარეობას: „...პიესაზე მუშაობა ბერლინში დავიწყე, გავაგრძელე დანიასა და შვეციაში. ასეთი დაძაბული მუშაობა სხვა პიესაზე არ დამჭირვებია. ძალიან მიჭირს თავის ალება. ახლა პიესა მთლიანად მზად უნდა ყოფილიყო, სამწუხაროდ, ეს ასე არაა...“ ბრეჰტი ამას იმით ხსნის, რომ „იოჰანას“ შემდეგ, „დედისა“ და „მრგვალთავიანების“ გარდა „სცენაზე არცერთი პიესა შეუმოწმებია“, სცენის გარეშე კი, მისივე სიტყვებით, პიესაზე მუშაობის დასრულება შეუძლებელია.

პიესაზე მუშაობას ართულებდა თვით თემის ხასიათი. ძველი სცენები და გეგმა არქივიდან ამოიღო მხოლოდ მაშინ, როცა ის საბოლოოდ გაერკვა ისტორიული მატერიალიზმის ძირითად საკითხებში; ის ელოდა მანამ, სანამ მეცნიერულად არ დაამუშავა სოციოლოგიისა და ესთეტიკის მეთოდოლოგიური პრობლემები. ბრეჰტი ახლა მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისითა და საბჭოთა ქვეყნის ისტორიული გამოცდილების მიხედვით მსჯელობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობები, კაპიტალისტური სისტემის ანტიჰუმანისტური და ანტიესთეტიკური ხასიათი, ადამიანის როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანი და ისტორიული პროცესი, საზოგადოებრივი მორალი და სხვ. ამიტომ 30-იანი წლების ბოლოს არსებობს თვისებრივად ახალი ობიექტური საფუძველი „კეთილი ადამიანის“ თემის მხატვრული დამუშავებისათვის.

როგორც დავინახეთ, დრამატურგმა კვლავ პიესა-პარაბოლას ფორმა აირჩია. ხომ არ ზღუდავს ამგვარი პირობითი მხატვრული ფორმა ნაწარმოების შინაარსს? ხომ არ ასუსტებს იგი თემის აქტუალობას? ხომ არ უჭირს მკითხველსა და მაყურებელს იდეის მიგნება, საჭირო დასკვნების გაკეთება? ცხოვრებასეული ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, თეატრალური პრაქტიკის საფუძველზე ამ კითხვებზე მხოლოდ უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. ამასვე ადასტურებს თვით პიესის ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზიც.

„სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ ტიპური „ეპიკური“ პიესაა. დრამის ბრეჰტისეული კონცეფციის შესაბამისად მწვავე სოციალური თემის მხატვრული დამუშავებისათვის გამოყენებულია პარაბოლური ფაბულა, პერსონაჟების გამოკვეთის კონტრასტული მანერა, პროლოგი და ეპილოგი, ინტერმედიები და ლირიკული ჩანართები. მოქმედების ასპარეზი კაპიტალისტური საზოგადოებაა. მოქმედების გარემო ხან ემპირიული სინამდვილეა, ხან კი მოჩვენების, ზმანებისა თუ ხილვას სფერო. მკითხველი ეცნობა შენ ტე-შუი ტას, წყლის გამყიდველ ვანგს, უმუშევარ მფრინავს იანგ სუნს, დალაქ შუ ფუს, ქვრივ ქალს, მეძავს, სახლის პატრონს, პოლიციელსა და სხვებს და რეალური წარმოდგენა ექმნება იმაზე, რასაც ავტორი შესავალშივე გვეუბნება: „ფაბულის მიხედვით სეჩუანის პროვინცია ყველგანაა, სადაც ადამიანი ადამიანს ექსპლოატაციას უწევს“. შენ ტე-შუი ტას. დუქანი, იანგ სუნის ოჯახი, პოლიცია და სასამართლო მხატვრულად აკონკრეტებენ რეალურ-ემპირიული სინამდვილის იმ სფეროს, რომელშიც დრამატული მოქმედება ვითარდება. რაც შეეხება ზეცით მოვლენილ ღმერთებს, სცენებს მათი მონაწილეობით, ვანგის ზმანებასა და ხილვას, ინტერმედიებს ფარდის წინ, ლირიკულ ჩანართებს, პროლოგსა და ეპილოგს — ისინი იმ პლანს ქმნიან, რომელსაც ჩვეულებრივ „ეპიკურს“ უწოდებენ.

აღარ ვიმეორებთ იმ კანონზომიერებას, რომლითაც ორივე პლანი „ეპიკურ“ პიესაში ერთმანეთს უკავშირდება, დასრულებულ სურათს ქმნის. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სცენაზმანება პიესაში ძირითადად დრამატული შინაგანი მონოლოგის ფუნქციას ასრულებს. იგი დიალოგის ფორმითაა დაწერილი (გავიხსენოთ, აკვედუკში მძინარე ვანგი და მისი საუბარი ღმერთებთან). დრამატული პლანი მხატვრული სცენების საშუალებით, ხოლო „ეპიკური“ — ავტორისეული განცხადებებით, პერსონაჟის ალსარებითა და ლოგიკური მახვილით უშუალოდ გვაცნობს ადამიანის ცხოვრების კონკრეტულ პირობებს კაპიტალიზმის დროს. პირობები კი მეტად მძიმეა: შიმშილის აჩრდილი დასტრიალებს მშრომელი ადამიანის ოჯახს, ძალმომრეობა და სილატაკე შეიმჩნევა ყველგან, კონკურენცია და ეგოიზმი გავრცელებულია ირგვლივ, შური და უნდობლობა დაუფლებია სულს. ადამიანისათვის უცხოა შრომით მოპოვებული ბედნიერება, ოჯახური სითბო, სიყვარულის გრძნობა; არავითარი საფუძველი არ არის ადამიანური სიკეთისა და კეთილშობილების გამოვლენისათვის; ჭეშმარიტი ადამიანური თვისებები საყოველთაო ქაოსში იძირება. შენ ტემ ყველაფერი იღონა სიკეთისათვის, უკანასკნელი ლუკმაც გაუყო მშიერ ბავშვებს; სიკეთესა და სათნოებას ეძებდა იგი ყველგან, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, თვითონ დაძაბუნდა,

რწმენა შეერყა. შემდეგ დუქანი შეიძინა, ვაჭრობა დაიწყო, შუი ტა გახდა, გულქვა და პატივმოყვარე, ცივი და ანგარებიანი. მაშინაც რწმენა დაკარგა, ცხოვრებას ვერაფერი გაუგო, სინამდვილეს თვალი ვერ გაუსწორა: „საშინელი დროა, — ყვირის ის, ეს ქალაქი ჯოჯოხეთია, მაგრამ ჩვენ მაინც ვებღაუჭებით ციცაბო კედელს... ეს რა ქვეყანაა? ალერსის ნაცვლად ყელში გვწვდებიან, სიყვარულის ოხვრას განწირულების ხმა ენაცვლება...“ იქნებ რაღაც ღვთაებრივ ძალას შეუძლია იხსნას ადამიანი. ზეცით მოვლენილი ღმერთები ხომ ამქვეყნად სიკეთეს ეძებენ? მათ მოიარეს შუნისა და კვანის პროვინციები, მაგრამ ვერ იპოვეს კეთილი ადამიანი. ეგონათ, რომ ვანგი იყო ასეთი, ის ხომ პირველი შეეგება ღმერთებს სეჩუანში, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ. შემდეგ შენ ტეს ოთახში გაათენეს ღამე და მთელ იმედებს მასზე ამყარებდნენ. თავდაპირველად საქმე თითქოს კარგად მიდიოდა, შენ ტეს ყველა ემადლიერებოდა. ღმერთებიც კმაყოფილნი იყვნენ მისი მოქმედებით, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო. ცხოვრებამ შენ ტე ჯერ შუი ტად აქცია, ხოლო შემდეგ ჩვეულებრივი სეჩუანელის სახე დაუბრუნა. ეძებდა შენ ტე — შუი ტა სიკეთეს, ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა. ერთხანს თავგამოდებით ებრძოდა შიმშილსა და უზნეობას, აღშფოთებულიც იყო ქალაქის მცხოვრებთა უსულგულობითა და უმოქმედობით. მოთმინებიდან გამოსული შენ ტე მათ ასე მიმართავდა: „ო, უბედურნო! თქვენი ძმის მიმართ ძალას ხმარობენ, თქვენ თვალებს ხუჭავთ! ხმამაღლა ყვირის საცოდავი, თქვენ კი კვლავ დუმხართ? ბოროტმოქმედი დანავარდობს, ახალ მსხვერპლს ეძებს, თქვენ კი გგონიათ დაგინდობენ, ხელს არავინ გახლებთ. ეს რა ქალაქია, რა ადამიანები! უსამართლობა თქვენ თვალწინ ხდება, უნდა ამხედრდეთ, თუ ვერ ახერხებთ, უმჯობესია დაღამებამდე თქვენი ქალაქი ცეცხლმა დაღუპოს“.

ის დრო წავიდა. შენ ტე-შუი ტა დარწმუნდა, რომ ის „ბოლოსდაბოლოს ის არის, რაც არის“, ძველებურ ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეს. ღმერთებიც სამსჯავროზე იგი ნიღაბს იხსნის, შუი ტას ტანსაცმელს იხდის და თავს ასე იმართლებს: „დიახ, ეს მე ვარ, შუი ტა-შენ ტე, ორივე მე ვარ. თქვენმა ერთადერთმა ბრძანებამ, — მიმართავს ღმერთებს, — მეცხოვრა და კეთილი ვყოფილიყავი, ორად გამხლიჩა, როგორც ეს ელვას ემართება ხოლმე. არ ვიცი, როგორ ხდება ეს, მაგრამ ვერ შევძელი კეთილი ვყოფილიყავი ჩემთვისაც და სხვებისთვისაც. ძნელი ყოფილა უშველო შენს თავს და დაეხმარო სხვებსაც. აჰ, მძიმეა თქვენი ქვეყანა, ძალზე დიდია გაჭირვება, სასოწარკვეთა! საშველად გაწვდილ ხელს, ძირშივე მოგკვეთენ! განწირულს ვინც დაეხმარება, თვითონაა განწირული...“

დგას შენ ტე-შუი ტა ღმერთების წინაშე, დგას როგორც „ბოროტი ადამიანი“, რომელმაც სიკეთის ძებნაში ბევრი ცოდვა ჩაიდინა. იგი მოწყალებას ისევ ღმერთებს სთხოვს. შეცბუნებული ღმერთები არარაობაში დაბრუნებას აპირებენ, თანაც ბუტბუტებენ: „არეულობა, დიდი არეულობა! ძნელია ირწმუნო, ძალიან ძნელია! უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი მცნებები დამღუპველია? უარი უნდა ვთქვათ ჩვენს მცნებებზე? არასოდეს! ქვეყანა უნდა შეიცვალოს? როგორ? ვინ შეცვლის? არა, სრული წესრიგია....“ ასე მთავრდება ფინალური სცენა. სიტყვიერი პასუხი ნაწარმოებში დასმულ კითხვაზე, როგორც ვხედავთ, უარყოფითია: ცხოვრება ქაოსია, ადამიანი დაბეჩავებულია, მისი ბედი გაურკვეველია, სიკეთე არ არსებობს. მაგრამ, ცხადია, ეს არაა ლოგიკური პასუხი, რომელიც ობიექტურად გამომდინარეობს პიესიდან. ღმერთების სურვილის საწინააღმდეგოდ პასუხი დადებითია: დიახ, უნდა დაინგრეს ადამიანის ექსპლოატაციაზე აგებული სამყარო, რომ ადამიანმა ადამიანური თვისებები გამოავლინოს. ცხოვრების საფუძველი უნდა გახდეს ადამიანური, რათა სიკეთე და სათნოება დასადგურდეს ყველგან. ისე ძლიერია კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრეხტისეული კრიტიკული პათოსი, რომ ყველასთვის ნათელია პიესის ძირითადი ტენდენცია: კაპიტალის სამყარო უნდა დაინგრეს. მაშინ იგრძნობს შვებას ადამიანი.

ვინ უნდა მოიმოქმედოს ეს? ღმერთებმა? რაიმე იდუმალმა ძალამ? თვით ღმერთები მხოლოდ კითხვის დასმით დაკმაყოფილდნენ. რეალური პასუხი კვლავ ცხადია: ეს უნდა შეძლოს თვით ადამიანმა. გარეშე ძალის იმედი მას არ უნდა ჰქონდეს. ღმერთები ისევ არარაობაში ბრუნდებიან. მხოლოდ ადამიანია თავისი ბედის განმგებელი.

დადებითი დასკვნების გამოტანას კიდევ უფრო აადვილებს ეპილოგი. ფინალური სცენის შემდეგ ავტორისეული პერსონაჟი მაყურებელს მიმართავს; „...ნუ გეწყინებათ, კარგად ვიცით, რომ ეს არ არის სწორი დასკვნა (იგულისხმება ღმერთების გადაწყვეტილება — ზ. ჭ.)... ჩვენ თვითონა ვართ გაწბილებული, გულჩათხრობილი შევცქერით ფარდას, კითხვები ღია დარჩა.., ვერ დავმალავთ, ბოლო მოგველო, რჩევას თქვენგან ველით! შიშის გამო არაფერი გაგვახსენდა. ხდება ხოლმე ასე. სადაა ხსნა? ვერ მივაგენით, ფულმაც ვერ გვიშველა. ადამიანი უნდა შეიცვალოს? თუ ქვეყანა?..,“ — კვლავ უბრუნდება ბრეხტი ფინალში დასმულ კითხვებს, რათა მაყურებლის აზრობრივი იმპულსები აამოქმედოს და დადე-

ბითი დასკვნების მიღება გააადვილოს. ოპტიმიზმს აძლიერებს ეპილოგის ბოლო სტრიქონები: „ამ უბედურებიდან ერთი გამოსავალი იქნება, თუ თქვენ თვითონ აქვე მოიფიქრებთ, როგორ დავეხმაროთ კეთილ ადამიანს, ბოლომდე კეთილი იყოს. მაშ, ასე, პატივცემულო მაყურებელო, თვით ეძიე დასასრული, იგი აუცილებლად კეთილი უნდა იყოს, აუცილებლად!“

„სეჩუანელი კეთილი ადამიანის“ ფინალი დავას იწვევს ხოლმე. დრამატურგს საყვედურობენ, სინამდვილე მხოლოდ უარყოფით პლანში გვაჩვენაო, ადამიანის ძალა სათანადოდ ვერ შეაფასაო, დადებითი იდეალის ნასახიც არ არისო და ა. შ. ასეთი აზრები იმას დაებადება, ვინც ცუდად იცნობს „ეპიკური“ დრამის სპეციფიკას. ხსვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ფინალია ტიპობრივი ამ მხრივ. თვით ნეგაციის ტექნიკა და ხასიათიც ისეთია, რომ არარაფის უჭირს დადებითი, სასარგებლო დასკვნის გამოტანა. თანაც თვით მწერლის პოზიციას ჰუმანიზმის ნათელი სხივი ანათებს ხოლმე. ეს ბრეხტის „ეპიკური“ დრამის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, მისი არსი განსაზღვრა დრამატურგის შემოქმედებითმა მეთოდმა, რომელიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ვითარდებოდა. ხშირად მართლაც ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბრეხტმა საკითხი დააყენა, ფაქტები წარმოადგინა, კრიტიკის იარაღი აამოქმედა და ამით დაკმაყოფილდა. პირდაპირი პასუხი არ ჩანს. ეს სწორია, მხოლოდ გარეგანი ნიშნების მიხედვით. არსებითად კი ეს ბრეხტისეული მხატვრული ხერხია: მაყურებელსა და მკითხველს დრამატურგი აღიზიანებს, საპაექროდ იწვევს, პირდაპირეუბნება: ეძიე პასუხი, მისი პოვნა ადვილია, შეადარე შენს აზრს, შეაფასე კრიტიკულად და დასკვნა ისე გამოიტანე. ამასთანავე მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საკითხის სწორი დასმა იმთავითვე განსაზღვრავს პასუხის ხასიათს. ბრეხტის ბევრ პიესაში საამისოდ ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალაც არის გამოყენებული. „სეჩუანელ კეთილ ადამიანში“ მას ფაქტების ციტირება არ დასჭირვებია, მაგრამ პარაბოლური ამბით, პროექციული ეფექტებით, რასაც პლანების მონაცვლეობა და შეპირისპირება ქმნის, „ეპიკური“ და დრამატული ხაზგასმით მხოლოდ ერთს ამბობს: ადამიანმა თავისი მომავალი თვითონ უნდა გამოსჭედოს. ამასვე იმეორებს ის ამავე პერიოდის ლექსში — „სიტყვა დანიელ მუშა-მსახიობებს“: „ადამიანის ბედი — თვით ადამიანია“.

ყურადღებას იქცევს პერსონაჟის გაორების მხატვრული ხერხი. შენ ტე-შუი და ში ორ ასპექტში განსახიერებული ერთიდაიგივე პიროვნებაა. ამგვარი გაორება უნდა გავიგოთ როგორც შედეგი პიროვნების დისჰარმონიული განვითარებისა კაპიტალიზმის პირობებში; ეს არის მხატვრული ჩვენება იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს ადამიანის სუბიექტურ მისწრაფებებსა და ცხოვრების ობიექტურ პირობებს შორის კაპიტალისტური „გასხვისების“ შედეგად. სხვადასხვა ვარიაციით ამ ხერხს ბრეხტი ადრეც იყენებდა. გავიხსენოთ გელი გეის გარდაქმნა ჯერაი ჯიპად და მკვლელთით აღმდგარი ჯარისკაცის ალსარება („კაცი კაცია“), ანდა ორი და ლიბრეტოდან „წვრილი ბურჟუის შვიდი ცოდვა“ (1933), რომელთაგან ერთი გამყიდველია, ხოლო მეორე „გასაყიდი საქონელი“. არსებითად მთავარი პერსონაჟია გაორებული პიროვნება, რომელიც ხან ანა პირველია, ხან ანა მეორე. ასევე უნდა გავიგოთ მთვრალი და ფხიზელი პუნტილას ურთიერთდამოკიდებულება პიესაში „ბატონი პუნტილა და მისი მსახური მატი“ (1940-41 წ. წ.). პერსონაჟის ორგანზომილებიან პროექციაში ჩვენების ხერხი ბუნებრივი და კანონზომიერია ბრეხტის „ეპიკური“ დრამისათვის, რომლის თავისებურებას რეალურ-კონკრეტული და აბსტრაქტულ-პირობითი სცენების მონაცვლეობა და სინთეზი განსაზღვრავს.

ბრეხტის „ეპიკური“ პიესებისათვის ასევე ორგანულია დიდი მასშტაბის მხატვრული პირობითობა, ალეგორიული სცენები და სიმბოლური პერსონაჟები. „სეჩუანელ კეთილ ადამიანში“ ასეთებია ღმერთები და სცენები მათი მონაწილეობით. პირობითობის დიდი მასშტაბი, ვრცელი ასპარეზი სიმბოლიკისა და ალეგორიისათვის ბევრჯერ გამხდარა საფუძველი ბრეხტის შემოქმედებითი მეთოდის დაკნინებისა და დამცირებისათვის. აქედან იღებს სათავეს ლეგენდა „ფორმალისტ ბრეხტზე“, რომელსაც დასაბამი ლუკაჩმა და მისმა მიმდევრებმა მისცეს. 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეს ლეგენდა დავიწყებას მიეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ კვლავ გამოჩნდნენ კრიტიკოსები, რომლებიც იმავე მიზეზის გამო ამცირებდნენ ბრეხტის მნიშვნელობას რეალისტურ ხელოვნების ისტორიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უშანგი ოგოლაძე

# გარემოს დაცვის პრობლემები და იაკობ გოგებაშვილი

ბუნების საგნებსა და მოვლენებს შორის ბუნებისეული მყარი და მიზანშეწონილი კავშირ-ურთიერთობა და წონასწორობა რომ დარღვეულია ჩვენს პლანეტაზე, ეს საყოველთაოდ ცნობილია და ამის შესახებ აქ საუბრის გაგრძელება საჭირო არ არის. ისიც არა ნაკლებ არის ცნობილი, რომ ეს მძიმე, სამწუხარო ფაქტი არის შედეგი შეუნელებლივ მზარდი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიკეთის არაგონივრული, მეტიც —მტაცებლური გამოყენებისა. ბევრგან და ბევრჯერ ამ პროგრესის შედეგად შექმნილი ტექნიკური საშუალებებით შეიარაღებული ზოგიერთი საწარმო, სამეურნეო ობიექტი, მთელი უწყებაც კი ისე უხეშად ხელყოფს და ანადგურებს ფლორასა და ფაუნას, რუვნის წყალს, ჰაერსა და საერთოდ ატმოსფერული რეჟიმის სფეროში დაწესებულ ბუნებისეული კავშირ-ურთიერთობის ნორმებს და თანაც ამ პროცესს უკანასკნელ წლებში ისე ფართო და ისე ღრმა ხასიათი აქვს, რომ თუ გონს არ მოვლენ, ადამიანები გახდებიან მსხვერპლი საკუთარი სიავისა.

დიახ, ბუნების სიკეთის ასე თავაწყვეტილი რბევა-გაჩანაგების პირობებში, კაცობრიობას დიდი საფრთხე ემუქრება და ამ პროცესის შეჩერება ახლა ყველგან სახელმწიფოებრივი ზრუნვის უპირველეს საგნად არის მიჩნეული. კერძოდ ჩვენში, სსრ კავშირში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ბუნების საფარის აღდგენისა და მისი დაცვის საქმის მოწესრიგების მიზნით, რაც საკანონმდებლო წესით არის გამოხატული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში — ბუნების დაცვის დადგენილი წესები კანონის ხასიათს ატარებენ და მათი შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. ბუნების აღდგენა-დაცვის მიზნით გამოყოფილი ასიგნობანი ყოველწლიურად იზრდებოდა და მომავალშიც კვლავ გაიზრდება.

ბუნების დაცვის საქმის მოწესრიგება, მისი დაფუძნება მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე და ამ საქმეში მოსახლეობის ფართო ფენების შეგნებულად ჩაბმა ამჟამად ჩვენს პლანეტაზე უმწვავეს პრობლემად ითვლება და მსოფლიოს სწავლულ კაცთა ერთობლივი ზრუნვის საგნად არის ქცეული. საერთო აღიარებით ამ პრობლემას მრავალი მტკივნეული მუხლი და მკლავი აქვს და მისი დადებითად გადაჭრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ეს მუხლები და მკლავები მწყობრად ჩამოყალიბებული კომპლექსური ხასიათის პროგრამებით აღიჭურვებიან და მათ შესრულებაზე ზრუნვას უწყვეტად თანმიმდევრულ ხასიათს მისცემენ ხელმძღვანელი სახელმწიფოებრივი ორგანოები.

ბუნების დაცვა-აღდგენის კომპლექსური ღონისძიებებიდან კარგა ხანია ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად გამოიკვეთა ბუნების დაცვის საქმის ფართო პროპაგანდა მთელს მოსახლეობაში და, ცხადია, პირველ რიგში მოსწავლე ახალგაზრდობაში. სხვაგვარად რომ ითქვას, ახლა საკითხი დადგა ამგვარად: ამ საქმეში რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს, ყოველი ჩვენგანი კარგად უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რითაა გამოწვეული ბუნების მოვლენათა და საგანთა შორის არსებული წონასწორობის დარღვევა, რითი იჩენს ეს დარღვევა თავს და რა ზიანი მოაქვს მას დღეს; რას გვიქადის ხვალინდელი დღე და რა არის საჭირო საიმისოდ, რათა ეს წონასწორობა აღვადგინოთ, მოვუფრთხილდეთ და თვალისჩინივით დავიცვათ იგი. სწორედ ამ პრობლემის განხილვას მიეძღვნა ჩვენს დედაქალაქში

შარშან, ოქტომბერში იუნესკოს ინიციატივითა და ხელმძღვანელობით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აქტიური ხელშეწყობით ჩატარებული სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მსოფლიოს 64 ქვეყნის დელეგაციები ღებულობდნენ მონაწილეობას.

კონფერენციაზე საქმიან სჯა-ბაასს ჰქონდა ადგილი და ბევრი გონივრული მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებ, თუ რა პრინციპებს უნდა დაეფუძნოს ბუნების დაცვის სფეროში საერთოდ მოსახლეობისა და კერძოდ კი მოსწავლე ახალგაზრდობის განათლება, მისი ფორმები, ორგანიზაცია და მეთოდები. მათი შესწავლა დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც ჩვენი ხვალინდელი დღის სიკეთით არის დაინტერესებული და განსაკუთრებით მასწავლებლობას, რამეთუ პირველ რიგში სწორედ მას აქვს დაკისრებული ჩვენი მომავლის აღზრდა ბუნებისადმი ღრმა სიყვარულის სულისკვეთებით. იმ დიდძალი პუბლიკაციებიდან, რაც კონფერენციის მზადებისა, მის მიმდინარეობისა და საქმიანობის დაჯამებისას გამოქვეყნდა, ფართო მკითხველისათვის უფრო მისაწვდომია „პროექტი დასკვნითი მოხსენებისა“, რომელიც გამოქვეყნდა ხუთ ენაზე (რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, არაბულ ენებზე) ჩვენს წერილში ამ წყაროს ვიყენებთ შემოკლებული სათაურით — „დასკვნითი მოხსენების პროექტი“.

თბილისის კონფერენციის მთელი საქმიანობა თავიდან ბოლომდე შემდეგი სულით არის გამსჭვალული: უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩვენს გარემომცველ ბუნებრივ გარემოში არსებული წონასწორობის რღვევის მიმართულებით მთელს მსოფლიოში, მეტ-ნაკლები ზომით, ისეთი ღრმა ცვლილებები მოხდა, რომ მისი დაცვა და აღდგენა სპეციალურ ღონისძიებათა სფეროდან ფართოდ განტოტებულ საერთო სახალხო და სამთავრობათაშორისო საქმედ ქცა დ აუცილებელი წესრიგის დამყარება მ საერთოსაგან იზოლირებულად დამაკმაყოფილებლად შეუძლებელია გადაწყდეს. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ნათქვამია დასაელებულ დოკუმენტში, ადამიანთა დიდ ნაწილს, ადამიანთა რასას საერთოდ, ჯერ კიდევ არა აქვს შემუშავებული მკაფიო და რაციონალური წარმოდგენები ამ მიმართულებით მის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ. პირიქით ამ მხრივ დაინტერესებულ მხარეთა შორისაც კი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი შეიმჩნევა („დასკვნითი მოხსენების პროექტი“, გვ. 7). თუმცა სტოკჰოლმის კონფერენციამ (იგი ჩატარდა შვეციაში, სტოკჰოლმში, 1972 წელს), ეკითხულობთ ზემოთდასახელებულ მოხსენებაში, მიიღო ზომები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე და ბევრი მათგანი განხორციელებულია კიდეც, მაგრამ ისინი „ვერ პასუხობენ იმ მოთხოვნილებებსა და იმედებს, რაც სტოკჰოლმში გამოითქვა. თუმცა გარემო წრის სფეროში არსებული მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ არაა საჭირო მას დრამატული ხასიათი მივცეთ. გამოითქვა მოსაზრება, რომ ადამიანი ერთადერთი ცხოველია დედამიწაზე, რომელიც არაა შებოჭილი მისი გარემომცველი წრისაგან და, ამიტომ, მას შეუძლია შეცვალოს იგი. მოვალეა არა მარტო დაიცვას, არამედ აღადგინოს იგი კიდეც“. („დასკვნითი მოხსენების პროექტი“ გვ. 8). მაგრამ ამ ოპტიმისტურ განწყობილებას იმავე მოხსენების პროექტში და წარმოიდგინეთ იმავ გვერდზე თან მიჰყვება არც თუ ოპტიმისტური ასეთი სტრიქონები: საჭიროა გადაისინჯოს ზრდისა და განვითარების არსებული მოდელი. მტკიცე ზღვარი იქნეს გავლებული იმ აუცილებელსა, რასაც გარემო წრე და მისი განვითარება მოითხოვს და ფუფუნებით მფლანგველობას შორის. ეს კიდევ ერთი საბუთია გარემო წრის პრობლემათა შესწავლისადმი ერთიანი მიდგომის აუცილებლობისა, ამ პრობლემების გადაწყვეტის საქმეში ყველა ბუნებათმეცნიერული, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთობლივი საქმიანობის სასარგებლოდ; „ამჟამად ფართო ალიარება ჰპოვა აზრმა, რომ ეს პრობლემები გამოხატავს ცივილიზაციის კრიზისს. მათი ეთიკური მხარე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექნიკური და ეკონომიური კომპონენტები“. („ძირითადი მოხსენების პროექტი“, გვ. 7). ამით, თუ პირდაპირ არა, კილოკავად მაინც, ისაა ნათქვამი, რომ ამ ცივილიზებულობის სუსხს, სოციალურად შევიწროებული ფენები განიცდიან. აქედან გამომდინარე, კონფერენციის ამოსავალი დებულებები და მის მიერ დასახული უმთავრესი ამოცანების არსი და იდეური მიმართულება სქემატურად შეიძლება შემდეგი სახით წარმოვვიდგინა: ბუნებრივ გარემოს ისე ღრმა ჭრილობები აქვს მიყენებული, რომ მისი აღდგენა და დაცვა დღეს და ხვალ შეუძლებელი იქნება განხორციელდეს კომპლექსური, სინთეზური ხასიათის ღონისძიებების გარეშე — ამაში პირველ რიგში იგულისხმება სოციალურ-ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და მასობრივ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა მჭიდრო ურთიერთშეპირობებულობა.

რაც შეეხება ამ კონფერენციის უშუალო თემას — მოსახლეობის ფართო ფენების განათ-

ლებას, მათ შეიარაღების გარემომცველი ბუნების, ხოსფეროს აქტიურად დაცვა-აღდგენისათვის აუცილებელი ცოდნა-ჩვევებით, ამ საქმეში შემდეგი წამყვანი გეზი და გზა იქნა მოწონებული და რეკომენდებული: ეს განათლება, ეს ცოდნა-ჩვევანი შემუშავებული უნდა იქნეს სათანადო სახელმწიფოებში არსებული სოციალურ-ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების ურთიერთ შეჯერების ნიადაგზე. რაც, თავის მხრივ, მტკიცე ბაზას შექმნის საიმისოდ. რათა ადამიანებსა და ბუნებრივ გარემოს შორის მიზანშეწონილი, გონივრული კავშირი დამყარდეს. თუ ზემოთაღნიშნულს დავუმატებთ იმასაც, რომ კონფერენცია ბიოსფეროში არსებული თანამედროვე კრიზისის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევ მიზეზად მიიჩნევს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში არსებულ უმუშევრობას, შრომის დაუსაქმებლობას, უბინაობას, სიღარიბეს, უნდა დავასკვნათ, რომ იგი საკითხის სოციალურ მხარეს სრულებითაც არ არიდებს თავს. მაგრამ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ასეთ პირობებში დასახული ამოცანის მართებულად გადაწყვეტა, რეკომენდაციებში კონკრეტულ პასუხს ვერ ვპოულობთ.

კონფერენციის მუშაობაში ფართო ადგილი ჰქონდა განკუთვნილი სჯა-ბაასს სასკოლო ხაბუნებისმეტყველო განათლების არსებითად გარდაქმნის ამოცანებიდან გამომდინარე საკვანძო საკითხების გარშემო. დასკვნით მასალებში ამ საგანზე მოცემული რეკომენდაციებიდან მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთზე, უმთავრესზე: ბუნების დაცვა-აღდგენის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებანი უნდა წარმოადგენდნენ ამ მიმართულებით არსებულ ღონისძიებათა სისტემის ორგანულ ნაწილს; გარემომცველი წრის შესწავლის საქმე უნდა ეფუძნებოდეს „მთლიანობის ფილოსოფიას", ამ კუთხით უნდა განიხილებოდეს ეკოლოგიური, სოციალური, კულტურული და სხვა ასპექტები კონკრეტული პრობლემებისა" („მოხსენება", გვ. 11); სასწავლო დაწესებულებების მუშაობის დონე თვალს უნდა უსწორებდეს სათანადო მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონეს. ასეთივე სინთეზური მიდგომით უნდა შეიქმნას და გადამუშავდეს სასწავლო-სახელმძღვანელო და კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა; საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ახალ მეცნიერულ მონაპოვრებთან შეხამებული სასწავლო-ტექნიკური საშუალებებისა და სხვადასხვა სახის დიდაქტიკური მასალების შექმნა-დამუშავებას; ახალ, მტკიცე და მყარ ნიადაგზე უნდა იქნეს დამკვიდრებული მასწავლებელთა ახალგაზრდა კადრების მომზადება და ამჟამად მომუშავე მასწავლებლების გადამზადება; ფართოდ უნდა დაინერგოს გამოცდილების ურთიერთგაზიარება სხვადასხვა ქვეყნების მასწავლებელთა შორის და სხვ. ასეთია მხოლოდ ზოგიერთი მუხლი იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც წარმოდგენილია დასახელებულ მოხსენებაში (იხ. გვ. 60-65).

თუ ზოგადად შევხედავთ საქმეს, ასეთი კითხვა დაგვებადება: XX საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა ჩვენში ფაქტიურადაც და საკონსტიტუციო კანონმდებლობითაც სავალდებულო წესით ხორციელდება საშუალო განათლება და სკოლას ამ საქმეში ასე დიდ დახმარებას უწევენ სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ობიექტები, ბეჭდვითი სიტყვა — გაზეთები, ჟურნალები, სიტყვაკაზმული მწერლობა, რადიოლოკაცია, ტელეხედვა, კინო-თეატრი და გონებრივი, ზნეობრივი და მხატვრულ-ესთეტიკური ზეგავლენის მრავალფეროვანი საშუალებანი, რაღამ უნდა შეგვიშალოს ხელი იმაში, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა შევაიარაღოთ ბუნების დაცვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა და ცოდნათა მინიმუმით? ეს ერთის შეხედვით მართლაც ასეა, მაგრამ მცირედი ჩაძიებაა საკმარისი იმაში დარწმუნებისათვის, რომ ეს საქმე ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს იგი. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. რატომ ?— არა მარტო იმიტომ, რომ დედამიწის მცენარეული საფარი, უფრო სრულად რომ ვთქვათ, ბიოსფერო, — კლიმატი, ჰაერი, წყალი, ნადირცხოველი, ფრინველი და სხვ. ადამიანთა მხრივ მიუტევებელ შეცდომათა და შეცოდებათა შედეგად იმ ზომით არის შელახული და შევიწროებული, რომ ფართო საზოგადოებრიობასა სკოლასა და ოჯახს შორის ერთიანი ბეჯითი, თანმიმდევრული ურთიერთ კავშირის გარეშე მისი დაცვისა და აღდგენის ინტერესი, ცოდნა უნარი და ჩვევა მოსწავლეებში გამართულად ვერ აიდგამს ენას, ვერ შეისხამს სისხლხორცს. საკითხი ეხება ბუნების არა მარტო დაცვას ცალკე და იზოლირებულად, არამედ მის აღდგენას, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა პრაქტიკულადაც და თეორიულადაც საფუძვლიანად იყოს გარკვეული ამ აღდგენითი საქმიანობის მეცნიერულ-ტექნიკურ საწყისებში. უამისოდ, ამ ორი საწყისის ორგანულად შეჯვარების გარეშე სკოლის საქმიანობა ბუნების დაცვისა და აღდგენის საქმეში ზეპირ-სიტყვიერ, ფორმალისტურ პრიმიტიულ დონეზე დარჩება, როგორც ამას დღემდეც ჰქონდა და დღესაც აქვს ადგილი..

მართლაც, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ახლა თითქოს იციან, რომ ამჟამად კაცობრიობას ისეთ საუკუნეში უხდება ცხოვრება, რომ არ შეიძლება გაყვანილ იქნას გზები, აგებულ იქნას ჰიდროელექტროსადგურები, ამოშრობილ იქნას ჭაობები და გაცოცხლებუ-

ლი იქნას უდაბნოების მკვდარი ბუნება, თუ ყოველივე ამას არ ექნება მეცნიერული დასაბუთება; ისინი თითქოს და ერკვევიან იმაში, რომ წავიდა ის დრო, როდესაც ადამიანები ახეთი დასაბუთების გარეშე ცდილობდნენ მდინარეებისათვის კალაპოტი შეეცვალათ და აღმა წაეყვანათ იგი, სუბტროპიკული კულტურები გაეშენებინათ იმიერპოლარეთში და სხვ. მათ კთლო-კავად იციან, რომ ქვეყნისათვის ახლა უკვე ძალზე საზიანოა ლოზუნგი—„ნუ დაველოდებით ბუნების მოწყალებას, წავართვათ მას“..., რომ ამ ლოზუნგმა ბევრი სიკეთე შეწირა მხხვერპლად და იგი დღესაც არაა დამცხრალი. ახლა თითქოს ყველა მოსწავლემ იცის, რომ ბუნების დასამორჩილებლად მიმართული ყოველი მოქმედება, რომელსაც წინ არ უსწრებს მეცნიერული ცოდნა-დასაბუთება საზიანო და მავნეა ადამიანისათვის. ვიმეორებთ ეს მათ იციან, რადგან ამის შესახებ ახლა სკოლაშიც და სკოლის გარეთაც ხმამაღლა ლაპარაკობენ, წერენ, მსჯელობენ, საუბრობენ. მაგრამ კონკრეტულად, შეგნებულად, ცნობიერად, მეცნიერული საფუძვლიანობით არ იციან ის, თუ რამ მიიყვანა კაცობრიობა ამ მდგომარეობამდე და სად და რაში უნდა ვეძებოთ ხსნა. რაც მთავარია, მოსწავლეებში არაა გამომუშავებული ბუნების დაცვა-აღდგენის მკვიდრი უნარ-ჩვევები და ისინი არაა ქცეული „რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებად“. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქმის არსებითად გამოსწორებისათვის აუცილებელია შეიქმნეს ერთმანეთთან მტკიცედ შეკავშირებული ერთობლივი ღონისძიებების მკვიდრი სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა საფეხურს ბავშვის პირველი ნაბიჯებიდან მის დაკაცებამდე და, რაც მთავარია უზრუნველყოფს ამ საქმეში ოჯახისა და მთელი საზოგადოებრიობის მკვიდრ მონაწილეობას.

ბუნება რასაკვირველია არაა მევახშე. იგი არაა გულჩახვეული ჯავრის გადამხდელი შურისმაძიებელი მტარვალი ვინმე. იგი არც კეთილია და არც ბოროტი. მაგრამ როცა მის შიგნით არსებულ წონასწორობას ახე ულმობლად არღვევენ, იგი კნინდება და ველარ ახერხებს მოინელოს და აანაზღაუროს ეს მძიმე ცოდვა, რაც ჩვენ გვაწევს კისრად როგორც მოძალადეებს. როგორ მოხდენილად აქვს ნათქვამი გოეთეს — ბუნება არ ცნობს ხუმრობას; ის ყოველთვის სამართლიანია, ყოველთვის სერიოზული და ყოველთვის სწორია; შეცდომები და გაუგებრობანი ადამიანებიდან გამომდინარეობენ. გოეთე ამით ცხადია, პანთეიზმს უხდის ხარკს. მაგრამ ამ ფრაზის უკანასკნელი სტრიქონი მძიმე ბრალდებაა ადამიანების მიმართ. ბუნება ერთიანი კანონით მოქმედებს, მას უნივერსალური შინაგანი წესრიგი განაგებს. მისთვის ერთია ადამიანი და ჭიამაია, სპილო და ლოკოკინა, წყალმცენარე და ვეშაპი, იონჯა და სოკო, უღრანი ტყე და პაწაწინა ყვავილი, თვალუწვდენელი ოკეანეები და უმაღლესი მწვერვალები. მისთვის ჩვენი დედამიწა ერთიანია. ხომ ასე მეფურია მისი სიდიადე, იგი ხომ გულუხვი წყაროა, სიცოცხლისა. მაგრამ ამავე დროს როგორი ფაქიზი და უმწეოა მისი მკერდი. თანამედროვე ხანაში ადამიანს, თუ იგი დაკარგავს საკუთარ სახეს, სულ მალე შეუძლია დაადუმოს ორგანული სამყაროს მაჯისცემა. მხოლოდ მაღალი გონიერებითა და ცოდნით შეიარაღებულ ადამიანს შეუძლია მისი სიკეთე ისე შეუფარდოს თავის მოქმედებას, რომ კონფლიქტი ადამიანსა და ბუნებას შორის მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, რომ ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე გამართლებული იქნას არა მარტო პრაგმატული მოსაზრებებით, არამედ შეესაბამებოდეს ბუნებას ერთიან კანონზომიერებას. მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას კვლავ დავუბრუნდეთ ბუნებას, როგორც მისი ჰარმონიის ჭეშმარიტი თანაშემოქმედნი. ეს ამოცანა ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დგას ქალისა და კაცის, მოხუცისა და ახალგაზრდის წარმოდგენით ბავშვისა და ყველას, ყველას წინაშე და პირველ რიგში კი ჩვენი სკოლის წინაშე.

ჩვენს სამშობლოს, საქართველოს ნამდვილად აქვს უფლება იამაყოს იმით, რომ ბუნებას, როგორც ჩვენი უპირველესი მზრუნველის, ჩვენი მადლისა და სიკეთის წყაროს, უამრავი დიდი ქომაგი, მეხოტბე და მზრუნველი ჰყავდა და ჰყავს. შორს ნუ წავალთ აქ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის ... ყოფა ვაჟა-ფშაველასა და იაკობ გოგებაშვილის სახელები.

ბუნებაში არსებულ კანონზომიერებასა და წონასწორობას ვაჟა-ფშაველამ თავის ცნობილ ლექსში „არაგვი“ შემდეგი შეფასება მისცა:

ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იზვეჰავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთჯერად მტვირთველი არის
საქმის თავისას და შვესის;
სალი პირიმზეს ახარებს
იქვე მთბრელია შვებისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა.

რა ბრძნულად, რა ორიგინალურად არის ამ სტრიქონებში ახსნილი ბუნების შიგნით ერთმანეთში შეწონილი დაპირისპირებანი და მრავალფეროვნებანი. როგორი ჭეშმარიტად ამაღლებული ადამიანური ოპტიმიზმით არის გასხივოსნებული თითქოს და სულ უბრალოდ

ნათქვამი ეს სტრიქონები — „მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით მჯვავისა!“.

რამდენად ღრმად უნდა ყოფილიყო ჩანერგილი ვაჟას გულში, არა მარტო გულში, არამედ მის მთელ არსებაში ბუნებისადმი სიყვარული, რომ ასე თამამად, ასე ლაღად ეთქვა — „ნისლი ფიქრია მთების“, ასეთი გასაოცრად გულწრფელი ნატვრით მიემართა მათთვის — „რატომ არ იმღერეთ, მთებო!“ მოესმინა და შეესმინა მთების გულის ცემა და ნისლების სიმღერა:

„რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა“...
„ხევზე მოდიან ნისლები,
გაჩქარებულნი, მღერითა“...

„ქუჩი“, „ია“, „ბუნების მგოსნები“, „ხმელი წიფელი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ — რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! ქუჩის საუბარი კლდესთან — „კლდეო! განა რომ შენა ხარ ჩემი დედმამა, ჩემი მცველი და პატრონი? — მე ვარ, ნუ გეშინიან შავბნელო!“ ...ვაჟას ვედრება — „მიწავ, შენ გებარებოდეს ეს ჩემი ტურფა ია, შენ უპატრონე ემშობლე, როგორაც შენი ზნეაო“. რამდენი სიყვარული, ხევდა, მზრუნველობა არის ჩაქსოვილი ამ სტრიქონებში. მონადირის დანა, შესვრილი სისხლით მომაკვდავი შვლის სველი უმწეო თვალები, დაობლებული ნუკრის დაჩეჩქვილი ჩლიქები — ეს ხომ უმძიმესი ბრალდებაა ადამიანთა ვაგარის მიმართ, კაცთა არაადამიანური გულქვაობის მიმართ, და, მეორე მხრივ, ეს ხომ ისეთი საჩუქარია ბავშვებში ბუნებისადმი სპეტაკი, შთაგონებული სიყვარულის სულისკვეთების ჩანერგვისათვის, რომლის ფასს ენა ვერ გამოთქვამს!

ახლა გავიხსენოთ ჩვენი რევოლუციამდელი სახალხო სკოლის დიდი მესაძირკვლე, უკვდავი „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ შემომქმედი იაკობ გოგებაშვილი.

ცოტაა ვთქვათ, რომ იაკობმა შესანიშნავად, უნდა დავუმატოთ — შთაგონებით, შეასხა ხორცი ბუნებისადმი ადამიანის მრავალგონივრული დამოკიდებულების იდეას და ეს იდეა ჩვეულებრივი დიდაქტიკური რიგის მოვლენიდან, მორალურ-პედაგოგიური სიბრძნის შესანატრ დონემდე აამაღლა. ახლაც, დღესაც და სწორედ დღეს, განსაკუთრებული სიმკაცრით ისმის იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ყოველი ადამიანი, როგორც ვიცით, ცხოვრობს ბუნებაში, დამოკიდებულია მასზე, მის კანონებზე. თუ მას კარგად აქვს შესწავლილი ბუნება, მისი ძალნი, მისი მოვლენანი და კანონები და გონივრულად უთანხმებს მათ თავის მოქმედებას, ცხოვრებასა, ბუნებაც ხელს უწყობს კაცსა, ემორჩილება და აჯილდოვებს იმით, რომ ანიჭებს სიმართლეს ჯანისას და ქონებას, ამ ორ ბურჯს ბედნიერებისასა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კაცი უვიცია ბუნებისმეტყველებაში, არა გაეგება რა მისი, ეწინააღმდეგება მის კანონებსა და არღვევს მათ, მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო ულმობლად, უფრო სასტიკად, ვიდრე დამნაშავე სახელმწიფოსაგან“.

აქედან გამომდინარე, ი. გოგებაშვილი ენერგიულ საქმიანობას ეწეოდა საიმისოდ, რათა მოსწავლე ახალგაზრდობაში და ხალხის ფართო ფენებში ჩაენერგა ბუნების სიყვარული, გაეღვივებინა მათში მისი მოვლისა და დაცვას შეგნება. დავსძენთ, რომ ეს სტრიქონები დაწერილია 1896 წელს და მისი ავტორი ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწეოდა უკვე გასული საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისიდანვე, განსაკუთრებით კი ოთხმოციანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც მისმა „დედა-ენამ“ და „ბუნების კარმა“ მტკიცედ დაიმკვიდრეს სახალხო სკოლებში ადგილი და ბუნების დაცვის თემატიკის მიხედვით იაკობმა მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობები გამოაქვეყნა.

ადამიანთა მიერ ბიოსფეროს საშიშ ხელყოფას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ მისი სიავე მკაფიოდ გამოვლინდა კოლონიალიზმის ეპოქის დასაწყისიდან. შემდეგ და შემდეგ ამ ხელყოფის გეოგრაფიული არეალი და მოქმედების დიაპაზონი თანდათანობით ფართოვდებოდა. მწვანე საფართან და ფაუნასთან ერთად უფრო მეტად და მეტად ზიანდებოდა წყალიცა და ჰაერიც. მაგრამ ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის მას, რასაკვირველია, ასე შმაგი ხასიათი არ ჰქონია, დღეს რომ აქვს. თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციის მასალებში ბუნების პრობლემის ისტორია შემდეგი სახით არის შეფასებული: „გარემო წრის დაცვის პრობლემა სერიოზულ პრობლემად თანამედროვე საზოგადოებისათვის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს. თუმცა გარკვეული შიში გარემო წრის პრობლემების გარშემო ყოველთვის გამოითქმოდა, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ რამდენიმე ათწლეულში მეცნიერებათა განსაკუთრებულად სწრაფი ზრდისა და აგრეთვე ტექნიკური და სოციალური ცვლილებების ნიადაგზე წარმოიშვა ახალი პრობლემები, ხოლო წინათ არსებული პრობლემები სრულებით ახალი შუქით წარმოსდგა ჩვენს წინაშე. დღეს აღიარებულია, რომ ადამიანის საქმიანობის მრავალი სახეობა ალებული ერთობლივად იწვევს შიშს და შესაძლოთა გამოუსწორებელ შედეგებსაც“. ამასთან, მითითებულია იქვე, ახალია ისიც, რომ ზოგიერთმა პრობლემამ, გარკვეული მიზეზებითა და გარკვეული ფორმით წარმოშობილმა სხვადასხვა ქვეყანაში, შეიძლება მოახდინოს გავლენა მთელს კაცობრიობაზე. აქ, რასაკვირველია, ლაპარაკია უარყოფით გავლე-

ნაზე და არა სიკეთეზე („დასკვნითი მოხსენების პროექტი“, გვ. 7).

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ იაკობმა ბევრად უფრო ადრე გაიგო საფრთხის მოახლოება თავისი ქვეყნის მაგალითზე და მიუთითა კიდეც ამ საფრთხის ერთ-ერთ ძირითად წყაროზე. „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში იგი წერდა: „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნების არაფერა გაგვეგება, უკუღმართის აღზრდის წყალობით. ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელს ქონებას, ჩვენ კი ხახა მშრალები ვრჩებით“. ი. გოგებაშვილი, როგორც ჩანს, უფრო მეტად იჭრებოდა ბუნების ხელყოფის ისტორიის სიღრმეში და მის სათავედ კოლონიალიზმს მიიჩნევდა. ი. გოგებაშვილმა ძალიან ადრე შეიცნო, რომ ბუნებაში არსებულ შინაგან წესრიგს საფრთხე ელის და არა მარტო შეიცნო, არამედ მწვავედ განიცადა იგი და ყოველაფერი იღონა საიმისოდ, რათა ეს საფრთხე შეენელებინა. საფუძვლიანმა საერთო, ბუნებათმეცნიერულმა და პედაგოგიურმა განათლებამ, ბუნებისა და სოციალური და პოლიტიკური მოვლენების სიღრმეში წვდომის არაჩვეულებრივად მახვილმა უნარმა და მაღალგონიერი შორსმჭვრეტელი კაცისათვის დამახასიათებელმა ალღომ დაარწმუნა ი. გოგებაშვილი იმაში, რომ ამ საქმეს ცუდი პირი უჩანს და მას შველა სჭირდება.

ზემოთქმულს შემდეგი უნდა დავსძინოთ: თუ წარსულში ეს მხოლოდ ჩვენ ვიცოდით და ადამიანებში ბუნებისადმი სიკეთის აღზრდის სფეროში იაკობ გოგებაშვილის შეხედულებების შესახებ სხვებმა არა იცოდნენ რა, ეს ჩვენი პოლიტიკური უუფლებობით იყო გამოწვეული. მაგრამ ახლა რომ ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი არ იცნობენ ი. გოგებაშვილსა და მის მკვიდრსა და მკვრივ მოძღვრებას ბუნებასთან ადამიანების დამოკიდებულების აღზრდა-ფორმირების შესახებ, ეს უკვე ჩვენი მიუტევებელი ცოდვაა. მაგრამ ამის აღიარება როდი კმარა — ეს საქმე უნდა გამოსწორდეს და გამოსწორდეს, რაც შეიძლება მალე, ამაში თვალსაჩინოდ დაგვარწმუნა თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციამაც, რომლის საქმიანობის ფონზე იაკობი წარმოდგა, როგორც წინასწარგანჭვრეტის მადლით დაჯილდოებული ბრძენ-კაცი და ღრმად მოაზროვნე პედაგოგი. სამთავრობათაშორისო კონფერენციის სხდომებს რომ ვესწრებოდი, ვერ დავმალავ, ასეთი სევდანარევი ოცნება ამეკვიატა, ნეტავ ნახევარი საათით თუ არა, თუნდაც ათი-ხუთი წუთით მაინც გამოჩნდებოდნენ აქ ვაჟა-ფშაველა და იაკობ გოგებაშვილი! (ხომ აქვს კაცს უფლება ზოგჯერ ასეთ ოცნებასაც მისცეს თავი, მით უმეტეს, რომ იგი უწყინარია და თანაც წამიერად მაინც [illegible] გულს).

იაკობ გოგებაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა მისდროინდელ სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლების სფეროში გამეფებულ უსიცოცხლო ფორმალიზმს, მის ცივსა და მშრალ სულს „ჩვენში აქამდინ, — წერდა ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის“ „წინასიტყვაობაში, — მეფობს მოზარდის თაობის აღზრდაში ფანტაზია. მხოლოდ ფანტაზიას ბავშვისას ავარჯიშებენ და ასაზრდოებენ ხშირად იმისთანა რამეებით, რომელიც სრულიად უმახინჯებს მას გონებასა. ჭკუის განმავითარებელი და განმაფხიზლებელი საგნები, სალის მსჯელობის აღმზრდელნი რეალურნი ვარჯიშობანი, ცხოველი ბუნება, ჩვენებურს მშობლებს სრულიად მივიწყებული აქვთ თავისის შვილების აღზრდა-განვითარებაში. ჩვენებური ბიუროკრატიული სკოლაც ისე უსულგულოდ, ისე უძლურად და მკვდრად ასწავლის ბუნება-მეტყველებას, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მის ჩონჩხს რომ ჩვენს ბავშვებს და ყმაწვილებს სრულიად უცრუვდებათ მასზე გული“.

იაკობი სინანულით დასძენდა, რომ „უმეცრება ჩვენი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის. მთავარნი მტერნი ყოველ-გვარის მოსავლისა არიან სხვა-და-სხვა ჭია-მატლები, რომელნიც ულრღნიან და უფუჭებენ საჭირნახულო მცენარეობას ფესვებს ფოთლებსა და ნაყოფსა, და დიდს ზარალს აყენებენ მხვნელ-მთესველთა. ნადირთა და ფრინველთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომელნიც ემტერებიან ამ მავნე ჭია-მატლებს, სდევნიან მათ და აუარებელს მათს რიცხვს ჟლეტენ დღე და ღამ. მაგრამ ეს ჩვენმა უვიცმა ხალხმა არ იცის. მტრულად ეკიდება ამ თავისს დაუფასებელ მეგობრებს და უწყალოდ ჟლეტს მათ, თავის საზარალოდ. აი რის გამო დავუთმეთ „ბუნების კარში“ მთელი განყოფილება ამ დაუფასებელს მეგობრების აღწერას სათაურით: „მოსავლის მცველნი“.

მთელი რიგი წლების მანძილზე იაკობი გულმოდგინედ იღვწოდა საიმისოდ, რათა უფრო მიმზიდველი გაეხადა, ყმაწვილებისათვის „ბუნების კარი“. მის შედგენისას, წერდა იგი, „ვერიდი ავუქციეთ იმისთანა მშრალს მხარეებს საგნებისას, როგორიც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნების-მეტყველების სახელმძღვანელოისას. სამაგიეროდ, დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ სცხოვრობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს

ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანთან და თვით თავისს სამშობლოსთან (ფრინველების მგზავრობა, ორაგულის ცხოვრება)“. იაკობი დიდ სიფრთხილეს იჩენდა სასწავლო მასალის შერჩევისას: „საბუნებისმეტყველო წერილები შედგენილია ჩვენ მიერ საუკეთესო წყაროების მიხედვით, როგორც, მაგალითად, „ვესტნიკ ესტესტვენნიხ ნაუკ“, თხზულებანი: ბრემისა, კარლ ფოხტისა, ბაგდანოვიჩისა, ვაგნერისა და კიდევ სხვებისა“. იგი დიდ ზრუნვას იჩენდა საიმისოდ, რათა გაეადვილებინა, მიმზიდველი გაეხადა მოსწავლეებისათვის მასალების ათვისება. ამ მიზნით, წერდა იგი, „ჩვენს წერილებს მივეცით უმეტეს ნაწილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთი ორად და სამად უადვილებს მოსწავლეთა საგნის შეთვისებასა“.

„ბუნების კარში“ მართლაც ფართოდ და თანაც მისაწვდომად იყო წარმოდგენილი მასალები გარემომცველი ბუნებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის მათი გამოყენების შესახებ, რასაც იაკობი სახალხო სკოლის უსაჭიროესსა და უპირველეს საქმედ თვლიდა. ამით იყო გამოწვეული ამ სახელმძღვანელოს სისტემატურად გამდიდრება საბუნებისმეტყველო მასალებით; მართლაც, ამ წიგნის პირველ გამოცემაში საბუნებისმეტყველო მასალას მხოლოდ 106 გვერდი ჰქონდა დათმობილი, 1912 წლის გამოცემაში კი მათი რიცხვი 200-მდე იყო გაზრდილი. მთავარია ისიც, რომ 1912 წლის გამოცემაში საბუნებისმეტყველო მასალა უფრო სრულყოფილია, რაც იმით არის გაპირობებული, რომ იაკობ გოგებაშვილი შეუნელებელი ინტერესით სწავლობდა ბუნებათმცოდნეობაში მოპოვებულ მიღწევებს და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მათ შერჩევასა და დიდაქტიკური თვალსაზრისით ფაქიზად დამუშავებას.

ჩვენი ქვეყნის ბუნების, გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ „ბუნების კარში“ შეტანილი ნარკვევები, რომლებიც ძირითადად იაკობის შედგენილია, ან კიდევ გადმოკეთებულია, დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. ამას თან ემატება ისიც, რომ საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიულ, ისტორიულ ნარკვევებს, მათი მიმზიდველად, ემოციურად ათვისების მიზნით, შიგადაშიგ ჩართული აქვს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. მაგალითად, წიგნის განყოფილებაში — „მოკლე გეოგრაფია საქართველოსი“, პარაგრაფებს: „ბუნება საქართველოსი“, „საქართველოს საზღვრები“, „სივრცე და მცხოვრებთა რიცხვი“ მოსდევს რ. ერისთავის ლექსი „სამშობლო“, მომდევნო პარაგრაფს — „საქართველოს მთები და ქარები“ თან ერთვის გრ. ორბელიანის „კავკასიონის მთები“ და ნაწყვეტები ი. ჭავჭავაძის „აჩრდილიდან“ ამგვარ შეჯვარებას განსაკუთრებით ფართოდ იყენებს იაკობი ისტორიულ განყოფილებაში, სადაც მოხდენილადაა ჩართული ნაწყვეტები ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ნაწარმოებებიდან. ამავე პრინციპს იაკობი უნარიანად ახორციელებს „დედა-ენაშიც“. ყოველივე ამით მშობლიური ბუნება, გეოგრაფია, ყოფა-ცხოვრება, კულტურა მთლიანი სახით ყალიბდებოდა მოსწავლეთა შეგნებაში.

ბუნების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების წესსა და რიგზე ღრმად დაკვირვების, ამ საგანზე მოწინავე აზრების ბეჯითად შესწავლისა და ბავშვის განვითარების კანონზომიერებათა მკვიდრად გათვალისწინებით ქართულ სახალხო სკოლაში ბუნების შესწავლის საქმის რაციონალურ ნიადაგზე დაფუძნების მიზნით იაკობ გოგებაშვილმა შექმნა თანმიმდევრულად მწყობრი პედაგოგიური სისტემა. ამ სისტემამ ორგანულად შეაუღლა ერთმანეთთან გრძნობადი, ცნობადი, შრომითი და ესთეტიკური საწყისები. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებასთან ადამიანთა სწორად დამოკიდებულების აღზრდა მკვიდრად უნდა დაემყაროს სათანადო შერჩეული სასწავლო მასალის ემოციურად მიწოდებას ბავშვებისათვის; ამ მასალის გაცნობიერებას, გაშუქებას, განათებას მეცნიერული ცოდნის მეშვეობით; ბავშვებში შრომით საქმიანობისადმი სიყვარულის აღზრდასა და მათში ბუნებით ესთეტიკური ტკბობის მაღალი გემოვნების ჩამოყალიბებას. ამას აუცილებლად უნდა დაემატოს ისიც, რომ ეს სისტემა ცალკე კი არ არსებობს, როგორც დამოუკიდებელი რამ ავტონომიური ერთეული. ამ ამოცანის განხორციელება მიმდინარეობს სახალხო სკოლის წინაშე დასახულ სხვა ამოცანებთან ორგანულ კავშირში. თავის მხრივ, ეს კავშირი ისეთი ოსტატობით არის ნაგებ-ნაშენები, რომ არც მთლიანისა და არც მისი ცალკე ნაწილების ინტერესები არ ზიანდება. სწორედ ამის შედეგად ამ მადლიანი კაცის ხელში ეს ოთხი საწყისი მკვიდრად შეეწყო და შეუთვისდა ერთმანეთსა და მთლიანს, რამაც ასე ბრწყინვალე განსხეულება პოვა და ჩაიდგა სული იაკობის „დედა-ენასა“ და „ბუნების კარში“.

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, მისი საბავშვო მოთხრობები, მიძღვნილი ბუნების დაცვისადმი — ეს იყო სახალხო, საერო წიგნები და მათდამი ინტერესი ხალხში ყოველთვის დიდი იყო. მაგრამ ისინი თავიანთი პირდაპირი დანიშნულებით დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვებისათვის იყვნენ განკუთვნილნი და შეხამებულნი ბუნების დაცვის სფეროში იმ დროს არსებულ მოთხოვნილებებთან და საჭიროებებთან. დავსძინოთ ამას ისიც, რომ XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოსათვის საქართველოში არსებულ

წლიანი სწავლების ვადის მქონე დაწყებით სკოლებში სათანადო ასაკის ბავშვთა დაახლოებით ერთი მეოთხედი თუ სწავლობდა, ახლა კი ჩვენში უკვე განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება ათწლიანი სწავლების ვადით. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ასე რიგად დარღვეული ეკოლოგიური მთლიანობის აღდგენის გადაუდებელმა ამოცანებმა მძლავრი ბიძგი მისცა ბიოლოგიურ და სხვა მეცნიერებებისა და საამისოდ აუცილებელი ტექნიკური საშუალებების განვითარებას. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბუნებათმცოდნეობის სფეროში ი. გოგებაშვილის მიერ გასული საუკუნის ბოლოს შემუშავებული მემკვიდრეობა საკმარისი აღარაა საიმისოდ, რათა სკოლამ ამ მხრივ თვალი გაუსწოროს ცხოვრებას. ამიტომ არის, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავით დგას ბუნების დაცვის ღონისძიებათა ქმედითი სისტემის შემუშავების ამოცანა. საქმისათვის სჯობია გამოვტყუდეთ, რომ ჩვენ ასეთი სისტემა ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. ამ სისტემამ ერთობლივად უნდა მოიცვას ბავშვთა და მოზარდთა ყველა ასაკი დაწყებული სკოლის წინარე პერიოდიდან — სკოლამდელი დაწესებულებებიდან, დამთავრებული საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების სკოლებით, ოჯახური აღზრდით სკოლისგარეშე დაწესებულებებით. ამ საქმეში უნარიანად უნდა გამოვიყენოთ ის პრინციპული სქემა ოთხი ძირითადი ელემენტით, რაც იაკობ გოგებაშვილმა დაგვიტოვა და რის შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა.

რაც შეეხება ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“ და ბუნების კარს“, ეს ისეთი უკვდავი, თანაც ისეთი სათუთი წიგნებია, რომელთა თუნდაც ოსტატურად გადაწინდვა ანდა დამუნა, მით უმეტეს ნაწილ-ნაწილ დაშლა ნამდვილად დიდი ცოდვაა. ასეთი დასტაქრული ოპერაციები და დებით შედეგს ვერ იძლევა და ვერც მომავალში მოგვცემს, რადგან დანისა და მაკრატლის გამოყენებისას ამ წიგნების სხეული ცვდება და მქლევდება, ხოლო მათი მადლიანი სული კი იფიტება „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ არსებული სახით უნდა დარჩნენ ჩვენი ბავშვებისათვის პარალელურ საკითხავ წიგნებად დაწყებით კლასებში. ცხადია, მათგან უნდა გამოვყოთ ისეთი მასალები, რომლებიც დროს უხდიდნენ ხარკს, და, გარდა ამისა, ჟამთა სვლის შედეგად მოძველდნენ. მაგრამ დაუშვებელია ეს გაკეთდეს პრიმიტიულად, მექანიკურად, უბრალო დანითა და ხელის ხერხის მეშვეობით. ამის განხორციელება უნდა მოხდეს დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით, რათა ამ წიგნების კვირტები და გული არ დაზიანდეს. „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ასეთი სახით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს ჩვენი სკოლების ბუნებისმეტყველების პირველდაწყებითი კურსის ათვისების საქმეს, ბავშვებში მახლობელ გარემომცველ ცოცხალ არსთა სამყაროსადმი სიყვარულის აღძვრის, ბუნების მოვლა-დაცვის უნარ-ჩვევათა ჩანერგვისა და მათში საერთოდ ბუნების კვლევისადმი შინაგანი ინტერესის გაღვივების საქმეს.

თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციის მასალებსა და რეკომენდაციებში არაერთგზის არის მითითებული, რომ გარემო წრის შესახებ მოსახლეობის განათლებაში და, კერძოდ, სასკოლო განათლებაში ეროვნულ ტრადიციებსა და ადგილობრივ კონკრეტულ გარემოში შემუშავებულ გამოცდილებას საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს, რადგან იგი უშუალოა და ადვილად მისაწვდომია. ეს აზრი, მაგალითად, შემდეგი სახით არის გამოხატული № 4 რეკომენდაციის პირველ მუხლში თუმცა ადამიანთა გარემომცველი წრის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენენ ბიოლოგიური და ფიზიკური ფაქტორები, მაგრამ სოციალური, კულტურული, ეკონომიური ასპექტები, ეთიკური და აგრეთვე სულიერი ღირებულებანი აგრეთვე ასრულებენ თავიანთ როლს იმ მიმართულებით, რომ ადამიანმა უკეთ გაიგოს და გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები თავისი მოთხოვნილებებისათვის („დასკვნითი მოხსენების პროექტი“, გვ. 38). საინტერესოა, რომ კონფერენცია ნივთიერ კულტურის ისტორიულ ძეგლებსაც კი გარემო წრის, ორგანულ კომპონენტებად თვლის. „ზოგადი მოხსენების“ შესავალში აღნიშნულია, რომ გარემომცველ გარემოში ბიოლოგიურ და სოციალურ კომპონენტებთან ერთად შედის კულტურული ფაქტორები, მათ შორის კერძოდ კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა („დასაკვნითი მოხსენების პროექტი“, გვ. 8). ამ საზომებითაც ძნელია მოიძებნოს იმაზე უკეთ შემკული წიგნები, როგორიც არის „დედა-ენის“ მეორე ნაწილი და „ბუნების კარის“ უკანასკნელი გამოცემანი.

ნამდვილად უძვირფასო ხალხის მეხსიერების სალარო. ყოველივე ის, რაც ამ სალაროში შედის გონებისა და გულის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და კარნახით, არა მარტო მტკიცედ რჩება მის კედლებში, არამედ მოუსვენრად ეძებს დღის სინათლეს. „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ ქართველი ხალხის მაღალი გონებრივი სიბრძნისა და ზნეობრივი სიწმინდისა და სიმწიფის დამადასტურებელი დაუბერებელი, ცოცხალი ძეგლებია. მათში დედაენის, ადამიანთა შინაგანი სამყაროს ამ ყველაზე დიდი მესაიდუმლოს და გულთამხილველის მეშვეობით უკვდავი სახით არის ჩაბეჭდილი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის და აწმყოს კალთაში შემუშავებული სულიერი ღირებულებანი, საძირკველი ჩვენი მომავლისა. ამ წიგნებს ხალხი არ შეელევა და ვერ შეელე-

ვა. ეს რაღაც არაჩვეულებრივი ძალით გამოვლინდა „დედა ენის“ 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში, როცა ყველა ოჯახი თავის საპატიო მოვალეობად თვლიდა შეეძინა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“.

მე მგონია, არ იქნება ზედმეტი ერთი ცოცხალი მაგალითით დავასურათო ჩვენი ეს გაწყობილება. „დედა-ენის“ 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში ჩემთან ბევრნი მოდიოდნენ თხოვნით, რათა მეშოვნა მათთვის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, ერთ-ერთმა დარბაისელმა მანდილოსანმა თავისი თხოვნა ასე დაიწყო: იცით, ჩემი დედაენა, ჩემი სამშობლო და ცოცხალი ბუნება მე ამ წიგნების მეშვეობით შევიყვარე! — ეს როგორ, ვკითხე მე, თქვენ ხომ ალბათ იმ დროს სწავლობდით სკოლაში, როცა ეს წიგნები უკვე აღარ იყო ხმარებაში? — კი, მაგრამ დედაჩემს ამ წიგნებით ჰქონდა შესწავლილი დაწყებითი სკოლის კურსი და მას ვერც წარმოედგინა, რომ ქართველმა ბავშვმა დედაენა და მისი გარემომცველი ბუნება მათ გარეშე შეისწავლოს და შეიყვაროს. დედაჩემის წიგნები მემკვიდრეობად გადაეცა უფროს ძმას. მომეცით იმის საშუალება, რომ მეც როგორმე ასეთივე მეგზურობა გავუწიო ჩემს შვილიშვილებს. ასეთ განწყობილებაში სრულებით არაფერია არც ფსევდორომანტიკული და არც ასირებული რამ მოდური. ახლა ბევრი დედაც და მამაც, უფროსი დაცა და ძმაც, ბებიაცა და ბაბუაც გულითაა მოწადინებული, ბავშვების აღზრდის საქმეში გამოიყენოს ეს უკვდავი წიგნები.

და ჩვენც მოვალენი ვართ აღვუსრულოთ მათ ეს კანონზომიერი და კეთილი სურვილი. ეს წიგნები სამაგიდე წიგნებად უნდა იქცეს ყველა ოჯახისათვის — ეს უდიდეს სარგებლობას მოუტანს ჩვენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების აღზრდის საქმეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ალადაშვილი

# ჩემი ცხოვრების გზა

დავიბადე 1876 წლის 30 ივნისს, სოფელ არბოშიკში, სიღნაღის მაზრაში. აქვე გავატარე ჩემი ცხოვრების პირველი შვიდი წელიწადი. მამაჩემი მღვდლის შვილი იყო და ამიტომ ოჯახი უფრო კულტურულად ჰქონდა მოწყობილი, ვიდრე დანარჩენ მეზობლებს. დედა გლეხის ქალი იყო, გვარად ბაცაცაშვილი. განათლება ჩემს მშობლებს არ მიუღიათ, მაგრამ დედამ კარგად იცოდა წერა-კითხვა, იცნობდა ქართულ ლიტერატურას და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სისტემატურად კითხულობდა ჟურნალ-გაზეთებს. არბოშიკიდან წამოსვლის შემდეგ მე მას მუდამ ვუგზავნიდი წერილებს.

არბოშიკში ვიზრდებოდი ისე, როგორც ყოველი გლეხის შვილი, იმ განსხვავებით, რომ დედაჩემი ყურადღებას აქცევდა ჩემს ჩაცმულობას. ფეხსაცმლის ტარება ჩემს ამხანაგებში ზედმეტი განაზებისა და სისუსტის ნიშნად ითვლებოდა, მე სახლიდან არ მიშვებდნენ ფეხშიშველს, მაგრამ გავცდებოდი თუ არა ორღობეს, ფეხსაცმელს ზურგზე გადავიკიდებდი და ამხანაგებთან ერთად სიამოვნებით მივაბიჯებდი მტვერში და ტალახში ფეხშიშველი. მხოლოდ შინ დაბრუნებისას მოვირთვებოდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ფეხსაცმელის ზედმეტი სისუფთავე ამჟღავნებდა ჩემს საქციელს. ცუღლუტობა მალე გამიგეს და იძულებული ვიყავი შევრიგებოდი ფეხსაცმლის ტარებას. ეს გარემოება ჩემი ამხანაგების მუდმივი ოხუნჯობის საგანი იყო. როცა დიდ ტლაპოს მივადგებოდით, რომელიმე მათგანი წამოიძახებდა: „აბა ჯერ ჩუსტებიანმა გაიაროსო".

მამაჩემი აწარმოებდა მცირე სოფლის მეურნეობას: ხნავდა, სთესავდა, რამდენიც შეეძლო. იმ დროს ქიზიყში მიწაზე კერძო საკუთრება არ იყო. ყველას შეეძლო დაემუშავებინა იმდენი მიწა, რამდენსაც დასძლევდა და რამდენიც საჭირო იყო ოჯახისთვის. მოხნული მიწა მეორე წელსაც მას ეკუთვნოდა, მაგრამ თუ არ ისარგებლებდა, გადავიდოდა ყოველი მსურველის ხელში. ჩვენებს ჰყავდათ რამდენიმე ძროხა და ცხვრის ფარა. მამაჩემი ახალგაზრდობაში თვითონ მიჰყვებოდა ცხვარს თრიალეთში.

მამაჩემს განსაკუთრებით იტაცებდა კამეჩების მოშენება და მართლაც არაჩვეულებრივი კარგი ჯიშის საქონელი ჰყავდა. სარგებლობა მათგან ბევრი არ იყო; გვქონდა მხოლოდ კამეჩის მაწონი და კარაქი. მამა სიამაყით უმზერდა, როდესაც ჩვენი კისერგასქელებული ბულა კამეჩები ჩამოდიოდნენ წყალზე და რისხვით ეცემოდნენ სხვის ბულა კამეჩებს. იწყებოდა საშინელი შეტაკება. ასეთ ბრძოლაში ზოგ კამეჩს რქაც კი სტყდებოდა. ზოგი კი სრულიად მახინჯდებოდა. პატარა ბიჭებს ძლიერ გვიყვარდა ამ ჭიდილის მზერა. სიხარულით ვხვდებოდით ჩვენი ბულის გამარჯვებას. როცა შეტაკება საშიშ ხასიათს იღებდა, გრძელი ჯოხებით ვაშველებდით მოჩხუბრებს.

მე ხშირად დავდიოდი ნახირში და ვათევდი ღამეს მწყემსებთან. მახსოვს არაერთი ღამე, ცეცხლთან გატარებული ჯოგის ყარაულებთან ერთად. ვწვავდით სატაცურს, სოკოს ან ქურდულად მოკრეფილ სიმინდს, ვაფიცხებდით პურს და რიგრიგობით მოვუთხრობდით ერთმანეთს საშინელ ამბებს და ზღაპრებს. ზოგი ჩემი ნაამბობი ჩემივე ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ ამხანაგებს მოსწონდათ და მეც კმაყოფილი ვიყავი ამით. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს საუბარს არასდროს არ ჰქონია უხეში და უწმაწური ხასიათი. ღამეები გრილი იყო და ამიტომ დედაჩემი დაჟინებით მოით-

* ალექსანდრე სტეფანეს-ძე ალადაშვილი (1876-1950) იყო გამოჩენილი საბჭოთა თერაპევტი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში. რედ.

ხოვდა, რომ თან წამეღო საბანი. ბევრი უსიამოვნება მომაყენა ამ საბანმა. სოფლის ბიჭების ტრადიციით საბანი ფუფუნების საგნად ითვლებოდა. მინდორში მხოლოდ ნაბდის დახურვა შეიძლებოდა. ამხანაგები დაცინვით უყურებდნენ ჩემს საბანს და ამის გამო არ მთვლიდნენ თავის თანაბარ ვაჟკაცად. მეც საბანს თავქვეშ ამოვიდებდი ხოლმე. ვარჩევდი სიცივისაგან კანკალს, ვიდრე საბნის დახურვას.

შვიდ წლამდე არაფერს არ ვაკეთებდი და არც ვსწავლობდი. ჩვენს სოფელს სკოლა არ ჰქონდა, მეზობელი ქვემო მაჩხაანის სკოლა კი შორს იყო და იქ სიარული საძნელო საქმედ ითვლებოდა. განზრახული იყო გავეგზავნეთ ცხვარში, როცა ცოტა წამოვიზრდებოდით.

რვა წლის ვიყავი, როცა სოფელში გვეწვია ბიძა — დავით ალადაშვილი, რომელმაც იმ წელს დაამთავრა კიევის სასულერო სემინარია და დანიშნული იყო ოზურგეთის სასულიერო სკოლის მასწავლებლად. ბიძაჩემი გულკეთილი და ნათესავთ მოყვარული კაცი იყო. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს არ მოაწყოს საკუთარი ოჯახი და გაზარდოს თავისი მრავალრიცხოვანი ძმისწულები, „შვილობას" ეგენიც გამიწევენო. ჩემი მშობლები სიამოვნებით დაეთანხმნენ ასეთ კეთილ სურვილს. პირველ რიგში გადაწყდა ჩემი წაყვანა ოზურგეთში, რადგან სასკოლო ასაკისა მხოლოდ მე ვიყავი.

გამგზავრება უნდა მომხდარიყო ერთ კვირაში, რადგან ბიძას ეჩქარებოდა სამსახურში გამოცხადება. დედაჩემი შეუდგა ჩემს მომზადებას. შემიკერეს ტანისამოსი და საცვლები, მიყიდეს მოწაფის ქუდი და სხვათა შორის ათი ფერადი ცხვირსახოცი. ყველაფერი მესიამოვნა, მხოლოდ ცხვირსახოცის საჭიროება ჩემთვის ძლიერ საეჭვო იყო, მაგრამ სასტიკად გამოიცხადეს, რომ რადგან ნასწავლი კაცი უნდა გამოვიდე, ამიტომ ეს ნივთი პირდაპირი დანიშნულებით უნდა მოვიხმარო. მეც დავეთანხმე, მაგრამ ამის შესრულება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. პირველსავე აცრემლების დროს თვალებს ისევ ძველებურად, მუშტებით ვიწმენდდი და სრულიად დამავიწყდა ცხვირსახოცის არსებობა.

მშობლების გადაწყვეტილებამ გურიაში ჩემი გაგზავნის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს სოფელში. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ბალღი ასე შორს მიჰყავდათ სასწავლებელში. წამდაუწუმ მოდიოდნენ ლეჩაქში გამოწყობილი დედაკაცები. მათ უკვირდათ დედაჩემის ასეთი „გულგრილობა" დასხდებოდნენ ხალიჩაზე თუთის ხის ჩრდილში, იწყებოდა ვიშვიშის ძახილი მუხლებზე ხელის ცემით და საყვედურები: „აბა როგორ იმეტებ მომწიფებულ ასაკში პირმშო შვილს ასე შორს გადასაკარგავად? ეს გურია თურმე ზღვისპირა-ყოფილაო". ეს „ზღვის პირას ყოფნა" განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საბუთად მოჰქონდათ. დედაჩემი ყველას მშვიდობიანად უსმენდა, მადლობას უხდიდა თანაგრძნობისათვის და დარბაისლურად უხსნიდა, რომ მის შვილს კეთილი ბედი ეწვია. „იმედი მაქვს, რომ დიდი კაციც გამოვა. ეგებ ექიმად ან მოსამართლედ გახდეს როდესმეო", ამბობდა იგი. ეს იყო იმდროინდელი ოცნების მწვერვალი! დედაკაცები უნდობლად აქნევდნენ თავს და წასვლის წინ დასძენდნენ: „შენი შვილების ამბავი შენ უკეთ იცი, ღმერთმა და ღვთისმშობელმა დედამ გიბედნიეროსო". მიუხედავად გარეგანი სიწყნარისა, დედაჩემი არ იყო სავსებით დამშვიდებული. რამდენჯერმე შევნიშნე, როგორ ჩამოსდიოდა თვალებიდან ცრემლები. აღსანიშნავია, რომ ყველა მეზობელს მოქონდა ხმელი ხილი, ისე, რომ მალე დამიგროვდა ბლომად ჩურჩხელები და ღელვის ჩირი. ჩვენებმაც მომცეს ჩურჩხელები და მოზრდილი ტოპრაკა გავტენე ტკბილეულით. გადავწყვიტე თან წამეღო იგი გურიაში. „ვინ იცის, იშოვება იქ ასეთი რამე თუ არა?" ვფიქრობდი მე.

სამგზავროდ მზადება მალე დამთავრდა. ახალ ტანისამოსში გამოწყობილი, ფერადი ცხვირსახოცით უბის ჯიბეში ამაყად დავსეირნობდი და ველოდი ჩემ მეგობრებს.

ატორღიალდნენ ჩემი ამხანაგებიც. მოდიოდნენ და აიტუზებოდნენ ღობესთან, რატომღაც არ შემოდიოდნენ ეზოში. მივეგებებოდი თუ არა, ჩუმი ხმით და დაღვრემილი სახით შემეკითხებოდნენ: „შაშავ, მართლა მიდიხარ?" მეც ასევე დაღვრემილად ვუპასუხებდი: „მივდივარ, მაშ რა ვქნა?" დავურიგე ამხანაგებს ჩემი სიმდიდრე — ჭრელი ჯოხ-კომბლები და შეღებილი, ზოგიც ტყვიით ჩაკირული კოჭები, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ უკანვე ჩამოვედი, დამიბრუნეთ-მეთქი. ამხანაგები მალე მშორდებოდნენ და უკვე აღარ მეძახდნენ სათამაშოდ. მესმოდა მხოლოდ ქუჩიდან მათი მხიარული ხმები. ამხანაგების ხალისიანი ჟივილი ეკალივით მხვდებოდა გულში. რაღაცა მძიმე გრძნობა ილვიძებდა ჩემში და თვალებზე უნებლიედ ცრემლები მადგებოდა. აღარ მახარებდა არც ახალი ტანისამოსი და არც უამრავი ხილი. ჩურჩხელებიც კარგავდნენ სასიამოვნო გემოს, ყველაფერი მწარდებოდა. მაინც ვცდილობდი ყოჩაღად დამეჭირა თავი. არავის არ უნდა შეემჩნია ჩემთვის სისუსტე, რომელიც გოგოებს შეშვენის, მე კი თავი ვაჟკაცურად მომქონდა, მაგრამ ზოგჯერ ისეთი ბოღმა მომაწვებოდა, რომ მხნეობა მღალატობდა და თვალებში ცრემლი მომადგებოდა. საერთოდ უნდა აღვნიშნო, რომ სოფელთან განშორებამ ხანგრძლივი დანაღვლება არ გამოიწვია ჩემში. ეს იმით აიხსნება, რომ ძლიერ დაახლოებული ვიყავი ბიძაჩემთან და ისიც განსაკუთრებული თბილი

სიყვარულის გრძნობით მეპყრობოდა. ასეთი თბილი გრძნობა დიდ ხანს დარჩა ჩემში. შემდეგში როდესაც უკვე სემინარიაში ვსწავლობდი, საახალწლო და აღდგომის არდადეგებზე ბიძისაკენ უფრო მივისწრაფოდი, ვიდრე ქიზიყისაკენ.

განვლო სამმა დღემ. დამთავრდა ჩვენი გამზადება. ბოლოს გაახურეს თონე, გამოაცხეს შოთები და ნაზუქები, სხვენიდან ჩამოიტანეს შენახული ხილი, მოამზადეს უხვი საგზალი, რომელმაც რამდენიმე ქათამი და ინდაური იმსხვერპლა. ჩააწყვეს სანოვაგე ფერად ხურჯინში, ჩაალაგეს ბარგი მაფრაშაში და ურმით აუჩქარებლად გავემგზავრეთ ფოსტის მახლობელი სადგურისაკენ. იმ დროს კახეთის რკინიგზა ჯერ არ იყო გაყვანილი. არსებობდა მხოლოდ ფოსტის გზატკეცილი და თბილისამდე ფურგონით მგზავრობა სამი დღე გრძელდებოდა. უფრო სწრაფად — ერთ დღეში ჩადიოდა ეგრეთ წოდებული „ტროიკა", „ტროიკით" მოგზაურობდნენ მხოლოდ შეძლებულები. ეს იყო პატარა ურესორო ეტლი. ცხენებს, ზოგჯერ კი ეტლსაც ცვლიდნენ სადგურებზე, ყოველ 20-25 ვერსზე. დასვენებულმა ცხენებმა სწრაფად გაგვაქანეს. ჩემი მშობლები იდგნენ გორაკზე და დაღვრემილები გვიცქეროდნენ, ვიდრე ეტლი არ მიიმალა. მე თავს ვიკავებდი, რომ არ ავტირებულიყავი, ბევრს ვლაპარაკობდი და ბიძას აუარებელ შეკითხვებს ვაძლევდი. ისიც ალერსით მიპასუხებდა. რადგან კარგად ესმოდა ჩემი სულიერი მდგომარეობა.

მოგზაურობამ ჩემთვის მხიარულად ჩაიარა. ხანდახან მეეტლესთან ვიჯექი და გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს, ცხენების სირბილს. დიდ სიხარულს ვგრძნობდი, როდესაც დროებით მანდობდნენ სადავეს.

მეეტლეები უმოწყალოდ ერეკებოდნენ ცხენებს. ამ სისწრაფის მიზეზი იყო კახური ღვინო, რომელსაც უხვად ვთავაზობდით ყველას და ის 25-30 კაპიკი, რასაც იღებდა ჩვენგან მეეტლე. ეს იყო ეგრედ წოდებული „чаевые". არსებობდა მხოლოდ ასეთი ტერმინი, თორემ კახეთში ჩაის არავინ სვამდა. ჩაის მაგივრობას ღვინო სწევდა.

ჩემთვის ეს პირველი მოგზაურობა იყო და ისიც ასე შორს! მეზობელი სოფლების მეტი ჯერ არაფერი არ მენახა. ინტერესით ვათვალიერებდი კახეთის ფართო ველებს. დიდი და მრავალფეროვანი მომეჩვენა სამშობლო! განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იორმა. ეს პირველი მდინარე იყო, რომელიც მე ვნახე. უწყლო ქიზიყის შვილი ამდენმა სწრაფად და ხმაურით მომდინარე წყალმა აღტაცებაში მომიყვანა. უნებლიეთ, ცოტა მომშურნე გრძნობით ჩავილაპარაკე: „ბედნიერებს, რამდენი წყალი ჰქონიათ". მეზობელ სადგურზე მდინარის თევზიც ვიგემე. თევზს შიშით ვჭამდი. მეშინოდა. ძვალი არ ჩამეჭყლიტებია! ქიზიყში ფართოდ გავრცელებული იყო მხოლოდ დოში და ზურგიელი, ახალ თევზს კი იშვიათად ჭამდნენ. ახლა იგი უგემურად მეჩვენა, დოში უკეთესია-მეთქი განვუცხადე ბიძაჩემს.

ხანგრძლივ მგზავრობას შეჩვეული არ ვიყავი და ახალმა შთაბეჭდილებებმა მალე დამღალეს. შეუმჩნევლად დამიდია თავი ბიძაჩემის მუხლებზე და ჩამძინებია. გამეღვიძა, როცა უკვე თბილისში შევდიოდით და ეტლმა ხმაურობა დაიწყო ცუდად მოკირწყლულ ქუჩებზე. ჩვენ სწრაფად გავიარეთ „ტროიკით" 100 ვერსი და საღამოს რიყის თავში, ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდით.

მე მაშინვე მინდოდა ქალაქის დათვალიერება, ბიძამ უარი არ მითხრა, მაგრამ მირჩია, ცოტა დამესვენა და მერე ერთად გაგვესეირნა. მეც ასე მოვიქეცი, წამოვწექი ლოგინზე და მალე დამეძინა. გამომეღვიძა მხოლოდ მეორე დღეს, როცა მზე უკვე მაღლა იდგა. ბიძას გაეხადა ჩემთვის ტანისამოსი და ამიტომ მოსვენებით მეძინა. მეწყინა, მაგრამ საყვედური ვერ ვაკადრე ბიძას, მხოლოდ გავიბუტე და დაღვრემილობით ვაცხადებდი ჩემ უკმაყოფილებას. ბიძაჩემი ალერსით მამშვიდებდა: „ნუ ჯავრობ, ეს თბილისი მალე მოგწყინდებაო". ხშირად მაგონდება მისი სიტყვები სემინარიაში, როცა სასტიკი რეჟიმით გამწარებული თბილისიდან გაქცევას ვლამობდი.

იგრიალა შუადღის ზარბაზანმა და ბიძამ იიღო საათი გასასწორებლად. ჩავიცვით ტანისამოსი და გავედით ქუჩაზე. იქ ყოველგვარო უკმაყოფილება სწრაფად დამავიწყდა. გაოცებით ვუყურებდი ქუჩებში ხალხის მიმოსვლას, სავსე მაღაზიებს და კინტოებს. მაოცებდა, როგორ ატარებდნენ კინტოები იმხელა თაბახს ხილით და ასე მხიარულად გაიძახოდნენ „გრუში, იაბლოკი, ვინოგრადი". „რა ღონიერი ბიჭები ყოფილან". ვფიქრობდი მე ცოტა მოშურნე გრძნობით, კინტოებს წელზე ერტყათ ვერცხლით მოჭედილი ქამრები. „მაგათი სიმდიდრე ეგ არის", მითხრა ბიძამ. ბიძას ვთხოვე, სწორედ ასეთი კინტოსაგან ეყიდა ჩემთვის ყურძენი. ყველაფერი მაოცებდა და მაჰარებდა. ბიძაჩემის კალთას მაგრა ვებღაუჭებოდი. მეშინოდა არ ჩამოვრჩენილიყავი და არ დავკარგულიყავი. წამდაუწუმ ვეჯახებოდი გამვლელებს, მაგრამ ამას არ ვაქცევდი ყურადღებას და არც თუ დიდ დანაშაულად მიმაჩნდა იგი.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ვორონცოვის ძეგლმა, რომელიც მტკვრის პირას მოედანზე იყო აღმართული. ძეგლის გარშემო ეწყო ზარბაზნები და ყველაფერი ეს შემოღობილი იყო ჯაჭვით. გაოცებული ვსინჯავდი ძეგლს და ცნობისმოყვარეობით ვეკითხებოდი ბიძაჩემს — ვინ არის ეს კაცი და რისთვის

დაუდგეს ასეთი ძეგლი. ბიძა მშვიდობიანად მიხსნიდა ყველაფერს. ერთი დამამახსოვრდა მისი ნათქვამიდან — ვორონცოვი დიდი მფლანგველი კაცი იყო და ქართველებიც ქეიფს შეაჩვიაო. ბიძას კილოზე ეტყობოდა, რომ ვორონცოვის მოღვაწეობა არ მოსწონდა, მე კი არც ქეიფში და არც ფულის ფლანგვაში ცუდს ვერაფერს ვხედავდი. განა შეიძლება, რომ თავადებმა არ ფლანგონ ფული და არ იქეიფონ? ეს ხომ თავადაზნაურობის ჩვეულებრივი თვისება იყო. ყოველ შემთხვევაში, ქიზიყში ჩამოსვლისას ისინი ქეიფის მეტს არაფერს არ აკეთებდნენ. მაინც ქეიფისა და ფულის ფლანგვისათვის ძეგლის აგება ზედმეტად მივიჩნიე. მე მაშინ არ მივაქციე ყურადღება ბიძაჩემის სიტყვებს და მხოლოდ შემდეგში მივხვდი მათ მნიშვნელობას და სიმართლეს. მართლაც, ვორონცოვის სამსახურის დროს საქართველოში ქეიფისა და მფლანგველობის ხანა იყო, თავადაზნაურები ერთმანეთის წახედულობით აწყობდნენ ქეიფებს და ვალებში ვარდებოდნენ. სწრაფი ტემპით მიდიოდა მათი გატაცება. ამას მოითხოვდა „მაღალი პოლიტიკა".

ძეგლის შთაბეჭდილება მალე დაფარა მაღაზიების ვიტრინების სურათმა. ასეთი სიუხვე მხოლოდ როველში მენახა. ბიძაჩემმა ბევრი ხილი მიყიდა და დატვირთული სიხარულით დავბრუნდი შინ.

თბილისში ბიძაჩემს ჰყავდა მეგობარი, ძველი წარჩინებული ჩინოვნიკი ალექსანდრე როგოვსკი, რომლის დედა იყო ჩვენი ნათესავი — ბოსტაშვილის ქალი. ბიძაჩემი როგოვსკის დიდ პატივს სცემდა, რადგან მოხუცს მიეღო მონაწილეობა მის აღზრდში და განათლებაში — პატარა დავითი მას სოფლიდან წამოუყვანია და მიუბარებია სახელმწიფო ხარჯზე სასულიერო სასწავლებელში. აი ასე, შემთხვევით, ქიზიყელ კაცს ჩაუდგამს ფეხი თბილისში და დასწაფებია სწავლა-განათლებას. სასულიერო სასწავლებლიდან დავითი გადასულა სემინარიაში და კარგი სწავლით გაუკვლევია გზა, სემინარიის დამთავრების შემდეგ მას უმსახურია, შეუგროვებია ცოტა ფული და გამგზავრებულა კიევის სასულიერო აკადემიაში. ამიტომ ბიძა სავალდებულოდ თვლიდა თბილისში ჩამოსვლისას მოენახულებინა მოხუცი როგოვსკები.

როგოვსკები ცხოვრობდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის თავში. იქ მათ ჰქონდათ სამი პატარა სახლი. სახლებთან გაშენებული იყო პატარა ბაღი.

როგოვსკების ოჯახში ჩემი ასაკის ყმაწვილები აღმოჩნდნენ — ვაჟი, ვასო და ქალიშვილები — ანა, ნინო და ტასო. ვასოს მალე დავუმეგობრდი და ის გახდა ჩემი წინამძღოლი თბილისის გაცნობაში. სიამოვნებით დავრბოდით ბაღში, ვიმალებოდით გრილ გვირაბში, რომელიც იქვე კლდეში იყო. ეს გვირაბი სადღაც ღრმად მიდიოდა და იქიდან გამუდმებით მოჩანჩხარებდა ცივი წყალი. ამბობდნენ, რომ გვირაბის ბოლო არავის არ უნახავსო, რომ იგი მთავარ მოედნამდე მიდისო. იგი ყოფილა თავშესაფარი მტრის შემოსევების დროს. ჩვენ გვეშინოდა, შევალთ შორს და დავიკარგებითო.

ვასოს ძალიან უყვარდა ცურაობა და მეორე დღესვე მტკვრის პირზე წამიყვანა. მეუცხოვებოდა მდინარეში ბანაობა. მაგრამ ჩემი ამხანაგი ისეთი ხალისით მირბოდა წყლისაკენ, რომ მეც ამიყოლია. ვასომ სწრაფად გაიხადა ტანისამოსი და გადაეშვა მღვრიე ტალღებში. მერიდებოდა ხალხში ტანისამოსის გახდა, მეშინოდა მიმდინარე წყალში ჩასვლა, მაგრამ რას ვიზამდი, შიშს ხომ არ შევიმჩნევდი გავბედე და შევედი მდინარეში. ნაპირთან, ტივებს შორის დავიწყე ჰყუმპალაობა. თურმე ამ მშვიდობიან კუთხეში მელოდა ხიფათი. გამოუცდელობით მივყევი წყლის ტალღას და მორების ქვეშ მოვექეცი. სული მეხუთებოდა, ხელებს ვიქნევდი. მაგრამ ფეხზე ვერ ვდგებოდი, მინდოდა დაყვირება, მაგრამ პირი წყლით ამევსო. ცუდად იქნებოდა საქმე, ვასოს რომ არ შეემჩნია ჩემი უმწეო მდგომარეობა. დამეპიდა ფეხებში და გამომათრია მორებიდან. ორივე შიშმა აგვიტანა. ვიდექი და უსიტყვოდ შევცქეროდით ერთმანეთს. წაგვიხდა გუნება. სწრაფად ჩავიცვით და მოვშორდით მდინარეს. ეს ამბავი შინაურებისათვის არ გაგვიმხელია, რადგან ვასოს სასტიკად ჰქონდა აკრძალული მტკვარში ბანაობა. ყველაფერი ჩვენს საიდუმლოებად დარჩა.

ეს შემთხვევა ღრმად დამრჩა გონებაში და მრავალი წლის განმავლობაში არ მიბანავია მდინარეში, თუმცა სენაკში ყოფნის დროს ხშირად მივდევდი ამხანაგებს მდინარე ტეხურის და ცივის ნაპირებზე.

მართალია, მტკვრის წყალი ვიგემე, მაგრამ იმ დროს ყველა მტკვრის წყალს სვამდა. მეთულუხჩეებს დაჰქონდათ წყალი ცხენებზე გადაკიდებული ორი რუმბით და კარდაკარ ყიდდნენ მას.

ვასომ გამაცნო თბილისის ქუჩები. იგი ამაყად მიხსნიდა ყველაფერს, როგორც ქალაქელი ბიჭი პროვინციელ ყმაწვილს. სადილის შემდეგ დავეშვებოდით ხოლმე გოლოვინის პროსპექტისაკენ (ამჟამად რუსთაველის გამზირი). გზაზე აუცილებლად გავსრიალდებოდით ჭავჭავაძის ქუჩის № 3 სახლის წინ რკინის მოაჯირზე. დღეს ეს ჩემი საკუთარი სახლია. ხშირად მაგონებს იგი ახალგაზრდობას.

როგოვსკებთან სიამოვნებით დავდიოდი, მაგრამ მეზარებოდა სადილად დარჩენა, გუნებას მიფუჭებდა დანა-ჩანგლის და ხელსახოცის

სავალდებულო ხმარება და ცდა, როდის მოიტანენ მეორე და მესამე კერძს.

განვლო სამმა დღემ. თბილისს იმდენად შევეჩვიე, რომ წასვლაც კი აღარ მინდოდა. ამიტომ, როცა ბიძამ გამომიცხადა, ხვალ ოზურგეთში მივდივართო, ეს ამბავი უკვე აღარ მესიამოვნა. ბიძამ შემატყო წყენა და დასამშვიდებლად სამი მანეთი მაჩუქა — რაც გინდა, ის იყიდეო. მე ვიყიდე და სიამაყით მოვიტანე ორლულიანი დამბაჩა და დამშვიდებულმა განვაცხადე; „გზაში გამოგვადგება, ეგებ ყაჩაღები დაგვესხან თავს და ამით მოვიგერიებთ!"

რკინიგზა ჯერ არ მენახა. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვაგზლის ფართო დარბაზებმა განსაკუთრებით მატარებელმა, მაგრამ ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლება უცხენოდ მოგზაურობა. ბიძამ გამატარა მატარებელთან და ამიხსნა ყველა ვაგონის დანიშნულება. ძალიან დამაინტერესა ორთქმავალმა. როდესაც ვათვალიერებდი, მან მძლავრად დაუსტვინა, რამაც უნებლიედ შემახტუნა. ამ კივილის მექანიზმის ახსნასაც დასჭირდა დრო.

მატარებელში მთელი დღე ფანჯარასთან გავატარე. გაფაციცებით ვათვალიერებდი ქართლის გაშლილ ველებს. მეხსიერებაში ჩამრჩა კიდევ ზოგი წვრილმანი. მცხეთაში ვჭამეთ გემრიელი ლავაშები, რისი მომზადებაც ამ სადგურის სიამაყედ ითვლებოდა. გორში ვიყიდეთ ბლომად ატამი. მერე კი ყველა სადგურზე ბიჭები გაჰკიოდნენ სხვადასხვა ხილის ქებას. ისინი ყველაფერს შაურად ყიდდნენ. ჩემი შაურები ფიცხელ ვაქციე ყურძნად და ლელვად. ვყიდულობდი ყველაფერს, რასაც შემომთავაზებდნენ. მომწონდა თვით ყიდვის პროცესი, რომელსაც დამოუკიდებლად ვაწარმოებდი. მომწონდა ყველაფრის სიუხვე. საბოლოოდ დავასკვენი: „კარგი ქვეყანა ყოფილა, უხვი და ნაყოფიერი", თუმცა მაკვირვებდა ბალღების ღარიბი ჩაცმულობა. შორს ვიყავი სინამდვილისაგან!

გამიტაცა სურამის უღელტეხილმა. იმ დროს გვირაბი ჯერ არ იყო გაყვანილი, მატარებელი ნაწილ-ნაწილ გადაჰყავდათ, რასაც კარგი დრო უნდოდა. საღამოს ჩავედით ნატანებში. აქ თავდებოდა რკინიგზა. ოზურგეთამდე ეტლით უნდა გვემოგზაურა. უბადრუკ შთაბეჭდილებას ახდენდა იმდროინდელი დანჯღრეული ეტლები და გამხდარი ცხენები, მაგრამ ჩვენ მაინც მშვიდობით მივაღწიეთ ოზურგეთს და სასულიერო სასწავლებლის ეზოში დავსახლდით. იქ მოემზადებინათ ჩვენთვის ბინა.

სწავლა ჯერ არ დაწყებულიყო, წარმოებდა შენობის რემონტი. სასწავლებელი გორაკზე იყო აშენებული და დიდი ხილის ბაღი ეკრა გვერდით. მალე დავუმეგობრდი მოხუც მებაღეს დ მის ძაღლს. მთელი დღე დავრბოდი ხილით დატვირთულ ხეებს შორის, განსაკუთრებით ბევრი იყო მსხვილი და გემრიელი ტყემლი, რომლის მოკრეფას არავინ არ მიშლიდა ხილით სავსე ჯიბეებით ვბრუნდებოდი სახლში.

ერთი კვირის შემდეგ დაიწყო სწავლა. მიყიდეს სახელმძღვანელოები, ჩანთა და დაფა. ყველაფერი. ეს ჩემს საწოლთან იყო ჩამოკიდებული. მოუთმენლად ველოდი, როდის შევძლებდი ამ წიგნების შესწავლას. ჯერ კი მარტო სურათებს ვსინჯავდი და ჩემებურად ვხსნიდი მათ შინაარს.

სასულიერო სასწავლებელში უმთავრესად სოფლის ღარიბი მღვდელ-დიაკვნების შვილები სწავლობდნენ. უმრავლესობა სრულიად მოუმზადებელი იყო. ამიტომ სასწავლებელს ორი მოსამზადებელი განყოფილება ჰქონდა და ხუთი კლასი. ცოდნის მიხედვით აქ ანაწილებდნენ ახლადმოსულებს. მე, როგორც ანბანის არამცოდნე, მოვყევი პირველ მოსამზადებელ კლასში. საიმაყით მაგონდება, რა ხალისით და ბეჯითად დავიწყე სწავლა. ძლიერ ვუფრთხილდებოდი ჩემს წიგნებს და ჩანთას, რაც მიმაჩნდა უპირველეს განძად. ერთხელ სასწავლებლის შენობაში გაჩნდა ხანძარი. ყველა გარეთ გამოვარდა. მე ოთახში დამრჩა ჩანთა წიგნებით. სწრაფად შევირბინე უკვე ბოლით გავსებულ ოთახში და გამოვიტანე ჩემი ჩანთა. ბევრი საყვედური შემხვდა ამ მოუფიქრებელი საქციელისათვის, მაგრამ მე მაინც სწორედ მიმაჩნდა ჩემი მოქმედება.

პირველ დღეებიდანვე ოზურგეთში შევიძინე ორი მეგობარი, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ჩემი ცხოვრების იმ ხანაზე: მასწავლებელი თედო ზვერევი იყო ერთი ახმახი და აბურძგნული კაცი; სამწუხაროდ იგი ხშირად ითვრებოდა და უყვარდა საშინელი სტვენა. „მე სოლოვეი რაზბოინიკი ვარო", ამბობდა ამ დროს. მას მუდამ თან დასდევდა პატარა ფინია. მახსოვს, რა ძლიერ გლოვობდა, როცა ვიღაცამ მოუკლა ის ძაღლი. თედო ზვერევი საუცხოოდ პატიოსანი, გულკეთილი, მოსიყვარულე კაცი და გამოცდილი მასწავლებელი იყო. ჩვენ მალე დავმეგობრდით და გაჰირვებით ვსაუბრობდით. ორივე ძალიან დაინტერესებული ვიყავით, რომ გაგვეგო ერთმანეთისა. ის ბეჯითად მასწავლიდა რუსულ ენას და მეც დიდი გულმოდგინეობით ვითვისებდი ყველაფერს. რუსული ენის შეთვისება სწრაფად მიდიოდა წინ, როცა ზვერევი ფხიზლად იყო, ჩვენ თითქმის მთელი დღე ერთად ვიყავით და პრაქტიკულად გავდიოდით რუსულს. განსაკუთრებულ ყურადღებას ჩემი მასწავლებელი აქცევდა სწორ გამოთქმას. მალე ჩვენ შეგვეძლო რუსულ ენაზე მეგობრული საუბარი. ზვერევმავე მიმაჩვია რუსულ წიგნების კითხვას და მო-

ხდა ერთი ახირებულობა — სიყრმეში რუსულ ლიტერატურას უფრო ადრე გავეცანი, ვიდრე ქართულს. შემდეგში თედო ზვერევს მე შევხვდი თბილისში, როდესაც ექიმი ვიყავი. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. იგი მძიმედ იყო დაავადებული, მოტეხილიყო მისი ორგანიზმი და ჩემმა ხელოვნებამ ბევრი ვერაფერი არგო მას. კეთილი იყო მისი ხსენება. ზვერევის სახსოვრად დამრჩა რუსულის სწორი გამოთქმა და წიგნის კითხვის სიყვარული.

ქართული წერა-კითხვა მასწავლა ახალგაზრდა მასწავლებელმა ქალმა მარიამ დემურიამ. დედობრივი ალერსით მეპყრობოდა ის, ცდილობდა, რომ მალე გავცნობოდი მშობლიურ ლიტერატურას და კულტურული ჩვევებიც შემეძინა. მართლაც ბევრი რამ მივიღე მისგან, თუმცა პირველ ხანებში არ ვიყავი კმაყოფილი. მალე შევეჩვიე მას დ წრფელი გულით შემიყვარდა ეს საოცარი კეთილი და მოსიყვარულე ადამიანი. მე ისე მიყვარდა იგი. რომ ცხარედ ავტირდი გამოთხოვების დროს, როცა ვტოვებდი ოზურგეთს. დიდი მნიშვნელობა ქონდა ჩემთვის მარიამ დემურიას გაკვეთილებს და განსაკუთრებით მუსაიფს. მან გამიცნო ქართული ლიტერატურის საუნჯე: ბევრი რამ შევითვისე, საუკეთესო ლექსები და მთელი პოემები გავიზეპირე. ასე კეთილმა მეგობარმა სალი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩემს განვითარებას. მისმა მზრუნველობამ და ყურადღებამ ულაოდ დიდი სარგებლობა მომიტანა ცხოვრების იმ გარდამავალ ხანაში, როდესაც ბალღი უყურადღებობით ადვილად ითვისებს ცუდ ჩვევებს. შემდეგში შევხვდი მარიამ დემურიას, როდესაც მას უკვე ცნობილი საზოგადო მოღვაწის სახელი ქონდა მოხვეჭილი. სიამოვნებით მოვიგონეთ შორეული წარსული. ვიყავი ოზურგეთში და დავიარე ნაცნობი ადგილები. სკოლა იქვე იყო მხოლოდ სხვა სახელწოდებით. შენობა დაძველებული, ბაღი განადგურებული ვნახე.. ტანჯად მომესპო სიყმაწვილის ილუზიები.

იმ დროიდან მახსოვს რამდენიმე მაგალითი გაკვეთილებიდან. ერთი წინადადება მოწაფეებმა შევისწავლეთ ასე: „Листья зиплипутся и ветром замело“ (листья сыплются-ს მაგივრად). უნდა გაგვერჩია და დაგვესწავლა წინადადება: „Вина его была велика перед господом“. მასწავლებელმა იკითხა — ვინ იცის, რა არის „вина“. მე вина — ღვინო მეგონა, ავწიე თითი და ვთქვი: „вино, это что продают в бурдюке“.

ვსწავლობდი ბეჯითად, კარგ პირობებში ვხვდი და მიტომ მალე დავეწიე და კიდეც გავასწარი ჩემს ამხანაგებს.

ცხოვრების ამ დროის შესახებ მკრთალი შთაბეჭდილება დამრჩა. ჩემი მეგობარი იყო აფთიაქის გამგის ხუნდაძის შვილი, მათთან ხშირად დავდიოდი. მიზიდავდა კედლის საათი, რომელიც მოწყობილი იყო ჩიტით. ყოველ საათში იღებოდა პატარა კარი, გამოჩნდებოდა ჩიტი, რომელიც დროს აღნიშნავდა კუკუს ძახილით. მე ვიჯექი, მოთმინებით ველოდ ჩიტის გამოჩენას და მის ძახილს. ბევრსა ვფიქრობდი, თუ როგორ არის მოწყობილი ასეთი საათი. რამდენადაც მახსოვს, ჩემი აზრები დაახლოებული იყო სინამდვილესთან.

ერთი წლის შემდეგ ბიძაჩემი გადაიყვანეს ახალსენაკში სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. დიდი ზეიმით აღნიშნეს მასწავლებლებმა მისი წარჩინება, რადგან იმ დროს ქართველი კაცისათვის რაიმე საპასუხისმგებლო თანამდებობის მიღება ძნელი იყო.

ახალი სკოლა პირველ ხანებში არ მომწონდა და ხშირად მინატრია ოზურგეთში დაბრუნება. მაგრამ აქაც მალე გამომიჩნდნენ ახალი მეგობრები და ჩვენს შორის დამყარდა კეთილი განწყობილება განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ მე მალე ვისწავლე მეგრული. მეგრული ახლაც მესმის, მაგრამ ლაპარაკი უკვე აღარ მეხერხება. გასაკვირიც არაა, განვლო ნახევარ საუკუნეზე მეტმა, რაც სამეგრელოდან წამოვედი.

რას წარმოადგენდნენ ჩვენი მასწავლებლები? უმრავლესობას სემინარია ჰქონდა დამთავრებული. ზოგს სემინარიაში მხოლოდ რამდენიმე წელი ესწავლა, ზოგს კი გაევლო სასულიერო აკადემიის რამოდენიმე კურსი, მაგრამ მათ ბინაზე ვერ შეხვდებოდით წიგნს. ზოგისათვის მთავარი გართობა იყო ნადირობა, შემდეგ ნანადირევის შეწვა და ვახშამი. რასაკვირველია, ნანადირევს ყოველთვის მოჰყვებოდა ღვინო, თუმცა ლოთობა არ იყო ძლიერ გავრცელებული. ხშირად თამაშობდნენ ბანქოს, ჩვეულებრივ კომერციულ თამაშს. ერთ ხანს ძლიერ იყვნენ გატაცებული ვინტით.

სკოლაში მასწავლებლები ხშირად მიმართავდნენ ფიზიკურ დასჯას. ყველას თავისებური მეთოდი ჰქონდა. ზოგს უყვარდა შევირდის წამოყენება თმის აწევით, ზოგს მუჯლუგუნის ჩაცხება თავში. ზოგი არჩევდა მოულოდნელად სილის გალაწუნებას. უფროს კლასებში მოწაფეები უკვე ილრინებოდნენ და არც ისე ადვილი იყო ამ ზომების გატარება. საბედნიეროდ, მე მერიდებოდნენ და ბიძის ხათრით არ ხმარობდნენ ჩემს მიმართ ამ ზომებს.

სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ. ოთახში იმდენი საწოლი იდგა, რამდენიც კი ეტეოდა. ზოგ მოწაფეს საწოლიც კი არ ჰქონდა და ღამე იატაკზე იწყობდა ლოგინს. მოწაფეთა უმრავლესობას ზამთარ-ზაფხულ ტანზე ეცვა მხოლოდ შარვალ-ხალათი, ფეხებზე კი ჩუსტები. პალტო

იშვიათი მოვლენა იყო, კალოშები თითქმის არავის არ ჰქონდა. ცუდ დარში. მოწაფეები მოდიოდნენ სკოლაში სიცივისაგან გალურჯებულები. ფეხების და ტანისამოსისის გასაშრობად სკოლის სამზარეულოში ასეთ დღეებში ანთებდნენ ცეცხლს. მოწაფეებს ცუდად აჭმევდნენ. პური იშვიათი სანოვაგე იყო. ძირითად საკვებს შეადგენდა ღომი და მჭადი, ისიც ხშირად ცივი. ღომს ზოგჯერ შეატანდნენ მშობლების მიერ ჩამოტანილ სულგუნს და შაურიან ტარანას საწებლით. საწებელი ისე იყო შეზავებული წიწაკით, რომ შეუჩვეველი კაცი მას ვერ აიტანდა. ხმელი ტარანი საწებლით დიდებულ საჭმელად ითვლებოდა. მოწაფეთა მადის მიხედვით იგი მართლაც დიდებული რამ იყო. მადას ხელოვნური გაღიზიანება სულაც არა სჭირდებოდა. ხორცი ფრიად იშვიათი საჭმელი იყო. იმართებოდა ზეიმი. როდესაც რომელიმე მოწაფეს მშობლები ჩამოუტანდნენ გოჭს ან ქათამს. ძნელი ყოფილა დიდხანს უხორცოდ ცხოვრება, გასაგებია, რა მოუთმენლად ელოდნენ მოწაფეები არდადეგებს, როცა შორდებოდნენ ამ ქრონიკულად ნაკლულ კვებას.

უნდა აღვნიშნოთ ერთი კარგი თვისება მეგრელი ახალგაზრდობისა: საჭმელზე ცოტას ლაპარაკობდნენ და ჭამის დროს დიდ თავშეკავებას იჩენდნენ. ეს თავშეკავება საქებ და მტკიცე ტრადიციად იყო გადაქცეული. მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა სიხარბის და გაუმაძღრობის გამოჩენისა.

მოწაფეების ზნეობრივ აღზრდაზე არავინ არ ფიქრობდა. ზედამხედველები მხოლოდ იმისათვის დაეძებდნენ რაიმე დანაშაულს, რომ დამნაშავე დროზე დაესაჯათ. ასეთი „პედაგოგიური“ მიდგომა ბადებდა უნდობლობას და ზოგჯერ მტრობასაც. მასწავლებლები და მოწაფეები ცალკე ბანაკებში იყვნენ. მათ შორის არავითარი ზნეობრივი კავშირი არ არსებობდა. ზედამხედველები დადიოდნენ ბინებში და იქაც ადევნებდნენ თვალყურს მოწაფეთა ცხოვრებას. საკმარისია მოწაფეებს გაემართათ ლხინი მშობლების მიერ გამოგზავნილი იზაბელას ღვინით, რომ შუა ქეიფში თავზე ზედამხედველი წამოადგებოდათ. ღვინის სმა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა და ყოველი ბოთლის აღმოჩენას სასტიკი სასჯელი მოსდევდა. მოწაფეები კარგად უთვალთვალებდნენ ზედამხედველებს, პოულობდნენ დროს, როცა ისინიც ბახუსს ემსახურებოდნენ, და ამ დროს დამშვიდებით ეძლეოდნენ მხიარულებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოთობა მოწაფეებში არ ყოფილა გავრცელებული.

არასწორი აღზრდის გამო მოწაფეებს ბევრი უარყოფითი ჩვევა ჰქონდათ. მუდმივი ლაპარაკის საგანი იყო აბრაგები და მათი „საქმენი საგმირონი“. გამოჩენილი ყაჩაღები გმირებად იყვნენ აღიარებული. მათი საქციელი, ზოგჯერ შეთხზულიც იყო ჩვენი ოცნების საგანი. ამას მოსდევდა ის, რომ ბალღებში ტრიალებდა სურვილი „აბრაგად გავარდნისა“, ორმა მოწაფემ კიდეც სცადა გავარდნილიყო აბრაგად. რამდენიმე დღით გაიპარნენ სკოლიდან. მალე მშობლებმა დიდი თხოვნითა და ბოდიშით უკანვე მოიყვანეს ისინი. დაბრუნებულებს ეცვათ უძირო ჩუსტები, მაგრამ ქონდათ წაკრული თავზე ყაბალახები და წელზე შემოეჭირათ ხამი ტყავის ვიწრო ქამრები. ბიძაჩემმა დაარღვია ფორმალური წესები და, მიუხედავად ზოგიერთი ზედამხედველის წინააღმდეგობისა, უკანვე მიიღო სკოლაში გაქცეული მოწაფეები. საქმე გათავდა მხოლოდ სასტიკი გაკიცხვით. შემდეგში ორივე „აბრაგად გავარდნილმა“ ამხანაგმა განაგრძო სწავლა და ჩემთან ერთად სემინარიაში მოხვდა.

ბევრი იყო მოწაფეთა საქციელში ბალღურიც. იყო შემთხვევა, როცა მოწაფეებს მოსწყინდათ ერთიანების და ნოლების მიღება, მათ ღამით მოიპარეს ყველა ჟურნალები და მეზობელ მთის მწვერვალზე დასწვეს. „ერთიანები შევწირეთ მაღლა მთაზე ღმერთს, როგორც აბრამს უნდოდა შვილის შეწირვა“. მასწავლებლები წინდახედულნი აღმოჩნდნენ, თურმე ყველას უბის წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი ნიშნები. მათ ადვილად აღადგინეს ძველანი და ახალი ცუდი ნიშანი დაუმატეს ყოფაქცევაში. ეს ამბავი მაინც დარჩა სკოლის ისტორიაში. „როგორც საგმირო საქციელი“.

ჩვენ სასწავლებელს ჰქონდა პატარა ბიბლიოთეკა. იქ ბევრი საინტერესო წიგნი აღმოჩნდა, უმთავრესად მოგზაურობისა და თავგადასავლის შესახებ. მე ხარბად დავეწაფე ამ ახალ წყაროს, ბიბლიოთეკას გამგემ, რომელსაც ხშირად ვაწუხებდი, ჩამაბარა გასაღები და მითხრა — ისარგებლე, რითაც გინდა, მხოლოდ ყველაფერი წესრიგში მოიყვანეო. მეც ავასრულე მისი სურვილი. შევადგინე კატალოგი და დავალაგე წიგნები, ოღონდ ჩემებრ წესზე — სიდიდის მიხედვით. ცალკე ყდიანი და ცალკე უყდო. მომეწონა ეს წესი, წიგნები ლამაზად გამოიყურებოდნენ. ცალკე გამოვყავი ჩემი საყვარელი მწერლები — გუსტავ ემარი, მაინ რიდი და პუშკინი. ბევრი მიოცნებია: პრერიებში ნადირობაზე და წითელკანიანებთან ბრძოლაზე. ბიბილოთეკაში საბავშვო წიგნებზე უფრო მეტი ისეთი ლიტერატურა იყო, რომელიც ჩემთვის ნაადრევი იყო. მე კი ჯიუტად ვკითხულობდი ყველაფერს. ხელმძღვანელობას არავინ მიწევდა. ბიძაჩემს არ ეცალა, რადგან ზედმეტად იყო დატვირთული სკოლის საქმეებით, ბიბილოთეკის გამგეს სრულებით არ აინტერესებდა, თუ რახა ვკითხულობდი. ბიძამ ბოლოს მიაქცია ყურადღება ამ გატაცებას და კალაპოტში ჩამაყენა. მომთხოვა, რომ პირველ რიგში მომემზადებინა გაკვეთილები. ათ საათზე

კი უსათუოდ დამეძინა. მართალია, არ მომეწონა ეს რჩევა, მაგრამ დავემორჩილე და შევანელე ჩემი გატაცება. ერთი უდავო სარგებლობა მივიღე წიგნების კითხვით — შევეჩვიე რუსულ ენას და სემინარიაში რუსულ ენის და ნაწილობრივ რუსული ლიტერატურის მცოდნე მივედი. მაშინ ჩემ განათლებას ერთი თავისებურება ჰქონდა — რუსულად კარგად ვლაპარაკობდი, მაგრამ სუსტად ვიცოდი წერა, რადგან ამ მხარეს არავინ არ აქცევდა ყურადღებას.

ჩემი ამხანაგების დიდი უმრავლესობა უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო. ისინი თითქმის არაფერს არ კითხულობდნენ, რადგან რუსული ენა არ იცოდნენ, ქართულ ლიტერატურას კი ჩვენ ბიბლიოთეკაში ძლიერ მცირე ადგილი ეკავა.

სკოლაში მოსმენილს და წიგნში წაკითხულს ყველაფერს დიდი სიამოვნებით ვითვისებდი და ვცდილობდი დამეკავშირებინა ჩემი ცხოვრების პატარა გამოცდილებასთან.

ახალსენაკში ცხოვრების დროს ხშირად დავდიოდი სანადიროდ ერთ ახალგაზრდა მასწავლებელთან ერთად, რომელსაც კარგად დავუმეგობრდი. მთავარი „ხადირი" იყო შოშიები რომელიც მრავლად იყვნენ მეზობელ მთებში, იშვიათად კურდღელიც გვხვდებოდა. ზამთარში ეს სალი მოციონი იყო და ვფიქრობ, ეს იყო მიზეზი, რომ ფრიად იშვიათად ვხდებოდი ავად.

ერთ ხანს გატაცებული ვიყავი მეხსიერების განვითარებით, სადაც წავიკითხე, რომ შეიძლება ისე განვითარდეს მეხსიერება, რომ შესაძლებელი იქნება ლექსის დამახსოვრება ერთხელ მოსმენით, თურმე ერთმა მეფემ ასე იოხუნჯა: პოეტს მისთვის მიძღვნილი ლექსი მოუტანია და წაუკითხავს. მეორე ოთახში მჯდარა ისეთი პირი, რომელსაც ძლიერ განვითარებული მეხსიერება ჰქონდა, მეფემ მადლობა გადაუხადა პოეტს, მაგრამ უთხრა, რომ ასეთი ლექსი მას უკვე გაგონილი აქვს და ლექსის მთქმელი მოაწვევინა, წარმოიდგინეთ პოეტის გაოცება, როცა უცნობმა მთლად და ლაზათიანად წარმოთქვა მისი ლექსი, მერე მას აუხსნეს, თუ რაშია საქმე, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა თავმოყვარე პოეტის დამშვიდება,

მეც ვცდილობდი განმევითარებინა ასეთი მეხსიერება და გავაკეთე რამდენიმე ცდა ამ მიმართულებით, აღმოჩნდა, რომ პუშკინის ლექსი, მოთავსებული ერთ გვერდზე, შეიძლება კაცმა ერთხელ წაიკითხოს და შემდეგ გაიმეოროს; განსაკუთრებით ადვილი გამოდგა „ევგენი ონეგინი"; ქართველ მწერლებში ადვილი დასამახსოვრებელია აკაკი წერეთლის ლექსები, ამ თავისებურმა გატაცებამ მაინც მომიტანა სარგებლობა, კარგად დავიზეპირე რუს და ქართველ მწერალთა ნაწარმოებები.

მეორე ჩემი გატაცება იყო მხედველობის გამახვილება, თურმე შეიძლება თეთრი ქაღალდით დაფარული ტექსტის წაკითხვა, ამისათვის საჭიროა თანდათანობით თვალის გავარჯიშება. ვაფარებდი ტექსტს სხვადასხვა სისქის თეთრ ქაღალდს და ვცდილობდი წამეკითხა იგი. დაიწყო ჩემი ახალი ტანჯვა. ჯიუტად ვიბრძოდი, დავრწმუნდი, რომ მხედველობის განვითარებაც შეიძლება, მაგრამ შორს ვერ წავედი, რადგან არსებობს მხედველობის გარკვეული საზღვარი.

ამ ფოკუსებით გაოცებას ვიწვევდი ამხანაგებში, რომლებიც უვარჯიშოდ ვერ ახერხებდნენ ასეთ რამეს. ბევრი მიმბაძავი გავიჩინე, მაგრამ იყვნენ სკეპტიკოსებიც, რომლებიც უარყოფდნენ ამგვარი მეხსიერების მნიშვნელობას და ამტკიცებდნენ — ასეთი ცნობა უვარგისია, რადგან ქარის მოტანილი ქარსვე მიაქვსო.

ასე გადავდიოდი ერთი გატაცებიდან მეორეზე და ვაღწევდი ხშირად ისეთ რამეს, რაც დიდი ხანია ცნობილი იყო. რამდენი აღმოჩენა მქონდა, რომელიც დიდი ხანია აღმოჩენილი იყო. მე ეს გულს არ მიტეხდა, ცნობილი ყოფილა, ძალიან კარგი! მაშ ის, რასაც მე ვფიქრობდი სწორია. მაშასადამე, მე სწორი გზით მივლია და სწორად მიაზროვნია. პრიორიტეტის საკითხი ჩემთვის არ არსებობდა. ეს კარგი დარბაისლური თვისება მქონდა, გული არ მიცრუვდებოდა ასეთი აღმოჩენით. შემდეგში მე წავიკითხე, რომ ერთი გამომგონებელი ჩამოვიდა თანამედროვე ქალაქში საკუთარი კონსტრუქციის ხის ველოსიპედით, იქ კი მას ავტომობილი დახვდა. ამ ამბავმა მომაგონა ჩემი წარსული.

ზაფხულობით არბოშიკში დავდიოდი. იქიდან თბილისამდე მგზავრობას „ტროიკით" ერთი დღე სჭირდებოდა. ბევრად უფრო ხანგრძლივი იყო ფურგუნით მოგზაურობა, მახსოვს, როგორ ვიმოგზაურეთ ერთხელ ჩვენ ნათესავებთან — ბენაშვილებთან ერთად, რომლებსაც ჩემი ტოლი ბალღები ჰყავდათ. არბოშიკიდან ჯერ ურმით ავედით სოფელ მალაროში. იქ დაგვხვდა მალაკნის ფურგონი, რომლითაც უნდა გაგვეგრძელებინა გზა. ფურგონი დახურული იყო ბრეზენტით და ძლიერ დატვირთული ბარგით. საშინლად ცხელოდა და მტვრის ბული იდგა. მტვერი და სიცხე ძალიან გვაწუხებდა, მითუფრო, რომ არსად არ გვხვდებოდა ჩრდილი და გასაგრილებელი წყარო. ამ გზის ნაკლია ტყეების უქონლობა. განსაკუთრებით უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა სამგორის ველი. მართლაც რომ მოსაწყენია ეს მიდამო, უტყეო და უწყლო, გადამწვარი ბალახით. ყველაფერს გმირულად ვიტანდით — ჩვენ ხომ უკვე სკოლის დიდი მოწაფეები ვიყავით. ფეხით მივდევდით ფურგონს. ხან ჩამოვრჩებოდით და სირბილით ვეწეოდით. ხან კი წინ ვუსწრებდით და გზის პირას ვისვენებდით.

დღეში რამდენჯერმე ჩერდებოდა ფურგონი და ვისვენებდით. მედგარი იერიში მიგვქონდა უხვად წამოღებულ სანოვაგეზე. მოგზაურობაში უხვად ვსვამდით ღვინოს, ვერიდებოდით წყალს, რადგან ურყევად გვწამდა, რომ წყალი „დაგვცლიდა". ღვინოს ბალღებსაც უხვად გვაძლევდნენ. ყველანი, ცოტად თუ ბევრად, შეზარხოშებული ვიყავით და იმედით სავსე გუნებგანწყობით მივდევდით ფურგონს.

მოგზაურობა მიმდინარეობდა ნელი ტემპით და თბილისში მხოლოდ მესამე დღეს ჩავედით. დავდექით ჩუღურეთში, ერთ პატარა სასტუმროში. მახსოვს. ერთი მოზრდილი ოთახი დავიკავეთ, რომელშიაც 60 კაპეიკს ვიხდიდით. ოთახში ერთი საწოლი იდგა. გავშალეთ იატაკზე ფარდაგები, თავქვეშ მუთაქები ამოვიდეთ და ტკბილ ძილს მივეცით თავი.

თბილისი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პირველად ჩამოსულებზე. ერთმა ჩემმა ამხანაგმა დაინახა ბაზარზე დიდი რაოდენობით ჩამოტანილი მზისუმზირა და ასე გვიამბო ეს ამბავი: „კაცო, რა ვნახე! იმდენი მზესუმზირა დაეგროვებიათ, რომ ერთი ურემი გამოვიდოდა. ნეტავი სად მოიყვანეს ამდენი ამ ხრიოკ ქალაქში?" გაოცებით კითხულობდა გულუბრყვილო ყმაწვილი.

ერთხელ ჩვენთან ერთად იმგზავრა ილოდიონ ევდოშვილმა. მოუსვენარი და ოხუნჯი იყო პატარა ილოდიონი. ერთ გულუბრყვილო ბიჭს უფროსებმა დაავალეს პაპიროსის ყიდვა. ის შეეკითხა ილოდიონს — სად ვიშოვოო. ილოდიონი გაუწყრა — ნუთუ ეგ არ იციო? და სამჭედლოზე მიუთითა, თანაც გააფრთხილა — თბილისელები ეშმაკი ხალხია, თუ უარი გითხრან ან გაგცინონ ნუ იწყენ, უფრო კარგად თხოვე და მეტი ფული შეაძლიეო. რაც მოხდა, ადვილი წარმოსადგენია. ამხანაგი მალე დაბრუნდა გაწბილებული. სამჭედლოში ასე მითხრეს — ვა, ეს მუტრუკი საიდან არის ჩამოსული! ილოდიონი დროზე დაიმალა, რადგან მოტყუებული ღონიერი ბიჭი იყო და განრისხებულს ბევრი უსიამოვნების მოყენება შეეძლო.

სამეგრელოში დავყავი შვიდი წელიწადი. იქ გავატარე ჩემი სიყრმის წლები. უნდა გამოვტყდე, რომ უკეთ ვიცი სამეგრელოს ცხოვრება და მეგრელთა ხასიათი ვიდრე ქიზიყისა.

სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა ნაწილმა ბოლოს მიაღწია თბილისის სასულიერო სემინარიას. ჩვენთვის ეს იყო ერთადერთი გზა წინმსვლელებისათვის. სხვა სასწავლებელზე მაგალითად, გიმნაზიაზე ჩვენ არც კი ვლაპარაკობდით. იგი ჩვენთვის მიუწვდომელი იყო მატერიალურად და სწავლების პროგრამაც ძლიერ განსხვავდებოდა ჩვენი მომზადებისაგან. საერთოდ, სასულიერო სასწავლებლები ისე იყო შემოფარგლული, რომ სასულიერო სწავლებისაგან გაქცევა არც ისე ადვილი იყო.

ზოგი ჩვენგანი მაინც ოცნებობდა უნივერსიტეტზე, რომელშიაც შესვლა თეორიულად შესაძლებელი იყო. იმ ხანებში გამოვიდა განკარგულება, რომ სემინარიის მოწაფეები, რომლებიც სწავლას პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრებდნენ, იღებდნენ უფლებას შესულიყვნენ ვარშავის, ტომსკის ან იურიევის უნივერსიტეტში. აი სად გაიხსნა სასულიერო წოდებისაგან განთავისუფლების გზა. ეხლა ძნელი წარმოსადგენია, რა სიხარულით შეხვდა ახალგაზრდობა ამ განკარგულებას. სემინარიაში შესვლა, მისი გათავება პირველი ხარისხით და შემდეგ უნივერსიტეტში გამგზავრება — ეს შორი გზა მაინც არ გვაჩერებდა. გულმოდგინედ ვსწავლობდით, რომ მოვხვედრილიყავით თბილისის სემინარიაში.

ჩვენ ხშირად ვოცნებობდით ქართულ უნივერსიტეტზე. ჩემი თავი ამ უნივერსიტეტის პროფესორად და ქართულად ლექციების მკითხველადაც კი მესახებოდა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი მეც კი მიმაჩნდა უნიადაგო ოცნებად, მაგრამ განა ახალგაზრდობა უდებს საზღვარს თავის ნატვრას? ასეთი ფიქრები გასაგებია; იმ დროს მთელი ჩვენი საზოგადოება ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე. ჯერ კი ვცდილობდი სასწავლებელი დამემთავრებინა, რომ თბილისის სემინარიაში შევსულიყავ.

ცხოვრებამ ნაწილობრივ გაამართლა ჩვენი იმედები და ზოგი ჩვენგანი ასეთი გრძელი და მიხვეული გზით მაინც მოხვდა უნივერსიტეტში. მოწაფეთა დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება სემინარიაში. ბევრს დიაკვნისა და მედავითნეს ადგილი ხვდა წილად.

მე ვიყავი იმ ბედნიერ პირთა რიცხვში, რომელთაც მოახერხეს სწავლის გაგრძელება. ბევრი შრომითა და გულმოდგინე მეცადინეობით დავამთავრე სასულიერო სასწავლებელი და მივლინებული ვიყავი თბილისის სასულიერო სემინარიაში; ეს დიდი პრივილეგია იყო, რადგან მივლინებულს იღებდნენ უგამოცდოდ. დანარჩენები აბარებდნენ სასტიკ გამოცდებს და ამიტომ მთელი ზაფხული მეცადინეობაში უნდა გაეტარებინათ.

ამ ერთადერთ სემინარიაში მოხვედრა არც ისე ადვილი იყო, რადგან იქ ბევრი ახალგაზრდა იყრიდა თავს. რუსეთში წასვლა ბევრს არ შეეძლო უსახსრობისა და რუსული ენის სუსტი ცოდნის გამო.

მთელი ზაფხული მოველოდი სწავლის დაწყებას და აი, 1892 წლის 25 აგვისტოს მივადექით სემინარიის ფართო კარებს. მე მოწიწებით ავყევი ბიძაჩემს კიბეზე.

დავბინავდით სემინარიის მღვდლის დავით ბერძენიშვილის ბინაზე. ბერძენიშვილი ბიძაჩემის სკოლის ამხანაგი იყო. მან სიამოვნებით დამითმო ერთი პატარა ოთახი და თავისთან მომიწყო კვება.

სასულიერო სემინარია მოთავსებული იყო შენობაში, რომელიც იწყებოდა პატარა ბაღთან და გრძელდებოდა ეგრეთ წოდებულ სალდათის ბაზრამდე. ახლა იქ სასტუმრო „პალასია". პირველ სართულზე, რომელიც ნაწილობრივ მიწის დონეზე დაბლაა, იყო საერთო სასადილო, რომელსაც ეჭირა მთელი შენობის სიგრძე. მეორე სართულზე ცხოვრობდა სემინარიის რექტორი. მოძღვარი, ეკონომისტი; აქვე იყო ეკლესია და რამდენიმე საკლასო ოთახი. მესამე სართულზე იყო დანარჩენი საკლასო ოთახები და მეოთხეზე საერთო საცხოვრებელი. საწოლი ოთახები ჩამწკრივებული იყო შენობის მთელ სიგრძეში და დაკავშირებული ერთმანეთთან კარებით. ყველა კარი ამოღეთ და ამიტომ, ვინც შევიდოდა პირველ ოთახში, შეეძლო თვალი გადაევლო ყველა სხვა ოთახისათვის. ამითი ადვილდებოდა ზედამხედველობა. მოითხოვეს, რომ ყველანი მოვთავსებულიყავით საერთო საცხოვრებელში, ისინიც კი, ვისაც თბილისში ნათესავები ჰყავდა. მძიმე, იყო იქ რამდენიმე ასეული ახალგაზრდა კაცის ჩაკეტვა, როგორც ციხეში. მალე მოვხვდი სემინარიის რეჟიმის მუხრუჭებში.

ჩვენი ცხოვრება ერთფეროვნად მიმდინარეობდა. ვიღვიძებდით დილის რვა საათზე. უკეთ რომ ვთქვათ გვაღვიძებდა დარაჯი, რომელიც ზარის რეკვით დაივლიდა ორჯერ ყველა ოთახს. პირველ რეკვაზე ვდგებოდით და ლოგინებს ვალაგებდით. შემდეგ ჩამოივლიდა ზედამხედველი და აღრიცხავდა ურჩებს, რომელნიც დროზე არ დგებოდნენ. მეორე ზარის შემდეგ მივდიოდით სემინარიის ეკლესიაში, სადაც ოლარში გამოწყობილი მღვდელი მოკლე ლოცვას ამბობდა. აქედან ჩავდიოდით სასადილოში ჩაის დასალევად. ზედამხედველიც ჩამოგვდევდა, თვალყურს ადევნებდა წესრიგსა და მყუდროების დაცვას.

ჩაის შემდეგ, ცხრა საათზე იწყებოდა გაკვეთილები, ყოველი გაკვეთილის წინ მორიგე მოწაფე კითხულობდა „მამაო ჩვენოს". გაკვეთილი თავდებოდა ზარის რეკვით. ყოველდღე ხუთი გაკვეთილი გვქონდა. კვირაში სამჯერ ემატებოდა მეექვსე გაკვეთილი. რომელზეც ლათინურ და ბერძნულ ენებს გვასწავლიდნენ.

კარგად გვკვებავდნენ, ჯანსაღად, დღეში სამჯერ. ჩაი უხვად იყო, პური თეთრი, ახლად გამომცხვარი, გემრიელი. სადილი ორი თავისაგან შედგებოდა. გვაძლევდნენ წვნიანს ხორცით, შემწვარ ხორცს. კვირა უქმეებში კი უმატებდნენ რამე ტკბილს ან ხილს. სამზარეულოში ყოველ დღე მორიგეობდნენ თვით მოწაფეები. ისინი იღებდნენ და ამოწმებდნენ სანოვაგეს და თვალყურს ადევნებდნენ საჭმლის რაოდენობასა და ხარისხს. მორიგეს მიერ დაწუნებული სანოვაგე უკანვე ბრუნდებოდა, ვიდრე არ მოიტანდნენ კარგი ხარისხის სურსათს. სასიამოვნო იყო მორიგეობა, რადგან მზარეულები განსაკუთრებით გემრიელ კერძებს უმზადებდნენ მორიგეს; ჩამოირბენდნენ მეგობრებიც საუზმეში მონაწილეობის მისაღებად.

მძიმე იყო მარხვის შენახვა. ვმარხულობდით ყოველ ოთხშაბათს და პარასკევს. განსაკუთრებით მოსაწყენი იყო ე. წ. დიდი მარხვა, რომელიც ორმოცი დღე გრძელდებოდა და ყოველთვის გულმოდგინედ სრულდებოდა. დაუთავებელ ლოცვასთან ერთად სასტიკი მარხვა ძნელი ასატანი იყო. ზოგიერთ მოწაფეს უვითარდებოდა სისხლნაკლებობა და ისინი იძულებული იყვნენ წასულიყვნენ სოფელში.

სემინარიელების პროტესტი თავისებური იყო, ვისაც ცოტაოდენი ფული ჰქონდა, შაბათს მალულად მიდიოდა მახლობელ, ყველა სემინარიელებისათვის ცნობილ სასადილოში კურდღელაშვილთან, სადაც შეიძლებოდა შეუმჩნევლად შეპარვა მეზობელი ქუჩიდან. ფარული, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი კარით. იქ დიდ კასრებს შუა ჩამალულნი მივირთმევდით მწვადს და წითელ ღვინოს, ვსვამდით სადღეგრძელოს ჩვენს საკეთილდღეოდ, სემინარიის და ბერების დასაღუპად, კმაყოფილნი, მაძღარნი და შეზარხოშებულნი ვბრუნდებოდით სემინარიაში. მხოლოდ საჭირო იყო როგორმე ასცდენოდით ზედამხედველის გამოცდილ თვალს. ასეთ მდგომარეობაში, ხუთი საათისათვის მოწაფე უნდა მისულიყო საკლასო ოთახში, სადაც ამზადებდნენ გაკვეთილებს და მხოლოდ თერთმეტ საათზე შეიძლებოდა საწოლ ოთახში შესვლა. შეზარხოშებული, საჭმელით და სასმელით დამძიმებული ზოგი ვერ იტანდა საკლასო ოთახის მძიმე ატმოსფეროს და გარბოდა საპირფარეშოში დასამალად, პაპიროსის მოსაწევად. იქ ზედამხედველები იშვიათად შედიოდნენ, რადგან ერიდებოდათ და მგონი ეშინოდათ კიდეც. ამბობდნენ, რომ იყო უსიამოვნო შეტაკების შემთხვევები, რომლებიც ორივე მხარემ გონივრულად დამალა.

მძიმე გრძნობით ვიგონებ კიდევ ერთ უსიამოვნო მოვლენას. ეს იყო უწმაწური ლაპარაკი და გინება; ზოგი სემინარიელი გინებაში ვირტუოზობას იჩენდა. სამეგრელოში გავიზარდე, იქ გინება ფრიად იშვიათია და მეც ვერ ვიტანდი უწმაწურ ლაპარაკს. ამხანაგებმა შემატყეს ეს „სისუსტე" და ზოგი განგებ ცდილობდა გასაბრაზებლად გაეგონებინა ჩემთვის სწორედ ეს უწმაწურობა. ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება მქონდა. მახსოვს ერთმა სემინარიელმა იქამდე მიმიყვანა, რომ მოვთხოვე შეეწყვიტა ლაპარაკი, მან უფრო უმატა ავლაბარში გაგონილ ფრაზებს. თუმცა გინება მე არ შემეხებოდა, მაგრამ ჩემს გასაღიზიანებლად იყო ნათქვამი. ისე გავფხუკიანდი, რომ სილა ვაჭამე ამხანაგს. სწორედ ამ

მომენტში შემოვიდა მასწავლებელი და დაიწყო გაკვეთილი. მე და ჩემი მეტოქე მრისხანე შეხედვით ვზომავდით ერთმანეთს, მუქარით ვიქნევდით თავს. გათავდა დაუსრულებელი გაკვეთილიც. ამხანაგი გავიდა მასწავლებლის მაგიდასთან და განაცხადა: „აბა რა ვაჟკაცობაა ხილის გაწვნა, როცა მასწავლებელი შემოვიდა, თუ ბიჭი ხარ, გამოდი და დავარტყათ“, ესე იგი კრივში მიწვევდა. მე განვაცხადე, რომ კრივში გასვლა სამარცხვინოდ მიმაჩნია და იგი შეურაცხყოფილია, მოვიდეს და სამაგიერო გადამიხადოს. თუ არ ეყო, კიდევ დავუმატებ-მეთქი. ამხანაგი არ მოვიდა და საქმე ამით დამთავრდა. უნდა გულწრფელად ვაღიარო, მწყინდა, ასეთი რამე რომ ჩავიდინე, მაგრამ რას ვიზამდი — ამგვარ პირობებში ბოდიშს ვერ მოვიხდიდი, ყველა იფიქრებდა, შეეშინდაო.

საინტერესო იყო ამხანაგების რეაქცია. უმრავლესობა მამტყუნებდა და გაიძახოდნენ: „არ მოგწონს, ყურს ნუ უგდებ. ამხანაგის ცემა რა დასაშვებია“. „აბა რას დააშავებს გემრიელი შეგინება“. გულწრფელად მეუბნებოდა ერთი ამხანაგი. მეორე ნაწილი მამართლებდა და ამტკიცებდა, რომ დროა ავლაბრული ჩვევები დავივიწყოთ და უწმაწურად მოლაპარაკენი ავლაგმოთ. ასე მოულოდნელად ცხარე კამათის საგნად გადაიქცა ჩემი საქციელი. მე დავრწმუნდი, რომ „მაგინებელნი“ ზნეობრივად არ დგანან დაბალ საფეხურზე და ყველაფერზე ახდენენ ნორმალურ რეაქციას. კარგი ამხანაგები იყვნენ, მტკიცე და გამტანი.

ნაჩხუბარ ამხანაგს მაინც დიდ ხანს არ ველაპარაკებოდი. შევრიგდით მხოლოდ კურსის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, როდესაც ეს ამხანაგი საქმემ მოიყვანა ჩემთან. სიხარულით და სიყვარულით შევხვდი მას და გარდასული ამბების მოგონებებით ვტკბებოდით. რასაკვირველია, მისი თხოვნის შესრულება ჩემთვის სავალდებულო იყო..

სემინარიიდან გარეთ გვიშვებდნენ მხოლოდ ორი საათით. სამიდან ხუთ საათამდე თავისუფალი ვიყავით. ესე იგი შეგვეძლო წავსულიყავით, სადაც გვინდოდა. სხვა დროს ნათესავების ნახვის ნებართვაც კი ძნელი მისაღები იყო. ზედამხედველი ღამეც კი შემოდიოდა საწოლ ოთახში რამდენიმეჯერ. იგი ათვალიერებდა საწოლებს — ირკვევდა, ყველანი არიან თავის ადგილზე, თუ არა დაზვერვის სისტემა კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ მოწაფეები მაინც ახერხებდნენ ღამე გაპარვას. იპარებოდნენ უმთავრესად თეატრში, განსაკუთრებით ცნობილი მომღერლების გასტროლების დროს. რასაკვირველია, ამისათვის საჭირო იყო ამხანაგების დახმარება და მტკიცე მეგობრობა. წასულის ლოგინში წვებოდა გაბედული მეგობარი. როდესაც ზედამხედველი ჩამოივლიდა და აღმოაჩენდა თავისუფალ ლოგინს, ის იწყებდა ლოგინის პატრონის ძებნას. მალე წაადგებოდა მშვიდად მომავალ მოწაფეს, რომელიც შეკითხვაზე წყნარად უპასუხებდა — საჭიროების ოთახიდან მოვდივარო. არ ყოფილა მაგალითი, რომ ეს ამბავი გამჟღავნებულიყო და ვინმე დაესაჯათ. დასჯა კი, რასაკვირველია, სასტიკი იქნებოდა. თეატრი ეშმაკისეულ დაწესებულებად ითვლებოდა და იქ ყოფნის დროს ზედამხედველის შეხვედრას სემინარიიდან გარიცხვა მოსდევდა, როგორც ეტყობა, ზედამხედველები ისე იყვნენ დარწმუნებული დისციპლინის სიმტკიცეში, რომ ეს აზრი არ მოსდიოდათ თავში.

ზოგჯერ საძინებელ ოთახებს ჩამოივლიდა თვით გერმოგენიც, ის გერმოგენი, რომელმაც შავრაზმელობით გაითქვა სახელი. თუ ვინმე ძილში ბუტბუტებდა, მივიდოდა და მოწიწებით პირჯვარს გადასახავდა. საკვირველია, რომ გერმოგენი ყველაფერს ამას სერიოზულად აკეთებდა, თუმცა გარდა სასულიერო აკადემიისა მგონი ორი ფაკულტეტიც ჰქონდა დამთავრებული რომელიღაც უნივერსიტეტში. საოცარი კაცი იყო ეს გერმოგენი, სრულიად უანგაროდ მთელ ჯამაგირს ღარიბ მოწაფეებს ურიგებდა, ეძინა ფიცრებზე და საბნის მაგივრად ანაფორა ეხურა. მის გულწრფელობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, მაგრამ ასეთი ფსიქიკა ჩვენთვის გაუგებარი იყო.

გერმოგენის აზრებს მხოლოდ ერთი მოწაფე იზიარებდა. მას ჰქონდა პატარა ყუთი, ხატებით მორთული. გახსნიდა ხოლმე ყუთს და მხურვალედ ლოცულობდა. იგი ბაძავდა წმინდანებს, მხოლოდ მწვანილით იკვებებოდა, მოთმინებით იტანდა ამხანაგების დაცინვას და ღვთის გულისათვის მოღვაწეობას იჩემებდა. ლოცვამ და უჭმელობამ დიდი მარხვის ბოლოს ფსიქიკური აშლილობა და მძიმე სისხლნაკლებობა გამოიწვია. ბევრი ცდა დასჭირდა ჩვენ ექიმს, რათა მისი ჯანმრთელობა გაეუმჯობესებინა.

საწოლ ოთახებში მოხდა ერთი, სემინარიის ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ინციდენტი. ჩვენ გვყავდა ზედამხედველი, რომელიც ზედმეტ სისასტიკეს იჩენდა. იგი ტლანქად და მედიდურად ექცეოდა მოწაფეებს. ცოტა ვირული უდრეკელობა ახასიათებდა მას. ამ ზედამხედველს ჩვენ ზედმეტ სახელად ვუწოდეთ „თოქში“. ამ სიტყვას წერდნენ კედლებზე მთელ ქალაქში. სასადილოში წამ და უწუმ მოისმოდა ეს ძახილი. ზედამხედველი სწრაფად მიდიოდა ძახილის ადგილზე, მაგრამ აბა რას იპოვიდა? ყველა გართული იყო ჭამით.

ერთხელ სემინარისტმა სიკო ახმეტელმა სათამაშო საყვირი მოიტანა, რომელიც ნათესავის ბალღისათვის ეყიდა. საწოლ ოთახში ყოფნისას მან ცელქობით ჩაბერა საყვირს. საყვირის ხმა საკმარისად ძლიერი აღმოჩნდა. ისმოდა ყველა ოთახებში. ერთმა ჩვენთაგანმა შემოიტანა წო-

ნადადება — გამოვიყენოთ საყვირი სიგნალად, რომლის შემდეგ ვუყვიროთ ერთად ზედამხედველს მისი ზედმეტი სახელი. და აი ღამე ორასამდე კაცი სულგანაბული მოელის ზედამხედველის ჩამოვლას. მალე ის ჩვეულებისამებრ ფეხის თითებზე შემოიპარა საწოლში. როცა იგი ბოლო ოთახიდან გამობრუნდა წასასვლელად, უცებ დაიყუყუნა საყვირმა, რასაც მოყვა ბერსაკების მძაფრი შეძახილი — „თოქშ!" მახსოვს, რა საშინელი იყო ეს ყვირილი. ამას მოყვა ბალიშების სროლა. საწყალმა ზედამხედველმა აიჩქარა ფეხი და როდესაც მოხვდა რამოდენიმე ბალიში, ელდანაკრავივით მოკურცხლა, ჩვენ მალე ისევ მოვედით გონს. ფიცხლად ავკრიფეთ ბალიშები და კვლავ გავინაბეთ. მოველოდით ინსპექტორის მოსვლას. მართლაც, მალე გამოჩნდა ზედამხდველი გერმოგენთან ერთად. მათ დახვდა მშვიდობიანი სურათი — ყველას „ტკბილად ეძინა". ზოგი ხვრინავდა, ზოგი კი ძილში ბუტბუტებდა. გერმოგენმა ჩამოიარა ოთახები, იგი მხოლოდ ზოგიერთი საეჭვო მოწაფის ლოგინთან შეჩერდა და დააცქერდა მათ. ჩემ საწოლთანაც შეჩერდა, იგი, შემდეგ აუჩქარებლად გავიდა.

ჩვენ ჩავცვივდით საგონებელში. რა მოჰყვება ამ საქციელს? ცხადია ვინმე ისტიკად დაისჯება და უთუოდ ის, ვის ლოგინთანაც შეჩერდა გერმოგენი. ასეც მოხდა, მეორე დღესვე დაიწყო გამოძიება, მაგრამ აბა რას გახდებოდნენ ჩვენთან ბერები? დაიბარეს ათი კაცი, რომელთა შორის არ იყო ინიციატორი, მაგრამ ამაზე ვინ ამოიღებდა ხმას. დაბარებულთა შორის მეც ვიყავი. ბრალად დაგვდეს წესრიგი დაარღვიეთ და ზედამხედველს შეურაცხყოფა მიაყენეთო. საქმე სასწრაფოდ გაირჩა პედაგოგიურ საბჭოში. მაგრამ მასწავლებლები არ დათანხმდნენ სასტიკ ზომებზე. „რომდესაც არ ვიცით, ვინ არის პიროვნულად დამნაშავე აბა ვინ გავრიცხოთო". ამიტომ განაჩენი რბილი იყო: რამდენიმე კაცი ერთი კვირით ჩაგვსვეს კარცერში, სადაც შევყავდით ზედამხედველს გაკვეთილების შემდეგ, მხოლოდ უსადილოდ. საჭმელი ამხანაგებს მოქონდათ და დახე მათ გაუსწორებლობას, ლიმონათის ბოთლით ღვინოც კი შემოაპარეს. უსიამოვნო იყო ის გარემოება, რომ ყოფაქცევაში დაგვიკლეს ნიშანი და მოგვხსნეს სახელმწიფო ხარჯიდან. ერთი სიტყვით დაისაჯნენ უმთავრესად ჩვენი მშობლები. ალსანიშნავია, რომ ინსპექტორმა თავისი დაგეშილი თანამშრომლებით ბოლომდე ვერ გამოარკვია დამნაშავენი და ყველამ მშვიდობით დაამთავრა სემინარიის კურსი. „მედუდუკემ" შემდეგში დაამთავრა ვარშავაში საბეითლო ფაკულტეტი.

ეკლით იყო მოფენილი ჩვენი სწავლის გზა. მძიმე იყო ცხოვრების პირობები, მაგრამ უფრო მძიმე იყო სწავლის არაჯანსაღი შინაარსი.



ჩვენი აზროვნების ურყევ და ძირითად საფუძვლად ითვლებოდა ბიბლია (დაბადება), ესე-იგი ებრაელთა მითები, და მათი წინასწარმეტყველების აგზნებული ფანტაზიის ქმნილებანი. ამ წიგნებში იყო ერთმანეთის საწინააღმდეგო და ნორმალური ლოგიკისათვის მიუღებელი, აზრები, მაგრამ ყველა ნაკლი უნდა დაეფარა „გულწრფელ რწმენას", რომელიც ბევრ რამეში არ ეთანხმება ჩვეულებრივ საღ აზროვნებას და ნორმალურ ლოგიკას. თუმცა არ გესმის, მაგრამ უნდა გწამდეს". აი ამას გვინერგავდნენ განუწყვეტლივ და ურყევად. „და თუ შეგიპყრეს ეჭვებმა, ილოცე და მოინანიე ასეთი ურწმუნება როგორც მაცდურის შთაგონება" — ამას მოითხოვდა რელიგია თავისი მიმდევრებისაგან. ამიტომ ჩვენი აზროვნება ყალბი გზით მიდიოდა. უსაბუთო რწმენას ეჩვეოდა.

იქ, სადაც არ არსებობს შეგნება და კრიტიკა, გონება ჩლუნგდება და ეჩვევა მსუბუქ და ულოგიკო მსჯელობას. მაგალითად, მოციქული მოსე მოგვითხრობს, რომ როცა ებრაელები გამორბოდნენ ეგვიპტიდან, ზღვა გაიყო და გაატარა ლტოლვილნი. როცა შევიდნენ ეგვიპტელები, ზღვა შეერთდა და დაღუპა მთელი ჯარი. ამისთანა ისტორია მართლაც უნდა გვწამდეს, თორემ მისი ფიზიკური ბუნების გაგება შეუძლებელია. რელიგია ახშობს თავისუფალ და ნორმალურ აზროვნებას. როგორც მითი, იგი ლამაზია, მაგრამ როგორც ისტორიული ფაქტი სრული აბსურდია. აი აქ სჭირდება რელიგიას მტკიცე რწმენა.

განმარტებული იყო ღმერთი და მისი საქმეებიც, აუცილებლად ითვლებოდა მისი ჩარევა ადამიანის პიროვნულ საქმეებში. გვარწმუნებდნენ, რომ ღმერთმა ყველაფერი იცის. ყველაფერზე მოქმედებს და უბრალო გაფიქრებაზეც კი მოგვთხოვს პასუხს. მოდი და შეებრძოლე ასეთ სისტემას. მით უფრო ძნელი იყო ეს შებრძოლება, რომ იგი ითვლებოდა ცოდვად, ეშმაკის მიერ შთაგონებულ მავნე აზრად. საერთოდ ჩვენ აზროვნებაში ეშმაკს დიდი ადგილი ეჭირა, როგორც ადამიანთა მოდგმის დაუძინებელ მტერს, რომელიც ცდილობს აგვირიოს გზა და შეგვაცდინოს. შეგვაცოდინოს და დაეუფლოს ჩვენ სულს. ამ მდგომარეობიდან გამოსავალსაც გვაძლევდნენ — მონანიებას მღვდელთან და ზიარებას, რომელიც ყველა ცოდვას ჰფარავს. პატიებისათვის საჭირო იყო გულწრფელობა — არაფერი არ უნდა დაგემალა. საბედნიეროდ, მოწაფეებს არ სწამდათ ეს მოძღვრება და თითქმის არავინ არ ამბობდა გულწრფელ აღსარებას, ჩვენ ბერებს ავიწყდებოდათ, რა დროში ვცხოვრობდით და რომ ასეთი გულუბრყვილობა უკვე სისულელედ ითვლებოდა.

ჩვენ გავდიოდით სპეციალურ დისციპლინას

— ჰომილეტიკას, რომელიც განიხილავს ქადაგების შედგენას და წარმართვას. პრაქტიკული ვარჯიში ასეთი „პედაგოგიური“ მეთოდით მიმდინარეობდა: დაგვისახელებდნენ რომელიმე აზრს ან მოვლენას და ამაზე უნდა ეთქვა მოწაფეს ქადაგება. ქადაგების დედააზრი უნდა ყოფილიყო რელიგიური და დასკვნა მორალურ ქრისტიანული. ჩვენ უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ყველაფრის მიზეზი არის ღმერთი. რომელიც სჯის ან აჯილდოებს ადამიანს. მე პირადად შემხვდა ქადაგება ხანძარზე. მე „დავამტკიცე“, რომ, რადგან არაფერი არ ხდება ღვთის ნების გარეშე, ეს ხანძარიც მოხდა ღვთის ნებით იმისათვის, რომ ხალხი ჩაუფიქრდეს და შეაფასოს თავისი მოქმედება, იმისათვის, რომ ცოდვილი შეშინდეს და დროულად მოინანიოს ცოდვა, შეუცდენელი კი გაფრთხილდეს და ახსოვდეს. რომ ღმერთი ყოვლისმხედველია და არ გაეპარება ადამიანის საქციელი. გამოვყავით ეკლესიაშიც ქადაგების წარმოსათქმელად, რისთვისაც უნდა ჩაგვეცვა სტიხარი.

მომავალ მღვდელს უნდა სცოდნოდა არა მარტო ქადაგება. მას აგრეთვე უნდა გაეწია წინააღმდეგობა სექტანტებისათვის. ამ მიზნით ჩვენ სისტემატურად დავყავდით დუხობორების მალაკნების და ბაპტისტების სამლოცველოებში, სადაც საათობით ვმართავდით დისპუტებს მათ სასულიერო ხელმძღვანელებთან მართმადიდებლობის უპირატესობაზე, და საიარების სწორ გაგებაზე. ცხარე კამათს იწვევდა საკითხი ხატის საჭიროების და ზარების მნიშვნელობის შესახებ. თავისებური ხასიათი ჰქონდა ამ პაექრობას. რომელიმე დებულება, მაგალითად სარგებლობა მარხულობისა, ნათლობისა და სხვა უნდა დაგვემტკიცებინა ლოგიკურად და ციტატებით ბიბლიიდან, უნდა მიგვეთითებია წიგნი, თავი და მუხლი. ამ საქმისათვის დიდი, გადამჭრელი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი და ახალი აღქმის კარგ ცოდნას და ციტატების ზეპირად მოყვანას.

მახსოვს, ერთხელ ეტლით მოვყავდი გერმოგენს მალაკანთა სამლოცველოდან სემინარიაში. ამ სამლოცველოში ვიყავი წაყვანილი პაექრობის ჩასატარებლად წინასწარ არჩეულ თემაზე. რასაკვირველია, ჩვენ ვერავინ ვერ დავიჯერეთ, ხან კი აშკარად ვმარცხდებოდით რადგან ჩვენმა მეტოქეებმა უკეთ იცოდნენ ბიბლიის უზარმაზარი წიგნი. სწორედ რომ ვთქვათ, არავის არ ჰქონდა რასკოლნიკების მორჯულების იმედი. ეს იყო ჩვენთვის სავალდებულო მოთხოვნილება მჭერმეტყველების ვარჯიშში. ბევრი დრო და ენერგია დავხარჯეთ ამ საქმისათვის. ზოგჯერ გვიხდებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებების მტკიცება. პაექრობას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, არავის არ აინტერესებდა ჭეშმარიტება. ასე ვითვისებდით სოფისტიკურ ლოგიკას, ხოლო რადგან უმრავლესობა ურწმუნოები ვიყავით. მთელ ამ საქმეს სავნო — სარგებლობა მოჰქონდა, და არსებითად, გვრყვნიდა ზნეობრივად. ბევრი ჩვენგანი ტრაბახობდა: „რასაც გინდა, იმას დავიცავ, თუ გინდა დავამტკიცებ. თუ გინდა უარვყოფ“. ასეა, როცა საქმეს მტკიცე რწმენა არ უდევს საფუძვლად. საიოლოოდ ერთი სარგებლობა მაინც მივიღეთ — შევეჩვიეთ პაექრობას და მასალის გამოყენებას.

საინტერესოა, რომ თვით მოწაფეებიც ვმართავდით დისპუტებს და როგორც ძველი საბერძნეთის სოფისტიკურ სკოლაში, ვიცავდით ერთმანეთის საწინააღმდეგო მოძღვრებებს.

უფრო ნაყოფიერი იყო მეორე ვალდებულება — მონაწილეობას ვიღებდით საკვირაო სკოლებში. სადაც ხალხს წერა-კითხვას ვასწავლიდით. მოულოდნელად ეს მუშაობა აგვიკრძალეს, რადგან იქ რევოლუციური პროპაგანდა წარმოებსო, და ეს მართლაც ასე იყო.

საბუნებისმეტყველო საგნებიც შედიოდა ჩვენ პროგრამაში. მედიცინასაც კი გვასწავლიდნენ, მაგრამ აქაც ურყევ საფუძვლად ითვლებოდა „დაბადება“. აზრის დასამტკიცებლად მოგვეთხოვებოდა მხოლოდ შესაბამისი ციტატის მოყვანა ამ ვრცელი წიგნიდან, მსჯელობის ფარგლები იყო მხოლოდ ეს წიგნი. ის, რაც იქ წერია, უნდა მიგვეღო მთლიანად, როგორც ჭეშმარიტება. მისი კრიტიკა იყო დანაშაული და შეცოდება.

ძირითად დისციპლინას — ღვთის მეტყველებას რომ გვასწავლიდნენ, იქვე მოჰყავდათ თანამედროვე შეხედულებები ამა თუ იმ საკითხებზე და ცდილობდნენ მოეცათ მათი კრიტიკა. შედეგი ის იყო ,რომ ჩვენ ვკრეფდით აზრებს მათი რეზიუმედან, კრიტიკულ ნაწილს კი არავინ არ კითხულობდა. ასე გავეცანით ანტირელიგიურ ლიტერატურას, მართალია, ტენდენციური თვალსაზრისით განხილულს. ჩვენთვის მაინც ძვირფასი იყო დამახინჯებული დებულებებიც კი. ამასთან იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ფართოდ გვაცნობდნენ რჯულის საწინააღმდეგო მოძღვრებებს. ჩვენ ხალისით ვეწაფებოდით მათ ლექციის მსგავს გაკვეთილებს. მახსოვს, ერთმა მასწავლებელმა გადმოგვცა ქრისტიანობის საწინააღმდეგო ყველა აზრის წერილობითი კონსპექტი. მე დღესაც არ ვიცი, იყო ეს გულუბრყვილო საქციელი, თუ რელიგიის საწინააღმდეგო აგიტაცია. ერთი სიტყვით ჩემს დროს რჯულის თეორიული დასაბუთება ირყეოდა და მისივე მოწაფეები უნებლიედ ლალადებდნენ სინამდვილეს...

სემინარიაში ორი ქართველი მღვდელი გვყავდა — დავით ბერძენიშვილი და ჩაგუნავა. ბერძენიშვილი პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ძლიერ ეშინოდა ბერებისა და ამიტომ

დიპლომატიურად სდუმდა. მხოლოდ, როცა გადაჰკრავდა კახურს, დაიწყებდა გინებას, მაგრამ ქართულად. ბერებმაც იცოდნენ ეს ამბავი და თავს იყრუებდნენ. ეკონომოსი ჩაგუნავა გულკეთილი და უვნებელი კაცი იყო, რომელსაც გარდა სანოვაგისა, არაფერი არ აინტერესებდა.

მასწავლებელთა შორის ერთი ქართველი იყო, ისტორიკოსი ნიკო მახათაძე, კაცი სასტიკი, რის გამოც მას კამბიზი დავარქვით. მას აინტერესებდა მხოლოდ თავისი საგანი და მართლაც, ეს საგანი კარგად ვიცოდით. ვისაც ხუთის მიღება უნდოდა, საჭირო იყო მიეგო პასუხი საგნის მთელი გავლილი ნაწილის შესახებ და არ დაეშვა არც ერთი შეცდომა, განსაკუთრებით ქრონოლოგიაში. ხშირად იმართებოდა ნამდვილი შეჯიბრება. მასწავლებელი ცდილობდა რამე შეცდომაში დაეჭირა მოწაფე, მაგრამ ზოგჯერ ეს არ ხერხდებოდა, მოწაფე იმარჯვებდა! მეც რამდენჯერმე მოვიგე ეს შეჯიბრება. ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რადგან მასწავლებელს შეეძლო ისევ გამოვეძახებინე.

სულს გვიხუთავდა დაუსრულებელი წირვა-ლოცვა. დილით, ჩაის წინ შევდიოდით ეკლესიაში და ვისმენდით მღვდლის მოკლე ლოცვას. სადილის და ვახშმის წინ და შემდეგ — მორიგის ლოცვას. ყოველი გაკვეთილის წინ — ისევ „მამაო ჩვენო“ .., მოსმენა მართლაც მოსაწყენი იყო. წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა სასოებით, აუჩქარებლად, ძლიერ გრძელდებოდა და ამიტომ საშინლად გვღლიდა. განსაკუთრებით მძიმე იყო დიდი მარხვა, როცა წირვა-ლოცვა მეტისმეტად ჭიანურდებოდა. ამასთან ზედამხედველები სისასტიკეს იჩენდნენ და მოითხოვდნენ, რომ ყველა მდგარიყო სწორედ, კედელსაც კი არ მიყუდებოდა. მიეყრდნობოდი თუ არა კედელს, მოგადგებოდა ზედამხედველი და სასტიკად წაისისინებდა — „დადექ რიგიანად“. ცუდ საქციელად ითვლებოდა ცალი ფეხის მოდუნება და მეორე ფეხზე დაყრდნობა. მხოლოდ ერთი რამ შეიძლებოდა ყველასათვის — მუხლებზე დაჩოქება, მაგრამ გულმოდგინედ უნდა გეწერა პირჯვარი და ისეთი გამომეტყველება მიგეღო, ვითომ მხურვალედ ლოცულობ. ქართველი ყმაწვილები არ იყვნენ შეჩვეული ხშირ და ხანგრძლივ ლოცვას. მორწმუნეც ჩვენ შორის ფრიად იშვიათი იყო, მახსოვს მხოლოდ ერთი მოწაფე, რომელიც გულწრფელად ლოცულობდა და წირვა-ლოცვას დაჩოქილი ისმენდა.

ეკლესიაში ერთი გასართობი გვქონდა: თვალყურს ვადევნებდით ახლად მოსულ მლოცველებს და მათ სილამაზის შეფასებას ვახდენდით. მლოცველი კი ბევრი მოდიოდა ჩვენ ეკლესიაში, რადგან კარგად გაწვრთნილი გუნდი გვყავდა მართლაც სასიამოვნო იყო მისი მოსმენა. გუნდმაც ერთხელ მეფის დღესასწაულის დღეს მოსაწყენ საეკლესიო მრავალჟამიერის მაგივრად, კახური მრავალჟამიერი [illegible]ნა. ძლიერ გვასიამოვნა ამ თავხ[illegible]ჯობამ. ბერებმაც მოიყრუეს ყური, რადგან მეფის საზეიმო დღე იყო და საქმემ უვნებლად ჩაიარა.

ასე იზრდებოდა და ცხოვრობდა მთელი თაობა. მის გასაბრუებლად არსებობდა განუწყვეტელი ლოცვა და მარხვა. ლოცვა და მარხვა ღლიდა ადამიანს, თანდათანობით უკარგავდა მას მსჯელობის და საღი კრიტიკის უნარს.

რა შედეგი მოსდევდა ასეთ აღზრდას?

..ძნელი იყო ამ გაუგებრობათა ტყეში არ დაბნეულიყო ახალგაზრდა ყმაწვილი. უმრავლესობა ურიგდებოდა თავის ხვედრს, მოთმინებით სწავლობდა საგნებს, რომლებიც არ იწვევდნენ არავითარ ინტერესს და სიამოვნებას. ისინი პასიურად ემორჩილებოდნენ სემინარიის წესებს. მათ სასახელოდ მიაჩნდათ ამ წესების დარღვევა, მაგრამ ისე, რომ „არ ჩავარდნილიყვნენ“, ისინი ოცნებობდნენ ამ მოსაწყენი სასწავლებლის დამთავრებაზე და მხოლოდ მომავალ კეთილდღეობაზე: კარგი მრევლი, მდიდარი ცოლი, კეთილი და მაძღარი ცხოვრება.

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ახასიათებდა სრული ურწმუნობა და ცინიზმი რელიგიის ყველა საკითხში, რომლებიც უარყოფდნენ ყველაფერს და უწმაწური იარლიყებით ამკობდნენ სემინარიის მეცნიერებას. ვფიქრობ, რომ ეს გრძნობა არ იყო ღრმა და მტკიცე; ამ პირთა უმრავლესობა მაინც წავიდა მღვდლად და მათ საპატიო ადგილიც დაიკავეს თავის წრეში. ოხუნჯობით იგონებდნენ ადრინდელ სულისკვეთებას, „ბალღობის საქციელს“. იყვნენ მხოლოდ ერთგულებიც, რომელთაც სწამდათ ყველაფერი. ისინი გულმოდგინედ ლოცულობდნენ იზეპირებდნენ საგნებს და მარხულობდნენ ურყევად. ამ განუწყვეტელმა ლოცვამ და მარხვამ ბევრი ახალგაზრდა დააქვეითა გონებრივად, რამდენიმე კი სულით ავადმყოფად აქცია.

იყვნენ მტკიცე და შეურიგებელი ურწმუნოებიც, რომელთა უმრავლესობა ჩამოშორდა თავის წოდებას, ზოგიერთი მათგანი ჩაირიცხა უნივერსიტეტში, ინსტიტუტში, კეთილსინდისიერი და სასარგებლო მოღვაწეები გახდნენ. სკოლის წლები მათ მძიმე მოგონებად დარჩათ...

მთელი ატმოსფერო სემინარიისა ისე კვტანჯავდა ზნეობრივად, რომ თანდათან დავკარგეთ ყმაწვილობიდან ჩანერგილი სასოება, რელიგიური გრძნობის ნატამალი. მხოლოდ ცივი და ულმობელი რისხვა იზრდებოდა ეკლესიის წინააღმდეგ. ფეხს იკიდებდა სრული ურწმუნოება და სამძულვარე, გამოდიოდნენ მღვდლები, რომელთაც არ სწამდათ არაფერი და ემსახურებოდნენ იმას, რაც სძაგდათ. ამით აიხსნება რომ სემინარიამ გარყვნა ღვდელმსახურნი და მოჰ-

რა ის ტოტი, რომელსაც რელიგია ემყარებოდა. უკეთესი ანტირელიგიური აგიტაცია ძნელი წარმოსადგენია.

ბევრი ახალგაზრდა დაამახინჯა სემინარიის რეჟიმმა. განა სიმახინჯე არ იყო ის, რომ მოწაფეთა დიდ უმრავლესობას არ სწამდა ის საქმე, რისთვისაც ცხოვრების საუკეთესო დრო უნდა შეეწირა: შვიდი წელი სასულიერო სასწავლებელში და ექვსი სემინარიაში, შემდეგ კი მღვდლად ემსახურა. მათგან ჩამოყალიბდნენ მუქთახორა მღვდელ-დიაკვნები, რომელთა შენახვის ხარჯები მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას. ეკლესია და მღვდელი ითვლებოდა ცხოვრების აუცილებელ მოვლენად. ნათლობა, ქორწილი, სიკვდილის დროს წესის აგება და შემდეგ მოსახსენებელი ლოცვა — ეს ხომ აუცილებელი იყო, ყოველი ოჯახის ცხოვრებაში. ზოგი გულწრფელი რწმენით, ზოგი კი მხოლოდ მტკიცე ტრადიციით იცავდა ამ წესებს. დიდი გამბედაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ არ მოგენათლა შვილი, ჯვარის დაუწერლად გაგეთხოვებია ქალიშვილი.

განწირულობა ეტყობოდა მთელ სასულიერო წოდებას. გონიერი და წინდახედული პირები გრძნობდნენ ნიადაგის რყევას და მოითხოვდნენ რეფორმებს. მართლაც, ზოგი რამ შეცვალეს, თუმცა არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ. მთავარ სიახლედ ზოგს მიაჩნდა ნებართვა ქალაქში ჩაეცვათ ჩვეულებრივი ტანისამოსი და არა ანაფორა. ამით გათავდა სასულიერო წოდების „პროგრესი“, თუმცა სინამდვილეში არც ამან მოიკიდა ფეხი. მაგრამ განა საქმისათვის სულ ერთი არ იყო?

ბევრი აკრიტიკებდა რელიგიურ წესებს, მაგრამ თავის სახლში მაინც იცავდა მას. ზოგი კრიტიკოსი თუმცა თვითონ არ ნათლავდა ბავშვს, მაგრამ ნებას აძლევდა ეს გაეკეთებია ცოლს. „რა ვქნა“ ცოლს წაუყვანია ეკლესიაში და მოუნათლავსო!“ მართლა, რომ ძნელი ყოფილა ძველი ტრადიციის აღმოფხვრა. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი ბრძოლა...

რევოლუციის ხანაში საქართველოს სამღვდელოებამ ერთბაშად დაყარა იარაღი და მიიმალა. ბევრმა შეგნებით გაიხადა ანაფორა; ზოგნი კი დღესაც ეჭიდებიან ტაბლის ნამცეცებს. ბუნებრივია, რომ მღვდლებმა დაკარგეს გავლენა ხალხზე, რაც ცხადად გამომჟღავნდა რევოლუციის დროს.

სემინარიელები ლოგიკურად უახლოვდებოდნენ გონებრივ და მორალურ გაველურობას, მაგრამ ჩვენი მხსნელი იყო „ხმა გარედან“. დახავსებული დოგმები, რომელიც უკვე შუა საუკუნეებში იწვევდა პროტესტს, დღეს ძნელი ჩასანერგი იყო ახალგაზრდათა გონებაში. ცხოვრების ხმა ბურსის კედლებშიც გადიოდა და ჩვენც გაფაციცებით ვუსმენდით მას.

ჩვენ ფაქტიურად მოწყვეტილი ვიყავით ცხოვრებისაგან. ორასი ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელთაც გაღვიძებული ჰქონდა ცნობისმოყვარეობა და საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესი, მოკლებული იყო ჟურნალ-გაზეთებს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საერო ჟურნალ-გაზეთების კითხვა სასტიკად იყო დევნილი და მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. წიგნებსაც შერჩევით გვაძლევდნენ. ქართული ლიტერატურის კითხვა აკრძალული იყო, გარდა ჩვენი კლასიკოსების ზოგიერთი ნაწარმოებისა. ბოლოს, როგორც იყო, დაგვრთეს ნება გვეკითხა „ვეფხისტყაოსანი“. აკრძალული იყო ყველა კრიტიკოსის, მათ შორის, ბელინსკის, პისარევის თხზულებები. რუს კლასიკოსების კითხვისათვის ნებართვა უნდა მიგვეღო. აკრძალვა არ ასცდა ლევ ტოლსტოის და ტურგენევის ზოგიერთ ნაწარმოებს, კერძოდ, „ახსარებას“ და „მამებსა და შვილებს“. სემინარიის ბიბლიოთეკა მდიდარი იყო ყოველგვარი წიგნებით, მაგრამ ჩვენთვის გამოყოფილი იყო მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელშიაც ცოტა რამ მოიპოვებოდა. ასეთი ობსკურანტიზმი, რასაკვირველია, ჩუმ, მაგრამ მძლავრ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

საერთო უკმაყოფილებას იწვევდა ქართული ლიტერატურის და ენის დევნა. ახალგაზრდობა ცდილობდა წაეკითხა სწორედ აკრძალული წიგნები. სემინარიაში იყო ჩამოყალიბებული სალიტერატურო წრეები, რომლებიც იკრიბებოდნენ ფარულად, კერძო ბინებზე, მამადავითში და განსაკუთრებით ხშირად გერმანელთა სასაფლაოზე. ამ წრეებს ხელმძღვანელობდნენ გარედან ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, თვით სემინარიაში კი ილია ალლაძე, სეით დევდარიანი და სხვები. იქ უმთავრესად საერთოდ ნებადართულ ლიტერატურას ვკითხულობდით. შემდეგში თანდათან შემოიჭრა რევოლუციური ლიტერატურა და პროკლამაციები, რომელიც ზოგიერთ პირებს დიდი სიფრთხილით შემოჰქონდათ თვით სემინარიაში. ხარბად დავეწაფეთ ბელინსკის, დობროლიუბოვის, პისარევის, ნაწარმოებებს, გაცხარებულ კამათს ვაწარმოებდით მათ გარშემო. ბევრი რამ პრიმიტიული და გულუბრყვილო ისმოდა ჩვენ კრებებზე. მაგრამ სალი აზროვნების სიო დაგვტრიალებდა თავს. შორეული რევოლუციის გუგუნი ჩვენამდეც აღწევდა და ეს გარემოება ყველაზე ცოცხალი და წარმტაცი იყო ჩვენთვის, სემინარიელები ჯგუფებად იკრიბებოდნენ კერძო ბინებზე, სადაც წარმოებდა აგიტაცია. როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ჩვეულებრივი ადგილი ასეთი შეკრებისათვის იყო სასაფლაოები, განსაკუთრებით გერმანელთა სასაფლაო.

ბერძენიშვილთან დასახლებამ მიხსნა პირველ ხანებში საერთო საცხოვრებლის მკაცრი რეჟიმისაგან და ამიტომ შემცირებული იყო ზედამხედველთა მეთვალყურეობა ჩემს მიმართ.

ყოველ შემთხვევაში, იქ არავინ არა მჩხრეკდა და არ მისინჯავდა წიგნებს: ამიტომ მე მომეცა საშუალება მესარგებლა აკრძალული წიგნებით. ეს კეთილდღეობა გაგრძელდა ერთი წელი. მეორე წელს სემინარიის ბერებმა მოითხოვეს ჩემი მოთავსება საერთო საცხოვრებელში.

მე ერთხანს გამიტაცა დარვინის მოძღვრებამ. გაჭირვებით ვიშოვე და გულმოდგინედ ვკითხულობდი მის თხზულებებს, ვესწრებოდი წრეს, სადაც ამ საკითხზე მუშაობდნენ. ერთ ხანს გატაცებული ვიყავი აგრეთვე ფილოსოფიის ისტორიით.

„საშიში“ ლიტერატურა ხშირად იკითხებოდა საკლასო ოთახში მეცადინეობის დროს, მაშინაც კი, როდესაც ზედამხედველი თავზე დაგვტრიალებდა. მახსოვს ერთი დამახასიათებელი შემთხვევა: საღამოს მეცადინეობის დროს მერხზე ვკითხულობდი პისარევის თხზულებას. ამ დროს შემოვიდა ზედამხედველი და გვერდით მომიჯდა. მე, ადგილის დასათმობად თავაზიანად ცოტა გავიწიე. ჩემი მდგომარეობა ფრიად მძიმე იყო. ზედამხედველს რომ გაეგო, რასა ვკითხულობდი, აუცილებლად მომელოდა სასწავლებლიდან გარიცხვა და ცუდი ნიშანი ყოფაქცევაში. ეს კი დამიხშობდა გზას სხვა სემინარიაში შესასვლელად. მე მოვიკრიფე ძალა და ვითომ დამშვიდებით განვაგრძე კითხვა. ხან ვფურცლავდი წიგნს, ხან კიდეც ვბუტბუტებდი, ვითომ ვიზეპირებდი მძიმე ადგილებს. ზედამხედველს ჩემზე საერთოდ ჰქონდა გარკვეული ეჭვი, მაგრამ ამჟამად გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. ზედამხედველი ისე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მე გულმოდგინედ ვამზადებდი გაკვეთილებს, რომ ჩემს წიგნში არც კი ჩაუხედავს. ამხანაგები მიხვდნენ, რა მდგომარეობაში ვიყავი და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ, მე ვითომ ერთი გაკვეთილის მომზადება გავათავე, დავკეცე ეს სახიფათო წიგნი და ჩავდე ყუთში, იქიდან კი მეორე წიგნი ამოვიღე. ბოლოს ბერი ადგა და გავიდა ოთახიდან. ყველამ შვებით ამოისუნთქა, წიგნი კი ხელიდან ხელში გადაცემით შორეულ კუთხეში დავმალეთ. ეტყობა ზედამხედველმა რაღაც იგრძნო მალე დაბრუნდა. მან ჩემს წიგნს უკვე ყურადღებით გადახედა. მხიარული სახით შევხვდი მას, რადგან საეჭვო წიგნი კარგად იყო მიმალული, მე კი გულმოდგინეთ ვიზეპირებდი გაკვეთილს.

ბერები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს სემინარიის მოწაფეებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ინფორმატორს ვერ შოულობდნენ.

მეორე კლასში ვიყავი, როდესაც მოხდა სემინარიაში პირველი გაფიცვა, ეგრეთ წოდებული „სემინარიელთა აჯანყება“, როგორც ჩვენ მას ამაყად ვუწოდებდით. ამ გაფიცვის მიზეზად ოფიციალურად იყო გამოცხადებული უკმაყოფილება საჭმლით. „მოსწყინდათ სემინარიელებს მუდმივ ლობიოს ჭამა და გამართეს „ბუნტიო“. ეს იყო ჭორი, რომელიც თვით სემინარიის ადმინისტრაციამ გაავრცელა, ნამდვილი მიზეზი კი იყო სემინარიის რეჟიმი მთელი ცხოვრების და სწავლების ჩამორჩენა ნახევარი საუკუნით მაინც.

ჩვენი გაფიცვა არ იყო ორგანიზებული მოვლენა. მას უფრო სტიქიური ხასიათი ჰქონდა. გაფიცვა მასწავლებლებისათვის სრულიად მოულოდნელად, მშვიდობიან ატმოსფეროში დაიწყო. გაკვეთილები მიმდინარეობდა ნორმალურად, როდესაც გაისმა ძახილი „ძირს, ძირს!“ ეს იყო ჩვენი ძახილი, რომელიც აგუგუნდა მთელ შენობაში, ყველა კლასში და ეზოში. მოწაფეებმა დატოვეს გაკვეთილები და სასწრაფოდ ჩამოვიდნენ ეზოში. ვიღაცის იდუმალი განკარგულებით შევიყარეთ ფართო საკლასო ოთახში და იქ დაიწყო მიტინგი. ეს სიტყვა ჩვენთვის ჯერ ახალი იყო, მაგრამ მალე საერთო ხმარებაში შემოვიდა. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა რამდენიმე ორატორი-სემინარიელი, რომლებმაც აწერეს ჩვენი უმწეო მდგომარეობა და მისი შეუფერებლობა ცხოვრებასთან, მახსოვს სეით დევდარიანი, ილია ალლაძე და სხვები. ორატორთა ლაპარაკიდან ცხადი იყო, რომ მათ ვიღაცა იდუმალი და უფრო ძლიერი პიროვნება ხელმძღვანელობდა. მივიღეთ გაფიცვის რეზოლუცია: არ დავიწყებდით სწავლას, ვიდრე არ დააკმაყოფილებდნენ ჩვენ „კანონიერ მოთხოვნილებას“. ამ „კანონიერ მოთხოვნილებაში“ ჩართული იყო მთელი რევოლუციური პროგრამა. არავინ არ კითხულობდა, რამდენად რეალურია ეს მოთხოვნა და როგორ განახორციელებენ მას. ჩვენ მოთხოვნებში ბევრი რამ საბუთიანი იყო, მაგრამ იმდროინდელი სისტემის მთელი მანკიერება მარტო სემინარიაში ხომ ვერ შეიცვლებოდა!

მასწავლებლები შეგროვდნენ თავის შესაკრებ ოთახში, არც ერთს არ უცდია ჩვენთან მოლაპარაკება. ვფიქრობდით, რომ გონიერი სიტყვით ყველაფერი ამოიწურებოდა, მაგრამ რუსმა ბერებმა ყველაფერს ეროვნული ხასიათი მისცეს და ჩვენი გაფიცვა საშიშ ამბოხებად დასახეს.

იმ მძიმე და დაძაბულ ატმოსფეროში სემინარიელთა ასეთ გაბედულ გამოსვლას ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ისეთი დეპრესიის ხანა იყო, როდესაც ყველაფერი მიყუჩდა და რეაქციას ეგონა, რომ სრულ გამარჯვებას მიაღწია. და აი ამ ზეიმის დროს „ვიღაცა ბურსაკები“ ბედავენ ხმის ამაღლებას და აშკარა წინააღმდეგობას. ამით აიხსნება, რომ ჩვენი არეულობა შეიქმნა მაღალი სფეროების მსჯელობის საგნად. სემინარიის რექტორი გაიქცა და აუწყა მდგომარეობა

ეგზარხოსს, მან კი მიმართა მთავარმმართებელს. ამან გამოიწვია პოლიციის ჩარევა და სასტიკი განაჩენი — დაიხუროს სემინარია და მოწაფეებს მიეცეთ წინადადება წავიდნენ შინ.

ეს პატარა ამბოხება იმ დროს არაჩვეულებრივი და გაბედული აქტი იყო. ბევრი გულწრფელად ამბობდა„ „ეს სემინარიელები გაბედული ხალხიაო!“ ბედშავი დრო იყო, როდესაც სემინარიელთა გაფიცვაც კი პოლიტიკურ მოვლენად ითვლებოდა და მას მართლაც ჰქონდა პოლიტიკური მნიშვნელობა. უიმედობის ტბას მცირე მოძრაობა მაინც დაეტყო. მრავალი გიმნაზია გვქონდა, მაგრამ ასეთ მოვლენას იქ არ ქონია ადგილი. ჩვენი მშობლებისათვის ეს გაფიცვა უსიამოვნო ამბავი იყო, რადგან მას შეეძლო შეეფერხებია მათი შვილების სწავლა შესაძლებელი იყო, რომ ბევრს სამუდამოდ გარიცხავდნენ სასწავლებლიდან. აგზნებული გრძნობა და მშვიდი გონება ვერ ურიგდებოდა ერთმანეთს და ვერ პოულობდა საერთო ენას.

თბილისიდან მშვიდობით და მხიარულად წავედით, მაგრამ დიდი წვიმები იყო და სადგურ მოლითის მიდამოში მატარებელი არ დადიოდა. მოგვიხდა მოლითიდან სამტრედიამდე ფეხით წასვლა. იძულებული ვიყავით ბარგი საკუთარი ზურგით გვეტარებია. საბედნიეროდ, ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან ჩვენ ქონებაზე შეიძლება გვეთქვა ქართული ანდაზით: „ჩემი ბარგი ბარხანა კატას აეკიდებაო“. საჭმელი, რაც თანა გვქონდა, მთლად გამოგველია. ამ იძულებით გასეირნების დროს მადა ისედაც კარგი, სუფთა ჰაერზე საოცრად გაძლიერდა, სანოვაგის შეძენა კი არ შეგვეძლო, არ იშოვებოდა და ამასთან ფულიც ცოტა გვქონდა. გვიშველა ქართულმა სტუმართმოყვარეობამ. სამტრედიაში შემხვდა ერთი ნაცნობი, რომელიც ადრე ჩემთან სწავლობდა. მან მთხოვა მასთან მივსულიყავით „პატარა საუზმეზე“, ჩემ მშობლებს ძლიერ ესიამოვნება თქვენი გაცნობა და პატივისცემაო. ჩვენ, რასაკვირველია, ცოტა გავინაზეთ, მაგრამ იმდენად, რომ კატეგორიული უარი ვერ ვუთხარით და წავყევით. დაგვხვდნენ მართლა, დიდებულად. გაიშალა უხვი სუფრა. მაძღრებმა, მხიარულებმა და ბედნიერებმა მთელი დღე იქ გავატარეთ, ვუსმენდით გიტარას და მანდოლინას, რომელსაც მშვენივრად უკრავდნენ ქალიშვილები.

დახვედრა იმდენად სასიამოვნო და გულწრფელი იყო, რომ, როდესაც გაისმა მატარებლის ძახილი, უკვე აღარ მესიამოვნა. გულწრფელი მადლობა გადავუხადეთ და თბილი გრძნობით გავშორდით. მასპინძლებმა თან გაგვატანეს მთელი კალათი ხაჭაპურებით და შემწვარი ქათმებით სავსე. სამწუხაროდ, როდესაც ვწერ ამ სტრიქონებს ვცდილობ, მაგრამ იმ ოჯახის გვარი ვერ მომიგონია. მოკლე და შემთხვევითი იყო ჩვენი შეხვედრა.

სამტრედიიდან მატარებლები უკვე შეუფერხებლად დადიოდნენ და მეც მალე ჩავედი ახალსენაკში. ბიძაჩემი მოუთმენლად მელოდა და წუხდა, რადგან გზის გაფუჭების ამბავი გაზვიადებული ჩასულიყო ახალსენაკში. ბიძამ უკვე იცოდა, რაც მოხდა სემინარიაში. მისთვის უსიამოვნო იყო მთელი ეს ამბავი, მაგრამ შემხვდა ისეთივე ალერსით, როგორც ყოველთვის. გახარებულმა მან სასტუმროში გამიმართა ვახშამი და მოიწვია რამდენიმე მასწავლებელი, რომლებსაც მე კარგად ვიცნობდი. ბიძა უკვე აღარ აქცევდა ყურადღებას, რომ მე ზედმეტი დავლიე და ბევრსაც ვლაპარაკობდი ჩვენ „გაბედულ აჯანყებაზე“. მეორე დღეს თავი მტკიოდა და საზიზღარ გუნებაზე ვიყავი, რადგან შეუჩვეველმა ცოტა მეტი ღვინო მივირთვე. მე ხომ უკვე სრულუფლებიანი ვაჟკაცი ვიყავი!

ბიძაჩემის კეთილი განწყობილება იქამდე მივიდა, რომ თავისი პაპიროსიც კი შემომთავაზა, მაგრამ მაინც ნასიამოვნები იყო, როდესაც მე უარი ვუთხარი, რადგან მართლაც ვერ შევეჩვიე თამბაქოს წევას.

ასეთი სასიხარულო დღეებით დაიწყო ჩემი დაბრუნება ახალსენაკში. რამდენიმე დღეში შემოუარე ნაცნობებს, ყველგან ინტერესით უსმენდნენ ჩემს ნაამბობს, მაგრამ მალე შევატყვე, რომ ინტერესი ამოიწურა და უკვე დროა დავივიწყო სემინარიის ეპოპეა. ჩემს ნაცნობებს შორის იყო ნოტარიუს ვერულაშვილის ოჯახი. ქ-ნი ვერულაშვილი ჭკვიანი და განათლებული ქალი იყო. მასთან ბაასმა ორ საათამდე გასტანა. ჩემს ყოყოჩობას ფრთები შეეკვეცა, მედიდურ მამლაყინწას მაგიერ წვიმაში გაწუწულ ქათამს უფრო დავემსგავსე. მან ლოგიკურად დაასაბუთა ჩვენი საქციელის უაზრობა და უნაყოფობა, „უარეს პირობებში დაბრუნდებითო, — მიწინასწარმეტყველა, — მხოლოდ წელიწადს დაკარგავთ უსაქმოდ სიარულშიო“. ამ ქალთან საუბარმა ღრმად ჩამაფიქრა და მე პირველად გავუკეთე სწორი ანალიზი ჩვენ საქციელს მწვავეა ჭეშმარიტი სიტყვა. განსაკუთრებით, როდესაც გარშემო მხოლოდ გუნდრუკს გიკმევენ და გესმის სასიამოვნო ქათინაურები...

დაიწყო ჩემი უსაქმოდ და უმიზნოდ ცხოვრება, რაც ორი თვე გაგრძელდა. მომწყინდა ეს პატარა დაბა თავისი დუქნებით და ლოთების მრავალფამიერით. ვარჩიე შინ ჯდომა და წიგნების კითხვა. გადავიკითხე სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკა. წიგნებმა მიხსნეს სხვა, უხეირო დროსტარებისაგან. ამ ხანებში დავუმეგობრდი მასწავლებელ თუთბერიძეს, რომელიც ხშირად დადიოდა სანადიროდ. მეც ავეტორღიალე და თოფით ხელში თითქმის ყოველ დღე შემოვუვლიდით ხოლმე გარშემო ტყეებს და ორიოდე შოშია მოგვქონდა ნადავლად. საღამოს ვწვავდით ნადავლს და ღვინის დაყოლებით შევექცეოდით აუჩქარებლად.

მე ვიგრძენი, რა ძნელი ყოფილა უსაქმოდ ყოფნა. დილაობით, როდესაც ყველა თავის საქმეზე მიდიოდა, მხოლოდ მე არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. წიგნების კითხვაც კი მომწყინდა. ამიტომ ძალიან გამეხარდა, როცა მოვიდა ცნობა, რომ სემინარია გაიხსნა და მოწაფეებს წინადადება ეძლევათ შემოიტანონ თხოვნა სემინარიაში აღდგენის შესახებ. თხოვნა ყველამ შეიტანა, მაგრამ ზოგი არ მიიღეს. მეც დავწერე განცხადება, განვლო კვირეებმა. მაგრამ პასუხი აგვიანებდა. თბილისიდან არაფერი არ ისმოდა. ბიძაჩემი სამსახურის საქმეების გამო გაემგზავრა თბილისში და ჩამომიტანა ცნობა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავიგე, რომ მე, როგორც გაუსწორებელი პიროვნება, თურმე იმ სიაში ვყოფილვარ, რომელნიც უკან უნდა მიეღოთ. ბიძას ენახა სემინარიის რექტორი და ინსპექტორი, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ ეგზარხოსის ჩარევის შემდეგ აღმადგინეს. ბიძამ მე ეს ამბავი არ გამიმხილა, რადგან არ უნდოდა შეელახა ჩემი თავმოყვარეობა.

უსიამოვნო გრძნობით მივადექი სემინარიის კარებს. იმ მედიდური სიტყვების შემდეგ, რომლებსაც კრებებზე ვამბობდით, ეს იყო სრული უკანდახევა.

მეხუთე კურსზე ვიყავი, როდესაც ბერებმა გადაწყვიტეს, რომ რელიგიური გრძნობის გასამტკიცებლად საჭიროა მოვინახულოთ ძველი მონასტრები. პირველად სამოგზაუროდ აირჩიეს შიომღვიმე. საკვირველია, რომ ამ მოგზაურობის ორგანიზაცია თვით მოწაფეებს მიანდეს. მეც შევდიოდი ამ კომისიაში. სამზარეულოში უხვად დაამზადეს სანოვაგე. გამოგვყვა ერთი ზედამხედველი და ზეიმით გავემგზავრეთ. შიომღვიმეში ღამე გავათენეთ. დავათვალიერეთ მონასტერი. დაბრუნების შემდეგ მე მომანდეს მოგზაურობის აღწერა. ეს აღწერილობა დაიბეჭდა თბილისის ჟურნალ «Вестник Грузинского экзархата».

განვლო თვეზე მეტმა და მოულოდნელად მიხმო სემინარიის რექტორმა გერმოგენმა. მე, რასაკვირველია გადავხედე ჩემს საქციელს და ვეძებდი რისხვის მიზეზს, მაგრამ ბერი დამხვდა მომღიმარი და მითხრა, რომ ჩემი წერილი გადაუბეჭდიათ პეტერბურგის სასულიერო ჟურნალში. რედაქცია ქებით იხსენიებდა ამ მოგზაურობის მოწყობას.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს ცხოვრებაში: მტკიცედ იყო გადაწყვეტილი. რომ მე სემინარიის დამთავრებისას უნდა გამოვეშვით ყოფაქცევაში „ორიანის“ ან „სამიანის“ ნიშნით. ეს კი შეუძლებელს ხდიდა პირველი ხარისხის დიპლომის მიღებას და, მაშასადამე, მეკარგებოდა უნივერსიტეტში შესვლის უფლება. წერილმა იმდენად წამოსწია ჩემი პიროვნება, რომ, რადგან სწავლაში პირველთაგანი ვიყავი, გადაწყდა გავეგზავნე სახელმწიფო ხარჯზე მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. ერთი დაბრკოლება მოიხსნა, მაგრამ თავი იჩინა მეორე ხიფათმა.

1899 წელს დავამთავრე თბილისის სასულიერო სემინარია, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი უნივერსიტეტში შესვლა. ამაში მხარს მიჭერდა აღმზრდელი ბიძაჩემიც, რომელიც დამპირდა აუცილებელი სახსრებით უზრუნველყოფას. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ არ ვიცოდი, როგორ დავხსნილიყავი სწავლით მოპოვებულ უპირატესობისაგან. საქმე ის იყო, რომ სემინრიიის კანცელარია უშუალოდ გზავნიდა საბუთებს სასულიერო აკადემიაში, ჩემთვის კი საჭირო იყო ამ საბუთების მიღება უნივრსიტეტში გასაგზავნად. სემინარიას არ ჰქონდა უფლება არ მოეცა ჩემი საბუთები, მაგრამ ბერებს არავინ უშლიდა ყოფაქცევაში დაესვათ ნიშანი „სამიანი“. როგორც „არაკეთილ საიმედოსათვის“, რაც უნივერსიტეტში შესვლის უფლებას დამიკარგავდა. ერთი სიტყვით, ისე ვიყავი შებოჭილი, რომ მხოლოდ თვალთმაქცობით შემეძლო გავმძვრალიყავი სამღვდელოების მუხრუჭებიდან.

მაინც გავბედე და მივმართე სემინარიის რექტორს გერმოგენს. ვუთხარი, რომ ბიძაჩემს უნდა თავის ხარჯზე მასწავლოს კიევის აკადემიაში, სადაც თვითონ უსწავლია და ამიტომ ვთხოვე დოკუმენტები პირადად ჩემთვის მოეცათ. ბერს პირველად გაეხარდა, რადგან საშუალება ეძლეოდა კიდევ ერთი მოწაფე გაეგზავნა აკადემიაში, მაგრამ მალე რაღაცა იგრძნო და ამოოხვრით მითხრა: «Чует мое сердце, что Вы покидаете нас навсегда. Ну да Бог с Вами». მე ურცხვად უარვყავი მისი ეჭვი. ძალით დოკუმენტების დაკავება მაინც აღარ შეეძლო და გასცა განკარგულება, გაეცით საბუთებიო. წარმოსადგენია, რა სიხარულით გამოვართვი ქაღალდები და იმავე დღეს გავგზავნე იურიევის უნივერსიტეტში.

მართლაც, მე გადავრჩი, მაგრამ ის ამხანაგი, რომელიც ჩემს მაგივრად მოჰყვა აკადემიაში, ჩარჩა სასულიერო უწყებაში, თუმცა შემდეგში გავიგე რომ იგი კმაყოფილი იყო თავისი ბედით. მართლაც, აკადემიის დამთავრება სახელმწიფო ხარჯით არ იყო ურიგო ხვედრი ღარიბი კაცისათვის.

აქ გათავდა ჩემი წვალება და დამშვიდებული გავემგზავრე სოფელში დასასვენებლად.

ერთი თვის შემდეგ გზას გავუდექი. ავირჩიე მგზავრობა ვლადიკავკავზე დილიჟანსით და მხოლოდ იქ გადავჯექი მატარებელში. ხალისით და სიამოვნებით ვმგზავრობდი. განსაკუთრებული სიამოვნება ვიგრძენი სადგურ ბოლოგოეში, როცა გადავჯექი რიგისაკენ მიმავალ მატარებელში. აქ იწყებოდა თავისებური ცხოვრება. თავისებურება ეტყობოდა სადგუ-

რებსაც. გამოცა ჩვეულებამ, არაყს თუ დალევდი, შეგეძლო გექამა აუარება გამოფენილი საჭმელი. უფრო გასაკვირად მეჩვენა ის, რომ არავინ ბოროტად არ იყენებდა ამ უფლებას...

ასე მშვიდობიანად დამთავრდა სემინარიასთან ჩემი ყოველგვარი საქმე და კავშირი. ისე გავათავე უნივერსიტეტი, რომ აღარ შევსულვარ სემინარიაში, მით უფრო, რომ იგი გადაიტანეს ქალაქგარეთ და ძველ შენობაში სასტუმრო გახსნეს. ახლაც ხშირად შევდივარ იმ პატარა ბაღში და ვისვენებ, ვიგონებ ნანახსა და განცდილს. მოხუცებულობაში ჩვეულებრივ სიამოვნებით იგონებენ წარსულს, მაგრამ დამახასიათებელია, რომ მე ვერ ვპოვებ სიამოვნებას ამ მოგონებაში. მეტისმეტად მძიმე და უსამართლო იყო ის რეჟიმი, ამ რეჟიმიდან ერთეულები ინარჩუნებდნენ ცოცხალ სულს, უმრავლესობა კი ტიპიურ მუქთახორა მღვდლად ან დიაკვნად იქცეოდა.

სემინარიაში გატარებულ წლებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მე მუდმივ ვფიქრობდი უნივერსიტეტში შესვლაზე, ხშირად ვოცნებობდი საქართველოში უნივერსიტეტის გახსნაზე. იმ დროს ეს საერთო, მაგრამ მიუღწეველი ოცნება იყო ქართველი ერისა. ახალგაზრდობაში დიდი მისწრაფება იყო უმაღლესი განათლების მისაღებად, მაგრამ განა ბევრს შეეძლო გაეგზავნა შვილი რუსეთში მატერიალური ხელმოკლეობის გამო! გარდა ამისა, საშიში იყო სუსხიანი ჩრდილოეთის ჰავა. ბევრი ახალგაზრდა იმსხვერპლა ჩრდილოეთის ცხოვრების პირობებმა. ამიტომ გასაგებია, რა მწვავე გრძნობით მოელოდა ქართველი ერი თბილისის უნივერსიტეტის გახსნას, მაგრამ თვითმპყრობელობის პირობებში ეს შეუძლებელი გახდა. იმპერატორ ალექსანდრე მეორის ჩამოსვლისას ასეთი თხოვნით მიმართეს კიდეც მას, მეფემაც ინება და დართო ნება იუნკერთა სკოლის გახსნაზე როგორც იმ დროს ამბობდნენ, ჩვენმა „ბრწყინვალე“ თავადებმა მადლობაც კი გადაუხადეს იმპერატორს ასეთი მოწყალების პასუხად.

მუშაობა მაინც წარმოებდა, დაუღალავად ცდილობდნენ ჩვენი რჩეული შვილები მიეღოთ უმაღლესი სასწავლებელი და ბოლოს მაინც გაჭრა მათმა ცდამ. თურმე ამისათვის საჭირო იყო მთელი რეჟიმის დანგრევა.

ახალგაზრდობა მუდამ უღრმესი სიყვარულით უნდა იხსენებდეს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, რომელიც დაუღალავად იბრძოდა ამ საქმისათვის. გასაგებია, თუ რა სიხარულითა და სიამაყის გრძნობით გამოვემგზავრე 1919 წელს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორად. იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლოა ასრულდეს ის, რაზედაც ახალგაზრდობაში გიოცნებნია. ამ მომენტმა მე სავსებით დამაჯილდოვა იმ შრომისა და მძიმე ცხოვრების პირობებისათვის, რომელიც გავიარე მრავალი წლის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი საინტერესო ნაშრომი

## 1. მართვის ავტომატიზებული სისტემების პირველი ტერმინოლოგია

ჩვენს საცნობო-საინფორმაციო ლიტერატურას შეემატა ვ. ახალაძის, თ. ებანოიძის, ე. ენდელაძის, გ. კასრაძისა და კ. ცხაკაიას მიერ შედგენილი „მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინოლოგია“, რომელიც „მეცნიერებამ“ გამოსცა დ. კვესელავასა და რ. ღამბაშიძის რედაქციით.

წიგნი რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ნაწილისაგან შედგება, მოიცავს მართვის სისტემასთან დაკავშირებულ ორი ათასამდე ტერმინს და ოპტიმალურად ასახავს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ სპეციალურ ტერმინთა ძირითად ფონდს.

მართვის ავტომატიზებული სისტემების ტერმინოლოგიის გამოცემით უეჭველად საჭირო საქმე გაკეთდა. ქართულ ენაზე აქამომდის არ გვქონდა ამისთანა საცნობარო წიგნი. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, განსაკუთრებით მართვის ტექნიკის ფართოდ განვითარებისა და პრაქტიკულად გამოყენების უსაზღვრო პერსპექტივის პირობებში, მწვავედ იგრძნობოდა შესაბამისი ტერმინოლოგიის უქონლობა, ენაში გზა ეხსნებოდა ბარბარიზმების ახალი ნაკადის მოძალებას. ფერხდებოდა ქართულ ენაზე როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი ლიტერატურის გამოცემა. თვით სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებშიაც ტერმინოლოგიური ნაირობა და გამოთქმათა აუტანელი სიჭრელე სუფევდა. ამიტომ უნდა მივესალმოთ საინტერესო ცნობარის შემდგენელთა ჯგუფის წამოწყებას და ყველა იმ ორგანოს, განსაკუთრებით სამეცნიერო ტერმინოლოგიის სარედაქციო კოლეგიას, რომელთაც ხელი შეუწყეს ამ წიგნის შედგენა-გამოცემას.

შემდგენელთა ჯგუფის წინაშე რთული ამოცანა იდგა: პირველად უნდა შეექმნა როგორც სპეციალისტთა, ისე ფართო მასებისათვის გამოსადეგი საცნობარო წიგნი. მართალია, ჩვენში ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის საკმაოდ მდიდარი გამოცდილებაა დაგროვილი, ვამოცემულია მრავალრიცხოვანი საინფორმაციო და სპეციალური ლექსიკონებიც, მაგრამ მართვის ავტომატიზებული სისტემების შესახებ ამას ვერ ვიტყვით. ცოდნის ეს სამყარო საერთოდ სრულიად ახალია და, ბუნებრივია, მისი ტერმინოლოგიაც ახლა იქმნება. აღსანიშნავია მხოლოდ თითო-ოროლა დაინტერესებული სპეციალისტის რამდენიმე ცდა შესაბამისი ლექსიკონის შედგენისა, მაგრამ ყოველივე ამას კერძო ხასიათი ჰქონდა, ხოლო საერთო სატერმინოლოგიო ცნობარი ცოდნის ამ დარგში, როგორც ითქვა, არ მოგვეპოვებოდა.

ავტორთა ჯგუფის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას შემოქმედებითად გამოუყენებია ქართველ მეცნიერთა გამოცდილება, გაუთვალისწინებია არსებული გამოცემები და შეუქმნია ორიგინალური წიგნი, რომელიც დიდი რუდუნების შედეგია. როგორც რუსული, ისე ქართული ნაწილი საჭირო მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და სიფრთხილითაა გამართული. განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული ნაწილი იპყრობს. რუსული ტერმინების სათანადო ქართული შესატყვისობები უპირატესად ზუსტადაა დადგენილი. უცხოური წარმოშობის ტერმინები წარმოდგენილია ტრადიციული ქართული მოდელით (ავტოკოდი, ალგორითმი, ბიტი, ბოდი, ინდიკატორი, კონდიციონერი, ოპერანდი...), შესატყვისების საწარმოებლად გამოყენებულია როგორც ქართული ლექსიკის კლასიკური ფონდი, ისე ადრე მიღებული და ცხოვრებაში დამკვიდრებული ტერმინებიც. პრინციპები, რომელთაც შემდგენელნი ეყრდნობიან ცალკე ტერმინთა დამოდელებისას, მეცნიერულად მართებული და პრაქტიკულად გამართლებულია. განსაკუთრებით მოსაწონია ახალი ტერმინები. ადრე ჩვენ, მაგალითად, არ გვქონდა რუს. **ГОЛОВКА**-ს ზუსტი ქართული შესატყვისი: ამ მიზნით იხმარებოდა თავი. შემდგენლებს კი მიუღიათ თავაკი. ეს ნამდვილად მოსაწონია. — აკ. მორფემა ამისთანა შემთხვევაში კარგ სამსახურს გვიწევს ისევე, როგორც იგი ამშვენებს უკვე ცნობილსა და ცხოვრებაში დამკვიდრებულ ძველ ტერმინებს: წიგნაკი, მოლაკი, ნაწილაკი, ღილაკი... თავაკი უნდა გავრცელდეს და დამკვიდრდეს ენაში. ასევე მოსაწონია რუს. **ОДНОЗНАЧНОСТЬ**-ის ეკვივალენტად ცალსახობის მიღება. ცალსახა პირველად ვ. ბე-

რიძემ გამოიყენა, შემდეგ გავრცელდა რამდენიმე ვარიანტად: ცალსახა, ცალსახობა, ცალსახობითი. იყო ცდები, ამის მაგივრად ეხმარათ **ერთნიშნა**, მაგრამ ის არ გავრცელდა, გვხვდება მხოლოდ ზოგიერთი ავტორის ნაშრომში.

მხარი უნდა დაეჭიროს შემდგენელთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ **დამისამართება** ტიპის წარმოებას: დამოდელება, დაპროგრამება, დაპროექტება, დარეზერვება, დასეგმენტება, დატაბულება და ა. შ. ზოგიერთ მათგანს თითქოს ხელოვნურობის იერი გადაჰკრავს, მაგრამ ისინი მაინც უმჯობესია, ვიდრე, ვთქვათ, **პროგრამირება, მოდელირება** (თუმცა წიგნში ეს ვარიანტებიც დასაშვებადაა მიჩნეული) და ზმნისწინი აქ ნამდვილად კარგ სამსახურს გვიწევს, ახალი ფუნქციით იტვირთება. სამწუხაროდ, ავტორები ზოგჯერ თანამიმდევრობას ვერ იცავენ არჩეული მართებული პრინციპის დაცვაში: **კოდიდან** აღარ უწარმოებიათ **დაკოდება**, მიუღიათ **დაკოდირება; დუბლიდან** არ მიუღიათ **დადუბლება**, უმჯობესად მიუჩნევიათ **დუბლირება; ტირაჟიდან** აღარ გაუკეთებიათ **დატირაჟება**, დაუტოვებიათ **ტირაჟირება** და ა. შ. ეგების დაკოდება, დადუბლება, დატირაჟება დღეს ყურს ეხამუშება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბევრი ახლა საყოველთაოდ მიღებული ტერმინი თავდაპირველად გვეუცხოებოდა. გვიან კი გაშინაურდა და ყურიც მათ ხმარებას ადვილად შეეჩვია (გავიხსენოთ, მაგალითად, გაუპიროვნება, შეპირაპირება, წვეთწარმოქმნა, შეგრუნტვა, მატარებელბრუნვა...).

ირ (არ) არაქართული ელემენტი აქა-იქ უნებურად შემოგვეპარა ქართულ ტერმინოლოგიაში. უადგილოდ ჟღერს, მაგალითად, **დაგეგმარებაში**. რატომ გახდა აუცილებელი **გეგმიდან დაგეგმარების** წარმოება? განა **დაგეგმვა** არ იკმარებდა? ქალაქის მშენებლობის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა სხვადასხვა სიტყვას მოითხოვს? ორივე შემთხვევაში ხომ გეგმაზეა ლაპარაკი და **დაგეგმვა** სავსებით ტევადი ტერმინი იქნებოდა. ამიტომ **დაგეგმარება** მართებულ წარმოებად არ მიმაჩნია. ჩვენს ავტორებს ნახმარი აქვთ სწორედ **დაგეგმვა** და არა დაგეგმარება და სამართლიანადაც.

წიგნის სხვა ღირსებებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იგი შედგენილია საქმის პროფესიული ცოდნით და, მჯერა, კარგ სამსახურს გაუწევს ჩვენს საზოგადოებრიობას, დაეხმარება როგორც სპეციალისტებს, ისე პედაგოგებს, მთარგმნელებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, მართვის ავტომატიზებული სისტემებით დაინტერესებულ ადამიანებს. „მეცნიერებამ“ ამ წიგნის გამოცემით მორიგი სასარგებლო საქმე გააკეთა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ „მეცნიერება საერთოდაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ლექსიკოგრაფიულ, ტერმინოლოგიურ ცნობართა და ლექსიკონთა გამოცემას, რითაც განუზომელ სამსახურს უწევს ეროვნული მეცნიერების განვითარებას.

მხოლოდ ერთი მცირე შენიშვნა. იმასთან ერთად, რომ მთლიანად მშვენიერ და ყოველმხრით მოსაწონ ცნობარში რუსული ტერმინების ყველა ქართული შესატყვისი ერთნაირად არ ჟღერს და რამდენიმე მათგანი, როგორც ეს ავტორებსაც კარგად მოეხსენებათ, შემდგომ დახვეწას საჭიროებს, აქა-იქ შეინიშნება მართლწერის სიჭრელე და სხვა ტექნიკური ნაკლიც. შემდგენელთა ყურადღებას მივაქცევ მარტო ერთ გარემოებას. როგორც ვიცით, მრავალი რთული შედგენილობის ტერმინი მსაზღვრელ-საზღვრულის შეერთებითაა მიღებული. მსაზღვრელად გვხვდება ატრიბუტული ან მართული სახელი და ჩვეულებრივ უსწრებს საზღვრულს. ასეა, მაგალითად, გამართული **ლოგიკური ფუნქცია** და **მიზნის ფუნქცია**. ატრიბუტული (ლოგიკური) და მართული სახელი (მიზნის) უსწრებს საზღვრულს (ფუნქცია). შეიძლებოდა შებრუნებული რიგის ხმარებაც (და ეს შეცდომა როდი იქნებოდა), მაგრამ ტერმინები თანამედროვე ქართული ორთოგრაფიულ-გრამატიკული ნორმების მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის რიგითაა გაფორმებული და ასევე უნდა აღიბეჭდოს ლექსიკონებშიაც. ტერმინია **მართვის სისტემა** და ცნობარშიაც ეგ წყობა უნდა დავიცვათ. მართებულია აგრეთვე **სისტემა** მართვისა, მაგრამ ტერმინი მაინც პირველი წყობითაა გამართული. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგია დაცული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონში შეტანილ ტერმინებშიაც (გულის კუნთი, გულის ფიცარი, გულის ჯიბე, ხელის გული, ზღვის კარი, კბილის მატლი... გულის კოვზი, ვეტერინარიის ინსტიტუტი, ვეტერინარიის მუშაკი, ზღვის გოჭი, თავის ტვინი, პირის ღრუ, შაქრის ჭარხალი, ცის კამარა...) და ეს სავსებით კანონზომიერია. ცნობარის შემდგენელნი კი ამ წესს მხოლოდ ნაწილობრივ იცავენ.

ერთი მხრით, ცნობარში გვაქვს: მოქლონის თავი, მოცულობის ერთეული, მოძრაობის ინტენსიობა, მოძრაობის ცენტრი, მოძრაობის პერიოდი... მეორე მხრით: ავტომატიზაცია აღრიცხვისა, ავტომატიზაცია დაპროგრამებისა, ამოკითხვა ნიშნებისა, ბალანსი შრომისა, ბილიკი კოდური, დოკუმენტი პირველადი, იერარქია მართვისა...

ტერმინებია **შრომის ბალანსი, კოდური ბილიკი**... ცნობარში კი გვაქვს: **ბალანსი შრომისა, ბილიკი კოდური**... რომელ ასოზე უნდა ეძებოს მომხმარებელმა, ვთქვათ, შრომის ბალანსი, **შ**-ზე თუ **ბ**-ზე? ცხადია, **შ**-ზე, მაგრამ იქ მას ვერ იპოვის. ამის ახსნა კი ცნობარში არა გვაქვს. წიგნის „წინასიტყვაში“ ყრუდ

ნათქვამია: „მასალა ლექსიკონში განლაგებულია არსებით სახელზეო", მაგრამ დებულებას დასაბუთება არ ახლავს. თუ ამ დებულებას მივუყენებთ იმისთანა ტერმინებს, როგორიცაა მოძრაობის ცენტრი და ბალანსი შრომისა, უნდა ეთქვათ, რომ ორივე მათგანი მხოლოდ არსებითი სახელებითაა შედგენილი. ამიტომ ძნელი გასაგები ხდება, თუ პირველი რატომ იწყება მსაზღვრელით, მეორე — საზღვრულით? წიგნში ერთგვარობა დაცული არ არის, გვხვდება ორივე ტიპის წარმოება. სჯობდა ერთი წესის დაცვა: მსაზღვრელ-საზღვრულისა (შრომის ბალანსი, მუშაობის ცენტრი...). ამისთანა ტექნიკური ნაკლი სხვა დარგის ტერმინოლოგიური ცნობარების ადრინდელ გამოცემებსაც ახასიათებდათ. აქ კი ადვილად შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება.

შემდგენელნი თუ მაინც აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდნენ **საზღრული სახელის** წინ წამოწევას, მაშინ მეთაურ სიტყვად ის უნდა გამოეტანათ, ხოლო ამ საზღვრულით გაფორმებული სხვა ტერმინი მის ბუდეში მოექციათ და საზღვრული შემოკლებით (... საწყისი ასოთი) აღენიშნათ **(მაგ.; ასე: ალგორითმ-ი:** ალბათური ა., დეტერმინებულ[illegible] ა., მონაცემების გარდაქმნის ა). ამის თავისებურ ცდას ვხვდებით ცნობარშიაც (შდრ.: ამოკითხვა, ანბანი, აპარატი, ბარათი, კოდი, ლენტი, მანქანა, მოდელირება, ოპერატორი, პროცესი, პულტი, სიგნალი...), მაგრამ არა ყველგან. მაგ., გვაქვს: ენა ალგორითმული, ენა გამოსასვლელი, ენა კოდური, ენა შიგა..., რომელთაც ცალკე არ ახლავთ მეთაური სიტყვა. ასევეა: თეორია ალბათობისა, თეორია კოდირებისა, თეორია სიმრავლეთა (16 ტერმინი), სისტემა აგრეგატული, სისტემა ბრძანებებისა (92 ტერმინი) და სხვ. არც მათ აქვთ წინ გამოტანილი მეთაური სიტყვები. სასურველია, ცნობარის ახალ გამოცემაში ამ სიჭრელის თავიდან აცილება.

როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ცნობარის შემდგენელთა ჯგუფი, გურამ კასრაძის ხელმძღვანელობით, ახლა დიდი ინტენსიობით მუშაობს მართვის ავტომატიზებული სისტემების განმარტებით ტერმინოლოგიაზე. მკითხველი ინტერესით ელოდება ჩვენი ავტორების ამ ახალ კოლექტიურ ნაშრომს.

## 2. ახალი მონოგრაფია დაღესტნის ენებზე

ბ. გიგინეიშვილმა ინტენსიური კვლევა-ძიება დაღესტნის ენებისა ჩვენს უნივერსიტეტში დაიწყო გ. ახვლედიანის კათედრაზე. მადლიერმა მოძღვარმა სიყვარულით გამაცნო შეგირდი: ბეჯითია, მომავალი აქვსო. მის წარმატებებზე ბევრი კარგი რამ მითხრა თ. გამყრელიძემაც, ხოლო ჩვენგან უდროოდ წასულებმა, გ. მაჭავარიანმა და ტ. გუდავამ, ახალგაზრდა მეცნიერის ინტერესთა სფეროს განსაკუთრებული შეფასება მისცეს. მეც ვადევნებდი თვალყურს ბ. გიგინეიშვილის მუშაობას და, უნდა ითქვას, მასწავლებელთა [illegible] ბუკმა მეცნიერმა უდავოდ გაამართლა. საკანდიდატო დისერტაციის შემდეგ მალე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ზედიზედ გამოაქვეყნა დაღესტნის ენების სტრუქტურისადმი მიძღვნილი საპრობლემო ნაშრომები. და აი, ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა ახალი მონოგრაფია — „დაღესტნური ენების შედარებითი ფონეტიკა" — ნამდვილი შენაძენი მეცნიერებისა. წარმოსადგენია, როგორ გაიხარებდა მისი მოძღვარი, შეგირდის ეს წიგნი სიცოცხლეში რომ ეხილა! გ. ახვლედიანი ხომ ქვეყნად მუდამ სიკეთეს თესავდა და მას გულით ახარებდა ყოველგვარი სიახლე, მითუმეტეს ახალგაზრდა მეცნიერთა წარმატებანი.

„დაღესტნის ენების შედარებითი ფონეტიკა" მონოგრაფიაა რთულ ლინგვისტურ პრობლემათა კომპლექსზე. აქ განხილული ფაქტები და მოვლენები მრავალი მეცნიერის ძიება-დაკვირვების საგანი ყოფილა ადრეც და იქნება მომავალშიც. თავად საკითხებია იმდენად თავისებური, რომ თვალის ერთი გადავლებით მათი განჭვრეტა ერთობ ძნელია. სამეცნიერო ლიტერატურის მარჯვე მიმოხილვიდან ჩანს ავტორის ცოდნაც, ალღოც, რუდუნებაც, ერუდიციაც. პრობლემები, რომელთაც თავს დასტრიალებს იგი, აქამომდის უყურადღებოდ როდი იყო მიტოვებული. პირიქით. ბევრი რამ მათ გარშემო ადრეც ვიცოდით, უწინარეს ყოვლისა, ნ. ტრუბეცკოის, ჟ. დიუმეზილის, ე. ბოკარევის, ა. ჩიქობავას, ტ. გუდავასა და ათეულობით სხვა მკვლევრის შრომებიდან, მაგრამ ამ გეგმით შესრულებული მონოგრაფია დღემდის მაინც არ გვქონია, პირველია. ეს ფაქტი კი თავისთავად გვაჩვენებს წიგნის ღირსებას.

მონოგრაფიას, გვჯერა, გამოეხმაურებიან სპეციალისტები შინ და გარეთ. პირველი გამოძახილებიც დადებითია. ნაშრომი რუსულ ენაზეა გამოცემული თ. გამყრელიძის რედაქტორობით და ხელმისაწვდომია ყველა სპეციალისტისათვის, ვინც კი დაინტერესებულია დაღესტნის ენების დღევანდელი ვითარებითა და ისტორიული ბედით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ მკითხველისადმი ამ წიგნის მიწოდებით უეჭველად სასარგებლო საქმე გააკეთა.

მონოგრაფია შესავალს გარდა სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დახასიათებულია დაღესტნის 14 ენის კონსონანტური სისტემები, მეორეში ნაჩვენებია საერთოდაღესტნის ენის თანხმოვან ფონემათა სისტემა, ხოლო მესამეში მოცემულია საერთოდაღესტნური კონსონანტური სისტემის ტრანსფორმა-

ციის ცდა დაღესტნის ცალკეულ ენათა მიხედვით.

ავტორი მოკრძალებით გვიამბობს წიგნის მიზნებზე. საყოველთაოდ ცნობილია, ეგ წიგნშიცაა ხაზგასმული, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ენათა შედარებითს ფონეტიკას ნ. ტრუბეცკოიმ ჩაუგდო მყარი ბალავერი. მის მიერ დადგენილი კანონზომიერებანი საქვეყნოდაა განთქმული. მართალია, ნ. ტრუბეცკოი სწავლობდა დაღესტნის ენებსაც, მაგრამ მას არ შეუდგენია ამ ენების შედარებითი ფონეტიკა. აქ უნდა მოვიხსენიოთ ტ. გუდავას შესანიშნავი მონოგრაფია — „ანდიური ენების კონსონანტიზმი", რომელმაც შორს გაუთქვა სახელი მეცნიერს. უნდა დავიმოწმო ა. ჩიქობავას, ე. ბოკარევის, ი. მეგრელიძის, შ. გაფრინდაშვილის, დ. იმნაიშვილის, ე. ლომთაძის, ზ. მაჰამედბეკოვას, ე. ჯეირანაშვილის, ი. ცერცვაძის, ს. ხაიდაკოვის, კ. მიკაილოვისა და სხვათა გამოკვლევები, რომლებმაც მნიშვნელოვნად წინ წასწიეს დაღესტნის ენების ფონეტიკური სისტემებისა და სტრუქტურის შესწავლა და რომელთაც, თავად ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებულ მდიდარ მასალასთან ერთად, ეყრდნობა ჩვენი მკვლევარი.

წიგნში სინქრონიული პლანით აღწერილია დაღესტნის ენების კონსონანტური სისტემები. გამოყოფილია საკორელაციო სისტემის დაპირისპირების ოთხი ძირითადი ტიპი: მჟღერი — ყრუ, გლოტალიზებული — არაგლოტალიზებული, ხშული — ფრიკატიული, ძლიერი და სუსტი ინტენსიურობისა. ავტორთან ერთად მეც მგონია, რომ ინტენსიურობის კორელაცია უაღრესად მნიშვნელოვანია დაღესტნის ენებისათვის. ამასთან სწორადაა ხაზგასმული, რომ ეს დაპირისპირება, როგორც წესი, შეინიშნება მხოლოდ ყრუ თანხმოვნებში. ერთი თვალსაზრისითა და მიდგომითაა დახასიათებული დაღესტნის 14 ენობრივი სისტემის მასალა. საანალიზოდ მოშველიებულია როგორც სამწერლობო ენათა, ისე მათი დიალექტების მონაცემები, რაც ამაღლებს ნაშრომის ღირსებას, წამოყენებულ დებულებებსა და განზოგადებებს მეტ დამაჯერებლობას ანიჭებს.

მოპოვებულმა და მკაცრად შეჯერებულმა ფაქტებმა მკვლევარს შესაძლებლობა მისცა მესამე თავში შეეჯამებინა მიღებული შედეგები. მისი ზოგადი თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საერთოდაღესტნური ენა დასაწყისში დაშლილა ოთხ ძირითად ერთეულად: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ, დარგულ, ლაკურ და საერთოლაკურად. ფაქტობრივი მასალა საშუალებას იძლევა თითოეული ამ ერთეულის ევოლუციის ძირითადი ეტაპების თვალმისადევნებლად. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ერთეულში პოსტულირებულია გვიან ორი ენობრივი ერთობის, ხუნძურ-ანდიურისა და დიდოური ერთობის გამოყოფა. ასევე ტრანსფორმირებულია წინარედარგული, წინარელაკური, წინარელეკური კონსონანტური სისტემები მათი არქაული იერითა და დიალექტური განშტოებებით, შესაბამის ფუძეენებთან მიმართებებით.

ავტორის პოსტულატები და განზოგადებები უეჭველ ინტერესს იწვევს როგორც დაღესტნის, ისე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც. არგუმენტირებულია არა ერთი ფუძებულება და ეტიმოლოგია.

მართალია, ავტორისეულ შესატყვისობებსა და რეკონსტრუქციებში და მათ საფუძველზე მიღებულ ეტიმოლოგიებში (მკვლევარი გზადაგზა უარყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ მცდარ ეტიმოლოგიებს და იძლევა ათეულობით სიტყვის ორიგინალურ გააზრებას) ზოგი რამ სადაოა, ზოგიც დასაზუსტებელი, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ისაა, რომ წამოყენებული და განვითარებულია ახალი აზრები, ძიებაში ჩართულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, მთლიანად შექმნილია საჭირო ნაშრომი. ამიტომ სპეციალისტთა რა შენიშვნაც უნდა გამოიწვიოს წიგნის ცალკე ადგილებმა, ერთი რამ იმთავითვე ცხადია, შესრულებულია რთული სამუშაო, ხელთ გვაქვს მარჯვე, ლინგვისტური მონოგრაფია, რაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აღძრულ საკითხებზე.

**ალ. ღლონტი**

# წერილი რედაქციას

„ერთი სოციოლოგიური ტერმინის შესახებ (Ценность — ფასეულობა და არა ღირებულება") — ასეთი სათაურით კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე" ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1975, 3, გვ. 154-157). ავტორის კრიტიკული შენიშვნები მომართული იყო ჩემდამი. ქართულ ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინი „ღირებულება" პ. გუგუშვილს არ მიაჩნია მისაღებად და მის ადგილას გვთავაზობს „ფასეულობას". აკად. პ. გუგუშვილმა შემდეგ ხელმეორედ გამოაქვეყნა თავისი შენიშვნები („მნათობი", 1977, № 9). „მაც-

ნეს“ ტექსტი აქ გაზრდილია ავტორისეული მოსაზრებებით საერთოდ ტერმინოლოგიისა და სხვა საკითხებზე, აგრეთვე ტერმინ ფასეულობის (თუ ღირებულების) ხმარების სხვა ფაქტის დასახელებითა და სათანადო ანალიზით. ჩემი პასუხი პირველი სტატიის გამო შეიძლებოდა სულ მოკლე ყოფილიყო: ეს ცნება უპირატესად ფილოსოფიურია, არც ერთი ფილოსოფოსი და სოციოლოგი არ ხმარობს „ფასეულობას“ ღირებულების აღმნიშვნელად და მეც ვხმარობ მეცნიერებაში საერთოდ მიღებულ ტერმინს. მეორე სტატიაში პ. გუგუშვილი მართალია შენიშნავს ამ ტერმინს, სხვებიც ხმარობენო, მაგრამ მხოლოდ ჩემზე უთითებს. ზოგიერთი ისეთი მომენტიც არის გამოვლენილი პ. გუგუშვილის სტატიაში, რასაც შეიძლება გაუგებრობა მოყვეს. ამის გამო იძულებული ვხდები ცოტა უფრო ვრცლად გავეპასუხო პატივცემულ პ. გუგუშვილს. იგი წერს:

„სოციოლოგიურ ნარკვევების“ რედაქციის მიერ შემოთავაზებული ტერმინი არ შეესაბამება მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში, საბჭოთა ეკონომიურ ლიტერატურაში, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში, საერთოდ მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში ღირებულების (СТОИМОСТЬ) როგორც ტერმინისა და ცნების დამკვიდრებულ ტრადიციას“. „ანდა იქნებ პროფ. ვ. ქვაჩახია სერიოზულად ფიქრობს, რომ ეკონომიური კატეგორიები, მაგალითად, ღირებულება, შეიძლება ერთ ცნებას ნიშნავდეს პოლიტიკურ ეკონომიაში და სხვა ცნებას (კატეგორიას და, მაშასადამე, ტერმინს) გამოხატავდეს სოციოლოგიაში, ისტორიულ მატერიალიზმში?

მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში, როგორც მთლიან მსოფლმხედველობრივ სისტემაში, დაუშვებელია კატეგორიების, ცნებების, ტერმინების სხვადასხვა გაგებით ხმარება“.

აქ მოყვანილ ამონაწერში შეიმჩნევა რამდენიმე, რბილად რომ ვთქვათ, უზუსტობა, რაც იწვევს გაუგებრობებს. 1. „მაცნეს“ სტატიის სათაურშივე ავტორი უთითებს „ЦЕННОСТЬ“-ზე, რომ მისი შესაბამისი ტერმინი უნდა იყოს არა ღირებულება, არამედ ფასეულობაო. მოცემულ ამონაწერში კი იგი მსჯელობს „СТОИМОСТЬ“-ის, როგორც ღირებულების შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, უზუსტობაა; 2. ავტორი ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს „ცნებას“ და „ტერმინს“. იგი წერს: „დაუშვებელია კატეგორიების, ცნებების, ტერმინების სხვადასხვა გაგებით ხმარება“. კატეგორიების, ცნებების ასე ხმარება თუ დაუშვებელია, ტერმინების სხვადასხვა მნიშვნელობით მოხმარება დასაშვებია იმ აზრით, რომ ფაქტია, ხმარობენ ასე! 3. ნუ თუ ვინმე სერიოზულად ფიქრობსო?..— წერს პატ. გუგუშვილი. სავსებით სერიოზულად!.. ღირებულება სწორედ რომ ერთი ცნებაა პოლიტიკურ ეკონომიაში, სხვა ცნებაა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, თუმცა ტერმინს ერთს ხმარობენ და თუ [საქმე ჩემზეა] მომდგარი, მართლაც რომ სერიოზულად ვფიქრობ, რომ ეს ასეა: ღირებულებას ერთი მნიშვნელობა აქვს პოლიტეკონომიაში, სულ სხვა მნიშვნელობა — ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში.

არ ვიცი, თუ რატომ ფიქრობს პ. გუგუშვილი, რომ დაუშვებელია ტერმინების სხვადასხვა გაგებით ხმარება და ვინც ამას გააკეთებს, მართლაც ისეთ დიდ იდეოლოგიურ ცოდვას ჩაიდენს. საჩვენებლად იმისა, რომ ეს ასე არ არის, მოვიყვან ერთ მაგალითს, როდესაც არა თუ ერთს ენაში, არამედ ერთი და იგივე სიტყვა მრავალ ენაში იხმარება, ე. ი. ტერმინი ერთია, მნიშვნელობა მასში ნაგულისხმევი (ცნება) კი სხვადასხვა — ესაა სიტყვა ფორმა (forma, форма). ვამბობთ: „ფორმა შინაარსის არსებობის წესია“, „საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა (ფორმები)“, „ფორმისა და შინაარსის დიალექტიკა“, „ჯარის ნაწილი გადავიდა საზაფხულო ფორმაზე“ და ა. შ. არ ჩავდივართ იმ მიუტევებელ ცოდვას და აღრევა არ მოგვდის! ეს ერთი ტერმინი სხვადასხვა შინაარსს (ცნებას) გამოხატავს.

ახლა ვნახოთ რას მივიღებთ, თუ დავუჯერებთ პ. გუგუშვილს და „ღირებულების“ ადგილას ფილოსოფიაში და სოციოლოგიაში ვიხმართ „ფასეულობას“. პ. გუგუშვილი წერს: „დროა, ჩვენმა ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა და მთარგმნელებმაც შეიწყნარონ და მიიღონ“... ამას მოჰყვება ჩამოთვლა ტერმინებისა, თუ სად და რა მნიშვნელობით იყოს მოხმარებული ღირებულება და მისგან ნაწარმოები, ფასეულობა და მისგან ნაწარმოები ტერმინები. (იხ. „მნათობი“, 1977 წ. № 9, გვ. 162).

დავუშვათ, ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა და მთარგმნელებმა დაუჯერეს ავტორს. რა გამოვა? არაფერი, სანამ პატ. პ. გუგუშვილი ეკონომისტებსაც არ დააჯერებს, რომ იხმარონ მხოლოდ ღირებულება, არ იხმარონ ფასი (ფასეულობა). საქმე ისაა, რომ რასაც პ. გუგუშვილი გვთავაზობს, ვითარებას არსებითად მაინც არ შეცვლის, რადგან თუ ერთი ტერმინის ორი (ან მეტი) მნიშვნელობით ხმარება აღრევას გამოიწვევს, ეს აღრევა ხომ ისევ გვექნება— ფასი, ფასეულობა ხომ პოლიტეკონომიაშიც იხმარება და თუ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში გადმოვიტანთ, რით განვასხვავოთ მაშინ პოლიტეკონომიაში და ფილოსოფია-სოციოლოგიაში ნახმარი ტერმინების შინაარსი?! თუ ღირებულება ამ მიზეზით დაიწუნა პ. გუგუშვილმა, ფასეულობაც უნდა დაეწუნებინა. მკითხველი ალბათ ატყობს, თუ როგორ უზუსტობას იჩენს მსჯელობაში პროფ. პ. გუგუშვილი. ისე კი არავითარი იმედი არ არის, რომ „ღირებულებითი ორიენტაცია“ უკუაგდონ და

„ფასეულობითი ორიენტაცია“ იხმარონ, როგორც ამას პ. გუგუშვილი ურჩევს ფილოსოფოსებსა და სოციოლოგებს.

სამწუხაროდ, პროფ. პ. გუგუშვილი ღირებულების საკითხს არსებითად არ იხილავს. იგი ძირითადად სიტყვიერი (ვერბალური) განხილვით კმაყოფილდება .ასეთი განხილვა საიმედო როდია. როცა საქმე ცნებებთან, კატეგორიებთან გვაქვს, საკმარისი არ არის ამ ცნებების, კატეგორიების გამოსახატავად მოხმარებული სიტყვის, ტერმინის ანალიზით შემოვიფარგლოთ. ჩემი ეს განცხადება რომ ლიტონი ნათქვამი არ იყოს, სულ მოკლედ შევეხები საკითხის არსებით მხარეს. მოკლედ იმიტომაც, რომ აქ საამისო შესაძლებლობა შეზღუდულია. ტერმინი ღირებულება რომ პოლიტეკონომიაში იხმარება, ამას არა თუ არ უარყოფს პროფ. პ. გუგუშვილი, არამედ, პირიქით, სწორედ ამის გამო მიიჩნევს მის გამოყენებას მიზანშეუწონლად ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. ავტორმა რატომღაც გვერდი აუარა, მაგრამ არა მგონია უარყოს, რომ ფასიც პოლიტეკონომიაში იხმარება. და თუ პირველი ამის გამო არ უნდა ვიხმაროთ, არც მეორე იქნებოდა უკეთესი. ეს უკვე ზევითაც ვთქვი. ახალა ვნახოთ არა სიტყვიერი მნიშვნელობის, არამედ მათში გამოხატული პოლიტეკონომიური **შინაარსის, ცნების** თვალსაზრისით რა მდგომარეობა გვექნება. პროფ. პ. გუგუშვილს, როგორც ეკონომისტს, რა თქმა უნდა, ჩემგან არ ესწავლება, რომ ფასი არის **ღირებულების ფულადი ფორმა.** სიტყვა „ფასის“ ცნებითი შინაარსის განსაზღვრისას სწორედ ესაა მთავარი — **ფულადი გამოსახულება.** აქედან: საცალო ფასი, ბაზრის ფასი, ჩალის ფასი, საფაბრიკო ფასი, თავის ფასში და ა. შ. მართალია, ამასთან ერთად გვაქვს ამ სიტყვის სხვაგვარი ხმარებაც — მაგალითად, იგივე ჩალის ფასი გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება. უფრო მთავარი ისაა, რომ სავსებით გასაგები შინაარსით ვხმარობთ — სიცოცხლის ფასი, გამარჯვების ფასი, საკუთარი თავის ფასი... ცხადია, არავინ ფიქრობს, რომ ამ შემთხვევებში ფასი ფულადი გამოხატულების აღმნიშვნელია, ისევე, როგორც, ვთქვათ, როცა ვამბობთ ძვირფასი ადამიანი, ფულად გამოხატულებას არ ვგულისხმობთ, თუმცა იგივე „ძვირფასი“ სხვა აზრითაც იხმარება — მაგალითად, ძვირფასი ქვა და აქ კი ეს სიტყვა სწორედ ფულადი გამოხატულების აღმნიშვნელია (უპირატესად).

ღირებულებაც იხმარება სხვა და სხვა აზრით. თვით სიტყვის ძირი წარმოდგება იქიდან, რაც უახლოვდება იგივე ფასს — „რა ღირს“, „რამდენი ღირს“. მაგრამ მეტი არაფერი? სახმარი ღირებულება უკვე განსხვავებული მნიშვნელობისაა, თუმცა საცვლელი ღირებულება ისევ პირველ მნიშვნელობას უახლოვდება. მთავარი ხომ მაინც სულ სხვაა. ღირებულება არის საქონელში განხორციელებული საზოგადოებრივი შრომა. არა ესა თუ ის კონკრეტული შრომა, არამედ **აბსტრაქტული** შრომა. ღირებულების ტერმინით გამოხატული ეს **ცნებითი შინაარსია.** მთავარი. აქვს თუ არა ასეთივე შინაარსი ტერმინ ფასს და მისგან ნაწარმოებ სხვა სიტყვებს? არა, არა აქვს. სწორედ ამიტომ არ შეიძლება ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში იმის გამოსახატავად, რაც **მნიშვნელობს,** ფასეულობა ვიხმაროთ და არა ღირებულება. რა თქმა უნდა, აჯობებდა პოლიტეკონომიას დარჩენოდა ორივე ტერმინი და ფილოსოფიაში სხვა ტერმინი ყოფილიყო ნახმარი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა დასაბამიდან. და არ მოხდა სწორედ იმ ენაში (გერმანულში), რომელშიც ღირებულების პოლიტეკონომიური (მარქსისტული) და ღირებულების ფილოსოფიური ცნებები და თეორიები ჩამოყალიბდა. ღირებულების ფილოსოფიურ-სოციოლოგიური შინაარსის გამოსახატავად რუსული — (Ценность იქნება არც იყოს მოხერხებული ტერმინი, მაგრამ არც მეორე სიტყვა — СТОИМОСТЬ იქნებოდა უკეთესი. ქართულად ღირებულება უკეთესია სწორედ იმის გამო, რომ ღირებულების უმთავრეს ცნებაში იმ აბსტრაქტული, საზოგადოებრივი შრომის გულისხმობა აახლოებს მას ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ შინაარსთან, რაც არცერთ შემთხვევაში არ ითქმის ფასისა და ფასეულობის შესახებ.

ძირითადად ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე წერისას ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები ხშირად ხმარობდნენ ტერმინ **ღირებულებას.** დავასახელებ თუნდაც შ. ნუცუბიძეს, კ. ბაქრაძეს, ს. დანელიას.

პროფ. პ. გუგუშვილი რატომღაც მე მეკამათება, მარტო ჩემს ნაწერებს ასახელებს, ისიც სოციოლოგიურს. შეეძლო სხვაც დაესახელებინა ისევ ჩემივე ნაწერებიდან. მაგ. 1965 წელს გამოცემულ წიგნში „ესთეტიკურის სოციალური არსი“ განხილულია ღირებულების თეორიები და ეს ტერმინი (რა თქმა უნდა, არა „ფასეულობა“) არაერთხელაა ნახმარი. 1965 წელს ჩემს მიერ დაცული სადოქტორო დისერტაციის სახელწოდება ასეთი იყო: „საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები და ესთეტიკური ღირებულების პრობლემა“. არც შალვა ნუცუბიძეს, რომელიც ოფიციალური ოპონენტი იყო, არც კ. ბაქრაძეს, არც რომელიმე სხვა ფილოსოფოსს არ გამოუთქვამს ოდნავი დაეჭვებაც კი ამ ტერმინის გამო. ეს არც არის გასაკვირი. ტერმინი ღირებულება იხმა-

რებოდა (და იხმარება) ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ფილოსოფიის ისტორიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში მომუშავე ყველა სპეციალისტების მიერ. გასაგებია, თუ რატომ არ ვასახელებ ამ ავტორებს და სათანადო ნაშრომებს.

რაკილა პ. გუგუშვილი ძირითადად მე მეკამათება ამ ტერმინების თაობაზე, ორიოდე სიტყვა კიდევ უნდა დავუმატო. იდეალისტურ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა ღირებულების თეორია (არა პოლიტეკონომიური, არამედ ფილოსოფიური თეორია). ეს პრობლემა იმ ფილოსოფიის ფარგლებში არ გადაწყდა. მარქსისტულ ფილოსოფიაში კი თვითონ პრობლემა იყო დიდი ხნის განმავლობაში უარყოფილი. შეცდომით ეგონათ, რომ ამ პრობლემას ადგილი არ უნდა ჰქონოდა ჩვენს ფილოსოფიაში. არც თუ ისე დიდი ხანია ამ ურთულესი პრობლემის კანონიერების საკითხი დადგა და მისი გადაწყვეტის გზების ძიება დაიწყო. მოხდა ისე, რომ მეც ერთ-ერთ პირველს მომიხდა ამ მიმართულებით მუშაობა. უნდა განვმარტო, ალბათ, ისიც, რომ მართალია, ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნე, ღირებულების შესახებ იწერებოდა, მაგრამ ფილოსოფიის ისტორიის ასპექტით ღირებულების პრობლემის ადგილის თაობაზე ჩვენს ფილოსოფიურ პრობლემატიკაში, მოგვიანებით დადგა საკითხი .ამ საკითხებზე მუშაობისას ჩამომიყალიბდა გარკვეული შეხედულება, რომელიც გამოქვეყნდა, კერძოდ იმ შრომის სახითაც, რომელსაც პ. გუგუშვილი მოიხსენიებს (იხ. „სოციოლოგიური ნარკვევები,)“ თბ. 1969 წ.). ჩემი ამ შეხედულების მიხედვით ღირებულების პრობლემა საზოგადოებრივი ცნობიერებისა და სოციალური განწყობის პრობლემებთან უშუალო კავშირში განიხილება. ამასთანავეა დაკავშირებული ის, რომ მომიხდა ღირებულებით-განწყობისეული ზოგადობის ცნების შემოტანა. ცხადი უნდა იყოს, ის რაც მნიშვნელობს, ამის გამოსათქმელად სხვებს კიდეც რომ ეხმარათ ფასეულობის ტერმინი, მე არ შემეძლო იგი მეხმარა. ღირებულება, ზუვით ნათქვამის გამო, უკეთ გამოხატავს იმას, რაც ამ ტერმინით ფილოსოფიაში და სოციოლოგიაში არის ნაგულისხმევი.

როგორ შემეძლო, მაგალითად, როდესაც ვარჩევდი როგორც ფილოსოფიური (არსებითად რიკერტიანული), ასევე ფსიქოლოგიური თეორიების მცდარობას, **მნიშვნელობას** ვუკავშირებდი საზოგადოებრივი ცნობიერების კატეგორიას, მეხმარა ფასეულობის ტერმინი: „ღირებულება სოციალურად იმანენტურია, ღირებულება საზოგადოებრივად ჩამოყალიბებული ფორმებია სულიერი ათვისებისა (ასახვის, შემეცნების, შეფასების), რომელიც ყოველი ინდივიდუალური ცნობიერებისათვის მნიშვნელობს“. აქ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფასზე და ფასეულობაზე იყოს ლაპარაკი.

არ გავიზიარებ პროფ. პ. გუგუშვილის სიტყვებს იმის თაობაზე, თითქოს რაღაც არევდარევას იწვევდეს ამ ტერმინის ხმარება, ხამწუხაროდ, პატ. მეცნიერის სიტყვებში რაღაც პოლიტიკური ბრალდების ელფერიცაა. არავითარი ასეთი აღრევა არ ყოფილა და არც არის მოსალოდნელი ამ ტერმინის გამო: იგი სწორად იხმარება.

მკითხველს ნებას ვთხოვ და კიდევ ერთ ადგილს მოვიყვან პ. გუგუშვილის ნაწერიდან: „ზეპირ გამოსვლაში მე არაერთგზის მივუთითე ზოგიერთ ჩვენს სოციოლოგს და ფილოსოფოსს ღირებულებისა და ფასეულების ცნებათა დიფერენციული გამოყენების აუცილებლობაზე. მაგრამ მათ, როგორც იტყვიან „კრიტიკაზე კრიტიკით“ მიპასუხეს. ამასთანავე ზოგიერთს ავიწყდება, რომ კრიტიკა სრულებით არ ნიშნავს ლანძღვას და მით უფრო ცილისწამებას“. (იხ. „მაცნე“, 1975, 3, გვ. 157; „მნათობი“, 1977, 9 გვ. 162).

ვის გულისხმობს და ვის ეკამათება აქ ავტორი? თითქოს მე არ უნდა მეკამათებოდეს, რადგან ამ ტერმინთა გამო „ზეპირ გამოსვლებში არაერთგზის მითითება“ არამც და არამც არ მაგონდება. მაგრამ მე თუ არ მეკამათება, წერილში, სადაც მხოლოდ მე მომიხსენია, რატომ შეიტანა, ყოველგვარი მისამართის ჩვენების გარეშე შენიშვნა, რომელიც მე არ მეხება. მკითხველი ხომ ამას უსათუოდ ჩემი მისამართით მიიღებს, სხვაგვარად როგორ უნდა გაიგოს. მკითხველთაგან ზოგიერთს შეიძლება მოაგონდეს კიდევაც ერთი „ზეპირი გამოსვლისა და მითითების“ შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამდენიმე წლის წინ უაღრესად პატივსაცემ დაწესებულებაში, როდესაც პ. გუგუშვილის „სოციოლოგიური ეტიუდები“ იხილებოდა მაშინ ბევრმა გამომსვლელმა (მათ შორის მეც) აკად. პ. გუგუშვილს, ჩემის აზრით, სრული საფუძვლიანობით, უსაყვედურა რომ მისი „სოციოლოგიური ეტიუდების“ ორი დიდი მოცულობის ტომი პირდაპირი გაგებით სოციოლოგიური ხასიათის ნაშრომებს ძალზე ნაკლებს შეიცავდა, რომ ავტორის მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზნითა და საბაბით დაწერილი და ამ ტომებში თავმოყრილი ნაშრომებისათვის რატომღაც ავტორს სოციოლოგიური უწოდებია, თუმცა კი მათ პირდაპირი კავშირი არა აქვთ არც ზოგადსოციოლოგიასთან (ისტორიული მატერიალიზმი), არც კონკრეტულ-გამოყენებით სოციოლოგიასთან. ხოლო „სოციოლოგიურა ეტიუდების“ შედარებით მცირე ნაწილი; რომელიც მართლაც შეიძლება იწოდოს სოციოლოგიად, არსებითი ხასიათის შენიშვნებს იმსახურებდა. პატივცემულმა გუგუშვილმა ეს სამართლიანი კრიტიკა რატომღაც დიდად იწყინა, ლანძღვად მიიღო, ახლა თვითონ ვილაცეებს უკიჟინებს, კრი-

ტიკას ლანძღვად ნუ მიიჩნევთო. პ. გუგუშვილის მიერ „სოციოლოგიური ეტიუდების“ მოხსენიება (იხ. „მნათობი“, 1977, № 9) ტერმინოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით საფუძველს გვაძლევს ამის თაობაზეც ვიმსჯელოთ.

ყველაზე მწვავედ მაინც ერთი შენიშვნა განიცადა მაშინ პ. გუგუშვილმა. „სოციოლოგიური ეტიუდების“ I ტომის ბოლოს იგი წერდა: „სოციოლოგიის კურსის კითხვა უნივერსიტეტში 1968 წ. განახლდა, როდესაც ამ დისციპლინის — მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიის საფუძვლების — ლექციების კითხვა ამ სტრიქონების ავტორს დაეკისრა „(სოციოლოგიური ეტიუდები“, I, გვ. 434). პ. გუგუშვილს მიუთითეს, რომ თუ იგულისხმება ზოგადი სოციოლოგია (ისტორიული მატერიალიზმი), მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ კურსის კითხვა უნივერსიტეტში არც შეწყვეტილა და არც 1968 წელს იყო იგი განსაახლებელი, და მით უფრო პ. გუგუშვილის მიერ. ხოლო თუ საქმე ეხება გამოყენებით (კონკრეტულ) სოციოლოგიას და ამ სასწავლო დისციპლინას, 1968 წელს უნივერსიტეტში უკვე იყო შესაბამისი კათედრა და კურსიც იკითხებოდა. რა თქმა უნდა, ამ კურსს პ. გუგუშვილი არ კითხულობდა. პ. გუგუშვილი რატომღაც არარსებულ დამსახურებას მიიწერდა. ამაზე რომ მიეთითა, განაწყენდა. პ. გუგუშვილის ზემოთ მოყვანილ ამონაწერში მისი ამ კრიტიკით განაწყენება მენიშნა.

ამისი საფუძველი კი იმანაც მომცა, რომ, როგორც დასაწყისშივე მოვიხსენიე, ღირებულებას (და არა ფასეულობას) ხმარობს ყველა (გამოუკლებლივ) ქართულ ენაზე დაწერილ ნაშრომის ავტორი ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში (რა თქმა უნდა, პ. გუგუშვილის გამოკლებით). ამიტომ უცნაურად მეჩვენა, რომ პ. გუგუშვილმა ამ ტერმინის გავრცელების ძირითადი სიმძიმე მე დამაკისრა. ეს ასე არ არის და რომ იყოს, ამაში არაფერია საძრახისი.

აკად. პ. გუგუშვილი ტერმინოლოგიაზე, იმის შესახებ, თუ რომელი ტერმინი უფრო მოხერხებულია, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ხშირად წერდა და წერს. ახლა, როდესაც იგი სოციოლოგიაშიც მუშაობს, გასაკვირი რატომ უნდა იყოს, რომ ამა თუ იმ ტერმინის გამოყენების ვარგისიანობაზე მსჯელობს, მართალია არსებითად ფილოსოფიურს, მაგრამ მაინც ტერმინოლოგიაზე .მეცნიერს აბა სხვა რა უნდა აინტერესებდეს, რა უნდა ამოძრავებდეს, მით უფრო, რომ ტერმინოლოგიის საქმეში მართლაც ბევრია სადაო და მოსაგვარებელი. ამ რწმენით მინდა მადლობის გრძნობა გამოვუხატო აკად. პ. გუგუშვილს, ჩემის აზრით მცდარი, მაგრამ მის მიერ საჭიროდ მიჩნეული შენიშვნებისათვის, რადგანაც, ეგ რომ არა, მე ალბათ, არასდროს შევეკამათებოდი მას. ამისი აუცილებლობა არც იყო.

გავაკეთოთ დასკვნა საკამათო საკითხის შესახებ — რომელი ტერმინი ვიხმაროთ? „ღირებულება“ იხმარება როგორც ფილოსოფიური ცნების, ისე პოლიტიკური ეკონომიის ცნების გამომხატველ ტერმინად. ვიმეორებ, აქ არაფერია უჩვეულო. მე ზევით ერთი მაგალითი მოვიტანე. შეიძლებოდა ბევრის მოტანა. თვით გერმანულში, სადაც შეიქნა, როგორც ითქვა, ღირებულების როგორც პოლიტიკურ ეკონომიური, ისე ფილოსოფიური ცნებები და თეორიები, სიტყვა Wert-ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რამდენიმე ცნებას გამოხატავს. იგი ნიშნავს: 1. ძვირფასს, 2 ღირებულს (стоящий), 3. ღირებულებას (стоимость), ფასს, 4. ღირებულებას, მნიშვნელობას... ნაწარმოები ტერმინებია Tauschwert (საცვლელი ღირებულება), Gebrauchswert (სახმარი ღირებულება), Wertsachen (სულიერი ღირებულებების მნიშვნელობით) და ა. შ.

ასევეა ინგლისურში Value — ღირებულება (ორივე შინაარსით ე. ი. როგორც стоимость, ასევე ценность), ფასი, მნიშვნელობა და ა. შ. აქაც სათანადო ნაწარმოები ტერმინია: exchange value (საცვლელი ღირებულება), Surplus value (ზედმეტი ღირებულება), use value (სახმარი ღირებულება), material and spiritual value (მატერიალური და სულიერი ღირებულებები) და ა. შ.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, იქ მოითხოვენ თუ არა ტერმინების შეცვლას. ყოველშემთხვევაში, ასეთი გაუგებრობები ალბათ არ ხდება მეცნიერთა შორის.

**ვენერი ქვაჩახია**

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ